K 218191
3

პარალო მალაშხიანიძე

ჩემი არჩევანი

დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად

ელეანრ შევარდნაძე

ჩვენი არჩევანი

დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად

გამომცემლობა „განათლება“ თბილისი 1992

ЗКП1(0521 შევარდნაძ) + 327 + 321.7

67.91
შ 392

ავტორი მოგვითხრობს თავისი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. წიგნში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობას დიდ პოლიტიკაში — მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს, ყოფილი სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მის მუშაობას.

„ჩემი არჩევანი" უკვე გამოიცა 15 ქვეყანაში — გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინგლისში, იაპონიაში, რუსეთში და სხვ.

მხატვარი ო. გორალევიჩი
ფოტო საქინფორმისა

0801000000—
III ——————— ბრძ.-92
М-602 (08)-92

© ე. შევარდნაძე 1992

ISBN 5—505—01790—8

ამ წიგნის საქართველოში გამოცემის ინიციატორებმა მთხოვეს წინასიტყვაობა დამეწერა. არ გაძალმივიდა (ჯოჯოხეთური მოუცლელობის გამო). გადავწყვიტე რამდენიმე სიტყვით შემოვიფარგლო. რაღა თქმა უნდა, ამ ფრაზებს წინათქმის პრეტენზია არა აქვს.

ჩემმა კეთილმა მეგობარმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა თბილისში ყოფნისას მის მშობლიურ ქალაქ ჰალეში ჩვენი მოგზაურობა გაიხსენა. მე მას მართლაც მივმართე სევდიანმა და გულდაწყვეტილმა (რაზეც ვიყავი გულდაწყვეტილი, სხვა დროს ვიტყვი), მეღირსება კი საქართველოში გიმასპინძლო-მეთქი? იმასაც ვიტყვი და გენშერიც დამიდასტურებს: როცა ჩვენ თანამედროვეობის ურთულეს პრობლემებს ვიხილავდით, დაუჭერიათ მომენტები, როცა მე განსახილველი საკითხის ნაცვლად სხვა საგანზე გადამიტანია ფიქრი. მქონდა ასეთი „ფიქრიანი პაუზები“ დიდი დიალოგის დროსაც კი და მე გენშერისთვის გამიმხელია, რომ ამ წამიერი „გამოთიშვის“ მიზეზი ჩემი სამშობლოა-მეთქი.

К 218.191 3

განგებამ ასე ინება, პატარა ქვეყნის, მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენელი იმ გიგანტური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ოლიმპზე აღმოჩნდა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა. ამ უმაღლესი გადასახედიდან, მთელი პლანეტა რომ ხელისგულივით მოჩანდა, ჩემი თვალმარგალიტი, ჩემი საქართველო თავისი თვალისმომჭრელი კიაფით შემახსენებდა თავს. იგი მეუბნებოდა: იყავ ფრთხილად, იმოღვაწე ღირსეულად, აკეთე სხვა ხალხებისთვის ის, რასაც შენი ქვეყნისათვის მოიმოქმედებდიო. ღმერთმანი, ვცდილობდი ამ შეგონების ერთგული ვყოფილიყავი.

როგორ შევძელი ეს, ნაწილობრივ ამ პატარა წიგნიდანაც ჩანს. უფრო მეტი სათქმელი და დასაწერი მომავლის საქმეა.

ჩემო მკითხველო, მე არაერთხელ მითქვამს, რომ სამშობლოში მე დავბრუნდი მთელი ჩემი განვლილი გზით, დამსახურებებითა და შეცდომებით, მთელი ჩემი ტვირთითა და პოლიტიკური კაპიტალით. ყველაფერი, რაც გამაჩნია, რასაც შევქმნი და რასაც დავწერ, საქართველოს კუთვნილებაა. დავბრუნდი იმისათვის, რომ აღარასოდეს დავტოვო ჩემი ქვეყანა, მოვახმარო მას დარჩენილი ძალები, ცოდნა, გამოცდილება, სახელი და აღიარება ჩემი (თუკი ასეთი ფენომენი არსებობს მსოფლიოში).

ჩემო მკითხველო, ჩემო ქვეყანავ, ძნელბედობის ჟამი დაგვიდგა. რომ გადავრჩეთ, ბეწვის ხიდზე უნდა ვიაროთ. ეს შესაძლებელია. ახლა მთავარია არ შევდრკეთ, სასოწარკვეთას არ მივეცეთ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, ერთმანეთი დავინდოთ.

საქართველო ღვთისწილი ქვეყანაა, მას გადაშენება არ უწერია. მე ღრმად მწამს, რომ ჩვენ ვივლით ჰუმანიზმის, დემოკრატიის გზით და ავაშენებთ ახალ, თავისუფალ, დამოუკიდებელ და ბედნიერ სახელმწიფოს.

ედუარდ შევარდნაძე

20.09. 92 წელი

თბილისი

ჩანაფიქრის ახსნა

1

რატომ ვწერ ამ წიგნს? რის თქმას ვაპირებ?

ნებისმიერი საქმის ისტორია ყოველთვის ადამიანის ისტორიაცაა. ჩვენს ხვედრს ჩვენივე საქმეები იზიარებენ და გამონაკლისი არც ეს წიგნია. მასაც აქვს თავისი ისტორია, რომელშიც ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წლების მოვლენებია ასახული. თავისთავად ჩემი ცხოვრება ფართო ინტერესის საგანი არ იქნებოდა, გარემოებათა წყალობით ის ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა და მსოფლიო პოლიტიკის გადამწყვეტ პერიოდთან რომ არ იყოს დაკავშირებული.

ამიტომაც ღირს წიგნის დაწერა.

1990 წლის აპრილში დასავლეთგერმანულმა გამომცემლობა „როვოლტმა" ბეჭდვითი სიტყვის სააგენტოს, „ნოვოსტის", საშუალებით მომმართა თხოვნით, ნება დამერთო საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ჩემი გამოსვლების კრებული გამოეცა.

ნათქვამია, ადამიანმა სიცოცხლეში რამდენიმე საქმის მოგვარება უსათუოდ უნდა მოასწროსო: ხის დარგვა, სახლის აშენება, ბავშვის გაზრდა, წიგნის დაწერა. ეს უკანასკნელი საეჭვოა: განა ყველას შეუძლია წიგნი დაწეროს? ამის თაობაზეც უთქვამთ: ყოველი ადამიანის ცხოვრება, სულ ცოტა, თითო რომანს მაინც მოიცავს, მაგრამ ბევრის ცხოვრება მოთხრობასაც კი ვერ გასწვდებაო.

გულწრფელი არ ვიქნები, თუ მოვყვები იმის მტკიცებას, რომ ჩემი ცხოვრება ღარიბია მოვლენებით და ერთ წიგნს არ გასწვდება. ხე ბევრი დავრგე, სოფელში სახლი ავაგე, შვილებიც დავზარდე, მაგრამ წიგნი არ დამიწერია, საამისოდ დრო არ მქონდა. იმასაც დავუმატებდი, რომ ძალიან მომწონს შეგონება: სტრიქონი მხოლოდ მაშინ არის დაწერის ღირსი, თუ ის წაკითხვის ღირსიცაა. და კიდევ: ჩემთვის მიუღებელია ისეთი წიგნების გამოქვეყნება, რომელთა გამოცემის უფლება მხოლოდ მათი ავტორების მაღალი სამსახურებრივი მდგომარეობით არის ბოძებული.

წინა წლებში არ ვთანხმდებოდი წინადადებებს წიგნის გამოცემის შესახებ. ამჯერად დავთანხმდი, რადგან ვფიქრობ, რომ სწორედ ახლა დადგა მისი გამოცემის დრო. წიგნი გამოვა იმ მომენტში, როცა ბევრი რამ, რაზეც ჩვენ ვფიქრობდით

და რისკენაც მივისწრაფოდით საგარეო პოლიტიკაში ხუთი წლის მანძილზე, ასე თუ ისე განხორციელდა ან ხორციელდებოდა. სამყაროთა შეურიგებელ დაპირისპირებას ბოლო მოეღო. წარსულს ბარდება „ცივი ომი". აღმოსავლეთმა და დასავლეთმა კონფრონტაციიდან თანამოქმედებისა და თანამშრომლობისკენ გადადგეს ნაბიჯები. ევროპა ესწრაფოდა ერთიანობას. სადაც არის უნდა გაერთიანებულიყო გერმანია. საერთოევროპული თათბირის, ჰელსინკის პროცესის შედეგად, ღრმა და არსებით ცვლილებათა წინაშე ვიდექით.

ამასთანავე, თავი იჩინეს ტენდენციებმა, რომლებმაც შეარყიეს სამყაროს ახლებური გონივრული წყობის სოლიდარული შენების თითქოსდა მყარი პროცესი. მსოფლიო პოლიტიკის მრავალ, ერთი შეხედვით უკვე მშვიდობიან „მონაკვეთში" საქმე არც ისე მწყობრად მიდიოდა, როგორც სასურველი იყო.

კრებულში უნდა შესულიყო უკვე გამოქვეყნებული ტექსტები, რომლებიც, საერთაშორისო საგამომცემლო წესების თანახმად, ე. წ. საზოგადოებრივ საკუთრებად ითვლებოდა. სასიამოვნო იყო იმის გაფიქრება, რომ საზოგადოებრივ საკუთრებად იქცეოდა ახალ საერთაშორისო ურთიერთობათა ბუნების შესახებ ერთად თავმოყრილი და სისტემაში მოყვანილი იდეები და შეხედულებები. არსებითად ხომ საზოგადოებისთვის იყო განკუთვნილი კონცეფცია, პრინციპები და პრაქტიკა ახალი პოლიტიკური აზროვნებისა, რის საფუძველზეც იგებოდა და ვითარდებოდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკა 1985 წლის აპრილიდან.

იყო კიდევ ერთი ძლიერი შემაგულიანებელი მოტივი და ის დაკავშირებული იყო ქვეყნის საშინაო სიტუაციასთან. სულ უფრო აშკარად ვხედავდი გარღვევებს ახალი აზროვნების პოლიტიკის პრაქტიკულ რეალიზაციაში. ამ პოლიტიკის პრიორიტეტები, რომლებიც ასე ფართოდ ვრცელდებოდა საგარეო ურთიერთობათა სფეროში, სულ უფრო შესამჩნევ შეფერხებებს აწყდებოდა ჩვენს საშინაო ცხოვრებაში. ისე გამოდიოდა, თითქოს პოლიტიკა ორ სხვადასხვა ვარიანტად ხორციელდებოდა, ორ ერთმანეთთან შეუთავსებელ განზომილებაში არსებობდა. მეტად დიდი იყო ახალი აზროვნების „საექსპორტო" ვარიანტზე ფართო საერთაშორისო მოთხოვნილება, სა-

შინაო ცხოვრებაში კი ცდილობდნენ ადრინდელ სტანდარტებში ჩაეტიათ იგი.

მე და ჩემი კოლეგები სულ უფრო და უფრო ხშირად ვგრძნობდით ძლიერ წინააღმდეგობას. ცალკე საუბრის თემაა, თუ რაში და როგორ ვლინდებოდა ეს. ჯერ ლაპარაკია არა ფაქტებზე, არამედ ტენდენციაზე. საჯაროობა და „ჩრდილოვანი" პოლიტიკა ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ. პოლიტიკური მეთოდების უზენაესობა მსხვერპლად ეწირებოდა ძალისმიერ საშუალებებს, არჩევანის თავისუფლების პრინციპი — იმპერიული დიქტატის რეციდივებს.

როცა 1990 წლის 20 დეკემბერს გადადგომის შესახებ ჩემს განცხადებაში ვახსენე დიქტატურის საშიშროება, ბევრმა თავის მტვრევა დაიწყო, თუ კონკრეტულად ვის ვგულისხმობდი. მოითხოვდნენ დიქტატურის კანდიდატის დასახელებას, მკითხაობდნენ, თუ რა სახით მოგვევლინებოდა ის. მაშინაც და ახლაც შემეძლო მათთვის მეპასუხა ერთი საბჭოთა პოლიტოლოგის სიტყვებით: ამ ძალას კონკრეტული სახე და მისამართი არა აქვს. ეს არის მეთოდები და სტილი. ეს არის სიცრუე, პროვოკაცია, მზაკვრული პოლიტიკა, რომელიც ყოველთვის მზად არის სამსახურის გასაწევად... და, თუ ეს ყველაფერი მალე გახდა საჭირო, საკითხავი იქნება „ვინ?" კი არა, არამედ: „რატომ?", „რისთვის?"

ღრმა წინააღმდეგობა იქმნებოდა ახალი აზროვნების პოლიტიკის ამოცანებსა და ყოვლისშემძლე ძალის ინტერესებს შორის. საგარეო პოლიტიკა, რომელიც მუდამ ამ ინტერესებს ემსახურებოდა, ახლა თავის მიზანდასახულობას კარგავდა. დაიწყო თავდასხმები ახალ საგარეო პოლიტიკურ კურსზე. რაკი ორგანიზებული პოლიტიკური ძალა მუდამ ესწრაფვის მტრული ტენდენციის პერსონიფიცირებას, ანგარიში მე წარმომიდგინეს. მე, სისტემის აღზრდილი, მისი დამცველი და მის მიერვე დაწინაურებული, წარმოვჩნდი განდგომილად, რომლის დანდობა არ იქნებოდა.

ამ იერიშებმა კარგად ორგანიზებული გეგმაზომიერი შეძოტევის ხასიათი მიიღო 1990 წლის გაზაფხულისა და ზაფხულისთვის. პირველი პირდაპირი გამოხდომები გაისმა სკკპ ცკ თებერვლის პლენუმზე (1990 წ.). ისინი შეიცვალა კამპანიით, რომელმაც მწვერვალს მიაღწია სკკპ XXVIII ყრილობაზე.

ჩემთვის სავსებით ცხადი იყო: ამის შემდგომ დაწოლა კი არ შენელდებოდა, გაძლიერდებოდა.

* * *

წიგნში, რომელიც საბჭოთა კავშირშიც უნდა გამოცემულიყო, მინდოდა მომეთხრო, თუ როგორ მივედი იმ შეხედულებებამდე, რომლებსაც ვახორციელებდი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მუშაობის დროს, სხვაგვარად რომ ვთქვათ. მინდოდა მესაუბრა ჩემი შეხედულებების ევოლუციაზე და, რაც მთავარია, დამეცვა ახალი აზროვნების პრინციპები, თანამემამულეებისა და უცხოელი მკითხველისთვის კვლავ განმემარტა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ პრინციპებს ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსთვის.

ჩემთვის იმთავითვე ყველაფერი გამოიკვეთა სამ ძირითად საკითხად:

პ ი რ ვ ე ლ ი: გვინდა თუ არა, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს ცივილიზებული სახელმწიფო, რომელიც თავისი მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფს ყოველმხრივ ღირსეულ არსებობას, უმაღლესი მსოფლიო სტანდარტების შესატყვისად დაიცავს მათ მოქალაქეობრივ და ადამიანურ უფლებებს?

მ ე ო რ ე: გვინდა თუ არა, თავი ვიხილოთ მოწინავე ქვეყნებს შორის, ვიყოთ მოწინავე ეროვნული სიმდიდრით, მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევებით, კავშირის მოქალაქეთა და ხალხთა ღირსეული და სრულყოფილი ცხოვრების დონით.

მ ე ს ა მ ე: გვინდა თუ არა, ვიცხოვროთ ისეთ ვითარებაში, როცა სავსებით დარწმუნებული ვიქნებით, რომ შევძლებთ ჩვენთვის მშვიდობის, უსაფრთხოების უზრუნველყოფას, დავძლევთ ყველა გასაჭირს, რომლებიც ამჟამად არსებობს ჩვენს წინაშე ან მომავალში შეიძლება წარმოიქმნას?

წიგნზე მუშაობა დავიწყე შვებულების დროს, ოთხმოცდაათი წლის აგვისტოში, მოსკოვის მახლობლად, სანატორიუმში. ვათვალიერებდი ხუთი წლის მანძილზე დაგროვილ მასალას; ზოგ ჩანაწერს, როგორც აშკარად მოძველებულს, უარვყოფდი, ზოგს ვავრცობდი. მუშაობა გამუდმებით ფერხდებოდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერთან ირკუტსკში შეხ-

ვედრის დამთავრებისთანავე შვებულებაში გავედი. იმავე დღეს, 2 აგვისტოს, ერაყი შეიჭრა კუვეიტში, მეორე დღეს კი მოსკოვის აეროპორტ ვნუკოვოში გამოვაქვეყნეთ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ერთობლივი განცხადება.

პოლიტიკური პროცესი შვებულებაში არ გადის და მასში ჩაბმული ადამიანები თავიანთ თავს მოდუნების უფლებას ვერ მისცემენ. ჩამოვიდა გფრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი გენშერი და ჩვენ მოსკოვში კიდევ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს, — ახლა უკვე მეთერთმეტედ, თუ 1990 წლის თებერვალში ოტავაში „ორი პლუს ოთხის“ მექანიზმის ფორმირებიდან დავთვლით ჩვენს შეხვედრებს.

მოსკოვში მზადდებოდა „ექვსეულის“ სექტემბრის თათბირი. მოსკოვის გარეუბნის სანატორიუმ „ბარვიხაში“ რეკავდნენ ჩემი საზღვარგარეთელი კოლეგები. მოსკოვში მოლაპარაკებაზე ჩამოდიოდნენ ერაყის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები.

ასეთ პირობებში წიგნზე მუშაობა შეიძლებოდა მეტისმეტად გაძნელებულიყო. მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, სწორედ პირიქით მოხდა: ეს მუშაობა ძალზე მყარად მოექცა შვებულების სამუშაო გრაფიკში, აბსოლუტურად ორგანულად შეუთავსდა იმჟამინდელ გადაუდებელ საზრუნავს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ წიგნზე შრომამ გუშინდელი დღე მჭიდროდ დაუკავშირა დღევანდელს, რითაც კიდევ უფრო დამარწმუნა ჩვენი საგარეო პოლიტიკის, მისი ფუნდამენტური პრინციპების სისწორეში. შევიგრძენი მოძრაობა, მისი მონოლითურობა, ხაზების უწყვეტობა და, ამასთანავე, ბევრი რამ ახლებურად გავიაზრე. თითქოს თავიდან გამოვიარე მთელი გზა...

დღეს, როცა ამ წიგნში გადმოცემულ ამბებს განვლილი ხუთნახევარი წლის მოვლენათა და ტენდენციათა უშუალო კონტექსტში განვიხილავ, ვპოულობ პასუხს უამრავ კითხვაზე, რომლებიც მთელი ამ დროის მანძილზე მაწუხებდა.

აბსოლუტურად სწორია ის, ვინც ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა გარკვეულ დრომდე საერთო ეროვნული თანხმობის კუნძულს ჰგავდა საშინაო გაჭიანურებულ ბობოქარ ზღვაში. ჯერ კიდევ შორს იყო ის დღე, როცა ყველაზე მძვინვარე კრიტიკოსები საგარეო პოლიტიკას შეადარებდნენ „წმიდა ძროხას“, რომელსაც, თითქოს სახრე და სა-

ბელი ვერ მიეკარება. ანალოგიური შედარებების გზას თუ დავადგები, კიტყოდი, რომ მათ სურთ საგარეო პოლიტიკაში ხედავდნენ ძროხას, რომლის დაბმა უწინდელ ვიწრო ბაგაში მათთვის უფრო ხელსაყრელია. ცხადია, ეს სიტყვები ხმამაღლა არ წარმომითქვამს, შევეცადე სხვა, უფრო ღირსეული არგუმენტები მომემარჯვებინა, მაგრამ კრიტიკოსები მალე დამარწმუნებენ, რომ მათ ასეთი არგუმენტები სულაც არ სჭირდებათ.

მაგრამ ეს ჯერ არ მოხდება, თუმცა არც ისე დიდი დრო დასჭირდება.

სსრკ უმაღლესმა საბჭომ ჯერ კიდევ 1989 წლის ზაფხულში ერთხმად დამამტკიცა საგარეო საქმეთა მინისტრად, 1990 წლის 15 ნოემბერს კი რამდენიმე სახალხო დეპუტატმა ბრალდება წამომიყენა, თითქოს ქვეყნის უშიშროების ინტერესები შელახულიყო.

კანონზომიერია კითხვები: საგარეო პოლიტიკაზე საშინაო თავდასხმებისთვის მაინცდამაინც ეს დრო რატომ შეირჩა? ამ თავდასხმების დრო რატომ დაემთხვა ქვეყნის შიგნით მემარჯვენე ძალთა გააქტიურებას? ადრე რატომ არავის გაუხდია სადავოდ სტრატეგიული ამოცანა: საგარეო რეფორმებისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი საშინაო პირობების შექმნა?

ჯერ კიდევ დასაწყისში ხომ თითქოს ყველასთვის ნათელი იყო, რომ კონფრონტაციის ძველი მეთოდები, პოლიტიკასა და სამართალზე იდეოლოგიის უზენაესობა აღარ გამოდგებოდა. ნათელი იყო, რომ უწინდელ პოზიციებზე დარჩენით არ მოხერხდებოდა შეჩერება გამალებული შეიარაღებისა, რომელიც ისედაც სისხლისგან დაცლილ ქვეყანას წელში წყვეტდა; დასავლეთთან ურთიერთობები ვერ იქცეოდა თანამშრომლობად; ვერ ავირიდებდით რელიგიურ კონფლიქტებს, პირველ რიგში — ავღანეთში; ვერ მოწესრიგდებოდა ურთიერთობები ჩინეთთან. ახალი ურთიერთობები უნდა დაგვემყარებინა „მესამე სამყაროსთან“, უნდა გვეძებნა გზები, რომლებითაც ჩავერთვებოდით მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგში და დაგძლევდით გლობალურ საფრთხეს.

ეს ყველაფერი რომ შესაძლებელი გამხდარიყო, აუცილებელი იყო ნდობის აღდგენა, საჭირო იყო მსოფლიოს დარწმუნება, რომ საბჭოთა საფრთხე არ არსებობდა, მას უნდა ერწმუნა ჩვენი ზრახვების სიწმინდე და სიწრფელე.

ახალი აზროვნების პოლიტიკას ამ მიმართებით სერიოზული და დამაჯერებელი არგუმენტები უნდა წარმოედგინა. და მან წარმოადგინა კიდეც.

შინაც და საზღვარგარეთაც რამდენჯერ უკითხავთ: მაინც რა არისო ეს ახალი პოლიტიკური აზროვნება? მე ვუპასუხებდი კითხვითვე: შეუძლია კი ადამიანს ძველებურად აზროვნება და, მაშასადამე, ძველებურად მოქმედებაც, ისეთ პირობებში, რომლებიც აბსოლუტურად გამორიცხავენ ამის შესაძლებლობას?

ირკვევა, რომ შეუძლია. რა პარადოქსიც არ უნდა იყოს, შეუძლია ახალ პირობებშიც იაზროვნოს და იმოქმედოს ძველებურად, თუკი ეს ახლებური პირობები მას ემტერება; თუ ეს ახალი პირობები მას უქადის, რომ ძალაუფლებას, პრივილეგიებს, ძალმოსილებასა და გავლენას, მატერიალური დოვლათის მართვისა და განაწილების სისტემაში ხელმძღვანელ მდგომარეობას დაკარგავს.

ვიდრე ახალი აზროვნება დასავლეთთან ურთიერთობაში ძველ დაბრკოლებებს აღმოფხვრიდა, ამას როგორღაც ურიგდებოდნენ. და თუმცა ადრეულ ეტაპზე გარდაქმნის ზოგიერთი იდეა სადავოდ იყო მიჩნეული ჩვენი იდეოლოგიის ზოგი უმაღლესი ავტორიტეტის მიერ, მთლიანად მის უარყოფას და უკუგდებას ვერავინ ბედავდა. თითქოს ყველასთვის ცხადი უნდა ყოფილიყო: გარდაქმნა უნივერსალური მოვლენაა თავისი მისწრაფებებით, მას არ შეუძლია ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობა. თუ იწყებთ საკუთარი ქვეყნის დემოკრატიზაციას, მაშინ უფლება არა გაქვთ, ამ პროცესს წინ აღუდგეთ სხვა ქვეყნებში. მოსაზღვრე ქვეყნებთან ურთიერთობაში თუ არ იქნებით „ტანკების ფილოსოფიის“ მიმდევარი, მაშინ ამ კატეგორიებით არ უნდა იაზროვნოთ არც საკუთარი ქვეყნის მიმართ.

ეს ყველაფერი ასეა. მაგრამ საკმარისი იყო, ახალი აზროვნება შეხებოდა ძველ სამაგრებს საბჭოთა კავშირის შიგნით და გავრცელებულიყო მის გარეთ ტრადიციული ბატონობის სფეროებზე, რომ ვითარება მკვეთრად შეცვლილიყო. ეს მოხდა იმ ეტაპზე, როცა უქმდებოდა სსრკ კონსტიტუციის მე-6 მუხლი საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში კომპარტიის „ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის შესახებ“. ამ ღონისძი-

ებას უკვე დისკუსიათა დასაწყისში შეხვდა წინააღმდეგობა. ხდებოდა კონსოლიდაცია ჯგუფებისა, რომლებიც ადრინდელ ძლევამოსილებას კარგავდნენ. საჩქაროდ ეძიებდნენ ახალი „მტრის პორტრეტს“ — საბრძოლველად გამზადებული არმიის აუცილებელ კომპონენტს. წარსულიდან მოიმარჯვეს უწინდელ ბრძოლებში ნაცადი იარაღი — სახელმწიფოს „მტრებისთვის“ ხელის შეწყობაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ დადანაშაულებულ პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოღვაწეთათვის ძირგამომთხრელი და შეურაცხმყოფელი ლექსიკა.

ახალ პოლიტიკურ აზროვნებას წაუყენეს მძიმე ბრალდება: რესპუბლიკათა სეპარატიზმი, ერთა შორის შეტაკებები, „დაკარგვა სანიტარული კორდონისა“ — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა, „სოციალისტური ბანაკის დაშლა“, გერმანიის გაერთიანება, დასავლეთისთვის „დათმობები“. შეტევის მთავარ ობიექტად, როგორც უკვე ვთქვი, აირჩიეს საგარეო პოლიტიკა, უფრო ზუსტად, — საგარეო საქმეთა სამინისტრო. თუ მთლად გარკვევით ვიტყვი, — საგარეო საქმეთა მინისტრი.

ალბათ,მე უნდა ვილაპარაკო ჩემი მისამართით გამოხდომებისადმი ჩემს დამოკიდებულებაზე, ჩემს გრძნობებზე. ეს თუნდაც იმიტომაც არის საჭირო, რომ ბევრმა ჩემი გადადგომის მიზეზად „კრიტიკისადმი მეტისმეტი მგრძნობელობა“ დაასახელა.

რა თქმა უნდა, მე ვიცი, რა არის ღირსებისა და თავმოყვარეობის გრძნობა, მაგრამ ამ გრძნობებისთვის არასოდეს დამიმორჩილებია საქმის ბედი. ნორმალურად მიმაჩნია ნებისმიერი კრიტიკა, თუ, რასაკვირველია, ის არის კონკრეტული, არგუმენტირებული. მე ვიცი სინანულიც და ისიც ვიცი, ვის წინაშე ვარ დამნაშავე. სისულელეა იმის გაფიქრება, თითქოს მე არ მესმოდეს, რომ ჩემს მიერ გადადგმული ნაბიჯები მტრებს მომიმრავლებდა. რასაკვირველია, არიან ადამიანები, რომლებიც მე მტრად მიმიჩნევენ, მაგრამ მათი დასაწელებისგან ყოველთვის თავს ვიკავებდი. განა იმიტომ, რომ მათი სახელები არ ვიცოდი, — მათ სულ სხვა, პრინციპული მიზეზით არ ვასახელებდი: აღზრდის, ცხოვრებისეული გამოცდილების გამო და წმიდა პროფესიული თვალსაზრისითაც უპირატესობას დიალოგს ვანიჭებ მუშაობაშიც და პირად ცხოვრებაშიც. ის ჩემთვის საშუალებაც არის და მიზანიც. დიალოგი კი ნებისმიერ

ადამიანთან ურთიერთობის დროს მოითხოვს მიუდგომლობას, წინასწარაკვიატებული აზრის უქონლობას. სუბიექტურად ესა თუ ის ადამიანი რომც არ მომწონდეს, ვცდილობ, გავთავისუფლდე ცუდი განწყობილებისგან, რადგან ზუსტად ვიცი: მტრის სტერეოტიპი, პირადი მტრის სახე, დამღუპველია საქმისთვის. უბრალოდ არარაციონალურია, არაფრისმომცემია, უგუნურებაა, რომ ოპონენტებში მტრები დაინახო და შენი ამბიციურობით მტერი მოიმრავლო. დიდი პოლიტიკისთვის ეს დაუშვებელი ფუფუნებაა.

მე თუ უხეშად მესხმიან თავს, არ ვუპასუხებ ამ პრინციპით: „თვალი თვალისა წილ". მაგრამ ჩემი რწმენის მისხალსაც კი არ ვთმობ, როცა ჩემს სიმართლეში დარწმუნებული ვარ. ვთმობ, თუ დამარწმუნებ, რომ ვცდები.

ჩვენი საერთო უბედურებაა, რომ ძალაუფლებაზე მონოპოლიის პირობებში დიალოგი, როგორც პოლიტიკის საშუალება, უკუაგდეს. ხელმძღვანელობის მეთაურულ-მბრძანებლური სტილი იგუებს მხოლოდ იერარქის მონოლოგს. ტოტალიტარიზმი მოითხოვს აბსოლუტში აყვანილი იდეების ღაღადებას და განსხვავებული შეხედულებების უმოწყალოდ შემუსვრას. უფრო იოლია, ოპონენტს თავი გაუტეხო, ვიდრე დაამარცხო მის თავში დაბადებული იდეა. ეს იმდენად გაგვიჯდა ძვალსა და რბილში, რომ ერთმანეთთან ნორმალურად საუბარს გადავეჩვიეთ.

რაღაც ამდაგვარი გადამხდა მეც.

გულახდილად ვიტყვი, მეწყინა, მაგრამ არც ისე ძალიან. იმდენად ინტენსიური იყო გასული წლის მოვლენებით შემოთავაზებული მუშაობის ტემპი, ისე დიდ დროსა და ძალას მოითხოვდა წამდაუწუმ წამოჭრილ ამოცანათა გადაწყვეტა, რომ ამ დარტყმებისთვის ყურადღების მიქცევისა და პასუხის საშუალება არ იყო. უკვე დიდი ხანია, წესად მაქვს: რაიმე საქმეზე როცა ვამახვილებ გულისყურს, ამ საქმეს რომ დაბრკოლებები არ შეექმნას, გვერდს ვუვლი ყველაფერს, რაც მასთან არ არის დაკავშირებული. მოსაზრებათა თავისუფლად გამოთქმის დამკვიდრებას როცა ვესწრაფოდი სამინისტროში, თანამშრომლებს როცა ხელს ვუწყობდი, რომ ზემოდან თავს მოხვეული ერთსულოვანი აზროვნებისგან გათავისუფლებულიყვნენ, ვფიქრობდი: მქონდა კი უფლება, რომ ჩემი მისა-

მარცხენა გამოთქმული კრიტიკით უკმაყოფილო ვყოფილიყავი?

მართალია, ზოგჯერ, როცა თვალში მომხვდებოდა მორიგი პასკვილის რომელიმე ფრაგმენტი ამ ჟანრში გაწაფული ორი თუ სამი გაზეთის ფურცლებზე, ან ტრანსპარანტის ტექსტი საგარეო საქმეთა სამინისტროს კედლებთან მოსული დემონსტრანტებისა, როცა ვისმენდი პარლამენტში ზოგიერთი დეპუტატისა და პარტიის ზოგიერთი ხელმძღვანელის გამონათქვამებს, როცა თვალს ვადევნებდი მათ საქციელს, — სულ უფრო და უფრო ხშირად ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ დამახინჯებულია ჩვენთან წარმოდგენები დემოკრატიაზე. დამახინჯებულია გაუცნობიერებლად, და შესაძლოა, — განზრახაც. მე არ შემეძლო არ მეფიქრა იმაზე, რომ კულტურისა და პასუხისმგებლობის გარეშე თავისუფლება იქცევა ანარქიად, ანარქია კი გვემუქრება ქაოსით, რომლის მოთოკვაც ერთ მშვენიერ დღეს შეუძლებელი გახდება. ამ ფიქრებით მოცულს მახსენდებოდა ვიქტორ ეროფეევის შესანიშნავი ნათქვამი: „თავისუფლება ცივილიზებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა არაფერია, თუ არა მოწესრიგებული ნება“.

ამ აზრს მივყევი და ასეთ დასკვნამდე მიმიყვანა: წესრიგისა და წესიერების უარმყოფელი „ნება“ არის „არათავისუფლება“ შეგნებისა და ქცევისა. და მისი მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლების აღმკვეთი საშუალებებით, ანუ ძალმომრეობით. ეს კი ყველაფრის აღსასრულია.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, როცა საგარეო პოლიტიკაზე იერიშების მომძლავრებას თვალს ვადევნებდი, ჩემი ბედ-იღბლის გამო სულაც არ ვწუხდი, თუ ვწუხდი. ჩემი მოწინააღმდეგენი ყველაფერს ითვალისწინებდნენ, გარდა ჩემი წარმოშობის ადამიანის შეხედულებებისა. ჩემთვის ბავშვობიდანვე მიუღებელი იყო ხელის აღმართვა იმაზე, რაც სწორად და საჭიროდ მიმაჩნდა. პიროვნებაზე მონოპოლიური უფლების მქონე სისტემის ყველა წესის თანახმად, პიროვნებამ ყველა თავდასხმას უსიტყვოდ, მორჩილად უნდა გაუძღოს, მართებულად უნდა მიიჩნიოს დიქტატი პოლიტიკური პატრიარქატისა, რომელიც დაჰპატრონებია პიროვნების ბედის გამრიგის უფლებას. სანამ ის არ გაარკვევს, თუ რა გიყოს, იჯექი შენს ადგილზე, იმუშავე, ისარგებლე შემოთავაზებული კეთილდღეობითა და შეღავათებით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გქონდეს

~~პირზე მოდებული ანკესი, რომლის მოშორებაც ჩვენს პირო-~~
~~ბებში სიკვდილს უდრის.~~

მხოლოდ ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა თუ იცოდნენ, რომ მე, საქმის ინტერესებს გარდა, არაფერი მრჯიდა. მართალია, საჯაროდ არაერთხელ განვაცხადე, ჩემი მრწამსისადმი ერთგულება თუ შეუძლებელი აღმოჩნდა, ვერავითარი ძალა ვერ დამაკავებს მეთქი, მაგრამ ამას ბევრნი არ მიიჩნევდნენ სერიოზულად. რასაკვირველია, დასანანია... მაგრამ, ასეა თუ ისე, შინაგანად მაინც საიმედოდ ვიყავი დაცული საკუთარი სიმართლის რწმენითა და თავისუფლებით — ჩემი თავის ჩემივე ნებისამებრ მართვის უფლებით, გარეგნულად კი... საქმის გარედან დაცვა, რაც მე და ჩემს კოლეგებს გვიწევდა, სულ უფრო და უფრო ნაკლებ საიმედო ხდებოდა. საგარეო საქმეთა მინისტრის გადაყენების მოთხოვნები, რომლებიც გაისმოდა სადღაც ქუჩაში კი არა, უმაღლესი ხელისუფლების დერეფნებში, უპასუხოდ რჩებოდა იმათგან, ვისაც მართებდა ეპასუხა თუნდაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამო. პარლამენტის კულუარები ჭია იყო დეპუტატთა კორპუსში დეზინფორმაციული მასალების დაუბრკოლებლად გავრცელებისთვის. ამ კორპუსის ზოგიერთი მაღალი რანგის წარმომადგენელი უდრტვინველად შეჰყურებდა ფაქტების დამახინჯებას, რის შედეგადაც საგარეო საქმეთა სამინისტრო მათ გაუკეთებულ მართებული სახით წარმოუდგებოდათ. დუმდნენ იმ უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებსაც ისეთივე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ამა თუ იმ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების გამო, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს. თანაც, ამ გადაწყვეტილებებზე მათი თანხმობაც არსებობდა. მოლაპარაკებებზე გასვლისას სულ უფრო და უფრო ხშირად ვაწყდებოდი ხარვეზებს უმაღლეს დონეზე შეთანხმებულ პოზიციებში...

ასეთ ატმოსფეროში მუშაობა ძალიან გაძნელდა, მაგრამ ვმუშაობდით. გერმანიის გაერთიანების გარეგნულ ასპექტთა რეგულირების პროცესს წარვმართავდით და თან ყურადღებას ვამახვილებდით ქვეყნის უშიშროების საიმედო უზრუნველყოფაზე. ვამზადებდით და ვდებდით გერმანიასა და სხვა წამყვან ევროპულ სახელმწიფოებთან ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირს ახალ ევროპასთან

თანამშრომლობის მაქსიმალურად ეფექტური წანამძღვრები შეუქმნეს; ვენის მოლაპარაკებებზე დაძაბულად ვეძებდით ორივე მხარისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს ატლანტიკიდან ურალამდე ჯარებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებათა შესახებ; მივაღწიეთ ევროპის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების შეხვედრას, რომლის გადაწყვეტილებებსაც საფუძველი უნდა ჩაეყარა კონტინენტის უშიშროების ახალი სტრუქტურებისთვის ევროპის განხეთქილების გადალახვისა და „ცივი ომის“ შეწყვეტის ვითარებაში. ამერიკელ პარტნიორებთან ტრადიციული დღის წესრიგით განვაგრძობდით შეხვედრებს, რომლებზეც, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირებისა და რეგიონალური კონფლიქტების რეგულირების პრობლემებთან ერთად, დგებოდა გარდაქმნის პოლიტიკური და მატერიალური მხარდაჭერის ამოცანაც. ვეძებდით — და არცთუ უშედეგოდ —კრიზისით მოცული ქვეყნისთვის კრედიტების, ფულადი და სხვა სახსრების მოპოვების საზღვარგარეთულ წყაროებს. ერაყის შეჭრამ კუვეიტში საშიში აგრესიის პრეცედენტი წარმოშვა ახალი არაკონფრონტაციული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში და საბჭოთა დიპლომატიისგან ძალთა შემდგომი დაძაბვა მოითხოვა.

ერთი წელი ათწლეულებს უდრიდა და ჩვენ ეს წელი ძნელად მოსაგვარებელ საგარეო საზრუნავთა და გაუთავებელ შინაგან დაძაბულობათა დაძლევისთვის სულმოუთქმელ შრომაში გავლიეთ.

წიგნის საქმე როგორ იყო? გამომცემლობისგან გამოგზავნილი ხელნაწერი მაგიდის უჯრაში იდო. ხელში მის ასაღებად არც დრო მრჩებოდა და არც სურვილი მქონდა. ახლა ეს უკვე ძველი ამბავია და შემიძლია, გამომცემელთა განაწყენებისა არ შემეშინდეს, ისე განვაცხადო, რომ გამოსაქვეყნებლად გამზადებული ტექსტი უკვე აღარ მაკმაყოფილებდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მოვლენების სწრაფი მსვლელობა წიგნში მნიშვნელოვან დამატებათა შეტანას მოითხოვდა, თანაც, საბოლოოდ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ დამატებები იკმარებდა. მეორეც, კრებულის შემდგენლებმა გადაუხვიეს ადრინდელ ჩანაფიქრს, რომ ჩემი გამოსვლები გამოექვეყნებინათ, ასე ვთქვათ, თავდაპირველი სახით, და გადამუშავების

შემდეგ ხელთ შერჩათ რაღაც კონცენტრატი ავტორისეული გამონათქვამებისა, რომლებიც დალაგებული იყო ასეთი თემატური პრინციპით: ახალი აზროვნება, ევროპის საქმეები, გლობალური პრობლემები და ა. შ. ეს კი, ჩემი აზრით, მაინც-დამაინც კარგად არ გამოვიდა. მოვლენებისა და დროის კონტექსტიდან მოწყვეტილმა ამ აზრებმა და გამონათქვამებმა დაკარგეს თავიანთი სიმწვავე და აბსტრაქტულ-აკადემიური ხასიათი შეიძინეს. პიროვნული შინაარსის ჩანართებიც ვერ წაადგა საქმეს.

მოკლედ, მაშინ მომეჩვენა, რომ წიგნი ვერ გაიმართა და გადავწყვიტე იმ სახით არ გამომეცა. და, თუ ოდესმე მის გამოცემაზე მაინც ვიფიქრებდი, — მხოლოდ საფუძვლიანი გადამუშავების შემდეგ.

ყოველდღიურ საქმეთა და საზრუნავთა გამო წიგნისთვის ვერ ვიცლიდი. 1990 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე ქვეყანაში მომძლავრებული ტენდენციები სულ უფრო და უფრო მარწმუნებდნენ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ჩემი დარჩენა შეუძლებელი იყო. ახალი აზროვნების პოლიტიკის შინაგან რეზერვებს ძირი ეთხრებოდა და ისინი თვალსა და ხელს შუა გველოდა. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა განხეთქილება „ზურგში“ ახალი პოლიტიკის უზრუნველყოფასა და საგარეოდ განცხადებულ პრინციპებს შორის. სულ უფრო მატულობდა წინათგრძნობა და მოლოდინი მოვლენებისა, რომლებიც გააუფასურებდნენ შედეგებს, მეტწილად ჩემდამი ჩემი პარტნიორების პირადი ნდობის საფუძველზე მიღწეულს. განვაგრძნობდი ჩემს პარტნიორებთან ურთიერთობას და ყველაფერი ვიღონე, რომ ისინი დამერწმუნებინა გარდაქმნისთვის მხარდაჭერის აუცილებლობაში. ნდობის კრედიტი უწინდებურად გასსნილი იყო, მაგრამ დროდადრო ისეთი რაღაცეები ხდებოდა, რომ მე უკვე მიჭირდა მათთვის თვალის გასწორება. მაგალითად, არ შემეძლო მათთვის მეპასუხა, თუ რატომ ჩნდებოდა მოულოდნელი და აშკარად ინსპირირებული გართულებები ჩვენი მოლაპარაკებების შედეგად მიღებული შეთანხმებების შესრულებისას, ან კიდევ, მოულოდნელად ვიგებდი, რომ ძნელად მოპოვებული რეპუტაციის, პატიოსანი და საიმედო პარტნიორის რეპუტაციის, საზიანოდ ჩემს ზურგს უკან ხდებოდა მანიპულაციები, რომლე-

ბიც ღუპავდნენ ჩვენი დიპლომატიის ბევრ მონაპოვარს, უფრო მეტიც — საეჭვოს ხდიდნენ ჩვენს მიერ არჩეული კურსის შემდგომ ხვედრს.

ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლო, მაგრამ ჯერჯერობით შემოვიფარგლები ერთით, ურალს იქით სამხედრო ტექნიკის გადასროლის ამბით.*

იურიდიულად აქ თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი უცხოეთის პრესის პუბლიკაციებიდან არ უნდა იგებდეს ასეთ „მანევრს". საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი არ უნდა იყოს იძულებული, დაგვიანებით აუხსნას მომხდარი ამბავი თავის პარტნიორებს, რომლებთანაც მას მიკიბ-მოკიბვისა და ხრიკების გარეშე აქვს ურთიერთობა.

„ჩრდილოვანი" ხელისუფლება ბრძოლით იბრუნებდა დათმობილ პოზიციებს. ახლა ის სამალავიდან გამოდიოდა და აშკარად იწყებდა მოქმედებას. მისი შეჩერება შესაძლებელი იყო დემოკრატიულ ძალთა კონსოლიდაციით, შემჭიდროებით, კანონიერებისა და წესრიგის ისეთი საყრდენების შექმნით, რომლებშიც უმთავრესი იქნებოდა პოლიტიკური და სამართლებრივი კომპონენტები. ვაი რომ, საამისო დრო ხელიდან იყო გაშვებული.

მოვლენათა ასეთი განვითარება დიდი ხნის წინათ განვჭვრიტე და არაერთხელ გულახდილად ვესაუბრე ჩემს თანამოაზრეებს, მაგრამ პრინციპების სფეროში თანამზრახველობა ვერ იქცა საქმიან თანამოღვაწეობად. მე არ მრჩებოდა სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომელიც 1990 წლის 20 დეკემბერს გაკეთდა.

არც მაშინ, არც შემდგომ დღეებში წიგნზე ფიქრს არ მივბრუნებივარ. გადადგომის თაობაზე განცხადების გაკეთების შემდეგ თითქმის მთელი თვე განვაგრძობდი ჩემი მოვალეო-

---

* პარიზის ხელშეკრულებათა ხელმოწერის წინადღით სსრკ-მა განაცხადა, რომ მას ევროპაში ჰყავს 21 ათასი ტანკი — ორჯერ ნაკლები, ვიდრე ორი წლის წინათ. დასავლეთელმა პარტნიორებმა იწყეს საბჭოთა კავშირის დადანაშაულება, რომ მან თავისი სატანკო არმადის ნახევარი ურალს იქით გადამალა. საბჭოთა განმარტებაში ნათქვამი იყო, რომ ურალს იქით გადასროლილია 8 ათასი ტანკი; 8,4 ათასი — დაკონსერვებულია, 4 ათასი კი ჯართად არის გამოყენებული.

ბების შესრულებას. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არაა, რა მდგომარეობაშიც ვიქნებოდი. ყოველდღე აღწევდა ჩემამდე ვერსიები, გამონათქვამები, ბრალდებები. მე ვდუმდი. იანვარში მოხდა ცნობილი მოვლენები ბალტიისპირეთში, შემდეგ კი — სპარსეთის ყურეში სამხედრო მოქმედებები დაიწყო და ჩემს ზღურბლს კვლავ მოასკდა შავრაზმელთა „პატრიოტიზმთან“ და ძველ იდეოლოგიასთან განზავებული ინსინუაციების მღვრიე ტალღა. ახლა უკვე თანამდებობიდან გადადგომას იმით ხსნიდნენ, თითქოს მსურდა თავიდან ამეცილებინა პასუხისმგებლობა საგარეო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების გამო. მატულობდა ამ მიმართებით „ჩვენებები“ და „მტკიცებები“. დუმილი მიმძიმდა, მაგრამ ვდუმდი.

1991 წლის იანვარში მოსკოვში შედგა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი. მე, როგორც ცკ-ს წევრს, მევალებოდა მის მუშაობაში მონაწილეობა. მევალებოდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ შევძელი. რამდენიმე დღის შემდეგ, „პრავდაში“ რომ წავიკითხე პლენუმის შემოკლებული სტენოგრამა, უჯრიდან ამოვიღე წიგნის ხელნაწერი, გადავფურცლე და გადავწყვიტე: „ვიმუშავებ!“ და შევუდექი მუშაობას. ჩემს თანაშემწეებთან და თანამოაზრეებთან — თეიმურაზ სტეპანოვთან და სერგეი ტარასენკოსთან ერთად.

და მაინც, რისთვის მივუბრუნდი წიგნს? უწინარეს ყოვლისა, რომ მეპასუხა მათთვის, ვინც იმ პლენუმზე, — და არა მხოლოდ იქ, — შეეცადა გარდაქმნისათვის ლახვარი ჩაეცა, პასუხი გამეცა მათთვის, „სანგრებიდან ამოსულთათვის“, რომელთაც სიგნალი მისცეს რეაქციას დემოკრატიისა და საჯაროობის ჯერ კიდევ სუსტ პოზიციებზე იერიშის მისატანად და დაუფარავად წარმოაჩინეს თავიანთი მიზნები და მოთხოვნები.

ეს იყო ახალი აზროვნების პოლიტიკის, მის მიღწევათა და მონაპოვართა უარყოფა. არსებითად, ეს გახლდათ პირდაპირი გალაშქრება პარტიის XXVII ყრილობაზე ჩამოყალიბებული კონცეფციის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც, ადამიანის სიცოცხლე არის უმაღლესი ფასეულობა და საზოგადოებრივი განვითარების მთავარი მიზანი.

ეს იყო აღორძინება თეზისისა, რომ კლასობრივი ინტერე-

სები უზენაესია ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე, რომელთა პრიორიტეტის აღიარებამაც, ზოგი ჩვენი კრიტიკოსის თქმით, „ცუდი სამსახური გაუწია სოციალისტურ იდეას“.

ეს იყო ცდა იმის დამტკიცებისა, რომ ახალმა აზროვნებამ ამოწურა თავისი თავი, ისე მოშალა საგანთა და მოვლენათა ძველი წესი, რომ საფუძვლები ვერ შეუქმნა სამყაროს ახალ წყობას.

ეს იყო უარყოფა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა დეიდეოლოგიზაციისა, რაც, შეტევის მეთაურთა აზრით, ნიშნავდა „სოციალისტური ინტერესების, მიზნებისა და ფასეულობების მიტანას ბურჟუაზიული ინტერესების, მიზნებისა და ფასეულობების სამსხვერპლოზე“.

ეს იყო ორი სისტემის შეურიგებელი დაპირისპირების დროინდელი ლექსიკისა და „იდეების“ რესტავრაცია, სხვაგვარად რომ ითქვას, — ეს იყო მიბრუნება იმ შეხედულებებისა და წარმოდგენების სისტემასთან, რომლებიც მხარს უჭერდნენ მსოფლიოში სამხედრო შეჯახებათა პერმანენტულ საშიშროებას და ქვეყანას იმეტებდნენ მთელი მსოფლიოსგან იზოლაციისათვის, ჩამორჩენილობისთვის.

ყოველივე ეს ხდებოდა გარდაქმნის დამწყები პრეზიდენტის, პარტიის ხელმძღვანელის, თვალწინ. ახლა მას პირში ეუბნებოდნენ, რომ გარდაქმნა არ გამოვიდა, რომ ეს მისი პოლიტიკის ბრალი იყო.

გამოცდილი მოპაექრე, რომელმაც ოდესღაც პარტია და ქვეყანა დაარწმუნა დემოკრატიზაციისა და განახლების სასიცოცხლო აუცილებლობაში, — ახლა დუმდა. მის თვალწინ ასამარებდნენ მისი ცხოვრების მთავარ საქმეს, ეუბნებოდნენ, რომ მისი იდეები არაფრის მაქნისია, რომ საჭიროა მივუბრუნდეთ ისევ „ძველ, მაგრამ მრისხანე იარაღს“.

ყველაზე პროგრესული, ყველაზე ნაყოფიერი იდეებიც კი არ არის მარადიული. დრო, გარემოებები, კონკრეტული სიტუაცია ყველაფერს თავის ვადას მოუნიშნავს ხოლმე. და არაფერია დროგადასული იდეების ხვედრზე უფრო დამაღონებელი. მაგრამ ნუთუ გავიდა დრო გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის, პიროვნების უფლებების დაცვის, არჩევანის თავისუფლებისა და ყველასთვის თანაბარი უსაფრთხოების იდეებისა?

ვარგახანია ვიცნობ, და კარგადაც ვიცნობ, მიხეილ სერგის ძეს, დარწმუნებული ვარ, რომ ის ასე არ ფიქრობს. და მე მესმის, თუ რატომ დუმდა ის: პოლიტიკოსი მოვალეა გაითვალისწინოს ძალთა რეალური თანაფარდობა და განლაგება. მაგრამ მას ხომ ჯერ კიდევ გარდაქმნის ადრეულ ეტაპზე, როცა წინააღმდეგობას უწევდნენ ამ პროცესს, არ ეშინოდა დინების აღმა სვლისა, ხალხს მიმართავდა და მხარდაჭერასაც პოულობდა. მას გაბედულად შეეძლო ახალი აზროვნების კრედოს ფორმულირება და მისი პრაქტიკულად განხორციელება, თანაც ისე მიზანსწრაფულად, რომ, ზოგიერთი ჩვენი შინაური კრიტიკოსის, ჩვენი საერთო კრიტიკოსის თქმით, საგარეო პოლიტიკა მეტისმეტად გაიჭრა წინ, მოსწყდა თავის ზურგს.

თავს უფლებას მივცემ, ამას არ დავეთანხმო. საგარეო პოლიტიკამ კი არ გაასწრო საშინაოს, არამედ საშინაო ჩამორჩა. უფრო სწორად, მას შეგნებულად და საკმაოდ გულმოდგინედ ამუხრუჭებდნენ. მისი არსი კი არ შეცვლილა; იგი არ იყო ორიენტირებული საზოგადოების ახალ ძალებზე, რომლებსაც შეეძლოთ აუცილებელი ბაზის შექმნა. უფრო გაბედული და აქტიური კურსის მხარდასაჭერად. სწორედ ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ ქვეყანაში გარდაქმნის მოწინააღმდეგე წრეები ცდილობენ „ლაგამი“ ამოსდონ საგარეო პოლიტიკას.

მეტისმეტად ნელა და გაუბედავად ვიქცეოდით შინ. მაგრამ მე არც ახლა ვაკრიტიკებ მიხეილ სერგის ძეს, ყველაფრისთვის მის თანაბრად ვაგებ პასუხს. ანგარიშში არ არის ჩასაგდები ზოგი საკითხის გამო ჩემი შინაგანი უთანხმოება, რაკი თავის დროზე მე იმ გადაწყვეტილებებს აშკარად არ შევკამათებივარ.

და მაინც, შეცდომათა შესახებ კითხვები კითხვებად რჩება.

ყველაფერი გაითვალისწინეს თუ არა გარდაქმნის არქიტექტორებმა, რათა თავიდან აეცილებინათ სარეკონსტრუქციო შენობის საშიში წაფერდება? და განა ცდებიან, როცა ამტკიცებენ, რომ გარდაქმნის სტრატეგიულ დაგეგმვაში შეცდომები იყო დაშვებული?

სამოციან წლებში წაკითხული ლეონიდ ვოლინსკის წიგნიდან „ამიერკავკასიის ფერები“ — ასეთი აზრი დამამახსოვრდა: „არქიტექტორი სიტყვას „იქნება“ უფრო ხალისიანად ამბობს, ვიდრე სიტყვას „არის“. რასაკვირველია, ავტორი გულისხმობ-

და საბჭოთა არქიტექტორს, რომლის შესანიშნავი ჩანაფიქრი მრავალ შემთხვევით გარემოებაზე არის დამოკიდებული, მაგალითად, როგორიცაა: სამშენებლო ინდუსტრიის მდგომარეობა, მასალების ხარისხი და მომარაგება, დამკვეთი, ზოგადად მისი კულტურული დონე, მისი ესთეტიკური კულტურა, მის ხელთ არსებული საშუალებები, შესაძლებლობები, წარმოდგენები.

ანალოგიურად, პოლიტიკის არქიტექტორიც იძულებულია, აურაცხელ ფაქტორს გაუწიოს ანგარიში: ჩვენში — რაღაცის არსებობას, უფრო ხშირად კი — არარსებობას. აი, გარდაქმნის აუცილებლობა ხომ აშკარად ნათელია, მაგრამ ამ ვითარებაშიც კი ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ფენებს არ აღმოაჩნდათ გარდაქმნის განსახორციელებლად ნებისყოფა, სურვილი ან უნარი. ასეთი „დეფიციტი“ ყველაზე უფრო თვალნათლივ გამოვლინდა სკკპ XXVIII ყრილობის დღეებში, როცა კონსერვატიულმა ძალებმა პირდაპირი იერიში მიიტანეს გარდაქმნისთვის აქტიურ მებრძოლებზე.

ლაპარაკობენ ცვლილებათა არასაკმარის ტემპზე, კარდინალური ზომების დაყოვნებაზე. ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ სწრაფად და გულდაჯერებით ვერ ივლით მიზნისკენ, თუ არ მიხედავთ იმას, ვინც აუცილებლად შეეცდება ხელი შეგიშალოთ. ამ გარემოებას თუ არ გაითვალისწინებთ, შეიძლება ყველაფერი წააგოთ. მე ვგულისხმობ იმ უმთავრეს, გადამწყვეტ, ყველაზე უფრო ნაწრთობ და, ამასთან, ყველაზე უფრო მყიფე რგოლს, რომელსაც „ადამიანი“ ჰქვია. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის ის: ლიგაჩოვი თუ შევარდნაძე, მთავარია, რომელ ტენდენციას განასახიერებს ის და რამდენად ძლიერი და მყარია ეს ტენდენცია.

ადამიანის ფაქტორს თუ ეყრდნობით, თუ შეგხებულად აფხიზლებთ და ამკვიდრებთ მას ცხოვრებაში, თუ აძლევთ მას აქტიური თვითგამოხატვის უფლებას, უკვე აღარ შეიძლება, — უბრალოდ, უფლება არა გაქვთ, — ანგარიში არ გაუწიოთ ადამიანს.

ადამიანი არ არის ხელსაწყო, რომელიც ღილაკის დაჭერით შეიძლება ჩაირთოს ან გამოირთოს. ის თუ ანათებს — ხელს ნუ შეუშლით, ისარგებლეთ მისი ნათელით. წყვდიადს თუ ამკვიდრებს — შეძელით ამაში ირგვლივ მყოფთა დარწმუ-

ნება. მაგრამ თქვენი ხაკუთარი სურვილით მისი „გამოთიშვა“, როგორც ეს ოდესღაც ხდებოდა, უკვე აღარ შეიძლება.

იდეის თანახმად ასეა, პრაქტიკაში კი განაგრძობენ, ცდილობენ მის გამოთიშვას. და წარმატებასაც აღწევენ.

ახლა, როცა ამგვარი დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო ხშირად იჩენს თავს, ასეთ დასკვნამდე მივდივარ: დიახ, არ შეიძლება მიზნისკენ სწრაფვისას შემაფერხებელ ძალთა მოქმედების გაუთვალისწინებლობა. მაგრამ არც იმ ძალების უგულვებელყოფა შეიძლება, რომლებიც გეხმარებიან მიზნის მიღწევაში. ვერ ვიტყვი, რომ მ. ს. გორბაჩოვი ამ ძალებს უგულვებელყოფდა. მას გამუდმებით უხდებოდა საყრდენების არჩევა და, თუ ერთი საყრდენი სუსტი, არასაიმედო აღმოჩნდებოდა, ის უნებურად იმ საყრდენისკენ გადაინაცვლებდა, რომელიც მას მეტი სიმყარის გარანტიას აძლევდა. ზოგი ნამდვილად არასაიმედო იყო, სხვებს ის თვითონ აქცევდა ზურგს და ამის შედეგად წარმოქმნილ ვაკუუმში „ბრძოლის ათწლეულებით“ გამოცდილი საყრდენი ჩნდებოდა. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს საყრდენი არც ისე საიმედო იყო, როგორც მახეილ სერგის ძეს ეჩვენებოდა.

წინდაწინ უნდა გაგაფრთხილოთ: იმედი გაუცრუვდება მას, ვინც ამ წიგნისგან მოელის ამა თუ იმ კონკრეტული პერსონაჟებით განსახიერებულ „ადამიანის ფაქტორზე“ სენსაციურ საუბარს. ეს წიგნი პოლიტიკური მემუარები არ არის. მემუარების წერის დრო ჯერ არ დამდგარა. მემუარები „წასვლის ჟანრია“, მე კი წასვლას ჯერ არ ვაპირებ. ამავე დროს, ეს არც აღსარებაა, თუმცა საკმაოდ ხშირად მომიხდება პირის ნაცვალსახელ „მე“-ს გამოყენება. ბევრი მიზეზის გამო ეს გამიჭირდება, მაგრამ, რა გაეწყობა. არ ვიცი, პირველი პირით თხრობისას ego-ს გვერდის ავლა როგორ უნდა მოხერხდეს.

„გარდაქმნის ისტორია პიროვნებათა მიხედვით მკითხველისთვის ეგებ ბევრად უფრო საინტერესო ყოფილიყო, მაგრამ ახლა გარდაქმნის იდეების ისტორიის გადმოცემა უფრო მინდა იმიტომ, რომ ეს იდეები ამას იმსახურებენ; იმიტომ, რომ ისინი არ დაძველებულან და მათი არც გაუქმება გვმართებს, არც დავიწყება; იმიტომ, რომ დღეს ისინი დაცვას საჭიროებენ, რაკი დაცვას საჭიროებს ადამიანი და თვით ადამიანობა, რომელთა საკეთილდღეოდაც იშვა და ხორციელდებო-

და ეს იდეები. დასასრულ, იმიტომაც, რომ ეს იდეები ჩემ-თვის ძვირფასია.

ალბათ, მოვალე ვარ ავხსნა, როგორ, რატომ, რა გზით მი-ვედი ამ იდეებამდე. ამისთვის ჩემი ცხოვრების სათავეებს უნდა მივუბრუნდე და ცოტა რამ გიამბოთ.

ჩემი ნაამბობი ეგებ ზოგ თქვენგანს მეტისმეტად გაწელი-ლი მოეჩვენოს. ასე თუ იქნება, წინასწარვე გთხოვთ მოტევე-ბას. მაგრამ სხვაგვარად, ალბათ, არ ივარგებდა, რადგან მე, ისევე, როგორც მთელმა ჩემმა თაობამ, რთული გზა გავიარე. ეს იყო გზა რწმენისა, ცდომილებისა, ჭეშმარიტების წვდო-მისა.

2

„ქვეყნის თვალში შენ შენი ოჯახის შვილი ხარ, სამყაროს თვალში — შენი ხალხისა“, მამაჩემისგან ბავშვობაში გაგონილი ეს სიტყვები დიდხანს იდუმალებით იყო მოცული ჩემთვის. მთელს ჩემს წარმოსახვას ვძაბავდი და როგორღაც წარმოვიდგენდი თავს „ქვეყნის თვალში“, მაგრამ „სამყაროს თვალში“ თავის წარმოდგენა?..

იმხანად ჩემი სამყარო იყო სოფელი მამათი, სადაც დავიბადე 1928 წლის 25 იანვარს და სადაც გავატარე ბავშვობა და სიყრმე. ჩაის პლანტაციებით დატალღული მწვანე გორაკები კოლხეთის დაბლობისკენ ეშვებიან. მდინარე სუფსის ვერცხლისფერი ზოლი. ბორცვებზე წიფლნარი. დახერხილი, სარკესავით პრიალა წიფლის ფიცრებით ნაგები, ხიმინჯებზე შემდგარი ორსართულიანი სახლი. დღემდე მახსოვს ახალგადანაჭერ წიფელზე ჯავარის უცნაური მოხატულობა.

სახლი ჯარში წასვლის წინ ააშენა აკაკიმ, ჩემმა ძმამ, ოჯახში კი ოთხი ძმა და ერთი და ვიყავით. დიდი ოჯახი გვქონდა. ოდის შენების დროს კიდევ უფრო გაიზარდა.

ადათისამებრ, ოდას მთელი სოფელი აშენებს. ამას ჩვენში ჰქვია „ნადი“ — თემური ურთიერთდახმარება. საკმარისი იყო, აკაკის „ნადი“ გაემართა, რომ მთელი სოფელი — დიდიანპატარიანად — ჩაება მეგობრულ და შეწყობილ მუშაობაში. ამ დროს, ჩვეულებრივ, მღერიან „ნადურს“ — ხალხურ შრომის სიმღერას. მასში ყველას თავისი ხმა, თავისი სამღერი აქვს, ყველანი ერთად კი საუცხოოდ გამართულ პოლიფონიურ ერთობას ქმნიან.

ამ მრავალხმიანობაში იყო დიდი საიდუმლოება, რომლის წვდომა მაშინ არ შემეძლო. წლების შემდეგღა მივხვდი, რაც ხდებოდა: არ კმარა, ხმა გქონდეს, ეგ შენი ხმა სხვათა ხმებს უნდა შეუფარდო. უამისოდ არაფერი გამოვა.

ცხოვრებაში კი სულ სხვაგვარად იყო. ჩვენს სახლში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ხმები ისმოდა და ისინი საკმაოდ ხშირად ეკამათებოდნენ ერთმანეთს. ახლა, ალბათ, სწორედ დროა, რომ მოგითხროთ ჩემს მშობლებსა და სახლიკაცებზე, მაგრამ ეს მონათხრობი სრული არ იქნება, ვიდრე ჩემს პატარა სამშობლოში არ შეგიძღვებით.

ქიანი მიწის ძახილის გამომხატველ ამ სიუჟეტში. კოლხეთში დაცული იდუმალი სიბრძნისკენ ელინთა სწრაფვასაც გვიმხელდა იგი. ღირდა დავა, ცილობა წმიდა ვერძის საწმისისათვის, რომელიც აჭრელებული იყო მაგიური წარწერებით. და დავობდნენ, ცილობდნენ; ერთნი „არგოს“ აღჭურავდნენ საზღვაოროდ, სხვები დამპყრობელთა ურდოებს — საიერიშოდ.

ქართულ ენაში ყველა ძირითადი ცნება შემთხვევით როდია დაკავშირებული სიცოცხლის საწყისთან, „დედასთან“: დედამიწა, დედაენა, დედაქალაქი, დედასამშობლო. ეს ცნებები აღვივებდნენ თავისუფლების სულისკვეთებას, ზღუდედ აღიმართებოდნენ სამტროდ მოსულთა წინაშე, მოითხოვდნენ შვილის ერთგულებას, დედის სიყვარულს, მისი ღირსებისა და სიმშვიდის ხელმყოფლებთან შეურიგებლობას.

ასევე, ქართულ ენაში სიტყვა „გამარჯვება“ შემთხვევით როდი დამკვიდრებულა, როგორც მისალმება: „კარგად იყავ“ კი არა, არამედ „გამარჯვება“. კარგად ყოფნა გამარჯვებას ნიშნავდა. ხალხს სხვა არაფერი სჭირდებოდა ისე, როგორც გარედან თავსდატეხილ საფრთხეზე და ისტორიული ხვედრის უკეთესობაზე გამარჯვება.

კახელი მევენახეები და თუში მეცხვარეები დღემდე არ იცილებენ შავი ნაბდის ქუდებს. მათ რომ ვუყურებ, ყოველთვის წამომაგონდება ხოლმე: ეს ოდესღაც უბრალო ქუდი კი არ იყო, არამედ მუზარადის ქვეშ ამოსაფენი: მხვნელ-მთესველი თუ მწყემსი ნებისმიერ წუთს მზად იყო საუშაო სამოსელზე საომარი აღჭურვილობა მოერგო. მას მეომრის ჩაჩქანი მუდამ ხელთ ჰქონდა — ასეთი იყო ჩვენი სინამდვილე.

კულტურა ვაზიდან აღმოცენდა. მისგან მომდინარეობდა ჩუქურთმის მოტივები, ასოთა მოხაზულობა და, რაც მთავარია, ვაზი ქმნიდა დოვლათს — ხალხის თვითმყოფობის მატერიალურ საფუძველს. ურჯულო მოძალადეები პირველ რიგში ვაზს უტევდნენ, ცოცხალ არსებასავით წვავდნენ და კაფავდნენ. ამიტომაა, რომ ქართველი ვაზს ისე ელოლიავება, როგორც ღვიძლ შვილს.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია ახლო წარსულისკენ არ მივიხედო. 1985 წელს, როცა მივიღე ცნობა, რომ „ანტიალკოჰოლური“ კანონები მზადდებოდა, შევძრწუნდი. გარ-

მამათი სოფელია გურიაში, გურია კი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხეა. ეს კუთხეები ეთნოგრაფიულად, დიალექტებით, ბუნებრივი და კლიმატური პირობებით საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ისტორიული ზედისა და მისწრაფებების თვალსაზრისით, ეს მაინც მწყობრი და ერთიანი მრავალხმიანობაა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მელოდიით შეკრული.

საკმარისია საქართველოს რუკისთვის თვალის ერთი შეკვლებაც კი, რომ ეს გასაგები გახდეს. ჩემი ქვეყანა მდებარეობს ევროპისა და აზიის მიჯნაზე. ხალხთა და ცივილიზაციათა ძვრების უმნიშვნელოვანეს და უძველეს გზაჯვარედინზე. იქ, სადაც თავს იყრიდნენ და ერთმანეთში ცილობა ჰქონდათ კულტურებს, სარწმუნოებებს, ამა ქვეყნის ძლიერთა სტრატეგიულ ინტერესებს. ამან საქართველოს განუმზადა შესაშური, დიდებული, მაგრამ, ამასთანავე, მოწამებრივი ხვედრი. სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის მიღებამ (IV ს.) წინასწარვე განსაზღვრა ეროვნული თვითმყოფობის, მისი მთავარი ბურჯების — ენის, დამწერლობის, სარწმუნოების — შენარჩუნებისთვის ბრძოლის არჩევანიც. ქვეყანას უწევდა ბრძოლა ძლიერ მეზობლებთან, რომლებიც ესწრაფოდნენ საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი არეალის დაუფლებას. ამიტომ ცდილობდნენ აქ უცხო სარწმუნოების დამკვიდრებას, ქვეყნის ძალდატანებით ასიმილირებას, მისი კულტურისა და მეურნეობის წესის მოსპობას. საქართველოს მოწამებრივი გზა აისახა ქართული ლიტერატურის ჩვენამდე ყოფილ უძველეს ძეგლში — „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, რომელშიც გაცხადებულია, რომ სარწმუნოებისთვის ტანჯვა-წამებამ ვერ გატეხა სულიერი თავისუფლების მაძიებელი ადამიანი. ნაწარმოები დაიწერა V საუკუნეში, მაგრამ გაცილებით ადრეა შექმნილი ქართული დამწერლობა — ორიგინალური, ყოველგვარ ნასესხობათა და გავლენათაგან თავისუფალი ანბანი. თანაც ასე ახლოს იყო ანტიკური და ელინური სამყარო, რომელთანაც საქართველოს აქტიური სამეურნეო და კულტურული კავშირი ჰქონდა. მითი კოლხურ ოქროს საწმისზე სულაც არ ხარის მითი იმ აზრით, რა აზრსაც აქსოვდნენ ლამაზი და ბარა-

ქიანი მიწის ძახილის გამომხატველ ამ სიუჟეტში. კოლხეთში დაცული იდუმალი სიბრძნისკენ ელინთა სწრაფვასაც გვიმხელდა იგი. ღირდა დავა, ცილობა წმიდა ვერძის საწმისისათვის, რომელიც აჭრელებული იყო მაგიური წარწერებით. და დავობდნენ, ცილობდნენ; ერთნი „არგოს“ აღჭურავდნენ სამოგზაუროდ, სხვები დამპყრობელთა ურდოებს — საიერიშოდ.

ქართულ ენაში ყველა ძირითადი ცნება შემთხვევით როდია დაკავშირებული სიცოცხლის საწყისთან, „დედასთან“: დედამიწა, დედაენა, დედაქალაქი, დედასამშობლო. ეს ცნებები აღვივებდნენ თავისუფლების სულისკვეთებას, ზღუდედ აღიმართებოდნენ სამტროდ მოსულთა წინაშე, მოითხოვდნენ შვილის ერთგულებას, დედის სიყვარულს, მისი ღირსებისა და სიმშვიდის ხელმყოფლებთან შეურიგებლობას.

ასევე, ქართულ ენაში სიტყვა „გამარჯვება“ შემთხვევით როდი დამკვიდრებულა, როგორც მისალმება: „კარგად იყავ“ კი არა, არამედ „გამარჯვება“. კარგად ყოფნა გამარჯვებას ნიშნავდა. ხალხს სხვა არაფერი სჭირდებოდა ისე, როგორც გარედან თავსდატეხილ საფრთხეზე და ისტორიული ხვედრის უკეთესობაზე გამარჯვება.

კახელი მევენახეები და თუში მეცხვარეები დღემდე არ იცილებენ შავი ნაბდის ქუდებს. მათ რომ ვუყურებ, ყოველთვის წამომაგონდება ხოლმე: ეს ოდესღაც უბრალო ქუდი კი არ იყო, არამედ მუზარადის ქვეშ ამოსაფენი: მხვნელ-მთესველი თუ მწყემსი ნებისმიერ წუთს მზად იყო საუშაო სამოსელზე საომარი აღჭურვილობა მოერგო. მას მეომრის ჩაჩქანი მუდამ ხელთ ჰქონდა — ასეთი იყო ჩვენი სინამდვილე.

კულტურა ვაზიდან აღმოცენდა. მისგან მომდინარეობდა ჩუქურთმის მოტივები, ასოთა მოხაზულობა და, რაც მთავარია, ვაზი ქმნიდა დოვლათს — ხალხის თვითმყოფობის მატერიალურ საფუძველს. ურჯულო მოძალადეები პირველ რიგში ვაზს უტევდნენ, ცოცხალ არსებასავით წვავდნენ და კაფავდნენ. ამიტომაა, რომ ქართველი ვაზს ისე ელოლიავება, როგორც ღვიძლ შვილს.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია ახლო წარსულისკენ არ მივიხედო. 1985 წელს, როცა მივიღე ცნობა, რომ „ანტიალკოჰოლური“ კანონები მზადდებოდა, შევძრწუნდი. გარ-

დაქმნა იწყებოდა შეცდომით, სავალალო შეცდომით, ყოველ შემთხვევაში, — ჩვენი რესპუბლიკის დამაქცევარი შეცდომით. მორიგ „ბოროტებასთან“ მორიგი „ბრძოლის“ დირექტივა გარდუვალ ზარალს უქადდა სამრეწველო მევენახეობას — ჩვენი ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ საფუძველს. ამ ზარალის პროგნოზირება და დაანგარიშება შეიძლებოდა. მაგრამ არავითარ ძალას არ შეეძლო იმ ზიანის გათვლა და პროგნოზირება, რომელსაც მბრძანებლური სისტემა უმზადებდა ჩვენთვის, ყველასთვის, საფიცარ ცნებებს.

უნდა ვაღიარო: ამის თავიდან ასაცილებლად მე არაფერი არ გამიკეთებია. მხოლოდ შევეცადე, გამომეძებნა საშუალებები ჩვენს მევენახეობასა და მეღვინეობაზე დარტყმის ძალის შესასუსტებლად.

პირდაპირ უნდა ვთქვა: მე ადრეც ხმას ვაძლევდი ამგვარ გადაწყვეტილებებს, თუმცა მათ შინაგანად არ ვეთანხმებოდი. რაშია საქმე? ვითომ ერთგული „პარტიის ჯარისკაცის“ დისციპლინაა ყველაფრის თავი და ბოლო? ესეც არის, რა თქმა უნდა, მაგრამ არა მხოლოდ ეს. დღემდე ვერ მოვიცილე ის რაღაც ავადმყოფური მდგომარეობა, როცა უკომპრომისოდ მოქმედების გადაწყვეტილება ჩემს თავთან ხანგრძლივი წინააღმდეგობის შედეგად მომწიფდება ხოლმე. მე არ ვჩქარობ ჩემი აზრის გამოთქმას, ვიდრე არ დამიგროვდება ნებისა და აზრის ის „მასალა“, რომელიც გადაწყვეტილებად იქცევა. პოლიტიკოსისთვის, საქმისთვის ეს დიდი ნაკლია, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა. სხვაგვარად ვერც სხვებს ავუხსნი და ვერც ჩემს თავს, თუ როგორ და რატომ მოვდიოდი ასე დიდხანს ამჟამინდელ შედეგამდე.

განსხვავებული აზროვნებით გამოწვეულ აგრესიას სულაც არ ედარდება, რომ ვიღაცისთვის რაღაცა არის ძვირფასი და ვიღაცისთვის — არა. მე, რომელსაც ბავშვობიდანვე ძვალსა და რბილში მაქვს გამჯდარი ვაზის მოვლა, მაშინვე გავიფიქრე: აგერ ნახავთ, ახლა ჩვენში „ანტიალკოჰოლური“ დადგენილებების ინიციატორებს შუა საუკუნეების დროინდელ დამპყრობელთა სახელებს თუ არ შეარქმევენ-მეთქი. და არც შევმცდარვარ. შემდეგ ვუსმენდი „სიფხიზლისთვის მებრძოლთაგან“ ერთ-ერთს, იგი ასე მსჯელობდა: თურმე მის მშობლიურ მხარეში წლების მანძილზე არ უნახავთ ყურძნის მტევანი

და ამიტომ საჭიროდ მიაჩნდა საღვინე ჯიშების ხარჯზე უპირატესობა მიენიჭებინათ სუფრის ჯიშებისათვის. და მე დიდი სხვაობა ვერ დავინახე ამგვარ ფსიქოლოგიასა და აგრესორისთვის უცხო ცხოვრების წესზე თავდასხმის „ფილოსოფიას“ შორის. ავტორიტარული აზროვნება, რომელიც საკუთარ მიზნებს გარდუვალობად მიიჩნევს, ყველა დროში ერთნაირია.

„ალკოჰოლიზმთან ბრძოლის“ ქვეყნისთვის მიყენებულმა ძატერიალურმა ზარალმა 15 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. „მოგება“ კი ვერ მივიღეთ. სენი გავაძლიერეთ, გავაღრმავეთ.

ადამიანს წაართვა ყველაფერი, რაც მისთვის ძვირფასია, შენთვის კი საძულველი, და თავს მოახვიო შენი წესი. ისტორია საუკუნეების მანძილზე დაანლოებით ამ სქემით, ცეცხლითა და მახვილით, რკინითა და სისხლით წარიმართებოდა. ძლიერის უფლებამოსილება სუსტის უუფლებობას ნიშნავდა. ასე იყო საქართველოშიც, ხშირად გვირგვინოსნებიც კი იზიარებდნენ თავიანთი ქვეშევრდომების ხვედრს. უტახტოდ დარჩენილი ხელმწიფენი ისეთ საქმიანობას ჰკიდებდნენ ხელს, რაც მათ წოდებასა და მისიას თითქოს სულაც არ შეეფერებოდა.

ცდილობდნენ უცხოეთში წიგნების ბეჭდვისთვის მოებათ თავი, ან ლექსებსა და პოემებს წერდნენ. მე თუ მკითხავთ, ცდილობდნენ მიეღწიათ თავისუფალი აზრის მეუფებისთვის. ამიტომ ხომ არ ამბობდნენ ქართველებზე, მათი მეფეები პოეტები იყვნენ, მათი პოეტები კი მეფობდნენო? მაგრამ ყველასთვის — მეფეებისთვისაც და პოეტებისთვისაც — დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა იდგა სხვა ყველაფერზე მაღლა.

ისეთი ძლევამოსილი და განათლებული სახელმწიფოს მზის ჩასვენების შემდეგ, როგორიც იყო XII საუკუნის საქართველო, იწყება გარედან მხარდაჭერის ძიების უსასრულო პროცესი. საშველს ეძებდნენ დასავლეთში, მაგრამ პატარა ქრისტიანული ქვეყნის დასახმარებლად ევროპელმა მონარქებმა არ ისურვეს დიდი პოლიტიკის ინტერესების რისკზე შეგდება. მით უმეტეს, რომ საეჭვო იყო აქედან მათთვის რაიმე სარგებლობის მიღება. საქართველოს მეზობლები აკონტროლებდნენ მნიშვნელოვან სავაჭრო გზებს და ევროპის დიდ ქალაქებში არჩიეს იმ ქვეყნებს არ წაჰკიდებოდნენ. იდეო-

ლოგიას, — ამ შემთხვევაში, ქრისტიანულ რწმენას, იოლად შეელიენ. დასავლეთთან კავშირი ვერ გაიბა.

ერთი იმედიღა რჩებოდა და ის ჩრდილოეთში ბჟუტავდა. ძზერა სულ უფრო და უფრო ხშირად მიიმართებოდა ერთ-მორწმუნე რუსეთისკენ. მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ დახმარება მხოლოდ იქიდან შეიძლებოდა მოსულიყო. პრაქტიკულად რამდენიმე საუკუნის მანძილზე საქართველოს წარგზავნილნი მეტ-ნაკლები წარმატებით კვალავდნენ მოსკოვისკენ გზებს: კარგა ხანს რჩებოდნენ იქ, ფეხს იკიდებდნენ, თავიანთ დასახლებებს აარსებდნენ. ქუჩები ბოლშაია გრუზინსკაია და მალაია გრუზინსკაია იმ ხანებიდან არის შემორჩენილი. იმდროინდელია დონის დიდი მონასტრის მირქმის ეკლესიის ნეკროპოლიც, სადაც დაკრძალული არიან რუსეთთან დაახლოებისთვის მაშვრალი ქართველი მოღვაწეები, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენლები. მათ ბევრს მიაღწიეს, მაგრამ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებას ვერ მოესწრნენ.

მხოლოდ 1783 წელს მოაწერეს ხელი ჩრდილოეთ კავკასიაში, გეორგიევსკში, ეკატერინე II-ისა და ერეკლე II-ის ელჩებმა რუსეთსა და საქართველოს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულებას. დიდმა ჩრდილოეთის სახელმწიფომ იკისრა პატარა ერთმორწმუნე ქვეყნის მფარველობა, მაგრამ თვრამეტი წლის შემდეგ იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტით რუსეთმა ჩვენი ქვეყანა შეიერთა. საქართველოს სამეფო გაუქმდა, ამიერიდან მას მეტროპოლიის მოხელეები მართავდნენ.

ნებისმიერი თვალსაზრისით, ეს ნამდვილი კოლონიური პოლიტიკა იყო. დიახ, მან საქართველო იხსნა საგარეო ხიფათთაგან, გზებზე ჯებირები აღმართა, მაგრამ ქვეყანას თავისი იმპერიული უღელი დაადგა. ქმედება უკუქმედებას იწვევს ხოლმე. საქართველოში წარმოშობილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გადაჯაჭვული იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის პროგრესული საზოგადოებრიობისა და იმპერიის სხვა დამონებული ხალხების ბრძოლასთან. საქართველოში ბევრისთვის ეს იყო ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის.

ეს შანსი საქართველოს 1917 წელმა მისცა. რევოლუციის

მიერ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებათა აღიარებამ და ბრესტის ზავის დადების შემდეგ შექმნილმა რთულმა ვითარებამ ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და სხვა ეროვნული პარტიების ლიდერების წინაშე დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის პრაქტიკული საკითხი დააყენა. 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. მაგრამ მან არსებობა შეწყვიტა სამი წლის შემდეგ, როცა თბილისში წითელი არმიის ნაწილების შემოსვლის შედეგად აქ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ისტორიისთვის თვალის ერთი გადავლებით ბევრი რამ გამარტივებულად და სწორხაზოვნად ჩანს. ბევრი რთული მომენტი ახსნილი არ არის. „კადრს იქით“ რჩება პირადი შეფასებები, აღქმები, აზრები. ისტორიკოსს არ ეპატიება, მაგრამ საკუთარი ცხოვრების ისტორიკოსს ეს შეიძლება მიეტევოს. ჩემს არსებაში ზოგი რამ გასაგები რომ გახდეს, უნდა აღვწერო ის გარემო, რომელშიც ვიზრდებოდი.

მთავრობა, რომელიც საქართველოს 1918—1921 წლებში მართავდა, ძირითადად სოციალ-დემოკრატიული და, გარკვეულწილად, „მონონაციონალური“ იყო. მონონაციონალურს იმიტომ ვსვამ ბრჭყალებში, რომ ეს მთავრობა, რასაკვირველია, თავისი ეროვნული შემადგენლობით სავსებით ერთგვაროვანი გახლდათ, მაგრამ მისი ბევრი წევრი გურიიდან იყო. გურულები ცოტანი არ იყვნენ მათ შორისაც, ვინც ბოლშევიკურ ფრთას ეკუთვნოდა და ვინც აქტიურად გაისარჯა თავისი თვისტომი მენშევიკების დასამხობად.

რამ გამოიწვია ამ მხარის ასეთი პოლიტიზაცია, აქ ამდენი მკვეთრად გამოხატული პოლარული პოლიტიკური შეხედულებისა და მიზანდასახულობის წარმოშობა. რატომ მოხდა ეს?

ცხადია, ეფექტური მეურნეობისთვის გამოუსადეგარ კოლხეთის დაჭაობებულ ადგილებსა და მთის მწირ პატარა ნაკვეთებში მატერიალური დოვლათის შექმნა ჭირდა. დედის მხრივ ჩემი წინაპრები, რომლებიც სუფსის ნაპირას ერთ ჰექტარ მიწას ფლობდნენ, ძალიან შეძლებულ მეურნეებად ითვლებოდნენ. მცირემიწიანობის მძიმე ხვედრი ღატაკ გლეხებს ერეკებოდა დასავლეთ საქართველოს დიდი ქალაქისკენ — ქუთაისისკენ, აგრეთვე ბათუმისა და ფოთის პორტებისკენ, სხვაგვარად რომ ვთქვა, რევოლუციური მღელვარების ცენტრების-

კენ. უპოვარობისგან თავის დაღწევის სურვილი, განათლებისკენ ტრადიციულ ლტოლვასთან ერთად, მათ აიძულებდა ცოდნის ნებისმიერ წყაროს დასწაფებოდნენ. ბევრს ნიშნავდა სიახლოვეც მტრული უცხო რჯულისა, რომლის მოგერიებასაც ორგანიზებულობა და იარაღი სჭირდებოდა. სახლებში იარაღი ინახებოდა.

ყველაფერი ეს მეტად თავისებურ, ფეთქებად, მეაბოხე, თავისუფლებისმოყვარე ხასიათს ძერწავდა. ეს კი მკვეთრად გამოიხატებოდა ხელისუფალთადმი დაუმორჩილებლობაში.

გლეხთა აჯანყებები გურიაში გამოირჩეოდა განსაკუთრებული მასშტაბურობით, გაქანებითა და მათი ჩახშობის სისასტიკითაც. 1905 წლის რევოლუციის დროინდელი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი აჯანყება ისტორიაში ნასაკირალის ბრძოლის სახელით შევიდა. გლეხთა შეიარაღებულ რაზმს მეთაურობდა მამაჩემის ბიძაშვილი, დავით შევარდნაძე. აჯანყების დამარცხების შემდეგ ის მთის ტყეებში გავარდა ფირალად. მისი მოკვლისთვის დიდი თანხა იყო დაწესებული. დამსჯელი ექსპედიციის ალყაში მოქცეული დავითი ამხანაგების მცირე ჯგუფით დამსჯელ რაზმს შეებრძოლა. ერთმა უახლოესმა თანამებრძოლმა, ყველაზე საიმედო მეგობარმა, გახურებული ბრძოლის დროს სასმელი მიაწოდა. ეს საწამლავი იყო...

ლეგენდას ჰგავს, მაგრამ ნამდვილი ამბავია. დავითის შვილები ხშირად იყვნენ ჩვენს სახლში. უფროსები ბევრს ლაპარაკობდნენ მასზე. ამ საუბრების დროს ისმოდა ხოლმე სხვა სახელებიც და მათაც, როგორც სამართლიანობისთვის ბრძოლაში დაცემულთ, პატივი მიეგებოდათ.

მამაჩემის უმცროსი ძმა, სახელად ლოთი, დაიღუპა 1918 წელს, როცა დარბევის დროს სომხის ოჯახს იცავდა.

მე დავიბადე 1928 წელს, ანტისაბჭოთა აჯანყებიდან ოთხი წლის შემდეგ. ამ აჯანყებას ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში დიდხანს მენშევიკური ავანტიურა ერქვა. ჩემს ირგვლივ იყო ბარიკადების ორივე მხარეს მებრძოლი ბევრი ადამიანი, ისინი კამათობდნენ იმაზე, ეს ავანტიურა იყო, თუ თავისუფლებისთვის ბრძოლა.

დროა, ჩემს მშობლებზეც მოგახსენოთ. მამაჩემს ამბროსი ერქვა, მამამისს — გიორგი, დედაჩემი სოფიო გლახუნა

პატეიშვილის ქალი იყო. მამაჩემის დედა, ბებია სარლა, ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ შვილებისთვის კარგი განათლება მიეცა. ბათუმში სწავლის დამთავრების შემდეგ მამაჩემი დაბ-რუნდა ასკანაში, გურული შევარდნაძეების საგვარეულო მა-მულში, და სოფელ ძიმითის სკოლაში დაიწყო მასწავლებლო-ბა. სწორედ იქ გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე — დე-დაჩემი.

მამაჩემი რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ეძ ცოტა ხნის წინათ იმდროინდელ არქივებში იპოვეს ლევ ტოლ-სტოის თხზულებათა კრებულის რევოლუციამდელ პირველ ქართველ ხელისმომწერთა სია, რომელშიც მამაჩემის სახელი და გვარი ერთ-ერთი პირველია. ადამიანები ცდილობდნენ მათთვის მოზომილი სამყაროს ფარგლების გაფართოებას, თა-ვიანთი დროის მოწინავე იდეებით გამსჭვალულ შორეულ სივრცეებში გაღწევას. იარაღთან ერთად სახლებში ინახავდნენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას — ნაწარმოებებს, შემდეგ გაჩნდა ტოლსტოის, რუსი რევილუციონერ-დემოკრატების, ლეგალური მარქსისტების, პლეხანოვის, კაუცკის წიგნები...

გამონაკლისი არც მამაჩემი და მისი სახლიკაცები იყვნენ, არც დედაჩემის ძმები. დედაჩემის უფროსი ძმა, აკაკი, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, პირველი მსოფლიო ომის მონაწი-ლე, სიცოცხლის ბოლომდე სოციალ-დემოკრატიული შეხე-დულებების ერთგული დარჩა. მამაჩემიც თანაუგრძნობდა სო-ციალ-დემოკრატებს, მაგრამ მათ იმედი გაუცრუეს და კომ-პარტიაში შევიდა. თავის ამ ნაბიჯს იმით ხსნიდა, რომ მენშე-ვიკებმა ეროვნული სახელმწიფოებრიობა კი შექმნეს, მაგრამ ვერ გადაჭრეს ასევე ძირითადი პრობლემა — ვერ შეძლეს ეროვნული ეკონომიკის შექმნა, რასაც ხალხის უსაშველოდ დიდი გაჭირვება მოჰყვა. ქვეყანაში ქაოსმა დაისადგურა. ძა-ძაუფლებას ადვილად დაეუფლნენ ბოლშევიკები. ბიძაჩემი აკაკი, სტალინისა და ბოლშევიზმის მძვინვარე ანტაგონისტი, მას ამის გამო გაუთავებელ დისკუსიებს უმართავდა. კონსტან-ტინე, მამაჩემის ძმა, მსგავსივე ხვედრისა და შეხედულებების კაცი, — ასევე მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი და სოციალ-დემოკრატი, — ძალზე ორიგინალური, გამჭრიახი გონების პი-როვნება, ყოველთვის პოულობდა მოკამათეთა შერიგების

ყველაზე მოულოდნელ ხერხებს. მისი არგუმენტები მაოცებდა ლოგიკური განსჯის რთული უბრალოებით.

ეს იყო თავისებური მრავალპარტიული სისტემა ერთი დიდი და მეგობრული ოჯახის ფარგლებში. ნამდვილად მეგობრული ოჯახი იყო, თუმცა მის წევრებს პოლიტიკურად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. ვცდილობდი ერთმანეთისთვის შემეპირისპირებინა, შემეჯერებინა ეს შეხედულებები. მაგრამ ძალიან მიჭირდა, რადგან ყველა ერთნაირად მიყვარდა, და, თუ რომელიმე მათგანის აზრისკენ ვიხრებოდი, ამით არ უარვყოფდი საწინააღმდეგო აზრს, ვცდილობდი გავრკვეულიყავი, მაინც რას ეყრდნობოდა ჩემთვის ძვირფასი ადამიანი, რომელიც ასე ფიქრობდა და არა — ისე.

ბავშვობიდანვე თუ ასეთ პურსა ჭამთ, ეს მთელ ცხოვრებაში გაგყვებათ.

ირგვლივ ყველანი ლაპარაკობდნენ კლასობრივ ბრძოლასა და კლასობრივ მტრებზე. მე კი ჩემს თავს ვეკითხებოდი: „ეს კლასობრივი მტერი ვიღაა — ბიძია აკაკი?!“ და როცა შემდეგ ვინმეს მიხასიათებდნენ, როგორც „უცხო შეხედულებების მქონეს“, ვიხსენებდი ჩემს ახლობელ და ძვირფას ადამიანებს, — „უცხო შეხედულებების მქონედ“ მათი გამოცხადებაც ხომ იოლად შეიძლებოდა.

ცხოვრება სხვას მასწავლიდა. მისი გაკვეთილები ყოველთვის იოლი როდი იყო, მაგრამ ეს, ალბათ, ყველასთვის ასეა.

მამაჩემი სკოლიდან მოვიდოდა, სადილობდა და მიდიოდა ციმინდის სათოხნელად, ვენახის მისახედად, სკების შესაბოლად. ასე შრომობდა ის გვიანობამდე, როცა ჩვენ უკვე გვეძინა, დილას კი უთენია დგებოდა, ლამპას ანთებდა, მოსწავლეების რვეულებს ასწორებდა, გაკვეთილებისთვის ემზადებოდა.

დედაჩემს მეტი საზრუნავი ჰქონდა. ხუთი შვილი ვყავდით. ეფროსი, ევგრაფი, პოლიომიელიტით დაავადდა და სამუდამოდ დაკარგა მოძრაობის უნარი. იმ წლებში ხშირად ავადმყოფობდით მალარიით: ციებიანი ადგილი იყო. შემდეგ დაიწყო კოლხეთის დაბლობის ათვისება. აშრობდნენ ჭაობებს, ჩაის პლანტაციები გააშენეს და ციებაც გაქრა. დედა ჩაის საკრეფად მიდიოდა და თან მივყავდი, დამტოვებელი არავინ

აყო, პირველი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ექვსი წლისამ მოვკრიფე.

ჩემი და და ძმები მშობლებს შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ. უმოძრაობით შებორკილი ევგრაფიც კი რაღაცის გაკეთებას ახერხებდა. ჟურნალისტობა გადაწყვიტა და გახდა კიდეც, რაიონულ გაზეთს რედაქტორობდა. აკაკიმ, ეს უკვე გიამბეთ, ოდის აშენება გადაწყვიტა და ააშენა; ძველი, ერთსართულიანი, ოროთახიანი სახლი, რომელსაც ეზოში სამზარეულოსთვის პატარა სათავსო ჰქონდა მიშენებული, ახალი, ფართო და მოსახერხებელი საცხოვრებლით შეგვიცვალა. ჩემთვის მისაბაძი მაგალითი იყო მეორე ძმაც, იპოკრატე, დაკვირვებული, წინდახედული ყმაწვილი, ასევე ძალიან გამრჯე და კეთილი პიროვნება. და ყველა ჩვენგანის მეორე დედა იყო ვენერა, ჩვენი დაია, საოცრად სათუთი, დღენიადაგ ჩვენზე მზრუნველი.

სოფლის ცხოვრება მშვენიერია თავისი სილაღით, სიწრფელით. მასში ყველაფერი ნათლად ჩანს: ადამიანებიც და მათი საქმეებიც. ის კარგია იმითაც, რომ ადამიანს ბალღობიდანვე ბუნებრივად ითრევს ყოველდღიურ საზრუნავთა წრებრუნვაში, ჩიჩინისა და დარიგებების გარეშე აჩვევს მას გონივრულ და გაზრებულ ქმედებას. შედეგი ყოველთვის თვალსაჩინოა. აგერ არის, შეგიძლია ხელი შეახო. მე არავინ მეუბნებოდა: „შენ უნდა...“ ვიცოდი, რაც უნდა მეკეთებინა და სიხარულით მავსებდა მისი კეთება, ავძვრებოდი კაკლის ხეზე, რომელსაც იშვიათი ჯიშის, „ჩხავერის“, ვაზი ასდევდა მთელ სიმაღლეზე, — „ჩხავერისგან“ შესანიშნავი ღვინო დგებოდა, — ხის ფოთლებში ვარჩევდი ოდნავ შემჭკნარ, ტკბილი წვენით გაწებილ მტევნებს, შემდეგ ვწურავდი და სქელ სითხეს ვასხამდი ქვევრებში, სადაც წვენი დუღილს იწყებდა. წისქვილში გავრბოდი საფქვავით და წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორი სიამოვნებით შევისუნთქავდი ცხელი მჭადის ნატეხის სუნს. ვიცოდი პურის ფასი, ვიცოდი, როგორი ჯაფით მოიპოვებოდა იგი, რამდენი ოფლის ღვრა იყო საჭირო ჭირნახულის მოსაწევად. გურიაში სიმინდის ყანები ზოგჯერ ისეთ ციცაბო ფერდობზეა, რომ მათ გასათოხნ-გასამორგლად ხეზე თოკით უნდა მიებას კაცი. პური სიმწრით იყო ნაშოვნი, მაგრამ ტკბილიც გახლდათ. და, ალბათ, ამ პარადოქსის ახსნა სა-

ჭირო არ არის. ყველა გამიგებს, ვისაც პური ჩვენი არსობისა სიმწრით მოუპოვებია.

მამაჩემი მასწავლიდა ფუტკრის მოვლას და ფიჭიანი თაფლის ყურება დღესაც სიამოვნებას მგვრის. მრავალი წლის შემდეგ წყნეთში, სახელმწიფო ბაგარაკის ნაკვეთზე, რამდენიმე ვაზი დავრგე და ოთხი სკა გავიჩინე. მაშინ მე, რესპუბლიკის კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივანს, არ მჭირდებოდა საკვების ამგვარად მოპოვება. ყოველდღიური უამრავი საქმით, — მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საქმეებითაც, — დატვირთულს, მახარებდა, რომ მიწაზე მუშაობის სიყმაწვილეში შეძენილი ჩვევები შემრჩენოდა, რომ ტოლივით შემეძლო მესაუბრა მხვნელთან თუ მწყემსთან, მევენახესთან თუ მეფუტკრესთან, ჩაის მკრეფავთან თუ მშენებელთან. და ბოლომდე გულწრფელი თუ ვიქნები, აქამდე ვამაყობ იმით, რომ საკუთარი ხელით შემიძლია რაღაც-რაღაცეების კეთება.

ერთი ჩემი სახლიკაცი სოფლის ფოსტალიონად მუშაობდა. გაზეთები და წერილები უნდა ჩამოეტანა ხოლმე რაიონული ცენტრიდან, რომელიც ჩემი სოფლიდან საკმაოდ შორს არის. ტრანსპორტი არ იყო, მე კი უმოკლესი გზა ვიცოდი, მაგრამ ცენტრი არც აქედან იყო ახლოს: მთის ბილიკებით თორმეტი ვერსი იყო გასავლელი. უკვე ხანდაზმულ და ჯანგატეხილ ბიძაჩემს უჭირდა ყოველდღე ქალაქში ჩასვლა და საფოსტო კორესპონდენციების მძიმე ტვირთით უკან მობრუნება. მე კი ეს სიხარულით მავსებდა — თუნდაც ის რად ღირდა, რომ უმოკლესი და ულამაზესი, თუმცა არც მაინცდამაინც იოლი გზა, — ვიცოდი.

მაშინ ათი წლისა ვიყავი.

თითქმის ყოველდღე ავრბოდი ჩემი სოფლიდან ცენტრში, უკან კი, ფოსტით დატვირთული, მძიმედ მოვაბიჯებდი, გზადაგზა ვისვენებდი და გაზეთებს ვკითხულობდი. დღეს შეიძლება მათი ინფორმაციები სადავო იყოს, მაგრამ იმდროინდელი ცხოვრების ძირითად ტენდენციებს და ხასიათს ასახავდნენ.

სტალინის გაუთავებელი სადღეგრძელოები, ცნობები პირველ ხუთწლედთა წარმატებებზე და იქვე — უწყებები დივერსიებზე, ტერორისტულ აქტებზე, „ხალხის მტრების“ ხრიკებსა და მსოფლიოს კაპიტალზე. ჩემი ახლობლების ხმები, სი-

მართლე, რომელიც ყოველ მათგანს თავისი ჰქონდა და თავი-სებურად იცავდა, ირეოდა ჩემს არსებაში, აღძრავდა ეჭვებს, წამოჭრიდა მრავალ რთულ კითხვას და ამას ვუფარდებდი წაკითხულს, ყველაფერი ერთად კი იძლეოდა რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე შედეგს.

ამას წინათ ამერიკული ტელეკომპანია იე-ბი-სი-ს გადამღები ჯგუფი ჩემს სოფლის სახლში იმყოფებოდა და ჩემგან ფურცელ-ფურცელ გადაკითხული წიგნებით დატვირთული თაროები გადაიღო. ტელემონიტორის ეკრანზე დავინახე ჩემი ბავშვობისდროინდელი საყვარელი წიგნი — ჩარლზ დიკენსის „დავით კოპერფილდი". დიდი ლიტერატურის მაგიამ დაბეჭდილი სტრიქონისადმი უსაზღვრო რწმენა ჩამინერგა. ნაბეჭდი სიტყვის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ გაზეთში წაკითხული მჯეროდა. და შემდეგაც კი, როცა უკვე გაზეთის სტრიქონებმა კი არა, ჩემი უსაყვარლესი ადამიანების ხვედრმა შემიშფოთა ბავშვური სული, ვინარჩუნებდი ამ რწმენას. და მხოლოდ წლების შემდეგ, როცა ანალიზი შევძელი, შევიმუშავე შეხედულებათა საკუთარი სისტემა, რომელიც სულ უფრო და უფრო ზშირად უპირისპირდებოდა გაბატონებულ შეხედულებებს.

ნათლად მაქვს გაცნობიერებული ამგვარ აღსარებათა სახიფათო ბუნება. ავტობიოგრაფიული ნარკვევი ვერაგი ჟანრია. ძალზე ფხიზელი, თვითკრიტიკული, თავისი თავის მკაცრად შემფასებელი ადამიანიც კი დგას ცთუნების წინაშე, რომ თავისი პოზიციები, საქციელი, გამონათქვამები გაამართლოს, თავის თავს ღირსებები მიაწეროს, სხვებს ცოდვები აჰკიდოს და, შესაბამისად, თავისი ნაკლოვანებები მიჩქმალოს. აქ, ალბათ, სხვა ყველაფერთან ერთად, „მუშაობს" თავდაცვის, საკუთარი „მე"-ს დანდობის ფარული ინსტინქტი, რომლის საათავეა კეთილი სახელის დამკვიდრების წადილი: ცხოვრებიდან ნათელი კვალის დაუტოვებლად წასვლა არ გინდა კაცს.

ჩემი თავის შეფასებაში არ ვცდები. რისი ცოდნაც მმართებს ჩემს შესახებ, ყველაფერი ვიცი. მეტად თუ არა, ნაკლებად ეს არც იმ ადამიანებმა იციან, რომლებთანაც ცხოვრების გზებმა დამაკავშირა. ყველა მათგანი როდია მაღალი აზრისა და ყველა კარგს როდი ამბობს ჩემს შესახებ. ეს სასიამოვნო არ არის, მაგრამ კანონზომიერია: ყველას ვერ აამებ, განსა-

კუთრებით მათ, ვისი ხვედრის გადაწყვეტის უფლება შენ გქონდა (არადა, კარგად ვიცი, რა მძიმეა ეს ტვირთი) და შენმა ამ უფლებამ მას არა მარტო უხერხული მდგომარეობა შეუქმნა, არამედ, შესაძლოა, ტკივილიც მიაყენა.

ასე რომ, ამ ნაჩქარევი ავტოპორტრეტის წარმოსახვისას მთელი არსებით ვცდილობ არ ვეპირფერო ჩემს თავს. და, ვფიქრობ, რომ ეს შემიძლია, რადგან მთავარ ამოცანად დასახული მაქვს, ავხსნა, შესაძლოა, ჩემს თავსაც კი ავუხსნა, როგორ ყალიბდებოდა და იცვლიდა სახეს ჩემი შეხედულებები. როგორ მოვედი აქამდე.

1989 წლის საშინელ დღეებში, თბილისში რომ ჩამოვედი აქ დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, — ძალის მოშველიებით მიტინგის დარბევის შედეგად როცა ადამიანები დაიღუპნენ, — ჩემს თანამემამულეებს ვუთხარი: „თქვენ უკვე ისეთები აღარა ხართ, როგორიც გუშინ იყავით. მაგრამ მეც შევიცვალე“.

რასაკვირველია, შეიძლება ადამიანი გაკიცხო იმისათვის, რომ განუდგა თავის ადრინდელ შეხედულებებს, შეიძლება ადამიანმა ძალიანაც იამაყოს იმით, რომ არ სურს პრინციპების დათმობა, მაგრამ როცა ის ებღაუჭება მკვდარ, ან მომაკვდავ პოსტულატებს, ჩემი აზრით, ეს თვით სიცოცხლესთან, მის მარადიულ არსთან, მის მუდმივ განახლებასთან შეუთავსებელია.

იცვლებოდე — ეს იმას ნიშნავს, უპასუხებდე ცხოვრების ძახილს. საუბარია არა მიმიკრიაზე, შემგუებლობაზე, ლაჩრულ ადაპტაციაზე, ქედის მოდრეკაზე. არა! საუბარია მიზანზე, რომლისთვისაც ულმობლად გადასინჯავთ საკუთარ პოზიციებსა და შეხედულებებს. მიზნის პრობლემა კი ყოველთვის არჩევანის პრობლემაა, და არჩევანი თუ მორალურად უმწიკვლოა, მაშინ ეს არჩევანი ისე უნდა გააკეთო, რომ ერესსა და განდგომაში დადანაშაულებისა არ შეგეშინდეს.

ჩემი საბოლოო არჩევანი განპირობებულია მთელი ჩემი ცხოვრებით, ყველაფრით, რაც მასში იყო კარგიცა და ავიც; განპირობებულია ჩემი სახლის, ჩემი ოჯახის, ჩემი ხალხის ცხოვრებით, — ხალხისა, რომელიც დღეს შეიძლება არ მწყალობდეს, მაგრამ ურომლისოდაც სიცოცხლე არ ძალმიძს. ჩემს ცხოვრებაში, ჩემსაშიც და საერთო-სახალხო ცხოვრებაშიც,

ხდებოდა ისეთი პროცესები და მოვლენები, რომლებსაც შეუძლებელი იყო თავი არ ეჩინა ჩემი ცხოვრებისეული ფილოსოფიის ჯერ ჩამოყალიბებაში, შემდეგ კი ევოლუციაში.

1937 წელი. მამათიდან და ახლომახლო სოფლებიდან დაიწყო ადამიანების გაუჩინარება. ქრებოდნენ ყველაზე პატივსაცემი, ყველაზე ავტორიტეტული ადამიანები. დღე ისე არ გავიდოდა, რომ მორიგი „ხალხის მტრის“ დაპატიმრება არ შეგვეტყო. სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, აგრონომი, კოლმეურნეობის ბრიგადირი მავნებლებად, ტროცკისტებად, ნაციონალ-უკლონისტებად ცხადდებოდნენ...

ერთ დღეს გაუჩინარდა მამაჩემიც — პარტიის წევრი 1924 წლიდან, რომელმაც იმ დროისთვის უკვე მიაღწია მამათში საშუალო სკოლის გახსნას, სოფელში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და პატივსაცემი კაცი. დედაჩემი გულჩათხრობილი გახდა, კითხვებზე არ გვიპასუხებდა, მაგრამ ცრემლები სიტყვებზე უფრო მეტყველად ამბობდნენ მის სათქმელს. სახლს გარეთ, ჩემს ირგვლივ, გაუცხოება და სიცივე ვიგრძენი. სკოლაში აქამდე ლიდერად მთვლიდნენ, პიონერთა რაზმეულის თავკაცად ამირჩიეს, ბიჭები სულ ჩემს ირგვლივ ტრიალებდნენ, ახლა კი სრულ მარტოობას ვგრძნობ, არავინ მეკარება, სათამაშოდ არ მეძახიან... „ხალხის მტრის“ იარლიყი უკვე დაშტამპული იყო ჩემთვის და ეს იარლიყი საკუთარ მკერდზე ვიგრძენი, როცა შევიტყვე, რომ სოფლის პიონერთა ბანაკში აღარ წამიყვანდნენ.

ჩემს ბავშვობაში ეს იყო პირველი, ყველაზე ძლიერი შეშფოთება.

რამდენიმე ხანში მამაჩემი დაბრუნდა. მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ დაპატიმრების ორდერი გამოწერილი იყო, მაგრამ რეპრესიებს მამა გადაარჩინა ერთმა მისმა ნამოწაფარმა, „ენკავედეს“ რაიონული განყოფილების თანამშრომელმა. მან მამაჩემი გააფრთხილა, რომ დაპატიმრებას უპირებდნენ და ურჩია, მიმალულიყო, შფოთიანი დროის გადავლამდე ტყეს შეჰფარებოდა. მაშინ ბევრნი იქცეოდნენ ასე. 1937 წლის რეპრესიები იმდენად მასშტაბური იყო, რომ მომუშავე აღარავინ დარჩა, და 1938 წლის თებერვალ-მარტში ტერორის მანქანა შეაჩერეს. იმ დროს მე ეს არ ვიცოდი და მიხაროდა, რომ მა-

მაჩემი „ხალხის მტერი“ არ აღმოჩნდა. მაგრამ უკვე მაშინ დავიწყე ფიქრი იმ მიზეზებზე, რომლებიც ოჯახებს ხლეჩდა და სოფლის თემის ხმაშეწყობილ „გუნდს“ არღვევდა. მთავარ მიზეზად ასახელებდნენ კლასობრივ ბრძოლას, რომლის ნებასა და კანონებს ნათესაობის, ადამიანური სიახლოვის, ახლობელ ადამიანთა შორის უბრალო და ცოცხალ ურთიერთობათა კანონებზე მაღლა აყენებდნენ. ამ ახლობელ ადამიანებს ვუყვარდი მე, სიკეთეს მინერგავდნენ და სიკეთეს იჩენდნენ ჩემს მიმართ, ზრუნავდნენ ჩემზე, მიალერსებდნენ, გულის სითბოთი მათბობდნენ და შეუძლებელი იყო შეგუება აზრთან, რომ ისინი მტრები იყვნენ. მე მწამდა მათი სიმართლე, მაგრამ დროს თავისი, სხვა სასტიკი არგუმენტები ჰქონდა და ძნელი იყო მოზარდს უარეყო ისინი.

ჩემთვის განსაკუთრებით დამაჯერებელი არგუმენტი გახდა ომი — ფაშისტური გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. თეზისი ბნელი ძალის შესახებ, რომელსაც ჩვენი ქვეყნის დამონება სურდა, დადასტურდა. მე, სოფლის ფოსტალიონის ნებაყოფლობითი დამხმარე, უბედურების მაცნედ ვიქეცი: ფოსტალიონის დერმატინის ჩანთით მამათში მომქონდა თანასოფლელთა დაღუპვის უწყებები. მე შიშითა და იმედით შემომყურებდნენ: მოაქვს?! არ მოაქვს?!

მწუხარებამ ჩვენს სახლსაც მოაკითხა: ჩემი უფროსი ძმა, აკაკი, რომელიც ჯარში გაიწვიეს ომის დაწყების წინ, ომის პირველივე დღეებში დაიღუპა ბრესტის ციხე-სიმაგრის დაცვისას. მეორე ჩემი ძმა, იპოკრატეც, გაიწვიეს ჯარში და ყოველდღე ველოდებოდით ფრონტზე მის გაგზავნას. დედაჩემმა ძაძები ჩაიცვა. ყველა მაშინდელი და მომავალი დანაკარგის გამო ეცვა მას ძაძები.

ასეთი რამ თავს დაატყდა თითქმის ყველა ოჯახს. საქართველოდან გაწვეული 700 ათასი ადამიანიდან (რესპუბლიკის 3.5 მილიონი მოსახლიდან) დაახლოებით ნახევარი ველარ დაბრუნდა.

ფაშიზმთან ომი ბოროტებასთან ჩემი პირადი ბრძოლა გახდა. ფაშიზმი კომუნიზმს ებრძოდა, კომუნიზმი კი ჩემი რელიგია იყო. ამ ბრძოლაში გამარჯვება კომუნიზმის გამარჯვება იყო, მაშასადამე, ეს ჩემი გამარჯვებაც იყო.

ომმა მეც ისევე გამომაწრთო, როგორც მილიონობით ჩე-

მი თანატოლი. ის აყალიბებდა ჩემს მრწამსს და მისახავდა მიზნებს. პოლიტიკაში ძალიან ადრე, მთლად ბავშვი ჩავერთე. უფრო ზუსტად, პოლიტიკამ თავად ჩამითრია. თანატოლებმა მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარედ ამირჩიეს მეშვიდე კლასში. მე მზრდიდნენ ჩემი ახლობელი და ძვირფასი ადამიანები, ისინი ბევრ რამეს სხვადასხვაგვარად უყურებდნენ და მეც „სხვადასხვა თვალით" ვიყურებოდი, მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ მე აღზრდილი ვიყავი დროის სულისკვეთებით და ეს იყო მძლავრი, ყოვლისმომცველი სულისკვეთება.

დიდი ხანია მაფიქრებს „მეთოდოლოგია", რომლითაც ისტორიის ურთულესი მოვლენები უმარტივესი ინსტრუმენტებით განიზომება, განზომილებაში აშკარა შეცდომებს ანგარიში არ ეწევა, ისინი ვითომ არც ყოფილა, არადა, ჭეშმარიტება ხომ ძალზე ხშირად სწორედ მათშია. წარსულის კრიტიკოსები, ისტორიას თავის კრიტიკულ სქემაში აქცევენ. ეს ან მათთვისაა ხელსაყრელი, ან ვიღაცის ცნობიერებას ესადაგება. მაგრამ ადამიანს ხომ ევიწროება ეს სქემა! მე მბოჭავს სქემები, რომელთა თანახმადაც, თურმე ჩვენ გაგვაბრუეს, გამოგვათაყვანეს, ჩაგვითრიეს, გვაიძულეს...

ყველაფერი კი ბევრად რთულად იყო. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის. თავიდან ის „იდეათა ბრძოლა", რომელშიც მე ბავშვობიდანვე ვიყავი ჩართული, იფარგლებოდა ოჯახის წრით და ამ წრეში რარიგ მწვავეც არ უნდა ყოფილიყო პოლემიკა, ის შემწყნარებლობას გვასწავლიდა. მაგრამ შემდეგ ჩემს თვალწინ მან მოიცვა სოფელი, რესპუბლიკა, ქვეყანა და, დასასრულ, — მსოფლიო. ახლა უკვე პოლემიკა არც შეწყნარებას ცნობდა და არც შეწყალებას. საბჭოთა კავშირზე თავდასხმა იქცა იმ თეზისის ყველაზე დამაჯერებელ არგუმენტად, რომ ჩვენი განადგურება, ფიზიკურად მოსპობა უნდოდათ. ახლობელი ადამიანების დაღუპვამ, მწუხარებამ, ტანჯვამ, მილიონობით ადამიანთა გაჭირვებამ განაპირობა არჩევანი.

საბჭოთა კავშირი ომიდან დიდ სახელმწიფოდ, ფაშიზმისგან ძსოფლიოს მხსნელად გამოვიდა. გამარჯვება გაუთანაბრდა სტალინის სახელს, პარტიის ნებასა და ძალას. სისტემის კრიტიკოსები აქცენტს აძლიერებენ რეპრესიებსა და ძალადობაზე და აბსოლუტურად გამორიცხავენ ცოცხალ „სხეულს სული-

სას“, რომელიც ხალხს აღანთებდა შენებისათვის, შემოსეული მტრის მოგერიებისა და დანგრეული ქვეყნის აღორძინებისათვის. რაც არ უნდა ითქვას, იმ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა სისტემამ, რომელსაც დღეს ბევრი წყევლა-კრულვით იხსენიებს, ნებისმიერი საქმიანობისთვის საჭირო ამ მძლავრი რეზერვის ამოქმედება შეძლო და, უბრალოდ, გონივრული არ იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ეს სისტემა ამ დროს მხოლოდ ძალას ემყარებოდა.

1948 წელს შევედი კომუნისტურ პარტიაში, გამიტაცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მუშაობამ. ამან შემაძლებინა, მამაჩემის დარიგება შემესრულებინა: ვყოფილიყავი ადამიანებთან და მეშრომა ადამიანებისათვის. მრავალი წლის შემდეგ, პოლიტიკურ პლურალიზმზე საუბრისას, ჩემს თავს უფლება მივეცი განმეცხადებინა, რომ ძალაუფლებაზე ერთი პარტიის მონოპოლიამ ჩვენთან მოსპო პოლიტიკური ცხოვრება, როგორც სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა თანამოქმედების ასპარეზი. ახლა კი დავძენდი: კომკავშირი და პარტია, რომელშიც ოცი წლის ასაკში შევედი, პოლიტიკური თვითგამოვლენის ერთადერთი სფერო იყო. ერთნი მასში შედიოდნენ თავდაცვის ინსტინქტის კარნახით, რაკი გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ სხვა გზით საზოგადოებაში თავიანთი რეალური შესაძლებლობების შესატყვის ადგილს ვერ დაიკავებდნენ; სხვები, — და ასეთნი ცოტანი როდი იყვნენ, — პარტიაში სულისა და გულის კარნახით შედიოდნენ. სინდისის წინაშე შევცოდავდი, თუ ვიტყოდი, რომ ჩემთვის მხოლოდ პირველი მოტივი იყო უპირატესი და მეორე არ არსებულა. მაგრამ, ამასთან, როცა მშობლის ერთი დარიგება შევასრულე, მეორე უგულვებელვყავი, რაც შემდეგ ვინანე. საუბარია პროფესიის არჩევაზე. თუ რომელი პროფესიისა, — ეს ცალკე უნდა ითქვას, რათა უფრო გაცხადდეს ის მთავარი არჩევანი, რომელმაც ასე ბევრი რამ განსაზღვრა ჩემს ცხოვრებაში.

მამათში რვა კლასის დამთავრების შემდეგ თბილისის საშედიცინო ტექნიკუმში შევედი. ეს ახლობლების დაჟინებული თხოვნით მოხდა. მათ, ყველას, უნდოდათ, რომ ექიმი გამოვსულიყავი, არა მარტო იმიტომ, რომ ეს პრესტიჟული პროფესიაა. უფროსი ძმის ავადმყოფობა, ძალზე მძიმე შრომით შერყეული ჯანმრთელობა მშობლებისა, ციება, რომელიც ჩვენს

კუთხეს ღვთის რისხვად ჰქონდა დამტყდარი და დიდისა თუ პატარისთვის კოშმარი იყო, განუწყვეტლივ სვამდა ჩვენს წინაშე კითხვას: სად არის საშველი? უბნის ექიმი ქანცგაწყვეტილი იყო, ვერ ასწრებდა აურაცხელი პაციენტის შემოვლას, ბევრი სულ უბრალო წამალიც კი არ იშოვებოდა, ჰოსპიტალიზაცია გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა. ჯანსაღი გლეხური პრაგმატიზმი ხსნასა და შველას ეძებდა უახლოეს გარემოში. როგორც ჩანს, როცა ჩემმა მშობლებმა არჩევანი ჩემზე შეაჩერეს, ვარაუდობდნენ, რომ იმედს არ გავუცრუებდი. მაგრამ შეცდნენ.

თბილისში დავბინავდი ჩემს დასთან, ძველ სახლში, ფასანაურის ქუჩაზე. სარდაფის მსგავს ოთახში ცხოვრება დიდ სიხარულს არ მიქადდა, მაგრამ იმ დროს ისე ვიხსენებ, როგორც ძალზე ნათელ ხანას. არსებითად, მთელი დღეები, დილიდან გვიანობამდე, სულ ტექნიკუმში ვიყავი. და თუ ჩემს ბნელ და ნესტიან სადგომს ვაკითხავდი, მხოლოდ იმიტომ, რომ დისთვის გამეზიარებინა ფიქრები და გრძნობები, რომლებითაც ვიყავი მოცული, რომლებიც ჩემში პირდაპირ ჩქეფდნენ და გასაქანს ითხოვდნენ. სწავლა საინტერესო იყო, მაგრამ უფრო საინტერესო იყო ახალ ადამიანებთან შეხვედრები, მათი გაცნობა, მათში მეგობრებისა და თანამოაზრეების პოვნა, საკუთარი თავის შეგრძნობა ახალგაზრდული ქმედითი ძალის ნაწილად. ჩემი თანატოლები და ჯგუფელები კარგად იყვნენ ჩემთან, გულისყურსა და ამხანაგურ მხარდაჭერას არ მაკლებდნენ. მაგრამ მე ყველაზე დიდი დახმარება გამიწია ჩემმა თანატოლმა კი არა, ტექნიკუმის დირექტორმა ბატონმა შოთა გორდეზიანმა, რომელიც, ჩემდა მოულოდნელად, სულიერ მოძღვრად მექცა.

ის ხშირად მიხმობდ თავისთან. ჩვენი საუბრები სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობაზე (პირველ კურსზევე ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად ამირჩიეს) აუცილებლად იქცეოდა დისკუსიად. ბატონი შოთა აქებებდა ჩემს შემართებას, თვითდაჯერებულ ყმაწვილს ხალისს არ მინელებდა, გულისყურით მისმენდა და მხოლოდ იშვიათად თუ ჩაერთვებოდა ჩემს მგზნებარე საუბარში, ისიც სიტყვაძუნწად. რა კარგად მესმის ახლა, რომ ის ბევრ რამეს სხვაგვარად ხედავდა, მაგრამ თავს არ მახვევდა თავის შეხედულებას, დელიკა-

ტურად გამოთქვამდა საკუთარ აზრს და ყოველთვის მაიძულებდა, დავეჭვებულიყავი ჩემს სიმართლეში.

მან ვერ დამარწმუნა მხოლოდ, რომ აუცილებლად უნდა გავმხდარიყავი ექიმი. ტექნიკუმის დამთავრების დროისთვის სერიოზულად დავეჭვდი ჩემი არჩევანის სისწორეში. წარჩინებულის დიპლომი სამედიცინო ინსტიტუტში უკონკურსოდ ჩარიცხვის უფლებას მაძლევდა. ბატონი შოთა წარმტაც პერსპექტივებს მისახავდა, რა საამო სიტყვებით არ მხიბლავდა: მეცნიერული მუშაობისკენ მიდრეკილება შეგნიშნე, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში ჩარიცხვის შანსიც გაქვსო, პატრიოტული გრძნობებიც შემახსენა: „ჩვენს ხალხს მაღალი დონის მედიცინა სჭირდება. შენ შეგიძლია კარგი ექიმი დადგე. შენ ექიმი უნდა გახდე!“

ყველაფერი ამაო იყო, იმდენად ვიყავი საზოგადოებრივ საქმეებში ჩაფლული, რომ სხვაზე არაფერზე ფიქრი არ შემეძლო. და, როცა კომკავშირის რაიკომში დამიბარეს და ინსტრუქტორის თანამდებობა შემომთავაზეს, დავთანხმდი.

ჩემმა მშობლებმა, ვიდრე სული ედგათ, ეს ვერ მაპატიეს. წლების შედეგ, როცა უკვე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად ვმუშაობდი, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, დედამ მითხრა: „შენ საზოგადოების სნეულებათა მკურნალობას მოჰკიდე ხელი. ფუჭი საქმეა. ჯობდა, ჩემი ტანჯვა შეგემსუბუქებინა...“

რასაკვირველია, ის თავისებურად მართალი იყო. რამდენჯერაც კი სასოწარკვეთილს მიფიქრია, რომ შეუძლებელი იყო დასნეულებული საზოგადოების ოდნავ მაინც გამომჯობინება, ავადმყოფის გამოკეთება, რისიმე გამოსწორება, ყოველთვის დედაჩემის საყვედური მახსენდებოდა! მაგრამ ეს საყვედური მინთებდა ცეცხლს, ჩემი არჩევანის სისწორის დადასტურებას მოითხოვდა.

ცხოვრება მცდიდა. მუშაობით გატაცება თავისას ითხოვდა. თავდაუზოგავად ვმუშაობდით. ღამის სამ საათამდე ვრჩებოდით რაიკომში, მერე კი მელოდა სიმყუდროვეს მოკლებული ღარიბული ოთახი, ხანმოკლე და მოუსვენარი ძილი და ისევ დილა, ახალი დღე, სავსე ახალი შეხვედრებით, საქმეებითა და იმედებით. ბევრნი ცხოვრობდნენ ასე, გვწამდა, უკეთ

ვიცხოვრებდით; ოღონდ კი თავი არ დაგვეზოგა და, დაბრკოლებებსა და სიძნელეებს დავძლევდით.

წლინახევრის მანძილზე ასეთი შრომის შემდეგ ტუბერკულოზი შემეყარა. სტრეპტომიცინს თავისი წონა ოქრო უნდოდა. ოქრო არ იყო, მაგრამ იყვნენ მეგობრები და იყო შესანიშნავი ბუნება. სწორედ ამან მომარჩინა. რამდენიმე თვე ვიყავი მაღალმთიან სოფელ ბახმაროში, ცხოვრებისა და მკურნალობისათვის სრულიად კეთილმოუწყობელ სოფელში. ფიჭვის მორებით შეკრული რამდენიმე სახლი, საცოდავი ამბულატორია და არავითარი კომუნალური კეთილმოწყობა. სამაგიეროდ, ბლომად იყო ზღვის ჰავასთან შეზავებული მთის გამჭვირვალე ჰაერი, ალპური ბალახებისა და ფიჭვის ტყეების სურნელით გაჟღენთილი; იყო ყინულივით ცივი წყაროები და მოჩუხჩუხე ნაკადულები, განსაცვიფრებელი ბუნება, სულს რომ ფრენას მოანდომებს, ისეთი.

ავად თითქოს არც კი ვყოფილიყავი. მაგრამ რაღაც უსიამოვნო ფიქრები დამეუფლა. ღარიბული ყოფის კონტრასტი ბუნების დიდებულ სიმდიდრესთან იმდენად თვალში საცემი იყო, რომ შეუძლებელია, ადამიანი არ დაფიქრებულიყო: ყველაფერი, რაც გვაბადია, რატომ არის გამოუყენებელი? ჩვენ, ასეთი სიმდიდრის პატრონები, რატომ ვართ ასე ღატაკები?

დოქტორინალურობამ ეჭვები ჩაახშო. მეტი ელექტროენერგია, ნავთი, ნახშირი, ფოლადი, მარგანეცი, ხორბალი, ჩაის ფოთოლი! გეგმების უფრო ჩქარი ტემპებით შესრულება! მხოლოდ ასე შეიძლება ხალხის კეთილდღეობისათვის საფუძვლის ჩაყრა, ადამიანებისათვის ცხოვრების გაუმჯობესება!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რომ გავხდი და, თითქოს, ჩემი ნება-სურვილის შესაბამისად მოქმედების შანსი გამიჩნდა, დავუბრუნდი ფიქრს რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრის, მისი შესანიშნავი საკურორტო ადგილების გამოყენების შესახებ. შევქმენით საგანგებო სამმართველო, დავიწყეთ სახსრების გამოძებნა. საქმე უდიდესი გაჭირვებით მიიწევდა წინ. ცენტრალიზებულ განაწილებაზე დაპროგრამებული სისტემა ეწინააღმდეგებოდა გონივრულ ინიციატივას. და მაინც, რაღაცის გაკეთება მოხერხდა, მაგრამ რის ფასად მოხერხდა!

ვფიქრობ, ბახმაროსთან ვალში დავრჩი და ახლა უკვე სა-

ეშკოა, ოდესმე ამოვიდე მისი ვალიდან. მთელი იმედი გარდაქმნით გამოღვიძებულ ენერგიაზეა, რომელსაც ძალუძს ადამიანების, მათი ინტელექტისა და ტალანტის, შესაძლებლობებისა და რესურსების ჩაბმა ნორმალურ და შეუფერხებელ საარსებოცხლო საქმიანობაში.

მაგრამ ეს მომავლის საქმეა, მე კი ჯერჯერობით მხოლოდ წარსულზე ვლაპარაკობ.

1951 წელს მე და ჩემი და შვებულებას წაღვერში, მთებში, სანატორიუმში ვატარებდით. ბორჯომის ხეობაში მდებარე ეს საკურორტო სოფელი ზამთარ-ზაფხულ ბავშვებითაა სავსე. დიდ საწარმოებსა და დაწესებულებებს აქ აქვთ პიონერთა ბანაკები თავიანთ თანამშრომელთა ბავშვებისათვის და მათთან სამუშაოდ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს იწვევენ. ახალგაზრდა ადამიანებს ეს საშუალებას აძლევს ბუნების წიაღში დაისვენონ და ცოტა ფულიც იშოვონ. მოცლის დროს ისინი დადიან სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში კონცერტებზე, კინოფილმებზე, ცეკვის საღამოებზე.

ასე გავიცანი ნანული ცაგარეიშვილი, ჩემი მომავალი მეუღლე.

იმ დროისათვის წარჩინებით დავამთავრე უმაღლესი პარტიული სკოლა, შევედი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე და ველოდი ქუთაისის კომკავშირის საოლქო კომიტეტში სამუშაოზე დანიშვნას. ცხოვრება თითქოს აეწყო. მშობლები და ევგრაფი ისევ მშობლიურ კუთხეში ცხოვრობდნენ, მაგრამ ახლა ჩვენ შეგვეძლო მათ მივხმარებოდით. მე ოჯახს ვაცნობე, რომ ნანულის შერთვა მქონდა განზრახული. შემომითვალეს, მოხარული ვართ, სულით და გულით გელით და მომავალი რძლის მისაღებად ვემზადებითო.

ზაფხულის ერთ დღეს მე და ნანული ბორჯომის პარკში შევხვდით ერთმანეთს. ვთხოვე ცოლად გამომყოლოდა და ველოდი პასუხს. პასუხმა გამაოგნა.

— მე არ შემიძლია შენი ცოლი გავხდე. — მითხრა ნანულიმ.

არც ისე თავდაჯერებული ვყოფილვარ, რომ სასწრაფოდ „ჰო“-ს მოსმენის იმედი მქონოდა, მაგრამ ბევრი რამ მაძლევდა იმის საბაბს, რომ უარს არ მივიღებდი. და უცებ — „არ შემიძლია!“

— არ შეგიძლია, თუ არ გინდა?

— არ შემიძლია!

— რატომ არ შეგიძლია?

— არის ერთი რამ, რაც უფლებას არ მაძლევს, დაგეთახხმო...

ვუთხარი, რომ არ ვიცი ჩვენი შეუღლებისათვის ხელისშემშლელი არავითარი მიზეზი, გარდა ერთისა: ჩანს, არ გინდა. ვერაფერი ჩაახშობს გრძნობას, თუ, რასაკვირველია, ის არსებობს-მეთქი.

— შენ ხომ ვერც კი ხვდები, როგორი ობოლი ვარ, — მითხრა ნანულიმ, — მამაჩემი დააპატიმრეს, როგორც ხალხის მტერი. მე ისიც კი არ ვიცი, ცოცხალია ის, თუ არა. შენ კი კარიერა უნდა გაიკეთო. მოდი, ვიდრე გვიანი არ არის, დავცილდეთ ერთმანეთს. მე არ გავნაწყენდები, ყველაფერს გაგიგებ...

ჩვენ დავემშვიდობეთ ერთმანეთს, რათა რამდენიმე დღეში შევხვედროდით და აღარასოდეს დავცილებულიყავით. იმან, რაც გავიგე, უკან ვერ დამახევინა.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში საუბრისას ერთმა მაღალი თანამდებობის ფუნქციონერმა მირჩია, ნანულიზე არ დავქორწინებულიყავი: ბიოგრაფიას გაიფუჭებ. მამამისი, რაკდენ ცაგარეიშვილი, დახვრეტილია, როგორც ხალხის მტერიო.

ოცდაათიანი წლების რეპრესიები საქართველოს განაკუთრებული სისასტიკით დაატყდა თავს, თუმცა, იოსებ ჯუღაშვილს, რომელსაც მსოფლიო უფრო სტალინად იცნობდა, თავისი პატარა სამშობლოსადმი თითქოს ლმობიერება უნდა გამოეჩინა. ეს თვალსაზრისი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ იგი საფუძველშივე მცდარია. კლასობრივი ბრძოლის ამოცანები და ინტერესები უგულვებელყოფენ ეროვნულ გრძნობებს. თეორია, რომლის ჩამოყალიბებაშიც სტალინმა „ფასდაუდებელი წვლილი“ შეიტანა, პრაქტიკულად დადასტურებას მოითხოვდა. თანაც, ბევრ თანამემამულესთან სტალინს თავისი ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი. რა დაავიწყებდა მას, მაგალითად, ე. წ. „ქართულ საკითხს“, როცა მისი თანაპარტიელების ჯგუფმა, საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელებმა, წინააღმდეგობა გაუწიეს მისეული „ავტონომიზაციის“ გეგმის განხორციელებას. ეს გეგმა უნიტარული სახელმწიფოს შექ-

მნას ითვალისწინებდა და მასში შემავალ ეროვნულ რესპუბ-
ლიკებს არანაირ დამოუკიდებლობას არ უტოვებდა. „ქართუ-
ლი საკითხი“ გადაიზარდა საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სა-
ხელმწიფოებრივი ფორმის შესახებ პოლემიკაში; ეს პოლემი-
კა კი თანდათან გადაიქცა „ნაციონალ-უკლონისტებთან“, რო-
გორც სტალინის ოპონენტები მონათლეს, ანგარიშსწორებად.
სტალინს სხვა პოლიტიკური ყაიდის მოწინააღმდეგეებიც
ჰყავდა. ის, რომ იტყვიან, სახით იცნობდა მათ, იცოდა, რომ
საქართველოში შემორჩა წინააღმდეგობის ბირთვი და, თუმცა
ქართველთა უმეტესობისათვის სტალინი დიდი თანამემამულე
იყო, რეპრესიათა ჯაჭვური რეაქცია მაინც განურჩევლად მოჭ-
მედებდა. მან მოიცვა ორმოციანი წლების მიწურულიცა და
ორმოცდაათიანი წლების დასაწყისიც. ცნობილია საქართვე-
ლოდან თურქ-მესხთა დეპორტაციის ფაქტი. ცნობილია რამ-
დენიმე ათასი ქართული ოჯახის გასახლება ერთადერთი მო-
ტივით: უცხოეთში ნათესავები ჰყავდათ. ეს იმავე 1951 წელს
მოხდა.

ემიგრანტებსაც „ხალხის მტრებთან“ აიგივებდნენ ისევე,
როგორც მტრებად თვლიდნენ ათასობით უდანაშაულო ადამი-
ანსაც, როგორიც იყვნენ, თუნდაც მამაჩემი და ნანულის მამა.
„ხალხის მტრების“ შესამუსრად დატრიალებული ტერორის
ბორბალი ახლა „მტერი ხალხებისკენ“ მიექანებოდა.

ცოლს რომ ვირთავდი, კარგად მესმოდა, რა შეიძლებოდა
ამას ჩემთვის მოჰყოლოდა: პარიებში, განკიცხულებში ჩა-
რიცხვა აქედან გამომდინარე ყველა შედეგითურთ. ასეთი მა-
გალითები საკმაოზე მეტი მქონდა თვალწინ.

ჩემი ამბავი შეიძლებოდა მოგვექცია რუბრიკის ქვეშ:
„როცა გრძნობები ამარცხებენ გონებას“, ყველაფერი ბევრად
უფრო რთულად რომ არ ყოფილიყო.

მე არ ვაკნინებ ჩემი გრძნობების ძალას, მაგრამ არც ჩემი
მაშინდელი მრწამსის დამდაბლება მინდა. თავს უფლებას მივ-
ცემ, ერთი რამ ვაღიარო: ჩემი გონება შეძრწუნებული იყო
იმით, რაც ირგვლივ ხდებოდა. იმ დროს კვლავ დაუწყეს დევ-
ნა ასობით პატიოსან კომუნისტს. ბევრ მათგანს პირადად ვიც-
ნობდი, ზოგმა მათგანმა მონაწილეობა მიიღო ჩემი ბედის
წარმართვაში. ისინი ჩემი კეთილისმყოფელნი იყვნენ. მე სტა-
ლინისა მწამდა, მაგრამ ამ ადამიანების დამნაშავეობა ვერ

ვირწმუწე. ასეთი გაორების დროს ხსნა იყო ბზრი: „სტალინმა არ იცის, რა ხდება!“ და კიდევ, ალბათ, უმთავრესი სწორედ ეს იყო: — ჩემს არსებაში დაიძრა რაღაც, პროტესტის მსგავსი გრძნობა ყველას მიმართ, ვისაც კი ჩემს მაგიერ შეიძლებოდა მოსურვებოდა ჩემი ბედის გადაწყვეტა. ჩემში გაიღვიძა პროტესტმა თვით იდეის — უმრავლესობის ნებისადმი პიროვნების ინტერესთა უსაზღვრო მორჩილების იდეის მიმართ. ის კოლექტივიზმი, რომელსაც მე ძალ-ღონის უშურველად ვემსახურებოდი, პირდაპირ სასწაულებს ახდენდა, როცა ყამირს ტეხდა, ფაშიზმს ამარცხებდა, ქვეყანას ნანგრევებიდან აღადგენდა. და ეს დიადი სიმართლე იყო. მაგრამ იგივე კოლექტივიზმი იქცეოდა საშინელ უსამართლო ძალად, როცა ის ადამიანს ათანაბრებდა ჭანჭიკთან, რომლის დამტვრევა იოლი საქმეა. და, თუ ადამიანი მხოლოდ ნაწილია მანქანისა, ვფიქრობდი მე საკუთარ თავთან განმარტოებისას, მაშინ რა მოუვა თვით მანქანას, განუწყვეტლივ თუ მოვამტვრევთ და მოვაძტვრევთ ყველაზე საჭირო დეტალებს?

როცა წლების შემდეგ მანქანამ ჩემს თვალწინ იწყო დაშლა, გამახსენდა ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი შფოთიანი ფიქრები. 1951 წელს კი მე უბრალოდ დავუსვი ჩემს თავს კითხვა: სიძულვილს რატომ უნდა შეეწირო ჩემი სიყვარული?

* * *

1953 წელს გარდაიცვალა სტალინი. იმავე წელს სიკვდილით დასაჯეს ბერია.

1956 წელს გაიმართა პარტიის XX ყრილობა. მასზე „სტალინის ეპოქის“ დანაშაულობებზე „საიდუმლო“ მოხსენებით გამოვიდა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. ამ მოხსენებაში მოხმობილი მონაცემები და ფაქტები ეჭვს არ იწვევდა: მათ ადასტურებდა ჩემთვის ცნობილი მრავალი ადამიანის ბედი. მაგრამ შემაძრწუნა პირდაპირმა კავშირმა ტერორისა და რეპრესიების პოლიტიკასა და სტალინის მოღვაწეობას შორის. ეს იყო ცხოვრებისა და რწმენის რღვევა — საშინელებაა იმის გაცნობიერება, რომ შენ ჭეშმარიტ ღმერთს არ ეთაყვანებოდი, რომ შენ მოტყუებული ხარ.

სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკამ ტკივილი მია-

ყენა ჩემს ეროვნულ გრძნობას. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ სტალინი ქართველი იყო. ხრუშჩოვმა, ნებსით თუ უნებლიედ, ქართველთა თავმოყვარეობის შემლახველი გამოთქმების უფლება მისცა თავს. ნიკიტა სერგეს ძემ მოტანილი ფაქტები არ იკმარა, კარგა ხნის მანძილზე აბუჩად აგდებული და განაწყენებული კაცის ემოციები ნებაზე მიუშვა და მკვდარი „პატრონის“ მისამართით დამამცირებელი გამოხდომები იკადრა, ის სტალინს ხატავდა არა მარტო ტირანად (ტირანი ნამდვილად იყო კიდეც), არამედ ძალიან უვიც და ჩერჩეტ კაცადაც. თუ ის ნამდვილად უჭკუო იყო, — კითხულობდნენ ბევრნი, — როგორღა შეძლო ძლევამოსილი სახელმწიფოს შექმნა და მილიონების აყოლიება? როგორ შეძლო გამხდარიყო თავისი დროის გამოჩენილ პოლიტიკოსთა ღირსეული თანამოსაუბრე და პარტნიორი? მხოლოდ ვერაგობით, სისასტიკით, ძალმომრეობით, ეშმაკობით? ეს შეუძლებელია! ახლა ვფიქრობ, რომ 1956 წლის მარტის დღეებში ქართველი ახალგაზრდობის შფოთის მიზეზი იყო ეროვნული გრძნობის შელახვაზე ბევრად უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი რამ, ეს იყო გაუცნობიერებელი პროტესტი ბრძოლის იმ აღიარებული ხერხების წინააღმდეგ, რომლებიც ემყარებოდა უღირსი საშუალებებით ბოროტების ამოძირკვას, უსამართლობის უსამართლობით აღმოფხვრას. ბოროტების დამამხობელი იმოსებოდა წმინდანის სამოსლით, ის კი წმინდანი არ იყო და ვერც იქნებოდა.

ბევრს მაშინვე დაებადა კითხვა: მასობრივი რეპრესიების წლებში რა როლს ასრულებდა ხრუშჩოვი? ოცდაათიან წლებში მას ხომ დიდი თანამდებობები ეკავა.

ეს საკითხი დღესაც ბოლომდე არ გარკვეულა, მაგრამ მრავალი წყარო მიგვითითებს, რომ ხრუშჩოვსაც თავისი წვლილი მიუძღვის „დიდ ტერორში“.

1956 წლის 9 მარტისათვის თბილისში მრავალათასიანი მიტინგები გადაიზარდა მსვლელობებსა და დემონსტრაციებში, რომლებიც განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო რუსთაველის პროსპექტზე. დემონსტრანტები პეტიციებითა და საპროტესტო დეპეშებით მიადგნენ კავშირგაბმულობის სახლს და მიიღეს მომაკვდინებელი პასუხი: ავტომატური იარაღის ზალპი. მტკვრის სანაპიროზე ტანკები დაიძრნენ.

ოფიციალური მონაცემებით, იმ დღეს ათობით ადამიანი დაიღუპა, მრავალი დაიჭრა.

მართალი არ არის, თითქოს მოსახლეობის წინააღმდეგ მძიმე საბრძოლო ტექნიკა პირველად ბუდაპეშტში გამოიყენეს 1956 წლის ოქტომბერში. განსხვავებული აზროვნების წინააღმდეგ არგუმენტად ტანკი პირველად გამოჩნდა თბილისში იმავე 1956 წლის მარტში.

ორმოცდაათიან-სამოციანი წლების აღმოსავლეთ ევროპის შემზარავ ამბებში, ჩემი აზრით, 1956 წლის თბილისური მარტი ირეკლება. ძე და ჩემი თაობა სამუდამოდ განვიმსჭვალეთ „1956 წლის კომპლექსით", — ძალმომრეობის, როგორც პოლიტიკის მეთოდისა და პრინციპის, მიუღებლობის კომპლექსით.

ტანკი და ავტომატი ყოველთვის გამოიყენება არგუმენტად მხოლოდ სათანადო იდეოლოგიურ „უზრუნველყოფასთან" ერთად. შეუძლებელია გაამართლო ტონობით მომაკვდინებელი ფოლადის დაპირისპირება ადამიანის დაუცველ სხეულთან, ვიდრე ამ ადამიანს არ გამოაცხადებ ხალხისა და საზოგადოებისათვის საშიში იდეის, თანაც იმდენად საშიში იდეის მქონედ, რომლისგან დაცვა ტანკის ჯავშანსა და ფეთქებად ტყვიასაც კი მუდამ როდი შეუძლია. კაცმა რომ თქვას, ჯალათს ყოველთვის წინ უსწრებდა ინკვიზიტორი. ნაჯახი და ჯალათის კუნძი ყოველთვის რწმენის დოგმატებით იყო კურთხეული. ამ თვალსაზრისით, შუა საუკუნეების აუტოდაფეები ოცდაათიანი წლების პროცესებისგან დიდად არ განსხვავდება.

ასეთივე სქემით ფასდებოდა 1956 წლის თბილისური მოვლენებიც. მოსკოვიდან ჩამოსულმა მარქსიზმის „თეოლოგებმა" დემონსტრაციები და მიტინგები გამოაცხადეს იმპერიალიზმის ხრიკების ნაყოფად, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთად, — უფრო კონკრეტულად, — ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაღუპულები და დაჭრილები დამნაშავეები გამოვიდნენ. ისინი ან თვითონ იყვნენ მტრები, ან მტრის პროპაგანდის გავლენის ქვეშ მოექცნენ და ამიტომ მიეზღოთ დამსახურებისამებრ.

ამ კატეხიზისს უნდა მოჰყოლოდა მონანიებაც. მაგრამ ვერ მიაღწიეს. სხვა დრო დადგა. ადამიანთა ქცევას სხვაგვარი აზრები წარმართავდა. ბევრი არ დაყაბულდა ზემოდან თავსმოხ-

ვეულ „ვერსიას“, აშკარად და გაბედულად გამოვიდა მის წინააღმდეგ. მათ შორის ჩემი მეგობრებიც იყვნენ.

მაშინ მე ქუთაისის კომკავშირულ ორგანიზაციაში ვმუშაობდი. მთელ რესპუბლიკაში ტარდებოდა კრებები, რომლებზეც, მათი ორგანიზატორების განზრახვით, გადაჭრით და საბოლოოდ უნდა დაეგმოთ „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი“. საერთო-საქალაქო კრებაზე თავს უფლება მივეცი, არ დავთანხმებოდი თბილისში მომხდარი მოვლენების ამგვარ შეფასებას. ვთქვი, რომ მიტინგისა და დემონსტრაციების დაშლის დროს მოკლულთა შერაცხვა ნაციონალისტებად არა მარტო ზნეობის თვალსაზრისით არის დაუშვებელი, არამედ პოლიტიკურადაც საშიშია. ვთქვი, რომ საზოგადოებაში გაბატონებულ განწყობილებათა ჩახშობა ძალისმიერი საშუალებებით აუცილებლად გამოიწვევს ახალგაზრდობის ყველაზე უფრო მოქმედი ნაწილის მოწყვეტას, განდგომას, პარტიის ახალი ხელმძღვანელობის მიერ დაგმობილი მეთოდების ხელახალი გამოყენება ჩრდილს მიაყენებს განაცხადს, რომ წარსულისკენ მიბრუნება დაუშვებელი და შეუძლებელია.

აუდიტორიამ მხარი დამიჭირა.

რამდენიმე დღის შემდეგ ამირჩიეს საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. იწყებოდა ჩემი ცხოვრების ახალი ტალღა. ხშირად მიწევდა ყოფნა მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. გავიცანი ჩემი კოლეგები, ქვეყნის რესპუბლიკური და საოლქო კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. იწყებოდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. ახალგაზრდა მოხალისეთა ეშელონები ყაზახეთსა და ალტაიში მიდიოდნენ. მე დამავალეს ქართველ კომკავშირელთა რაზმის მეთაურობა. რამდენიმე თვე ვიცხოვრეთ ყაზახეთის სტეპში, ვტეხდით ყამირს, ვაგებდით საცხოვრებელ და სასოფლო-სამეურნეო შენობებს. ურთიერთობა გვქონდა სხვა რესპუბლიკებიდან სამუშაოდ ჩამოსულ ჩვენს თანატოლებთან. იმ დროისაგან დიდადა ვარ დავალებული და მას ყოველთვის სიამოვნებით ვიხსენებ.

შესაძლოა, ჩემი ასაკისთვის იყოს დამახასიათებელი მოუბრუნებელი წარსულის გაიდეალება. სევდის ნისლწაფარებულ დროთა სიღრმეში სიჭაბუკის დღეთა ამგვარი ჭვრეტა არ ამახინჯებს იმ წლების სურათებს, არ გადარეცხავს იმჟამინდე-

ლი ცხოვრების, — მძიმე და ხელმოკლე ცხოვრების, — დეტალებს და აოც ჩემს მაშინდელ ყველა თანამგზავრს ძენს-გმირულ თვისებებს. თვალნათლივ ვხედავ ყამირის გრანდიოზული ეპოპეის ორგანიზაციაში ნაკლოვანებებს, ზოგიერთი გადაწყვეტილების უგუნურებას, გაუაზრებელ სტრატეგიულ სვლებს. ყველაფერმა ამან მიღწეული შედეგები გაანადგურა.

თვალსა და ხელს შუა ისპობოდა მთელი ქვეყნიდან ყამირზე გადასროლილი ტექნიკა. ათასობით ადამიანი ქანცგაწყვეტილი შრომობდა. მაინც ვერ ესწრებოდა გიგანტურ ფართობებზე მოსავლის აღება. მოუმკელი ნათესები იღუპებოდა, ბეღლები ვერ იტევდნენ მარცვლეულს, იფლანგებოდა მილიარდობით თანხა, ნადგურდებოდა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, იღუპებოდა ადამიანთა ნაშრომ-ნაღვაწი.

ყამირი ძვირად დაუჯდა ქვეყანას. დღეს ვფიქრობ, რომ მთელ მაშინდელ ხარჯებს ბევრად მეტი სარგებლის მოტანა შეეძლო, მარცვლის პრობლემას თუ სხვაგვარად გადავწყვეტდით. მაგრამ იმხანად სხვაგვარად მიდგომა შეუძლებელი იყო.

და მაინც, ის დრო კეთილ და დიდებულ დროდ მიმაჩნია, ოადგან, ჩემი აზრით, მან შეგვძინა ის, რაც ახალგაზრდობისთვის ყველაზე აუცილებელია: სულ არაფრიდან ცხოვრების დაწყების უნარი, როცა არაფერი არ არსებობს და შენი გონებისა და ძალისხმევის წყალობით ყველაფერი სიცარიელიდან წარმოიქმნება.

მაშინ შევხვდი პირველად იმ ადამიანებს, რომლებმაც შემდეგ თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ სტრუქტურებში. ჩვენ თავს „ყამირის ადამიანებად" ვგრძნობდით. „ძვირფასმა ნიკიტა სერგეევიჩმა" კომუნიზმში ცხოვრება აღგვითქვა. პირველი საბჭოთა კოსმონავტები კოსმიურ ყამირს ითვისებდნენ. ბევრი რამ, რაც მემკვიდრეობად გვერგო, უნდა გადასინჯულიყო. ყოველ შემთხვევაში, მე დიდი წინათგრძნობით ვცოცხლობდი და ამიტომ განსაკუთრებული გულისყურით ვაკვირდებოდი ჩემს თანატოლებს.

* * *

ჩემს ახალ ნაცნობებს შორის იყო მიხეილ გორბაჩოვიც, სტავროპოლის კომკავშირის სამხარეო კომიტეტის პირველი

მდივანი. ჩვენ ერთმანეთი გავიცანით მოსკოვში, ალკკ ცენ-ტრალური კომიტეტის პლენუმზე. მე მასთან ბევრი რამ მაახ-ლოებდა, ბევრი რამის გამო მინდოდა მისი უკეთ გაცნობა. ჩემსავით გლეხური ფესვები, სიყრმიდანვე ჩემსავით მიწაზე მუშაობა, ხალხის ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა. ნამდვი-ლად განათლებული და ერუდირებული იყო. გეოგრაფიული მეზობლობა და საერთო საზრუნავი განაპირობებდა სხვაგვარ არაფორმალურ, საქმიან „მეზობლობასაც“.

მაგრამ იყო კიდევ რაღაც ისეთი, რაც მას ჩემს თვალში სხვებისგან გამოარჩევდა. მას აბსოლუტურად არ ახასიათებდა რაღაც დაყენებული, ნაძალადევი კომკავშირული მანერები, რომლებიც მე ყოველთვის მაღიზიანებდა. და, რაც მთავარია, მისი აზრები არ თავსდებოდა აზროვნების დაწესებული ნორ-მატივების ჩარჩოებში.

ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს მოსკოვში, თბილის-ში, მის მხარეში; ხშირი სატელეფონო კავშირი გვქონდა და თანდათან, ჩვენთვისაც შეუმჩნევლად, ყველაზე იდუმალ ზრახვებს ვუმხელდით ერთმანეთს.

ჩვენი ნაცნობობის სამ ათწლეულს თუ თვალს გადავავ-ლებთ და სამოცდაათიანი წლების დასასრულსა და ოთხმოცა-ნი წლების დასაწყისში გადავინაცვლებთ, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: მყუდრო პარკი შავი ზღვის უკაცრიელ ნა-პირზე ბიჭვინთის კონცხის მიდამოებში. ხეივანში აუჩქარებ-ლად ბოლთას ვცემთ ჩვენ ორნი. ეს იყო „ტყეში გასეირნება“ შორს მიმავალი შედეგებით. იმ დროისთვის მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი, — სკკპ ცკ-ის მდივანი, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, — და მე, — საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი, ასევე პოლიტბიუროს წევრობის კანდიდა-ტი, — უკვე არ ვუმალავდით ერთმანეთს ჩვენს ზრახვებს.

აქ მინდა გიამბოთ ერთი ეპიზოდი, რომელიც ნათელს გახ-დის, როგორ ვენდობოდი მას და რა ხასიათისა იყო ეს ნდობა.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში რაიონულ ცენტრში, აბაშაში, დაიწყო ექსპერიმენტი: სასოფლო-სამეურნეო შრო-მის ანაზღაურებისათვის ინერგებოდა ახალი სისტემა. ანაზღა-ურება სხვადასხვაგვარი იყო შექმნილი პროდუქციის ღირე-ბულების, ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით. ამ რაღაც მეცნიერულისმაგვარ განმარტებას თუ გავშიფრავთ, მივიღებთ

სრულიად უბრალო რამეს: კარგად იმუშავე და კარგად აგენაზღაურდება. დასავლელი მკითხველი ვერ გამიგებს: რა არის ამაში „ექსპერიმენტულ-ნოვატორული?“ ამ უმარტივეს პრინციპზეა დაფუძნებული ყოველნაირი საქმე: ადამიანი დაინტერესებული უნდა იყოს თავისი შრომის შედეგით. ნებისმიერი სამეურნეო საქმე ნაყოფიერი რომ იყოს, გასათვალისწინებელია მეურნის ინტერესი.

ვაი რომ, ამას საბჭოთა მკითხველი გაუშიფრავადაც გაიგებს. მან იცის: ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობა ისეა აგებული, რომ ადამიანს ხშირად ხელს არ აძლევს კარგად მუშაობა. შრომის ანაზღაურება მისი დანაკარგებისა და ხარისხის ადექვატური არ არის. „თქვენ თავი ისე გიჭირავთ, ვითომ გასამრჯელოს გვიხდით, ჩვენ კი თავი ისე გვიჭირავს, ვითომ ვმუშაობთ“, — საბჭოთა მუშური ფოლკლორის ეს პატარა ნიმუში შესანიშნავად გადმოსცემს საქმის ვითარებას.

მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ზედმეტი ღირებულებისა და პროდუქციის უზომოდ დიდი რაოდენობით მითვისებაში, არამედ ფუნდამენტურ თეორიულ პრინციპში, რომლის თანახმადაც მშრომელის „კერძომესაკუთრული ინსტინქტის“ წახალისება არყევდა თვით სოციალისტური წყობის საფუძვლებს. საზოგადოებრივი მეურნეობა რომ არაეფექტური გახდა, — ეს მეორეხარისხოვან საქმედ ითვლებოდა, მთავარი იყო პოსტულატის სიწმინდის დაცვა. იმავე აბაშის რაიონში მიწათმოქმედი — მესიმინდე, რომელიც კოლმეურნეობაში წლის მანძილზე 400 შრომადღეს გამოიმუშავებდა, თვეში საშუალოდ 10—12 მანეთს და წელიწადში 200 კილოგრამ მარცვალს იღებდა. ამის შედეგად ადამიანებმა მუშაობას თავი ანებეს და კოლექტიური მეურნეობები გაპარტახდა. და ასე ხდებოდა არა მარტო ამ რაიონში, არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში. თვით სახელმწიფოც, რომელმაც აგრარულ კომპლექსში ნაყოფიერ შრომას იდეოლოგიური და მატერიალურ-ეკონომიკური ზღუდეები დაუწესა, დიდ ზარალში ჩავარდა. ამრიგად, სახელმწიფო თავს ინადგურებდა, თითქოს თავადვე ისპობდა თავს. შეუძლებელია საღი აზრი ასეთ აბსურდს შეურიგდეს. მაგრამ მისი დაძლევაც შეუძლებელი ჩანდა.

აქ საჭიროა სიტყვა „ექსპერიმენტის“ გაშიფრვაც. ჩვენ ის

შემოვიდეთ, როგორც რაღაც დამცავი კონსტრუქცია. რომელ-საც სოციალიზმის საფუძვლების შერყევაში დადანაშაულებისგან უნდა დავეცავით. ჩვენ მხოლოდ შემოზღუდულ უბანში ვატარებთ ექსპერიმენტს, — ვეუბნებოდით იდეოლოგიურ პროკურორებს, — და ჩვენი ცდები არავის არაფრით არ ემუქრება, უბრალოდ, გვინდა ვნახოთ, რა გამოვა...

გამოსვლით კი, აი, რა გამოვიდა. მესიმინდეებს პრემიას ნატურით უხდიდნენ — გეგმის შესრულებისათვის ათ პროცენტს მარცვლით და სამოცდაათ პროცენტს — გეგმის ზევით მიღებული მოსავლიდან; ორ წელიწადში რაიონში სამჯერ გაიზარდა მარცვლის მოსავალი. 1980 წლისათვის კი ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა ხუთჯერ გაიზარდა. მოსავლის ორმოცამდე პროცენტი საოჯახო ბეღლებში ინახებოდა, სახელმწიფოც ადრინდელზე მეტს იღებდა.

ჩვენ ამაზე არ გავჩერებულვართ. აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა გარდავქმენით. თავისი მოწეული მარცვალი რომ მიიღეს, გლეხებმა საქონელი იყოლიეს. ხრუშჩოვის დროს დაწესებული კომლზე თითო ძროხის „ლიმიტი" გაუქმდა. ჩვენ პრაქტიკაში დავნერგეთ ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც კოლმეურნეობა გლეხებს გადასცემდა თავის საქონელს და კომბინირებულ საკვებს. ისინი თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში ასუქებდნენ ღორებს, რომლებსაც შემდეგ იგივე კოლმეურნეობა მათგან ყიდულობდა. შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, გაფართოვდა ყიდვა-გაყიდვის მოცულობა და რაოდენობა, რის შედეგადაც საოცარი სისწრაფით იმატა დოვლათმა; აბაშიდან მოსახლეობის დენადობამ იკლო; ახალმა შენობებმა — საცხოვრებელმა სახლებმა, ინფრასტრუქტურამ, საზოგადოებრივ-კულტურულმა ცენტრებმა, სპორტულმა ნაგებობებმა — რაიონს სახე უცვალეს.

მთლიანობაში კი ეს იყო გლეხობასა და ხელისუფლების ორგანოებს შორის ურთიერთობათა შეცვლის სასიკეთო ცდა, — ცდა იმისა, რომ გაგვება ახალი კოოპერატიული კავშირები, რათა შემდეგ აბაშის გამოცდილება მთელი რესპუბლიკისათვის გაგვეზიარებინა.

გორბაჩოვი, რომელიც მაშინ სოფლის მეურნეობას უძღვებოდა, მხარს გვიჭერდა. ერთხელ, როცა აბაშის ექსპერიმენ-

ტის გასაცნობად ჩამოვიდა, მთხოვა, რომელიმე საკარმიდამო მეურნეობა მეჩვენებინა.

— ნადარეიშვილთან წავიდეთ, — ვუთხარი რაიკომის მდივანს, გურამ მგელაძეს, რომელსაც ფერი ეცვალა: ყოფილი ფრონტელი, ომის ინვალიდი ნადარეიშვილი თავის საკარმიდამო მამულში ათ მეწველ ძროხას უვლიდა. ყველა საბჭოური საზომით ის კულაკი იყო.

— წავიდეთ, წავიდეთ! — დავიჩემე მე, — დაე, ნახოს მიხეილ სერგის ძემ, რას აღწევს ზედმეტი შეზღუდვებისგან განთავისუფლებული მეურნე.

წავედით, დავათვალიერეთ იქაურობა, ნადარეიშვილს ვესაუბრეთ. შემდეგ გორბაჩოვმა მკითხა:

— შენი აზრით, ვინ არის ეს კაცი?

— ფერმერია, — ვუთხარი, — შეძლებული მეპატრონეა. მაგრამ, თუ გნებავთ, შეგვიძლია განვაკულაკოთ, — არც ფერმა იქნება, არც რძე, არც დოვლათი.

გორბაჩოვმა გაიცინა.

— განკულაკება, რასაკვირველია, შეიძლება, რათა „თეორეტიკოსები“ არ გაგვიბრაზდნენ. მაგრამ ასეთი „კულაკები“ გარეშე სოფელი როგორ დავაყენოთ ფეხზე?

ერთმა „თეორეტიკოსმა“, ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკმა, ერთხელ უთხრა მგელაძეს:

— საქონლის სულადობისა და ნაყოფიერების გაზრდა კარგი საქმეა, მაგრამ მარქსისგან დაცილებაც არ ივარგებს.

ეს ვუამბე გორბაჩოვს. მან გაიცინა, მწარე იყო ეს გაცინება.

არსებითად, იმ ყოველწლიური ზამთრის შეხვედრების დროს სხვა სალაპარაკო არ გვქონდა. ვსაუბრობდით უუფლებო ადამიანზე, რომელიც შებორკილია უამრავი უაზრო შეზღუდვით, რაც მას ხელს უშლის, რომ მუხლჩაუხრელად იშრომოს საკუთარი ინტერესებისა და საზოგადოების სასარგებლოდ; ვსაუბრობდით დაუძლურებულ ეკონომიკაზე, მისი მთავარი და გადამწყვეტი ბურჯის, — მშრომელი კაცის, — მდგომარეობაზე, პარადოქსულ სიტუაციაზე, როცა მარცვლოვანი კულტურებისათვის ვარგის კოლოსალურ ფართობებს და მსოფლიოში ყველაზე მდიდარ შავმიწა ნიადაგს ვფლობთ,

ქვეყანას კი მარცვალი შემოაქვს; როცა სატყეო მეურნეობათა უზარმაზარი კომპლექსი გვაქვს და არ გვყოფნის სამშენებლო ხის მასალა, ავეჯი, ქაღალდი; ქვეყანა აწარმოებს ყველაზე მეტ ფოლადსა და ენერგოგამტარებს და მაინც ლამის მშიერია.

ვსაუბრობდით ჩვენი ცხოვრების მრავალ შეუსაბამობაზე და ვრწმუნდებოდით, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო.

1979 წლის დეკემბერში ჩვენ გაზეთებიდან თითქმის ერთ-ღროულად შევიტყვეთ საბჭოთა ჯარების ავღანეთში შესვლა. სასწრაფოდ შევხვდით ერთმანეთს აზრთა გასაზიარებლად და შევთანხმდით, რომ ეს იყო საბედისწერო შეცდომა, რომელიც ქვეყანას მძიმე დღეში ჩააგდებდა.

იმ წლებში ჩვენ ჯერ კიდევ ასე პირდაპირ არ ვუკავშირებ-დით საგარეო პოლიტიკურ საქმეებს საბჭოთა კავშირის საში-ნაო სიტუაციას, თუმცა ჩვენთვის, ორივესთვის, ცხადი იყო: საგარეო პოლიტიკას თუ არ შევცვლიდით, მას თუ უნდობ-ლობის მთავარ ფაქტორებზე — ძალისმიერ კომპონენტსა და იდეოლოგიურ „გზის მაჩვენებლებზე" — ორიენტაციას არ ჩამოვაცილებდით, მაშინ ნდობას ვერ მოვიპოვებდით.

ეს იდეები გორბაჩოვს მაშინ არ ჩამოუყალიბებია. მომა-ვალი ისევე ნისლით იყო დაბინდული, როგორც შეღამებისას ცა ზღვაზე ცივ ზამთარში.

ბიჭვინთაში ჩვენი საუბრებიც განვლილი გზის ერთგვარი შედეგი იყო. ეს საუბრები რომ შემდგარიყო, ორივეს დიდი გზა უნდა გავევლო. ყველა ტრადიციული საზომით, ეს იყო ალმა მიმავალი გზა, წარმატების გზა. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა. ჩვეულებრივი, რომ არ ვთქვა ობი-ვატელური, თვალსაზრისით, ჩვენ ქუდბედიანი კომკავშირულ-პარტიული ფუნქციონერების კარიერას ვიქმნიდით. მაგრამ თუ სხვა განზომილებებიდან ამოვალთ, ეს იყო გზა სინამდვი-ლის სიღრმისაკენ, გზა არსებული მდგომარეობის შემაპირობ-ებელ მიზეზთა წვდომისა და ამ მდგომარეობიდან გამოსავ-ლის დაძაბულად ძიებისა.

თავიდან ჩემთვის ეს ძიებები საქართველოთი ისაზღვრე-ბოდა. ეს საზღვრები იფარგლებოდა ჩემი, — როგორც რეს-პუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, შემდეგ პარტიის რაიონული კომიტეტების პირველი მდივნის, მოღვაწეობით. იმ პერიოდში რაიონი იყო რესპუბ-

ლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მექანიზმის ძირითადი რგოლი. პარტიის რაიკომი კი იყო პარტიულ-სახელმწიფოებრივი იერარქიული პირამიდის საფუძველი. რაიკომის პირველი მდივნის ძალაუფლება რაიონში მხოლოდ ერთი შეხედვით იყო ზღვარდაუდებელი. სინამდვილეში იმდენი შეზღუდვა არსებობდა, რომ ხელმძღვანელი, რომელსაც ეწოდა რაიონისთვის სასარგებლოდ და სახეიროდ ემოქმედა, ხელფეხშებორკილი იყო. ბორკილების დასამსხვრევად ის „მაღლა უნდა გასულიყო", მაგრამ იქაც, ხელისუფლების ზედა ეშელონებშიც, ჩანდა ამ ეშელონების სრული დამოკიდებულება კიდევ უფრო ზემდგომი ორგანოებისგან.

საწყისი რგოლი, რაიკომი, ხომ სულ პატარა რგოლია, რაიკომის მდივნის სამოქმედო სივრცეც ხომ შემოფარგლულია, მაგრამ მას გამუდმებით აქვს საქმე მთლიან სისტემასთან. მოაზროვნე ადამიანისთვის ამ სისტემის ნაკლოვანებები აშკარაა, ხოლო ვისაც რაღაცის გაკეთება და ვითარების გაუმჯობესება სწადია, იმისთვის ეს ნაკლოვანებები აუტანელია.

საერთოდ თუ შესაძლებელია ლაპარაკი რაიონის სუვერენიტეტზე, სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტაში მის დამოკიდებულობაზე, მაშინ შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ჩემი მთავარი საზრუნავი, მთავარი პრობლემა, სამწუხაროდ, გადაუჭრელი პრობლემა. შემდეგ ის ჩემთვის რესპუბლიკური მასშტაბის პრობლემად იქცა. მე, რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, შემდეგ კი სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, ხშირად უმარტივესი საკითხის გადაჭრაც კი არ შემეძლო, თუ ცენტრში ქედს არ მოვიდრეკდი კრედიტებისა და მატერიალურ კეთილდღეობათა ყოვლისშემძლე განმკარგულებელთა წინაშე. მოსკოვის დაუკითხავად, მისი ნებართვის გარეშე ნაბიჯსაც კი ვერ გადავდგამდით— ვერც ელსადგურებს შევქმნიდით, ვერც უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში შემსვლელი ქართველი ყმაწვილების მოსამზადებელ სკოლებს დავაარსებდით, ვერც მეჩაიეობისა და ვერც საზოგადოებრივი დანიშნულების დიდი ობიექტების მშენებლობის ძირითად ფონდებს განვაახლებდით. და, რაც არ უნდა თქვან ჩემზე ჩემმა თანამემამულე კრიტიკოსებმა, რესპუბლიკის, — სსრკ კონსტიტუციის მიხედვით, დამოუკიდებელი სახელმწიფოს, — რეალური სუ-

ვერენიტეტის მიღწევის პრობლემა ყოველთვის იდგა ჩემს წინაშე.

საგანგებო თემაა, თუ როგორ ვცდილობდი მე ამ პრობლემის გადაწყვეტას. მაგრამ ზოგი რამის ახსნის გარეშე მიჭირს ერთბაშად გადასვლა ამ თემაზე. პარტიის რაიონულ კომიტეტებში (ჯერ სასოფლო, ხოლო შემდეგ საქალაქო კომიტეტში) მუშაობამ ბევრ რამეზე ამიხილა თვალი. ერთბაშად ვერ მივხვდი, რომ ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის მანკიერებასა და კორუფციას შორის პირდაპირი კავშირია. ისინი ჩემთვის დიდხანს ცალცალკე არსებობდნენ და წინა პლანზე იწევდა კორუფცია, ისე, რომ სხვას ყველაფერს ფარავდა. კორუფცია იკიდებდა ფეხს. კორუფციისგან ყველაზე მეტად ზარალდებოდა „პატარა ადამიანი", რიგითი მოქალაქე. ის არ იყო დაცული არც ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების, არც სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რადგან მაფია ამ სტრუქტურებშიც აღწევდა და აკონტროლებდა მათ. ხელისუფლებისადმი ნდობა შეირყა, ყველაფერს ნაღდი ფული წყვეტდა. გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. ლპობისა და რღვევის ნიშნები განსაკუთრებით საშინელი იყო კომუნისტური და პატრიოტული ფრაზეოლოგიის დახვავების ფონზე. მატერიალურ ფასეულობათა დატაცების შესანიღბავად გამოიყენებოდა ყველაზე ძვირფასი ცნებები. ჩემთვის ბრძოლა კორუფციასთან, იატაკქვეშა ბიზნესთან, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ზედა ფენებში გაბატონდა, ეროვნულ საკუთრებათა გადარჩენისათვის ბრძოლა იყო. ერი, რომელსაც დანაშაულებრივი მომხვეჭელობის მეტასტაზები ანადგურებენ, გადაგვარებისა და დაღუპვისთვის არის განწირული.

იმ წლებში რესპუბლიკის სათავეში ვასილ მჟავანაძე იდგა. საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივნის თანამდებობაზე იგი წამოაყენა ხრუშჩოვმა, რომელიც მას კარგად იცნობდა ომის წლებიდან. ვასილ მჟავანაძე, ბრძოლაში ნაცადი გენერალი, ძალზე ლმობიერი და მიმნდობი ადამიანი აღმოჩნდა. ის მე კარგად მექცეოდა და მეც ასევე ეუპასუხებდი, მაგრამ არ შემეძლო თვალი დამეხუჭა მისი ხასიათის ზოგ თვისებასა და რესპუბლიკაში შექმნილი რეალური ვითარების მისეულ გაგებაზე. ამით ბევრნი სარგებლობდნენ, ხელს ით-

ბობდა მისი უახლოესი წრეც. დრო შევურჩიე და სათქმელი გვეთხარი, ამის პასუხად ცოტა ხნის შემდეგ შემომთავაზა, დამეკავებინა საქართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა.

ალბათ, აუცილებელია იმის თქმაც, რომ მე არასოდეს არა მქონია რაღაც ეახსაკუთრებული მდგომარეობის მოპოვების პრეტენზია, წოდებებსა და თანამდებობებს არ ვეძიებდი. ვიცი, რომ ბევრნი ჩემს ამ ნათქვამს საკამათოდ გახდიან, მაგრამ ბევრნიც დამემოწმებიან, რომ მე ყოველთვის უარს ვამბობდი ე. წ. საპატიო წინადადებებზე, როცა ვფიქრობდი, რომ დაკისრებული საქმის შესაფერის დონეზე შესრულების უნარი არ მქონდა. მხოლოდ მაშინ ვიკავებდი ამა თუ იმ თანამდებობას, როცა ვრწმუნდებოდი, რომ არსებობდა რეალური მხარდაჭერა, რომელსაც ჩემს ცოდნაში ამა თუ იმ ხარვეზის კომპენსირება შეეძლო.

ასე იყო მაშინ, როცა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე დამნიშნეს, და მაშინაც, როცა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დამაწინაურეს, — ორივე შემთხვევაში დიდი მხარდაჭერა მქონდა. გვერდში მედგნენ არა მხოლოდ კოლეგები, პატიოსანი პროფესიონალები, რომლებიც მართლწესრიგის დაცვის ორგანოებში შექმნილი სიტუაციით იყვნენ შეშფოთებულნი, — ჩემთან მოვიდნენ ახალგაზრდა კრიმინოლოგები, მწერლები, კულტურის მუშაკები, ჟურნალისტები და შემომთავაზეს იდეები, წამოაყენეს წინადადებები, რომელთა რეალიზაციასაც, მათი აზრით, შეეძლო ხელი შეეწყო საზოგადოებრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებისთვის.

ჩემი ახალი სამუშაო კონცეფციის საფუძველი იყო ჯანსაღ, ცვლილებებს მოწყურებულ ძალებზე დაყრდნობა. ეს ძალები უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ შესაძლებელი იყო საზოგადოების დაცვა რამდენიმე ძირითადი დანაშაულებრივი კლანის განმხრწნელი გაელენისგან. იმ კლანებს მფარველობდნენ ეგრეთწოდებული „დიდ სახლში“. ამიტომ ბევრს მიაჩნდა, რომ სისხლის სამართლის კანონი მათზე არ ვრცელდებოდა, რომ შეუძლებელი იყო მათი დევნის დაწყება, მათთვის დამსახურებისამებრ მიზღვა, სხვების მიმართ პროფი-

ლაქტიკური ზომების განხორციელება და ამით ადამიანების დარწმუნება კანონის ძალაში.

საზოგადოებას უფლება აქვს, იცნობდეს ყველა მანკიერებას, რომლებიც მას ძირს უთხრიან. ოფიციალური პროპაგანდა კრინტს არ ძრავდა ამ მანკიერებებზე, ცენზურა ვრცელდებოდა ყველაფერზე, რასაც ასე თუ ისე შეეძლო წარმოეჩინა უკიდურესად არასასიკეთო ვითარება. მაგალითად, არ უნდა ყოფილიყო ზუსტად ცნობილი ნარკომანიის გავრცელების ხასიათი და მასშტაბები. საჭირო ხდებოდა შემოვლითი გზების ძიება. ასე წარმოიქმნა იდეა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტისა, რომლის კვლევის შედეგები შეიძლებოდა ფართო საზოგადოებრიობისთვის ხელმისაწვდომი გაგვეხადა. პრაქტიკაში დაინერგა რეგულარული შეხვედრები პრესასთან, უხვად ქვეყნდებოდა ცნობები დანაშაულობებზე და, მართალია, ცენზურა მათ ბარიერებს უქმნიდა, ინფორმაცია მაინც იკვალავდა გზას საზოგადოებისკენ.

შემდგომ საზღვარგარეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები იმ წლების სამართალდაცვით პრაქტიკაში კანონიერების დარღვევების შემთხვევათა შესახებ. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ასეთი შემთხვევები არ ყოფილა. ტოტალიტარულ სახელმწიფო პენიტენციალურ სისტემასაც ახლავს ტოტალიტარიზმის ყველა შემზარავი ნიშანი და ერთი ადამიანი ვერ შეძლებს თვით სახელმწიფოს არსის შეუცვლელად ამ სისტემის რეფორმირებას. საგამომძიებო პერსონალისა და ციხის თანამშრომელთა წმენდა, შინაგან საქმეთა ორგანოებში კომკავშირულ-პარტიულ სამუშაოზე გამოცდილი კადრების გაგზავნა საქმეს ვერ შველოდა. ცხადი იყო მიღებული კონცეფციის შეზღუდულობა, მაგრამ იმ მომენტში მე მეტის გაკეთება არ შემეძლო. ცეცხლივით მეშინოდა ბერიევშჩინის რეციდივებისა. ამიტომ უარვყოფდი ყველაფერს, რასაც შეიძლებოდა გამოეწვია „კუდიანებზე ნადირობის“ ჯაჭვური რეაქცია. იმ შემთხვევაშიც კი, როცა საფრთხე უშუალოდ მე მემუქრებოდა, არ ვიჩენდი პირად დაინტერესებულობას, უარს ვამბობდი სათანადო გამოძიებაზე.

როცა შემდეგ მეკითხებოდნენ, თუ რამდენად სწორი იყო ამგვარი ფაქტები, მე მათ მითიურ ფაქტებს ვუწოდებდი. მაგრამ მითი არ იყო ის, რომ აშკარად ესწრაფვოდნენ შინა-

გან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან ჩემს გადაყენებას და მე ამ სწრაფვაში ვხედავდი ჩემგან გატარებულ ღონისძიებათა წარმატებას. ეს გარკვეულ სიამოვნებას მანიჭებდა.

მიზნის მისაღწევად სხვადასხვა საშუალებებს გამოვნახავდი ხოლმე. ერთ მათგანზე დღემდე მეღიმება. ჩვენმა შინაურმა მაფიოზებმა დაიწყეს დიდი ფულის შეგროვება სსრკ შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის მოსასყიდად, რათა მას თავის მოადგილედ დავენიშნე, თბილისიდან მოსკოვს გადავბარგებულიყავი და მათთვის თავი დამენებებინა. შუამავლად იგულვეს მინისტრის ახლო ნაცნობი, მსოფლიოში ცნობილი ხელოვანი. მე ის უზადო კაცად მიმაჩნდა, ამიტომ ყველაფერ ამაზე მეცინებოდა და გარიგების ჩაშლას ველოდი. ასეც მოხდა.

ეს კაცი ცოცხალია, ჯანზეა და, თუ ამ სტრიქონებს წაიკითხავს, შეუძლია ჩემი სიტყვები დაადასტუროს.

ბევრჯერ შევმცდარვარ ადამიანებში, მაგრამ არასოდეს არ ვენდობოდი ჩემამდე მოსულ ხმებს ვინმეს უპატიოსნობასა და სამსახურებრივ არაკეთილსინდისიერებაზე, ვიდრე ამაში უშუალოდ თვითონ არ დავრწმუნდებოდი. ჩვენდა სავალალოდ, დახურულ, არასამართლებრივ საზოგადოებაში ადამიანისთვის ცილის დაწამება დიდად არ უჭირთ და ყველას როდი აქვს საშუალება, რომ უსამართლოდ მოცხებული ჩირქი მოიშოროს. ეს ბევრს დამართვია და ახლა ჩემი ჯერიც დადგა. მაგრამ ამჯერად ამაზე სიტყვის გაგრძელება არ მინდა. ეს წიგნი კლიტის ჭუჭრუტანა კი არ არის, რომ იქიდან ჩემი პირადი ცხოვრების წვრილმანები ათვალიერონ, იგი გასაღებია კარის გასახსნელად და უფრო ფართო ხასიათის მოვლენათა დასანახავად. ყოველ შემთხვევაში, ჩანაფიქრი ასეთია და როგორ განხორციელდება, — ეს სხვა საქმეა.

ასე იყო: შინაგან საქმეთა მინისტრობისას და საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივნის თანამდებობაზეც ბევრისთვის არასახარბიელო გადაწყვეტილებების მიღება მიხდებოდა. მაგრამ ვისთვის იყო ეს ღონისძიებები არასახარბიელო? არა მგონია, რომ ქართველი ებრაელებისთვის, რომლებსაც ისრაელში გამგზავრებაზე უარს ეუბნებოდნენ, მე კი მათ წასვლის ნება დავრთე. ერთხელ ერთმა მათგანმა

შემახსენა ჩემს მიერ იმ წლებში ნათქვამი ფრაზა: „დროა ემიგრანტში მტერს აღარ ვხედავდეთო“. რას იზამ, თუ ძე ნამდვილად ვთქვი ასეთი ფრაზა, გამოდის, რომ სწორად ვაზროვნებდი.

ვფიქრობ, სწორად ვაზროვნებდი მაშინაც, როცა ვეძებდი გზებს, საშუალებებს, შესაძლებლობას ცენტრალურ უწყებათა ზღვარდაუდებელი დიქტატის შესასუსტებლად, ანუ იღ-მინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ძალმომრეობის დასაძლევად. იგი რესპუბლიკას ართმევდა ყოველგვარ დამოუკიდებლობას.

ამბობენ, ინიციატივა ისჯება. მითუმეტეს ისჯება ის ინიციატივა, რომელიც ხელყოფს სისტემის წმიდათაწმიდას — მის უფლებას, გადაწყვიტოს, თქვენ რა უნდა აკეთოთ და როგორ უნდა აკეთოთ; თუ ხელყოფს იმის უფლებას, რომ თავისი ნებისამებრ გმართოთ თქვენ. პოლიტიკაში, სადაც სწორი საშუალებების შეურჩევლად ვერავითარი კეთილი მიზანი ვერ მიიღწევა, რეალური სიტუაციის ადექვატურად გვიხდება საშუალებათა არჩევა. რეალური სიტუაცია კი ისეთი იყო, რომ არსებულ წყობასთან აშკარა დაპირისპირება წინასწარვე მარცხისთვის იყო განწირული. როგორც უკვე ვთქვი, სიახლეების დანერგვა ექსპერიმენტების სახით გვიხდებოდა. ამ ექსპერიმენტების მცირე მასშტაბები იძლეოდა სისტემის დამცველთაგან შეწყნარების გარანტიას; ხოლო ექსპერიმენტების შედეგები ქმნიდა წამოწყების უფრო ვრცელ ტერიტორიაზე გაშლის რაღაც შანსს. „ექსპერიმენტი“ იქცა საგანთა არსებული წესრიგის შეცვლის მოსურნე ადამიანთა კოდად, პაროლად. ისინი ჩვენი „პოლიგონის“ ხშირი სტუმრები გახდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ შეუძლებელი შესაძლებელია.

შესაძლებელი გახდა, მაგალითად, ქალაქ ფოთში თვითმმართველობის ტერიტორიულ-დარგობრივი ორგანოს შექმნა. მის იურისდიქციაში მოქცეულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს აღარ შეეძლოთ ქალაქის საჭიროებათა არად ჩაგდება და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ მის განვითარებაში. თანაც, ეს მათთვისაც სარფიანი საქმე იყო.

მთიან რაიონებში, სადაც შეუძლებელია დიდი კოლექტიური მეურნეობების შექმნა და მხოლოდ საოჯახო ფორმას

შეუძლია საქმის რიგიანად გაძღოლა, დაინერგა ეგრეთწოდებული საოჯახო იჯარა.

ყველაფერს, რასაც საღი აზრი გვიკარნახებდა, ექსპერიმენტის ფორმას ვაძლევდით: სამთო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების მშენებლობის დაფინანსებაში უცხოური კაპიტალის მოზიდვასაც, კერძო რესტორანთა ქსელის შექმნასაც, მოსავლის აღების ორგანიზაციაში კომპიუტერული ტექნიკის დანერგვასაც. შეიქმნა მექანიზებული ბრიგადები, რომელთა შრომის ანაზღაურება ბევრად აღემატებოდა ჩვეულებრივი მეურნეობებისას და, შესაბამისად, მათი შრომის ნაყოფიერებაც ბევრად მაღალი იყო.

ტრანსპორტს იჯარით ვიძლეოდით და მძღოლებს სულ რამდენიმე პირობას ვუყენებდით: ეფექტური მუშაობა, ტექნიკის კარგი მოვლა, მომსახურების კულტურა. რამდენს გამოიმუშავებთ, ვეუბნებოდით მათ, ეს ჩვენი საქმე არ არის. შემოსავლის მხოლოდ გარკვეული ნაწილი ბარდებოდა სახელმწიფოს.

უკვე იმ წლებში ნათლად ვხედავდით, რომ საჭირო იყო ფინანსებისა და ფულადი სისტემის გამოჯანსაღება. შემუშავდა საერთო-რესპუბლიკური პროექტი. მის ხორცშესხმას ენერგიულად და მიზანსწრაფულად შევუდექით.

ჩვენ შევქმენით ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციის მხარდამჭერი სახელმწიფო სისტემა. საგანგებო სამმართველო ზრუნავდა არა მხოლოდ ძეგლთა აღდგენასა და დაცვაზე, ხუროთმოძღვრების შედევრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ეროვნული კულტურისა და ისტორიის პროპაგანდისთვის, რაც შეიძლება მეტი ჩვენი თანამემამულისა და საქართველოს მეგობრის მოზიდვისთვის.

ამავე მიზანს ემსახურებოდა ადგილობრივი დღესასწაულები, მაგალითად: თბილისობა, დედაქალაქის ზეიმი, რომელმაც გააძლიერა ინტერესი ქალაქის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობებისადმი, გაამძაფრა მათი მოვლის წადილი. იმ დროს ბევრს ვფიქრობდი იმაზე, რომ მხოლოდ და მხოლოდ მაღალი იდეალებით გაერთიანებულ და ამ იდეალთა ხორცშესხმის უნარის მქონე ხალხს აქვს მომავალი. ხალხი ვერ იცოცხლებს მარტოოდენ წარსულისკენ მზერამიპყრობილი, როგორც ეს დაემართა ბევრს. ხალხს

მხოლოდ დღევანდელ დღეს და დღევანდელობის სასიკეთოდ შეუძლია — და ვალდებულიცაა, — ხორცი შეასხას თავის შემოქმედებით პოტენციალს.

მე არ ვიცნობ სხვა დედაქალაქს, სადაც ძეგლი ედგას დედაენას. თბილისში ქართულ ენას ძეგლი უდგას. მაგრამ ეს მემორიალი კი არ არის, სიმბოლოა. და კიდევ, მოწოდებაა: გიყვარდეთ დედაენა, მოუფრთხილდით მას, დაიცავით, განავითარეთ, გააუმჯობესეთ მისი შესწავლა და სწავლება! ამისთვის საგანგებო საკანონმდებლო აქტები მივიღეთ, შემოვიღეთ საერთო-რესპუბლიკური პროგრამა. მაგრამ ამასთან ერთად დაისვა რესპუბლიკის სხვა ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების მშობლიურ ენათა შესწავლის და სწვლების გაუმჯობესების საკითხიც. ასე მაგალითად, პონტოელი ბერძნების კომპაქტური დასახლების რაიონებში შემოვიღეთ ახალბერძნული ენის სწავლება.

ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირში, თბილისში, გაიხსნა პირველი უმაღლესი სკოლა მენეჯერთათვის. რეფორმების სტადიაში მყოფი რესპუბლიკისთვის სკოლა მართვის ხელმძღვანელ პერსონალს ამზადებდა. ასე შევუდექით საქართველოში ჩვენს გარდაქმნას. უფრო ზუსტად, ის პირველებმა ჩვენ დავიწყეთ, ეჭვი არ გვეპარებოდა, საქმეს თუ სწორად მივუდგებოდით, გარდაქმნა საესებით რეალური რამ იყო. ვრწმუნდებოდით, რომ ახალი კონსტრუქციების აგებით და, ამასთანავე, ძველი კონსტრუქციების ფრთხილი დემონტაჟით შესანიშნავი შედეგების მიღწევა შეიძლებოდა.

ბევრი რამ, რასაკვრველია, დამოკიდებული იყო ადამიანებზე, მათ გაბედულებაზე, შემართებაზე. ანიშნეთ მათ, სიგნალი მიეცით და ისინი მოვლენ თქვენთან, გვერდში ამოგიდგებიან. მე ეს საკუთარ თავზე გამოვცადე.

როცა თენგიზ აბულაძემ გადაიღო — ასევე „ექსპერიმენტის“ სახით — სახელგანთქმული ფილმი „მონანიება“ და ამის შესახებ მოსკოვში შეიტყვეს, ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა მითხრა:

— ამბობენ, თქვენ ანტისაბჭოური ფილმი გადაგიღიათო...

ეს უკვე კითხვა კი არა, მტკიცება იყო და მუქარაც ისმოდა.

— რატომ ანტისაბჭოური? — ვკითხე მე, — „მონანიება“ არის ფილმი იმაზე, თუ სადამდე მივყავართ ძალადობას და უკანონობას. განა ეს პრობლემა ჩვენთვის აქტუალური არ არის?

რეჟისორი რობერტ სტურუა, რომლის ნოვატორული თეატრალური დადგმები ქართული და მსოფლიო კლასიკისა პოლიტიკურად ყოველთვის მძაფრი და გაბედული იყო, მაყურებელთა ერთი ნაწილის აღტაცებას, ხოლო მეორე ნაწილის დრტვინვასა და შეძრწუნებას იწვევდა. იგი თავის მოსკოველ კოლეგებს ეუბნებოდა:

— მე არ ვიცი თქვენი პრობლემები. ჩემთან, საქართველოში, ვდგამ ყველაფერს, რისი დადგმაც მინდა და როგორც მინდა.

იმ დროს ქვეყნის სხვა ქალაქებში მწერლებსა და ხელოვანთ მხოლოდ წიგნების გამოცემის აკრძალვით ან სპექტაკლების მოხსნით როდი სჯიდნენ. გამოჩენილ კინორეჟისორ სერგი ფარაჯანოვს უკრაინაში პატიმრობა მიუსაჯეს იმ მუხლებით, რომლებსაც, მის პოლიტიკურ შეხედულებებთან და მოქალაქეობრივ პოზიციასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ის დისიდენტობისთვის გასამართლეს. საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ ფარაჯანოვი თავის მშობლიურ თბილისში ჩამოვიდა და აქ ისევ სისხლის სამართლის დამნაშავედ შერაცხეს, ისევ სხვა მოტივებით.

ჩემს მეგობრებს, ქართველ კინემატოგრაფისტებს, შეუძლიათ დამემოწმონ, თუ რა დიდი ძალისხმევა დამჭირდა საპყრობილიდან მის გამოსაყვანად, მისი, როგორც მხატვრის, გადასარჩენად, მისთვის შემოქმედებითი ცხოვრების უფლების დასაბრუნებლად.

ვიღაცამ „ზემოთ“ ესეც აღიქვა „ექსპერიმენტად“, რომლის მიზანიც იგივე იყო, რაც სხვა სიახლეებისა: საფუძვლების შერყევა.

რაღაც ამდაგვარი გავიგონე გადასახლებიდან აკადემიკოს ანდრეი დიმიტრის ძე სახაროვის განთავისუფლების შემდეგ.

ყველაფერი, რასაც ჩვენ იმ წლებში საქართველოში ვაკეთებდით, გაბატონებული იდეოლოგიის საზომებით იოლად შეიძლებოდა ანტისაბჭოურ აქციებად ჩათვლილიყო და ამის

მოსურნე საკმაოზე ბევრი იყო. ამიტომ ჩვენი ინიციატივა, ექსპერიმენტირების ჩვენი უფლება საიმედოდ უნდა ყოფილიყო დაცული. უფრო ფართოდ თუ შეეხედავთ, დაცული უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის მიერ რეალური სუვერენიტეტის მიღწევის გზათა ძიების უფლება თუნდაც არსებული სისტემის ფარგლებში. რეფორმატორობა არც ჩვენი თვითმიზანი ყოფილა და არც უფროსობის ვულის მოსაგებად მგზნებარე მოღვაწეობის იმიტაცია. არა, ჩვენ რეფორმები კონკრეტული მიზნებისთვის წამოვიწყეთ და ღირდა მათთვის იმ საშუალებების გამოყენება, რომელთაც მივმართავდით. „ფეოდალური" ვერტიკალური დაქვემდებარების პირობებში მე, სისტემის წესებით თამაშის გარდა, სხვა გზა არ მქონდა. უნდა მომეპოვებინა სიუზერენის მხარდაჭერა.

მე მივიღე ეს მხარდაჭერა და, უპატიოსნობა იქნებოდა ამის მტკიცება, როგორც ამას ჩემი ოპონენტები ცდილობენ, თითქოს მხოლოდ ბრეჟნევის მისამართით აღვლენილი ქებადიდებით მოვიპოვე იგი. პირფერობის დიდოსტატები მას უჩემოდაც მრავლად ჰყავდა. ჩვენ ზოგჯერ ვხვდებოდით ერთმანეთს და ვსაუბრობდით. მე ჩემს გეგმებს ვაცნობდი და ეს მას სიამოვნებდა. ზოგიერთი მისი ნათესავის საძრახისი ქცევის ფართოდ გახმაურებულ ფაქტებს მას უმალავდნენ. ერთი მათგანი გამძაფრებულ „აქტიურობას" იჩენდა ქართულ საქმეებში. მე ამის თაობაზე მოვახსენე ბრეჟნევს. ის აღშფოთდა, თქვა, რომ მე ვალდებული ვარ ისე ვიმოქმედო, როგორც საჭიროდ მივიჩნევ.

ჩემი გადადგომის დღეს სახალხო დეპუტატთა ყრილობის კულუარებში გავრცელდა ფურცლები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო ბრეჟნევზე ჩემი გამონათქვამები. შეეძლოთ ჩამოებეჭდათ სხვა გამოსვლებიც, რომლებშიც მე მას ვეუბნებოდი ფრიად პირუთვნელ რამეებსაც, — ეჩვენებინათ ისიც, რასაც არავინ აკეთებდა.

მე ოდესმე გამოვაქვეყნებ ამ გამოსვლებს.

პარტიის XXVIII ყრილობაზე მკითხეს, როგორ შეეფარდებდი ბრეჟნევის უწინდელ ჩემეულ ხოტბას ჩემს დღევანდელ პოზიციას. მე ვუპასუხე, რომ გენერალური მდივანი არათუ ხელს არ უშლიდა ჩვენს წამოწყებას (მას კი, რასაკვირველია, შეეძლო ხელი შეეშალა მათი, ასე ვთქვათ, „ერე-

ტიკული“ ხასიათის გამო), არამედ მხარსაც კი უჭერდა მათ. ჰოდა, როგორ მოვიქცე მე, დღეს გაბატონებული შეფასებებისა და განწყობილებების გამო უარი ვთქვა სამართლიანობაზე, წესიერებაზე, მადლიერების გრძნობაზე? ასე რომ მოვიქცე, როგორი გამოვჩნდები მე ჩემსავ თვალში?

არ შეიძლება პოლიტიკოსის სიტყვებისა და ქმედებების შეფასება მისი მოღვაწეობის კონტექსტიდან გამოცალკევებულად, არ შეიძლება მისი მოღვაწეობის საერთო მიმართულების იგნორირება. ჩემს საქმიანობაში, რასაც ჩვენმა საზოგადოებათმცოდნეებმა ზნეობრივი რევოლუცია უწოდეს, ცოტა რისკი როდი იყო. ჩვენი ექსპერიმენტები, რომლებიც „წმიდა“ დოგმებს ეწინააღმდეგებოდა, მაღალი თანამდებობის ორთოდოქსებს არა მარტო აღიზიანებდა, არამედ მათ მძვინვარებას იწვევდა და ანგარიშსწორების წყურვილით ავსებდა, და ანგარიშსწორება განა მარტო მე მემუქრებოდა!

განა შემიძლია იმის დავიწყება, თუ რა დრამატულ სიტუაციაში ვიღებდით 1978 წლის აპრილში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქართველოს ახალ კონსტიტუციას? რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა მოითხოვდა მასში ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსზე მუხლის შენარჩუნებას. ეს მუხლი იყო ჯერ კიდევ ლენინის დროს მიღებულ საბჭოთა საქართველოს პირველ ძირითად კანონში და 1938 წლის კონსტიტუციაშიც დარჩა. მაგრამ ახალ პროექტში ის არ ჩართეს მოსკოველ სახელმწიფოთმცოდნეთა მოთხოვნით: „ეს მუხლი მარქსიზმ-ლენინიზმს ეწინააღმდეგებაო“.

მე ეს ვაუწყე ბრეჟნევს, თან ჩემი შეშფოთება და შიშიც გამოვხატე. მან მირჩია, სუსლოვსა და ჩერნენკოს მოვლაპარაკებოდი, „და თუ განსაკუთრებით გაგიჭირდეს, გამაგებინეო“.

ადვილი როდი იყო მათი დარწმუნება, რომ სახელმწიფო ენის შესახებ მუხლის გაუქმება უგუნურება იყო. ჩემს არსებაში უწინდებურად ცოცხლობდა „1956 წლის კომპლექსი“. ცნობილი იყო, რომ მშობლიური ენის დასაცავად მზადდებოდა მძლავრი სტუდენტური დემონსტრაცია. მე მესმოდა, თუ რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. სესიის დღეს, მის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, განთიადზე, ტელეფო-

ნით ველაპარაკე მ. ა. სუსლოვს. მე ვთხოვე, გაეცნო ბრეჟნევისთვის ეს ვითარება, შევახსენე 1956 წელი, ვარწმუნებდი, რომ მუხლის შენარჩუნება აუცილებელი იყო და ბოლოს ვუთხარი, რომ ჩემი შეხედულებისამებრ ვიმოქმედებდი.

რამდენიც ნებავთ, იმდენი ილაპარაკონ „მანეგრსა" და „მოსკოვთან კუოკურზე". ჩვენ დიდი უბედურება ავიცდინეთ და ხალხის ნების შესატყვისი კონსტიტუცია მივიღეთ. აი, ეს იყო ჩემთვის მთავარი. მე დიდად კაფასებ მხარდაჭერას, რომელსაც იმ მძიმე დღეებში მიწევდნენ გ. ვ. კოლბინი და ზოგიერთი ამხანაგი პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან.

დიახ, მე რისკის გაწევა მიხდებოდა, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რისთვისაც მივდიოდი რისკზე. იმ შემთხვევებშიც კი ვიცოდი, როცა გარემოებები პირადად მე მიქმნიდა საფრთხეს.

განა ის არის რისკი, რომ შენი სიცოცხლე სასწორზე შეაგდო? რისკი მაშინ არის, როცა რისკს არ ეწევი, როცა საკუთარი თავის ლაჩრული დანდობით სასწორზე აგდებ ყველაფერს: ნდობას, პატივისცემას, ადამიანთა მხარდაჭერას, ლიდერობის უფლებას. როგორც ერთმა ჩემმა ძველმა მეგობარმა თქვა, ხალხს მარტო ბრძენი კი არა, მამაცი ადამიანები უნდა ხელმძღვანელობდნენ.

რა თქმა უნდა, არანორმალურია ვითარება, როცა ხელმძღვანელს გამუდმებით უწევს თავისი გაბედულების გამოცდა ექსტრემალურ სიტუაციებში. ნორმალურია მშვიდ, ექსცესებს მოკლებულ ვითარებაში მშვიდი მუშაობა. მაგრამ თუ სიმშვიდე არ არის, თუ ვნებები ბობოქრობს, — ადამიანებთან უნდა მიხვიდე და უნდა ესაუბრო.

მე ამისთვის არასოდეს ამირიდებია თავი, ისევე, როგორც არც ჩემი შეცდომების აღიარებისა შემშინებია.

გარდაქმნას ბრალს სდებენ, ეროვნული და ეროვნებათაშორისი ვნებები გაალვივეო. ეს მართალი არ არის. ეროვნული პოლიტიკის გამრუდებაზე, ხალხთა დაახლოებისა და შერწყმის თეზისის სწორხაზოვან და ვულგარულ განხორციელებაზე პასუხი ყოველთვის უკმაყოფილება და აღშფოთება იყო. ნაპერწკლები ღვიოდა უწინდელ დამარცხებათა ღველფში. მათი ხსოვნა არ ქრებოდა. ჩექმას, რომელიც გვაბიჯებდა და ბრალს გვდებდა, ყოველ წამს შეეძლო ამ ნაპერწკლების

ჩაქრობა, მაგრამ გარდაქმნამ ძალა დაუკარგა ჩექმას და ნაპერწკლები ახლა უკვე სეპარატიზმისა და ექსტრემიზმის იარლიყებმიკრული გაღვივდა. რა ვქნათ, ჩექმა მოვინატროთ და მისი დაბრუნება ვიფიქროთ?

თუ რამეა დასანანი, ალბათ, მხოლოდ ის, რომ გარდაქმნამ იმთავითვე ვერ შეიმუშავა თავისი მიზნებისა და ამოცანების ადექვატური ეროვნული პოლიტიკის კონცეფცია. ჯერ კიდევ დასაწყისში, 1986-ში განსაკუთრებით კი 1988 წელს, გამოვლინდა ღრმად წასული სენის სიმპტომები, რომლებიც ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობის არსებით რეფორმაციას მოითხოვდნენ.

პასუხს როცა ვთხოვ ჩემს თავს, ეს „პუნქტი" მთავარია. მე ხელმძღვანელობის მცირე ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ვიყავი, ვინც ზედმიწევნით ვერკვეოდი ეროვნულ რესპუბლიკათა ცხოვრების ყველა წვრილმანში, ყურმოკრულად კი არა, მთელი სიგრძე-სიგანით ვიცოდი, თუ რაოდენ სერიოზული, რთული და მრავალმხრივი იყო ის პრობლემები, რესპუბლიკის მოსახლეობას რომ აღელვებდა. ამიტომ ჩემი ზემოქმედება სწორ გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და მიღებაზე შეიძლებოდა უფრო აქტიური ყოფილიყო. მე ხომ მცირი სკოლა მქონდა გავლილი. ეროვნებათაშორისი უთანხმოებანი ხომ პრაქტიკულად რესპუბლიკის ყველა რეგიონში იჩენდა თავს. განსაკუთრებით მძიმე იყო სამოცდაათიანი წლების დასასრული და ოთხმოციანი წლების დასაწყისი. მე და ჩემს ამხანაგებს გვიხდებოდა ათიათასობით განრისხებულ და მტრულად განწყობილ ადამიანთან დაძაბული ურთიერთობა. მაგრამ ეს იყო მათთან დიალოგი, მათი გონებისა და გულისკენ სწრაფვა, მათი მოსმენისა და გაგების ცდა.

ერთხელ, 1978 წელს, სოხუმში, ოციათასიან მიტინგზე, ხალხმა უარი თქვა ჩვენს მოსმენაზე. მოქმედების ორი ვარიანტი იყო: წავსულიყავით და ყველაფერი მიგვეტოვებინა, ან გვეცადა ხალხთან საუბარი. ჩვენ ეს მეორე გზა ავირჩიეთ. ნთელ ღამეს ვითათბირეთ და გათენების უმალ მივაშურეთ სოფლებს, ქალაქებსა და მუშათა კოლექტივებს. ეს იყო წარმოუდგენლად ძნელი საქმე: ხალხთან საერთო ენის გამონახვა. ორ თვეს გაგრძელდა ეს მწვავე, ჩვენი თავმოყვარეობის შემლახავი საუბარი. მაგრამ ეს იყო თანასწორი სა-

უბარი, — საუბარი ტუქსვის, მუქარის, ლიქნისა და ქადილის გარეშე. ეს იყო ნამდვილი დიალოგი. მისი მეოხებით ჩვენ აღიცდინეთ ყველაზე საშინელი რამ — ეროვნულ ნიადაგზე სისხლიანი შეჯახებები. ნაპერწკლებს ალად აბრიალება არ ვაცალეთ.

ყველა ადამიანი მოვალეა გაუგოს მეორეს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა გრძნობები გამძაფრებულია. ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული გრძნობების გაგება, ეს ხომ ხალხის გაგებაა, იმაში გარკვევაა, თუ რა აშფოთებს ხალხს, რატომ არის ის განაწყენებული მეზობლებსა და გუშინდელ მეგობრებზე.

ჩვენდა საუბედუროდ, ამას ბევრმა ვერ გაართვა თავი, ამას ბევრი არც უფიქრდება. ჭარბობს მენტორულ-დამოძღვრითი ტონი, ქედმაღლური ლაპარაკი. ამ მხრივ, პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრიც კი სცოდავდა, სცოდავდა თვით გარდაქმნის წლებშიც კი, რესპუბლიკებში ჩადიოდნენ და ისეთ სიტყვებს წარმოთქვამდნენ, ისეთი ტონით ლაპარაკობდნენ, რომ აუდიტორია დრტვინავდა. შესაძლოა, სწორედ ასეთი ჩამოსვლები და გამოსვლები აძლევდნენ სტიმულს იმას, რასაც შემდეგში ეროვნული ექსტრემიზმი ეწოდა.

გულისხმიერების ნასახი თუ არ გააჩნია ხელისუფლებას, ის აუცილებლად მარცხდება. მეტყვიან, გულისხმიერება და ძალაუფლება ერთმანეთთან შეუთავსებელიაო. კი, ბატონო, გულისხმიერება თუ არ გნებავთ, ალღო იყოს. თუმცა, მე გულისხმიერება უფრო მომწონს, უფრო ზუსტი სიტყვაა, — მაგრამ ჩვენ ხომ ხშირად საოცრად გვაკლია ალღოც და გულისხმიერებაც.

ასევე გულწრფელად, გულახდილად მინდა ვილაპარაკო დისიდენტურ მოძრაობასთან ჩემს დამოკიდებულებაზე. ამის თაობაზე ჩემი მისამართით ბევრი კრიტიკული აზრი გამოითქვა უცხოეთის ბეჭდვით ორგანოებსა და ბოლოდროინდელ ქართულ პრესაში. შემეძლო საკამათოდ არ გამეხადა და პირდაპირ მეთქვა: დიახ, ასე იყო. მაგრამ ამჟამად არ მიმაჩნია საკმარისად მხოლოდ ამის თქმა.

სხვაგვარ აზროვნებასთან ბრძოლა მთელ ქვეყანაში წარიმართებოდა ანტისოვეტიზმთან და ნაციონალიზმთან ბრძო-

ლის დროშით. რასაკვირველია, ეს იყო საერთო-სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ფართოდ იყენებდა რეპრესიულ და პროპაგანდისტულ აპარატს. შემეძლო თუ არა მე მისი თავიდან აცილება ან შეჩერება? რასაკვირველია, არ შემეძლო. მოვალე ვიყავი, პროტესტი განმეცხადებინა. მაგრამ მაშინ, სამოცდაათიან წლებში, არც შინაგანად, ფსიქოლოგიურად, არც პოლიტიკურად ამისთვის მზად არ ვიყავი.

საქართველოს დისიდენტური მოძრაობის ბევრ მონაწილეს კარგად ვიცნობდი, ზოგიერთ მათგანთან არაერთხელ მისაუბრია. სიტყვა „დისიდენტი" იგივე იარლიყია, რომლის უკან პიროვნების ჭეშმარიტი მისწრაფებები იმალება. ისინი არავითარი დისიდენტები არ ყოფილან, — ჩვეულებრივი, ნორმალური, მაგრამ არსებული ვითარებით განრისხებული ადამიანები იყვნენ. ჩვენ უიარლიყებოდ ვსაუბრობდით და ბევრ რამეში ვეთანხმებოდი მათ, მაგალითად: დავით გარეჯის უდაბნოს უნიკალური სამონასტრო კომპლექსიდან სატანკო-საარტილერიო პოლიგონის შორს გადაწევის აუცილებლობაში. ამ სამონასტრო კომპლექსს ხომ დეტონაცია ანგრევდა; ასევე ვეთანხმებოდი ფასდაუდებელ ძველ ხელნაწერთა უკეთ შენახვისა და დაცვის მოთხოვნას. ყველაფერი ეს, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ, რაზეც ეს ადამიანები მელაპარაკობდნენ, ჩემი საზრუნავიც იყო, მაგრამ ირკვეოდა, რომ მათი მოგვარების ძალა არ შემწევდა. ვერაფრით ვერ ვახერხებდი შესაბამისი ცენტრალური უწყებების დარწმუნებას, რომ აუცილებელია პოლიგონის სხვა ადგილას გადატანა და ხელნაწერთა თანამედროვე საცავის მშენებლობისთვის ასიგნებათა გამოყოფა.

მე არ შემეძლო დაცვა იმ პირგამეხებული კაცებისა და ქალებისა, რომლებიც არსებული მანკიერებების გაკილვასა და მხილებას სულაც არ სჯერდებოდნენ და ისეთ ნაბიჯებს დგამდნენ, რომლებიც, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების თანახმად, სულაც არ იყო უწყინარი.

მაგრამ იყვნენ ასობით ახალგაზრდები — სტუდენტები, მეცნიერ მუშაკები, მწერლები, — რომლებისთვისაც სასჯელის აცდენა მომახერხებია. ჩვენ ღია დისკუსიებს ვუწყობდით ერთმანეთს. ყოველი მათგანი სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეულ მუხლს ექვემდებარებოდა, მაგრამ ეს მუხლები არ ამოქმედებულა.

ყოველ პიროვნებასთან მიმართებაში ჩემი პოზიცია ჩემს თავთან მძიმე შინაგან ბრძოლაში ყალიბდებოდა. შესაძლოა, სწორედ ამ შინაგანი ბრძოლის შედეგად მივედი იქამდე, სადამდეც მივედი და რამაც გარდაქმნის აქტიურ მომხრედ მაქცია. ამ ბრძოლამ, ისევე როგორც ქვეყნის მდგომარეობის შესახებ სიმართლის ცოდნამ, მიმიყვანა დასკვნამდე, რომ არსებულ ბოროტებათა ფესვები ცალკეულ ადამიანებში კი არ არის, არამედ სისტემაშია. და ადამიანები ამ სისტემისადმი იმიტომ არიან მტრულად განწყობილი, რომ ის ულმობელია ადამიანის პიროვნებისადმი, რომ ტოტალიტარიზმის პირობებში შეუძლებელია ადამიანის უფლებათა, მისი თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია ქვეყნის ნორმალური განვითარების უზრუნველყოფა.

„ყველაფერი დალპა. ყველაფერი უნდა შეიცვალოს", — მე ეს ნამდვილად ვუთხარი გორბაჩოვს ბიჭვინთაში 1984 წლის ზამთრის ერთ საღამოს და ამ სიტყვებზე არც დღეს ვამბობ უარს.

* * *

ალბათ, 1985 წლის შუა ივნისის იმ დღის გახსენებაც მმართებს, როცა ჩემს კაბინეტში, თბილისში, ტელეფონის ზარი გაისმა და ყურმილში გორბაჩოვის ხმა გავიგონე.

— მე შენთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული განზრახვა მაქვს. ორი რამ მინდა შემოგთავაზო, ოღონდ კონკრეტული წინადადებებისთვის ჯერ მზად არა ვარ. ორივე განზ-

რაზვა სამუშაოდ მოსკოვში გადმოსვლასთან არის დაკავშირებული.

საკმაოდ დავიძაბე, ვუთხარი, რომ თბილისში ჩემს ამჟამინდელ მუშაობას მხარდაჭერა სჭირდებოდა და ამ მხარდაჭერის იმედი მქონდა. სხვა არაფერი მინდა-მეთქი.

— გადაწყვეტილების მიღებას ნუ იჩქარებ, — მითხრა გორბაჩოვმა. — ეს ძალიან მნიშვნელოვანი წინადადება იქნება.

30 ივნისს ისევ დამირეკა.

— მინდა განვაგრძოთ ჩვენი საუბარი. საბოლოო გადაწყვეტილება მივიღეთ: საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას გთავაზობთ. ხვალ დილით მოსკოვში გელით.

სახტად დავრჩი-მეთქი, თუ ვიტყვი, გინდაც არაფერი მეთქვას. ადრე ბევრს სმენია ჩემგან, რომ ეს იყო ყველაზე მოულოდნელი რამ ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ეს ოდნავადაც კი ვერ გამოხატავდა ჩემს მაშინდელ გრძნობებს. სცადეთ, აღწეროთ განცდები ადამიანისა, რომელიც მთელი არსებით არის ჩართული თავისი პატარა სამშობლოს სატკივარში და უეცრად, ერთ წამში, საოცარმა ბიძგმა გადატყორცნა სხვაგან.

ჩემს კაბინეტში ეკიდა საქართველოს რელიეფის რუკა. მის ყოველ სანტიმეტრს ხელის ფათურით ვცნობდი თვალდახუჭული. არავითარი სხვა რუკა არ მქონია თვალწინ; იმ დროისათვის სხვა ქვეყნებში ნამყოფი ვიყავი, ოღონდ ბევრგან არა, — ცხრა ქვეყანაში. ჩემთან, თბილისშიც, ბევრჯერ მიმიღია უცხოური დელეგაციები, ზოგჯერ — საკმაოდ მაღალი დონისაც, მაგრამ ისინი მაინც მხოლოდ სტუმრები იყვნენ, მე კი სტუმართმოყვარე მასპინძელი გახლდით. დიპლომატობას რაც შეეხება, ის მხოლოდ ჩემს ენამოსწრებულ, გამჭრიახ თანამემამულეებთან, და კიდევ, მოსკოველ იერარქებთან ურთიერთობისას თუ დამჭირვებია, როცა მათგან რაღაცას გამოველოდი. უცხო ენების არცოდნა, მხოლოდ

მშობლიური, ქართული, და რუსული, თანაც უსაშველო აქ-ცენტით. გამოცდილებებისა და სპეციალური ცოდნის უქონ-ლობა... — კარგი ერთი, ნეტა ხომ არ მომეყურა?

არა, არ მომყურებია.

— ამქვეყნად ყველაფერს ვიფიქრებდი, ამის გარდა. კი, მაგრამ, გრომიკო?

— გრომიკო მხარს უჭერს შენს კანდიდატურას. ჩაშოხ-ვალ და ვილაპარაკოთ.

მოსკოვში დილაადრიან გავფრინდი. გორბაჩოვთან საუბარი ორმოც წუთს გაგრძელდა. ამ დროის დიდი ნაწილი ჩემი დანიშვნის საწინააღმდეგო მოსაზრებებს მოვახმარე. საგარეო საქმეთა მინისტრი — ეს თანამდებობა კი არა, პროფესიაა-მეთქი. დიპლომატია რთული პროფესიული სამყაროა, რომელშიც ძნელია შინაური, მიღებულ კაცად შეაბიჯო. ამ შემთხვევაში კი ბევრად უფრო რთულია. ეროვნება სულაც არ არის მეორეხარისხოვანი საკითხი. ისტორიულად ეს თანამდებობა ყოველთვის რუსს, ან რუსული კულტურით ნასაზრდოებ, რუსული ფესვების მქონე ადამიანს ეკავა. ჩემი დანიშვნა სხვადასხვაგვარად აღიქმება რუსეთშიც და სხვა რესპუბლიკებშიც აუცილებლად წარმოიშობა გარკვეული სირთულეები საზღვარგარეთაც...

— ეს უკვე გადაწყვეტილია, — თქვა გორბაჩოვმა, — შეთანხმებულია ცენტრალური კომიტეტის მდივნებთან. და, როგორც გითხარი, შენს კანდიდატურას მხარს უჭერს გრომიკო. ეროვნებას რაც შეეხება, კი, ქართველი ხარ, მაგრამ შენ ხომ საბჭოთა ადამიანი ხარ! გამოცდილება არა გაქვს? ეგებ, ჯობს კიდეც, რომ არა გაქვს. ჩვენს საგარეო პოლიტიკას აზრის სიცინცხალე, გაბედულება, დინამიკურობა, ნოვატორული მიდგომები სჭირდება... მე ამ არჩევანის სისწორეში ეჭვი არ მეპარება.

ამ საუბრის დამთავრებისთანავე გაიმართა პოლიტბიუროს სხდომა. გორბაჩოვმა კოლეგებს ჩემთვის უკვე ცნობილი თა-

ვისი მოსაზრებები აუწყა და სიტყვა გრომიკოს გადასცა. ანდრეი ანდრეევიჩი ლაპარაკობდა იმაზე, თუ, მისი აზრით, როგორი უნდა იყოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა გარდაქმნის ეტაპზე და, მისი წარმოდგენით, როგორ უნდა იმუშაოს ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა. მან კეთილგანწყობილად ილაპარაკა ჩემზე და აღმითქვა, რომ დიპლომატიური უწყება მხარდაჭერას არ მომაკლებდა. პასუხად მე ჩემი ეჭვები გავიმეორე. ვგონებ, ვერ შევძელი მღელვარების დაფარვა. ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადანაცვლება, ჩვეული ცხოვრების შესაბამისი განზომილებიდან აბსოლუტურად შეუსაბამო განზომილებებში გადასვლა ჩემთვის უძლიერესი ელდა იყო.

რატომ არ ვთქვი უარი? გულწრფელი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, უარი წესად არ იყო მეთქი. საკმაოდ ხშირად ვირჯებოდი მიღებული წესების საპირისპიროდ, ტრადიციაც ბევრჯერ დამირღვევია და ახლაც შემეძლო დამერღვია. დიახ, მე არ ვიცნობდი პროფესიული დიპლომატიის წვრილმანებს, მაგრამ ვიცნობდი საკუთარ თავს: ვიცოდი, შემეძლო საქმეს ისე შევჭიდებოდი, რომ დილეტანტად ვერავის მივეჩნიე. ეს იყო გამოწვევა და არ შემეძლო გამოწვევა არ მიმეღო. მე ყოველთვის ძლიერ ოპონენტებსა და პარტნიორებს ვეძებდი, — ეს მთელი ჩემი შინაგანი ძალების ამოქმედებაში მშველოდა. მთავარი კი იყო გორბაჩოვის არჩევანი. ჩემთვის ეს იყო მეგობრული არჩევანი. მე ვიცოდი, რა უნდოდა მას, და ისიც ვიცოდი, რომ მეც იგივე მინდოდა.

2 ივლისს გაიმართა ცკ-ს პლენუმი, რომელზეც პოლიტბიუროს წევრად ამირჩიეს.

... ორიოდე დღის შემდეგ, მოსკოვში გადასვლის წინ, რამდენიმე საათით ჩავედი მამათში. მშობლიური კერა ნათესაველებისა და თანასოფლელების გაღიმებული სახეებით შეჰიმეგება. სახელდახელო სუფრაზე გარდასულთა ხსოვნას ჭიქა წავუქციეთ. შემდეგ სასაფლაოზე წავედი და ერთ ხანს ვი-

დექი ძვირფას საფლავებთან. ალბათ, არ მმართებს ჩემს მაშინდელ განცდებზე ლაპარაკი.

ჩვენი ოდის აივნიდან ხელისგულივით მოჩანს ჩემი სოფელი. ველზე მიიკლაკნება ვერცხლისფერი სუფსა და სადღაც შორს ერთვის შავ ზღვას. თვალი მეტს ვერ სწვდება და მე უწინდებურად მიჭირს ჩემი თავის წარმოდგენა „მსოფლიოს თვალში“...

ახალი აზროვნების კურსის შესავალი

3

კრემლიდან სმოლენსკის ქუჩამდე, სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროამდე, მანქანით სულ რამდენიმე წუთის სავალია. საგარეო საქმეთა სამინისტროში კოლეგებთან შესახვედრად პირველად რომ მივდიოდი, ფიქრით ბევრად უფრო ხანგრძლივი გზა გავიარე.

ეს იყო 1985 წლის 2 ივლისს, როცა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დამთავრებისთანავე მ. ს. გორბაჩოვმა შემომთავაზა დაუყოვნებლივ შევდგომოდი საქმეს. ადვილი სათქმელია — „დაუყოვნებლივ"... კი მაგრამ, რით დავიწყო?

სადარბაზოსთან სამდივნოს უფროსი მელოდა. მეშვიდე სართულზე ავედით და მინისტრის კაბინეტში შევედით.

1985 წლის 2 ივლისიდან 1991 წლის 16 იანვრამდე ამ ოთახში ხუთი წელი და ექვსთვენახევარი დავყავი. დამიჯერეთ: აქ გატარებული თითქმის ყველა დღე დამამახსოვრდა, მაგრამ ის, პირველი დღე, უმცირესი წვრილმანებიანად ჩამებეჭდა მეხსიერებაში.

ვინც ყოფილა ამ კაბინეტში, რომლის რიგითი ნომერია 706, შეუძლია დამიდასტუროს, რომ მის ინტერიერში არაფერი შეცვლილა. ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც წინა პატრონის დროს იყო. მაგრამ იმ დღიდან უნდა შეცვლილიყო საგარეო პოლიტიკა და, თუმცა ვიცოდი, როგორ უნდა შეცვლილიყო, არ ვიცოდი, რით დამეწყო.

ვთხოვე, მოეწვიათ მინისტრის მოადგილეები. ზოგიერთ მათგანს ვიცნობდი, მაგრამ ერთია შეხვედრები ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე და სულ სხვაა დაკავება თანამდებობისა, რომელიც კარგ ნაცნობებს ხელქვეითებად მიხდიდა მე, — რაც არ უნდა კეთილი თვალით შემოეხედათ ჩემთვის, — მაინც უცხოსა და დილეტანტს.

მოელვარება რის ვაი-ვაგლახით დავძლიე და ვითხოვე, გაეცნოთ საქმე. ეთქვათ, ვინ რომელ დარგს უძღვებოდა, გაეცნოთ ჩემთვის ყველაზე გადაუდებელი საკითხები. კოლეგების მოსმენის შემდეგ ვთქვი:

— აგერ ვარ თქვენს წინაშე და ისეთი დღე მადგას, ამის უარესს ვერ იფიქრებს კაცი. საგარეო პოლიტიკაში განსწავლულობით ვერ გაგაკვირვებთ. იმას კი გპირდებით, ისე ვი-

მუშავებ, რომ თქვენთან თავი არ შევირცხვინო, თქვენ კი ჩემს გამო სირცხვილი არ ჭამოთ. და მაინც დარწმუნებული არა ვარ, რომ რამე გამოგვივა. ანდრეი ანდრეევიჩ გრომიკოს ავტორიტეტისა და მისი დანატოვარი მემკვიდრეობის ფონზე განსაკუთრებით გამიჭირდება ტვირთის ზიდვა, რას წარმოვადგენ მე მასთან, მსოფლიო საგარეო პოლიტიკის კრეისერთან შედარებით? ერთი ნავი ვარ, მაგრამ მოტორიანი ნავი!

კოლეგების მეგობრულმა ხარხარმა შვება მომგვარა. მინდა ოდნავ გავუსწორო მოვლენებს და ვთქვა, რომ ჩემი „მოტორი" თავიდანვე მთელი ძალით დაიმუხტა მათი კეთილგანწყობით, ჩემდამი თანაგრძნობით, დახმარების სურვილით. მზად იყვნენ, საქმეში ისე შემძღოლოდნენ, არ წარმოეჩინათ თავიანთი პროფესიონალიზმი და ჩემს ცოდნაში ხარვეზები, გაფრთხილებოდნენ ჩემს თავმოყვარეობას. რა თქმა უნდა, ეს მადლიერებით მავსებდა. მაგრამ სამინისტროშიც და მის გარეთაც განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი გავხდი, მართლდებოდა ჩემი პროგნოზი, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნას არ მოჰყვებოდა ერთსულოვანი რეაქცია. გაკვირვებას და გაოგნებას გულისწყრომაც ერთვოდა. და მე ვცდილობდი, რაც შეიძლება მალე დამეღწია თავი მოძღვართა ხელმძღვანელად დანიშნული შეგირდის დამამცირებელი მდგომარეობისთვის. თან არც ვჩქარობდი. პარადოქსია? არამც და არამც. მთელი ყურადღება საქმეს, არავითარი პრეტენზია თავკაცობისა, მით უმეტეს, რომ ეს არც არის რეალური ავტორიტეტით განპირობებული. ეს ფორმულა დამეხმარა ამოცანის ჩქარა, მაგრამ არა ნაჩქარევად, გადაწყვეტაში.

და მაინც ჩემს ცხოვრებაში შემოჭრილი ეს ყველაზე დიდი მოულოდნელობა იქცა ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდ და მძიმე გამოცდად. ეს ასე იყო განცდილ-გადატანილის გამოც და ქვეყნისა და მსოფლიოსთვის ასეთ დაძაბულ დროში დიპლომატიის რთულ სამყაროში შებიჯების გამოც.

ეს იყო გამოცდა, რომელიც უკიდურესად ძაბავდა არა მხოლოდ ჩემს ნებისყოფას და ჩემს თანდაყოლილ უნარს თანამდებობის შესაფერად შრომისას, გამოცდის წინაშე იდგა ქვეყნის ჩემეული ცოდნაც, ჩემი წარმოდგენები მის საშინაო ვითარებასა თუ საგარეო პოლიტიკაზე, მსოფლიოში მის ად-

გილზე, იმაზე, თუ როგორია, როგორი უნდა იყოს და როგორი შეუძლია რომ იყოს ამ ქვეყანას. ყველაფერი, რაც, კარგახანია არ მაძლევდა საშველს, მაწუხებდა, პასუხს ითხოვდა და ვერ პოულობდა ახსნას, ახლა ერთად თავს დამატყდა მოსკოვში, სმოლენსკის მოედანზე, მაღალი შენობის მეშვიდე სართულზე, მინისტრის კაბინეტში პირველსავე დღეებში, კვირებსა და თვეებში.

ამასთანავე, ჩემი უდიდესი საზრუნავი გახდა ჩემი კოლეგების გუნება-განწყობილება: უმძიმესი გამოცდის ჟამს მოვალე ვიყავი, ისინი დამეცვა კურსის შეცვლით გამოწვეულ სიძნელეთაგან. კურსი მწყობრად და ბუნებრივად უნდა შემობრუნებულიყო.

ვიდრე მათ შევთავაზებდი მოქმედების ნათელ და მკაფიო პროგრამას, თავად ჩემთვის უნდა გამომეკვეთა პრიორიტეტების მთელი წყება: რა მიმაჩნია საბჭოთა დიპლომატთა კოლექტივის ხელმძღვანელისთვის ძირითადად, უმთავრესად, საკვანძოდ. დიდ პატივს ვცემდი ჩემს წინამორბედს მინისტრის თანამდებობაზე, ვაღიარებდი მის კოლოსალურ გამოცდილებას, კომპეტენტურობას, ერუდიციას; ვიცოდი, როგორი პოპულარული იყო იგი საბჭოთა და უცხოელ დიპლომატთა წრეებშიც და ხალხშიც. ვშიშობდი, უნებლიეთ არ დავპირისპირებოდი მას, არ დავმსგავსებოდი „ახალ ცოცხს“ რომელიც ყოველთვის კარგად გვის, მაგრამ მტვერსა და ბუქს აყენებს.

ვიმეორებ, არ ვჩქარობდი, ვეცნობოდი, ვაკვირდებოდი ადამიანებს, ვეუფლებოდი უწყების შესახებ ინფორმაციას, მეტს ვისმენდი, ცოტას ვლაპარაკობდი, ვსწავლობდი, მაგრამ არავის არ ვმოძღვრავდი, ვითვისებდი იმდენს, რამდენის ათვისებაც შემეძლო, თანამშრომელთა ნიჭსა და უნარს გულისყურით ვეკიდებოდი. ამავე დროს, ნათლად ვხედავდი, რომ გარდაქმნა ვერ დაიცდიდა, ვერც ჩვენს უწყებას აუვლიდა გვერდს, მას სჭირდებოდა ახალი ორიენტირები, დროის იმ ახალი რეალობის შესატყვისი, რომელშიც აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანაცა და მთელი მსოფლიოც. მაშინ ეს ძნელად გადასაჭრელ დილემად მესახებოდა, მაგრამ მთლიანობაში თვალნათლივ ვხედავდი ურთიერთდაკავშირებულ სამ ამოცანას, რომელთა გადაჭრაც მოგვიწევდა:

პ ი რ ვ ე ლ ი: პირადად ჩემი თვითგამორკვევა, მინისტრად ანუ უწყების მეთაურად და კოლეგების მიერ აღიარებულ დიპლომატად გახდომა და არა მხოლოდ მაღალ თანამდებობაზე ფორმალურად დანიშნულ პირად ყოფნა.

მ ე ო რ ე: თვით უწყების მუშაობის ისე გარდაქმნა, რომ იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე (1985 წ.) მ. ს. გორბაჩოვის მიერ გამოცხადებული ახალი საგარეო პოლიტიკის ამოცანათა შესატყვისი ყოფილიყო;

დასასრულ, მ ე ს ა მ ე — უმთავრესი და, ამავე დროს, უძნელესი, ამოცანა: ჩვენი მონაწილეობა ახალი საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის პრაქტიკულ რეალიზაციაში საზოგადოების და ქვეყნის გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის ამოცანებთან მჭიდრო კავშირით. საბჭოთა დიპლომატიის მიერ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა საერთაშორისო საქმეებში კონცეპტუალურ მიდგომათა სრულყოფითა და გამდიდრებით.

როგორ უნდა გადაწყვეტილიყო პირველი ამოცანა, — ეს უკვე მოვხაზე აქაც და წინა თავებშიც. თავდაუზოგავად მუშაობა, სწავლა იმათგან, ვისგანაც სწავლა მმართებს. გონიერ ადამიანთა ძიება, პოვნა და მათზე დაყრდნობა, მათი წახალისება, რომ თავიანთი შესაძლებლობები აქტიურად გამოავლინონ; გაღვივება და ამაღლება მათი პროფესიული ღირსების გრძნობისა, რომელიც წარსულში მეტწილად ილახებოდა. არავითარი მონოპოლიზირება აზრისა. სრულიად განსხვავებულ აზრთა შეწყნარება.

ეგებ, ვცდებოდი, ეგებ ზოგჯერ სამართლიანიც არ ვიყავი, მაგრამ მთლიანობაში შევძელი ნორმალურ სამსახურებრივ ურთიერთობათა დამკვიდრება, პირადად კი ბევრი რამ გამომრჩა და ბევრ რამეს ვერ გავწვდი. საკუთარი თავით უკმაყოფილება ნებისმიერი ნორმალური ადამიანის ნორმალური თვისებაა. და მინდა გავიმეორო: რამდენი ღამეც არ უნდა გამეტეხა ახალი საქმის საფუძვლების დასაუფლებლად, ჩემი გულმოდგინება ოდნავ შესამჩნევ შედეგსაც კი ვერ გამოიღებდა ჩემი კოლეგების, მრჩევლებისა და თანაშემწეების, ჩემი უცხოელი თანამოაზრეების კეთილგანწყობის გარეშე. ისინი თანაგრძნობითა და ინტერესით მომეკიდნენ, უფრო ზუსტად, ასე მოეკიდნენ იმ ახალ კურსს, გორბაჩოვის კურსს,

გარდაქმნის კურსს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის საგარეო ურთიერთობებში მე წარმოვადგენდი და შეძლებისამებრ ვნერგავდი ცხოვრებაში.

მეორე ამოცანაც არ არის საბოლოოდ გადაჭრილი. საბოლოო გადაწყვეტა მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. თანამედროვე ვითარებაში შინაპოლიტიკური უწყება მობილურ წარმოებასავით უნდა იყოს, სასწრაფოდ უნდა გადაერთოს იმ პროდუქციის გამოშვებაზე, რომელიც საჭიროა ახლა, დღეს; რასაკვირველია, გასათვალისწინებელია ახლობელი და შორეული პერსპექტივები, კონკურენტუნარიანობა და ა. შ.

ასე მაგალითად, გამალებული შეიარაღების შენელების კურსის პრაქტიკული განხორციელებისთვის და უშიშროების პრობლემების მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრისთვის შეიქმნა ახალი სტრუქტურული ქვეგანაყოფი — შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების პრობლემათა სამმართველო. ადამიანის უფლებათა დაცვისადმი ახალმა დამოკიდებულებამ და სამართლის უზენაესობის პრინციპის გამოცხადებამ მოითხოვეს ახალი ქვეგანაყოფების — საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობისა და ადამიანთა უფლებების სამმართველოს და საერთაშორისო სამართლებრივი სამმართველოს — შექმნა.

შინაგანი გარდაქმნით გამოწვეულმა კორექტივებმა მოითხოვა, ჩავღრმავებოდი საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ თანამშრომლობას, სწრაფმა სტრუქტურულმა სიახლემ გამოიწვია ახალი პრიორიტეტების წამოყენება.

საჯაროობისა და გულახდილობის პრინციპებმა საზოგადოებრიობასა და პრესასთან კავშირის გაუმჯობესებისკენ გვიბიძგეს. ამისთვის შეიქმნა ინფორმაციის სამმართველო, პრაქტიკაში დაინერგა რეგულარული ბრიფინგები, მინისტრის, მისი მოადგილეების, ელჩების პრესკონფერენციები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდაქმნა და გაერთიანება რამდენიმე ქვეგანაყოფისა, რომლებიც ევროპასთან ურთიერთობის საკითხში სხვადასხვა მიმართულებით იღვწოდნენ და რომელთა საქმიანობაც ნათელი გამოხატულება იყო იდეოლოგიურ საფუძველზე ჩვენი კონტინენტის დაყოფისა.

ახლა ეს უკვე ერთი მძლავრი, ძლიერი, სტრუქტურულ განშტოებათა მქონე „ხეა“, რომელსაც მე ვუწოდებდი ერთიანი ევროპის შექმნის პრობლემათა წარმმართველ ინტელექტუალურ-პოლიტიკურ ცენტრს. დიდი რეორგანიზაცია მოხდა ქვეგანაყოფებში, რომლებიც „უძღვებოდნენ“ აშშ-ის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის პრობლემებს.

რა იქნება ხვალ? მინისტრის თანამდებობაზე ჩემი მემკვიდრისთვის რაიმე რჩევის მიცემას არ ვკისრულობ. ეს მან უნდა გადაწყვიტოს. მაგრამ, ალბათ, სწორი იქნებოდა ასეთი პასუხი: იქნება ის, რაც აუცილებელი გახდება დროის მოთხოვნათა თანახმად, და, ალბათ, ასე გაგრძელდება უსასრულოდ.

გარდაქმნა, ისევე, როგორც ახალი პოლიტიკური აზროვნება, უწყვეტი პროცესია. და აქ მივადექი ჩვენს მესამე და უმთავრეს ამოცანას: საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში იმ არსებით, კარდინალურ ცვლილებებსა და ძვრებს, რომლებსაც განაპირობებდა გარდაქმნის პოლიტიკა, ახალი აზროვნების პრაქტიკული პოლიტიკა.

სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში მისვლამდე ცოტა ხნით ადრე ერთ საქმიან წიგნში წავაწყდი წუხილს იმის გამო, რომ ახალი აზროვნება არ იქცა საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითად ტენდენციად.

გადადგომის შემდეგ ჩემთვის ცნობილი გახდა სხვა აზრი: ახალი პოლიტიკური აზროვნების კონცეფცია რეალური ცხოვრების პროცესებს დაუპირისპირდაო.

ამ ბოლო ხანს გაჩნდა სხვა თეზისიც: ახალი აზროვნება ძველი წყობის დასანგრევად თითქოს ვარგოდა, მაგრამ ახალი წყობის შესაქმნელად გამოუსადეგარია, და რაღაც სულ სხვა რამ უნდა წარმოიშვასო.

პირველი თვალსაზრისი უკუაგდო საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების გეზმა, დღევანდელმა ურთიერთობებმა.

მეორე თვალსაზრისი, ისევე, როგორც მესამე თეზისი, სადავოდ მეჩვენება და ესეც შემდგომი საუბრის საგანია.

ჯერჯერობით კი თავს უფლებას მივცემ, ვიმსჯელო ძველ, საქვეყნოდ ცნობილ თემაზე, მოგეხსენებათ, ზოგი მარადიული ჭეშმარიტების განმეორება მხოლოდ გვარგებს. განსაკუთრე-

ბით კი იმ დროს, როცა ბევრს იგი ან დაავიწყდა, ან არ სურს, რომ ახსოვდეს. დიდ მოაზროვნეთა გონებაში შობილი დიადი იდეები დიდხანს ელიან თავიანთ დროს. ზოგჯერ ეს მოლოდინი ასწლეულების მანძილზე იწელება. მაგრამ, ადრე თუ გვიან, მათი ჟამი დგება.

„პროექტი არ ვარგოდა ევროპისთვის, რადგან არც ევროპა ვარგოდა პროექტისთვის“. — თქვა ჟან-ჟაკ რუსომ ძველი სამყაროს ქვეყნების გაერთიანების მრავალი კონცეფციიდან ერთ-ერთის შესახებ. ნათელი აზრია: იმ დროის ევროპაში იმ კონცეფციის რეალიზაციისთვის არ იყო შესაფერი პირობები და გარემოება. იდეა მეტისმეტად ადრე მომწიფდა. მაგრამ იგი სრულიადაც არ არის დაგვიანებული იმ დიად მოაზროვნეთა მემკვიდრეთათვის, რომლებმაც ევროპის ქვეყნებისა და ხალხების ერთიანობა განჭვრიტეს.

ახლა, როცა ასეთი დრო დადგა და ევროპულ იდეას პირველად ეძლევა პრაქტიკული განხორციელების შანსი, მისი დამცველები ამ იდეის საავტორო უფლებებს თანაბრად ინაწილებენ თავიანთ დიდებულ წინამორბედებთან ერთად. და ამ უფლებებთან ერთად იზიარებენ იმ უზარმაზარ პასუხისმგებლობასაც, რომლის ანალოგი არ არსებობს. ამჯერად მათ მოუწევთ პროექტის რეალურად განხორციელება, ანუ მისი დანერგვა მილიონობით ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ახალ აზროვნებასთან პარალელი აქ ცხადზე ცხადია. სათქმელი მაშინ ითქვა, როცა საერთაშორისო ურთიერთობებში ბატონობდა ძალისა და კონფრონტაციის კატეგორიებით აზროვნება, როცა ძალა მიიჩნეოდა პოლიტიკის მთავარ რაციონალურ საშუალებად, როცა სამყაროთა შორის წინააღმდეგობა გადაულახავი ჩანდა და არსებითად გადაულახავი იყო კიდეც; როცა ცდილობდნენ ძალის ორმხრივი გაზრდით მთელი კაცობრიობისთვის დამღუპველი შეჯახების რისკი მინიმუმამდე დაეყვანათ, ეს კი სინამდვილეში ბევრად უფრო ზრდიდა რისკს.

ერთი შეხედვით, თითქოს არაფერს შეეძლო ამ შეკრული წრის გარღვევა, არაფერი აღგვითქვამდა შეიარაღებისკენ გამალებული სწრაფვით ჩამოწოლილი სიბნელის გაფანტვას. ბირთვული ურთიერთმოსპობის დამოკლეს მახვილქვეშ არსებობის კოშმარი კაცობრიობის ყოველდღიურ ხვედრად იქცა.

და კაცობრიობას თვალთაგან ბისტი სულაც არ მოსცილებია, როცა გაისმა სიტყვები: „აუცილებელია ადამიანის აზროვნების ახალი წესი, რათა კაცობრიობა გადარჩეს და შემდგომ განვითარდეს... ადამიანები იმყოფებიან ახალ სიტუაციაში, რომელსაც უნდა შეესატყვისებოდეს მათი აზროვნება...“

რასელ-აინშტაინის მანიფესტი პოლიტიკოსებს სთავაზობდა ეპოქის ურთულეს და უმძიმეს საკეტებზე მოსარგებ გასაღებს; არა იმდენად გასაღებს, რამდენადაც იდეას, გასაღების ჩანაფიქრს: ატომურმა ბომბმა ისე შეცვალა სამყარო და ისეთი სიტუაცია შექმნა, რომ უწინდელი კატეგორიებით აზროვნება უფსკრულში ჩაქანებას ნიშნავდა.

მაგრამ პოლიტიკოსებმა არ ინდომეს, ან, უფრო სწორად, მათ შაშინ არ შეეძლოთ ამ გასაღებით სარგებლობა. ასწლეულების მანძილზე დაგროვილი თავდაცვის მშვიდობიანი გამოცდილება ისე დათრგუნა და ჩაკლა სამხედრო ძალის ეფექტურმა გამოყენებამ, რომ ტვინის ნივთიერებას — ამ ძალზე სათუთ და დაუცველ სუბსტანციას — აღარ შეეძლო მასში შეღწევა, მისი ხსნა. ეს უნაზესი და დაუცველი, ამასთანავე, ყოვლისშემძლე სუბსტანციაა. მაგრამ, ვაი რომ, მისი ყოვლისშემძლეობა უფრო ხშირად ვლინდება სიახლის მიმართ მძვინვარე წინააღმდეგობაში.

ყოველივე ამასთან ერთად, ძალის უფლებებზე „მარადიულ“ წარმოდგენებს ასაზრდოებდა ძალაუფლების შენარჩუნებისა და ჩაბღაუჭების სურვილი, ძალაუფლება ხომ ჯერ ნებაყოფლობით არავის დაუთმია. ახალი აზროვნება, — ადამიანთა გონებაში მომხდარი გლობალური რევოლუცია, — უნდა დალოდებოდა თავის ჟამს, როცა მოსალოდნელი საფრთხისა და ისტორიული პროცესის გარდუვალობის გაცნობიერება პოლიტიკოსებს მიიყვანდა ახლებურად აზროვნების აუცილებლობამდე.

მსოფლიოში უნდა გამოჩენილიყო ვინმე, ვინც დროის ახალ რეალობებს ახალ აზრს შეუფარდებდა.

1986 წლის 25 თებერვალს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა დარბაზში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის სხვა დელეგატებთან ერთად ვისმენდი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებას, რომელსაც მ. ს. გორბაჩოვი კითხულობდა.

ვიცოდი, თუ როგორ დოკუმენტს შესთავაზებდა პარტიასა და ქვეყანას, ვიცოდი, როგორ მუშავდებოდა ეს დოკუმენტი, ვიცოდი, როგორ წინააღმდეგობას აწყდებოდა ესა თუ ის დებულება. მოხსენების, ანუ ქვეყნის ახლებურად ხელმძღვანელობის პროგრამის, მომზადებაში აისახა გზის არჩევანის შესახებ შეხედულებათა უფართოესი და თან წინააღმდეგობრივი გამა. დავობდნენ ადამიანები. მაშინ მე ასე მესახებოდა, მაგრამ ახლა გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს იყო „მონოლითური ერთიანობისგან“ ფრიად დაშორებულ მაშინდელ პოლიტბიუროში ფართოდ წარმოდგენილი განსხვავებული ძალების ინტერესთა და პოზიციათა დავა.

დიდი ხანია, ტრადიციის თანახმად, პოლიტბიუროს წევრები იღებენ ყველა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის პროექტს და გამოთქვამენ თავიანთ შენიშვნებს. XXVII ყრილობაზე პოლიტიკური მოხსენების პროექტი მრავალგზის გადამუშავდა, მასში შენიშვნები ფაქტობრივად განუწყვეტლად შეგვქონდა. ყრილობის წინა დღით, როცა მოხსენების საბოლოო ვარიანტი მივიღე, აღმოვაჩინე, რომ მასში არ იყო ნახსენები ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა. მოხსენების პირველ ვარიანტში ეს, ჩვენი აზრით, საკვანძო ფრაზა ტექსტში ეწერა. რატომ გაქრა? და ვისი დაჟინებით?

დიდი ძალისხმევა დასჭირდა ყრილობის მოხსენებაა და გადაწყვეტილებებში მის აღდგენასა და მყარად დამკვიდრებას.

რამდენადმე გავუსწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ ცივილიზებულმა სამყარომ სწორედ ავღანეთის პრობლემის მოგვარების, ამ ქვეყნიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის შემდეგ ირწმუნა ჩვენი. სწორედ ამის შედეგად გადაიშალა ფართო სივრცე ახალი აზროვნების პრინციპთა პრაქტიკული განხორციელებისთვის, და, ეგებ, სწორედ ავღანეთის ეპოპეის გამოცდილებამ გვაფიქრებინა დასავლეთთან პარტნიორობა და თანამშრომლობა.

მაგრამ იმ ეტაპზე ჯერჯერობით მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ფილოსოფიაზე იყო საუბარი. გორბაჩოვს თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი. ვამჩნევდი, რომ მისი აზრები რაღაც ახლებურსა და საშიშს უტრიალებდა. საშიშს დოგმების მიმდევართა და დამცველთა თვალსაზრისით. — რო-

მელთაც ათწლეულების მანძილზე ემორჩილებოდა ყველა და ყველაფერი. მარადიული პოსტულატების დამამხობელი ყოველთვის რისკს ეწევა, რადგან ორთოდოქსია, რომელიც „წმიდათაწმიდაზე“ ხელის აღმართვას დაუშვებლად მიიჩნევს, უმალვე გარდაიქმნება ინკვიზიციად, ერეტიკოსის დასჯას რომ ლამობს. იდეათა დრამას, ვაი რომ, თითქმის ყოველთვის მოჰყვება მათ ავტორთა და განმახორციელებელთა პიროვნული ტრაგედიაც. აზრთა „საშიში“ მდინარება ამ აზრთა მშვიდად აღიარებას არ აღგვითქვამდა.

ამის მიუხედავად, როცა მოხსენების დებულებებზე ვფიქრობდი, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი: სწორედ მათშია ის, რის გარეშეც შეუძლებელია შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევა.

ჯერ კიდევ 1917 წელს წამოყენებულმა მშვიდობიანი თანაარსებობის თეორიამ ვერ აგვარიდა (და ვერც აგვარიდებდა) ძალ-ღონის გამომცლელ კონფრონტაციის ქვაკუთხედს — საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის მეორეზე გამარჯვების გარდუვალობის იდეას. პრაქტიკულად ეს იდეა სტატიკური და პასიურია; კლასობრივი ბრძოლის აქტიურმა მიმდევრებმა იგი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა სფეროში გადაიტანეს; ამის გასამართლებლად, შეუთავსებელთა შესათავსებლად, განსხვავებულ საზოგადოებრივ წყობათა მქონე სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა „კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკურ ფორმად“ გამოაცხადეს. XXVII ყრილობაზე ეს დეფინიცია უნდა გამქრალიყო, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში უნივერსალური ფორმულის მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა.

„კლასობრივი ბრძოლის ფორმა“ — ეს სულაც არ ყოფილა სქოლასტიკური დეფინიცია, აქედან უეჭველად გამომდინარეობდა შეხედულება, რომ მსოფლიო არის სისტემათა, ბანაკთა, ბლოკთა განუწყვეტელი ბრძოლის ველი. და „მტრის ხატი“ ეუფლებოდა მილიონთა ცნობიერებას ქვეყნიერების ყველა ნაწილში.

მტრის ხატის ჩამოშორება, გაქარწყლება ლამის უმთავრესი ამოცანაა კაცობრიობის განვითარების დღევანდელ პირობებში, როცა ახლოვდება, ძალას იკრებს და კაცობრიობას

დაღუპვით ემუქრება თერმობირთვული ომი, ეკოლოგიური კატასტროფა, მსოფლიანი მსოფლიოს მეურნეობის რღვევა.

ამისთვის საჭირო იყო მტრობისა და უნდობლობის ლოდის განზე გადაგორება, რომ ღიად დარჩენილი ნაპრალიდან მსოფლიოს დაენახა თავისი ხსნის ღირსეული ორიენტირები.

იმ დროისთვის ახალი აზროვნების კონცეპტუალური საწყისები უკვე განცხადებული და პრაქტიკულ სფეროშიც შეჭრილი იყო. უკვე შედგა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის შეხვედრა უმაღლეს დონეზე პარიზში, სადაც მ. ს. გორბაჩოვმა ახსენა საერთო ევროპული სახლის იდეა. უკვე იყო ჟენევაც, სადაც საბჭოთა ლიდერმა და აშშ-ის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ჩამოაყალიბეს ბირთვული ომის დაუშვებლობის კრედო. უკვე გამოქვეყნებული იყო მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადება მომდევნო საუკუნის დასაწყისისთვის ბირთვული იარაღის ყველა მარაგის ეტაპობრივი განადგურების შესახებ. საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა ატომური გამოცდები და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც ამისკენ მოუწოდა.

და, აი, 1986 წლის 25 თებერვალი, პარტიის XXVII ყრილობა...

სკკპ ცკ მაშინდელი პოლიტიკური მოხსენების გადაკითხვის დღეს ვხედავ, თუ რა დრამატულია იმ პიროვნების მდგომარეობა, რომელიც ძველისა და ახლის ზღვარზე დგას. ახლისკენ მიმავალი გზა ხსნილია მისთვის, მაგრამ ეს გზა უცნობია სხვათათვის, მათთვის, ვინც ძველი წარმოდგენებით ცხოვრობს. შუა საუკუნეებში ამას აუტოდაფემდე მივყავდით. მაგრამ დღეს პოლიტიკოსი უნდა ჩაიწვას კოცონში? და ეს სრულიადაც არ არის ხატოვანად ნათქვამი. ახალი იდეების დასამკვიდრებლად ის უნდა ამოდიოდეს სხვებისთვის მისაწვდომი, ახლობელი, გასაგები გარემოებებიდან. ახალი იდეა ხომ თავისთავად არაფერია, მხოლოდ სიტყვების დახვავებაა, თუ არ დაეუფლა უმრავლესობის ცნობიერებას და ამით არ განსაზღვრა პრაქტიკულ მოქმედებათა, ქცევათა, ნაბიჯთა მოტივაცია.

როცა ათწლეულების მანძილზე გარწმუნებდნენ (და დაგარწმუნეს კიდეც!) რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის სახელმწიფოთა თანამშრომლობა „კლასობრივი ბრძოლის

სპეციფიკური ფორმაა“, წარმოუდგენლად ძნელია უცბად გაიაზრო და გაითავისო სხვა რამ.

როცა თქვენ გასწავლიდნენ და დაგასწავლეს, რომ სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო ურთიერთობები ემორჩილება კლასობრივი ბრძოლის ინტერესებსა და კანონებს, შეუძლებელია ერთბაშად, იოლად შეითვისო ზოგადკაცობრიულ ღირებულებათა ყველა სხვა ღირებულებაზე უზენაესობის იდეა...

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციათა მიხედვით სისტემებად და ბლოკებად დაყოფილ და გათიშულ ატმოსფეროში როგორ გინდა შეურიგდნენ ისეთი შეკავშირებული ერთიანი მსოფლიოს ჩამოყალიბებას, სადაც კაცობრიობის გადარჩენის გარდუვალი აუცილებლობა ანგრევს, შლის იდეოლოგიური დაპირისპირების ზღუდეებს?

ახალი აზროვნების ძირითად პრინციპთა ჩამოყალიბებამდე საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის მდგომარეობასთან პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებული თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი და წინააღმდეგობრივი ტენდენციების სკრუპულოზური, მეცნიერულად შეჯერებული ანალიზი.

ეს არანაკლებ რთული იყო, ვიდრე ახალი გზის გამკვალავი მიზნების გაცხადება. თვით ეს ამოცანაც ვერ გადაწყდებოდა ახალი აზროვნების მიერ მოპოვებული ინსტრუმენტების გარეშე. და ეს ამოცანა ჩინებულად გადაწყდა.

მოხსენების ყველა დებულება ერთად გაისმა როგორც გაბატონებული შეხედულებების სისტემისთვის კატეგორიულად ნათქვამი „არა“.

წინააღმდეგობრივი, მაგრამ შინაგანად დაკავშირებული, არსებითად ერთიანი სამყაროს იდეა იყო მთავარი იდეა.

ადამიანის ცხოვრება საზოგადოებრივი განვითარების უმაღლესი მიზანია, — ეს იყო თეზისი, რომელიც შემდგომ გაიშალა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა უზენაესობის აღიარებაში გადაიზარდა.

არჩევანის თავისუფლების პრინციპი შეიძლება განხორციელდეს სამყაროში, რომელშიც არ იქნება იარაღი და ძალმომრეობა.

უშიშროების უზრუნველყოფა და ყველა სადავო საკითხის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკური სა-

შუალებებით, ანუ აღიარება იმისა, რომ პოლიტიკის ძალა ძალის პოლიტიკაზე უზენაესია.

როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია დასკვნა: უსაფრთხოება დაუნაწევრებელია, ორმხრივ ურთიერთობებში ის შეიძლება მხოლოდ ორივე მხარის უსაფრთხოებას ნიშნავდეს, საერთაშორისო ურთიერთობებში — მხოლოდ საყოველთაო უსაფრთხოებას. ასეთი უსაფრთხოება ჩვენს საუკუნეში გარანტირებულია სტრატეგიული ბალანსის უსაზღვროდ მაღალი კი არა, უკიდურესად დაბალი დონით, ამასთანავე, აუცილებელია მთლიანად გამორიცხოს ბირთვული და სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღი.

სრულიად მარტივი თეზისი, ცრავითარ ქარაგმულ აზრს რომ არ შეიცავს და ფაქტობრივად გამორიცხავს მდგომარეობის იდეოლოგიზაციას: საერთაშორისო არენაზე თავშეკავებულად, ცივილიზებული ურთიერთობის ნორმების შესატყვისად, ზოგადსაკაცობრიო მორალის კრიტერიუმთა საფუძველზე მოქმედება...

მოხსენების საგარეო პოლიტიკურ ნაწილს ტაში დაუკრეს. აპლოდისმენტები, როგორც იტყვიან, ერთსულოვან მხარდაჭერასა და მოწონებას გამოხატავდა.

დღეს, როცა ამ პრინციპებსა და დებულებებში ეჭვი შეაქვთ, როცა ითხოვენ მათი სიმცდარის აღიარებას, მე უნებურად ვფიქრობ თანხმობისა და აღტაცების მასობრივი გამოხატვის ბუნებაზე. რა იყო ეს მაშინ — პარტიის მეთაურისთვის ტაშის დაკვრას შეჩვეულთა დისციპლინის გამოვლინება? რიტუალისთვის ვალებული ხარკი, როცა ტრადიციისამებრ „იწონებენ“ და „უჭერენ მხარს“, რადგან მიაჩნიათ, რომ ნათქვამი მაინც ნათქვამად დარჩება? ნუთუ ვერ ხვდებოდნენ, რომ მოხსენების იდეები სისტემას დაშლას უქადდა? მე უფრო იმას ვფიქრობ, რომ გულწრფელად უკრავდნენ ტაშს, რადგან ბევრს სურდა ცვლილებები, თუმცა გააზრებული არც კი ჰქონდათ, რომ ეს ცვლილებები მათ მდგომარეობასაც შეეხებოდა.

მაშინ კი თანხმობის ამ გამოვლინებაში ჩვენი საგარეო პოლიტიკის ახალ ნორმატივთა, ახალი აზროვნების პრინციპთა საყოველთაო მხარდაჭერის დადასტურებას ვხედავდი.

ვფიქრობდი, რომ ბოლოსდაბოლოს შეირყა ურყევი დოგმები, რომლებიც ყველა გონიერი და ფხიზელი ადამიანის საღ აზრსაც კი ჯაბნიდა, რადგან მათ განუწყვეტლივ ემუქრებოდა საზოგადოებისგან მოკვეთა, ოსტრაკიზმი „ერესის“ გამო. ამასთან, მაგონდებოდა ჩემს მიერ გამოვლილი სიძნელეები, როცა რაღაც ახლის, გონივრულის, ეფექტურის დანერგვის ნებისმიერი ცდა აწყდებოდა იმ მოძღვრების მაღალჩინოსან დამცველთაგან გააფთრებულ წინააღმდეგობას. ვიცოდი ინტელექტისა და ნების რა უზარმაზარი პოტენციალია დაგროვილი ქვეყანაში და ეს ქვეყანა როგორ უსაშველოდ არის შებორკილი თვითმპყრობელური დოგმატიზმის „მოსათვინიერებელი პერანგით“. ვხედავდი, რომ ამ დოგმატიზმისაგან თუ არ დავიხსნიდით ქვეყანას, მისი წინ წაწევა შეუძლებელი იყო.

ახლა ეს, როგორც იქნა, აღსრულდა.

მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, სიხარულისთვის ჩემი საკუთარი, პირადი მიზეზიც მქონდა. მე და ჩემი კოლეგები ჩვენი საკუთარი მისწრაფებების შესატყვის სამუშაო პროგრამას ვიღებდით.

ეს იყო სავსებით მკაფიო და ნათელი სამუშაო ორიენტირები: შეწყდეს ბირთვული ომისთვის სამზადისი; ამერიკასთან მოლაპარაკებები იქცეს ნორმალურ ცივილიზებულ დიალოგად; გონივრული, ორივე მხარისთვის მისაღები კომპრომისებით შეიცვალოს „მკვდარი“, მკაცრად ფიქსირებული პოზიციები; მოვლენები წარიმართოს ინტერესთა გაწონასწორებისკენ; სამხედრო პოტენციალი შეიზღუდოს გონივრული საკმარისობის ფარგლებში; დამკვიდრდეს ყოვლისმომცველი კონტროლისა და შემოწმების პრინციპები; მოიძებნოს ბირთვულ გამოცდათა შეწყვეტისა და ევროპაში ამერიკული და საბჭოთა საშუალო სიშორის რაკეტათა ლიკვიდაციის გზები; ავღანეთიდან გამოყვანილ იქნეს საბჭოთა ჯარები; ევროპაში შეიქმნას უშიშროების სისტემა ჰელსინკის პროცესის საფუძველზე; განიმუხტოს რეგიონალური კონფლიქტური სიტუაციები; მოწესრიგდეს ურთიერთობა ჩინეთთან; მეზობლებთან ურთიერთობა აიგოს მათი ინტერესების პატივისცემის, მათ საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე; მოგვარდეს გლობალური პრობლემები.

ყველაფერი ეს პრაქტიკულ პოლიტიკაში უნდა განხორციელებულიყო.

ახლა არაფერს ვიტყვი ჩემს საფიქრალზე, იმაზე თუ როგორ ვცდილობდი, რაც შეიძლება უკეთ, გონივრულად გამომეყენებინა ეს გზისმკვლევი რუკა. ვიტყოდი მხოლოდ, რომ შინაგანი აღფრთოვანების მიუხედავად, მოუსვენრობა არ მტოვებდა.

არ მახსოვს, რომელ გერმანელ მოაზროვნესთან ამოვიკითხე: გოლგოთა მუდამ იქ არის, სადაც დიდი იდეები გამოითქმისო. გარდაქმნის ინიციატორებს უმძიმესი ჯვრის ზიდვა მოუწევდათ და, რასაკვირველია, მწვერვალზე ასვლა იოლი არ ჰგონებიათ, მაგრამ გზა მაინც იმაზე ბევრად მძიმე აღმოჩნდა, ჩვენ რომ მოველოდით.

ნათქვამია, ყველაზე საინტერესო მოგზაურობა მაძიებელი აზრის მიმოსვლა არისო. მაგრამ აზრის ეს გაქანება დედამიწასაც რომ გარს შემოევლოს და მთელი სამყარო მოიცვას, ყველას მაინც ვერ აიყოლიებს. ზოგნი, — ისინი კი მრავლად არიან, — შეეცდებიან, მოძრაობა შეაჩერონ.

ამ ყაიდის ადამიანებთან ჩემი ამჟამინდელი პოლემიკა სრულიად თავისუფალია რაიმე პირადული მოტივებისგან. როგორც არ უნდა შეტრიალდეს ბედი, ჩემს ხვედრს არასახარბიელოდ მაინც არ ჩავთვლი. ახალი აზროვნების ფილოსოფიისა და პოლიტიკის დაცვის სურვილი ნაკარნახევია ქვეყნის ინტერესებით და მშვიდობიანი მსოფლიოს ინტერესებთან უმჭიდროეს კავშირშია. მშვიდობა მესახება კაცობრიობის ბუნებრივ მდგომარეობად, მსოფლიო კი — მისი ოჯახის შემადგენელი ქვეყნების ძმობად. არც იმდენად თავდაჯერებული გახლავართ, რომ არ მესმოდეს, რა გრანდიოზულია არჩეული მასშტაბი, მაგრამ იგი განპირობებულია ჩვენი გარდაქმნის მასშტაბით, ქვეყნისა და მსოფლიოს ბედისათვის მისი როლითა და მნიშვნელობით. გთხოვთ, ამ სათაურში ნუ დაინახავთ მეცნიერულობის პრეტენზიას. უბრალოდ, მინდოდა მომეთხრო თუ როგორ ჩავერთე პირადად მე საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ახალ კურსში.

ეს გზა იოლი და ულრუბლო არ ყოფილა.

ჩვენ ამ კურსს გამუდმებით ვაზუსტებდით და ვაკონტროლებდით, თუმცა ზოგიერთი კოლეგა პირდაპირ საკამათოდ

ხდიდა მის სისწორეს. როგორც მოგახსენეთ, აღიარებულმა კრიტიკოსებმა მიზანში ამოიღეს თეზისი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა უზენაესობისა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებიდან კლასობრივი და იდეოლოგიური კომპონენტების აღმოფხვრის შესახებ.

რას იზამ, ყველას, მათ შორის ხელმძღვანელობის წევრსაც, აქვს უფლება, რომ ჰქონდეს თავისი აზრი, გამოთქვას და დაიცვას იგი. გადაწყვეტილებათა შემუშავების სტადიაზე ეს აუცილებელიც არის. მაგრამ როცა გადაწყვეტილება მიღებულია და სტრატეგიულ კურსად არის მიჩნეული, მის წინააღმდეგ ხელმძღვანელობის წარმომადგენლის გამოსვლა თვით კურსისა და მისი შემმუშავებლებისადმი ნდობის შერყევას ნიშნავს. ეს არის დაპირისპირება იმ პოლიტიკასთან, რომელსაც თავადვე მისცა ხმა.

მახსენდება 1988 წლის ივლისი. ეს-ეს არის დამთავრდა XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია, რომელმაც მართებულად მიიჩნია ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი: ქვეყნის საშინაო ცხოვრების გარდაქმნისთვის ხელსაყრელი, მშვიდობიანი საგარეო პირობების უზრუნველყოფა პოლიტიკური საშუალებებით. შეჯამდა გარდაქმნის სამი წლის შედეგები, გაანალიზდა გარდაქმნის უკვე მაშინაც საკმაოდ საგრძნობი და ძლიერი, დამამუხრუჭებელი მიზეზები. კონფერენციაზე წამოყენებული პოლიტიკური რეფორმების პროექტმა მოითხოვა იმის ნათლად წარმოდგენა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საგარეო პოლიტიკა ახალ პირობებში, როგორ უნდა ემოქმედა მას კონსტიტუციურად უფლებამოსილი ახალი ინსტიტუტების დროს. იმხანად სამინისტროში ზოგ რამეს მივაღწიეთ, მაგრამ ბევრი რამ პროექტის დონეს არ გასცილებია. ბევრი იდეა ვერ განხორციელდა ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი „ველის“ შეზღუდულობის გამო. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზე გადატანილი კლასობრივი ბრძოლის პრინციპი აქარწყლებდა მშვიდობიანი თანაარსებობის ფორმულის,— საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსალური პრინციპის, — აშკარა ქმედით ძალას. ძველი აზროვნების რელიქტი, — „მშვიდობიანი თანაარსებობა, როგორც კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკური ფორმა,“ — ხელს უშლიდა გარდაქმ-

ნის ფორმულას, რომ ის შედეგიან, პრაქტიკულ მოქმედებად ქცეულიყო.

ამაზე ბევრს ვფიქრობდი. მინდოდა, ზოგიერთი ჩემი იდეა ,ფართო პროფესიულ' სამსჯავროზე გამეტანა, წარმედგინა ისინი განსახილველად მეცნიერთათვის, ექსპერტთა და საგარეო პოლიტიკურ პროცესებში ჩემს პარტნიორთათვის. ასე გაჩნდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარების განზრახვა. მზადებისას საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოკითხვა ჩავატარეთ. შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ მივიღეთ მრავალი მწვავე, ორიგინალური წინადადება, რაც ჩვენი საქმის ახლებურად დანახვის საშუალებას გვაძლევდა. ყოველივე ამასთან ერთად, გამოკითხვის შედეგები ნათლად ადასტურებდნენ: ადამიანებმა ბოლოს და ბოლოს ირწმუნეს, რომ მათი იდეები შეიძლება მოიკითხონ. მათ მოსაზრებათაგან ბევრი რამ დაემთხვა ჩემს ფიქრებს.

ჩემს მოხსენებაში ვთქვი, რომ კონფერენციაზე ჩვენი საერთო, კოლექტიური ნაშრომი გამქონდა.

მოხსენებაში დიდი ადგილი ეთმობოდა მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხს. ახალი აზროვნება, ვამბობდი მე, მას ბირთვული საუკუნის ,ფეალიების კონტექსტში განიხილავს. სრულიად გარკვევით ვამბობთ უარს იმაზე, რომ თანაარსებობაში კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკური ფორმა დავანახოთ. თანაარსებობა, რომელიც ეფუძნება ისეთ საწყ-ს პრინციპებს, — როგორიცაა: თავდაუსხმელობა, სუვერენიტეტის პატივისცემა, ეროვნული დამოუკიდებლობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და ა. შ., — შეუთავსებელია კლასობრივ ბრძოლასთან. ეს ალოგიკური სიმბიოზი ჩიხში გვაქცევს. სახელმწიფოთა ურთიერთობების კლასობრივ ბრძოლასთან გათანაბრება გადაულახავ ბარიერს ქმნის განსხვავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობათა მქონე სახელმწიფოების ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გზაზე.

სხვა უფრო ძნელი და დიდი „თეოლოგიური" დაბრკოლება იყო დოგმა, რომ ორი სისტემის ერთმანეთთან ბრძოლა არის თანამედროვე ეპოქის წარმმართველი ტენდენცია. თუ კაცობრიობას დღეს გადარჩენა მხოლოდ მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში შეუძლია და მას, ეჭვს გარეშეა, არ ძალუძს თავისი მომავლის უზრუნველყოფა პერმანენტული

კონფრონტაციის პირობებში, მაშინ აქედან გამომდინარეობს დასკვნა: ორი სისტემის დაპირისპირება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჩვენი ეპოქის წამყვან ტენდენციად.

ამჟამად ძლიერდება და ძირითად ტენდენციად იქცევა მსოფლიოს სახელმწიფოთა თანაქმედება. იგი გამოიწვია მსოფლიოში ახლებურ ურთიერთობათა რეალიებმა.

რასაც კი შემდგომ მივაღწიეთ, — საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახლებური ურთიერთობანი, დიალოგი, რომელმაც შეცვალა დაპირისპირება, საერთაშორისო პრობლემათა გადაწყვეტაში ძალისმიერი მეთოდებიდან აქცენტების გადატანა პოლიტიკურ საშუალებებზე, — ყოველივე ამ დასკვნაზე პრაქტიკული ორიენტაციის შედეგი იყო.

ამ იდეებს ფართოდ დაუჭირეს მხარი ქვეყანაში, მაგრამ საკმაოდ გავლენიანმა პირებმა შეუტიეს კიდეც. ეგორ კუზმას ძე ლიგაჩოვმა განაცხადა, ჩვენთვის ასეთი იდეების „შემოგდება“ საბჭოთა ადამიანებისა და ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების წარმოდგენებში არევ-დარევის შეტანას ნიშნავსო.

დღეს ეს იდეები გარდაქმნის მემკვიდრეობად არის გამოცხადებული. კრიტიკოსები მათ აბრალებენ ყველაფერს, რისი დაბრალებაც კი შესაძლებელია, — ეროვნული უშიშროების შესუსტებასაც კი.

თურმე იდეალისტმა და რომანტიკოსმა პოლიტიკოსებმა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების პრიორიტეტით რომ შეცვალეს, ახალი აზროვნების კონცეფციაში ადგილი ვერ მოუნახეს ისეთ კატეგორიებს, როგორიც არის: „ეროვნული უშიშროება“ და „ეროვნული ინტერესები“.

ეს არ არის მართალი. გარდაქმნა გამოიწვია იმ კრიზისული ვითარების დაძლევის ობიექტურმა აუცილებლობამ, რომელიც ქვეყნის უშიშროებასა და ინტერესებს ემუქრებოდა.

1986 წლის მაისში სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა: ზოგიერთი სტრატეგის წარმოდგენაში განმტკიცებული თვალსაზრისი, — რომ საბჭოთა კავშირი შეიძლება ისევე ძლიერი იყოს, როგორც მასთან დაპირისპირებულ სახელმწიფოთა ნებისმიერი შესაძლო კოალიცია, — აბსოლუტურად უსაფუძვლოა და ამ თვალთახედ-

ის გაზიარება და ამ გეზით სვლა ნიშნავს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებას.

„ზესახელმწიფოდ“ ჩვენ ვიქეცით ძირითადად სამხედრო ძლიერების წყალობით. მაგრამ იმავე სამხედრო ძლიერების ჰიპერტროფიამ, მისმა უსასრულო ზრდამ ზესახელმწიფო დააქვეითა მესამეხარისხოვანი ქვეყნის მდგომარეობამდე, წარმოშვა პროცესები, რომლებმაც ქვეყანა კატასტროფის ზღვარამდე მიიყვანა. საერთო ეროვნულ პროდუქციაში სამხედრო ხარჯების წილით აშშ-ს ვუსწრებთ ერთნახევარ-ორჯერ, ჯანმრთელობის დაცვისთვის გაწეული ხარჯებით ჩამოვრჩებით ორნახევარჯერ. თუმცა, აშშ-თან სამხედრო პარიტეტით კი ვამაყობთ, მაგრამ ოცნებასაც ვერ ვბედავთ ერთჯერადი შპრიცების, კვების პროდუქტების, პირველი მოთხოვნილების საგნების წარმოებაში პარიტეტის მიღწევაზე და ყოველივე ამის კატასტროფული დეფიციტი არც ჩვენს უშიშროებას განამტკიცებს და არც ეროვნულ ინტერესთა უზრუნველყოფას უწყობს ხელს. იარაღის მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი რომ დავიკავეთ (სავაჭრო გარიგებათა საერთო რიცხვის 28 პროცენტი) და ჩვენი მოწინავე ტექნოლოგიის დროშად კალაშნიკოვის ავტომატი ვაქციეთ, მოსახლეობის ცხოვრების დონით, სახელმწიფოთა მეექვსე ათეულში აღმოვჩნდით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით — ოცდამეთორმეტე ადგილზე, ბავშვთა სიკვდილიანობით — ორმოცდამეათეზე.

რომელ ეროვნულ უშიშროებაზეა საუბარი? მხოლოდ უზნეობა კი არ არის, პოლიტიკური თვალსაზრისითაც სახიფათოა, რომ ეროვნული უშიშროება მხოლოდ ტანკის ჯავშანსა და ბირთვულ იარაღზე დაფუძნდეს და სრულიად გამოირიცხოს ისეთი „მცირე“ რამ, — როგორიც ადამიანის ცხოვრება და კეთილდღეობაა.

ბართალი არ არის, თითქოს ეროვნული უშიშროებისა და ეროვნულ ინტერესთა უზრუნველყოფის პრობლემები ზევ�ველობიდან გამორჩა საბჭოთა დიპლომატიას, საკრიეო პოლიტიკურ უწყებებს, საგარეო საქმეთა მინისტრს. ჩვენ სულ თავიდანვე მოვითხოვეთ დავფიქრებულიყავით იმაზე, თუ სამხედრო თვალსაზრისით ასეთი ძლიერი სახელმწიფოს უშიშროება რატომ აღმოჩნდა ამდენად სუსტი ეკონომიკის,

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების, პიროვნებისა და მოქალაქის მდგომარეობის, ადამიანის სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის მხრივ. ყველა ამ ფაქტორს რატომ ეკისრება მხოლოდ სათანადო სამხედრო სიმძლავრის უზრუნველყოფის წანამძღვრების როლი?

ეროვნულ უშიშროებაზე ტრადიციული, ძველთაძველი წარმოდგენები, რაც საგარეო სამხედრო მუქარისგან ქვეყნის დაცვას გულისხმობდა, შეირყა. ეს გამოიწვია კაცობრიობის ცივილიზაციაში ღრმა და არსებითმა სტრუქტურულმა ძვრებმა და ცვლილებებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის ზრდამ, მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ინფორმაციული ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ფორმირებამ.

თავისი ქვეყნის უშიშროებას უზრუნველყოფილად ვერ ჩათვლიან სახელმწიფოები, რომლებიც უპირატესად სამხედრო საშუალებებს ეყრდნობიან. მათი მდგომარეობა დღეს საეჭვიელო არ არის, რადგან მსოფლიოში პოლიტიკური გავლენისა და ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის წყაროდ სულ უფრო და უფრო ხდება ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, სავალუტო-ფინანსური ფაქტორები. ხოლო შეიარაღებათა უზარმაზარ არსენალებს, რომლებშიც დიდი ძალა და სახსრებია დაბანდებული, დღევანდელი დღის მოთხოვნებზე რაციონალური პასუხი არ გააჩნიათ. ამ შეიარაღებათა დამანგრეველი ძალა იმდენად დიდია, რომ მათი გამოყენება შეუძლებელია საკუთარი ქვეყნის, მეზობელი ქვეყნების, ნახევარი მსოფლიოს დაღუპვის რისკის გარეშე.

თვალს თუ მიადევნებთ, როგორ, როდის და რატომ გახდა საბჭოთა კავშირი იძულებული, ბირთვული შეიარაღება დაეგროვებინა, მიხვალთ დასკვნამდე: ჩვენ ხომ სულ უნდა დავწეოდით ამერიკელებს და, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირის მიერ საკუთარი ბირთვული პოტენციალის შექმნა ორმოციანი წლების დასასრულსა და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ობიექტური აუცილებლობა იყო. მაგრამ ისიც ხომ სწორია, რომ ჩავებით გამალებულ, — როგორც ბირთვულ, ისე ჩვეულებრივ, — შეიარაღებაში. გაგვიტაცა რაოდენობამ, იარაღის დახვავებამ, მეტისმეტი თავგამოდე-

ბით ვუპასუხებდით ოპონენტებს, ვეტოლებოდით სიმეტრიულად, თანაფარდობითა და რაოდენობით, მაშინ როცა შეიძლებოდა მათთვის გაგვეცა ასიმეტრიული, რაოდენობრივად ნაკლები მოცულობის, მაგრამ თავისი დონით უფრო მაღალხარისხოვანი „პასუხები“.

ჭირთამთმენი ჩვენი ადამიანი, ძარღვმაგარი ხალხი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში უდიდესი მსხვერპლი გაიღო და ომიდან მარტო მოუშუშებელი ჭრილობები კი არა, თავისი თავისა და ქვეყნის გამო სიამაყის გრძნობაც გამოიყოლა, ხალხი, რომელმაც მსოფლიო იხსნა ფაშიზმისგან, — მზად იყო, რაც კი ებადა, ყველაფერი გაეცა თავდაცვის განსამტკიცებლად. გასცა კიდეც. და ხალხის გაღებულს იღებდნენ უყოყმანოდ, იღებდნენ იმის გაუაზრებლად, რომ თავისი უშიშროების საიმედოდ დაცვა არ ძალუძს ქვეყანას, რომლის ხალხი სოციალურად და პოლიტიკურად დამცირებულია, სადაც ადამიანმა უარი თქვა ყოველგვარ კეთილდღეობაზე, სადაც ადამიანი გახდა საშუალება და არა მიზანი უშიშროების უზრუნველყოფისა. საკითხავია ოღონდ ვისი უშიშროებისა?

როგორც იქნა, დავძლიეთ ძვალრბილში გამჯდარ წარმოდგენათა ინერცია და მივხვდით, რომ დიდი ბირთვული არსენალის ფლობა სახელმწიფოს საიმედო დაცვას კი არ უქმნის, პირიქით, ასუსტებს, რესურსებს აკლებს და აფერხებს მშვიდობიანი წარმოების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში მაღალი ტექნიკური დონის მიღწევას. მოსახლეობის მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ჩვენთვის ცხადზე ცხადი გახდა, რომ ნებისმიერი საგარეო პოლიტიკური პროგრამა, ჩანაფიქრი, მოქმედება,—ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საშუალებათა ჩათვლით, — მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ჭეშმარიტ ეროვნულ პრიორიტეტებს, ქვეყნის ხანგრძლივ ინტერესებსა და რეალურ შესაძლებლობებს, მოქალაქეთა მოთხოვნილებებს.

უდავოა, რომ განვლილ ათწლეულებში საბჭოთა კავშირში შეიქმნა უზარმაზარი სამეცნიერო-ტექნიკური, ინტელექტუალური, ეკონომიკური პოტენციალი. მაგრამ როგორ გამოიყენება ის? როგორ „მუშაობს“, — და საერთოდ მუშაობს კი, — „ეროვნული ძლიერების“ ისეთი ფაქტორები, როგორიც არის ტერიტორიის სიდიდე, ბუნებრივი რესურ-

სები, აზრის პოტენციალი, სახელმწიფო ეროვნული ინსტიტუტები?

უზარმაზარი სივრცეები განუსჯელი ცენტრალიზმის წყალობით ეკოლოგიური უბედურების მკვდარ ზონებად იქცა. ბუნებრივი რესურსები? მტაცებლურმა ექსპლოატაციამ („გეგმა", რადაც არ უნდა დაგვიჯდეს!") ისე გამოლია ბუნებრივი სიმდიდრეები, რომ სანაცვლოდ ეკონომიკის ხარისხობრივი ნამატი არ მოუცია. „იოლად და სწრაფად" მოპოვებული ნავთობით ქვეყანამ დაახლოებით 180 მილიარდი დოლარი იშოვა, მაგრამ ამას არავითარი შვება არ მოჰყოლია, მოქალაქეთა მატერიალური მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. კი მაგრამ, საზოგადოების ზნეობრივი სულისკვეთება და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ინსტიტუტების სტაბილურობა? მათ მხარს უჭერდნენ ნატყუარი „წარმატების პროპაგანდით", განსხვავებული აზროვნების დათრგუნვით, „შინაური" და „გარეშე" მტრების წინაშე შიშის დანერგვით, „ურიგო" საქციელისთვის დასჯისა და შურისძიების მუქარით.

დღევანდელი კრიტიკოსები, როცა ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ქვეყნის უშიშროების შესუსტებაში ადანაშაულებენ, ამის ძირითად მიზეზად მიიჩნევენ საერთაშორისო ფაქტორთა აშკარა გაზვიადებას და ეროვნული სიძლიერის, როგორც გარდაქმნის წარმატების მთავარი გარანტის, შეუფასებლობას. ადრეც მოგახსენეთ, რომ საშინაო პოლიტიკა ჩამორჩა საგარეო პოლიტიკას; დანამდვილებით რომ არ ვიცოდე: საშინაო პრობლემებს ამუხრუჭებდა სისტემის შეუპოვარი წინააღმდეგობა. სწორედ იმ სისტემისა, რომელიც ათწლეულების მანძილზე ძირს უთხრიდა ეროვნული სიძლიერის ფაქტორებს იმით, რომ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისთვის მხოლოდ სამხედრო საშუალებებზე გადაჰქონდა მთელი გულისყური; სწორედ იმ სისტემისა, რომელსაც დღეს მისი ყველაზე თავგამოდებული დამცველების პირით ასეთი განაჩენი გამოაქვს ახალი აზროვნების პოლიტიკისთვის: „ზოგადსაკაცობრიო და კლასობრივი ინტერესების დაპირისპირებით, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებისთვის უპირატესობის მინიჭებით ცუდი სამსახური გავუწიეთ სოციალისტურ იდეას... დაირღვა კლასობრი-

ვისა და ზოგადსაკაცობრიოს დიალექტიკური ერთიანობა. თქვენთან ერთად ჩვენც ხომ ვიცით, რომ ზოგადსაკაცობრიო ინტერესებს მუშათა კლასზე უკეთ არავინ არასოდეს გამოხატავდა...“ (სკკპ ცკ და ცკკ გაერთიანებული პლენუმის მასალები. — „პრავდა“, 1991 წ. 4 თებერვ.)

ასეთ თვალსაზრისთან ძნელია კამათი. ძნელია დისკუსიის გამართვა, როცა დისკუსიის საგანს განზრახ ანგრევენ ჯავშნის გამანადგურებელი დოგმის დარტყმებით, რით და როგორ გინდა შეეკამათო განცხადებას, რომ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა საუკეთესო გამომხატველია მუშათა კლასი, რომელიც ათწლეულების მანძილზე მოკლებულია არსებობის ელემენტარულ ადამიანურ პირობებს? როგორ გინდა, სადავოდ აქციო დებულება სოციალისტური იდეისთვის მიყენებული ზიანის შესახებ? უმთავრესი ზიანი მას მიაყენა დანაშაულებრივმა გაყალბებამ და მისი თავდაპირველი მიზნების საპირისპირო უადამიანო ფორმებით ხორცშესხმამ.

რაღაც ძალზე ნაცნობ მტანჯველ განცდას იწვევს პასაჟები დეიდეოლოგიზაციის თაობაზე, რომელიც ახლა შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ „სოციალისტური ინტერესების, მიზნებისა და ფასეულობების მსხვერპლად შეწირვას ბურჟუაზიული ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებებისთვის. განა შეიძლება, არსებობდეს დემოკრატია, თავისუფლება, სამართლიანობა რაიმე საზოგადოებრივი წყობის გარეშე? თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს სხვა საზოგადოებრივი სისტემები, გარდა სოციალიზმისა და კაპიტალიზმისა...“ (იქვე).

როგორ ჩავერთოთ ამ კამათში, რომელსაც შუა საუკუნეების სქოლასტიკის ელფერი დაჰკრავს? შეიძლება დოგმას დოგმითვე შევეპასუხოთ და „აზროვნების“ შემოთავაზებული დონე ამგვარად გავიზიაროთ. შეიძლება, მივმართოთ მშრალ სტატისტიკას და დავადგინოთ, რომ ორივე სისტემის ცხოვრების დონის მაჩვენებლები აშკარად ჩვენს საზიანოდ მეტყველებენ. მაშ, რაღა საჭიროა საუბარი რაღაც ღირებულებებზე, რომლებიც იმდენად გაუფასურდნენ, რომ გასაწირავიც აღარაფერია. შეგვიძლია, ვთქვათ: „კი ბატონო, დემოკრატია, თავისუფლება, სამართლიანობა არ არსებობენ რომელიმე საზოგადოებრივი წყობის გარეშე. მაგრამ ობიექტურ რეალობას თუ მთლად არ შეაქციე ზურგი, როგორ

გინდა ამტკიცო, რომ ჩვენთან აშენებული „სოციალისტური მოდელის“ ფარგლებში ამ კატეგორიის მსგავსი რამ ნამდვილად არსებობდა? შეიძლება პირდაპირ ქუჩაში გახვიდე და ნახო, თუ როგორ გამოიყურებიან ადამიანები, როგორი სახეები აქვთ, როგორ აცვიათ, როგორ ბინებში ცხოვრობენ, როგორ პირობებში მუშაობენ და როგორ არა ჰგავს ეს ადამიანურ ცხოვრებას. რა უსაშველოდ შორს არის სოციალისტური იდეალისგან“.

სხვა არა იყოს რა, ესეც გამიქრობდა კლასობრივისა და ზოგადსაკაცობრიოს ურთიერთმიმართებისადმი მიძღვნილ დისკუსიაში ჩაბმის სურვილს, ახალი აზროვნების მოწინააღმდეგეთა გარეგნულად სქოლასტიკურ მსჯელობებს სრულიად აშკარა პრაქტიკული მიზნები რომ არ ჰქონდეს.

ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების უზენაესობის პრინციპზე უარის თქმა და კლასობრივი საწყისის აბსოლუტურობასთან დაპრუნება ნიშნავს შინაური თუ უცხოელი „მტრის ხატის“ რეანიმაციას და ქვეყნის შიგნით თუ გარეთ რეპრესიათა გამართლებას. თუ მტრული გარემოცვა გვაკრავს, მაშინ „ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრის“ მსოფლმხედველობა უნდა დავამკვიდროთ, ომისთვის უნდა ვემზადოთ, სული ვერ უნდა მოვითქვათ კონფრონტაციებსა და კონფლიქტებს შორის.

ეს იმას ნიშნავს, რომ ისევ მივუბრუნდეთ „ცივი ომის“ გზას, ქვეყნის გამაჩანაგებელ დაპირისპირებას, გამალებულ შეიარაღებას, იმ რეჟიმთა მხარდაჭერას, რომელთა მიმართ დამოკიდებულება ორი სისტემის ბრძოლაში ჩვენდამი მათი „სოლიდარობით“ განისაზღვრებოდა.

ამგვარი იმპერიული ლოგიკის რეციდივები გამოვლინდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის ამასწინანდელ ხმაურიან მხარდაჭერაშიც; სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუსტსა და დაუცველზე განუკითხავი ძალმომრეობის იდეის მხარდაჭერაში, უკანონობისა და თვითნებობის დაკანონებაში. და ამას შთაგვაგონებდნენ ყალბი ფეტიშები „დაუძინებელი მტრისა“ და მის წინააღმდეგ ბრძოლაში დამხმარე „ერთგული მეგობრებისა“.

„მტრის ხატი“, რომლის დაძლევაც ასე გაგვიძნელდა, ყალიბდებოდა საბჭოთა ხალხის ჭეშმარიტი არსის, მისი გულითადობის, გმირობის, სიბრძნის, თავგანწირვის საზიანოდ;

ხალხის შემოქმედებით ძალებს, მის მშვიდობისმოყვარეობას საფუძველს ურყევდა რეპრესიები „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ წინააღმდეგ, მეგობართა გაწირვა; ხალხს თრგუნავდა მუქარა, — „ჩვენ თქვენ დაგასამარებთ“, — და მშვიდობიანი თანაარსებობის გამოცხადება კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკურ ფორმად.

საგარეო პოლიტიკა სწორედ ხალხის სახელით და მის ზურგს უკან იქმნებოდა. მაგრამ ნუთუ მუდამ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდა? ვითომ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა იყო უშიშროების სამხედრო უზრუნველყოფისთვის ლამის გიჟური თავგამოდება, რამაც საშუალო სიშორის რაკეტა—10-ის (სსს-20) რაოდენობის უკიდურეს გაზრდამდე მიგვიყვანა? ან ორმოცდაათიან წლებში დამკვიდრებული „კარის გამოჯახუნების“ ჩვეულება, რომელიც ქცევის სტერეოტიპი გახდა ოთხმოციანი წლების დასაწყისში, როცა ჟენევის მოლაპარაკებებიდან ჩვენმა წამოსვლამ დააჩქარა და გააადვილა ევროპაში ჩვენი საწინააღმდეგო მეორე სტრატეგიული ფრონტის შექმნა? ვითომ ხალხის სასიკეთო საქმე იყო განვითარებადი ქვეყნებისთვის იარაღით დახმარების პოლიტიკა, რომელმაც გაგვაღატაკა? ეგებ ავღანეთშიც ხალხის საკეთილდღეოდ შევიყვანეთ ჩვენი ჯარები? ვაი რომ, ამგვარი კითხვები, რომლებსაც ერთი საერთო პასუხი აქვს, — „არა“! — შეიძლება მრავლად დავსვათ.

მაგონდება აპლოდისმენტების როგორი ტალღა მოჰყვა ჩემგან ფრიად პატივცემული ერთი პოლიტიკოსის ნათქვამს, რომ მსოფლიოში ვერც ერთი საკითხი ვერ გადაწყდება საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე, და, მით უმეტეს, — მისი ინტერესების გაუთვალისწინებლად. ჭეშმარიტად ასეა. მაგრამ საქმე ის არის, თვით საბჭოთა კავშირისთვის რის ფასად წყდება ეს საკითხები.

ავღანეთში ომი მარტო ფულად 60 მილიარდი მანეთი დაგვიჯდა. სულ ცოტა, 200 მილიონი მანეთი დაჯდა კონფრონტაცია ჩინეთთან, რომლის საზღვარზეც, — შვიდი ათას ხუთას კილომეტრზე, — ორი-სამი ათწლეულის მანძილზე კოლოსალურ სამხედრო ინფრასტრუქტურას ვაგებდით.

ვინ იტყვის, რამდენი ჯდებოდა ჩვენი ჯარების ხანგრძლივი ყოფნა ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, პოლონეთში? ან

რა დაგვიჯდა ქიმიურ შეიარაღებათა გამალებული წარმოება? მაშინ როცა ის ამერიკელებმა ჯერ კიდევ 1969 წელს შეწყვიტეს?

მოდით, დავინტერესდეთ, რა ჯდება „ცივი ომი“ მის ფულად და პოლიტიკურ ექვივალენტებში. დასავლეთთან ბოლო ორი ათწლეულის იდეოლოგიურმა კონფრონტაციამ სამხედრო დაპირისპირების ხარჯებს, ზოგიერთი შეფასების თანახმად, 700 მილიარდამდე მანეთი წაუმატა. ამდენი თანხა დაიხარჯა იმის ზევით, რაც საჭირო იყო აშშ-თან და დასავლეთთან სამხედრო პარიტეტის მისაღწევად.

დიდი გულმოდგინებით ვეთაყვანებოდით ფსევდოიდეოლოგიის კერპებს. და აი, გავაღატაკეთ ჩვენი ხალხი, მთელი ქვეყანა. ხალხის დაბეჩავება და გაღარიბება კი მისი უშიშროების განმამტკიცებელი არ არის.

ძვირად დაგვიჯდა არარეალური, თავისი არსით კონფრონტაციული დოქტრინებისა და უმნიშვნელოვანეს საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების მბრძანებლურ-ბიუროკრატიული პრაქტიკა.

ახლა ხელახლა მოგვიწოდებენ, რომ ყოველივე აღვადგინოთ და საბუთად აქვთ თეზისი: „ახალი აზროვნების ფილოსოფია ქვეყნის უშიშროების ინტერესებს აშკარად დაპირისპირდება“. მზადა ვარ, მივიღო ეს თეზისი, ოღონდ ერთი მცირე შესწორებით: ის აშკარად დაუპირისპირდა დიდმპყრობელობის ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას.

რასაკვირველია, შესაძლებელია ამ დაპირისპირების მოხსნა, თუ მსხვერპლად გავიღებთ ახალი აზროვნების პოლიტიკას, მაგრამ მაშინ ქვეყანა საიმისოდ უნდა გავიმეტოთ, რომ საბოლოოდ მოსწყდეს მსოფლიო ცივილიზაციას, სამყაროსაგან იქნეს იზოლირებული და იწვნიოს აქედან გამომდინარე ყველა შედეგი.

მე მინდა, რომ ახალი აზროვნების კრიტიკოსებმა დაასახელონ ის ფასი, რაც დაჯღება ეს „უკან დახევა“. გამოთვალონ იმ ერთადერთი შესაძლებელი კურსით, წარსულში რომლის უგულვებელყოფაც გამარჯვებულნი დამარცხებულად გვაქცია.

გამოთვალონ ადამიანის სიცოცხლის კურსით.

ადამიანური მასშტაბი. „იდეალისტის“ აღსარებები

4

1985 წლის ივლისში „სამყაროს ხატში“ ჩემთვის, როგორც იქნა, გამოიკვეთა კონკრეტული ნაკვთები. ევროპის ოცდათხუთმეტი ქვეყნის, აშშ-ისა და კანადის საგარეო საქმეთა მინისტრები ეეკრიბნენ ფინეთის დედაქალაქში, რათა აღენიშნათ ჰელსინკის აქტის ათი წლისთავი და ესაუბრათ მომავალი ევროპული პროცესის თაობაზე. მე მათ შორის ახალგაზრდა ვიყავი და ეს შეხვედრა საბჭოთა კავშირის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის „გასინჯვად“ გადაიქცა. ოფიციალური თავაზიანობის გამოხატვის მიღმა თავს იჩენდა ცოცხალი ადამიანური ინტერესი. მე ვიგრძენი გულწრფელი კეთილგანწყობა, კოლეგების დაუფარავი სურვილი, გაეგოთ, ეს რა კაცი შემოვიდა მათ წრეში ასე მოულოდნელად. ვერ ვიტყოდი, თავს ლაღად ვგრძნობდი-მეთქი, მაგრამ მათ მეც „ვზომავდი“. დაძაბულად ვაკვირდებოდი ყოველ მათგანს, ვცდილობდი, პირველ რიგში შემეცნო, ვინ როგორი ადამიანი იყო. ვცდილობდი, თვალთაგან ჩამომეცილებინა იდეოლოგიური ლინზები, რომელთა წყალობით დასავლეთის ესა თუ ის წარმომადგენელი მუხანათი მტრის სახით უნდა წარმომდგომოდა. იდეოლოგიით განმტკიცებული და დაკანონებული ანტაგონიზმი მოითხოვდა, რომ ყურთასმენა გამეფაციცებინა: „იცოდე, არ მოგატყუონ, არ გაგაცურონ!“. ჯერ კიდევ როდიდან დამკვიდრებული სტერეოტიპი — დიპლომატიაში მიზნის მისაღწევად დასაშვებია ნებისმიერი საშუალებები, მათ შორის სიცრუეცა და სიყალბეც, — მიუღებელი იყო ჩემთვის, მაცბუნებდა. თანამედროვე ვითარებაში შემორჩენილი ტალეირანებისა და მეტერნიხების ეპოქის ჩვევები არასგზით არ ეთანხმებოდა იმ ხორმებს, რომლებსაც მინდოდა მივყოლოდი: პატიოსნებას, წესიერებას პარტნიორებთან საქმიან კონტაქტებში. ეს უდიდეს და უმაღლეს პრინციპულობას მოითხოვდა, მინდოდა, ჩემს პარტნიორებს ჩემი ნდობა ჰქონოდათ, და მსურდა, მეც ვნდობოდი მათ. აქ ბევრი რამ იყო დაკავშირებული ფილოსოფიასთან, რომელთანაც, ბოლოს და ბოლოს, მივედი, მაგრამ ბევრს ნათელს ჰფენდა კონკრეტულ პიროვნებათა ჩემეული უშუალო აღქმა, პიროვნების შეცნობა, მისი ქცევისა და ნათქვამის გააზრება.

თუმცა, ეს ერთმანეთისგან განუყოფელია, აქ მაინც მინდა, ფილოსოფიას შევეხო. (ეგებ ეს მეტისმეტად გაბედული ნათქვამი იყოს). ფილოსოფოსის განსწავლულობის პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ, როგორც სწორად შენიშნა ჩვენი დროის თვალსაჩინო მოაზროვნემ, მერაბ მამარდაშვილმა, ადამიანები რეალურად, ჯერ საქმით იწყებენ სხვაგვარ აზროვნებას, სანამ ამაზე რაიმე ფილოსოფიურ თვალსაზრისს შეიმუშავებდნენ.

ჩემი ამბავიც ასე იყო.

როცა მოლაპარაკებათა მაგიდასთან ვჯდებოდი, ყოველთვის ვცდილობდი, რომ ჩემს თანამოსაუბრეს ჩემში, უპირველეს ყოვლისა, დაენახა ადამიანი და არა მტრული იდეის მქონე პიროვნება, ეს მაინც უნდა ეგრძნო თავიდანვე, რომ ეს მტრული იდეა არ იდგა ჩვენს შორის, თორემ სხვაგვარად ვერაფერს მივაღწევდით. მე არ უარვყოფდი ჩემს მრწამსს, ჩემს რწმენას, მაგრამ ამის გამო საქმის ინტერესი არ ფერხდებოდა. რასაკვირველია, ყველაფერზე წინ ჩემი ქვეყნის ინტერესები იდგა, მაგრამ ამავე დროს ვითვალისწინებდი პარტნიორის ინტერესებსაც. და ამასვე ველოდი მისგანაც. ყოველთვის ვიცოდი, თუ რა გვთიშავს ჩვენ, მაგრამ სულ ვცდილობდი, გამერკვია, რა გვაერთიანებს. საერთო ინტერესები და მიზნები წამოიწევდა ხოლმე წინ და ყველაფერი დანარჩენი უკან იხევდა.

ერთიანი და შეკავშირებული მსოფლიოს განვითარების ობიექტურ ტენდენციებთან, მატერიალური და სულიერი ცივილიზაციის პროგრესთან შეთავსებული ეროვნული ინტერესები ფრიად მოძრავი, დინამიკური, მუდმივ ცვალებადი კატეგორიაა.

ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პრიორიტეტისადმი ჩვენმა ერთგულებამ მათი ახლებურად გააზრების საშუალება მოგვცა. სხვა შინაარსით განიმსჭვალა მშვიდობიანი თანაარსებობის ფილოსოფია, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსალური პრინციპი.

ყველა მკითხველისთვის არ იქნება გასაგები, თუ რა არის აქ არსებითი, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ეს ერთი სიტყვა „უნივერსალური“. მომიხდება განმარტება, რომ 1986

წლამდე მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი ვრცელდებოდა მხოლოდ პოტენციურ მოწინააღმდეგეებთან ჩვენს ურთიერთობებზე, ჩვენს მეგობრებთან და მოკავშირეებთან ურთიერთობაში კი არსებობდა სხვა პრინციპი — პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, რომელიც უფლებას გვაძლევდა, ვთქვათ, ვარშავის ხელშეკრულების თანახმად, ჩვენი მოკავშირეების საქმეებში ჩავრეულიყავით შეიარაღებული ძალითაც კი.

დღეს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი ახლებურად „მუშაობს". მას შემდეგ, რაც ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ა და დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს დაპირისპირებულობა წარსულს ჩაბარდა, „ცივი ომი" დამთავრდა, ახალი ევროპის შენება დაიწყო და მსოფლიო საზოგადოებამ დაძლია კრიზისი სპარსეთის ყურეში, — თვით ტერმინი „მშვიდობიანი თანაარსებობა" უკვე აღარ კმარა. ახლა წინ იწევს პარტნიორობის, თანამშრომლობის, ურთიერთგაგებისა და თანაქმედების უნივერსალური პრინციპი. მასში დევს სამყაროს შენარჩუნებისა და გარდაქმნის უდიდესი პოტენციალი, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ შუღლს — კლასობრივს, ეროვნულსა თუ რელიგიურს. საერთაშორისო ურთიერთობათა ცოცხალ პრაქტიკაში როცა საბოლოოდ დამკვიდრდება ეს პრინციპი, ეგებ მან შეგვაძლებინოს, რომ მსოფლიოს აგებულებასა და წესში განვახორციელოთ კაცობრიობის მიერ დაგროვილი ყოველივე საუკეთესო სინთეზი.

სკკპ XXVIII ყრილობაზე ერთ-ერთმა დელეგატმა მკითხა, თუ რა პრინციპულ სხვაობას ვხედავდი, მაგალითად, მუშათა კლასის ინტერესებსა და ზოგადადამიანურ ინტერესებს შორის. ვუპასუხე, რომ საკითხის ასე დასმა კანონზომიერად არ მიმაჩნია. კლასობრივი ინტერესები არასოდეს დამიპირისპირებია ზოგადადამიანური ინტერესებისთვის, — ვლაპარაკობდი მხოლოდ მათ თანაფარდობაზე. მათ შორის არავითარი წინააღმდეგობრიობა არ არის. ეს ნაწილისა და მთელის თანაფარდობაა. ზოგადადამიანურ ინტერესთა პრიორიტეტი იმას ნიშნავს, რომ ყველა ნორმალური ადამიანი, მათი განსხვავების მიუხედავად, ერთნაირად არის დაინტერესებული მშვიდობით, კულტურის აყვავებითა და პროგრესით, საზოგადოებისა და ადამიანის ჯანსაღი მდგომარეობით, ბირთვულ და

ეკოლოგიურ საფრთხეთაგან ცივილიზაციის გადარჩენით, განვითარების პრობლემების გადაჭრით.

საკუთარი ეროვნული ინტერესები რომ სწორად შევაფასოთ და მოვაგვაროთ, აუცილებელია წარმმართველი ტენდენციების გაცნობიერება და კაცობრიობის საერთო ძვრების ძირითად მიმართულებათა გაგება. იმის გაცნობიერება, რომ ყოველი სახოგადოებრივი ჯგუფი, — კლასი, ერი, ხალხი, სახელმწიფო — სრულად მხოლოდ მაშინ შეასხამს ხორცს თავის მისწრაფებებს, თუ მათ სწორად შეუფარდებს საყოველთაო კეთილდღეობას.

ხატოვანად რომ ვთქვა, მშვიდობა და უსაფრთხოება თუ არის თანამედროვე მსოფლიოს პანორამაში უმთავრესი მიხანდასახულობა, მაშინ ზოგადადამიანური და ეროვნული ინტერესების ჰარმონია — ეს არის მისი იდეალური კომპოზიცია. ამ ფრესკაში როცა ჩვენს ეროვნულ დეტალს ვრთავთ, ყოველი ჩვენგანი მოვალეა, მას ხედავდეს სხვა დეტალებთან ორგანულ, განუყრელ ერთიანობაში. სამწუხაროდ, კომპოზიციის სხვა კვანძებში ჯერ კიდევ ჩნდება მისი მთლიანობის შემფერხებელი „გარღვევები". მაგრამ ეს არ არის იმის დასტური, რომ ახალი აზროვნების ფილოსოფია უმწეოა. თანამედროვე პირობებში ეს „გარღვევები" ანომალიაა და არა ნორმა და ამიტომ, როგორც ნებისმიერი პათოლოგიის, ასევე მათ დასაძლევადაც საჭიროა სპეციფიკური საშუალებები. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ერაყის აგრესია კუვეიტის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაშიც ხომ მსოფლიო საზოგადოებრიობა ზოგადადამიანური გზით იღვწოდა. და მხოლოდ ყველა პოლიტიკური საშუალების ამოწურვის შემდეგ გახდა იძულებული წესრიგის აღსადგენად ძალა გამოეყენებინა. სხვაობაც უნდა დავინახოთ, ადრე როგორ გამოიყენებოდა ძალა და ახლა რა მოხდა. არსებითად, ეს არის სხვაობა ძალმომრეობასა და კანონიერებას შორის.

ახალმა აზროვნებამ ლოგიკურად მიგვიყვანა დაპირისპირების, — როგორც საგარეო პოლიტიკის წესისა და საფუძვლის, — უარყოფამდე, იდეოლოგიური შტამპების დაძლევამდე, საერთაშორისო ურთიერთობათა დეიდეოლოგიზაციამდე. სახელმწიფოებს უნდა ესწავლათ ერთმანეთთან თანამშრომლობა და ერთმანეთის ინტერესთა პატივისცემა,—იდეოლოგი-

ური სხვაობის მიუხედავად, — შეხების წერტილთა ძიება. საგარეო პოლიტიკა აღარ უნდა დაქვემდებარებოდა კაცობრიობის რაღაც ნაწილის — დიდისა თუ მცირის — სრულიად საპირისპირო იდეურ მიზანდასახულობებს. საკითხის ასეთი გააზრება, რასაკვირველია, არ ცვლის ჩვენს საკუთარ მსოფლგაგებას, მით უმეტეს, უფლება არა გვაქვს, სხვებისგან მოვითხოვოთ მრწამსის დათმობა.

დიახ, ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკა, არსებითად, ეფუძნება იდეოლოგიას, გამსჭვალულია იდეოლოგიით. საკითხავი ოღონდ ის არის, თუ როგორია ეს იდეოლოგია. პოლიტიკამ შეიძლება ივარგოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იდეოლოგიას საფუძვლად დაედება სიკეთის, სამართლიანობის, ჰუმანიზმის, სულიერების პრინციპები. იდეოლოგიური სექტანტობის, შეუწყნარეობლობის ქადაგებას კი არასოდეს მოუტანია სასიკეთო შედეგები და, მით უმეტეს, დღეს ვერ მოიტანს.

ნება მიბოძეთ, აქ ოდნავ გადავუხვიო. მე ყოველთვის უხერხულობას მგვრიდა ადამიანის უფლებებთან იდეოლოგიის შერწყმის ცდები; ზოგ საზოგადოებაში იდეოლოგია რელიგიასავით არის. ადამიანს უფლება უნდა მიეცეს, აირჩიოს რწმენა. ყოველ შემთხვევაში, — სრულასაკოვან ადამიანს უნდა მიეცეს ამის უფლება.

ჩვენს ქვეყანაში უყვართ თქმა, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი არჩევანი 1917 წლის ოქტომბერში გააკეთა. მართალია, ჩვენმა პაპებმა რევოლუცია მოახდინეს, მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ მათ ის აირჩიეს, რაც ამას მოჰყვა, თუნდაც დამახინჯებათა, დეფორმაციათა, ბოროტმოქმედებათა, აშკარად დანაშაულებრივ აქტთა სახით? სავალდებულოა თუ არა მათი ან ჩვენი არჩევანი ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის?

ქვეყნის საზღვრებს ვკეტავდით, რომ მოქალაქეებს გარეთ ვერ გაეღწიათ; უცხოეთში მისავლინებლად ადამიანებს ისე ვარჩევდით, როგორც კოსმონავტებს მთვარეზე გასაფრენად; ადამიანებს არჩევანი აღარ დავუტოვეთ. კანონიერად ითვლებოდა სოციალისტური არჩევანი. თუ გვწამდა, რომ ჩვენი იდეოლოგია ჭეშმარიტია, რომ ის ყველაზე მოწინავეა, მაშინ რატომღა გვეშინოდა სხვა მრწამსის წარმომადგენლებთან

კონტაქტისა? რატომ ვკრძალავდით წიგნებს, რატომ ვახშობდით რადიოგადაცემებს, რატომ ვსჯიდით ადამიანებს იმისთვის, რომ ისინი უყურებდნენ სხვა ფილმებს, ისმენდნენ სხვა მუსიკას, ცეკვავდნენ სხვა ცეკვებს?

არ შეიძლება ადამიანების ჩაკეტვა ეკლესიაში, მათთვის ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასვლის აკრძალვა და იმის მტკიცება, რომ ქვეყნის ზღურბლს იქით ცოდვისა და ლპობის სამეფოა. ადამიანს უნდა ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება, ადამიანმა თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა დეიდეოლოგიზაციაზე ფიქრისას ყოველთვის მიმაჩნდა, რომ უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია მათი განთავისუფლება დეფორმირებული, ყალბად გაგებული იდეოლოგიის მოძალებისაგან, იდეოლოგიური ექსტრემიზმისა და გაქვავებული ფუნდამენტალიზმისგან. ვფიქრობდი, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დეიდეოლოგიზაციისათვის საჭიროა გაფანტვა იმ მითებისა, რომლებითაც გადატვირთეს ეს ურთიერთობები. ანუ საჭიროა, ვისწავლოთ ჩვენი გარემომცველი სამყაროს იმნაირად დანახვა, როგორიც არის ის, და არა იმნაირად, როგორც გვიბრძანეს მისი დანახვა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ კრიტიკულად ვიაზროვნებთ, დეიდეოლოგიზაცია, არსებითად არის, ჩვენს მსოფლგაგებაში, ჩვენს მსოფლმხედველობაში ობიექტურობის, დამოუკიდებელი მსჯელობის ხვედრითი წონის ამაღლება. ასე იკლებს, იდეალურ შემთხვევაში კი საერთაშორისო პრაქტიკიდან საერთოდ გაქრება დამრიგებლური ტონი; შეუძლებელი შეიქნება საკუთარი კურსის გაიგივება აპრიორულ ჭეშმარიტებასთან.

ეს პრობლემა უკავშირდება მორალისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართულებას. ისინი ძველთაგანვე ანტიპოდებად მიიჩნეოდნენ. ბევრი გამოჩენილი ადამიანი ამტკიცებდა: „პოლიტიკაში მორალი არ არსებობს, იქ არის მხოლოდ ინტერესები“. ბევრი პოლიტიკოსი საჯაროდ გმობდა მაკიაველის შეხედულებებს, მაგრამ საქმით მის რჩევებს მისდევდა. პოლიტიკური „მორალი“ ამართლებდა ყველაფერს, რასაც მიზნის მიღწევა, წარმატება მოჰქონდა. XX საუკუნის დასასრულს გაირკვა: ბევრ რამეს უკვე აღარ მოეძებნება გამართლება,

რადგან მიზანდასახულობათა შორის უწინდელი განსხვავებანი სულ უფრო და უფრო უკან იხევს და ადგილს უთმობს საერთო მიზნებს. დიახ, ძალა ჯერ კიდევ არ გამხდარა გამოუსადეგარი, მაგრამ მისი გამოყენება სულ უფრო ხშირად ჩანს უპერსპექტივოდაც და ამორალურ საქმედაც. და, ვფიქრობ, ამ მიმართებით ახალი აზროვნება სტიმულს აძლევდა პოლიტიკურ აზრს. ახალმა აზროვნებამ პოლიტიკაში ვიწრო, ეგოისტური ზრახვებით გზის გაგნებას ამჯობინა ზნეობრივი კრიტერიუმებითა და წარმოდგენებით სვლა.

ჩვენ ცხოვრებამ მიგვიყვანა აქამდე. ახლა არც ერთი პოლიტიკური გადაწყვეტილება ან დიპლომატიური აქცია არ შეიძლება ჩაითვალოს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების შესატყვისად, თუ ეს არის უზნეო აქცია. რასაკვირველია, საერთო ადლი აქ არ ივარგებს. სპარსეთის ყურის კრიზისის ამბავი თითქოს იმას ადასტურებს, რომ თვით ერაყში საკმაოდ ფართოდ უჭერდნენ მხარს მათი ლიდერის აშკარად უზნეო აქციას. მაგალითისათვის შორს წასვლა არ მოგვიხდებოდა და საკუთარ ქვეყანაშიც შეგვეძლო გვეპოვნა ამორალიზმის ექსცესები მრავალთაგან ატაცებული „ეროვნული იდეის“ დროშათა ფრიალში. მაგრამ, ვიმეორებ, ეს არის ანომალია, სენი, რომლისგან განუკურნებლადაც ხალხს ვერ მოვუტანთ ბედნიერებას, თავისუფლებას, დამოუკიდებლობას. სხვა გამოსავალი არ არსებობს, სხვა ყველაფერი დამღუპველია.

ახალ აზროვნებას შეუძლია ეს აგვაცილოს.

ისევ მინდა ცოტა ვიმსჯელო პოლიტიკასთან ნაკლებად დაკავშირებულ თემაზე.

გასული საუკუნის სამოციან წლებში იშვა თანამედროვე ხელოვნება, გაჩნდნენ იმპრესიონისტები. მათი ხატვის მანერას საფუძვლად ედო ახალი წარმოდგენები სინათლის ბუნებაზე. ცოდნის დაგროვებამ, იმის გაგებამ, რომ ადამიანის ცხოვრება დიდ, არსებით ცვლილებებს განიცდის მეცნიერულ აღმოჩენათა წყალობით, ბიძგი მისცა ფერწერის ახალ სტილს, მისი საგნის სხვაგვარად შერჩევასა და მოწოდებას. იმპრესიონისტები თითქოს ისევ იმავე სამყაროს გამოსახავდნენ, მაგრამ ისინი თავიანთ ტილოებზე წარმოაჩენდნენ სიმართლეს ახალ სამყაროზე, — სამყაროზე, რომელიც ახალი „ტექნოლოგიის“ გაჩენის შემდეგ უწინდებური ვეღარ დარჩებოდა;

სამყაროზე, რომელშიც ცხოვრების ახალი წესი და რიგი მკვიდრდებოდა.

საინტერესოა იმის გახსენება, თუ როგორ აღიქვეს ეს ახალი მხატვრული აზროვნება აკადემისტებმა. ერთმა ხელოვნებათმცოდნემ შენიშნა: „ხელოვნება ახლდება, მასთან ერთად ჩვენც ვახლდებითო“. ალბათ, პოლიტიკაზეც შეიძლება ამისავე თქმა.

წარსულის დიდოსტატები მარად დარჩებიან ჩვენთან. პოეტის თქმისა არ იყოს, „ძველ დიდოსტატებს არ უჭირდათ ტანჯვის გაგება“. მაგრამ ადამიანები მხოლოდ შიშით როდი ცხოვრობენ, მათ ცხოვრებისეული სიხარულიც სჭირდებათ.

ახალი აზროვნების მიღება იოლი არ არის. ისევე, როგორც არ არის იოლი საკუთარ თავში ძველის ინერციის დაძლევა. ახალ აზროვნებამდე ტანჯვით მიდიხარ, საკუთარ სულსა და შეგნებაში წარსული გამოცდილების გამოტარებით. საგარეო პოლიტიკაში ახალ აზროვნებას ასევე სდევს უარისთქმა მოძველებულზე, იმის გადაფასება, რაც ათწლეულების შანძილზე სწორად ითვლებოდა.

პირველ რიგში უარია სათქმელი „მტრის“ სტერეოტიპებზე. საუკუნეთა მანძილზე ომებისა და სამყაროს გადაკეთებით განმტკიცებული ეს სტერეოტიპები ისტორიული სინამდვილის ანარეკლი იყო. მტერზე წარმოდგენას ხელოვნურად ხშირად ნერგავდნენ მმართველი რეჟიმებისა და ხელისუფალთან ინტერესებისთვის. თან მათ ეროვნულ და საერთო-სახალხო ინტერესებად ასაღებდნენ. იდეოლოგიურ სარკეებში აბსურდულად მახინჯდებოდა „მტრის“ რეალური სახე და ხალხს შიშს ჰგვრიდა, სიძულვილს უნერგავდა. შთაგონებდა, რომ ცხოვრების არსებული წესი ბუნებრივია და ნორმალური. თუ საკუთარ ხალხს „მტერს“ დაუსახავ, შეგიძლია, აიძულო, რომ მოითმინოს ნებისმიერი გასაჭირი, ხელმოკლეობა. შეგიძლია, ნებისმიერი მსხვერპლი გააღებინო, უარი ათქმევინო იმაზეც კი, რაც ყველაზე აუცილებელია. მაგრამ დგება მომენტი და მოთმინების ფიალა ივსება. მთავარი კი ის არის, რომ ადამიანური ღირსების გამუდმებული **დაკნინება** ქვეყანასა და ხალხს ცივილიზაციის საერთო **პროცესიდან** გამოთიშვას უქადის და მაშინ კი ნამდვილი **საფრთხე** ემუქრება ხალხის უსაფრთხოებას.

„ყველაფერი ნამდვილი გონივრულია; ყველაფერი გონივრული ნამდვილია," — წერდა ჰეგელი. პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, ვთქვათ: „ყველაფერი, რაც გონივრული არ არის, განწირულია"? განა დრო არ არის, შევიგნოთ, რომ უამრავი რამ არის ამქვეყნად არაგონივრული და სასიკვდილოდ განწირული, მაგრამ მაინც არსებობს და სიცოცხლეს გვიშხამავს? და განა დრო არ დადგა, რომ ზოგადსაკაცობრიო მორალთან შეჯერებული ახალი გონივრული იდეები დავუპირისპიროთ ბნელ?

დიახ, თანამედროვე მსოფლიო იმყოფება რთული და ზუსტი ბალანსის მდგომარეობაში, არის ინტერესთა ჭიდილი, ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების დაპირისპირება. მსოფლიო მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი, მაგრამ ერთიანია და განუყოფელი; უწინარეს ყოვლისა, უშიშროების თვალსაზრისით. უშიშროებას კი დღეს მრავალი წახნაგი აქვს: სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, კულტურული, ეკოლოგიური.

ვიდრე ბირთვული იარაღი არსებობს, როგორიც არ უნდა იყოს შეიარაღების დონე, ეროვნული უშიშროება ფიქციაა.

ვიდრე მსოფლიო მასშტაბით მოწესრიგებული არ არის ეფექტური ეკოლოგიური თანამშრომლობა, ყოველი სახელმწიფო დგას თავისი არსებობის ფიზიკური პირობების დეგრადაციის საფრთხის წინაშე.

ვიდრე სახელმწიფოები ჩაფლულნი არიან მათი ეკონომიკის დამანგრეველ ვალებში, ვიდრე მათ არა აქვთ სამართლიანი ეკონომიკური წყობა, რომელიც უკლებლივ ყველასათვის უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მოცემული დონის შესაფერ ცხოვრებას, უშიშროება მერყევი და არასაიმედოა.

ვიდრე ერები არ აღიარებენ საერთო ადამიანურ ღირებულებებს და პიროვნების უფლებათა პატივისცემის ერთ საერთო სტანდარტს, მათ წინაშე მდგარი ვერცერთი პრობლემა წარმატებით ვერ გადაწყდება. მაშასადამე, შეუძლებელი იქნება საერთო უშიშროების საიმედოდ დაცვაც.

ჯაჭვის ამ რგოლების ლოგიკური კავშირი ამჟამად ისეთია,

რომ ერთ-ერთი რგოლის ამოვარდნა მთელ ჯაჭვს დაშლით ემუქრება. ეს უნდა გვახსოვდეს, რათა ძველთაძველმა ჩვეულებებმა და ტრადიციებმა არ გამოიწვიონ კაცობრიობისათვის სახიფათო გადახრა ანგარებით დამძიმებული ვიწრო ეროვნული ინტერესებისკენ.

ჯერ კიდევ როდის ითქვა, რომ „გონება საშინელია, თუ ადამიანს არ ემსახურება“, მაგრამ მხოლოდ ამ საუკუნის ღასასრულს იქცა აბსოლუტურ აუცილებლობად გლობალური მასშტაბით ადამიანური ყოფის გონივრული ორგანიზაცია, რომელიც თვითგანადგურების თანდაყოლილ მანკთაგან იქნება განკურნებული.

კაცობრიობამ თავის თავს შეხედა ბირთვული რაკეტების ღობიდან, ოზონის „ხვრელიდან“, ახალმოვლენილი „ფიურერების“ მოღვაწეობის პრიზმიდან, და თავი გაიცნობიერა (ყოველ შემთხვევაში, უნდა გაიცნობიეროს!) ერთიან მთელად, რომელიც, განსხვავებათა მიუხედავად, — და სწორედ განსხვავებათა გამო, — საერთოსა და გამაერთიანებლის შენარჩუნებას ესწრაფვის.

მე მგონია, რომ ჩვენი დროის ყველა ძვრებში მაინც ჰუმანურობის იდეის აღორძინების, ადამიანთან, ადამიანურ მასშტაბთან მიბრუნების გეზია უმთავრესი. ახალი აზროვნება — ეს არის სამყაროს დანახვა ადამიანიდან, მისი პოზიციიდან, ინტერესებიდან. „ადამიანი არის საზომი ყველაფრისა“. ამ თვალსაზრისით ახალი აზროვნება სულაც არ არის ახალი. ის ახალია იმ აზრით, რომ ადამიანის კეთილდღეობაზე ორიენტაცია დღეს პოლიტიკის სულ უფრო და უფრო გარდუვალი იმპერატიული საზომი ხდება.

იდეალიზმია? შესაძლოა. მაგრამ მისი უარყოფით ერთადერთ სწორ პოლიტიკად იმ პოლიტიკის აღიარება მოგვიწევს, რომელიც თავის მთავარ ორიენტირთაგან გამორიცხავს პიროვნებას, მის სიმშვიდესა და კეთილდღეობას, რომელიც პიროვნებას ყალბი და ანგარებით განმსჭვალული ეროვნული ინტერესების მსხვერპლად ხდის. ასე იყო ავღანეთში წარმოებული ომის დროს, ასე იყო გამალებული შეიარაღებისას, ასე იყო ბიუჯეტის დიდი წილის სამხედრო წარმოებაზე გადართვის დროსაც; ასე იყო მაშინაც, როცა ევროპას თავს მოახვიეს დაშლა-გათიშვა და ბევრი სხვა არაადამიანური რამ,

რაც დამოკლეს მახვილად ეკიდა ადამიანის დაუცველ თავზე.

„ადამიანური მასშტაბი“ არქიტექტორებმა მოიგონეს. ეს ტერმინი მთლიანად არ ემთხვევა „ადამიანურ განზომილებას“, რომელიც პოლიტიკოსებმა დაამკვიდრეს. „ადამიანური მასშტაბი“ ვარაუდობს საცხოვრისისა და ადამიანის, სამკვიდრო გარემოსა და მის მკვიდრთა თანაზომიერებას. ამ მასშტაბის დარღვევა იწვევს დისკომფორტს მძიმე ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სოციალური შედეგებით.

პოლიტიკის არქიტექტორები უფრო ხშირად ოპერირებენ კატეგორიებით, რომლებშიც ადამიანისთვის ადგილი არ რჩება. არის „ხალხი“, „ქვეყანა“, „ეროვნული უშიშროება“, ესე იგი, თავმოყრილია დიადი ცნებები, მაგრამ ანგარიში არ ეწევა ყველაზე უმცირესსა და თან ყველაზე უმთავრესს — ადამიანის სიცოცხლეს. გეგონება, ეს კრებითი და ზვიადი ცნება თავისთავად იყოს ადამიანის კეთილდღეობის საწინდარი. მაგრამ ყველაზე კეთილმოწყობილ, გონივრულად დაგეგმილ და ლამაზად ნაშენებ ქალაქშიც ხომ ბევრს აქვს გაჯახირებული ცხოვრება?!

პოლიტიკის საზომი ადამიანი უნდა იყოს. ყოველ შემთხთხვევაში ის კომფორტს უნდა უქმნიდეს ადამიანს და მისგან არ უნდა მოითხოვდეს „მაღალი ინტერესებით“ ნაკარნახევ გაუსაძლის პირობებთან შეგუებას.

მესმის, რომ ეს მსჯელობაც იდეალიზმს ჩამოჰგავს, მაგრამ იდეალი რა არის, თუ არა მიზანი, რომლისკენაც უნდა მივისწრაფოდეთ? ჩვენი დრო მკაცრად გაუსწორდა ბევრ უტოპიას, რომელთაგან განსხვავებით, ეს მიზანი, — მიწიერი, საღი, გონივრული მიზანი, — არ უპირისპირდება დიად მიზანდასახულობათა ტრადიციას: რაც უფრო მეტს მოიგებს პიროვნება ჭკვიანური სახელმწიფო პოლიტიკით, მით უფრო მეტს მოიგებს ხალხი, საზოგადოება, სახელმწიფო, მისი უშიშროება. და თუ პოლიტიკა „შესაძლებელის ხელოვნებაა“, ის უნდა შთაგონებული იყოს იდეით „შეუძლებელისა“, რათა გასცდეს ფარგლებს ჩვეულებრივისას. მაგრამ ვშიშობ, რომ თვით პოლიტიკის არქიტექტორები თავს მყუდროდ ვერ გრძნობენ მათ მიერვე აგებულ შენობაში, რომელიც ვერც ვერასოდეს დამთავრდება და ვერც სრულყოფილებას მიაღწევს.

გალერაზე მიჯაჭვულ მონასაც კი არ შეშურდებოდა ხვედრი ჯეიმს ბეიკერისა ან ჰანს-დიტრიხ გენშერისა, — ისეთ დაძაბულ შრომას, ისეთი მძიმე ტვირთის ზიდვას მოითხოვს ეს ხვედრი. მაგრამ ასეთია ხვედრი ყველასი, ვინც იკისრებს პასუხისმგებლობას. და მე იმისთვის ვეხები ამ საკმაოდ ბანალურ თემას, რომ თხრობის საგანს მივუახლოვდე, უფრო ახლოს მივიდე ადამიანებთან, ვისთანაც საქმე მქონდა, ვისთვისაც ვაკეთებდი ამ საქმეს..

იმ დღეს, როცა გადადგომის შესახებ განცხადებით გამოვედი, ერთ-ერთმა ჩემმა ოპონენტმა ბრალად დამდო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საბჭოთა ჯარების მეტისმეტად ნაჩქარევად გამოყვანა. ამის შედეგად სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები პირდაპირ თოვლზე გაშლილ კარვებში აღმოჩნდნენო. ორატორმა გამოთქვა ეჭვი, შევძლებ თუ არა მე ამ ადამიანებისთვის თვალის გასწორებას. შევძლებ! ისევე შევძლებ, როგორც შევძელი ავღანეთში თვალი გამესწორებინა უამრავი ჯარისკაცის — ფორმიანი ოცი წლის ჭაბუკისთვის შინაგანად შეძრულმა იმით, რაც მათ თვალებში დავინახე; როგორც ვუსწორებდი თვალს ტკივილითა და ცრემლით სავსე იმ დედების თვალებს, რომელთა შვილებიც დაიღუპნენ, ან უკვალოდ დაიკარგნენ ავღანეთში. შესაძლოა სწორედ ამან — ადამიანთა თვალების გამომეტყველებამ, და არა ჩვენი სამხედრო ძალების იქ ყოფნის საწინააღმდეგოდ გაეროში კენჭისყრის ყოველწლიურმა შედეგებმა, — განმიმტკიცა გადაწყვეტილება, ყველაფერი მეღონა, რათა ომის უსულგულო მანქანას შეეწყვიტა ჩვენი ჭაბუკებისა და მათი მშობლების, თვითონ ავღანელების სიცოცხლის განადგურება. მე არც იმათი თვალების დავიწყება შემიძლია.

დაე, დამადანაშაულონ იმპერიული პოლიტიკის მაკრომასშტაბთა უგულვებელყოფაში, იმ პოლიტიკისა, რომელიც აწესებდა სახელმწიფო ინტერესთა დიდი „ბლოკებით“ ოპერირებას. ჩემი ამოსავალი ის არის, რომ ქვეყნის ინტერესები არ შეიძლება იყოს საიმედოდ უზრუნველყოფილი, თუ გამუდმებით იგნორირებული იქნება მიკრომასშტაბი, ადამიანური მასშტაბი.

თოვლზე გაშლილი კარვებისა და მათში შეხიზნულ ადამიანთა ბედიც ამავე რიგისაა. მზადა ვარ მათთან ერთად ვიცხოვრო იმავე კარვებში იმიტომ, რომ თავის დროზე იმ მანქანას

ვერ მოვერიე. ეს წიგნი იმის გადმოცემის ცდა არის, თუ რატომ და როგორ მოხდა ეს; ეს წიგნი ჩემთვის დასმულ რთულ კითხვებზე პასუხის ცდაც არის. მე მათ მივუბრუნდები მოგვიანებით, როცა შევძლებ იმის ჩვენებას და დამტკიცებას, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის საყრდენი იყო ადამიანის სიცოცხლე და რომ ჩვენ უზნეობად მიგვაჩნდა მისი დაყოფა „ჩემად" და „სხვისად".

ავღანეთში ჩვენი დანაკარგების ციფრები ფართოდ არის ცნობილი. მათ ხშირად იმოწმებენ, მაგრამ რატომღაც დუმილით უვლიან გვარდს სხვა შემზარავ ციფრს — დაღუპულ მილიონნახევარ ავღანელს. „ადამიანური მასშტაბი" ერთადერთია, უნივერსალურია და მე ვერ ვეგუები შერჩევით მის გამოყენებას.

შეურიგებელი ავღანური ოპოზიციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს როცა ჩემი დავალებით სთხოვეს, საბჭოთა ტყვეების დაბრუნებაში დაგვხმარებოდა, დაგვთანხმდა: „ოღონდ, დამეხმარეთ, ქაბულში დარჩენილი ჩემი ახლობლების ამბავი შევიტყოო, — იქვე დასძინა, — არ ვიცი, რა ბედი ეწიათო მათ".

ჩემი აზრით, პოლიტიკოსებს, რომლებიც ივიწყებენ, რომ ადამიანები ჯერ ადამიანები არიან და მერე გარკვეულ შეხედულებათა მიმდევრები, პოლიტიკოსობის უფლება არა აქვთ.

ავღანეთის საკითხის გამო ჟენევის შეთანხმებაზე ხელისმოწერის დღეს რთული, უნდა ვაღიარო, უსიხარულო განცდები დამეუფლა. თითქოს, ბედნიერი უნდა ვყოფილიყავი. მიღწეულია პარტიის XXVII ყრილობაზე განცხადებული მიზანი, განხორციელებულია ჯერ კიდევ 1985 წლის დეკემბერში მიღებული პრინციპული პოლიტიკური გადაწყვეტილება. ეს იყო წარმოუდგენლად ძნელი პრობლემა, რომლის გადაუჭრელადაც გარდაქმნა ბევრს წააგებდა. ძმათამკვლელ ავღანეთის ომში ჩვენი ჩაბმა უამრავ ქვეყანაში აღიქმებოდა, როგორც რეგიონალური კონფლიქტის გამოყენება გავლენის სფეროს გასაფართოებლად. ავღანეთში ჩვენი ჯარების ყოფნა არა მხოლოდ ამუხრუჭებდა ბევრ ქვეყანასთან ჩვენს ურთიერთობას, არამედ საეჭვოდ ხდიდა საერთაშორისო საქმეების ახლებურად წარმართვისკენ ჩვენს გულწრფელ სწრაფვას.

ახლა ყველაფერ ამას ბოლო ეღება. ავღანეთიდან აღარ მოვა სამგლოვიარო ცნობები და არ გამოიგზავნება კუბოები

ომში დაღუპულ ჭაბუკთა გვამებით. რამდენიმე თვის შემდეგ ყველა ჩვენი ოფიცერი და ჯარისკაცი შინ დაბრუნდება. სასიხარულო ბევრი რამ მქონდა, მაგრამ სიხარულს არ მგვრიდა.

თვითმფრინავის ილუმინატორიდან ვხედავდი, როგორ ინთქმებოდა მწუხრში ალპების მთაგრეხილი. სტიუარდესამ ღვინო მოგვართვა. ჩემმა ერთ-ერთმა თანაშემწემ ღვინო ჩამოასხა. „დღევანდელ წარმატებას გაუმარჯოს!“ სასმელზე პირის დაკარებაც კი ვერ შევძელი. სულს უმძიმდა. თვალწინ ქაბულელი მეგობრების სახეები მედგა. ახლა მათ თავიანთი თავის გარდა არავის იმედი არ შეიძლება ჰქონდეთ. გაძლებენ თუ არა ისინი ჩვენი ჯარების გამოსვლის შემდეგ? როგორ დავეხმროთ მათ ეროვნული შერიგების მიღწევაში, სისხლისღვრის შეწყვეტაში, ავღანეთისთვის მშვიდობის დაბრუნებაში? ჩვენზე მინდობილ, ახლა კი უკვე თავიანთი შეურიგებელი მოწინააღმდეგეების პირისპირ დარჩენილ, ადამიანებზე ფიქრი არ მასვენებდა. ვიცოდი, პოლიტიკურ ძალისხმევას არ შევასუსტებდით ავღანეთში მდგომარეობის მშვიდობიანად რეგულირებისთვის, და მაინც ვერ ვიცილებდი მეგობრების წინაშე პირადი დანაშაულის გრძნობას.

დღეს, ალბათ, უფლება მაქვს ერთი ფაქტი გავამხილო. მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა ჩვენმა ჯარისკაცმა გადმოკვეთა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის საზღვარი, მე და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. კრიუჩკოვი ისევ გავფრინდით ქაბულს, იმავე საღამოს ნაჯიბულას ოჯახის სტუმრები ვიყავით. ქალაქს რაკეტებს უშენდნენ, მთავარ პროვინციებში ცხარე ბრძოლები იყო გაჩაღებული. ბრძოლის ხმა თითქოს აღწევდა ოთახშიც, სადაც შინაურულ სუფრას ვუსხედით ჩვენ, სტუმრები, ოჯახის უფროსი და მისი ცოლ-შვილი.

— ხომ არ აჯობებდა, — ფრთხილად დავიწყე მე, — თქვენს ოჯახს ქვეყანა დაეტოვებინა? ჩვენ შეგვეძლო მოსკოვში გაღასვლაში დაგხმარებოდით...

თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ გვიპასუხა დიასახლისმა:

— ჩვენ გვირჩევნია, ამ სახლის ზღურბლთან დავიღუპოთ, ჩვენი ხალხის თვალწინ დავიხოცოთ, ვიდრე გავექცეთ მის უბედურებას. ჩვენ ყველანი აქ დავრჩებით ბედნიერ ბოლომდე ან უბედურ აღსასრულამდე...

მაშინ გავიფიქრე, რომ იდეებსა და იდეალებს ფასი აქვთ, თუ მათ ჭეშმარიტი ადამიანურობა ასულდგმულებს. მეუხერხულება ამ საუბარში ჩავრთო რაიმე სპეციალური პოლიტიკური ტერმინები, რომ უნებლიედ არ დავარღვიო საუბრის ტონალობა, მაგრამ მაინც ვიტყვი: მიზანი ყველაფრისა, რასაც ჩვენ ვაკეთებდით და დღესაც ვაკეთებთ ავღანეთის მდგომარეობის რეგულირებისთვის, ყოველი ავღანელის კეთილდღეობაც არის, — განურჩევლად იმისა, თუ რომელ ბანაკში იმყოფება ის. ჩვენ ამის გამო ვუჭერთ მხარს ძმათამკვლელი ომის შეწყვეტის, ავღანელთა შორის დიალოგის, თავისუფალი არჩევნების ჩატარების ფართო საფუძველზე მთავრობის შექმნის ნაჯიბულასეულ მშვიდობიან კურსს. ამისთვის ვცდილობთ გავააქტიუროთ ეკონომიკური კავშირები, განვაახლოთ თანამშრომლობა ჩვენი ხელშეწყობით აგებულ საწარმოებთან, ამისათვის ვგზავნით მათთან სპეციალისტებს; გაჭიანურებული ბრძოლის მიუხედავად, ვამყარებთ პირდაპირ კავშირებს ავღანეთის პროვინციებსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ვმონაწილეობთ ავღანეთისთვის ჰუმანიტარული და ეკონომიკური დახმარების გასაწევად გ ა ე რ ო ს მიერ შექმნილ პროგრამაში. ამისთვის ვესწრაფით ავღანეთთან მიმართებაში საბჭოთა კავშირისა და ამერიკული პოზიციების დაახლოებას. ეს კი შესაძლებელი გახადა „ცივი ომის“ დამთავრებამდე და განსაკუთრებით, მისი დამთავრების შემდეგ სსრკ-სა და აშშ-ს შორის თვისობრივად ახალი ხასიათისა და ახალი დონის ურთიერთობათა დამკვიდრებამ.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის ამ გენერალურ სტრატეგიაში მთავარ ამოსავალ წერტილად, ძირითად საზომად ჩემთვის უცვლელად ისევ ის ადამიანური მასშტაბი რჩებოდა. ეს ეხებოდა მიზანსაც და პარტნიორებთან ჩემს პირად კონტაქტებსაც. 1985 წლის ივლისის იმ, ახლა უკვე შორეულ, დღეს, როცა ჰელსინკში პირველად შევხვდი ჩემს უცხოელ კოლეგებს, ვოცნებობდი, რომ ყოველ მთგანს მიეღო ჩემს მიერ არჩეული კრიტერიუმი. მინდოდა, ერთმანეთთან გვესაუბრა როგორც ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საერთო საზრუნავი: ჩვენი ოჯახების სიმშვიდე, ჩვენი შვილების, ჩვენი შვილიშვილების მომავალი, თანამემამულეთა კეთილდღეობა. ვოცნებობდი, რომ ჩვენ უნდობლობისა და შიშის ზღუდეებიო

არ ვყოფილიყავით ერთმანეთისგან გამიჯნული... ჩემს ნატვრას ახდენა ეწერა. თითქმის ყველა ჩემს კოლეგასთან დავამყარე ისეთი პირადი კონტაქტები, რომლებმაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესებას თუ არა, უკეთეს ურთიერთგაგებას მაინც. ამის გამო თითოეულ მათგანს ვემადლიერები. ძალიან მინდა ყოველ მათგანზე ვილაპარაკო. მაგრამ როგორ გავართვა ამას თავი, როცა ყოველი მათგანი იმსხურებს არა მარტო გულთბილ სიტყვებს, არამედ გულთბილ საუბარსაც იმ პრობლემებზე, რომლებსაც ვაგვარებდით რთული, მაგრამ პატიოსანი თანამშრომლობის გზით?

და მაინც ვიტყვი ზოგ რამეს. ჯორჯ შულცით დავიწყებ. დარწმუნებული არა ვარ, იცის თუ არა მან, როგორი ხატოვანი ლეგენდები შეითხზა ჩემს სამშობლოში ჩვენს პირველ შეხვედრებზე. ამ მხრივ მუდამ მწყალობდა ბედი: ჩემი თანამემამულე მითთა მთხზველები ჩემს ცხოვრებას თავშესაქცევი თქმულებებითა და ზღაპრებით რთავდნენ ხოლმე. ზოგ მათგანში სიკეთეა, ზოგში — ღვარძლი; ზოგი მომწონს, ზოგი — არც მაინცდამაინც. ჯორჯსა და ჩემზე გამოგონილი ეს მშვენიერი პატარა ამბავი კი ძალიან მომწონს იმიტომ, რომ მასში აისახა ადამიანთა დიდი მოლოდინი და იმედები, ხალხის დიდი ოცნება.

თურმე ჰელსინკში აშშ-ის სახელმწიფო მდივანისთვის მაგიდაზე დამიდვია ქართული ხანჯალი და მითქვამს:

— მე განვიარაღდი. ახლა თქვენი ჯერია!

ეს ასე არ ყოფილა, მაგრამ რაც იყო, ასეთ თქმულებას არ ჩამოუვარდება.

უკვე მეორე შეხვედრისას, — ეს იყო ნიუ-იორკში, 1985 წლის სექტემბერში, — მე ვუთხარი შულცს:

— მსოფლიოში ბევრი რამ არის დამოკიდებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობებზე. ეს კი დიდად არის დამოკიდებული თქვენსა და ჩემს ურთიერთობაზე. მე განზრახული მაქვს საქმე ისე წარვმართო, რომ ვიყო თქვენი პატიოსანი და საიმედო პარტნიორი, თქვენ თუ ისურვებთ, — ვიყო მეგობარიც!

შულცი ფიცხლად წამოდგა და ხელი გამომიწოდა.

— აი, მე ხელს გიწვდით. მოიტეთ ხელი!

მას აქეთ მე მუდამ ვგრძნობდი მისი ხელის შეშველებას.

ზოგჯერ ეს გრძნობა შესუსტდებოდა ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. ხან ჩვენი ქვეყნების პოზიციათა სერიოზულ განსხვავებებთან დაკავშირებული გარემოებები იწვევდა ამას, ხან მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ, ჩვენდა უნებურად წარმოთქმნილ სიტუაციებს შეჰქონდა ჩვენს კონტაქტებში ოდნავი წყენა და გაღიზიანება. მაგრამ ამას არასდროს არ დაუჩრდილავს ერთმანეთის მოსმენისა და გაგების, ორივე მხარისთვის მისაღები შედეგის მიღწევის სურვილი. ასე იყო ყველაზე დრამატულ მომენტებში, — რეიკიავიკის შემდეგ, საშუალო მანძილის რაკეტებთან დაკავშირებით ხელშეკრულების შემუშავების დასკვნით სტადიაზე, ავღანეთის საკითხზე ჟენევის შეთანხმების ხელისმოწერის წინ, მაგრამ ჩვენ აქაც ვახერხებდით ერთმანეთთან ადამიანურ საუბარსა და შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ძიებას.

ჩვენი კონტაქტები თანდათან სცილდებოდა სამსახურებრივ, საქმიან ჩარჩოებს. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობათა ისტორიაში სსრკ და აშშ საგარეო საქმეთა მინისტრებმა, ალბათ, პირველად იწყეს ერთმანეთის ოჯახებში მისვლა-მოსვლა, ოჯახური ურთიერთობა, შვილებისა და შვილიშვილების ერთმანეთისთვის გაცნობა. შულცი, უშრეტი ფანტაზიის კაცი, რომლის გამომგონებლობას ზღვარი არ გააჩნდა, ხან პოტომაკზე გემით სეირნობას აწყობდა, ხან მართავდა წმიდა ამერიკული ყაიდის დასვენების საღამოებს ბანჯოთი და სიმღერითურთ — „ო, ჯორჯია, ჯორჯია“; ხან კიდევ მაოგნებდა სიურპრიზით, — იელის უნივერსიტეტის დიდებული ქოროთი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტში ასრულებდა ქართულ ხალხურ სიმღერას — „მრავალჟამიერს“.

მეც ვცდილობდი ვალში არ დავრჩენილიყავი. და როცა ჩვენ ვსხდებოდით მოლაპარაკებათა მაგიდასთან, — ჩვენი კოლეგების გარემოცვაში, თუ მარტონი, პირისპირ, — არაფერს არ შეეძლო ჩვენთვის ხელის შეშლა უმთავრესში — მხარეთა პოზიციების შეჯერებასა და დაახლოებისკენ სწრაფვაში. თუ ერთი ამბობდა: — „ამის მეტი მე არაფერი შემიძლიაო“ ,— მეორე მიუგებდა: — „ასეც არის: ეს თვალთმაქცობა არ არისო“.

შულცს გამოუჩნდა ყოველმხრივ ღირსეული მემკვიდრე.

ჯეიმს ბეიკერმა, სულ სხვა წყობის კაცმა, ხელიდან არ გაუშვა შანსი და თავის საბჭოთა კოლეგასთან პირადი კონტაქტები უდიდესი ნდობით განმსჭვალულ ურთიერთობათა კალაპოტში მოაქცია. ჩვენ ერთმანეთს პირველად შევხვდით ვენაში, თუ არ ვცდები, — ჩვეულებრივ შეიარაღებათა შემცირების საკითხზე მოლაპარაკებების გახსნაზე. ეს მისი დებიუტი იყო და ბრწყინვალედ ჩაატარა. წარმოთქვა ჭკვიანური, მაგრამ შულცის მანერასთან შედარებით რამდენადმე მშრალი სიტყვა, შემდეგ კი თავის მეუღლესთან, სიუზანთან, ერთად მოვიდა ჩვენს დელეგაციასთან და მითხრა, რომ ჩვენთან კეთილი, ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი აქვს. ვფიქრობ, ეს იმედი არ გამტყუნებია.

ჯეიმსის წყალობით გაფართოვდა ჩვენი შეხვედრების გეოგრაფიაც და შინაარსიც. არ იკმარებდა იმის თქმა, რომ ჩვენ შევუდექით ერთმანეთისთვის ჩვენ-ჩვენი ქვეყნების გაცნობას; ერთმანეთს გავუმხილეთ და ვუჩვენეთ, როგორ ცხოვრობენ ადამიანები, რით სუნთქავენ, რისი იმედი აქვთ. ასე იყო ჯეკსონ ჰოულში, ვაიომინგში, სადაც ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ სსრკ და აშშ ადრინდელი კონფრონტაციიდან თანამშრომლობასა და თანამოქმედებაზე გადადიოდნენ. ასე იყო მოსკოვის სიახლოვეს, ძველ ზაგორსკში, ირკუტსკში, ბაიკალის ტბაზე და, ბოლოს, ბეიკერის მშობლიურ შტატშიც—ტეხასში. იმ უკანასკნელ, ჩემი გადადგომის წინა, შეხვედრისას მან მე და ჩემი მეუღლე მიგვიწვია თავის მოხუც დედასთან და, რასაკვირველია, მის ამგვარ ჟესტს გულგრილი არ დავუტოვებივარ.

უკვე ჩემი გადადგომის შემდეგ ჩემმა მეუღლემ მიიღო სიუზან ბეიკერის წერილი. „ჩვენ ვტირით და ვლოცულობთ თქვენთვის“, — იწერებოდა ის. არავითარი საფუძველი არ მქონდა საეჭვოდ, რომ ჯეიმსისა და სიუზანის ჩვენდამი გულწრფელ დამოკიდებულებაში ეჭვი შემეტანა. უმალ მათ შეეძლოთ საეჭვოდ გაეხადათ ჩემი წესიერება ერთი საკმაოდ უსიამოვნო ამბის გამო, რომელზეც ჯერჯერობით არ შემიძლია ლაპარაკი. თუმცა, რაკი იმ ამბავში ბრალი არ მედო, ვარჩიე, ჩვენი საქმიანი ალიანსისთვის საფრთხე არ შემექმნა უნდობლობით, მესმოდა, რომ თუ ასეთი ვითარება გავრძელდებოდა, პარტნიორს თვალს ვერ გავუსწორებდი. სი-

მართლე თუ გინდათ, ჩემი გადადგომის ერთი მიზეზი ესეც იყო.

სიცრუით ყოველთვის წააგებ, პატიოსნებით კი მოიგებ. ყველა ჩემს პარტნიორთან ურთიერთობაში ამ პრინციპით ვხელმძღვანელობდი. ვფიქრობდი, რომ ისინიც მალე მიპასუხებდნენ. სხვაგვარად ჩვენ ვერ შევძლებდით იმას, რაც შევძელით — უშიშროების ახალ სტრუქტურათა საფუძვლების ჩაყრას და სპარსეთის ყურის ზონაში აგრესიის კოლექტიურად მოგერიებას.

ამ წლებში მე ჩემს კოლეგებს იმდენჯერ ვხვდებოდი, რამდენჯერაც საჭირო იყო. მაგალითად, ჰანს-დიტრიხ გენშერს გერმანიის გაერთიანების საგარეო ასპექტებზე ხელშეკრულების მომზადების პერიოდში შევხვდი თორმეტჯერ მაინც, თუ მეტჯერ არა. შეხვედრათა გეოგრაფია — ბრესტიდან ნამიბიამდე, ვინდჰუკამდე, შინაარსი — დაძაბული, ზოგჯერ მწვავე კოლიზიებით გადატვირთული მოლაპარაკებები გერმანიისა და ევროპის მომავალზე, ამ საკითხების მოგვარება საბჭოთა კავშირის უშიშროების პრობლემებთან მჭიდრო კავშირში.

სრული საფუძველი მაქვს, რომ უღრმესი პატივი ვცე გენშერისა და დიუმას, ჰერდისა და ანდრეოტის (ჩემი მუშაობის საწყის ეტაპზე — იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის), ციან ციჩენის, დე მიკელისის, კლარკის, ორდონიესის, ნაკაიამას და სხვა ჩემი კოლეგების არა მარტო დიდ პროფესიონალიზმს, არამედ მათ წმიდა ადამიანურ თვისებებსაც. უკანასკნელ წლებში წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი ყველაზე დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების თანამოსაუბრე. ვიმეორებ, ყოველი მათგანი ღირსია ცალკე საუბრისა, და ვიმედოვნებ, მომავალში შევძლებ საგანგებოდ მოგითხროთ მათზე. აქ კი ისევ დაბეჯითებით ვიტყვი: განსხვავებულ პოზიციათა მიუხედავად ყველანი საერთო მიზნისკენ ვისწრაფვოდით.

რასაკვირველია, ჩვენ ვპაექრობდით, მაგრამ პაექრობა კონფრონტაციაში არ გადაიზრდებოდა ხოლმე. სახელმწიფოებს თუ სურთ დაპირისპირებაზე უარი თქვან და თანამშრომლობაზე გადავიდნენ, — ეს ჯერ იმ ადამიანებმა უნდა მოახერხონ, რომლებიც მათ წარმოადგენენ სახელმწიფოთაშო-

რის ურთიერთობებში. დიდი საერთო და პროფესიული კულ-ტურის, მდგომარეობის ფართოდ ხედვის, ფაქტებისა და მოვ-ლენების მიუკერძოებლად შეფასების გარეშე ამის მიღწევა შეუძლებელია.

ვგონებ, ბერთოლდ ბრეხტსა აქვს ნათქვამი, რომ აზრს შეუძლია, თითქმის ხორციელი სიამოვნება მოგანიჭოს. აი, ასე, რაოდენ ძნელადაც არ უნდა წარმართულიყო ჩვენი საქ-მიანი შეხვედრები, მე სიამოვნებას მანიჭებდა ჩემს პარტნი-ორებთან საუბრები, რადგან შინაარსითაც და გამოხატვის ფორმითაც ძალზე არაორდინალური იყო მათ მიერ გამოთქ-მული აზრები.

და თითქმის ყოველი მათგანის კიდევ ერთი უბადლო ნიჭი — იუმორის გრძნობა, რასაც მე ძალიან ვაფასებ. ჩემი დაკვირვებით, ეს გრძნობა გამოკვეთილი ინდივიდუალობის აუცილებელი თვისებაა, მისი შინაგანი თავისუფლების უზუ-სტესი მაჩვენებელია. როცა მეკითხებიან სერიოზულ საუბრე-ბში ხუმრობის მნიშვნელობაზე, — ეს ადამიანის თანდაყო-ლილი თვისებაა თუ პროფესიული „დიპლომატიის ხერ-ხი?“ — მივუგებ, რომ მე მომწონს, როცა ადამიანი თავის საქმეს ღიმილით აკეთებს და იცის გონებამახვილური სიტყ-ვის ფასი. ჩვენ ხომ ყველანი ადამიანები ვართ და ერთმა-ნეთის გონებისა და გულისაკენ მიმავალ გზებს ვეძებთ, დიპ-ლომატები კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორმაგად „გამახვი-ლებული გრძნობების ადამიანები“ არიან, რომლებიც კუშტი სახითა და შეკრული წარბებით ბევრს ვერაფერს მიაღწევენ.

მართალია, არის შემთხვევები, როცა არ გეხუმრებათ და არ გეღიმებათ. მაგალითად, არა მგონია, მომღიმარი ვყოფი-ლიყავი ჩემს ერაყელ კოლეგასთან, თარიკ აზიზთან, უკანას-კნელი შეხვედრის დროს, როცა ვეუბნებოდი, რა შედეგე-ბამდე შეიძლებოდა მივეყვანეთ იმას, რომ ერაყის ხელმძღვა-ნელებს არ სურდათ კუვეიტიდან გასვლა. თარიკ აზიზსაც მოწყენა ეტყობოდა. ბაღდადში, ბასრასა და მოსკოვშიც იგი სხვანაირი იყო.

ღიმილი თანხმობის, სიამტკბილობის დასტურია, ნორმა-ლური ვითარების მაჩვენებელია და, თუ გინდა მომ-ღიმარი იყო, პარტნიორებთან თანხმობის მიღწევის გარ-და, სხვა არაფერი დაგრჩენია. ამისთვის კი უნდა ესწრაფო-

დე, რაც შეიძლება კარგად იცნობდე მათ. დიახ, მე და ბატონმა გენშერმა ათობით საათი დავყავით მოლაპარაკებათა მაგიდასთან და ამ დროის განმავლობაში, ვფიქრობ, კარგად გავიცანით ერთმანეთი. მაგრამ სრულიად მოულოდნელი კუთხით წარმოჩნდა ის ჩემთვის ბრესტში, საფლავის ქვასთან, რომელზეც ჩემი დაღუპული ძმის სახელი და გვარია ამოკვეთილი, და კიდევ, — ჰალეში, სახლთან, რომელშიც ჩემი კოლეგა დაიბადა და სადაც გაატარა თავისი ბავშვობის წლები.

ზუსტად ასეთი იყო ბატონ როლან დიუმასთან ჩემი ურთიერთობაც. ჩვენი საუბრების ფართო სპექტრი მოიცავდა სრულიად განსხვავებულ საკითხებს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის თვისობრივად ახალი ურთიერთობებიდან ანრი რუსოსა და ნიკო ფიროსმანის ფერწერამდე.

აღტაცებული ვიყავი ჩემი თანამოსაუბრის უდიდესი ცოდნით, მისი ფარული არტისტიზმით, რაც კეთილშობილების დაღს ასვამდა მის ყოველ მოძრაობას, მაგრამ მისი სულის სიფაქიზე და სიღრმე მხოლოდ ჩემი გადადგომის შემდეგ გავიაზრე ბოლომდე პირადად ჩემი მისამართით გამოხატული ყურადღების ერთი არაჩვეულებრივი ჟესტის წყალობით.

სევდისმომგვრელია, რასაკვირველია, იმის შეგნება, რომ მომავალში ჩემს ყოფილ კოლეგებს უწინდებურად ხშირად ველარ შევხვდები. და მაინც, ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი ურთიერთობა უსარგებლო არ აღმოჩნდა მსოფლიოსთვის და ჩვენი ხალხებისთვის...

ჩემს მიერ თავდაპირველადვე აღიარებული მასშტაბი პატიოსნებას მოითხოვს. ჩვენი „ქორები“ ამტკიცებენ, გარდაქმნამ ადამიანს უარესობა მოუტანაო, და ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ ფაქტები: გამწვავებული ეროვნული ურთიერთობები, ეთნიკურ ნიადაგზე სისხლისმღვრელი შეტაკებები, რომელთა წიაღშიც აშკარად ჩასახულია „ლიბანიზაცია“. ახლა უკვე საკვლევით თვალნათლივია საფრთხე დესტაბილიზაციისა, ეკონომიკური სტაგნაციით გაღრმავებული სიღატაკე მოსახლეობისა, ეკოლოგიური კრიზისი — ყველაფერი ეს ჩვენი დროის საკვალალო სინამდვილეა.

მაგრამ რამდენად არის ამაში დამნაშავე ახალი აზროვნე-

ბის პოლიტიკა? და რამდენად კანონზომიერია, საგარეო პოლიტიკას დავაბრალოთ ჩვენი შინაური განსაცდელი?

ვფიქრობ, რომ ეს არასერიოზულია, თან საშიშიც არის. ოღონდ სხვა რამ არის სერიოზული და სხვა არის საშიში, სახელდობრ, აი, რა: ახალი აზროვნების პოლიტიკას არ გამოუწვევია ჩვენი საშინაო კატაკლიზმები. ჩვენს ოჯახურ საქმეებში პოლიტიკის პრინციპების გატარების უნარი ან სურვილი რომ არ არსებობდა, ამან გამოიწვია გასაჭირი. დღეს უკვე ძალზე თვალსაჩინოა ამ პრინციპების წინააღმდეგ ადრინდელი, მეტწილად ძალისმიერი მეთოდებისკენ სწრაფვა, ქვეყნის გარეთ ამ მეთოდებზე უარის თქმა იქცა გარდაქმნის ერთ-ერთ ძირითად საგარეოპოლიტიკურ მიღწევად.

რამეში „დამნაშავე" თუ არის ჩვენი საგარეო პოლიტიკა, მხოლოდ იმაში, რომ მან დაძლია დანარჩენი სამყაროსგან ქვეყნის იზოლაცია და მოქალაქეებს მისცა საშუალება დარწმუნებულიყვნენ, რომ ის დანარჩენი სამყარო უფრო ლღეკეთილია, შემწყნარებელია, ადამიანურია, ვიდრე იდეოლოგიური მესიანიზმის რაინდები წარმოსახავდნენ. საგარეო პოლიტიკამ ჩვენი ადამიანი გაათავისუფლა მისთვის ჩანერგილი ქსენოფობიისგან, ასევე საზოგადოება გაათავისუფლა გარეშე მტრის სინდრომისგან, „მტერი" პარტნიორად აქცია. ახალმა საგარეო პოლიტიკამ ჩვენს საზოგადოებას დაანახა, რომ იქ, სადაც თითქმის „ადამიანი ადამიანისათვის მგელია", ხალხს სურს ნორმალური ადამიანური კანონებით ცხოვრება; რომ იქ მატერიალურ სიუხვესა და კეთილდღეობას მიაღწიეს გონივრული და პირადი თავისუფლების გრძნობით ნასაზრდოები აქტიურობით, ნაყოფიერი შრომის ჩვევებით. და კიდევ, კეთილდღეობა მათ სულაც არ უკარგავს ადამიანურ სახეს, გაჭირვებულთა თანალმობის უნარს.

ინტელექტუალთა და მუშახელის დენადობა? უცხოეთის საელჩოთა კარებთან საზღვარგარეთ დასახლების მსურველთა გრძელი რიგები? მიზეზსა და შედეგს ნუ ავრევთ ერთმანეთში თუ „მოქალაქე" (ცნების დამახინჯების კლასიკური ნიმუში) მეტისმეტად დიდხანს იყო მოკლებული ადამიანის სტატუსს, მაშინ ერთადერთი რამ, რითაც სამშობლოში მისი გაჩერება შეიძლება, ეს არის მისთვის ამ სტატუსის მიცემა. სისტემამ ვერ შეძლო ან არ ისურვა ეს, ისევე, როგორც ვერ

შეძლო ან არ ისურვა ბევრი სხვა რამ და ახლა, როცა ადამიანები უკვე უარს ამბობენ ძველებურად ცხოვრებაზე, ჩვენი სისტემა ინტელექტუალთა დენადობაში ვის აღარ ადანაშაულებს, თავისი თავის გარდა. და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ, ამასთანავე, ძველი სისტემის ადეპტები არ იყენებენ ახალი აზროვნების რაიმე საღ ალტერნატივას, თუ ალტერნატივად არ ჩავთვლით „მუშტს“ ან „კლასობრივი მიდგომისკენ“ ნოსტალგიურ მოწოდებებს. სისტემა ადამიანის გაცამტვერებას იყო მიჩვეული, ამისათვის იგი არ ისჯებოდა. და ახლა სისტემას, თავისავე სასიკეთოდ, აღარ შეეძლო ადამიანის აღორძინება.

ვიხსენებ ტრაგიკულ დღეებს, როცა სომხეთისთვის თავს დატეხილმა საშინელმა მიწისძვრამ ყველა ქვეყანაში შეძრა თანამლმობელ ადამიანთა გულები. ჩვენ, — მათ შორის საგარეო პოლიტიკას, — მსოფლიოსგან არ დაგვიმალავს სომხეთის ჭრილობები და ნანგრევები და საერთაშორისო დახმარების ნაკადს მივეცით სომხეთისკენ წარმოდინების საშუალება, რითაც, სხვა ყველაფერთან ერთად, ისიც წარმოვაჩინეთ, რომ ზოგადადამიანური ფასეულობები ჩვენთვის ცარიელი სიტყვები, აბსტრაქტული პროპაგანდა არ არის, რომ ჩვენი ქვეყანა ადამიანების ქვეყანაა და არა მონსტრების იმპერია.

მაშ, ახლა ვინ დავადანაშაულოთ და რაში? საგარეო პოლიტიკა — ტანჯული სომხეთისთვის საერთაშორისო მხარდაჭერისა და დახმარების სტიმულირების გამო? თუ სისტემა იმის გამო, რომ არ ძალუძს ამ დახმარების გონივრულად და ეფექტურად გამოყენება გაჭირვებაში ჩავარდნილთა სასიკეთოდ?

უგუნურებაა, საგარეო პოლიტიკას დაბრალდეს არასტაბილურობა ქვეყნის შიგნით, დაუშოშმინებელი ეროვნული კონფლიქტები. გარდაქმნამ გააქტიურა ადამიანის ფაქტორი, მაგრამ გარდაქმნის დაპირისპირებამ დაუკარგა მას სწორი პოლიტიკური კალაპოტი. ტოტალიტარიზმის უნივერსიტეტებიდან დემოკრატიის აკადემიაში მეტისმეტად აჩქარებული გადასვლა ვერ ითვალისწინებდა ხალხის გონებრივი განვითარებისა და პოლიტიკური კულტურის დონეს. ამას მოჰყვა მტკივნეული ექსცესები და გართულებანი. დემოკრატიული ინსტიტუტები აშკარად გამოიყენება ძალაუფლების მოპოვებისთვის და სა-

ამისოდ ურცხვად მოიხმობენ ტოტალიტარული სისტემის ხერხებისა და საშუალებების მთელ არსენალს: ესენია: სხვაგვარად მოაზროვნეებისთვის სახელის გატეხა, „მტრებში“ მათი ჩარიცხვა, იდეოლოგიური კლიშეების გამოყენება, სასტიკი და განუსჯელი ძალადობა. საშინაო კონსოლიდაცია არ მოხდა, მაშინ, როცა საგარეო პოლიტიკამ ამის შესაძჩნევი ტენდენცია გამოავლინა. ასეთი შეუსაბამობის ფონზე საგარეო პოლიტიკა ყველაზე უფრო მოხერხებული სამიზნე აღმოჩნდა „მსროლელებისთვის“, რომლებიც შიდაპოლიტიკურ მიზნებს ისახავდნენ. ვფიქრობ, რომ მათ არ უწყიან, რასაც იქმენ: ასე ფრენითა და დამიზნებით სროლამ შეიძლება ქვეყანას შეურყიოს საგარეოპოლიტიკური პოზიციები, რაც მთავარია (ჩემთვის არის მთავარი), შეაჩეროს დაწყებული სვლა ღირებულებათა ახალი იერარქიისკენ, რომლის გვირგვინიც ადამიანის სიცოცხლეა.

ამაზე ფიქრი აუტანელი იქნებოდა, მაგრამ დავრწმუნდი, „ადამიანურობის მასშტაბი“, — პოლიტიკის ეს „ოქროს კვეთი“, ეს „ოქროს ფონდი“ ყველა ხალხისა, — ჩვენთან ხელუხლებლად არის შენახული. ის ვერ შეარყია ვერც სისტემის მიერ პიროვნების დათრგუნვამ, ვერც სასტიკმა რეპრესიებმა, ვერც მორალის ნორმებისა და პრინციპების შეცვლამ „რევოლუციური მიზანშეწონილობით“, და ვიდრე „ადამიანურობის მასშტაბი“ არსებობს, ვიდრე ის ქმედითად ავლენს თავის თავს, ცოცხალია ჩემი იდეაც...

პოლიტიკას ადამიანები ქმნიან. ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვინც მას ქმნიან, ადამიანები უნდა იყვნენ. მაგრამ ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა, მეორე მხარის გარეშე კი ის საერთოდ არ არსებობს. სწორედ ეს მეორე მხარეა მთავარი, ის არის წაღმა პირი: პოლიტიკას ადამიანებისთვის ქმნიან. „ჩვენ ვტირით და თქვენთვის ვლოცულობთ“, — მომწერა სიუზან ბეიკერმა. მე ამ სიტყვებს ადამიანობის უნიკალურ გამოვლინებად მივიჩნევდი, დაახლოებით იმავე დღეებში ათა-

სობით ამგვარი წერილი რომ არ მიმეღო. წერილთა ნიაღვარმა შემძრა. ეს წერილები ცხოველი სულის გამონათებაა. სული ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას ეძიებს და თავის თავს ისეთი სიტყვებით ამოთქვამს, მხოლოდ ლოცვასა და აღსარებას რომ შეეფერება. შემძრა იმან, რომ ადამიანები შენდობოდნენ, მიმხელდნენ თავიანთ გულისნადებს, მესაუბრებოდნენ ღმერთზე, სამშობლოზე, ბავშვებზე, ახლობლებზე: ცოცხლებსა თუ გარდასულებზე. ასე ლაპარაკობს მაგნიტოგორსკელი კლანია სლეზკინა, დეპეშას რომ ხელს აწერს მხოლოდ სახელით, ძალზე ახლობლებში, შინაურულ წრეში რომ არის მიღებული, — ისე. გული დამეთუთქა. ასე ლაპარაკობს მოსკოველი ფილატოვა: „გწერთ ათი ათასი დაღუპული ჩემი მეგობრის, სახალხო ლაშქრის მეორე დივიზიის მებრძოლთა სახელით...“; მომმართავს, მისივე თქმით, „ყველა ომის ვეტერანი“ — კულიუკინი, თავის შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად; მწერალი ვიქტორ კონეცკი, ზაგორსკის სკოლის მოსწავლეები, პოლკოვნიკი სპიკალსკი, მსახიობი ოლეგ ბასილაშვილი, ლენინგრადის ბლოკადაგამოვლილი ლეონოვების ოჯახი და კიდევ რამდენი ჩემთვის უცნობი ადამიანი. კაცმა რომ თქვას, სწორედ ის ხალხი, ვისთვისაც იქმნება პოლიტიკა, პოლიტიკის მთავარი განზომილება, რომელიც ჯერ კიდევ არ გაგვჯდომია ძვალსა და რბილში, რადგან ადამიანი, — სათქმელად რომ „ამაყად ჟღერდა“ ჩვენში — სინამდვილეში საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ყოფის საშუალება იყო და არა მიზანი. მეტისმეტი დაჟინებით გვინერგავდნენ, ჩვენ კი ვუნერგავდით სხვებს, რომ ყველაფერზე მაღლა სახელმწიფო ინტერესები დგას, პიროვნებისა და მოქალაქის ინტერესები კი როგორმე მოგვარდება.

ახლა, როცა ეს დისჰარმონია ხალხის ცხოვრების ასეთ ტრაგიკულ ქარტეხილებში ვლინდება, არ არსებობს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების სხვა გზა, გარდა ადამიანისა

და ადამიანობის დაცვისა, მოქალაქისა და საზოგადოების ინტერესთა ჰარმონიული შეხამების მეშვეობით. სავსებით ნათელია, რომ ამის მიღწევა შეუძლია მხოლოდ იმ პოლიტიკას, რომელიც აფუძნებს ადამიანურ საწყისს.

ჩემი გადადგომის შემდეგ მიღებული დეპეშები სხვას არაფერს ადასტურებს. ისინი იმედისა და რწმენის უწყვეტად მივიღე და გადავწყვიტე, რომ ჩემი წიგნი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მარტო ჩემი კრიტიკოსების პასუხი, — ის უნდა ყოფილიყო იმ ადამიანებისთვის წარდგენილი ანგარიშიც, ვისთვისაც მე და ჩემი კოლეგები ვიღვწოდით.

ჩვენ ბურთის მთელ მოედანზე მივაბორებდით

მილეულ ცეცხლზე უფრო ნაღვლიანი სანახაობა არ არსებობს, ნაკვერჩხალი იღვლფება, ღველფიდან ერთხანს შენამდე აღწევს სითბო, მაგრამ წუთები გადის და სიცივე აგიტანს. ბედნიერებაა ამ დროს შენს გვერდით თუ არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია ცივი ფერფლის გაქექვა, სასწაულით გადარჩენილი ნაპერწკლის მონახვა და ალად მისი აბრიალება.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში ბევრი ბუხარია, მაგრამ სხვებზე უკეთ მე ის ბუხარი მახსოვს, რომელიც სახელმწიფო მდივნის პირად კაბინეტშია. ამ ბუხართან გავატარე მძიმე და ხანგრძლივი დრო.

პირველი, ვისთან ერთადაც მომიხდა ჩვენი საერთო საქმის მოგვარება, ჯორჯ ბუში იყო. მას უყვარდა მოლაპარაკებების გამართვა მოგიზგიზე ბუხართან — სამსახურშიც და შინაც. თუმცა, ის შინაც მუშაობდა და საუბართან ათავსებდა სტუმართმოყვარე მასპინძლისა და კულინარის მოვალეობას. ბარბეკიუს (ნახშირზე შემწვარ ხორცს) ის უბადლოდ ამზადებდა. ბუხრის ყადრი ესმოდა, ოსტატურად იცოდა ცეცხლის შეკეთება, თანაც აღტაცებას ვერ მალავდა. მე დიდი სიამოვნებით ვადევნებდი თვალს, თუ როგორ მარჯვედ უკეთებდა ბუხარში მაშებით შეშას, რათა მას, ტაძრის ორგანის მსგავსად, დაეგუგუნებინა თავისი მძლავრი, ნათელი და მხურვალე სიმღერა.

ოდნავ გადაწეული ფარდებიდან ვაშინგტონის დღე შემოგვნათის, კედლებზე ათინათი კრთის: მახლობელი აეროდრომიდან აფრენილი ავიალაინერების ფრთები მზეს ირეკლავენ. არლინგტონის ბორცვის ხასხასა სიმწვანე და მემორიალების ქათქათა სვეტები იჭრებიან სივრცეში და სულის სიმშვიდისმომგვრელ სიმყუდროვეს მატებენ ხედს.

იდილიაა? რა მოგახსენოთ! მე არ ვიცნობ არცერთ დიპლომატს ან სამხედროს, რომელიც დაიტრაბახებდა, ამერიკელებთან საქმე ადვილად გამოდისო. ისინი ძალზე მძიმე და ხშირად ჯიუტი თანამოსაუბრენი არიან. ამაში თავად დაერწმუნდი. დიახ, მე და შულცმა ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და ეს არ იყო მხოლოდ ფოტო და ტელეობიექტივე-

ბისთვის გათვალისწინებული რიტუალური ჟესტი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი დიალოგი იოლად და უბრალოდ წარიმართა...

რამდენიმე წლის შემდეგ რომში ჯულიო ანდრეოტიმ გაიხსენა, თუ როგორ გაოცდა, როცა შულცისგან შეიტყო, რომ შევარდნაძესთან ერთად სისხლის სამართლის კანონმდებლობის საკითხებს იხილავდა. „აი, სადამდე მივიდა საქმე, — შენიშნა იტალიელმა პრემიერმა, — რა სფეროებს ჩაუღრმავდნენ ედუარდი და ჯორჯი, ეტყობა, ადამიანურად შეეწყვნენ ერთმანეთს. არადა, შულცი ხომ ძალზე შეუვალი კაცია“.

დიახ, ეს ასეა. მაგრამ, ვიდრე საქმე ნორმალურ ადამიანურ თანხმობამდე მივიდოდა, ერთმანეთს კარგა გვარიანად ვუწეწეთ ნერვები და, ვფიქრობ, რომ ეს სულაც არ იყო ჩვენი ხასიათის რაღაც უხეირო თვისებების ბრალი. ასეთი იყო თავად საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობების ხასიათი — ნერვიული, უნდობლური, მტრული, შურისმგებლური. ეს განაპირობებდა შესატყვის „თამაშის წესს“, გაუთავებელ, განუწყვეტელ პრესინგს მთელი მოედნის სიგრძეზე. მოედანი კი მთელი მსოფლიო იყო და მას განუწყვეტელი ციებ-ცხელება ჰქონდა ასეთი თამაშის გამო, რომელსაც შეეძლო შეხლა-შემოხლა (და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ასეც იყო) ან საყოველთაო ხოცვა-ჟლეტა გამოეწვია.

დაპირისპირება, რომელიც თავისთავად ანომალიაა, ნორმად გამოვაცხადეთ ჩვენც და ამერიკელებმაც.

1985 წლის ნოემბერში რ. რეიგანისა და მ. ს. გორბაჩოვის ჟენევის რანდევუს წინ უძღოდა უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეხვედრებში ექვს წელზე მეტი ხნის პაუზა. როგორც ზუსტად თქვა ერთმა ჩემმა მეგობარმა პუბლიცისტმა, პაუზა ვაკუუმი სულაც არ არის. ის ამოვსებული იყო კონფრონტაციით, გამალებული შეიარაღებით, დაძაბულობის ზრდით.

ეს იყო სასტიკი რეალობა, მაგრამ საგარეო საფრთხის, ერთმანეთის მოსპობის ძირგამომთხრელი საქმიანობის ფანტომები შეგნებულად ინერგებოდა პოლიტიკაშიც, პროპაგანდაშიც, საზოგადოებრივ აზრშიც. და მე ვიცი, რომ ამას მხოლოდ ჩვენ არ ჩავდიოდით. აშშ-ისთვის, დასავლეთისთ

ვის „საბჭოთა საფრთხეც“ ხელსაყრელი საშუალება იყო გარკვეულ ამოცანათა გადასაწყვეტად.

ახლა არ მინდოდა ღრმად შევჭრილიყავი ისტორიაში, წარმომეჩინა და გამეანალიზებინა შეურიგებლობისა და მტროობის მიზეზები და ფესვები. ამაზე უამრავი წიგნია დაწერილი და ერთმანეთზე ბრალდებებიც აურაცხელია. მაგრამ მაინც რომ მოგითხროთ ჩემი აოგუძენტების სისტემას რა მიზანი ჰქონდა, ახლა, თუნდაც ძალიან ზოგადად უნდა შევეხო ბირთვული იარაღის როლს, თუმცა მას დაწვრილებით შემდეგ განვიხილავ. ბირთვული იარაღისა და მისი მიწოდების საშუალებათა გაჩენამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში მაშინვე შემოიტანა ახალი ელემენტი — ერთმანეთის განადგურების პრობლემა.

მე მგონია, რომ ამერიკელებისთვის, ასევე დასავლეთში სხვა ადამიანებისთვისაც, ფსიქოლოგიური გაცნობიერება იმ ფაქტისა, რომ მათი ქვეყნები შეიძლება ბირთვული ომის შედეგად დასაღუპავად განწირულნი აღმოჩნდნენ, ფსიქოლოგიურად უფრო დიდი შოკი იყო, ვიდრე საბჭოთა მოქალაქეთათვის.

მე ტყუილუბრალოდ არ მომიყვანია ოდენის, თანამედროვე ინგლისელი პოეტის, ლექსის ტაეპი ძველ ოსტატებზე, რომლებმაც კარგად იცოდნენ ტანჯვის ფასი. ახალი აზროვნების პოლიტიკის ჩასახვამდე და ჩამოყალიბებამდე „ძველი ოსტატები“ — სახელმწიფო მოღვაწეები, პუბლიცისტები, სამხედროები, პოლიტოლოგები, ხელოვანნი — ცდილობდნენ ეჩვენებინათ ბირთვული ომისა და მასთან დაკავშირებული კატასტროფის საშინელებანი.

ორივე ქვეყანაში ხატავდნენ ბირთვული აპოკალიფსის ამსახველ სურათებს. იდეოლოგია კი ამ ტილოებზე შესაფერ ადგილებს მიუჩენდა „წმინდანებს“, „ცოდვილთ“, უბრალო მოკვდავთ, ანუ სასიკვდილოდ განწირულთ. ეს შეხსენება აუცილებელია, რათა აღვადგინოთ ამასწინანდელი, ოთხმოციანი წლების დასაწყისის, პოლიტიკური ატმოსფერო. მაშინ ომის საფრთხე აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც კაცობრიობის ყოფის უმთავრესი პრობლემა იყო.

წარმოიშვა და განმტკიცდა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის იდეა. იმ ატმოსფეროში მხოლოდ ამ იდეასაც კი

შეეძლო ჩაეშალა ყველაფერი, რაც გაკეთდა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღებებისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის სფეროში.

მოკლედ, 1985 წლისთვის მეტისმეტად პირქუში სიტუაცია შეიქმნა, იმ წლის აპრილში კი იმედის ნაპერწკალი გაჩნდა.

საბჭოთა ხელმძღვანელობას ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ აუცილებელი იყო პოლიტიკის კარდინალურად შეცვლა, სხვა გზის ძიება.

ბუნებრივია, ცენტრში აღმოჩნდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის საქმეები, მაგრამ მაშინ ურთიერთობა ისე უიმედოდ ჩანდა ჩიხში მომწყვდეული, რომ აშშ-თან ურთიერთობების შედეგად საგარეო პოლიტიკაში წარმოქმნილი გადახრების აღმოსაფხვრელად წამოაყენეს თავისებური შემოვლითი მანევრის იდეა: ევროპის მიმართულებით ყურადღების გაძლიერება, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან კავშირისა და კონტაქტების გააქტიურება.

ასეთი კურსი ერთგვარად გამართლებული ჩანდა. ამ მომენტისთვის, მართლაც, შეზღუდულად ვმოქმედებდით, ჩვენი ძალები არსებითად მხოლოდ რამდენიმე პრობლემასა და რეგიონზე იყო კონცენტრირებული.

მთავარი, როგორც ჩანს, მაინც ის იყო, რომ არც ჩვენ და არც ამერიკელები არ ვიყავით მზად ჩვენს ურთიერთობებში ახალი სიტყვის სათქმელად. მეტისმეტად დამძიმებული იყო მაშინ ეს ურთიერთობები, ვითარება გამოუვალი ჩანდა. „გამოსავლად“ თუ არ ვიგულვებდით გორდიას კვანძის გამკვეთ აფეთქებას, მსოფლიოს დამჩეხავსა და გამაცამტვერებელს.

ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებდნენ ავღანეთის ომში ჩვენი ჩართვის გამო ამუშავებული ამერიკული სანქციები. მწვავედ იდგა საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ დისიდენტთა პრობლემა, საერთოდ ადამიანის უფლებათა სფეროში ჩვენი საქმიანობის საკითხი. ჩიხში იყო მოქცეული ბირთვულ-კოსმოსურ შეიარაღებებზე მოლაპარაკებები, მათ შორის, — რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხებზე შეთანხმების ბედის გამო დიდი დავაც. არ ჩანდა გამოსავალი სიტუაციიდან,

რომელიც შეიქმნა საშუალო რადიუსის ბირთვულ ევრორაკეტათა ურთიერთგანლაგების საკითხთან დაკავშირებით.

ყოველივე ამის ფონს ის ქმნიდა, რომ საბჭოთა კავშირს ადანაშაულებდნენ სტრატეგიულ შეიარაღებათა შეზღუდვის სფეროში უკვე დადებულ ხელშეკრულებათა დარღვევაში.

დამეთანხმებით, ასეთ პირობებში ამ უშველებელი ჩამონაშალის გაწმენდის გადაწყვეტა ხომ არ იყო იოლი, მაგრამ კიდევ უფრო რთული იყო იმის გარკვევა, თუ რა ადგილას უნდა დაგვეწყო მეწყერის წმენდა.

და მაინც, სხვა გზა არ რჩებოდა, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ურთიერთობათა ნორმალიზაციის გარეშე ვერაფერს გავხდებოდით და ჩვენ დაძაბულად ვფიქრობდით ამაზე, ვფიქრობდით და ხანდახან სასოწარკვეთამდე მივყავდით გამოუვალ სიტუაციას.

1985 წელს გადაულახავი ჩანდა სირთულეები პირად, ფსიქოლოგიურ პლანშიც. ჩვენი მოლაპარაკებები თითქმის ყოველთვის ყრუთა მუსაიფი იყო. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ყველა კონტაქტი ერთმანეთისთვის პრეტენზიებისა და ბრალდებების წაყენებით იწყებოდა. ეს იყო ნაცადი, მაგრამ გაუვალი გზა, რომელსაც არსაით არ მივყავდით. ჩვენ და ამერიკელებს ერთმანეთისაგან გვთიშავდა უნდობლობისა და იდეოლოგიის ლოდებით ამოშენებული კედლები. არ არის მართალი, თითქოს მეტისმეტად იდეოლოგიზებული მიდგომებით მხოლოდ ჩვენ, საბჭოთა წარმომადგენლები, ვცოდავდით. პირადი შეხვედრები პრეზიდენტ რეიგანთან, — მას კი ბევრჯერ, დაახლოებით თორმეტჯერ, შევხვდი, — ამის თქმის სრულ საფუძველს მაძლევს. ვიმედოვნებ, ის არ მიწყენს, რომ კარგად მახსოვს ჩვენი პირველი საუბრები. თითქმის ყოველ მათგანს იწყებდა საბჭოთა კავშირის მისამართით „საბრალდებო დასკვნის“ კითხვით, რომლის მუხლებშიც ფენა-ფენა უხვად იყო ჩართული მარქსიზმის ფუძემდებელთა ციტატების თავისუფალი განმარტებანი. დიდი გასავალი ჰქონდათ აგრეთვე ალექსის დე ტოკვილს და ამერიკის „პირველ მამებსა და დამაარსებლებს“. აშშ-ის ნომერ პირველი ადამიანი ჩვენს ქვეყანას იდეოლოგიის სათვალეებით უყურებდა და მასში

---

* ალექსის დე ტოკვილი (1805—1859) — ფრანგი ისტორიკოსი.

მხოლოდ „ბოროტების იმპერიას“ ხედავდა. ასეთი ხედვისგან გასათავისუფლებლად მას საჭირო იყო დაენახა ადამიანების ქვეყანა — პოლიტიკური ჭეშმარიტების უხუსტესი ხატი. მაგრამ წინ გრძელი გზა იდო და გზის დასაწყისში არც ჩვენ ვრჩებოდით ვალში, ყოველ შემთხვევაში, გულში მაინც. მე იდეოლოგიური ცეცხლის ხალებით ვიძლეოდი პასუხს, რადგან ვიცოდი, რომ არ არსებობენ აბსოლუტურად ცოდვილი ან უცოდველი სახელმწიფოები; და მდიდარი, აყვავებული ამერიკა, ეს „იმპერიალიზმის ნაშიერი“, ვფიქრობდი, ამ მხრივ გამონაკლისი სულაც არ იყო.

მაშინ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, პრეზიდენტ რეიგანს მთლად ბოლომდე არ სჯეროდა, რომ მისი საბჭოთა თანამოსაუბრე ნამდვილად ისე ფიქრობდა, როგორც ლაპარაკობდა. კარგი ერთი, ხომ არ მომეყურაო? — ამბობდნენ მისი თვალები. სტერეოტიპების ტყვეობა მყარი რამ არის. საგრძნობი გახდა, რომ თეთრი სახლის პატრონს ძალიან უნდოდა გარკვეულიყო, რა ხალხი ვიყავით. მინისტრების სხდომათა დარბაზში მოლაპარაკებების შემდეგ ის გვიწვევდა მეორე დარბაზში ლანჩისთვის გაშლილ სუფრასთან, სადაც კიდევ ერთ-ორ საათს ვატარებდით ცოცხალ და მწვავე დისკუსიებში, რომლებიც, საბედნიეროდ, იუმორის, — კერძოდ პოლიტიკური იუმორის გვარიანი დოზით იყო შეზავებული. ჩვენ ერთმანეთს ვალში არ ვრჩებოდით.

ამ ფრიად თავისებური მოლაპარაკება-„გასროლების“ მუდმივი მონაწილე იყო ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

ერთი სიტყვით, იდეოლოგიის მხრივ ჩვენ ფერი ფერს ვიყავით. ამ საეჭვო ღირსებისგან განთავისუფლება და ახალი თვისებების შეძენა — ეს იყო პრობლემა.

როგორ მოგვარდეს ეს? როგორ დავიწყოთ? ამერიკელთა გონიერებაზე ვამყარებდი იმედს. შეუძლებელია, გულში ვამბობდი, შეუძლებელია, რომ ჩემს თანამოსაუბრეთა და ახალ ნაცნობთა შორის არ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც შეგნებული ექნებათ, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება, რომ საერთო „შებრკოლების ლოდებს“ გარდა ჩვენ გვაქვს საერთო პასუხისმგებლობაც მსოფლიოს წინაშე და საერთო ინტერესებიც. იმ დროს კითხვაზე, თუ რას ვეძიებდი, შემეძლო დიოგენის მსგავსად წამომეძახა: „ადამიანს!“ და ვიპო-

ვე კიდეც. ვიპოვე არა ერთი, არამედ მრავალი ადამიანი, რომლებმაც შეისისხლხორცეს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ჩვენს ქვეყნებს, უბრალოდ, ხელს არ აძლევთ ერთმანეთის მტრობა და რომ ჩვენი თანამშრომლობა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვის ბინაში ელჩი უოტსონი მეწვია. მე დიდ პატივს ვცემ ამ გამოჩენილ ამერიკელს, ვისი გმირული ბიოგრაფიაც ჩემი ქვეყნის ისტორიასთან, მის ტრაგიკულ სამხედრო ეპიზოდებთან ასე მჭიდროდ არის დაკავშირებული. დავრწმუნდი, რომ ჩვენ ერთნაირად ვფიქრობდით და ამან დიდი სიამოვნება მომგვარა.

— ჩვენს ქვეყანაში თავი იჩინა ცხოვრების დონის დაქვეითების ნიშნებმა, — ამბობდა მხცოვანი პოლიტიკოსი და დიპლომატი. — ჩვენ უცებ დავინახეთ, რომ აშშ-ში იზრდება ბავშვთა სიკვდილიანობა, მაშინ როცა ასე მდიდრები ვართ და ჯანმრთელობის დაცვა ჩვენთან უმაღლეს დონეზეა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ბევრს როდი აქვს გააზრებული, რომ ეს გამალებული შეიარაღების შედეგია. ასეა თქვენთანაც, აშშ და სსრკ გამალებული შეიარაღების უმძიმეს ტვირთს რომ შეეჭიდნენ, ამით მათ სხვა სფეროებში იწყეს შეჯიბრების წაგება.

ელჩ უოტსონს დავეთანხმე და გფრ-ისა და იაპონიის მაგალითი მოვიყვანე. ვიდრე ჩვენ ყველაზე სრულყოფილი იარაღის წარმოებასა და დაგროვებაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, ისინი, ამ ტვირთისგან თავისუფალნი, სწრაფად გაიჭრნენ წინ. „გამალებული შეიარაღება ჩვენც წავაგეთ და თქვენც“, — ვთქვი მე.

ისიც შემეძლო დამემატებინა, რომ ჩვენს ეკონომიკაში მხოლოდ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მუშაობდა სანიმუშოდ და არსებობდა ხალხის ხარჯზე, ქვეყანას კი ძალითა და ძლიერებით თავის იოლად გატანის ილუზიას უქმნიდა. და უცებ გაირკვა, რომ ჭეშმარიტი ძლიერება ბირთვულ იარაღზე ბევრად მეტი რამ არის.

მაგრამ ეს უკვე სხვა, ამ წიგნში არაერთგზის წამოჭრილი, თემაა და დროა მივუბრუნდეთ საუბარს საღი აზრისა და აშშ-ში მისი კონკრეტული მიმდევრების შესახებ.

გავიმეორებ: მე ბედმა გამიღიმა და ასეთ ადამიანებს შემახვედრა. მათ შორის პირველი ჯორჯ შულცი იყო.

ჩვენი შეხვედრები რომ დაიწყო, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ურთიერთობათა ბუხარში ცეცხლი ქრებოდა, ნაკვერჩხალი იღვლეფებოდა. ჩვენ ღადარი უნდა გაგვექექა და მინავლული ცეცხლი უნდა გაგვეღვივებინა.

და ჩვენ ეს შევძელით.

ხუთ წელიწადში ჩატარდა უმაღლეს დონეზე უპრეცედენტოდ ბევრი (შვიდი) საბჭოთა-კავშირ-ამერიკის შეხვედრა და უთვალავი შეხვედრა მინისტრთა დონეზე, — შულცსა და მე სათვალავი აგვერია, — ასე, დაახლოებით ოცდათხუთმეტი თუ ოცდაჩვიდმეტი შეხვედრა. ათეულობით დაითვლება ჯეიმს ბეიკერთან ჩემი პირადი შეხვედრები.

ეს სტატისტიკა თავისთავად არაფერი მთქმელი იქნებოდა, მაგრამ რომ არ ირეკლებოდეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დიალოგის ინტენსიურობა და, რაც მთავარია, ამ დიალოგში მომხდარი თვისებრივი ცვლილებები.

ვფიქრობ, აქ შემეძლო გვერდი ამევლო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ახალ ურთიერთობათა ქრონიკისთვის. ამ ქრონიკის გახსენების მსურველთ შეუძლიათ შესაბამის ცნობარებში ჩაიხედონ. მე კი ახლა ჩემი მეხსიერებიდან ამოვზიდავ სხვათათვის უხილავ მღელვარებასა და სიხარულს, წინათგრძნობებსა და ფიქრებს, რომლებიც ახლდა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დიალოგის გარდაქმნას.

* * *

აშშ-თან ჩვენს ურთიერთობებში 1985 წლამდეც დროდადრო ჩნდებოდა პერიოდები, თავისებური სარკმლები, რომლებშიც მზე შემოანათებდა ხოლმე. ჩვენ ვახერხებდით სასარგებლო შეთანხმებებს, ვთქვათ, ბირთვულ გამოცდათა, სტრატეგიულ შეიარაღებათა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვების სფეროებში. დიდი იმედები იყო დაკავშირებული „განმუხტვის“ წლებთან.

ძიებათა და მიღწევათა ამ პერიოდებს უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ურთიერთობათათვის. უფრო ხშირი იყო შეხვედრები უმაღლეს და სხვა დონეებზე; იწყებოდა მოლაპარაკებები უშიშროების სფეროსთან დაკავშირებულ ბევრ საკითხზე. ჩვენ ვიწყებდით თანხმობის მიღწევის ძიებას თანამგზავრთა საწინააღმდეგო

სისტემების, იარაღით ვაჭრობის, ინდოეთის ოკეანეში სამხედრო აქტიურობის შესუსტების საკითხეაში, ვამზადებდით და ვდებდით ცალკეულ შეთანხმებებს, რომელთა ნაწილს, სამწუხაროდ, ოატიფიცირება არ ეწერა, სხვები კი ამა თუ იმ მიზეზით არ სრულდებოდა.

და მაინც, ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრის ხუთწლიანი პერიოდის გამოკლებით, — კონტაქტების, მოლაპარაკებების, კონსულტაციების, ვიზიტების ქსელი თანმიმდევრულად ფართოვდებოდა.

სხვაგვარად რომ ითქვას, ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნის დასაწყისში წლების მანძილზე დაგროვილი წინსვლისთვის საჭირო პოტენციალი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ის გაყინული აღმოჩნდა, შეფერხდა.

გულახდილად უნდა ითქვას, ჩვენთვის შეერთებულ შტატებთან (ისევე, როგორც მთელ დასავლეთთან) ურთიერთობებში, არსებობდა ერთი ფაქტორი, რომელიც ამ ურთიერთობებს არ აძლევდა მეტნაკლებად მყარად განვითარების საშუალებას, — ეს ისევ ის ორ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემას შორის შეურიგებელი „იდეოლოგიური ბრძოლის“ უზენაესობა იყო. ნებისმიერი შეთანხმება, აშშ-თან ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესების ნებისმიერი ცდა უმალვე აწყდებოდა ამ დაბრკოლებას. სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, „განმუხტვის“ პერიოდში, პარტიის იდეოლოგებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისთვის, რომ აშშ-თან ურთიერთობებში დათბობა როგორმე შეეთავსებინათ ამ მყარ დოგმასთან, და მაინც, დოგმამ მაშინ ისევ გაიმარჯვა. იდეოლოგებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ დათმობათა პერიოდში იდეოლოგიური ბრძოლა არაოუ არ უნდა დამცხრალიყო, პირიქით, კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით უნდა გაგრძელებულიყო.

ღმერთმანი, ვერა და ვერ ვიგებდი, როგორ შეიძლებოდა ადამიანს დაახლოებოდი და იმავდროულად მასთან შეურიგებლად გებრძოლა. ჯერ კიდევ გარდაქმნამდე დიდი ხნით ადრე ჩვენმა პროპაგანდამ და პოლიტიკამაც, — ზოგჯერ მათ შორის სხვაობის დანხეა შეუძლებელიც იყო, — არაერთგზის სცადეს ერთმანეთს დაპირისპირებული იდეოლოგიური მიზნების მორიგება, მაგრამ ვერ იქმნებოდა ისეთი კონსტრუქ-

ცია, რომელიც გამოდგებოდა ინტელექტუალური თვალსაზრისითაც და პოლიტიკურადაც. ჩვენ ასეთი დაპირისპირებიდან უნდა გვეპოვნა თეორიული და პრაქტიკული გამოსავალი. თუ როგორ მოინახა ის, უკვე მოგახსენეთ.

მთლად დასაწყისში კი მე წავაწყდი უმტკიცეს სტერეოტიპებს და, მათი დაძლევა რომ აუცილებელი იყო, დავინახე. იმ დროისთვის, როცა მე „მოედანზე გამოვედი", უკვე ჩამოყალიბებული იყო მინისტრთა შეხვედრების ტრადიციები, თავისი, ასე გთქვათ, თამაშის წესებითურთ. ცდილობდნენ, ჩემთვის ესწავლებინათ ეს წესები. როგორც მაშინ შევიტყვე, ტრადიცია მოითხოვდა ყველა საკითხის გამო კამათს, იმის მიუხედავად, ჰქონდა ამას აზრი თუ არა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ასეთი შეხვედრის „სწორი" დღის წესრიგის დაცვას.

ეს იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ ჩვენი პოზიციები განსაკუთრებით მოისუსტებდა, როცა საკითხი ეხებოდა ადამიანის უფლებებს, ავღანეთს, ზოგიერთ სხვა კონფლიქტურ სიტუაციას. ჩვენი დელეგაცია უფრო თავდაჯერებულად, მყარად გრძნობდა თავს ბირთვული განიარაღების აუცილებლობის დასაბუთებასთან დაკავშირებულ დისკუსიებში.

მე, ალბათ, თამაშის წესები დავარღვიე, როცა შულცს უკვე მეორე შეხვედრაზევე შევთავაზე, ამას იქით ჩვენი მოლაპარაკებები ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებით დაგვეწყო.

შულცსა და მე პრობლემათა ოთხი ჯგუფის შესახებ გვქონდა მოლაპარაკება. ესენი იყო: განიარაღება, რეგიონალური კონფლიქტები, ადამიანის უფლებები, ორმხრივი ურთიერთობები. მერე, სახელმწიფო მდივნის პოსტზე ბეიკერის მოსვლის შემდეგ, მისი ინიციატივით ჩვენი შეხვედრების დღის წესრიგში ჩაერთო „მეხუთე კალათა" — ტრანსეროვნული პრობლემები: სტიქიური უბედურებები, ბრძოლა ნარკომანიასა და ეპიდემიებთან, საერთაშორისო ტერორიზმი და სხვა. როცა ჩვენს მუშაობაში ჩვენი ქვეყნებისა და საზღვარგარეთელი პარტნიორების შესაბამისი დაწესებულებები ჩავრთეთ, მოქმედებათა ფართო გეგმა დავსახეთ.

მაგრამ ამ დროისთვის ჯეიმსის წინამორბედსა და მე ზოგი რამ უკვე მიღწეული გვქონდა.

ჩემი აზრით, ჯორჯი განაცვიფრა ასეთმა „გასწრებაზე თამაშმა“. ამერიკელებისთვის ეს საყვარელი და უტყუარი თამაში იყო, ჩვენთვის კი — ტაბუ. და აი, უეცრად საბჭოთა მინისტრი ასეთ სვლას აკეთებს. თანდათანობით ეს სვლა ტრადიციული გახდა, რამაც, შულცის ნათქვამი რომ მოვიშველიო, ჩვენი მოლაპარაკებები ორმხრივი მოძრაობის ქუჩად აქცია.

ამ ამბავმა ერთბაშად აგვაცილა უნაყოფო და ზედმეტი კამათი. მხოლოდ ფორმალური მხარე არ შეცვლილა, ჩვენ საქმით ვუპასუხეთ ამერიკელების იმდროინდელ აურაცხელ ეხოვნას, რომ განგვეხილა ცალკეული პირებისა და ოჯახების საკითხი, შემდეგ კი თავადაც დავიწყეთ ამერიკელების წინაშე მათთვის საჩოთირო საკითხების დაყენება.

უნდა გითხრათ, რომ მაგიდის ჩვენი მხარე დისპოზიციის ასეთ შეცვლას დიდი გაგებით არ შეხვედრია. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. ადამიანის უფლებათა საკითხების განხილვა ძველთაგან ბლოკირებული იყო იმ არგუმენტით, რომ ის ჩვენი საშინაო საქმეა, ჩვენ ვმოქმედებდით და ვიმოქმედებთ ჩვენი კანონებისა და წესების მიხედვით და არავისი მითითება არ გვჭირდება იმაზე, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ.

მე მქონდა ჩემი კონტრარგუმენტი: უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ აღიარებული პრიორიტეტები, გამოცხადებულ პრინციპთა გატარების აუცილებლობა. ჩვენ ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს, — ვამბობდი მე, — ასეთ სახელმწიფოში კი ადამიანის უფლებები ფუჭი სიტყვები არ არის. საჭიროა კანონების შეცვლა, ამისთვის კი უნდა შეიცვალოს პიროვნების თავისუფლებასა და უფლებებთან დამოკიდებულება.

გარდაქმნის საწყის ეტაპზე დამუხრუჭება ძლიერი იყო. უფლებებსა და თავისუფლებაზე განცხადებები ქაღალდზე რჩებოდა, რადგან ბევრ ჩვენს ძლევამოსილ ოპონენტს „არ შეეძლო პრინციპების დათმობა“. მათი ლოგიკა ძველ რეჟიმს იყო მორგებული: განცხადებები განცხადებებია, მაგრამ ანდრეი სახაროვმა და სხვა სინდისის პატიმრებმა კეთილი ინებონ და მოიხადონ სასჯელი. მერე რა, რომ დაუმორჩილებელთა რიცხვი მატულობს და ოჯახები გათიშული არიან. მერე რა, რომ „ფსიხუშკები“ გვაქვს. კრინტი არავის დასცდეს, რომ საერთაშორისო ექსპერტებს მიეცეთ ამ „საავადმყოფო-ციხე-

ების“ მონაწილების საშუალება. მოქალაქეობის ჩამორთმევა, მწერალთა და ხელოვანთა გაძევება ქვეყნიდან? ისინი განდგომილნი, გარეწრები არიან და ჩვენი გზები იყრება.

კოლოსალური ენერგია დასჭირდა გადასახლებულ და განდევნილ სახელგანთქმულ მოქალაქეთა — მეცნიერთა, მწერალთა, რეჟისორთა, პატიოსან, უბრალო ადამიანთა — დაბრუნებას, მათი მთელი დანაშაული ის იყო, რომ არ სურდათ ძალმომრეობისა და სიცრუის კანონთან შერიგება. და კიდევ უფრო ძნელი იყო კეთილი სახელის დაბრუნება ქვეყნისთვის, რომელშიც ასე ეჭცეოდნენ საუკეთესო ადამიანებს.

გაძნელდა სულ მთლად უბრალო რამეში კოლეგების დარწმუნება: რაკი ჰელსინკის დასკვნით აქტს ხელი მოვაწერეთ, საერთაშორისო პაქტებითა და კონვენციებით ვალდებულებანი ვიკისრეთ, მით უკვე ვაღიარეთ ამ შეთანხმებათა სხვა მონაწილეების უფლებაც, დაინტერესებულიყვნენ ყველა ამ საკითხით, დაჟინებით მოეთხოვათ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

იმ დროს ჩემთვის სავსებით ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო უშიშროებაში ადამიანური განზომილება უმთავრესი მომენტი იყო. მაგრამ ბევრ ჩვენს პარტნიორს უნდა ერწმუნა ამის თაობაზე ჩემი განცხადებების გულწრფელობა.

ვენის შეხვედრის გახსნაზე მე წამოვაყენე წინადადება მოსკოვში ჰუმანიტარულ პრობლემებზე კონფერენციის გამართვის შესახებ. ამას წინ უსწრებდა დებატები პოლიტბიუროს სხდომაზე. ამ წინადადების მოწინააღმდეგენი, მე რომ მოველოდი, იმაზე მეტნი აღმოჩნდნენ. არადა, ჩემი ღრმა რწმენით, ეს კონფერენცია აუცილებელი იყო, რათა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსთვისაც გვეჩვენებინა, რა შორს ვაპირებდით ჩვენ წასვლას, და კიდევ, — დემოკრატიზაციის სტიმულები მიგვეცა ადამიანური განზომილების ყველა სფეროში კანონმდებლობის გარდაქმნისათვის.

წინ წამოიწია სიტყვისა და საქმის ერთიანობის პრობლემამ, ჩვენდამი ნდობის პრობლემამ. ადრე ხომ რამდენჯერ გაკეთდა პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონეზე ესა თუ ის განცხადებები, მისაღებად ვაცხადებდით გარკვეულ კურსს, მაგრამ საქმით არაფერი იცვლებოდა.

ვფიქრობ, რომ ამ პრობლემას ძალზე ღრმა ფესვები აქვს.

ჩვენგან დამოუკიდებელი უამრავი მიზეზის გამო, „ბურჟუაზიასთან“, „იმპერიალისტებთან“ შეთანხმებები ჩვენში, უკეთეს შემთხვევაში, იძულებით ღონისძიებებად აღიქმებოდა, უფრო ხშირად კი — დროის მოგების, ტაქტიკური მანევრის განხორციელების საშუალებად.

შესაძლოა, ეს დაუჯერებლადაც გეჩვენოთ, მაგრამ მე თვითვითონ წავწყდომივარ შემთხვევებს, როცა ხელისუფლების აღმასრულებელმა ორგანოებმა არ იცოდნენ ხელმოწერილი შეთანხმებების, მიღებული პოლიტიკური ვალდებულებების არსებობა, ან არ სცნობდნენ შეთანხმებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც ამ ორგანოებისგან სრულიად გარკვეულ მოქმედებას მოითხოვდნენ.

რაკი იდეოლოგიური ბრძოლაა, ამ ბრძოლაში ნებისმიერი საშუალება გამოგადგება. მთავარია შენი კარი დაიცვა. ისეთი გუნდების თამაშში ხომ, როგორიცაა სსრკ და აშშ, მსაჯები არ არიან, ყოველ შემთხვევაში, არ არიან ისეთი მსაჯები, დაჯარიმება ან მოედნიდან გაძევება რომ შეეძლოთ. რასაკვირველია, არსებობს მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ ძლიერთ ამ აზრისთვის ანგარიშის გაწევა როგორღაც არ სჩვევიათ. როგორ გამოიყურება ქვეყანა დანარჩენი მსოფლიოს თვალში, — ნამდვილად ბევრს არავის აღელვებს. ყოველთვის შეიძლებოდა მონახულიყო დაუზარელი კლიენტი, რომელიღაც „თვალსაჩინო მოღვაწე“, რომელიც შეაქებდა საბჭოთა მშვიდობიან ინიციატივებს და დაგმობდა ამერიკულ იმპერიალიზმს.

ჩემთვის აქამდე გამოცანაა, თუ რა განსხვავებაა იდეოლოგიურ ბრძოლასა და ფსიქოლოგიურ ომს შორის. პირველს ჩვენ ვაწარმოებდით და ამ ბრძოლაში მუდამ მართალნი ვიყავით. მეორეს დასავლეთი აწარმოებდა და ჩვენ მას გადაჭრით ვგმობდით.

სადაც სამართალია, უნდა ითქვას, რომ აშშ-შიც და დასავლეთშიც მოქმედებდნენ და ახლაც მოქმედებენ ძალები, რომლებისთვისაც ასევე არ არსებობს თამაშის პატიოსანი წესები.

მე არ მახსოვს (განსაკუთრებით პირველ წლებში) შულცისა და ჩემი შეხვედრა არ გართულებულიყოს რაიმე მოულოდნელი მოვლენით, რაიმე ხმაურიანი სკანდალური საქმით. მე

ისეთი მყარი აზრიც კი შემექმნა, რომ მუდამ, როცა კი ვახერხებდით აშკარად წინ წაწევას, ჩვენთვის მოულოდნელად ვიღაც ამძიმებდა სიტუაციას, მოლაპარაკებათა მაგიდაზე რაღაც უსიამონო საკითხს წამოჭრიდა.

ასე იყო წარსულშიც, რის გამოც ბევრი რამ ვერ ხერხდებოდა. ჯორჯმა და მე ჩვენს თავს წესად დავუდეთ ყველაფერი გველონა ნებისმიერი გართულების ასაცილებლად. ამას დიდი დრო შევალიეთ; ან გვიან ღამით ვხვდებოდით ერთმანეთს, ან მოლაპარაკებათა დაწყებამდე; სიძნელეს არ ვეპუებოდით, ვეძებდით წარმოშობილი პრობლემის გადაჭრის ორივე მხარისთვის მისაღებ გზას. და მუდამ ვპოულობდით.

უკან რომ მოვიხედავ, ვხვდები, რომ უმნიშვნელო და კერძო სიტუაციათათვის გამოვლილი დიდი „ბრძოლების“ გამოცდილება დაგვეხმარა და ჩაგვინერგა რწმენა, რომ შეგვიძლია მოვრიგდეთ და ვენდოთ ერთმანეთს.

რაკი სპორტულ ტერმინოლოგიას დავესესხე, თავს უფლებას მივცემ და ამერიკულ ფეხბურთს მოვიშველიებ. მასში, როგორც მითხრეს, არის თამაშის ორი ვარიანტი: ბურთს წინ გატყორცნი და, თუ გაიმარჯვე, ერთბაშად ათ იარდს იგებ, ან კიდევ მოგიწევს, ბურთი ხელით წაიღო და სივრცეს თითო იარდობით დაეუფლო.

ჯორჯსაც და მეც სულ, აი, ასე მიგვქონდა საერთო მიზნისაკენ საბჭოთა და ამერიკული ურთიერთობების „ბურთი“. ეს იყო მძიმე ფიზიკური, ინტელექტუალური, ფსიქოლოგიური შრომა.

პასით თამაში პირველად რეიკიავიკში უმაღლეს დონეზე შეხვედრისას ვცადეთ. შეგახსენებთ, რომ ეს იდეა წარმოიშვა პაუზის ატმოსფეროში, რომელიც საბჭოთა კავშირ-ამერიკის საქმეებში გაჩნდა ჟენევაში შეხვედრის შემდეგ. მაშინ მხარეებმა განაცხადეს, რომ ბირთვული ომი არასოდეს არ უნდა გაჩაღდეს, რომ შეუძლებელია ამ ომში ვინმე დარჩეს გამარჯვებული. მაგრამ ისლანდიის დედაქალაქში შეხვედრამდე სულ ცოტა ხნით ადრე ვიღაცას მაინც დასჭირდა, ჩვენთვის კვანტი გამოედო. „დანილოფის საქმეზე“ ფეხი რომ არ დაგვსხლტომოდა, შულცსა და მე მოლაპარაკებისთვის თითქმის ოცი საათი დაგვჭირდა. ეს „საკითხი“ ასე რომ არ გადაგვეჭრა, არც რეიკიავიკი იქნებოდა.

რასოდეს დამავიწყდება 1988 წლის შემოდგომა, რეიკიავიკი, მოლაპარაკებები „ჰიოფდიშის“ სახლში. როცა საბჭოთა დელეგაცია მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით გამოვიდა შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე, ჩვენი სახეები, როგორც მერე შინ გვითხრეს, ყოველგვარ სიტყვებზე უფრო მეტყველად ვამოხატავდნენ ჩვენს მდგომარეობას. ერთი ნაბიჯიღა გვაკლდა შეთანხმებამდე, რომელსაც შეეძლო მსოფლიოს გადასხვაფერება, მაგრამ ეს ნაბიჯი არ გადაიდგა!

დასავლეთში ამაზე ფილმი გადაიღეს. ამბობენ, ის მოლაპარაკებათა დრამატიზმს ზუსტად გადმოსცემსო. არ ვიცი... ალბათ, ლიტერატურასა და ხელოვნებას მოუწევს გარდასულ წელთა პოლიტიკური ყამირის ათვისება საკუთარი „გუთნით“. ესეც მომავლის საქმეა. რაც შეეხება ოპერატიული პოლიტიკური ინფორმაციის ჟანრებსა და ცხელ კვალზე მოვლენათა ანალიზს, — ამის ოსტატებმა ნაჩქარევად გამოაცხადეს რეიკიავიკი ჩავარდნად.

ნუთუ მართლა ასეა?

ისლანდიის დედაქალაქში ჩვენი სახელმწიფოების ლიდერებმა — მ. ს. გორბაჩოვმა და რ. რეიგანმა — ვერ შეძლეს შეკავება ბურთისა, რომელიც თვითონვე გატყორცნეს წინ, ძალზე შორს. დღევანდელი დღის გადასახედიდან, ვფიქრობ, შესაძლოა, კარგიც იყოს, რომ რეიკიავიკში შეხვედრა ასე დამთავრდა. ორი ლიდერის სწრაფად და შორს „ვაჭრის“ თვით ცდამაც კი მაშინ ბევრი დააფრთხო, გააქტიურა ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ან ეშიოთ უყურებდნენ სსრკ-ისა და აშშ-ის დაახლოებას.

ამის მიუხედავად, რეიკიავიკში შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და მან ძლიერი ზეგავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის შესაძლებლობების მასშტაბთა შესახებ ჩვენს წარმოდგენაზე.

მაგრამ ამ შესაძლებლობათა ობიექტური გამოყენება მაშინ სათუო იყო, რადგან იმხანად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობებს აკლდა ნდობა, რომელიც დაეფუძნებოდა არა მხოლოდ ორივე მხარის განზრახვათა გაგებას და ორივეს ქმედებათა წინასწარ განჭვრეტას, არამედ შეიარაღებისა და კონტროლის მექანიზმებსაც.

* * *

სამამულო ომის შემდგომ პერიოდში კონტროლის საკითხს ცენტრალური ადგილი ეჭირა საბჭოთა და ამერიკულ ურთიერთობებში. ორივე მხარეს წესად ექცა პროპაგანდისტულ ომში მისი ცინიკური გამოყენება. კონტროლისა და შემოწმების ღონისიძებებზე ჩვენი უარი არ შეიძლება მთლიანად გამართლდეს იმით, რომ მოწინააღმდეგეს სამხედრო, სტრატეგიული ცნობების გამოძალვა სურდა. აქ თავიდანვე უფრო საკუთარი სისუსტის, საკუთარი ნაკლის დამალვისკენ სწრაფვა იჩენდა თავს. გასაიდუმლოებაზე ასე გადაგებას ჰქონდა სხვა, ეკონომიკური ასპექტიც: საიდუმლოების საფარით შესაძლებელი იყო წარმოების სტატისტიკის გადაკეთება, საჭიროებისამებრ შესწორება.

იყო უფრო პროზაული, ყოფითი მიზეზებიც. უფრო იოლია, ვთქვათ, მთელი ქალაქის „დახურვა“, ვიდრე რკინიგზის სადგურში წესრიგის დამყარება, ან სასტუმროს გარემონტება. ჩაკეტვის, გასაიდუმლოების ეს სინდრომი უნდა დაძლეულიყო. ვფიქრობ, ეს საჭირო იყო არა მარტო საგარეოპოლიტიკური მოსაზრებებით, არამედ ნორმალური ეკონომიკისა და უზრუნველყოფილი ადამიანური ცხოვრებისთვისაც.

არ ვიცი, ესმოდათ თუ არა ეს პარტნიორებს. ისინი თავიანთ ძალ-ღონეს სხვა მიმართულებით წარმართავდნენ. რონალდ რეიგანი რუსულ ფოლკლორსაც კი ჩაუღრმავდა. ის ისე ხშირად წარმოთქვამდა რუსულ ანდაზას, — „ენდე, მაგრამ შეამოწმეო!“, — ლამის არა მხოლოდ თვით ეს ანდაზა მიითვისა, მასში ჩაქსოვილ აზრზეც მონოპოლია გამოაცხადა.

კონტროლის საკითხით ურნალივით უხათქუნებდნენ ჩვენს კედლებს, არყევდნენ მათ და მსოფლიოს არწმუნებდნენ განიარაღების დიადი საქმე უძლურიაო „საბჭოების ჩაკეტილობის“ წინაშე. მაგრამ საკმარისი იყო, კონტროლის იდეა თვითონ ჩვენ დაგვეყენებინა ძირითად იდეად, რომ „მონოპოლისტებს“ უკან დაეხიათ. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ამერიკელები არ თანხმდებოდნენ სამხედრო-საზღვაო კონტროლის დაწესებაზე.

— ჩვენს მეზღვაურებს არ უყვართ, როცა მათ ამოწმებენ, — მეუბნებოდა ჯორჯ შულცი.

— გეგონებათ ჩვენს მერაკეტეებს უყვარდეთ! — ვუპასუხებდი მე.

არავის უყვარს, როცა ვინმე მის საქმეში ცხვირს ჰყოფს, მაგრამ მშვიდობა თუ საკუთარ თავზე ოდნავ უფრო გიყვარს, შეიძლება ამგვარ თვითშეზღუდვას დაჰყაბულდე.

შეიარაღებული ძალების ყველა სახეობა, მათ შორის სამხედრო-საზღვაო ძალებიც, მოლაპარაკებათა საგანი უნდა იყოს-მეთქი, — ვუცხადებდი ჩემს პარტნიორებს. ამაში ახლაც დარწმუნებული ვარ.

ბატონი რეიგანის მრავალი ღირსებიდან განსაკუთრებით მხიბლავდა მისი იუმორის გრძნობა. მან უამრავი ანეკდოტი იცოდა და მათი მოყოლაც ემარჯვებოდა. და, როგორც კი სიტყვა კონტროლზე ჩამოვარდებოდა, მაშინვე საუბარში ანეკდოტის განწყობილება შემოჰქონდა: „ენდე, მაგრამ შეამოწმე!“

რა გაეწყობა, ეგებ ამას ჰქონდა კიდეც რაღაც გარკვეული აზრი. კაცობრიობა სიცილით ეთხოვება თავის მანკიერებას. ოღონდ, მთავარია, ეს ყველამ ისურვოს.

გასული წლების ერთ-ერთ მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს საყოველთაო აღიარება და დამკვიდრება კონტროლის იდეისა, რომელშიც ორგანულად არის ერთმანეთს შერწყმული ნდობის საზღვრები და შემოწმების შესაძლებლობა, როგორც პოლიტიკური ვერიფიკაციის აუცილებელი ნორმები.

ზოგჯერ გამარჯვებად გესახება არა იმდენად რაღაც მეტისმეტად ეფექტური იდეის დეკლარირება, რამდენადაც მისი მიღებისა და განხორციელების უნარი. ჩვენ, ბავშვობიდანვე ტაბუსა და აკრძალვებს ასე შეჩვეულებმა, ძალზე დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ, როცა კონტროლი ვაქციეთ დაძაბულობის ახალი განმუხტვის ქმედით საშუალებად.

მუდამ მინდოდა, რომ ის ყოვლისმომცველ საშუალებად ქცეულიყო. რაც, ვაი რომ, ჯერაც არ ხერხდება.

განიარაღების გამო მოწვეულ სხვადასხვა ფორუმზე ბევრს ლაპარაკობენ, რომ სამხედრო საქმეებში მეტი გახსნილობაა საჭირო, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ სად იმყოფება და საით გადაადგილდება, ვთქვათ, მოტომსროლელი ან სადესან-

ტო ბატალიონი. ინსპექტორებმა არმიის სამზარეულოთა ქვაბებში ჩაიხედონ, რათა დარწმუნდნენ, მათ რომ ჰგონიათ, სწორედ ის ფაფა იხარშება, თუ — არა. აბა, წარმოიდგინეთ, რა დავიდარაბაც ატყდება, თუ იმ სახელმწიფოს ნავსადგურში, რომელიც თავს არაბირთვულ სახელმწიფოდ მიიჩნევს, შევა ხომალდი ბორტზე ათეულობით ბირთვული საბრძოლო იარაღით.

დღემდე არ შემიცვლია თვალსაზრისი: საერთაშორისო ურთიერთობებში ნდობისა და საჯაროობის ცალკეული ღონისძიებებიდან უნდა გადავიდეთ დაუფარაობის გლობალურ პოლიტიკაზე, რომელიც ყოვლისმომცველი უშიშროებისა და საერთაშორისო მშვიდობის შემადგენელ ნაწილად იქცევა.

ვაიომინგში 1989 წლის სექტემბერში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა შემოგვთავაზა „ღია ცის“ პრობლემაზე მოლაპარაკებათა რაუნდი შენობაში კი არა, ჰაეროზე, ღია ცის ქვეშ ჩავატაროთო. ამინდი ხელს გვიწყობდა. არც ქარი ქროდა, არც წვიმდა, არც მეტისმეტად ცხელოდა. ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ „ღია ცის“ იდეა კარგია მხოლოდ კარგი სერთაშორისო ამინდის პირობებში, თანაც თუ მისი წანამძღვრები შექმნილია.

ამ უკანასკნელ წლებში მომძლავრდა აზრი, რომ დაუფარაობა ნებისმიერი პროგრესის — ინტელექტუალურის, მატერიალურის, სოციალურის — მთავარი ფაქტორია. ამ პროცესიდან განზე არ დარჩენილა უშიშროების სფერო, სადაც ერთმანეთს კარგახანს ვეთამაშებოდით დამალობანას.

ისტორიული ზღურბლი გადაილახა, როცა სტოკჰოლმში კონფერენციაზე ყველა ევროპულმა ქვეყანამ გაიზიარა ადგილებზე ინსპექციის პრინციპი. ამჟამად ეს პრინციპი პრაქტიკულად გამოიყენება ბირთვულ რაკეტათა განადგურების კონტროლში და ნდობის ღონისძიებათა სფეროში. ჯერჯერობით არ გვსმენია ჩივილი იმის გამო, რომ ინსპექციასა და შემოწმებას ვისიმე უშიშროებისთვის ზიანი მოეტანოს.

კონტროლით მიღწეული წარმატება და სარგებლობა იმდენად უეჭველია, რომ შესამჩნევად გაფართოვდა მისი გამოყენების სფერო არა მხოლოდ სამხედრო საქმეებში, არამედ ეკოლოგიური, ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სხვა პრობლემების მოგვარების პროცესებშიც. და მე გადაჭრით ვიტყოდი:

კონტროლის საქმეში არავითარი გადაჭარბება ზედმეტი არ გახლავთ. მხოლოდ პოლიტიკური კონსტატაცია არ არის ეს. თუ განზრახული გვაქვს გახვაგრძოთ გზა, რომლითაც ვიარეთ დღემდე. — შევამციროთ ჯარები და შეიარაღებანი, მოვახერხოთ დემონტაჟი სამხედრო დაპირისპირების უზარმაზარი სტრუქტურებისა, გადავიდეთ თავდაცვით დოქტრინებზე და შევინარჩუნოთ სამხედრო პოტენციალი თავდაცვის მიზნებისთვის საკმარის გონივრულ დონეზე, — მაშინ ჩვენ დაგვჭირდება კონტროლის კიდევ უფრო ეფექტური, უფრო საიმედო, მრავალვარიანტიანი სისტემა.

* * *

სტოკჰოლმმა გახსნა გზა შეიარაღებათა შეზღუდვასა და შემცირებასთან დაკავშირებული სხვა მიმართულებებით სწრაფად სვლისთვის. მან მიგვიყვანა საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტათა ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან. ამ შეთანხმებას ხანგრძლივი, რთული, ძალზე დრამატული ისტორია აქვს. ის აუჩქარებელ, ფაქიზ, საფუძვლიან აღწერასა და ზუსტ ასახვას იმსახურებს. მასში არის მრავალი მკვეთრი მოსახვევი, მოულოდნელი სვლები, თითქოს გაუხსნელი კვანძები. რად ღირდა თუნდაც მარტო გფრ-ის კუთვნილი „პერშინგების“ ნაწილის გამო კამათი, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, კანცლერ ჰელმუტ კოლისა და ჰანს-დიტრიხ გენშერის კონსტრუქციული მიდგომის წალობით გადაწყდა.

დიახ, იყო კამათი, გაჯიუტება, პოზიციათა, ინტერესთა, ხასიათთა დაპირისპირება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ერთმანეთის გაგების, ორივე მხარისთვის გონივრული კომპრომისებისა და შეთანხმების გზით წარიმართა.

საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების საკითხზე შეთანხმება და მისი რეალიზაცია, უდავოდ, მომგებიანია როგორც საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, ასევე ყველა სხვა სახელმწიფოსთვისაც.

მე ამ შეთანხმებას ჩვენი ქვეყნის უშიშროების განმტკიცების საქმეში უდიდეს წვლილად მივიჩნევ, რადგან მისი მეოხებით შევძელით საბჭოთა საზღვრებიდან დაგვეშორებინა ამერიკული ბირთვული იარაღი. და არა მხოლოდ დაგვეშო-

რებინა, არამედ მომავალშიც გამოგვერიცხა მსოფლიოს რომელიმე რეგიონში ოთი სახის რაკეტების განლაგება.

მართალია, საბჭოთა და ამერიკული მცირე და საშუალო სიშორის რაკეტები ბირთვულ შეიარაღებათა საერთო მოცულობის მხოლოდ ოთხ პროცენტს შეადგენს, მაგრამ მათი ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმებამ მსოფლიოს დაანახა, რომ პრაქტიკულად შესაძლებელია ომის ყველაზე უფრო გამანადგურებელი იარაღებისგან თავის დახსნა.

მართალია, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მაგრამ დიდია ამ შეთანხმების ფასი: მან დაადასტურა, რომ ლოგიკური და გონივრული იყო მრავალსაუკუნოვანი ძიებანი, რომელსაც ომებისა და ძალმომრეობისგან თავისუფალი მსოფლიოსკენ მივყავდით; მან ბირთვული განიარაღების იდეა ოცნებათა სფეროდან საგნობრივი რეალიზაციის სფეროში გადაიტანა.

მართლაც, მეტ-ნაკლები დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, დედამიწაზე არ მოიძებნება არც ერთი გონიერი ადამიანი, რომელსაც არ ესმოდეს, რომ ბირთვული იარაღი დამოკლეს მახვილად კიდია კაცობრიობის თავზე და დაღუპვას უქადის.

მაგრამ მაშინ აუცილებლად დაისმის კითხვა: დიდი ინტელექტით გამორჩეული ადამიანები დღემდე რატომ არ მივიდნენ გონივრულ გადაწყვეტილებამდე, საყოველთაო თვითმკვლელობის ამ იარაღის ლიკვიდაციამდე?

ამ საკითხსაც დიდი ისტორია აქვს და მისი გააზრებაც საჭიროა.

* * *

?

ბირთვულმა იარაღმა, რომელიც თავდაპირველად ერთ ქვეყანაში გაჩნდა, მისი აბსოლუტური უშიშროებაც უზრუნველყო და ამ ქვეყანას სამხედრო უპირატესობაც მიანიჭა. და რამდენადაც მაშინ ბირთვული იარაღის გამოყენება შესაძლებელი იყო, გამოიყენეს კიდეც იაპონიის წინააღმდეგ.

აქ განსაკუთრებული სიზუსტეა აუცილებელი: გამოიყენეს არა მარტო იაპონიის, არამედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც. ხიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბების აფეთქება იმ მომენტში შექმნილი სამხედრო-სტრატეგიული სიტუაციით სულაც არ იყო განპირობებული. ეს იყო უმაღლესი სამხედ-

რო ტექნოლოგიის სფეროში ამერიკის უპირატესობის დემონ-სტრაცია, ჩვენს დასახახად გაძიზნული, ცდა ომისშემდგომ მსოფლიოში მოვლენათა წარმართვისა აშშ-ის იმდროინდელი პრეზიდენტის სცენარითა და რეჟისურით.

დემონსტრაცია გამოუვიდათ, მაგრამ, როგორც სურდათ, მთლად ისეც ვერა. ატომურ შანტაჟს, რომელმაც უკიდურეს-ად უხნეო იდეისთვის ცეცხლის შესანთებად ათასობით უდა-ნაშაულო ადამიანის სიცოცხლე ჩაფერფლა, მოჰყვა, სულ ცოტა, ორი გლობალური შედეგი, რომლებმაც კაცობრიობის სახე და ცხოვრება რამდენიმე ათეული წლით დაამახინჯა.

პირველი: ჩათესა ჩვენს სულებში შეშფოთება, — მაგრამ არამც და არამც შიში და პანიკა, — და წარმოშვა მისწრა-ფება ბირთვული არსენალის ადექვატური ატომური თავდა-ცვითი საშუალების შექმნისა. სხვაგვარად რომ ითქვას, ამე-რიკული ატომური ბომბების პირველმა აფეთქებებმა ააფეთ-ქეს სტრატეგიული სტაბილურობა და ბიძგი მისცეს გამალე-ბულ ბირთვულ შეიარაღებებს.

მეორე: ამ აფეთქებებმა „ცივი ომის“ სასტარტო მიჯნა აღ-ნიშნეს.

სამი წლის წინათ, ნიუ-იორკში, საგარეო პოლიტიკის ასო-ციაციაში გამოსვლის დროს, წამოვაყენე წინადადება, ერ-თობლივი ძალისხმევით გაგვეაზრებინა ამ საუკუნეში ყველა-ზე ხანგრძლივი ომის მიზეზები და ფესვები. მსოფლიოსთვის მის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, ეს ხომ ყველაზე გა-მწვადგურებელი ომი იყო.

ფაქტების ინტერპრეტაციაში ორივე მხარეს დამკვიდრ-და მტკიცე სტერეოტიპები, რომელთა შეურყეველადაც შეუძ-ლებელია ჩვენი ერთად წინსვლა. წარსულს აქვს აწმყოში აფეთქების უნარი, — თანაც ყველაზე შეუფერებელ დროს.

მაგრამ ჩემთვის მაინც სავსებით ცხადია, რომ ამ ისტორი-ის პირველი სტრიქონი ატომური „მელნით“ დაიწერა. და, ალ-ბათ, უკვე აღარავინ გახდის სადავოდ იმ ფაქტს, რომ მისი პირველი რეცეპტი საბჭოთა კავშირში სულაც არ შემუშავე-ბულა, რომ ჩვენს ქვეყანას არ დაუწყია გამალებული ბირთ-ვული შეიარაღება, რამაც „ცივი ომი“ არაერთხელ მიიყვანა „ცხელი“ ომის ზღურბლამდე.

ამ ისტორიას წინამდებარე წიგნში ვერ ჩატევ. მე სხვა მიზნები მაქვს და ყველა ეს ბიზანი აწმყოსა და ძომავალთან არის დაკავშირებული. აქ კი შევნიშნავ, რომ ბირთვული იარაღის ისტორიაში ნებისმიერ საომარ იარაღთან დაკავშირებული სიტუაცია მოდელირდება. 1945 წელს ატომური ბომბის შექმნამ მოითხოვა მეცნიერული აზრის, ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიისა და კოლოსალური მატერიალური რესურსების უკიდურესი კონცენტრაცია. ამ მომენტში მხოლოდ ერთ ქვეყანას აღმოაჩნდა ასეთი რთული პროექტის დაძლევის უნარი. მაგრამ სულ მალე კიდევ რამდენიმე სხელმწიფომაც შეძლო ეს. რამდენიმემ — ალბა იმიტომ, რომ სხვებმა ვერ შეძლეს ბირთვული არსენალის შოპოვება, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებმა, უბრალოდ, გონიერება გამოიჩინეს, შეიგნეს, რომ ბირთვული იარაღის გაფანტვა-გავრცელება კაცობრიობის დაღუპვას დააჩქარებდა.

სამ გარემოში ატომური იარაღის გამოცდათა აკრძალვის შესახებ 1963 წლის ხელშეკრულებები და 1968 წლის ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ამგვარ იარაღზე უარის კოლექტიური აღიარებაა. 1969 წლის ხელშეკრულების VI მუხლი მონაწილეებს პირდაპირ ავალდებულებდა ებრძოლათ ამ იარაღის გაუვრცელებლობისათვის.

ამის მიუხედავად, ორიოდ ათეულ წელში იარაღის რაოდენობა ბევრად გაიზარდა.

როცა ბირთვულ იარაღს იძენენ და ამისთვის უზარმაზარ სახსრებს ხარჯავენ, სახელმწიფოებს ესმით, რომ ეს იარაღი ძალიან სარისკოა თავად მათთვისაც.

მაგრამ რაკი ბირთვული იარაღისადმი ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად ის მაინც არსებობს, მაშასადამე, ის ნამდვილად ასრულებს რაღაც საჭირო ფუნქციას, ანდა, მას ასეთი ფუნქცია შეცდომით მიეწერება.

როგორი შეიძლება იყოს ეს ფუნქციები?

სერიოზულად არასოდეს არავის უმტკიცებია, თითქოს შესაძლებელი იყოს ბირთვული იარაღის მხოლოდ თავდაცვითი მიზნით გამოყენება. თუ თავდამსხმელმა იცის, რომ ბირთვული დარტყმა დახვდება, და მაინც ესხმის თავს, ეს იმას

ნიშნავს, რომ იგი მზად არის ბირთვული კონტრდარტყმისთვის. ამის შედეგად კი საქმე ან ორივეს დაღუპვით დამთავრდება, ან იმ მხარის კაპიტულაციით, რომელიც კეთილგონიერებას გამოიჩენს.

„უბირთვო სცენარით“ ომზე რა გვეთქმის? აქ კონფლიქტში ურთიერთმოსპობა არ ივარაუდება.

ეგებ, ბირთვული იარაღი სწორედ ამის გამოც ისახებოდეს ომის შემაკავებელ საშუალებად?

სწორედ ასე არის ბირთვული იარაღის შენარჩუნების მომხრეთა არგუმენტაციითაც. მათი მტკიცებით, ეს იარაღი პოტენციური აგრესორის შემაკავებელი ფაქტორია.

არ ღირს „ბირთვული შეკავებისადმი“ ჩვენი დამოკიდებულების გამარტივება, თუმცა, ვაღიარებ, ჩვენ თვითონაც ხშირად ვცოდავთ ამ მხრივ.

ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ ამ დოქტრინას, ვაღიარებთ, რომ საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე იგი სულაც არ იყო უსარგებლო მშვიდობის შესანარჩუნებლად. მაგრამ საქმე ის არის, რომ ახალი დრო ახალ პოლიტიკას მოითხოვს, რადგან ბირთვული შეიარაღებისაგან შეკავება გარდუვალად წარმოშობს კონფრონტაციულ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა მთელ ერთობლიობას.

ვფიქრობ, ბირთვული იარაღი შეკავების ფუნქციას უმთავრესად ერთ გარკვეულ დონეზე ასრულებდა: ის „შეუვალობის სიგელს“ აძლევდა ბირთვულ სახელმწიფოებს ამ იარაღის უქონელ ქვეყნებთან თავშეუკავებელი დამოკიდებულებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ობიექტურად აქეზებდა „ბირთვული კლუბის“ წევრთა თვითნებობას. ამით აქეზებდა იმ ზოგიერთი არაბირთვული ქვეყნის თვითნებობასაც, რომლებიც ბირთვული შანტაჟისგან თავის დასაცავად ამ იარაღის შეძენას ისახავდნენ მიზნად.

ბირთვული იარაღი რომ ნამდვილად წარმოადგენდეს ომის შეკავების საშუალებას, მაშინ, ლოგიკის თანახმად, მას გამალებული ჩვეულებრივი შეიარაღებაც უნდა შეეჩერებინა. პრაქტიკულად ყველაფერი პირიქით ხდება. სახელმწიფოებს ესმოდათ, რომ ბირთვული ომი შეუძლებელია, რომ ამ ომში გამარჯვებულნი არ იქნებიან, და ზრდიდნენ ჩვეულებრივ

შეირაღებულ ძალებს. „ჩვეულებრივი ომი“ სავსებით დასაშვებად მიაჩნდათ „ბირთვული შეკავების“ დროსაც.

გამალებული შეიარაღება, რომელიც მთელი ამ ორმოცდახუთი წლის მანძილზე იყო გაჩაღებული, უკვე თეორიული კი არა, მატერიალური დადასტურებაა იმისა, რომ ბირთვული იარაღი არც ასრულებდა და არც ასრულებს ომისგან შემაკავებელ ფუნქციას. სიტყვამ მოიტანა და, ეს „შეკავება“ შეუკავებლად იზრდებოდა და მან დღეისთვის ისეთ შემზარავ მასშტაბებს მიაღწია, რომ თითქმის ყოველ თანამედროვე ტანკსა და ყოველ ქვეით ოცეულზე ლამის თითო ბირთვული საბრძოლო მუხტი მოდის.

არა, ასეთ „შეკავებაში“ აშკარად რაღაც ვერ არის რიგზე!

ამ ბოლო დრომდე ჩვენ და ამერიკის შეერთებულ შტატებს დადებული არ გვქონია არც ერთი ხელშეკრულება, არც ერთი შეთანხმება, რომელიც... შეანელებდა ჩვეულებრივი საშუალებებით ომის დაწყების საშიშროებას. ჩვეულებრივ შეიარაღებათა შეზღუდვისა ან შემცირების თაობაზე არ გვქონია თუნდაც ერთი შეთანხმება. ამ დროს გაფორმებული გვაქვს ორ ათეულზე მეტი ხელშეკრულება, შეთანხმება, ოქმი, რომლებიც მეტ-ნაკლებად გვაზღვევენ ბირთვული ომის დაწყებისაგან. ჩვენ ბირთვული საშიშროების შემცირების ცენტრებიც კი გავხსენით.

გამოდის, რომ არც მოსკოვში და არც ვაშინგტონში ფიქრადაც კი არ გაუვლიათ, რომ ორმა ქვეყანამ შეიძლება უცებ ავტომატების ჯერი გაუხსნას ერთმანეთს. მაგრამ, ამასთანავე, ნუთუ ისინი ბირთვული დარტყმების მიყენებას სავსებით შესაძლებლად მიიჩნევდნენ?

ჰოდა, რა არის საშიში? და რისი შეკავებაა საჭირო?

დარწმუნებული ვარ, რომ დროა, გადაისინჯოს „ცივი ომის“ ატმოსფეროში მომწიფებული კონცეფციები.

„ბირთვული შეკავება“ არის ამ „გამყინვარების ეპოქის“ გაყინული მემკვიდრეობა.

გარკვევით უნდა ითქვას: ბირთვული იარაღი მარტო მისი დამანგრეველი ფიზიკური თვისებებით როდია საშიში, ის მიუღებელია იმითაც, რომ აღრმავებს უფსკრულს ეროვნულსა და ზოგადსაკაცობრიოს შორის. შეუძლებელია ლაპარაკი ხალ-

ხთა თანასწორუფლებიანობაზე, მსოფლიოს ერთიანობაზე, როცა ვიღაცის ეროვნული ეგოიზმი შეიძლება დამუხტული იყოს მსოფლიოზე ატომური ბატონობის იდეით, რომელიც ეროვნული უშიშროების ინტერესებითაა შენიღბული.

ბირთვულ იარაღზე იმედების დამყარება, ვფიქრობ, არავის ეროვნულ ინტერესებს არ შეესატყვისება, ჭეშმარიტი უშიშროების უზრუნველყოფას მხოლოდ ბირთვულ პოტენციალთა ლიკვიდაცია შეუწყობდა ხელს.

საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, უწინდებურად ერთგულია უბირთვო მსოფლიოს იდეალისა და იგი „ბირთვული შეკავების“ დოქტრინის თანდათანობით დაძლევას უჭერს მხარს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ბირთვული იარაღის ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით მოსპობა არ მოხერხდება. ამიტომ ამჟამად დგება საკითხი ატომური იარაღისგან მინიმალურ თავშეკავებაზე შეთანხმების მიღწევისა. როგორ უნდა გამოიხატოს ეს რიცხობრივად? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა საკმაოდ ძნელია. ზოგი სპეციალისტი გვთავაზობს სსრკ-ისა და აშშ-ის ამჟამინდელ ბირთვულ მარაგთა ხუთი პროცენტის შენარჩუნებას, რაც, ვფიქრობ, დაახლოებით საფრანგეთის ბირთვული ძალების დღევანდელი დონის შესაბამისი იქნებოდა.

რასაკვირველია, „ბირთვული შეკავების“ იდეის კონსერვაციას განაპირობებს არა მხოლოდ ერთა უფლებებისა და ინტერესების ჰიპერტროფია მათივე მოვალეობის ხარჯზე, არამედ ნდობის ნაკლებობაც. ამ პრობლემას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

რა გამოსავალი შეიძლება მოინახოს ამ მოჯადოებული წრიდან? ზემოთ უკვე იყო საუბარი საჯაროობასა და დაუფარაობაზე, ყოვლისმომცველი კონტროლის განშტოებული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაზე. და თუ მაინც აუცილებელია ერთმანეთის შეკავშირება, მაშინ ეს ტრანსპარენტული და შემოწმებადი შეკავება უნდა იყოს.

ადგილებზე კონტროლისა და ინსპექციათა იდეის პრაქტიკულად განხორციელების შემდეგ წინ წაწევაა საჭირო.

და, რასაკვირველია, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი ბირთვულ გმოცდათა ისტორიას.

ამბობენ, ვიდრე ატომური ენერგეტიკა არსებობს, ეს შე-

უძლებელიაო. ის მშვიდობიან ეკონომიკას სჭირდება, მაგრამ შეუძლია სამხედრო მიზნებსაც ემსახუროსო. ამ მოსაზრების გასაქარწყლებლად ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დავიმოწმებ, მას ნებისმიერი აფეთქების ფიქსირება და დაკონტროლება შეუძლია. მიზეზი სხვა არის: ბირთვული გამოცდები აუცილებელია ბირთვულ მარაგთა ეფექტურობისა და საომრად მათი მზადყოფნის შემოწმებისთვის, ბირთვული ტექნოლოგიის სრულყოფისთვის.

თითქოს საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ბირთვული ომი შეუძლებელია. მაშ, ბირთვული ტექნოლოგიის რა სრულყოფაზე შეიძლება ლაპარაკი? რაც მთავარია, რისთვის არის ეს საჭირო? არ მაშინებს იმის თქმა, რომ ყველაფერი ეს იმდენად „შეკავებისთვის" არ კეთდება, რამდენადაც გლობალური მასშტაბით დაშინებისთვის, ბირთვული უპირატესობის უზრუნველყოფისთვის. მაგრამ ეს გზა მიუღებელია და არც არის საჭირო. მით უმეტეს, ახლა, დღეს და, უეჭველია, არც ახლო მომავალში, ახალი მსოფლიო წყობის ჩამოყალიბების პირობებში იქნება მისაღები და საჭირო. ამ პროცესის შემამზადებელმა მოვლენებმა — შეხვედრამ მალტაზე და პარიზის სამიტმა, მოლაპარაკებებმა ვაიომინგში, ირკუტსკში, ჰიუსტონში, სპარსეთის ყურეში აგრესიის კოლექტიურად აღკვეთამ — შექმნეს ისეთი სიტუაცია, რომელიც ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პრობლემისადმი ახალი პოზიციებიდან მიდგომის საშუალებას გვაძლევს. შეუძლებელია, რეალურად მოაზროვნე პოლიტიკოსებს არ ესმოდეთ, რომ ახლა მათ ხელთ არის ამ იარაღისგან მსოფლიოს ხსნა.

* * *

ისევ საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების თაობაზე ხელშეკრულებას დავუბრუნდები. მასზე კამათი დღემდე არ ცხრება. მე დღემდე მიყენებენ პრეტენზიებს იმის გამო, რომ ამ ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირმა გაცილებით მეტი რაკეტები მოსპო, ვიდრე შეერთებულმა შტატებმა. პირდაპირ გაგაკვირვებთ, როგორი დაჟინებით სვამენ ხოლმე ამ უბრალო საკითხებს. თუმცა, მე უფრო მაკვირვებს იმათი დუმილი, ვისაც ჩემთან ერთად და ჩემს თანაბრად მიჰყავდა საქ-

მე ამ მოლაპარაკების ხელმოწერამდე და ამისთვის ჯილდოებიც კი მიიღო.

მაგალითად, ჯგუფ „სოიუზის“ დეპუტატებმა რაკეტათა კომპლექს „ოკას“ განადგურების მიზეზები მე უფრო უხდა მომკითხონ ასეთი გაფფთრებით თუ პატივცემულ მარშალს ფ. ახრომეევს, რომელიც ამ სახეობის რაკეტებზე მოლაპარაკებებისას გენერალური მდივნის გვერდით იჯდა? მარშალმა ხომ, ჩემზე უარესად კი არა, ჩემზე უკეთ იცის, ვინ და რატომ განაცხადა ამაზე თანხმობა, ისიც ხომ იცის, რომ თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის თანხმობის გარეშე ასეთ გადაწყვეტილებებს არ იღებენ?

გაჩუმება, ისევე, როგორც სიცრუე, ჩემი პოლიტიკა არ არის. და მარტო მე კი არა, ყველამ, — მათ შორის მარშლებმა, გენერლებმა, სამხედრო ექსპერტებმა, დიპლომატებთან ერთად, — უდიდესი საქმე გავაკეთეთ, როცა ქვეყნის საზღვრებთან მეორე სტრატეგიული ფრონტი გავაუქმეთ. ხელშეკრულების მხარდასაჭერად ბევრი არგუმენტია გამოთქმული. ზოგნი იზიარებენ ამ არგუმენტებს, ზოგნი — არა. მაგრამ არ მსმენია ვინმეს კითქვას, რომ ამ ხელშეკრულების დაუდებლად სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა.

ვიმეორებ, ამ ხელშეკრულების მიღწევა ძნელი საქმე იყო, მასში, როგორც იტყვიან, სისხლი ჩავაქციეთ. მისი მომზადების ხანგრძლივ და დაძაბულ პროცესში იყო არაერთი მომენტი, როცა მხარეებს გზის გასაგნები ძაფი ეკარგებოდათ, ერთხელ ლამის „დავკარგეთ“ ხელშეკრულება.

მოსკოვში, უკვე თითქმის ფინიშზე, მოლაპარაკება კინაღამ ჩაიშალა. მიზეზები წმინდა სუბიექტური ხასიათისა იყო. გასაწყენებული შულცი არცკი დაგვემშვიდობა. ძველებური ლოგიკით ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა: „თუ არ გინდა — არც არის საჭირო“. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ეს საჭირო იყო ჩვენთვისაც და ამერიკელებისთვისაც. შულცი ზედ თვითმფრინავის ტრაპთან გავაჩერე და ვუთხარი, ჩვენ ვალდებული ვართ ეს საქმე მოვაგვაროთ-მეთქი ავუხსენი, როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება. ის დამეთანხმა.

ორიოდე დღის შემდეგ ჩვენ ვაშინგტონში ვიყავით. ხელ-

შეკრულების გადარჩენას დიდი დრო არ დასჭირვებია. ორმოც საათში მოგკალოდა ყველაფერი.

ეს მაგალითი იმდროინდელ ახლებურ ურთიერთობათა საუკეთესო ილუსტრაციაა.

ანალოგიური შემთხვევა მოხდა ავღანეთის საკითხზე ჟენევის ხელშეკრულებათა მომზადებასთან დაკავშირებითაც. დეტალებს არ გამოვეკიდები. ვიტყვი მხოლოდ, რომ საქმე ეხებოდა შეთანხმებას, რომელიც ჩვენს ქვეყნებს ამ ხელშეკრულებათა გარანტად ერთად დადგომის საშუალებას მისცემდა. სათანადო ფორმულირებათა განხილვა ხანგრძლივი და მძიმე პროცესი იყო. დისკუსიებში მონაწილე მუშა „ხუთეულები" „შინაური" თათბირებისთვის რამდენჯერმე ჩაიკეტნენ ცალკე ოთახებში. ბოლოს, როცა ყველა შესაძლებლობა ამოიწურა, სახელმწიფო მდივანს უნდა მიეღო გადაწყვეტილება. ის თავის გუნდთან ერთად სადღაც გავიდა და, თუ მეტი არა, ოც წუთს მაინც არ გამოჩენილა.

მე მას ველოდებოდი სადარბაზო ოთახში, ბუხართან. ჩემზე უკვე აღარაფერი იყო დამოკიდებული. შულცი, როგორც იქნა, შემოვიდა, ერთხანს ხმა არ გაუღია, მერე კი თქვა, რომ არ შეეძლო ჩვენს ვარიანტს დათანხმებოდა. იმის თქმა, რომ იმედი გამიცრუვდა, ცოტაა. ასეთ დროს ადამიანის სულიერი განადგურება ხდება. თანხმობამდე სულ რაღაც ერთი გოჯიღა იყო დარჩენილი და მაინც ვერ მივაღწიეთ. ჯორჯაც საგრძნობლად ჰქონდა ნირი წამხდარი. რაღაც ფუყე ფრაზების გადალაპარაკებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. გულდამძიმებულნი ვბრუნდებოდით ჩვენ-ჩვენს სახლებში.

და უცებ, საკვლევით მოულოდნელად, მეორე დღეს, უკვე მოსკოვში, სახელმწიფო მდივნისგან მოვიდა სიგნალი, რომ ამერიკის მხარე მზად იყო ჩვენი წინადადების მისაღებად.

ავღანეთის საკითხზე შეთანხმებები დაიდო.

პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციასთან ჩვენს ურთიერთობებში დიდი გზა განვლეთ. ვაშინგტონში ადმინისტრაციის შეცვლისას ურთიერთობებში გარკვეული პაუზა წარმოიქმნა და ეს, ალბათ, ბუნებრივიც იყო, მაშინ ჩვენ ეს არ გვესმოდა, ვშფოთავდით. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ახლა, როცა ძირითადად ორმხრივი ხასიათის საკითხები წყდე-

ბოდა უშიშროების თუ სხვა სფეროებში, სადაც ჩვენი ქვეყნის ინტერესები ერთმანეთს კვეთდა, „სწორხაზოვანი“ განვითარების განგრძობა აღარ კმაოოდა.

* * *

ერთმა შინაურმა კრიტიკოსმა, ინტელექტუალმა, გორბაჩოვსა და მე „მალტის რაინდები“ გვიწოდა. რისთვის და რატომ აღგვაზევა მან ასეთ მაღალ ჩინამდე, თანაც, მალტის ოდენის კომანდორის ხელდასხმის გარეშე? როგორც ჩანს, მალტაზე შეხვედრის გამო, სადაც ხმელთაშუაზღვის ქარიშხლის ზათქში ჩუმად მიიცვალა „ცივი ომი“.

ნუთუ ჩვენს ქვეყანაში ვინმეს სჭირდებოდა „ცივი ომი“, როგორც ძველთაძველი „მტრის“ მოსაგერიებლად მუდმივი მზადყოფნა? ან, ნუთუ, ვიღაცას ასე სჭირდებოდა მტრის ხატი, რომელიც იმპერიული სიდიადის სენის გამღვივებელია?

დიახ, ალბათ, გორბაჩოვს ვერ აპატიებენ ფრაზას, რომელიც მან პრეზიდენტ ბუშს უთხრა: „საბჭოთა კავშირი არ აპირებს ამერიკის შეერთებული შტატები თავის მოწინააღმდეგედ მიიჩნიოს“. ამავე უცნაური ლოგიკით, არც ჯორჯ ბუშისთვის უნდა გვეპატიებინა ცოტა ხნის შემდეგ კემპ-დევიდში წარმოთქმული საპასუხო სიტყვები: „შეგიძლიათ გაიგვალისწინოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არასოდეს დაემუქრება საბჭოთა ქვეყნის უსაფრთხოებას“.

ალბათ, ვიღაცას სული ეხუთება, როცა მის ირგვლივ მტრები აღარ არიან.

რაც შემეხება მე, სწორედ ეს მინდოდა და ამას ვესწრაფოდი. ვფიქრობ, რომ ჯეიმს ბეიკერიც ხელს მიწყობდა.

ამასთან დაკავშირებით ძალიან მინდა მოვიგონო ჩვენი შეხვედრა ირკუტსკში და ბაიკალის ტბაზე 1990 წლის 2 აგვისტოს. ეს იყო ჩვენი მორიგი შეხვედრა შვებულების წინ.

აქ აუცილებელია განმარტება. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ-ყოველი შეხვედრისას საკმაოდ დატვირთული იყო დღის წესრიგი, რომელიც საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგის საერთო პრობლემატიკას მოიცავდა. ჩვენ მუდამ ვუტრიალებდით

კონკრეტულ საკითხებს. ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდით წინ სტრატეგიულ შეიარაღებებთან, ევროპაში ჩვეულებრივ ძალებთან, რეგიონალური კონფლიქტების გადაწყვეტისთვის კომპრომისულ ვარიანტთა ძიებასთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე ხელშეკრულებების მოსაღწევად. ამას გარდა, ყოველთვის განიხილებოდა ადამიანის უფლებები, ეკონომიკურ და სხვა ურთიერთობათა საკითხები, ტრანსეროვნული პრობლემები, მზადდებოდა ცალკეული შეთანხმებები.

მაგრამ, ყოველივე ამასთან ერთად, ყოველ შეხვედრას თავისი ფილოსოფიური გახზომილება ჰქონდა. გაკეთებულის შეფასება, ამა თუ იმ სფეროებში ქმედებათა წინასწარ განჭვრეტა, პოლიტიკური ინსტიტუტების დონეზე ურთიერთგაგება, ერთმანეთისადმი ნდობა, აზრთა გაზიარება ჩვენს ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ — ყველაფერი ეს იძლეოდა, ასე ვთქვათ, მსოფლიო პოლიტიკის სივრცეში ორიენტაციისა და იმის გარკვევის საშუალებას, თუ სად ვიმყოფებოდით და საით გვსურდა სვლა.

ვაიომინგში, კლდოვან მთებთან, ჩვენ დავადასტურეთ, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები მოწესრიგებულია და უკვე კონსტრუქციული თანამშრომლობის დრო დადგა. გავიდა ხანი და ითქვა, რომ შესაძლებელია თანამშრომლობაზეც გადასვლა. ასე რომ, ირკუტსკის შეხვედრის დიდი ფილოსოფიური აზრი ის იყო, რომ მიეედით დასკვნამდე: ჩვენმა ურთიერთობებმა მიაღწია დონეს, რომელიც გვაძლევს საშუალებას, საერთაშორისო არენაზე ვიმოქმედოთ, როგორც პარტნიორებმა, უწინარეს ყოვლისა, „მესამე სამყაროს“ კონფლიქტებთან დაკავშირებულ საკითხებში.

ეს შეიძლება დამთხვევად ჩაითვალოს, მაგრამ მე პოლიტიკურ ინტუიციაზე დამყარებულ წინასწარმეტყველებად მიგიჩნევდი. ირკუტსკის შეხვედრის დროს ჩვენ თეორიულ პლანში შევეხეთ იმ საკითხს, რომ „ცივი ომის“ დასასრულმა, სსრკ-სა და აშშ-ს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესებამ, განსაკუთრებით პირველ ხანებში, მსოფლიოს ცალკეულ ადგილებში, შეიძლება წარმოშვას რაღაც ვაკუუმი, რომელიც, გამორიცხული არ არის შეავსოს რეგიონალური ჰეგემონური ტენდენციებით გამოწვეულმა კრიზისებმა.

და თუმცა ვიცოდით, რომ ჯერჯერობით ეს მხოლოდ

ფრთხილი პროგნოზები იყო, თავის დაზღვევისთვის აუცილებლად მიგვეხედა ძაშინვე შეგვეძუძაეებინა პასუხისგებლობით ნაკაონახევი ქცევის, ერთობლივ ქმედებათა მოდელები.

რასაკვირველია, გაფიქრებაც კი არ შეგვეძლო, რომ ასეთი არჩევანიდან ორიოდე ნაბიჯზე ვიმყოფებოდით.

ამგვარად, ირკუტსკში ჩვენ მორიგი, რიგით უკვე მეთერთმეტე, შეხვედრის წინ, შვებულებაში წასვლას ვაპირებდით. 2 აგვისტოს, დილით, ბოლო პრესკონფერენცია ჩავატარეთ და შედეგების შესაჯამებლად „რეტროს“ მოლაპარაკებათა დარბაზში დავბრუნდით. საუბარი, როგორც ეს სახელმწიფო მდივანსა და მე წესად გვქონდა, ვიწრო წრეში მიმდინარეობდა. ამიტომ გაგვაკვირვა სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნის მარგარეტ ტატუაილერის გამოჩენამ. ჩვენი გუნდების წევრები დისციპლინირებული ადამიანები არიან და, განსაკუთრებული აუცილებლობა თუ არ არის, როცა განმარტოებით ვსაუბრობთ, მყუდროებას არ გვირღვევენ.

ტატუაილერმა თავის შეფს ბარათი გადასცა. მან წაიკითხა და თქვა:

— ბატონებო, სახელმწიფო დეპარტამენტის მართვის პულტში შემოვიდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ერაყმა კუვეიტის საზღვარი გადალახა. მაგრამ, ვაშინგტონში კუვეიტის ელჩის აზრით, სიტუაცია ჯერჯერობით მაინც და მაინც საგანგაშო არ არის...

ჩვენ განვაგრძეთ საუბარი. ჩემი აზრით, მხოლოდ მე კი არა, ამერიკელებიც არ შეშფოთებულან. ვიცოდი, რომ ერაყსა და კუვეიტს შორის მოლაპარაკებები მძიმედ მიმდინარეობდა, მაგრამ ვერ წარმომედგინა, რომ სადამ ჰუსეინი კუვეიტში შეჭრას გადაწყვეტდა. ასეთი ვარაუდისთვის არავითარი სიგნალი და ნიშანი არ გვქონდა. ერაყის ჯარებმა უწინ არაერთხელ გადალახეს მეზობელი ქვეყნის საზღვრები, მაგრამ იქ დიდხანს არ ყოვნდებოდნენ და თავიანთ ტერიტორიაზე ბრუნდებოდნენ. ყოველივე ამასთან ერთად, ერაყის აგრესია წარმოგვიდგებოდა თითქმის შეუძლებელ, სრულიად ალოგიკურ ნაბიჯად, რომელიც ნებისმიერ საღ აზრს ეწინააღმდეგებოდა. შექმნილ პირობებში ეს აბსოლუტურად ირაციონალური რამ ი

მზადა ვარ, ეს დღესაც გავიმეორო, თუმცა ჩემმა ამგვარმა აღიარებებმა არაერთხელ მისცა საბაბი ჩემს კრიტიკოსებს, რომ ჩემთვის არაკომპეტენტურობა და ექსპერტთა შეფასებების არად ჩაგდება დაებრალებინათ. ზემოთ უკვე ვილაპარაკე იმაზე, რომ სპეციალისტებთან მოუთათბირებლად არასოდეს არაფერს ვწყვეტ. ვფიქრობ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემი მუშაობის წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა რეკომენდაციათა შეფასებასა და შემუშავებაში მონაწილე მუშაკთა წრე. მუდამ გულისყურით ვეკიდებოდი მათ აზრს. მაგრამ, ამასთანავე, გამოთქმულ შეხედულებებს ყოველთვის ვუფარდებდი საერთო სტრატეგიულ ამოცანათა ჩემეულ გაგებასა და ხედვას.

არიან ადამიანები, რომლებიც მომხდარ მოვლენებს მხოლოდ ერთი „სანგრიდან“ უყურებენ. თავად მე კი, ჩემი თანამდებობის გამო, თვალთახედვის არეში ფრონტის მთელი სივრცე უნდა მქონოდა მოქცეული. მაგრამ იმ სანგრებიდანაც კი, რომლებიც ჩვენს ექსპერტებს ეკავათ, ისეთი უგუნურება, როგორიცაა ერაყის კუვეიტში შეჭრა და მისი ანექსია, ნამდვილად არ ჩანდა.

სადამ ჰუსეინთან ჩემმა პირადმა შეხვედრებმა საკმაოდ მკაფიო აზრი შემიქმნა მასზე. ის ძლიერი ნებისყოფის, მკაცრი, მბრძანებლური ბუნების პიროვნებაა, თან, რასაკვირველია, ჭკვიანი კაცია. დიახ, კუვეიტთან ომით ის ცდილობდა მისთვის არასახარბიელო პოლიტიკური შეთანხმების „შესწორებას“. დიახ, ერაყის ქურთისტანში ქიმიური იარაღი გამოიყენა. დიახ, სასტიკად ახშობს დაუმორჩილებლობის ნებისმიერ გამოვლინებას. მაგრამ ყველაფერი, რაშიც მას ბრალს სდებენ, ხორციელდებოდა ისეთ პირობებში, რომლებიც აბსოლუტურად გამორიცხავდნენ რაიმე ორგანიზებული გზით აგრესიის მოგერიებას, კონფრონტაციითა და მტრობით გათიშული მსოფლიოს მხრივ რაიმე სანქციებს.

ახლა კი, როცა იქმნებოდა თანამშრომლობასა და ურთიერთგაგებაზე დამყარებული მსოფლიოს ახალი წესრიგი, აგრესიის აქტი თვითმკვლელობის ბადალი იყო. შეუძლებელია, ვფიქრობდი მეც, რომ სადამ ჰუსეინს ეს არ ესმოდეს.

* * *

ჯეიმსს გამოვეთხოვე ირკუტსკის აეროპორტში. ის ულან-ბატორში გაფრინდა, მე — მოსკოვში, სადაც გავიგე, რომ ერაყმა ელ-კუვეიტი დაიკავა. იმავე დღეს გადმომცეს ბეიკერის წინადადება, რომ გამოგვექვეყნებინა ერთობლივი განცხადება, რომლითაც დავგმობდით ერაყის აგრესიას.

მართალი გითხრათ, ეს იყო ჩემს მიერ მიღებული ერთ-ერთი ურთულესი გადაწყვეტილება, მიზეზებსა და გარემოებებზე ახლა არაფერს ვიტყვი, გავჩუმდები. ჯერჯერობით გაგაცნობთ მხოლოდ ჩემს ფიქრთა მდინარებას, „ცნობიერების ნაკადს", რომელიც 1990 წლის 3 აგვისტოს ბეიკერთან შეხვედრას უძღოდა წინ.

ეს შეხვედრა შედგა მოსკოვის აეროპორტ ვნუკოვო—2-ში, ბეიკერი ჩამოფრინდა მონღოლეთიდან, სადაც ვიზიტი შეწყვიტა. შეხვედრამდე რამდენიმე საათი დამჭირდა, რომ გადამელახა ძლიერი წინააღმდეგობა საკუთარ თავთან, ჩემს გარემოცვასთან საგარეო საქმეთა სამინისტროში და არა მხოლოდ იქ. ისევ მომიხდა ბურთის თრევა მთელ მოედანზე. მაგრამ ეს უკვე ამერიკული ფეხბურთის თამაში კი არ იყო, რაშიც შემდეგ ბრალს მდებდნენ. ეს საბჭოთა და ამერიკული ფეხბურთიც კი არ გახლდათ. სასწორზე იყო შეგდებული მსოფლიოს მომავალი.

2 აგვისტოს მოვლენებსა და მათ შემდგომ შესაძლებელ განვითარებას აშკარად ლიმიტს უწესებდნენ, ბევრ ჩვენს მიღწევას ზღვარს უდებდნენ. ძირის გამოთხრით ემუქრებოდნენ ახალი აზროვნების პრაქტიკას, განიარაღების ტენდენციას, ახალ საერთაშორისო ურთიერთობათა მთელ კურსს.

რა ვქნა? მე მაშინ არ შემეძლო მშვიდობიანი, კეთილი ეამოსავალის პროგნოზირება, მაგრამ ვალდებული ვიყავი მეფიქრა ჯეროვან გადაწყვეტილებაზე, იმაზე, თუ ის როგორი უნდა ყოფილიყო ან როგორი არ უნდა ყოფილიყო.

კოლეგები მახსენებდნენ ერაყთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, მასთან განსაკუთრებულ ურთიერთობებს. ყველაფერ ამას ვითვალისწინებდი. მაგრამ ყველაზე მეტად მაშფოთებდა ერაყში მყოფი რვა ათასი საბჭოთა მოქალაქის ხვედრი და მე მოვალე ვიყავი, ყველაფერი მეღო-

ნა, რათა არცერთ მათგანს არაფერი დაშავებოდა. მაგრამ მე ხომ ,ამავე დროს, ვალდებული ვიყავი დავხმარებოდი კუვეიტელ ხალხს და სხვა ქვეყნების ხალხებსაც, და სრულიადაც არა იმიტომ, რომ ამას ვინმე მთხოვდა.

ზნეობრივი იმპერატივები პოლიტიკურ მოსაზრებებს ვერ ეწყობოდნენ. და უკვე მერამდენედ გავიფიქრე, რომ საზოგადოების, სახელმწიფოს, ადამიანის ზნეობრივი სახე, ზნეობრივი თვითშეგნება ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, ნებისმიერ ძალმომრეობასთან დამოკიდებულებით.

სახელმწიფოებს მსჯავრი გამოაქვთ ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის, ღირსების, საკუთრების ხელყოფის გამო.

მეორე მხრივ, თვით სახელმწიფოები ვერ იარსებებენ კანონის, საერთაშორისო სამართლის ნორმათა დაუცველად, რადგან ამის ალტერნატივა არის ძალმომრეობა, ძლიერთა ბატონობა სუსტებზე.

მსოფლიო საზოგადოებრიობა ვერ შეურიგდება მტაცებელ სახელმწიფოთა და მეკობრულ რეჟიმთა წარმოშობას, რადგან ამას მსოფლიო მართლწესრიგის გარდუვალი დეგრადაცია, საერთაშორისო ურთიერთობათა დესტაბილიზაცია მოჰყვება.

საკითხი ასე იდგა: ერთად ვიცხოვროთ სიკეთესა და ბოროტებაზე ერთიანი წარმოდგენებით, თუ მათი ცინიკური უგულვებელყოფით მშვიდობის ბურჯთა შერყევის უფლება მივცეთ ვინმეს?

სწორედ ამ კითხვის დასმის დრო დადგა სპარსეთის ყურის კრიზისით გამოწვეული განსაცდელის ჟამს.

კუვეიტის წინააღმდეგ აგრესია — ეს არის აგრესია საერთაშორისო ცხოვრებაში ახალი აზროვნების პოლიტიკის მიერ მოტანილი პოზიტიური ცვლილებების წინააღმდეგ.

მე ფიქრადაც არ შემეძლო გამევლო, რომ არ აღდგებოდა კუვეიტის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და კანონიერი ხელისუფლება.

ეს სახელმწიფო ხომ გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის წევრია. ის ამ ორგანიზაციის წევრი იყო, არის და მის წევრად უნდა დარჩეს.

მოკლედ, ჩვენ გამოვაქვეყნეთ ჩვენი საერთო განცხადება, შემდეგ, მოვლენათა უკიდურესად საშიში განვითარების გა-

მო, საჭირო გახდა აშშ-ისა და სსრკ-ის პრეზიდენტია საგანგებო შეხვედრა ჰელსინკში 9 სექტემბერს.

მთელი ის დღეები ვმუშაობდით ძალზე დაძაბულად, ხელს ვუწყობდით სპარსეთის ყურის რაიონში მიმდინარე მოვლენების თაობაზე საერთაშორისო შეთანხმებას და ამ მოვლენებზე მსოფლიო საზოგადოებრიობის ადექვატური რეაქციის ფორმირებას.

კრიზისის დასაწყისიდანვე ვმართავდით კონსულტაციებს უშიშროების საბჭოს სხვა მუდმივ წევრებთან: დიდ ბრიტანეთთან, ჩინეთთან, აშშ-თან, საფრანგეთთან, საბჭოს შემადგენლობაში შემავალ სხვა ქვეყნებთან. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩვენმა თანამშრომლობამ უპრეცედენტო ხასიათი მიიღო. მუშაობდა სატელეფონო ხაზი მოსკოვი-ვაშინგტონი-ვაიომინგი, სადაც იმ დროს იმყოფებდა სახელმწიფო მდივანი ჯ. ბეიკერი.

გვქონდა რეგულარული კონტაქტები ევროპულ გაერთიანებებთან, ოპერატიული აზრთა გაცვლა-გამოცვლა — გფრ-ის ვიცეკანცლერ ჰ.-დ. გენშერთან, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რ. დიუმასთან, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ დ. ჰერდთან.

საქმეს ვაცნობდით ვარშავის ხელშეკრულების წევრი ქვეყნების ხელმძღვანელებს, ინფორმაციას ვაწვდიდით ბევრი ჩვენი მეზობელი და მეგობრული ქვეყნის, — მათ შორის ინდოეთის, იუგოსლავიის, თურქეთის, ირანის, — მთავრობებს.

არ წყდებოდა დიალოგი არც ერთ არაბულ ქვეყანასთან, არაბულ სახელმწიფოთა ლიგისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან.

ერთი დღითაც კი არ გაწყვეტილა ჩვენი კავშირი ერაყის ხელმძღვანელობასთანაც. პოლიტიკურ პრობლემებს გარდა, მათთან ერთად ვიხილავდით კუვეიტიდან საბჭოთა მოქალაქეთა ევაკუირებასა და ერაყიდან ჩვენი სპეციალისტების გამოსვლასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ პრობლემებსაც.

ერთხელ ჩვენი მოქალაქეების დასაცავად მაგარ-მაგარი გამოთქმების ხმარებაც მომიხდა და მუქარაც დამჭირდა: თუ აუცილებელი გახდა, ნებისმიერ საშუალებას გამოვიყენებთ-მეთქი. შინ ამის გამოც კი გამაკრიტიკეს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ბაღდადმა მხოლოდ ამის შემდეგ მოგვცა თანხ-

მობა ერაყიდან საბჭოთა მოქალაქეების თავისუფალ გამოსვლაზე.

ახლა, როცა ამ ამბის პერიპეტიებს ხელახლა ვუბრუნდები, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩემს თავს ვერაფერს ვუსაყვედურებ. სადამ ჰუსეინის მოქმედებაზე ჩვენი მძაფრი რეაქცია განსაზღვრა, უწინარეს ყოვლისა, ჩვენმა პრინციპულმა პოლიტიკურმა და მორალურმა მოსაზრებებმა. ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნდა ძალმომრეობა და აგრესია, თავს მოვალედ ვთვლიდით მივშველებოდით აგრესიის მსხვერპლს, გადაგვერჩინა პატარა მშვიდობისმოყვარე ქვეყანა და მისი ხალხი.

მაგრამ მხოლოდ კუვეიტსა და ერაყზე როდი იდგა საქმე. საქმე ეხებოდა რეგიონებს, — და ამას ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ვამბობ, — მშვიდობას, ყველა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებას.

გარდაქმნის დასაწყისიდანვე ჩვენ წამოვაყენეთ საერთაშორისო ურთიერთობების, მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ახალ საშუალებათა, ადამიანებისა და ერთა უფლებების დაცვის ახლებურად ორგანიზების იდეები.

ამ იდეებმა, რომლებსაც ჩვენი პლანეტის საზოგადოებრიობა უჭერდა მხარს, საშუალება მოგვცა მსოფლიო რადიკალურად მოგვებრუნებინა უკეთესობისკენ, გადაგვეჭრა მსოფლიო პოლიტიკის მრავალი ურთულესი პრობლემა, გზა გაგვეკვალა სამართალისა და სამართლიანობისკენ, ძალმომრეობისა და წრეგადასული შეიარაღების უარყოფაზე დაფუძნებული ახალი მსოფლიო წესრიგის დანერგვისკენ.

მსოფლიო საზოგადოებრიობას კუვეიტის წინააღმდეგ აგრესია რომ ვერ აღეკვეთა, მაშინ ნათელი გახდებოდა, რომ ქვეყნიერებას არაფერში წასდგომია „ცივი ომის“ შეწყვეტა, კონფრონტაციაზე უარის თქმა, საერთაშორისო არენაზე პოზიტიური ძვრები.

მაშინ რაღა ფასი ექნებოდა არჩევანის თავისუფლების პრინციპს? მას დაეპატრონებოდა მხოლოდ ძლიერი ქვეყანა, ის, ვისაც შეეძლო თავისი „არჩევანი“ თავს მოეხვია მეზობლებისთვის, სხვა ხალხებისთვის.

მაშინ რაღა ფასი ექნებოდა გამალებული შეიარაღების შე-

ზღუდვისა და დაძაბულობის შესუსტებისთვის ამდენ ძალისხმევას?

კუვეიტი მდიდარი ქვეყანაა. მას, უბრალოდ, შეეძლო „ეყიდა" თავისთვის დაცვა, ვთქვათ, დაექირავებინა ამისთვის აუცილებელი შეიარაღებული ძალები, შეეძინა ყველაზე თანამედროვე იარაღი. კუვეიტმა არჩია მშვიდობიან ქვეყნად დარჩენილიყო, ფული საკუთარი განვითარებისა და სხვების დახმარებისთვის ეხარჯა. კუვეიტი დაენდო მსოფლიო გაერთიანებას, საერთაშორისო სამართალს.

შეგვეძლო თუ არა ჩვენ მისთვის უარი გვეთქვა დაცვაზე? არ შეგვეძლო, და არა მხოლოდ ზნეობრივი მოსაზრებებით, — არამედ იმიტომაც, რომ ამაზე უარის თქმას კატასტროფული შედეგები მოჰყვებოდა მსოფლიოსთვის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

თავდაცვის საშუალებათა რომელ გონივრულ ზომიერებასა და საკმარისობაზე ვლაპარაკობთ, თუკი არ შეგვიძლია სხვებისგან დახმარების იმედი ვიქონიოთ, როცა მეზობელი შარაგზის ყაჩაღივით გვექცევა?

ყველა სახელმწიფო შეიძლება ასეთ დღეში აღმოჩნდეს, იქცეს ძარცვა-გლეჯისა და ძალადობის ობიექტად. თუ არ შეიქმნება აგრესიის საწინააღმდეგო მექანიზმი, მაშინ ყველა ხალხი შეიძლება მსხვერპლად იქცეს, „ძლიერთ" კი გაუჩნდებათ ცდუნება, რომ მდგომარეობა სხვების სიმდიდრეთა მიტაცებით გამოიკეთონ.

არა, სპარსეთის ყურის მოვლენებს „კონფლიქტად" არ მივიჩნევ. თქვენი სახლი თუ ვინმემ ჩაიგდო ხელში, არ შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ვიღაცასთან კონფლიქტი გაქვთ. თქვენ დანაშაულის მსხვერპლი ხართ. ამ სიტუაციისთვის მე არც ტერმინი „ომი" მიმაჩნია მისაღებად. კოალიციის ძალებმა აქ განახორციელეს მსოფლიო სასამართლოს — გაეროს საბჭოს მიერ სანქციონირებული სამხედრო აქცია.

ვითარების არსი მართლაც ეს არის: მკაცრ იურიდიულ, სამართლებრივ საფუძველზე პირველად აღიკვეთა ერთი სახელმწიფოს აგრესია მეორის წინააღმდეგ, აღიკვეთა გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატით. რას იტყვით, წარსულში ბევრი იყო ამ ორგანოს რეზოლუციათა შესრულების შემთხვევა? გახსენება ჭირს. ახლა კი ახალი პოლიტიკური აზროვნების

მეოხებით ეს მოხდა, მოხდა იმის წყალობით, რომ სსრკ-მა და აშშ-მა დაიწყეს თანამშრომლობა, და დაიწყეს, სხვათა შორის, — გაეროშიც. უშიშროების საბჭოში დემონსტრირებული ერთიანობა თანამედროვე პოლიტიკაში უმაგალითო მოვლენაა. ფართო გადასახედიდან თუ შევხედავთ, ეს უნიკალური შანსია საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლისა და სამართლიანობის დაცვის ეფექტური მექანიზმების შექმნისას.

ახლა მოგახსენებთ ჩემი მისამართით კრიტიკის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში ოპონენტებს არ მოეწონათ ჩემი გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის 45-ე სესიაზე, უშიშროების საბჭოში 678-ე რეზოლუციისთვის ხმის მიცემა; არ მოეწონათ, რომ ასე ცოტა დრო დაეთმო აგრესორის დაყოლიებას, ბოროტებაზე ხელი აეღო და კუვეიტიდან წასულიყო.

ე ბომაწერენ სპარსეთის ყურის სამხედრო მოქმედებებში ჩვენი ქვეყნის ჩაბმასაც. არც ერთი ჩემი ახსნა-განმარტება, არგუმენტი, საწინააღმდეგო აზრი ყურად არ იღეს, რადგან ეს კრიტიკა უწინდებურად ყველაფერს, რაც ხდება, „ორი სისტემის ბრძოლის“ კონტექსტში განიხილავს.

ერთ-ერთმა კრიტიკოსმა დამისვა კითხვა: მქონდა თუ არა წარმოდგენილი, რას ვაძლევდი ხმას? ესე იგი, მესმოდა თუ არა, რომ ერაყის წინააღმდეგ გამოყენებული იქნებოდა ძალა, ვიცოდი თუ არა, ეს რაში შეიძლებოდა გადაზრდილიყო? ამიტომ კიდევ ერთხელ მინდა ვუპასუხო მას, რომ ეს ძალიან კარგად მქონდა გააზრებული, მეტიც, ზუსტი ინფორმაციაც მქონდა ამის თაობაზე. მე ეს არასოდეს გამისაიდუმლოებია. გარკვევით ვიტყვი, რომ ჩვენც, ამერიკელებსაც და კოალიციის სხვა წევრებსაც ყველაზე მეტად ის გვაფიქრებდა, წარმოდგენილი ჰქონდა თუ არა ერაყის ხელმძღვანელობას, პირადად სადამ ჰუსეინს, თუ როგორ სახეს მიიღებდა ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია. და ჩვენ ყველა არხი, ყველა შესაძლებლობა გამოვიყენეთ ბაღდადისთვის ამის ასახსნელად.

„კეთილი ნების პაუზა“, რომელიც, რეზოლუციის ტექსტში, სხვათა შორის, ჩემი დაჟინებული მოთხოვნით ჩართეს, მთლიანად გამოვიყენეთ ერაყის დასარწმუნებლად, რომ კუვეიტიდან უნდა წასულიყო; ვეცადეთ, გაგვეფრთხილებინა

ერაყი, თუ რა შედეგები იყო მოსალოდნელი, უშიშროების საბჭოს 678-ე რეზოლუცია თუ არ შესრულდებოდა.

თარიკ აზიზთან მოსკოვში ჩემი უკანასკნელი შეხვედრის დროს მას გავაცანი ჩემს ხელთ არსებული მონაცემები ახალი იარაღის შესახებ, რომელიც შეიძლებოდა ერაყის წინააღმდეგ გამოყენებულიყო; ვუთხარი, რომ არ ვიცოდი, თუ დაიწყეს, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა სამხედრო მოქმედებანი, მაგრამ მათი შედეგი კი დაბეჯითებით ვიცოდი.

იმავე დღეს მ. ს. გორბაჩოვმა ძალზე მკაცრად გააფრთხილა აზიზი, რომ მისი ქვეყანა საშინელ უბედურებაში ჩავარდებოდა, თუ ერაყი კუვეიტიდან გასვლას არ გადაწყვეტდა. სხვას არაფერს ვესწრაფვოდით, როცა ერთადერთ გონივრულ გზას — საკითხის მშვიდობიანად გადაჭრას — ვთავაზობდით.

ჩემს გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე, თურქეთში ვიზიტისას, მინდოდა ერთი შანსიც გამომეყენებინა: ანკარაში შევხვედროდი იასირ არაფატს და ერაყელები მისი პირით გამეფრთხილებინა და მეთხოვა, რომ ეს საქმე მშვიდობიანად დაემთავრებინათ. სამწუხაროდ, არაფატი იქ არ ჩამოფრინდა.

და მაინც, ვინ არ შეინარჩუნა მშვიდობა და ვინ აირჩია ომის გზა?

ერაყის ხელმძღვანელობა ჩვენს მიერ ინფორმირებული იყო, რომ ერაყის მიმართ ძალის გამოყენება არანაირად არ იქნებოდა შეზღუდული, რომ 678-ე რეზოლუცია არავითარ შეზღუდვას არ ითვალისწინებდა. არ ვიცი, რის იმედად იყო სადამ ჰუსეინი, მაგრამ ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, რომ მას გაეგო, რაც ელოდა.

საამისოდ ხუთნახევარი თვე კმაროდა. ნებისმიერ მომენტში, საომარ მოქმედებათა დაწყების შემდეგაც კი, სადამს შეეძლო ეთქვა ერთი, ერთადერთი სიტყვა — „მივდივარ!“— და მის წინააღმდეგ მოქმედებები შეწყდებოდა. მას ხომ მაინც მოუხდა კუვეიტიდან გასვლა. რასაკვირველია, მე არ ვფიქრობ, რომ გამართლებული იყო სამხედრო მოქმედებათა ფინიშის სტადიაზე ცეცხლის შეწყვეტის ორგანიზების ცდები. სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ხომ ადრევე წარადგინა ანალოგიური გეგმა, მაგრამ ის არ იყო, ან, უკეთ, არც შეიძლებოდა ყოფილიყო რეალიზებული.

ჰუსეინმა არჩევანი გააკეთა.

მე მგონია, რომ ამ კრიზისის დროს ბაღდადში სადამ ჰუსეინის დასაყოლიებლად საგანგებო ემისრების მოგზაურობებმა ობიექტურად ზიანი მოიტანა, რადგან მათ ერაყის ხელმძღვანელობას შეუქმნეს ილუზია რაღაც ვარიანტების არსებობისა, რომლებითაც ერაყს ასე თუ ისე შეეძლო სარგებელი ენახა თავისი აგრესიისგან.

ზოგნი ამბობდნენ, რომ ერაყის ლიდერისთვის თავისი პატივის, „თავისი სახის ხსნის“ შანსი უნდა მიგვეცა. ვფიქრობ, ცუდად არც მე ვიცნობ აღმოსავლურ წარმოდგენებს პატივსა და ღირსებაზე. მე მესმოდა, რომ ჰუსეინი მშვიდობის ძიებით არ შეეცდებოდა თავისი „სახის ხსნას“.

ერაყის მოქმედებამ — კუვეიტის დანგრევამ, ნავთობის ჭაბურღილთა დაწვამ, სხვა ხალხისა და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ რეპრესიებმა, ქურთების გენოციდმა, — გვიჩვენა, თუ რა შეუძლია დიქტატორს. მსოფლიო საზოგადოებრიობა ვერ დაელოდებოდა, როდის დაშოშმინდებოდა აგრესორი: ბოლოს და ბოლოს, ისტორიის გაკვეთილებიც ხომ არსებობს.

სპარსეთის ყურის რაიონში კრიზისმა უკიდურესი სიმწვავით დასვა საკითხი: აუცილებელი იყო გადაუდებელი ღონისძიებების მიღება მასობრივი მოსპობის იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის განმტკიცების, თანამედროვე შეიარაღების სახეობათა გადაცემა-გაყიდვისა და მათი წარმოების ტექნოლოგიის შეზღუდვის შესახებ. ეს განსაკუთრებით რაკეტულ სისტემებს შეეხება, არსებობს იარაღის ყიდვისა და მიწოდების მარეგულირებელი საერთაშორისო კოდექსის შემუშავების უდიდესი მოთხოვნილება. არ შეიძლება ქიმიური იარაღის მარაგთა აკრძალვისა და მოსპობის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დადების მეტად გაჭიანურება.

ბირთვულ იარაღს რაც შეეხება, ჩემი აზრით, უნდა დაჩქარდეს სტრატეგიულ შეტევით შეიარაღებათა შემცირების შესახებ საბჭოთა და ამერიკული შეთანხმების ხელმოწერა, ბირთვულ საცდელ აფეთქებათა რაოდენობისა და მათი სიმძლავრის შემცირების საკითხში ახალი ნაბიჯების გადაჭრით გადადგმა, გარკვეული ხნის შემდეგ კი მათ სრულ აკრძალვაზე შეთანხმება.

და, რასაკვირველია, აუცილებელია, რაც შეიძლება ჩქარა

შეიქმნას გაეროს ფარგლებში მისი წესდებით გათვალისწინებული საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მხარდამჭერი მექანიზმები.

მსოფლიო საზოგადოებრიობას ახლა გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაზე უფრო რაციონალური და ქმედითი მექანიზმი არა აქვს. მომავლის თვალსაზრისითაც კი ჯერჯერობით ეს არის საერთაშორისო სტაბილურობის ერთადერთი შესაძლებელი რეალური გარანტი. ნამდვილად უნდა იყოს კიდეც. არცერთი ქვეყანა არ გაიზიარებს ერთი სახელმწიფოს ძალებით წესრიგის დამყარების იდეას. ახალი მსოფლწესრიგი მხოლოდ ერთობლივად შეიძლება აშენდეს. შესაძლოა, მე ყველას მოვაბეზრე კიდეც თავი უშიშროების საბჭოს სამხედრო-საშტაბო კომიტეტისთვის მისი თავდაპირველი ფუნქციების მინიჭებების წინადადებებით. როცა ეს მოხდება, უშიშროების საბჭო, გაეროს წევრ სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების დადებით შეძლებს, როგორც ეს გაეროს წესდებით არის განსაზღვრული, იყოს მშვიდობის სრულუფლებიანი გარანტი ნებისმიერ რეგიონში. ეს სწორედ უშიშროების საბჭოს შეუძლია და სხვას არავის.

დღეს ბევრნი ამტკიცებენ, თითქოს სპარსეთის ყურის რაიონში კრიზისის დასრულების შემდეგ „Pax americana," „ამერიკული მშვიდობა", იწყება, რომ ამას იქით მხოლოდ აშშ წარმართავს წესრიგს მსოფლიოში.

მაგრამ, ჯერ ერთი, თუ ეს სასურველი არ არის, — ეს კი ნამდვილად არ არის სასურველი, — მაშინ მით უფრო საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა შეიქმნას გაეროს შესაბამისი მექანიზმები, ამაღლდეს ამ ორგანიზაციის როლი და ის კოლექტიურ ძალისხმევათა ქმედით ცენტრად იქცეს.

მეორეც, მსოფლიოს „ამერიკანიზაციის" საშიშროება, რბილად რომ ვთქვათ, არარეალისტური რაშაა. სპარსეთის ყურის რაიონში იმავე კრიზისმა ხომ გვიჩვენა, თუ რა უზარმაზარი საშუალებები და რესურსებია აუცილებელი, რომ წესრიგისკენ მოუწოდო მოსახლეობითა და სამრეწველო პოტენციალით არც ისე დიდ ქვეყანას. ერაყთან ბრძოლას აშშ, ალბათ, ნებისმიერ შემთხვევაში მოიგებდა, მაგრამ განა კოალიციის სხვა მონაწილეების, პირველ რიგში, — გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთის, იტალიის — მხარდაჭერა მხოლოდ

სიმბოლური იყო? და განა არსებითად მთელი დასავლეთ სამყაროსა და არაბული ქვეყნების ფინანსურ საშუალებათა მობილიზება არ გახდა საჭირო, რომ ამ ოპერაციასთან დაკავშირებული მილიარდიანი ხარჯები გაღებულიყო?

ვფიქრობ, დღეს მსოფლიოში არცერთ ქვეყანას არ შეუძლია მარტო თვითონ იკისროს მსოფლიო მართლწესრიგის დაცვა. ეს მხოლოდ კოლექტიურ საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება მოგვარდეს და პოლიტიკური თვალსაზრისითაც. წავიდა ის დრო, როცა შეიძლებოდა ცალკე მოქმედება, მით უფრო, — მსოფლიო საზოგადოებრიობის უმრავლესობასთან დაპირისპირება.

უკვე საკმაოდ ბევრი რამ ითქვა იმაზე, რომ დღევანდელ მსოფლიოში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, მისი ტექნოლოგიური და მეცნიერული განვითარების დონეს, მილიტარიზაცია, დიდი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების მარაგთა შენახვა ქვეყანას უსათუოდ უკან დასწევს, უარეს დღეში ჩააგდებს იმ კონკურენტებთან შედარებით, რომლებსაც სამხედრო ხარჯების ასე მძიმე ტვირთი არ აწევთ.

და კიდევ, ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ნამდვილად სხვაგვარ სამხედრო-პოლიტიკურ გარემოში, რომელიც სამხედრო საფრთხის ხასიათსა და შესაძლებლობაზე ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული შეხედულებების გადასინჯვას მოითხოვს. მე ვფიქრობ და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ის გზა, რომლითაც მოგვარდა კრიზისი სპარსეთის ყურის რაიონში, ზეგავლენას მოახდენს იმ სახელმწიფოებზე, რომლებსაც სხვა პირობებში შეიძლება გასჩენოდათ რეგიონალურ ბატონობაზე პრეტენზიები.

ჩვენ ყველას ჯერ კიდევ მოგვიწევს საკმაოდ რთული ადაპტაცია იმ სიტუაციასთან, რომელიც წარმოიქმნა „ცივი ომის“ დამთავრების და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ახალი ხასიათის ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ.

ჩემი აზრით, პრობლემას ქმნის ახალი მოვლენებისადმი ძველი წარმოდგენებით მიდგომის ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი ტენდენცია.

კრიზისი სპარსეთის ყურის რაიონში, და მისი გაკვეთილები უდავოდ იქნება პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერ-

თობებში ახალ თვალსაზრისთა ფორმირებისა და ახალ მიდგომათა შემუშავების პროცესის ცენტრში.

პოზიციათა და ფასეულობათა გადასინჯვის სიღრმე ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, შესაძლებელი გახდება თუ არა (და თუ გახდება, რამდენად ჩქარა) ახლოაღმოსავლურ პრობლემაში პროგრესის მიღწევა.

მომავალი მსოფლწესრიგის დასაყრდენად თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გვესახება, მაშინ ვალდებულხი ვართ მივაღწიოთ უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციის შესრულებას. დღევანდელ სიტუაციაში იგი ტოლფასია ფორმულისა — „ტერიტორიის გაცვლა მშვიდობაზე“,—აბრაჰამ რომ შეგვახსენა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა.

ამასთან, მინდა დავაზუსტო, რომ ისტერესებისა და პასუხისმგებლობის გაწონასწორების საფუძველზე მშვიდობიანი რეგულირება სულაც არ შეიძლება ვინმემ, თუნდაც გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციამ, მოგვახვიოს თავს. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მათ უნდა მონახონ, ვინც ჩართულია კონფლიქტში, პოლიტიკური რეგულირება სხვაგვარი ვერ იქნება. მისი განხორციელებისთვის აუცილებელია მოლაპარაკება, დიალოგი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ამა თუ იმ დაინტერესებულ ქვეყნებს შეუძლიათ მოაგვარონ ასეთი დიალოგი, დაარწმუნონ დაპირისპირებული მხარეები, რომ მოლაპარაკება დაიწყონ და, თუ საჭირო გახდა, სტიმულიც მისცენ საამისოდ.

მესმის, რომ სარისკო აზრს გამოვთქვამ, მაგრამ მაინც ვიტყვი: შესაძლოა, დადგეს დრო, როცა ᲒᲐᲔᲠᲗ დაიწყებს სახქციების გაცემას იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც უარს ამბობენ დიალოგზე, მოწინააღმდეგე კონფლიქტურ მხარესთან საუბარზე. ამგვარად, დიალოგი აღიარებული იქნება სადავო საკითხების გადაჭრის უნივერსალურ და სავალდებულო პრინციპად. არადა, ახლა ჩვენს პრაქტიკაში ხომ არსებობს „ინსპექციები უარის უფლების გარეშე“. ეგებ ღირდეს შემოღება „მოლაპარაკებებისა უარის უფლების გარეშე“?

ვითარება — საერთოდ მსოფლიოსა და თვით ახლო აღმოსავლეთშიც — ახლა აღარ არის ისეთი, როგორიც ადრე

იყო. საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის დაპირისპირებას ამ რეგიონში ბოლო მოეღო. თუნდაც ძნელად ეს ისეთი ფაქტორია, რომელიც ახლოაღმოსავლური წონასწორობის ყველა ელემენტს ცვლის. ეს წონასწორობა კი ახლა ისეთი აღარ არის, როგორიც ოდესღაც იყო.

უკანასკნელ ხანებში არაერთხელ ვთქვი, რომ არ ვიზიარებ ოფიციალურ თვალსაზრისს ეგვიპტე-ისრაელის შეთანხმებაზე, რომელიც მიღწეულია კემპ-დევიდში პრეზიდენტ ჯ. კარტერის შუამავლობით. მიმაჩნია, რომ იგი შეესატყვისება პრობლემის მშვიდობიანი პოლიტიკური გადაწყვეტის ყველა პირობას. ეს შეთანხმება მყარი აღმოჩნდა და მხარეებს მისცა ის, რისი მიღებაც მათ სურდათ.

სამწუხაროდ, მაშინ ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის გამსაზღვრელი კონფრონტაციის პირობებში საბჭოთა კავშირმა აირჩია კრიტიკული პოზა დაეკავებინა ამ უდავოდ გონივრული პოზიციის მიმართ. უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ მაშინ ჩვენ ახლო აღმოსავლეთის რეგულირების საქმეში დამოუკიდებელი პოლიტიკა არ გაგვაჩნდა. ჩვენი მოკავშირეები რეგიონში ბოროტად იყენებდნენ იმას, რომ სსრკ მზად იყო მათი ინტერესები გაეთვალისწინებინა და დაეცვა. ისინი ძალიან ხშირად ცდილობდნენ ჩვენს გამოყენებას ამა თუ იმ სამშვიდობო ინიციატივების ბლოკირებისთვის, რომლებიც დროდადრო ჩნდებოდნენ. ასე იყო კემპ-დევიდში შეთანხმების შემთხვევაშიც. ეტყობა, თავი იჩინა ახვარ სადათზე ჩვეხმა განაწყენებამ; თან ბეგინიც საკმაოდ „მეძარჯვენე“ ჩახდა. და, ალბათ, იმასაც ვფიქრობდით, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა და ჩვენს სიმართლეს დავამტკიცებდით.

მაგრამ თუ კემპ-დევიდის შეთანხმებებს ობიექტურად შევხედავთ, ეს არის რეალისტური, საქმის ცოდნით მიღწეული შეთანხმებები, მათ მკაცრ გამოცდას გაუძლეს და ჩიხებულად მოქმედებენ.

ახლოაღმოსავლური რეგულირების საქმეებში ჩვენი პო-

ზიცია თავდაპირველად შესუსტებული იყო 1967 წელს ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტით.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის გადასინჯვის დროს, ძალიან დასაწყის ეტაპზევე, მივედით დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო ამ ურთიერთობების აღდგენა, მაგრამ ფრთხილმა ადამიანებმა თქვეს, ამისთვის „სწორი მომენტის“ შერჩევაა საჭირო. ვინც კარგად იცნობს ახლო აღმოსავლეთს, იცის, რომ იქ ყოველდღე შეიძლება რაღაც მოხდეს. ძალიან უფრო საჭიროა გვქონდეს ნორმალური ურთიერთობა ამ რეგიონის ყველა ქვეყანასთან. ისე მოხდა, რომ კავშირები არსებითად ყველასთან აღდგა, ხოლო ისრაელთან ურთიერთობაში ჩვენ მხოლოდ გენერალური საკონსულოების გაცვლამდე ძივედით. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ შევძელით საქმე ელჩების გაცვლამდე მიგვეყვანა.

თვით რეგულირებას რაც შეეხება, აქ იდეები, ფორმულები, ვარიანტები, კომპრომისული მიდგომები არ გვაკლია. მთავარია თვით კონფლიქტის მონაწილეებთან ერთად ძოქმედება.

ვფიქრობ, ვითარების ყოველმხრივ გაანალიზების შემდეგ, ისრაელში მივლენ იმ დასკვნამდე, რომ ამჟამინდელი ხელსაყრელი სიტუაცია გამოიყენონ „ტერიტორიების ძვიდობაზე გასაცვლელად“. პალესტინის პრობლემის გადაწყვეტას ვერსად გაექცევიან, ის კი თავისთავად არ გადაწყდება. ისრაელელებმა დიალოგი უნდა გამართონ პალესტინელებთან, ძათ შორის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთანაც.

არსებობს მრავალი პრობლემა, რომლებიც არაბებმა და ისრაელელებმა უნდა განიხილონ. უწინარეს ყოვლისა, ჩემი აზრით, უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები, რომ ახლო აღმოსავლეთში არ იყოს არც ბირთვული, არც ქიმიური, არც ბაქტერიოლოგიური იარაღი. საჭიროა რაღაც თანხმობის ძიღწევა რეგიონში სარაკეტო იარაღთან დაკავშირებით, უნდა

წამოიჭრას თავდაცვის საჭიროებათათვის საკმარისი შეიარაღების თემაც.

ამ პრობლემებზე ერთ მაგიდასთან უბრალო საუბარიც კი ხელს შეუწყობს ნდობის ზრდას, შექმნის შემდგომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისთვის აუცილებელ ატმოსფეროს.

კიდევ ერთხელ გარკვევით უნდა ვთქვა: დროა წარსულს ჩაბარდეს ერთმანეთის ყოველგვარი „არცნობა“ და დაიწყოს სერიოზული დიალოგი ყველა საკითხზე, რომლებიც პოლიტიკურ რეგულირებას მოითხოვენ.

* * *

ვამთავრებ საუბარს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობათა თემაზე, გარდაქმნის წლების მიღწევათა მიმოხილვას. მინდა გავიმეორო: ცვლილებები რის ვაი-ვაგლახით ხდებოდა, ისინი შეჩვეულ და ძნელად გადასაფასებელ წარმოდგენათა გადაფასებას მოითხოვდნენ. ძვრა მოხდა. მას დიდად შეუწყო ხელი უმაღლეს დონეზე ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა კონსტატაციამ; ჩვენი ქვეყნების იხტერესთა სხვადასხვაობამ სამარადჟამო არ უნდა გახადოს ჩვენი მეტოქეობა. საუკუნის რეალობას თუ გავითვალისწინებთ, მოვალენი ვართ ხელი შევუწყოთ თანხმობის ზონათა შემდგომ ძიებას.

ძალიან ძნელი იყო ამ წესის გახორციელება რეგიონალური კონფლიქტების ვითარებაში, მაგრამ ესეც მოხერხდა.

როგორც მესახება, ჩვენ ამჯერად სხვა მნიშვნელოვანი თვალსაზრისიც გვაერთებს. იმის არც შესაძლებლობა გვაქვს და არც მორალური უფლება, რომ ვეცადოთ დაპირისპირებულ მხარეებს თავს მოვახვიოთ პოლიტიკური რეგულირებისა და ეროვნული შერიგების ჩვენეული რეცეპტები. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია არსებული კონფლიქტების შენელება და ახალ კონფლიქტთა არიდება, მშვიდობიანი, სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

შეგვიძლია ბევრი რამ მოვაგვაროთ აწონ-დაწონილი და თავშეკავებული პოლიტიკის გატარებით, კონსტრუქციული უოთიერთობის მაგალითის ჩვენებით.

ამ მხრივაც ცოტას როდი მივაღწიეთ. გაუზვიადებლად ვიტყვი, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის წვლილი ფრიად შესამჩნევი იყო სპარსეთ-ერაყის ომის შეწყვეტისთვის საერთაშორისო ძალისხმევებშიც და ნამიბიის დეკოლონიზაციისა და სამხრეთ აფრიკაში კონფლიქტის საერთო რეგულირებისთვის წარმოებულ შეთანხმებათა ფართო კომპლექსის ძიებაშიც.

საეჭვოა, რომ ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა შორის ცნობილი შეთანხმება შესაძლებელი ყოფილიყო სსრკ-სა და აშშ-ს შორის მწვავე კონფრონტაციის პირობებში.

ბევრს ნიშნავს საბჭოთა კავშირ-ამერიკის სერიოზული შეთანხმებული მოქმედება კამბოჯის პრობლემის გადაწყვეტაში.

სპარსეთის ყურეში ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობაზე უკვე ვილაპარაკე. მხოლოდ იმას დავამატებდი, რომ არ შევუდგებოდი მოვლენების პროგნოზირებას, ისინი „ცივი ომის“ ატმოსფეროში რომ წარმოშობილიყო. მსოფლიოს ბედმა გაუღიმა, რომ აგრესიის დასაწყისში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ურთიერთობები პარტნიორობის დონეზე გადაყვანილი აღმოჩნდა.

* * *

რა იქნება ამის შემდგომ? როგორი ძომავალი ელოდება ჩვენს ქვეყნებს მათი თანამშრომლობისა და თანამშრომლობის რთულ გზაზე? ისინი ამის შემდეგაც შეძლებენ თუ არა სასურველი „ტაჩ-დაუნებისკენ“ გაჭრას? მე არც წინასწარმეტყველი გახლავართ, არც მისანი, მაგრამ ზუსტად ვიცი, უბრალოდ, დარწმუნებული ვარ: ჩვენი ხალხების თანამშრომ-

ლობის, მეგობრობის, ურთიერგაგების, ურთიერთნდობის გარეშე მსოფლიო ბევრს წააგებს. წავაგებთ თვითონ ჩვეხც.

მე ძალიან მინდა ეს არ მოხდეს. ბოლოს და ბოლოს, არაფერია იმაზე დამამწუხრებელი, ვიდრე ხედავდე როგორ ქრება კერიაში ცეცხლი, რომლის გაჩაღებაც ოდესღაც შესძელი.



6

„ევროპის სარკმელი“ ჩემთვის „ამერიკის აღმოჩენამდე“ დიდი ხნით ადრე გაიღო, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნამდე რამდენიმე წლით ადრე. ეს იყო „სარკმელი“, რომელიც გადიოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ანუ, როგორც მაშინ ვამბობდით, სოციალისტური თანაძეგობრობის ქვეყნებში. ყველაფერმა, რაც მე დავინახე ამ „სარკმლიდან“, შემდეგ, ასე თუ ისე, კვალი დააჩნია ჩემს საზრუნავს და დიდი ზეგავლენა მოახდინა 1989—1990 წლების მოვლენებთან ჩემს დამოკიდებულებაზე.

იყო აგრეთვე ჰელსინკი, 1985 წელი. დასკვნითი აქტის ათი წლისთავი ფართოდ და საზეიმოდ აღინიშნა, მაგრამ ატმოსფეროში შეშფოთება იგრძნობოდა. ჩვენს წინაშე იდგა კითხვა: „რა იქნება ამის შემდეგ?“ ყოველ შემთხვევაში, მე არ მასვენებდა ფიქრი, რომ ჰელსინკის პროცესი ნელდებოდა, რომ მისთვის სიცოცხლის ჩაბერვა მხოლოდ რაღაც დიდ, გზის მანათობელ იდეას შეეძლო.

ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, ამაზე ბევრს ვფიქრობდით. დაე, ნურავის მოეჩვენება ეს არაბუნებრივად, მაგრამ ჩვენ უკვე მაშინ გვეუფლებოდა წინათგრძნობა, რომ, ადრე თუ გვიან, ევროპაში ახალი დროება დადგებოდა და აღმოსავლეთი და დასავლეთი დაიბრუნებდნენ მათთვის ომის შემდგომი პოლიტიკის მიერ წართმეულ გეოგრაფიულ მნიშვნელობას. იმჟამინდელ პირობებში ასეთი წინასწარმეტყველება შეიძლებოდა უტოპიათა რიგს მიჰკუთვნებოდა. როცა იმავე წლის შემოდგომაზე პარიზში მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა საერთო ევროპული სახლის იდეა, ერთნი ამ იდეას ტაშს უკრავდნენ, როგორც უსაზღვრო გაბედულების გამოვლინებას, მეორენი მასში მორიგ პროპაგანდისტულ ფანდს ხედავდნენ, სხვებმა ეს არასერიოზულობად ჩათვალეს. და მაშინ მხოლოდ ცოტამ თუ იცოდა, რომ მომწიფებულ, ყოველმხრივ აწონდაწონილ აზრს საფუძვლად ედო იმის მკაფიოდ შეგნება, რომ არსებული ვითარების შენარჩუნება სხვაგვარად შეუძლებელია. ახალი ევროპული რეალობის მონახაზს თვით ჩვენი გარდაქმნა შეიცავდა. მაგრამ მაშინ, 1985 წელს, ის ბევრს არ ესახებოდა შესაძლებლად.

ეგონათ, რომ ბერლინის კედელი სამარადჟამოდ იყო აღმართული. სამხედრო-პოლიტიკური კავშირები ურთიერთდაპირისპირების ზღვარზე მყარად და საფუძვლიანად იდგნენ. აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრები ოდნავ შეიღო. გათიშულობა ევროპული ლანდშაფტის ისეთი რეალობა იყო, რომ უმისოდ ცხოვრება წარმოუდგენელი ჩანდა. ის მილიონობით ადამიანის ცნობიერებას დაეუფლა. და პოლიტიკაც, რომელსაც მართებს შორს იხედებოდეს, თავის თავს ამ ურყევი რეალობის ფუნდამენტზე გეგმავდა. ჩვენი პარტიული ფუნქციონერებისა და დიპლომატების აზროვნება სისტემებად მსოფლიოს დაყოფის დოგმით იყო ნასაზრდოები და შთაგონებული იყო იმით, რომ კარდინალური ცვლილებები შეუძლებელია.

კაცმა რომ თქვას, ფუნქციონერი და დიპლომატი შეთავსებული იყო ერთ კაცში, უფრო ხშირად — ერთადერთ კაცში, რადგან ყოფილი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში პარტიულ-სახელმწიფოებრივ იერარქიათა „ნათესაობა" გულისხმობდა, რომ დიპლომატია უსიტყვოდ ეძორჩილებოდა მაღალი რანგის ნომენკლატურას. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ელჩების თანამდებობებზე ინიშნებოდნენ მაღალჩინოსანი პარტიული მუშაკები და მათ მხოლოდ პოლიტბიურო ნიშნავდა. ელჩები სხვა ქვეყნებშიც მხოლოდ ამ ორგანოს ძიერ დამტკიცების შემდეგ ინიშნებოდნენ.

მოქმედებათა ხასიათს სწორედ ასეთი დაქვემდებარება განაპირობებდა. ყოფილი პარტიული მუშაკები საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდს უვლიდნენ და ყველაფერს უძაღლეს პარტიულ ინსტანციებს ეკითხებოდნენ. თავიანთი საძსახურის ქვეყნებშიც ასევე მოქმედებდნენ, — უშუალოდ „პირველ პირებზე გადიოდნენ" და თანამეგობრობის ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებს უგულვებელყოფდნენ.

გაკვრით შევნიშნავ, რომ ამ წესის შეცვლა ერთბაშად ვერ მოხერხდა, უფრო სწორად, ეს მხოლოდ საპარლამენტო სტრუქტურათა შექმნის შემდეგ გახდა შესაძლებელი და მხოლოდ 1989 წელს, ახლოაღმოსავლურ რევოლუციათა ციკლის შემდეგ, შევძელით ელჩების თანამდებობებზე სხვა ტიპისა და სხვა წყობის ადამიანთა განწესება.

ვფიქრობ, ჩემი ყოფილი კოლეგები დამიდასტურებენ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში ძისვლის პირველივე დღეებიდან დაჟინებით, ზოგჯერ მეტისმეტი დაჟინებითაც, მოვითხოვდი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩვენი საელჩო-დიპლომატიური კორპუსის ძირფესვიან რეორგანიზაციას, მის საფუძვლიან გარდაქმნას.

რას ვემყარებოდი მაშინ? ჯერ ერთი, აპრილის (1985 წ.) პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებმაც თანამეგობრობის ქვეყნებთან ურთიერთობების ახალი პრინციპები წამოაყენეს; მეორეც, რაკი საკმაოდ კარგად ვიცნობდი ზოგიერთი ამ ქვეყნის ცხოვრებას, ვყოფილვარ და იქ ვიზიტების დროს მხოლოდ „ზედა ფენებთან“ კონტაქტებს არ დავჯერებულვარ, ვხედავდი, მესმოდა, ვგრძნობდი, თუ ბევრისთვის რაოდენ მიუღებელი იყო ჩვენს მიერ მათთვის თავს მოხვეული არსებობის „მოდელი“. დიდი გამჭრიახობა არ იყო საჭირო, რომ კაცს დაენახა აშკარა არასასიკეთო სიმპტომები. ყოველივე ამასთან ერთად, იყო ისტორია, 1953, 1956, 1968, 1970 წლების, ოთხმოციანი წლების დასაწყისის გაკვეთილები და თავზარდამცემი ძვრები, რომლებიც ჩემს პირად გამოცდილებაშიც და ჩემი რესპუბლიკისა და ქვეყნის ცხოვრებაშიც აირეკლა. დასასრულ (და ეს, კაცმა რომ თქვას, მთავარია), ახალი სახის საელჩოთა ფორმირების აუცილებლობა გარდაქმნის გენერალური კურსიდან გამომდინარეობდა: რაკი ვიცოდით, თუ რაზე ვამბობდით უარს და საითკენ მოვუწოდებდით, ძნელი არ იყო იმის განჭვრეტა, რომ შეიქმნებოდა პირობები, რომლებშიც ძველი „პარტიული დიპლომატია“ სავსებით უძლური აღმოჩნდებოდა.

მთავარი მაინც ის იყო, რომ ახალი პირობების წარმოშობა და ახალი დროის დადგომა გარდაუვალი ჩანდა.

სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ გარდაქმნის დასაწყისშივე მ. ს. გორბაჩოვმა განსაკუთრებით მწვავედ დასვა საელჩოებიდან, — ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საელჩოებიდან, — ცენტრში მიღებული ინფორმაციის სიზუსტისა და სისავსის საკითხი. ამ ინფორმაციაში კონიუხტურის ბევრი ელემენტი იყო. მაგრამ მაინც ძთლიანობაში მეტნაკლებად ობიექტურ ინფორმაციას ვფლობდით. ის მოგვდიოდა თვით საელჩოებიდანაც და სხვა არხებითაც.

თანამეგობრობის ქვეყნებში ძოძუშავე ჩემს კოლეგებს შორის იყვნენ და არიან აზრიანი, გონიერი ადამიანები, რომ-ლებიც სწორად აფასებდნენ საქმის ვითარებას და მე თავის დროზე გულწრფელად მივუგებდი კრიტიკოსებს, რომლებიც გვადანაშაულებდნენ, — აღმოსავლეთ ევროპის მოვლენები მოულოდნელად დაგვატყდა თავსო, — რომ ელჩები თავიანთ პატაკებში ზუსტნი და კეთილსინდისიერნი იყვნენ.

რასაკვირველია, იყვნენ სხვებიც. მაგრამ ეს მათი დანაშა-ული კი არა, უბედურება იყო, „ავანგარდის“ უბედურება, რამაც განაპირობა კიდეც მისი ჩამორჩენა, ავტორიტეტის,— იმ ჭეშმარიტად რეალური ძალაუფლების — დაკარგვა, რომ-ლის შენარჩუნება შეუძლებელია იძულებითა და დიქტატით. ქვეყნისათვის ასეთ მნიშვნელოვან სფეროში დიპლომატიისა და პოლიტიკის უბედურება ბოლოსდაბოლოს სახელმწიფოს უბედურებაა.

საიდუმლოება არ არის, მაგალითად, რომ უნგრეთის ეკო-ნომიკური რეფორმა მეტწილად ასეთი მოღვაწეების „ძცდე-ლობებმა“ ჩაშალა და ეს სავალალო გახდა ჩვენთვისაც. ვიხ-ც იმედით შევყურებდით მომუშავე ეკონომიკის ეფექტური მო-დელის. შექმნისათვის უნგრელთა საკმაოდ ნაყოფიერ ცდებს. ამ ცდებში ვხედავდით ჩვენი საკუთარი სახალხო მეურნეო-ბის ჯანსაღ და გონივრულ საწყისებზე გარდაქმნის შანსს, შე-საძლებლობას, ვაი რომ... მე თვითონაც ხომ ვცდილობდი შინ, ჩემთან, რაღაც-რაღაცეების მოგვარებას და ყურმოკრულად როდი ვიცი, რა ძნელია ეს. თუმცა, მაგალითებისთვის ასე შორს წასვლა რად გვინდა, როცა სულ ცოტა ხნის წინათ, გარ-დაქმნის წინადღეს, ჩვენი ეკონომიკა დოგმის ბასტიონებთან შეჯახებამ დააქცია.

რევოლუცია ჯერ ადამიანთა გონებაში ხდება და შემდეგ— საზოგადოებაში. გარდაქმნის გასაჭირს იმაში ვხედავ, რომ ის მრავალი ადამიანის გონებაში კი მოხდა, მაგრამ არ შეხებია იმ ადამიანთა ცნობიერებას, ვისზეც ბევრი რამ იყო დამო-კიდებული. უფრო ხშირად ცვლილებები ძათ ეწადათ, ვი-საც ბევრად ნაკლები რამ ეკითხებოდა.

საელჩოთა თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებუ-ლი ჩვენი მინისტრების თათბირთა სტენოგრამების გადაკი-

თხვისას ვრწმუნდები, რომ ბევრი მათგანი შეშფოთებული იყო არსებული ვითარებით, ეს იყო ეკონომიკური თანამშრომლობის არაეფექტურობა, ჩვენი სამინისტროებისა და უწყებების მოუქნელობა, პარტნიორების წინადადებებზე დაყოვნებული რეაქცია, იმის სურვილის უქონლობა, რომ შეიმოღებულიყო ადამიანთა, გამოცდილების, იდეების გაცვლის ახალი წესები; მეგობრობა — ლოზუნგების დონეზე, ძაგრამ არამც და არამც — „გულების დონეზე“; ძესიანიზმი და ძისიონერობა, ჭკუის სწავლების ჟინი; ბოთხოვნა — „აკეთე ჩემსავით“. ეს იყო ის, რასაც ჩვენ თვითონ ვარიდებდით ჩვენს კოლეგებს, ვთხოვდით, რომ განთავისუფლებულიყვნენ უპირატესობისა და დამოძღვრის მანიისაგან. და მე ასეთი საუბრების მოსმენის დროს ჩემი სხეულის ყოველი ნაკვთით ვგრძნობდი ზოგიერთი მაღალჩინოსანი მოღვაწის უკმაყოფილებას, ხოლო ზოგჯერ — მრისხანებასაც.

მე კეთილი, სანდო ურთიერთობა დავამყარე კოლეგებთან, თანამეგობრობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან. ახლა, როცა მათ, თითქმის ყველამ, დატოვეს თავიანთი პოსტები, შემიძლია ვთქვა, თუ როგორ ძალიან იყვნენ ისინი შეშფოთებული არსებული ვითარებით და როგორ გულახდილად საუბრობდნენ ამაზე ჩემთან. როგორ გადავიყვანოთ ჩვენი ურთიერთობები ახალ რელსებზე, კითხულობდნენ ისინი, თუკი თქვენს ბიუროკრატიას არ სურს ისრების გადაწევა? ჩვენი ქვეყნების მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა იქონიონ. საბრეწველო საწარმოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს, რომელთაც ერთმანეთთან პარტნიორული კავშირი აქვთ, სულ უბრალო საკითხების მოგვარებისას წინ გადაუულახავი დაბრკოლებები ეღობებათ. გაოგნებული უცხოელი კოლეგები გულახდილად მეუბნებოდნენ, რომ მათ ქვეყნებში გარდაქმნისადმი კრიტიკულად განწყობილ გავლენიან პირებს ძხარდამჭერად ჰყავდათ მოსკოვიდან ჩასული ან ჩვენსავე საელჩოებში ბომუშავე ჩვენივე ემისრები.

კოლეგებს შეეძლოთ ამაზე არც ელაპარაკათ. ბაინცდამაინც ღრმა ანალიზიც არ სჭირდებოდა ასეთი დასკვნის გაბოტანას: ამ ქვეყნების ხელმძღვანელთა უმრავლესობას არ სურდა ცვლილებები და წინააღმდეგობასაც გაუწევდა მათ. სი-

ტყვით, განცხადებებით მხარს უჭერდნენ ჩვენს კურსს, საქმით კი არ აჩქარებდნენ რეფორმებს. იქმნებოდა რთული კოლიზია: რაკი უარს ვამბობდით „იდეების ექსპორტზე", შეზობლებისა და მოკავშირეების საშინაო საქმეებში ჩარევაზე, არ შეგვეძლო აქტიურად, უწინდელი მეთოდების გამოყენებით მათთვის რეფორმებისაკენ გვებიძგა. ამავე დროს, თვალნათლივ ვხედავდით: აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში პოლიტიკური ხელმძღვანელობა სწრაფად კარგავდა კონტროლს სიტუაციაზე, ვერ პოულობდა დემოკრატიული ცვლილებების მომხრეთა მოთხოვნებზე ადექვატურ პასუხებს. გარდა ამისა, რეფორმების განხორციელებას შეუპოვრად უპირისპირდებოდნენ კონსერვატორები და იყენებდნენ ისეთ ხერხებსა და საშუალებებს, რომლებიც, მათდა უნებურად, რაზმავდა არაორგანიზებულ ოპოზიციას, ხელს უწყობდა საერთო-სახალხო დემოკრატიულ მოძრაობად მის ჩამოყალიბებას.

პარადოქსული ამბავია, რომ ამ მოძრაობისთვის კონსერვატიული დაპირისპირება უწინდებურად მოსკოვზე იყო ორიენტირებული, უფრო ზუსტად, ჩვენს შინაურ ოპონენტებზე. „თანამეგობრობა" განსაკუთრებით სრულად ამჟღავნებდა თავის ხასიათს, ავლენდა, რომ ის მუდამ იყო პარტიულ-სახელმწიფოებრივი ელიტის თანამეგობრობა, კავშირი. ამჯერად მათ უფრო მეტი საფრთხე ემუქრებოდა, ვიდრე ოდესმე და ამიტომ იოლად პოულობდნენ საერთო ენას, პოულობდნენ ერთმანეთს და საბჭოთა გარდაქმნით უკმაყოფილოთა კავშირში ერთიანდებოდნენ, გარდაქმნის წინააღმდეგ მებრძოლთა ნამდვილ საძმოში ირაზმებოდნენ.

შექმნილი სიტუაციის ზოგადპოლიტიკური ხედვის გარდა, იყო, ასე ვთქვათ, პირადი ჭრილიც, „სოცქვეყნების" ხელმძღვანელებთან პირადი კონტაქტების შედეგად მიღებული უშუალო შთაბეჭდილებები. გარეგნულად ყველაფერი ტრადიციულად გამოიყურებოდა, ისე, როგორც „ძველი ოსტატების" სურათებზეა: ჩაკონება-ჩახუტება, კოცნა, ერთმანეთის ორდენებით დაჯილდოება, გულთბილი მიღებები, მოხაწილეობა ყრილობებში — რჩეულთათვის გახკუთვნილ ამ რიტუალებში. ჩვენი ლიბერალური და რადიკალური „ძეძარცხეხე" ბეჭდვითი სიტყვა ჩვენ არც ამ ჩაკონება-ჩახუტებას, არც და-

ჯილდოებათა ბრძანებულებებს, არც მისალმებათა ფრაზეოლოგიას, არსებითად — გარდასულ დროთა წესების ერთგულებას — არ მოგვიტევებდა. მართლაც, ეს ამ წესების დემონსტრაცია იყო, მაგრამ მხოლოდ გარეგნული, უაღრესად დემოკრატიული დემონსტრაცია, თუმცა დეკორიც ინგრეოდა, ვარაყი ცვიოდა, თანამეგობრობის ფასადზე ჩნდებოდა ახალი, მანამდე წარმოუდგენელი დეტალები. ისინი შემოჰქონდა ოპოზიციას, თუკი, საერთოდ ოპოზიცია შეიძლება დაერქვას ხალხის მასებს. ალბათ, შეიძლება და უნდა დაერქვას კიდეც, რადგან თანამეგობრობის ქვეყნებში მ. ს. გორბაჩოვის მოგზაურობების დროს მასთან მოსახლეობის შეხვედრები აშკარად მასობრივი სახალხო დემონსტრაციების სახეს იღებდა. ადამიანები ესალმებოდნენ არა მარტო ერთ-ერთ ინიციატორს იმ სახელმწიფოს განახლებისა, რომელმაც ისინი ოდესღაც გაათავისუფლა ფაშისტური მონობის საშინელებათაგან, შემდეგ კი თავიანთი კვინსლინგების მეოხებით უხეშად დაუდგინა თავისი წესი, — ისინი ესალმებოდნენ მას, როგორც ბუნებრივ მოკავშირეს საკუთარ ხელმძღვანელებთან დაპირისპირებაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც საგანთა და მოვლენათა არსებული წესის ალტერნატივას. ეს იოლად იკითხებოდა ხალხის მასების განწყობილებაში, შეძახილებსა და მისალმებებში, ეს იკითხებოდა პლაკატებზე, ლოზუნგებზე, ტრანსპარანტებზე. და ხალხის ამგვარი ნების დემონსტრაციათა საპირისპიროდ, ზოგ ქვეყანაში იმართებოდა ყრილობები, რომლებზეც სუფევდა ლიდერის რიტუალური გალმერთების მოტივები და განწყობილებები, ერთგულებისა და მხარდაჭერის გამოვლინების ლამის რელიგიური ექსტაზი.

ფასადი ასეთი იყო. პოლიტიკის ინტერიერებში კი სულის შემძვრელი დრამები თამაშდებოდა. პირადად მე არასოდეს მიმიცია თავისთვის უფლება ვინმე დამეძოძღვრა. მხოლოდ ჩვენს პრინციპებსა და პოზიციებს გადმოვცემდი, ვცდილობდი ამეხსნა, თუ რა მიზეზებმა და გარემოებებმა წარმოშვეს ისინი. პასუხად უფრო ხშირად მოდიოდა არა კილვა, კრიტიკა, არა წინააღმდეგობის თუნდაც მიკიბულ-მოკიბულად გამომხატველი სიტყვები, არამედ სოციალიზმის წარმატებათა დამადასტურებელი მონაცემების ნიაღვარი. სავსებით აშკა-

რად შიშვლდებოდა ქვეტექსტი: „ჩვენთან ყველაფერი რიგზეა და გარდაქმნა არ გვჭირდება“.

მ. ს. გორბაჩოვი აღმოსავლეთევროპელ კოლეგებთან საუბრებში ძალზე დელიკატურად, ფრთხილად გამოთქვამდა თავის რეკომენდაციებს. ჩვენი ქვეყნის გამოცდილების დამოწმებით ის აგებინებდა კოლეგებს, რომ დემოკრატიული გარდაქმნებისკენ თუ არ გადადგამდნენ ნაბიჯებს, უსათუოდ წააწყდებოდნენ ძალზე სერიოზულ პრობლემებს. თანამოსაუბრენი თავაზიანად უსმენდნენ მას, თავს უქნევდნენ, პასუხად უმნიშვნელო მაგალითებს იშველიებდნენ... ისინი მშვიდად იყვნენ, რადგან იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ეს ხელმძღვანელი ტანკებს არ გამოგზავნიდა დემოკრატიის განსაძტკიცებლად, როგორც გზავნიდნენ მისი წინამორბედები დემოკრატიის დასათრგუნად.

თუმცა ხმაურიანი „სხდომებიც“ იყო. თვალსაზრისთა შეხლა-შემოხლა, მწვავე კამათი ზოგჯერ პირად შეტაკებამდე მიდიოდა. ბუქარესტში, მაგალითად, დისკუსია ისე დაიძაბა, რომ დაცვის თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ დარღვიათ მოლაპარაკების შენობის საიდუმლოება. მათ კარები გააღეს, რათა ენახათ, თუ რა ხდებოდა შიგნით.

ჯერჯერობით არაფერი ხდებოდა, დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულებების ადამიანები კამათობდნენ მხოლოდ. მოსახდენი მერე მოხდა. ჯერ ტიმიშოარაში, შემდეგ— ბუქარესტში...

იმ დღეებში ბრიუსელში ვიყავი. ევროპარლამენტის დეპუტატებმა მკითხეს, რუმინეთის მოვლენებს როგორ აფასებთო. მაშინ სრული ინფორმაცია არ მქონდა იქაურ ამბებზე, ამოქმედდა „მოკავშირეობის“ ინსტინქტიც, დიპლომატის სიფრთხილემაც იძალა. მაგრამ მე მაინც ვთქვი, რომ ვგმობ ძალმომრეობას და დავტირი დაღუპულთ. განა ეს სოციალიზმია,— მკითხა ლეიბორისტმა,—როცა საკუთარ ხალხს ესვრიან, საკუთარ მოქალაქეებს ხვრეტენ? არა, ვუპასუხე მე, ეს სოციალიზმი არ არის და არც არასოდეს ყოფილა. და კიდევ, ტიმიშოარას მოვლენები მე გვერდით დავუყენე თბილისის ტრაგედიას, — მათ საერთო სათავე, საერთო მიზეზი ჰქონდათ, ისინი ერთი ძალის მიერ იყო ინსპირირებული.

მაშინ მე შეუძლებლად მივიჩნიე დიპლომატიური ძოსაზ-

რებით სიფრთხილის გამოჩენა და გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება იმისადმი, რაც ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში. სამწუხაროდ, ჩემს სამშობლოში ეს არ გაუგონიათ.

იმ დღეებშიც ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, რომ ვერც საგარეო და ვერც საშინაო პოლიტიკა ვერ დაიცავს საქმეს, რომლის დაცვა პრინციპულად შეუძლებელია, საქმეს, რომელიც ისტორიის ბუნებრივ გეზს, საერთო-სახალხო სულისკვეთებასა და მისწრაფებებს უპირისპირდება, საქმეს, რომელიც წინ აღუდგება ადამიანის წადილს, იცხოვროს ღირსეულად და თავისუფლად.

ვერავითარი გაწაფული და გამჭრიახი პოლიტიკა, თავის დროშებზე ყველაზე ამაღლებული სიტყვებიც რომ ჰქონდეს ამოქარგული, ვერ შეძლებს დაიცვას ის კედელი, რომელიც ხალხსა და კონტინენტს ჰყოფს სხვადასხვა „ბანაკებად“ და „სისტემებად“. როგორი მაღალხარისხოვანი იდეოლოგიური ხსნარითაც არ უნდა იყოს შედუღაბებული ამ კედლის ქვები, მაინც არსებობს სხვა მარკის ბეტონი, რომელიც ხებისძიერ ზღუდეს ანგრევს, — ეს ხალხის ნებაა. ყველაზე ინტიმური, ყველაზე ფაქიზი ადამიანური გრძნობები — ქალისა და კაცის სიყვარული, ბავშვების, ოჯახის, მშობლების სიყვარული, ნათესავებთან, თანამემამულეებთან ერთად ცხოვრებისკენ, ახლობლების თანადგომისკენ სწრაფვა — იდეოლოგიურ დოგმათა ფოლადისებურ უსულგულობაზე ძლიერია. და თუ პოლიტიკა ამ ფაქტორებს არ ითვალისწინებს და პასუხს არ სცემს, — ის განწირულია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან დასავლეთისკენ გერმანელთა მასობრივი დინების შეჩერება მხოლოდ ისე იყო შესაძლებელი, როგორც აჩერებდნენ თითოეოროლა გაბედულ ადამიანს, რომლებიც სროლით ჯიქურ ეკვეთებოდნენ კედელს. ეს რომ 1989 წლის შემოდგომიდან და 1990 წლის ზამთრამდე არსებულ ატმოსფეროში მომხდარიყო, ასობით ადამიანთან ერთად თვით პოლიტიკაც დაიღუპებოდა. არ გამოვრიცხავ, — და ამაზე მოგვიანებით ვიტყვი, — რომ დასამარდებოდა მშვიდობაც.

რამდენიმე თვის შემდეგ ჯეიმს ბეიკერმა ყურადსაღები ფრაზა წარმოთქვა: ბერლინის კედლის ბზარებიდან მე გაერთიანების გზაზე დამდგარი ევროპა დავინახეო. ძეც დავინახე

ეს. კიდევ დავინახე მრავალი ურთულესი საგარეოპოლიტიკური პრობლემა, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის საშინაო სიტუაციასთან. ჩემთვის ცხადი იყო, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ცვლილებებიც, ერთიანი „უბლოკებო“ კონტინენტის აშენების პერსპექტივებიც და გერმანიის გაერთიანების პროცესიც, — რის წინაპირობადაც ჩვეულებრივ შეიარაღებათა შემცირების შესახებ ვენის ძოლაპარაკებათა დაგვირგვინება უნდა ქცეულიყო, — შეაზანზარებდა ჩვენს შიდა კედლებს და ამ დროს წარმოშობილი ბზარები, უკუქმედების კანონით, შეიძლება, ღრმა თხრილებად გაწოლილიყო ჩვენს გზაზე.

ასეც მოხდა. საგარეო პოლიტიკამ გაამწვავა შინაგანი სიტუაცია, შინაგანმა პოლიტიკამ დაიწყო საგარეო პოლიტიკისთვის დაბრკოლებების შექმნა.

* * *

არაკეთილმოსურნეთა კრიტიკაში ყველაზე დამაღონებელია არა აღგზნებული გამოსვლები და მათში გადმონთხეული სასტიკი სიძულვილი, ან თვითმპყრობელური ლექსიკიდან გამოხმობილი იარლიყები და მეტსახელები, ან კიდევ კლასობრივი ბრძოლისა და ორი სისტემის დამაპირისპირებელი ლოზუნგებით შენიღბული იმპერიალიზმის ერთგვარი ნაირსახეობის სიმპტომები, არამედ გონივრული ალტერნატივის არარსებობა. ძველ აზროვნებას რომ სიცოცხლის უნარი აღარ გააჩნდა და ძალა დაეშრიტა, — ეს, პირველ ყოვლისა, იმით მეღავნდებოდა, რომ ვერ ახერხებდა წამოეყენებინა რაიმე ისეთი, ოდნავ ვარგისი, იდეა, რომლის გახორციელებითაც ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა უსაფუძვლობა დამტკიცდებოდა. არსებითად ყველაფერი ერთ აზრად იკვრებოდა: საჭირო იყო პროცესის შეჩერება, დაყოვნება.

დიდად პატივცემულმა ერთმა მიმომხილველმა სწორად შენიშნა, ისტორია შესაძლებლობებს ქმნის, პოლიტიკა ამ შესაძლებლობებით სარგებლობსო. მე კი დავძენდი: ზოგჯერ არ სარგებლობს და ცდილობს, რომ ისტორია მიღებული და „დამტკიცებული“ იდეოლოგიური სქემების მიხედვით „გააწყოს“. და მაშინ იქმნება სიტუაცია, როცა ჩნდება ცთუნება, რომ ხე-

ლის ერთი წაკვრით დაფიდან გადაყარო ფიგურები. სწორედ ამას გვთავაზობენ ჩვენ კრიტიკოსები, როცა აბრალებენ, რომ „დიპლომატიურ და სამხედრო-დიპლომატიურ პროცესებში საჭირო იყო რისკი, თუნდაც პარტნიორებთან გართულებების ხარჯზე". თუ რა ჯდება რისკი, ამაზე დუმილს ამჯობინებენ.

თვითონ ოპონენტები არავითარ რისკს არ ეწევიან, როცა გვიყენებენ ბრალდებებს:

— ევროპაში გეოპოლიტიკური სტრუქტურა დაანგრიეთ;

— ქვეყანას დაუკარგეთ მოკავშირეები და მისი უშიშროების საგარეო სარტყელი გაგლიჯეთ;

— მოწინააღმდეგე სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის გავლენის ფარგლები ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს მოუახლოვეთ და მოიცილეთ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახით არსებული მისი გამაწონასწორებელი ძალა;

— ხელს უწყობდით გერმანიის გაერთიანებას...

ამის თაობაზე არავითარი კონტრარგუმენტაცია კონსტრუქციულ გამოძახილს არ იწვევს. იმდენად სურთ ბრალდებულის სკამზე თვით გარდაქმნის დასმა, რომ ბრალდება აბსოლუტურად არ იწუხებს თავს შესატყვის სამხილთა და მტკიცებათა გამონახვისთვის. შეუძლებელიცაა ამით თავს იწუხებდეს, რადგან წარსულში რაიმეს განსჯა ნიშნავდა ვინმეს დასჯას, ვინმესთვის სამსჯავროს მოწყობას. ან რა საჭიროა მტკიცებები, როცა სისტემას ჭეშმარიტების ზეიმი კი არა, ნებისმიერი საშუალებებით თავისი სიმართლის დამტკიცება სჭირდება? დღევანდელ ვითარებაში ნებისმიერ საშუალებებს თითქოს გასავალი აღარა აქვს, მაგრამ ნიადაგი ისე დიდხანს მუშავდებოდა, რომ მასში ჩაგდებული ყველა თესლი გაიხარებს.

ალტერნატივა არ იყო? იყო, გვეუბნებიან, და ბე ვიხსენებ, ჰაერში როგორი განწყობილებები ირეოდა, — და არა მარტო ჩვენში, — იყო ძალზე სერიოზული განწყობილებები, რომლებშიც აშკარად სჭვიოდა 1956 1968 წლების სცენარებით ძალის გამოყენების წადილი. თითქოს ისტორიას სამარადჟამოდ ჩაენერგოს ადამიანთა გენებში რეპრესიული აზროვნების შტამპი და დაეჩლუნგებინოს თანამედროვეობის საღი აზქმა, გამოემუშავებინოს გარკვეული რეფლექსები. რომ არაფერი ვთქვათ ახალ პირობებში ძველი მეთოდების უვარგისობაზე, ჩვენ არ შეგვეძლო მსხვერპლად გაგვეღო, გაგვე-

წირა არჩევანის უფლების, ჩაურევლობის, საერთო ევროპული სახლის შესახებ ჩვენი საკუთარი შეხედულებები.

ჩვენი კრიტიკოსების ლოგიკით კი გამოდის, რომ მოვალე ვიყავით ისინი გაგვეწირა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაგვეწირა გარდაქმნა, მისი პოლიტიკა და პრინციპები.

ბრალდებების საკვანძო პუნქტი, მათი ალფა და ომეგა, ფარული, ამჟამად კი უკვე აშკარა პათოსი ეს არის: გარდაქმნა რომ არა, სოცბანაკში არაფერი ამდაგვარი არ მოხდებოდა.

მაშ, ასე: ყველა უბედურებისა და ბოროტების ძირი გარდაქმნა ყოფილა. და თურმე, უკვე დიდი ხანია, — ორმოციანი წლების დასასრულიდან და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან, — სისტემას არ მიუღია სიგნალები, რომ „ბანაკში" ცუდად არის საქმე, რომ უმეტესობისთვის „ბანაკური" ცხოვრება აუტანელია.

არ დავიწყებ ისევ 1956 წლის უნგრეთისა და 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის მაგალითების მოყვანას. გავიხსენოთ შედარებით ახლო წარსული, გარდაქმნის წინა ხანა, ოთხმოციანი წლების დასაწყისის პოლონეთი. მოძრაობა „სოლიდარობამ" მუშათა კლასისა და ინტელიგენციის მხარდაჭერით მთავრობას დესტაბილიზაციის რეალური საფრთხე შეუქმნა. გახა გარდაქმნამ შეუწყო ხელი ამ მოძრაობის წარმოშობას? ეს, რასაკვირველია, რიტორიკული კითხვაა, მაგრამ ის უნდა დაისვას, რადგან მისი პასუხი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე შეგვეძლო გვევარაუდა, და იგი ცხადყოფს ამჟამად წამოყენებული „ალტერნატივის" უპერსპექტივობასაც.

პოლონეთის ხელმძღვანელობა მაშინ ორმაგი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. პირველს უკვე შევეხე, მეორე კი ძალის გამოყენებით წესრიგის დამყარების „ტრადიციაში" მდგომარეობდა. საკმაოდ ფართოდ გავრცელდა შიში, რომ ამ ძალას საბჭოთა კავშირი გაგზავნიდა, და მე ზუსტად ვიცი: ამ შიშს საფუძველი ჰქონდა. მაშინ თვით პოლონეთში ძმვენივრად ესმოდათ, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა და გადაწყვიტეს „შიდაპოლონური" ვარიანტის გამოყენება — საბჭოდრო მდგომარეობის შემოღება.

ვარიანტმა გაამართლა და მან პოლონეთი იხსნა „მეორე საფრთხისგან". მაგრამ შესაძლებელი იყო არც გაემართლე-

ბინა. გაამართლა კი იმიტომ, რომ საამისოდ რამდენიმე სერიოზული მიზეზი არსებობდა.

ჯერ ერთი, — ავღანეთი. 1979 წლამდე საბჭოთა კავშირის მიერ მეზობელ ქვეყნებში გამოყენებული ძალისმიერი აქციები ხელს უწყობდნენ სიტუაციის სტაბილიზებას შედარებით დაბალი, როგორც ეს მაშინ გვეჩვენებოდა, პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური დანახარჯებით. ავღანეთში სწრაფი „გადაწყვეტა“ არ გამოვიდა. ამ ქვეყანაში შეჭრამ გამოიწვია ძლიერი უარყოფითი რეაქცია, რომელიც დღითიდღე მატულობდა ჩვენს საზოგადოებაშიც და საზღვარგარეთაც. თუ 1968 წელს პრაღაში ჯარების შეყვანის გამო პროტესტს ჩვეხთან მხოლოდ ერთეულები გამოხატავდნენ, 1979 წლის შეშდეგ ავღანეთის ავანტიურას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უმეტესობა გმობდა.

ასეთ პირობებში მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია პოლონეთში ჩვენს ნებისმიერ აქციასთან დაკავშირებული სერიოზული რისკისთვის.

ბევრი პიროვნებისთვის ნათელი ხდებოდა, რომ ჯავშნიანი მუშტის ბრახუნი აღარ შეიძლებოდა. მაგალითს ძოვიყვან: იმ დღეებში მ. ა. სუსლოვის კაბინეტში მომიხდა ყოფნა. მას ვიღაც ურეკავდა, მოახსენებდა პოლონეთში შექმნილი სიტუაციის გამწვავებაზე და, როგორც მივხვდი, დაჟინებით ითხოვდა „ძალის ამოქმედებას“. სუსლოვმა რამდენჯერმე მტკიცედ გაიმეორა: „არავითარ შემთხვევაში, პოლონეთში ჩვეხგან ძალის გამოყენებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია!“

„მრავალშრიანი“, მეტად არაერთგვაროვანი სიტუაცია იყო. მოქმედებდა მთელი რიგი ფაქტორები: ავღანეთი, მდგომარეობა ქვეყნის შიგნით, დასავლეთისგან მოსალოდნელი ნეგატიური რეაქცია. მაგრამ ამით კიდევ არ ამოიწურებოდა ყველაფერი. ვფიქრობ, მოსკოვი მაშინ შეაჩერა სერიოზულმა და, ჩემი აზრით, საფუძვლიანმა შიშმა, რომ პოლონელები იბრძოდნენ და იქ ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედების ჩატარება გახდებოდა საჭირო. და, კიდევ მგონია, რომ გადამწყვეტი როლი შეასრულა გენერალ ვ. იარუზელსკის პიროვნებამ. მანაც იხსნა თავისი ქვეყანა გარედან შემოჭრისგან, საბჭოთა ხელმძღვანელობა დაარწმუნა, რომ პოლონელები

თავად გაართმევდნენ თავს სიტუაციას. მან სამხედრო მდგომარეობას პოლონური მუნდირი მოარგო და პოლონეთს ინტერვენციის საფრთხე ააცდინა.

მაგრამ, მოდით, ვიკითხოთ: ბოლო მოუღო თუ არა სამხედრო მდგომარეობამ შინაურ შფოთს? სულაც არა! პირიქით, მან დიდი სტიმული მისცა იმას, რამაც საბოლოოდ პოლონეთი მთავრობისა და ორიენტაციის შეცვლამდე მიიყვანა.

ასე რომ, არ არის საჭირო გარდაქმნის გამტყუნება და სამხედრო ძალით აღტაცება.

არც ჩვენ გვაწყენდა, რომ პოლონეთში სამხედრო მდგომარეობა გაკვეთილად გამოგვეყენებინა.

1985 წლის აპრილის შემდეგ სამხედრო ჩარევა სავსებით გამორიცხული შეიქნა. ამ გადაწყვეტილებას როცა ვღებულობდით, მშვენივრად გვესმოდა, რომ მოკავშირე ქვეყნებში პოლიტიკური პროცესების განვითარება მათი პოლიტიკური ხელმძღვანელობის რეალიზმსა და მოქნილობაზე იქნებოდა დამოკიდებული, მაგრამ...

ასეთ ვითარებაში ძალზე აქტუალური გახდა აღმოსავლეთ ევროპაში სამხედრო ძალების ყოფნის საკითხი. ჩვენ ვვარაუდობდით პრობლემა შეგვემსუბუქებინა ჩვეულებრივ შეიარაღებათა შემცირების თაობაზე ბლოკთაშორის შეთანხმების საფუძველზე, აგრეთვე ამ რეგიონში ჩვენი მხრივ ჯარებისა და შეიარაღებათა ცალმხრივი შემცირების გზით.

მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ევროპაში შეიარაღებათა შემცირებაზე რაიმე მორიგებას აზრი ეკარგებოდა. საჭირო გახდა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპული სახელმწიფოების აქტიური ძალისხმევა, რათა ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალთა შემცირების თაობაზე ხელშეკრულება შემუშავებულიყო.

მე ქვემოთ ამ თემის უფრო დაწვრილებით განხილვა მაქვს განზრახული. ჯერჯერობით კი იმას ვიტყვი, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საბჭოთა ჯარების ყოფნა საკითხავი შეიქნა 1989—1990 წლების მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე. და ჯარების გაყვანა იმ წლებში ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობებმა კი არა, მათმა წინამორბედებმა მოითხოვეს. ზოგი მათგანი ძალზე ფრთხილად გაგვენდობოდა ხოლმე, რომ ამ ქვეყნებში საბჭოთა ჯარების შემდგომი დატოვება სერიოზულ

პრობლემებს შეუქმნის მათ, რომ აჯობებს, თავად გადავდგათ ნაბიჯი მათი ქვეყნებიდან ჯარების გასაყვანად, ვიდრე, ძოვლენათა ზემოქმედების შედეგად, იძულებით დავაჩქაროთ ეს პროცესი. ამ საუბრების შინაარსი ჩვენს უმაღლეს ხელმძღვანელობას ეუწყებოდა ხოლმე, ეს თემა აისახებოდა შესაბამის პოლიტიკურ განცხადებებშიც. ივარაუდებოდა, რომ საკითხის ასე სერიოზულად დასმას მოჰყვებოდა სსრკ საზღვრებში ჯარების უმტკივნეულოდ გადმოადგილების საერთოსახელმწიფოებრივი პროგრამის შემუშავება და განხორციელება.

არაფერი ეს არ გაკეთებულა, საქმე არ მოგვარებულა, თუ „საქმედ“ არ ჩავთვლით დიპლომატიის მისამართით წამოყენებულ ბრალდებებს „აღმოსავლეთ ევროპიდან საბჭოთა ჯარების ნაჩქარევი და უკანდახევის მსგავსი გამოყვანის“ გამო.

დღეს ხშირად მეკითხებიან: გათვალისწინებული ჰქონდა თუ არა იმ დროს ქვეყნის ხელმძღვანელობას ის სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის ქვეყნებიდან საბჭოთა ჯარების მრავალათასიანი კონტიგენტის გამოყვანასთან? მე ვუპასუხებ: „დიახ“. ჩვენთან, საგარეო საქმეთა სამინისტროში, ამას ვითვალისწინებდით. მ. ს. გორბაჩოვის მიერ ჯერ კიდევ გარდაქმნის დასაწყისშივე გაკეთებული გახცხადების საფუძველზე, — ევროპაში ჩვენი ჯარები სამუდამოდ არ დგანანო, — ჩვენ შევიმუშავეთ რეკომენდაციები და პროგნოზები სოციალურ-ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ, მატერიალურ შედეგებზე და „ზევით“ გადავეცით. არ ვიცი, ასეთი მუშაობა სხვა უწყებებშიც ჩატარდა თუ არა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: განცხადება და პრაქტიკული მოქმედებები დასცილდა ერთმანეთს, ამის შედეგად კი ადამიანები დაზარალდნენ. და ამიტომ მე სერიოზულ პრეტენზიებს ვუყენებ მთავრობასაც, საგეგმო ორგანოებსაც, სამინისტროებსაც, — მათ შორის, ჩემს სამინისტროსაც; და ბოლოს, — ჩემს თავსაც. დროა, ჩემს ასაკში ერთი უბრალო ჭეშმარიტება ვიცოდე: ნებისმიერი განცხადება, მათ შორის უმაღლეს დონეზე გაკეთებულიც, ჩვენში აღიქმება მხოლოდ დეკლარაციად, რომელსაც ტაში უნდა დაეკრას და ამით დამთავრდეს ყველაფერი. რას იზამ, ასე გაგვზარდეს.

ევროპაში მომხდარი თავბრუდამხვევი ცვლილებები მხო-

ლოდ დიპლომატების წინაშე როდი სვამდა რთულ საკითხებს. სახელმწიფო არ არის ჯამი უწყებებისა, რომელთაგან თითოეულს „თავისი გეზის გადაღუნვა“ შეუძლია. გეზი ჩვენ ერთი გვაქვს, — ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნდა, — მაგრამ მასთან დამოკიდებულება გვაქვს სხვადასხვაგვარი. ახლა მე სიტუაციას ასე ვხედავ. ჯარების გამოყვანის საკითხშიც, შეიარაღებათა შემცირების საკითხშიც გადამწყვეტ სიტყვას ჯგუფური, კლანური ანუ „ბანაკური“ ფილოსოფია ამბობდა. ყველაფერი ეს კი სახელმწიფოს ინტერესების დაცვად საღდებოდა.

ყველა ომისშემდგომი რეალობა — ორი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის კონფრონტაცია, ძვირადღირებული „ცივი ომი“, კონტინენტის გათიშვის თავიდან აცილების ცდა, ჰელსინკის პროცესის აღმოცენება და განვითარება — ახლა სხვაგვარად, სხვა განზომილებებით წარმოჩნდა. გადაიშალა ადრე წარმოუდგენელი პერსპექტივები, მაგრამ, ამასთან ერთად, გაჩნდა ახალი პრობლემები, რომლებიც მოითხოვდნენ ახლებურ მიდგომას, ევროპის პოლიტიკური ლანდშაფტის ახლებურად დანახვას, კონტინენტზე უშიშროებისა და თანამშრომლობის საფუძვლების შესახებ ბევრი შეჩვეული წარმოდგენის გადასინჯვას, ახლებურ გააზრებას.

„ჩვენ არ შეგვიძლია შეჩერება, როცა მთელი მსოფლიო ამოძრავებულია“. ამბობდა საერთოევროპული კავშირის იდეის ერთ-ერთი ავტორი ფრანგი ჟან მონე. ვაი რომ, ზოგი ჩვენგანი შეჩერდა, იმავე განზომილებაში დარჩა, რომელშიც თვალთმაქცობა და სიცრუე აღიარებულია იმ ტიპის უმაღლეს სიქველედ, როგორიც არის: „არ იცრუებ — ვერ მოიგებ!“ ტანკებსა და სიმართლეს თუ არ დამალავ, პირში ჩალაგამოვლებული დარჩები.

„მეგობრებისა“ და „მოკავშირეების“ დაკარგვის თაობაზე რაღა ითქმის? ვითომ გვყავდა ისინი იმ ჩვეულებრივი, ნორმალური აზრით, როგორიც ამ ცნებებშია ჩაქსოვილი? შესაძლოა, პირიქით, ჩვენ ჭეშმარიტი მეგობრები მაშინ შევიძინეთ, როცა მსოფლიო დავარწმუნეთ, რომ მას ჩვენი ქვეყნისგან საფრთხე არ ემუქრება? არ არსებობს ახლა სახელმწიფო, რომელიც არ ისურვებდა ჩვენთან წესიერ, რიგიან ურთიერთობას, კავშირებისა და კონტაქტების გაფართოებასა და გამდიდ-

რების, იდეების, ინფორმაციების, გამოცდილების გაცვლა-გამოცვლას.

ვის შეუძლია, უარყოს ფაქტი, რომ ჩვენ ყველა ქვეყანასთან კორექტული, ნორმალური კავშირი გვაქვს? ჩვენ არცერთ სახელმწიფოსთან არა გვაქვს დაძაბული, მით უფრო, მტრული ურთიერთობა. ჩვენ არც ერთ სახელმწიფოსთან არ გაგვიუარესებია ურთიერთობა, ბევრთან კი გავაუმჯობესეთ.

ჩვენ ვთქვით მძიმე და მწარე სიმართლე საკუთარი თავის შესახებ. და ველოდით, თუ როდის იქნებოდნენ ამისთვისვე მზად მოკავშირე ქვეყნების ხელმძღვანელებიც. იმ ქვეყნებში, სადაც მათ დუმილი არჩიეს, თავისი სიტყვა თქვა ხალხმა.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პოლიტიკურ სარბიელზე ასე გამოვიდნენ ახალი ძალები. ისინი ხომ გარედან არ მოუყვანია ვინმეს, — ხალხის ნებამ მოიყვანა. და ამის გამო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ჩვენთვის ისევ მეზობელ და ისევ მეგობრულ ქვეყნებად რჩებიან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვინდა, რომ ისინი ასეთ ქვეყნებად დარჩნენ.

ჩვენ ნათლად გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება წარსულის მოვლენებთან, ეს შეფასებები თავად გარდაქმნის ლოგიკამ ჩამოაყალიბა. მანვე განაპირობა ამ ქვეყნებში დამამუხრუჭებელ ძალებთან ჩვენი უთანხმოებაც.

იქ ცვლილებები ხდებოდა არჩევანის სრული თავისუფლების პირობებში, ხალხი თვითონ ირჩევდა ახალი საზოგადოების შენების თავის საკუთარ მეთოდებსა და გზას. ჩვენი პატივისცემა ამ არჩევანისადმი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სრული, იდეოლოგიით შეუზღუდველი სუვერენიტეტის პატივისცემაა, დამოუკიდებლობისკენ მათი სწრაფვის პატივისცემაა, თანაც ეს არ გამორიცხავს მათი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების შესაძლო ტრანსფორმაციებსაც.

აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებზე ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული რეაქცია კარგად მესმის. მე არც ვამარტივებ და არც ვგმობ მას. კოორდინატთა შეჩვეული ღერძის მოშლა მტკივნეულია აზროვნების ჩამოყალიბებული ტიპისთვის. განსაკუთრებით ძნელი შესაგუებელი იყო „სოციალიზმის რღვევა“ აღმოსავლეთ ევროპაში. დაახლოებით ასე მსჯელობენ: სულ ცოტა ხნის წინათ სსრკ იყო დიდი სახელმწიფო, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობდა, მისით

აღფრთოვანებული იყო მთელი მსოფლიო. და არსებობდა მსოფლიო სოციალიზმი — ჩვენი უშიშროების გარანტია...

ფიქრობენ და ხშირად პირდაპირ ირწმუნებიან, რომ ყველაფერი ეს ჩვენ დავანგრიეთ: სიდიადეც და გარანტიაც...

ასეთ გამოხათქვამებში ბევრი რამ ჩაეხლართა ერთმანეთს: შიში — მომხდარი მოვლენები საფრთხეს ხომ არ შეუქმნის უშიშროებას „მოკავშირე" ქვეყნების ჯაჭვში, იმ ქვეყნებში, რომლებიც დასავლეთისგან გვიფარავენ? ცუდი შედეგები ხომ არ მოჰყვება ამას ამ ქვეყნებში განლაგებულ საბჭოთა სამხედრო კონტინგენტებში? და, იყო კიდევ, ალბათ, ნოსტალგიაც იმ დროთა გამო, როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები არ მიიჩნეოდნენ თავისთავად ღირებულ სიდიდეებად და ჩვენი კოლოსის „თანამგზავრებად" ითვლებოდნენ. მართლაც, განა ამ ემოციებით არ არის განმსჭვალული მსჯელობა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში „ბუფერული ზონა" ინგრევა და ჩვენი ჯარები „უბრძოლველად" ტოვებენ იქაურობას?

მე გულს მტკენს და მიმძიმს მოსმენა ასეთი სჯა-ბაასისა, საიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა არმიას ევროპის ზოგიერთი ქვეყანა კი არ გაუთავისუფლებია, არამედ ლამის სამხედრო ნადავლივით მიუტაცებია. მე გულს მტკენს და მიმძიმს სუვერენულ სახელმწიფოთა ღირსების შეურაცხმყოფელ განცხადებათა მოსმენა.

ერთხელ ჩემს ზნეობრივ მოვალეობად ჩავთვალე ჩემი ზოგიერთი თანამემამულის მაგიერ ბოდიში მომეხადა ამგვარი შეურაცხმყოფელი და დაუშვებელი გამონათქვამების გამო. მზადა ვარ ახლაც ასე მოვიქცე.

გულახდილად რომ ვთქვა, მე შემეძლო ამ ადამიანების გაგება, იმიტომ, რომ მეც, ისევე, როგორც ბევრს სხვას, ღრმად მქონდა ჩანერგილი რწმენა, რომ ჩვენ დიადი ქვეყანა ვართ და ამისთვის პატივი უნდა გვცენ. მაგრამ რითი ვართ დიადი? ტერიტორიით? მოსახლეობის რაოდენობით? შეიარაღებათა რიცხვით? ხალხის გასაჭირით? ადამიანის უუფლებობით? გაჯახირებული ცხოვრებით? რა გვაქვს საამაყო იმ ქვეყნის მოქალაქეებს, სადაც, როგორც უკვე ვთქვი, თითქმის მთელ პლანეტაზე ბავშვთა ყველაზე დიდი სიკვდილიანობაა? იოლი არ არის პასუხის გაცემა კითხვებზე: ვინ ვართ ჩვენ და ვინ

გვინდა ვიყოთ? გვინდა ვიყოთ ქვეყანა, რომლისაც ეშინიათ, თუ ქვეყანა, რომელსაც პატივს სცემენ? ქვეყანა ძალისა, თუ— ქვეყანა სიკეთისა?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა თავადაც მიჭირს. მაგრამ, როცა ჯგუფ „სოიუზის“ წარმომადგენელი დეპუტატები აქვეყნებენ თავიანთ სახელგანთქმულ თოთხმეტ კითხვას სათაურით „არიან თუ არა პატრიოტები საგარეო საქმეთა სამინისტროში?“, მინდა მათ თანავუგრძნო პატრიოტიზმზე მათი ფრიად თავისებური წარმოდგენის გამო.

რა არის ჭეშმარიტი პატრიოტიზმი? სახელმწიფოებრიობის იდეით ნასაზრდოები სიამაყის დაკმაყოფილება სხვათა შვილების სხვათა ქვეყანაში დასაღუპავად გაგზავნით, თუ შეცდომების გაბედული აღიარება და ახალი შეცდომების თავიდან აცილება, ახალგაზრდა ადამიანთა გადარჩენა და ქვეყნის კეთილი სახელის აღდგენა?

ჩვენ რეალობათა სამყაროში და ემოციათა სამყაროში ვარსებობთ. რეალობები ქცევის ერთ გეზს გვიკარნახებენ, გრძნობები კი ამ გეზის წინააღმდეგ ამბოხდებიან.

ახლა ისიცა ვთქვათ, თუ ვინ, როდის და რით იყო აღტაცებული.

განა მსოფლიო აღტაცებული დარჩა მაშინ, როცა საბჭოთა ჯარებმა უნგრეთში „წესრიგი დაამყარეს“? ან როცა ჩაკლეს „პრაღის გაზაფხული“? ან მაშინ, როცა ავღანეთში შევიდნენ „ინტერნაციონალური მოვალეობის“ შესასრულებლად? რაო, განა მსოფლიო მაშინაც ასევე აღფრთოვანდა?

დრო კია გავიგოთ, რომ არც სოციალიზმი, არც მეგობრობა, არც კეთილმეზობლობა, არც პატივისცემა არ შეიძლება ემყარებოდეს ხიშტებს, ტანკებს, სისხლს. ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობა ორივე მხარისთვის მომგებიანი უნდა იყოს, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებას, არჩევანის თავისუფლების პრინციპს უნდა დაემყაროს. ჩვენ საქმე სწორედ ასე წარვმართეთ და ამის წყალობით მსოფლიოში უდიდესი ცვლილებები მოხდა უკეთესობისკენ. დიახ, პრობლემები წარმოიშვა, მაგრამ ეს ცვლილებები რომ დაყოვნებულიყო, შეიძლება ტრაგედიაც კი დატრიალებულიყო.

დღეს ჩვენი დიპლომატიის მარცხზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ლაპარაკი, ჩვენ რომ ვცდილიყავით მეზო-

ბელ ქვეყნებში ცვლილებები შეგვეფერხებინა, ამის შედეგად მათთან ურთიერთობები რომ გაუარესებულიყო და გამწვავებულიყო, სამხედრო შეტაკების რისკი რომ წარმოშობილიყო.

მე ღიმილს მგვრის „სოცბანაკის დამშლელ ბრალდებულთა“ შორის ჩემი სახელის გაგონება. „ბრალმდებლებს“ მართებდათ იმაზე დაფიქრება, რომ სხვამ კი არა, სწორედ მათ დააჩქარეს ეს დაშლა. დააჩქარეს თავიანთი იდეოლოგიური კონსერვატიზმით, დააჩქარეს იმით, რომ სხვა ხალხთა გრძნობების გაგების სურვილი არ გააჩნდათ; ნაცვლად ამისა, შეპყრობილი იყვნენ მანიით, რომ იმ ხალხების ცხოვრება თავიანთი წარმოდგენების შესატყვისად ეძერწათ, სუვერენული სახელმწიფო „ბუფერად“ მიეჩნიათ, როგორც განაცხადა ერთმა ჩვენმა „ჭეშმარიტმა ინტერნაციონალისტმა“. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მომხდარ ბოლოდროინდელ მოვლენებს ბევრნაირად ხსნიან. მათ შორის არის ასეთი, ჩემი აზრით, საკმაოდ საფუძვლიანი ახსნაც: ამ ქვეყნებში დემოკრატიული განახლების ტალღას ბიძგი მისცა საბჭოთა გარდაქმნის ჩაშლის საშიშროებამ. თვით გარდაქმნამ კი არა, არამედ შიშმა, რომ გარდაქმნას შეაფერხებდნენ, და, რაც იყო, ისევ ის შემობრუნდებოდა, მათ შორის, დაბრუნდებოდა ადრინდელი დოქტრინებიც და ადრინდელი წყობაც; გაჩნდა შიში, რომ ამ ქვეყნებში ჩვენი ჯარები და შეიარაღებები სამარადჟამოდ დარჩებოდა, რომ გაგრძელდებოდა დამოძღვრა, ჭკუის დარიგება, საშინაო საქმეებში ჩარევა, გაგრძელდებოდა ამ ქვეყნების სვლა ცრუსოციალიზმის საბოლოოდ კომპრომეტირებული გზით კრახისა და რღვევისკენ.

ეს გზა არ შეესატყვისებოდა ჩვენს ინტერესებს, ჩვენი უშიშროების ინტერესებს. ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს ინტერესებს შეესაბამება სიტუაცია, რომლის დროსაც საბჭოთა კავშირი ემეზობლება თავისუფალ, დემოკრატიულ, აყვავებულ სახელმწიფოებს, — თანაბრად გახსნილს დასავლეთისკენაც და აღმოსავლეთისკენაც; და არ შეესაბამება ის სიტუაცია, როცა ჩვენს ირგვლივ ხელოვნურად იქმნება ფრიად საეჭვო და მორყეული რეჟიმების „სანიტარული კორდონი“, ჩვენს ინტერესებს შეეფერება ამ ქვეყნებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარდაქმნათა დემოკრატიული ხასიათი და

არა საკუთარ და სხვათა ხიშტებს ამოფარებული ხელისუფლება.

ჯარების გაყვანაზე უკვე ვთქვი. ის შეიძლებოდა ყოფილიყო არა ნაჩქარევი აქცია, არამედ ეტაპობრივი, მკაფიოდ რეგლამენტირებული პროცესი. უკვე 1987 წელს ამის თაობაზე იყო წინადადებებიც და განცხადებებიც. შეიძლებოდა სოციალურ ინფრასტრუქტურაზეც გვეზრუნა. დრო დადგა საამისოდ. და ეს დროც რომ ხელიდან იქნა გაშვებული, ამაში დიპლომატიას ყველაზე ნაკლებად მიუძღვის ბრალი. დეკლარაციული პატრიოტიზმი, რომელიც კითხვების დასმითა და ბრალდებების წამოყენებით ბაქიობს, — უნაყოფოა. პატრიოტიზმი თუ ჭეშმარიტია, მან უნდა იმოქმედოს.

ვაი რომ, „პატრიოტებს“ უმოქმედობაც სათნოებად ესახებათ. რაც უარესი, მით უკეთესი. და ისინი არ ჩქარობენ.

აუჩქარებლობას იგივე მიზეზი აქვს: არ სჯეროდათ, რომ ნათქვამი საქმედ იქცეოდა. ფიქრობდნენ, რომ განცხადებებსა და მათ შესრულებას შორის ისევ უშველებელი დისტანცია იქნებოდა. მაგრამ როცა დაინახეს, რომ ანგარიშში მოტყუვდნენ, — სისხლი მოითხოვეს. და, რაც განსაკუთრებით გულდასაწყვეტია, ხალხებს ფაშიზმისგან ევროპის გასათავისუფლებლად საბჭოთა ხალხის მიერ დაღვრილი სისხლი წამოაყვედრეს.

როცა პარტიის XXVIII ყრილობაზე გამოსვლის ტექსტს ვამზადებდი, ძლივს შევიკავე თავი, რომ ჩემს გამოსვლაში ერთი აღსარება არ შემეტანა, არ მესაუბრა იმ გრძნობებზე, ბრესტში, ციხე-სიმაგრის დამცველთა სახსოვრად აღმართულ სვეტთან მდგარს რომ დამეუფლა, იქ ჩემი უფროსი ძმის გვარი და სახელიც წერია. ვიდექი მემორიალურ ქვასთან და ვფიქრობდი იმაზე, რომ მე მის სისხლსაც მაყვედრიდნენ, რომ თითქოს მის სისხლს და მის ხსოვნასაც ვუღალატე, როცა „გერმანიის გაერთიანება დავუშვით“.

ჩემს თავს ამაზე ლაპარაკის უფლება ვერ მივეცი, თუმცა ეს პრობლემა ჩემი პირადი პრობლემაც არის. არადა, მილიონობით ადამიანის ხსოვნის ღალატი იქნებოდა, ისე მოვქცეულიყავით, რომ ფეხქვეშ გათელილიყო ის იდეალები, რომლებისთვისაც იბრძოდნენ და იღუპებოდნენ საბჭოთა ადამიანები; ისე მოვქცეულიყავით, რომ ამჟამინდელ პირობებ-

ში ქვეყნისა და ევროპის უშიშროებას ახალი საფრთხე შექმნოდა.

ასეთი სახით დანახული პოლიტიკა ბევრად უფრო ახლოს არის ჭეშმარიტ ადამიანობასთან, ვიდრე „გამარჯვების დათმობაში“ დადანაშაულებანი. კაცმა რომ თქვას, მათში ადამიანობის ნასახიც კი არ არის, სამაგიეროდ, მათში არის გარკვეული პოლიტიკა, რომლისთვისაც მხარის აბმა მე არ შემეძლო.

* * *

ბერლინის კედელი 1989 წლის ნოემბრის ღამეს დაინგრა. ერთი წლის შემდეგ, 1990 წლის ნოემბერში, პარიზში ხელმოწერილ იქნა ქარტია ახალი ევროპისთვის.

არ არის მართალი, თითქოს კედლის დანგრევას მხოლოდ საბჭოთა კავშირში გამოეწვიოს განგაში. ამ ამბავს დასავლეთშიც სერიოზული შეფიქრიანება მოჰყვა, როცა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მიშელ როკარმა თქვა, „რკინის ფარდის“ მოხსნამ ორივე მხარის მცხოვრებთ მოუსპო ერთგვარი კომფორტიო. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ „კომფორტში“ სტაბილურობა იგულისხმებოდა. მთელი თავისი უდავოდ პოზიტიური ხასიათის მიუხედავად, სწრაფი ტემპით მიმდინარე ასეთ მასშტაბურ ცვლილებებს, ყოველთვის ახლავს საფრთხე დესტაბილიზაციისა, რომელიც არ შეიძლება სურდეს არცერთ საღად მოაზროვნე ადამიანს, — სახელმწიფო მოღვაწე იქნება ის თუ „უბრალო მოკვდავი“.

კონტინენტისა და მთელი მსოფლიოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სივრცეზე შექმნილმა ქაოსისა და დაშლის საფრთხემ გვაიძულა გვემოქმედა, სწორი ფორმულა გვეძებნა. იგი მხოლოდ ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო: დინამიურობა სტაბილურობის ფარგლებში. ეს ფორმულა მოითხოვდა განსაკუთრებულ გულისყურს, წარმოსახვის უნარს და შეთანხმებულ პოლიტიკას.

ბერლინის კედლის დანგრევის დღიდან პარიზის სამიტამდე განვლილი წელიწადი იქცა ასეთი პოლიტიკის წლად. ყურადღება მიპყრობილი იყო საგარეო-პოლიტიკური კონტაქტების ყველა დონისადმი. საქმიანობა ორმხრივი და მრავალ-

მხრივი დიპლომატიის ფართო ფრონტზე გაიშალა. წარმოსახვას რაც შეეხება, მას ასაზრდოებდა ჩვენი ბუნებრივი სწრაფვა ჩამოგვეყალიბებინა ყველაზე უფრო რაციონალური, სიცოცხლისუნარიანი, და, რაც მთავარია, ქვეყანათა და ხალხთა უშიშროების უზრუნველმყოფელი საერთო-ევროპული წყობის ფორმები.

ამის წანამძღვრები ისტორიამ და ჩვენ, ახალი ევროპის ჩამოყალიბების პროცესის თანამედროვეებმა, შევქმენით.

ევროპის ერთიანობის, საერთო-ევროპული პროცესის ინსტიტუალირების, ინტეგრაციისა და საერთო-ევროპულ (სამართლებრივ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ, კულტურულ, ეკოლოგიურ) სივრცეთა ჩამოყალიბების გზით მიმავალი ევროპის შექმნის აზრმა ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. ეს შესანიშნავი რამ იყო, მაგრამ უკვე აღარ კმაროდა.

მინდა შეგახსენოთ: ევროპული ერთიანობის ფილოსოფიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მისი ყველა მოდიფიკაცია მეცნიერებასა და პოლიტიკაში „ევროპული იდეის" (ან „ევროპის იდეის", ცნებით გამოხატული, — ერთ შემთხვევაში ევროპის გაერთიანების სხვადასხვა პროექტს რომ აღნიშნავდა, სხვა შემთხვევაში კი — ევროპის ცხოვრების ეკონომიკური და კულტურული საერთაშორისო პირობების კომპლექსს, — უკვე წარსულის კუთვნილებად მიგვაჩნდა.

მე უკვე გავიხსენე ჟან-ჟაკ რუსოს სიტყვები ჰერცოგ სიულის „დიადი პროექტის" შესახებ. დიახ, იმ ეპოქის ევროპა ობიექტურად არ იყო მზად გაერთიანების პროექტის რეალიზაციისთვის. იმასაც ვფიქრობ, რომ არც მანამდე, არც შემდეგ ერთიანი ევროპის არცერთ გეგმას არ გააჩნდა რეალური საფუძველი.

არსებობს კი ეს საფუძველი ამჟამად? — ვეკითხებოდით საკუთარ თავს. ან, რუსოს სიტყვებით რომ ვთქვათ, საკმაოდ შესაფერია თუ არა ამ გეგმებისთვის ამჟამინდელი ევროპა? ეს კითხვები ამაო კითხვები სულაც არ იყო ისეთ ვითარება-

ში, როცა ომისშემდგომი სტრუქტურები სწრაფად ინგრევა, როცა კონტინენტის გათიშვის დასაძლევად მოძრაობა დაიწყო, როცა თვით მოვლენათა განვითარება შემოუძღვა საერთო-ევროპული სახლის იდეას პრაქტიკული პოლიტიკის სფეროში. და სწორედ ამავე კონტექსტში უნდა გაეცეს პასუხი კითხვას: საკმარისად კარგია თუ არა ევროპის ამჟამინდელი ვითარებისთვის შემოთავაზებული პროექტები? ისინი საიმედოდ მოაგვარებენ თუ არა სტაბილიზაციისა და უშიშროების პრობლემებს?

ახალი პოლიტიკური აზროვნება დიდად დაშვრა იმისთვის, რომ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებიდან აღმოფხვრილიყო იდეოლოგიური კომპონენტი და მასთან დაკავშირებული შეურიგებელი კონფრონტაციის სულისკვეთება. ახალ პოლიტიკურ აზროვნებას თავისი გამომხატველებისა და გამტარებლების მშვენიერი სულიერი თვისებები კი არ წარმართავდა, არამედ კონტინენტის წინაშე მდგარი საერთო საფრთხის შეგნება, გამალებული ბირთვული შეიარაღებისა და ჩვეულებრივ შეიარაღებათა, ეკონომიკის ჩამორჩენის, ეკოლოგიური კატასტროფის გამო ევროპის ქვეყნების საერთო პასუხისმგებლობის გაცნობიერება. ახალ პოლიტიკურ აზროვნებას არ შეეძლო, აგრეთვე, თავისი თვალთახედვიდან გამოერიცხა ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტური წანამძღვრები და ამის საფუძველზე წარმოშობილი პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებმაც ევროპა მოიცვა და რომლებიც დაახლოებისკენ ისწრაფოდნენ მეტწილად.

ასეთი დაახლოების საფუძვლად იქცა საერთოევროპული პროცესი. ეს არის მთავარი, საკვანძო, სტრატეგიული ცნება იმ თვალსაზრისთა წყებაში, რომელთა მიზანია თანასწორუფლებიან ერთა ერთიანი ევროპის შენება, ისე რომ ერთა სახელმწიფოებრიობა და საზღვრები ურყევ კონსტანტებად იქნეს აღიარებული. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თათბირმა განსაზღვრა ამ მიზნისკენ სავალი გზე-

ბი. ყოველივე ამის გათვალისწინებით საბჭოთა კავშირში გარ-დაქმნამ გააფართოვა ეს გზები და მოაახლოვა მიზანი.

ევროპის თვისობრივად სხვაგვარი მდგომარეობისკენ მი-მავალ გზაზე პრინციპულად ახალ მიჯნად იქცა საერთოევ-როპული შეხვედრა ვენაში, რომელიც 1989 წლის იანვარში შედგა.

ჩემი აზრით, ევროპა წარსულში არ იცნობდა ასეთ დია-ლოგს, — დაძაბულს, ზოგჯერ დრამატულს, მაგრამ, ამასთან ერთად, უპრეცედენტოდ მიზანსწრაფულსა და დემოკრატი-ულს.

აი, რატომ მიგვაჩნია ვენის ეს შეთანხმებები არა მხოლოდ საერთო-ევროპული პროცესის განვითარებაში გადადგმულ დიდ ნაბიჯად, არამედ ისეთ ფაქტადაც, რომელმაც კონტი-ნენტი უშიშროებისა და თანამშრომლობის კიდეკ უფრო მა-ღალ დონეზე აიყვანა.

ვენამ მარტო ის კი არ დაგვანახა, თუ რა რთულია ეს გზა, არამედ ისიც, რომ ამ გზის გავლა შესაძლებელია.

ვენის შეხვედრა მხოლოდ ევროპისთვის არ ქცეულა გარ-დატეხად. ჩვენი კონტინენტი კუნძული არ არის. ჰელსინკში დაწყებულმა პროცესმა ევროპა აქცია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში ცენტრალურ რგოლად. ჩვენი მრავალმხრივი დიალოგი და მრავალგვარი თანამშრომლობა აშშ-ისა და კანადის გავლით ახალ სამყაროს აღწევს, ურალს იქით კი — აზიას. და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქ-მედებენ უშიშროების, ჰუმანურობისა და თანამშრომლობის ჰელსინკისეული განზომილებები.

ფორმულა ერთიანობისა, რომლის შექმნაც ჩვენ გვეწადა დიდ სივრცეზე ატლანტიკიდან ურალამდე, თავის თავში შე-იცავს „ოქროს კვეთს“, რომელიც ამ ფორმულაში ადგილს მიუჩენს აღმოსავლეთის კოლოსებსაც და დასავლეთის გი-განტებსაც.

ვენის შემდეგ გაიმართა მრავალფეროვან შეხვედრათა

შთელი წყება, რომლებიც ეძღვნებოდა ევროპაში თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტს, ინფორმაციულიდან მოკიდებული იდეოლოგიურამდე. როგორც იქნა, დასრულდა მოლაპარაკებები ჯარებისა და ჩვეულებრივ შეიარაღებათა შემცირების, ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. ევროპის ეკონომიკური და სამართლებრივი სივრცის შექმნა, მასში არსებულ ინტეგრაციულ სისტემათა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა რეალობად წარმოგვიდგა. ამ მიმართებით განსაკუთრებით გამორჩეულად მიმაჩნია ვიზიტი ბრიუსელში, შეხვედრები და საუბრები ბელგიის, ევროპის ეკონომიკური საზოგადოებების, ევროპარლამენტის, ნატოს ხელმძღვანელებთან. პირადად ჩემთვის ვიზიტის მთავარი შედეგი ის იყო, რომ განმიმტკიცდა ერთიანი ევროპის პროექტის სიცოცხლისუნარიანობის რწმენა. მაშინ, ბრიუსელშივე, ხელახლა დავრწმუნდი, თუ რაოდენ გამართლებულია ჩვენი მიდგომა ევროპის ინტეგრაციისადმი, როგორც დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენისადმი, ევროპულ საზოგადოებებთან და ევროპარლამენტთან აქტიური თანამშრომლობის მოგვარებისადმი.

სსრკ-სა და ევროპულ საზოგადოებებს შორის შეთანხმება ვაჭრობის, კომერციული და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ დიდი ნაბიჯი იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ურთიერთადაპტაციის, მათი გათიშულობის დაძლევის, საერთოევროპული ეკონომიკური სივრცის შექმნის გზაზე.

ამგვარად, ჩემი ღრმა რწმენით, ევროპულ იდეას ჰქონდა რეალიზაციის, — თუმცა შენელებული, ეტაპური, მაგრამ მაინც ნამდვილი რეალიზაციის, — ისეთი მახსი, წარსულში რომ არასდროს ჰქონია.

რა ფორმით და სტრუქტურით რეალიზაციისა?

ამის თაობაზე იმთავითვე დაიწყო პრაქტიკულ იდეათა და კონცეპტუალურ მიდგომათა ბირთვის ფორმირება.

ფაქტობრივად ერთ ნაკადად შეერთდა და ერთ კალა-

პოტში მოექცა საფრანგეთის პრეზიდენტ ფ. მიტერანის იდეა ევროპული კონფედერაციისა, აშშ-ის პრეზიდენტ ჯ. ბუშის იდეა ერთიანი დემოკრატიული ევროპისა, გფრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრ ჰ. დ. გენშერის იდეა ევროპაში ახალი შშვიდობიანი წესრიგისა, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ. ეისკენსის იდეა ევროპული თანამშრომლობის საბჭოს შესახებ, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრ ი. დინსტბირის იდეა ევროპული უშიშროების კომისიის შექმნისა და სხვ.

ჩვენც გვქონდა ამის თაობაზე წინადადებები, რომლებიც საერთოევროპული პროცესის მუდმივი ინსტიტუტებისა და კონტინენტის უშიშროებისთვის ახალი სტრუქტურების შექმნას ითვალისწინებდნენ. ევროპაში მიმდინარე მოვლენების ძლიერი ზეგავლენით მომწიფდა საერთო აზრი, რომ აუცილებელი იყო ამ თვალსაზრისთა კოლექტიური განხილვა. რომში მ. ს. გორბაჩოვის მიერ წამოყენებულ წინადადებას, რომ 1990 წელს უმაღლეს დონეზე საერთო-ევროპული შეხვედრა შემდგარიყო, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

მაგრამ მთლად დასაწყისიდანვე ნათელი გახდა, თუ რა მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული ახალი ევროპის შექმნის შანსები და გერმანიის პრობლემა, ვენის მოლაპარაკებათა შესაძლო შედეგები და ევროპის ცენტრში სამხედრო კონცენტრაციის შემცირების შესახებ შეთანხმებები, სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებად გათიშვის დაძლევა და უშიშროების მუდმივი საერთოევროპული სტრუქტურების ფორმირება. ისტორიას აქამდე არასოდეს გაუკვანძავს ერთმანეთთან გადასკვნილი პრობლემების ასე დახლართული კვანძი და არც არასდროს მოუთხოვია მისი ასე სასწრაფოდ გახსნა. ევროპა მხოლოდ მითიურმა არსებამ კი არ გაიტაცა, არამედ მტრობამ და განხეთქილებამაც. ახლა მას შეეძლო დაბრუნებოდა საკუთარ თავს, გამხდარიყო ისეთი, როგორადაც მუდამ ესახებოდათ მის საუკეთესო, ყველაზე გონიერ

შვილებს. მაგრამ იმისათვის, რომ ეს ბოლოს და ბოლოს მომ-ხდარიყო, აუცილებლად უნდა მოგვარებულიყო უძნელესი საქმეები. არ დაგიმალავთ, ზოგჯერ ეს შეუძლებელიც კი ჩანდა.

ოტავიდან არხიზამდე. მძიმე დღეები გზის ბოლოს

როდის მიხვედით თქვენ იმ დასკვნამდე, რომ გერმანიის გაერთიანება გარდაუვალია? — მკითხა ჰანს-დიტრიხ გენშერმა.

საუბარი ჩემი გადადგომის შემდეგ მოხდა მოსკოვში, ჩემს ბინაში, და მე, რაკი აღარ ვიყავი აღარავითარი სამსახურებრივი და პოლიტიკური ვალდებულებებით შეზღუდული და თანაც ყველა მიღწეული შეთანხმება უკვე რატიფიცირებული იყო, შემეძლო მისთვის სავსებით გულახდილად, გულწრფელად მეპასუხა:

— ჯერ კიდევ 1986 წელს.

უკვე მაშინ ჩვენს ერთ დიდ გერმანისტთან საუბარში გამოვთქვი აზრი, რომ ეს პრობლემა მალე წამოიჭრებოდა. ვთქვი, რომ უახლოეს მომავალში ევროპისთვის მთავარ და გადამწყვეტ საკითხად იქცეოდა გერმანიის პრობლემა. ხალხის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი გახლეჩის შედეგად ეს უკვე ეროვნული საკითხი იყო. ეს იყო საკითხი იმ ერის ერთიანობისა, რომელსაც არ ხურდა იდეოლოგიის, იარაღისა და რკინაბეტონის კედლებით ყოფილიყო გათიშული.

მხოლოდ ზედაპირულმა ხედვამ შეიძლება მიიჩნიოს პრობლემის ასე დანახვა სინამდვილის ემოციურ-ზნეობრივ აღქმად. შინ და გარეთ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კვლავ დაგვარწმუნა, რომ ეროვნული გრძნობა სერიოზული ფაქტორია და პოლიტიკა მოვალეა ანგარიში გაუწიოს მას. კონტინენტის ცენტრში ორი გერმანიის არსებობა თანამედროვე ვითარებაში ანომალია იყო, რომელიც მის უშიშროებას საფრთხეს უქმნიდა, და უნდა მოგვეფიქრებინა, პოლიტიკური საშუალებებით როგორ აგვეცდინა მოსალოდნელი უმართავი პროცესი.

მაგრამ იმ მომენტში, როცა ჩვენი ეს პროგნოზი გამოითქვა, პრინციპულ დონეზე საკითხის ასე დასმა შეუძლებელი ჩანდა. მეტისმეტად ღრმად ჰქონდა ცნობიერებაში ფესვები გადგმული იმის რწმენას, რომ ორი გერმანიის არსებობა ჩვენი ქვეყნისა და მთელი კონტინენტის უშიშროების საიმედო გარანტიაა. რომ ეს უშიშროება კოლოსალურად ძვირი დაჯდა და ამისთვის ანგარიშის გაუწევლობა არ იქნებოდა. ოცი-

ნა და გამარჯვების ხსოვნა უმიშროების საზღვრების შესახებ ახალ წარმოდგენებზე ძლიერი იყო და ჩვენ ამის უგულველყოფა არ შეგვეძლო.

როცა თვით მოვლენების სწრაფმა განვითარებამ გვიბიძგა ამ პრობლემის გადაჭრისაკენ, მაშინაც კი ჩვენგან არავის შეეძლო, ვერავინ მისცემდა თავს უფლებას, რომ გერმანიის ერთიანობის იდეის გამო ჩვენს ადამიანებში ჩაბუდებული შეშფოთება არ გაეთვალისწინებინა. მოლაპარაკების დოკუმენტებთან ერთად ყოველთვის იდო ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე სერიოზული „მასალა“, რომლის განზე გადადებაც შეუძლებელი იყო. ის მოამზადა ისტორიამ და ხალხის გამოცდილებამ, ერთ საუკუნეში გერმანიის მიერ გაჩაღებული ორი მსოფლიო ომის ხსოვნამ, მოამზადა ხსოვნამ უკანაკნელი ომისა, რომელმაც მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში 27 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ამაო იქნებოდა მოწოდება მიმტევებლობისა და გულმოწყალებისკენ, მტკიცება იმისა, რომ ყველა ხალხს, — მით უმეტეს, კოლოსალური შემოქმედებითი პოტენციის მქონე და სიცოცხლის აღორძინებაში ამ პოტენციის ხორცისშემსხმელ ხალხს, — აქვს უფლება, სურდეს ერთიანობა, თვითგამორკვევა. ამაოდ შევეცდებოდით იმის ჩვენებას, რომ, მიუხედავად უომრად ჩავლილი ორმოცდახუთი წლისა, რაც, თითქოს, 1945 წლის შემდეგ ევროპაში დამყარებული წესრიგის შედეგი იყო, ომი მაინც გრძელდებოდა და ჩვენგან მსხვერპლის გაღებას ბოლო არ უჩანდა. შიშმა, უნდობლობამ, სიძულვილმა, აფეთქების განუწყვეტელმა მოლოდინმა, სამხედრო დაპირისპირების გამო უზარმაზარმა დანახარჯებმა მოიტანა მიჯნის აქეთა მხარეს გაჭირვებული და გაღატაკებული ცხოვრება. ყოველივე ამან გამარჯვებულები, არსებითად, დამარცხებულებად აქცია.

ყველაფერი ამაო იყო. პოლიტიკურ გონიერებას ნაკლები შანსი რჩება, თუ გულისტკივილი ჯაბნის ყველაფერს. პოლიტიკურ გონიერებას შეუძლია შანსის მოპოვება, თუ ეს ტკივილი გაყუჩდება იმით, რომ შემოთავაზებულ ღონისძიებათა განხორციელება არ შეარყევს სამართლიანობის გამარჯვების რწმენას და მსხვერპლთა ხსოვნას არ შეურაცხყოფს ეჭვი, რომ მას უღალატეს. ასეთი იყო ზნე-

ობრივი იმპერატივი და ემოციური ფონი, პრობლემის პოლიტიკური ჭრილი კი პირველ პლანზე წამოსწევდა უშიშროების გარანტიათა პრობლემას.

ამიტომ ჩვენ გერმანიის გაერთიანების საგარეო ასპექტების რეგულირება თავიდანვე დავუკავშირეთ ევროპის უშიშროების ახალ სტრუქტურათა ჩამოყალიბებას. ამიტომ გვეწადა, გერმანიის გაერთიანება ქცეულიყო საკმაო დროის მომცველ პროცესად. ყველაფერთან ერთად, ეს აუცილებელი იყო, რათა საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი შემზადებულიყო ამ მოვლენის ობიექტური ხასიათის გასაგებად. ამიტომ ასე დიდხანს არ ვთანხმდებოდით გაერთიანებული გერმანიის ნატოს წევრად გახდომას; ამიტომ ვეძებდით ორივე მხარისთვის მისაღებ გადაწყვეტილებას, რომელიც მოგვცემდა იმის გარანტიას, რომ გერმანიის რემილიტარიზაცია არ მოხდებოდა და „დრანგ ნახ ოსტენის“ პოლიტიკა არ განახლდებოდა.

ჩვენი პოზიციების ევოლუციის საბაბითა და მიზეზთა შესახებ ყველა კითხვას მე ასე ვუპასუხებდი: მოაპყარით მზერა ჩვენს ქვეყანას და იმ ვითარებას, რომელშიც აღმოჩნდა ის 1990 წლის დასაწყისში. ჩაიხედეთ ხალხის გულში და ნახეთ, კარდაქმნის მტრები როგორი გააფთრებით ჭიმაკდნენ ხალხის სულის ისედაც დაჭიმულ სიმს. ის სიმი შეიძლებოდა გამწყდარიყო.

* * *

1990 წლის თებერვალში დათოვლილ ოტავაში „ღია ცის“ პრობლემის გამო შედგა საერთაშორისო კონფერენცია. ის მუშაობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორუმების ჩასატარებლად გადაკეთებულ ძველ ვაგზლის შენობაში. ჩვენი კონფერენციის „მატარებელი“ ბაქანს იმ იდეებით დატვირთული სულაც არ მისდგომია, რომლებსაც დღის წესრიგი გვპირდებოდა. „ღია ცა“ გერმანიის ერთიანობის პრობლემით აღმოჩნდა დაბინდული. ყველა ორატორი ამა თუ იმ ფორმით ეხებოდა მას, კულუარებში კი ლაპარაკობდნენ, „მატარებელმა დაიგვიანაო“. გდრ-ში პრობლემები ისეთნაირად ვითარდებოდა, რომ საჩქაროდ უნდა მიღებულიყო რაღაც ზომები.

ჩვენ, როგორც მაშინ გვეჩვენებოდა, ხანგრძლივ გზას ვად-

გებოდით, ვიწყებდით „ორი პლუს ოთხის“ მექანიზმის სწრაფად ფორმირებას.

ჰანს-დიტრიხ გენშერმა მაშინ თქვა, რომ განხეთქილების გადალახვასთან ერთად, მის ქვეყანაში ესწრაფვიან ევროპული გერმანიის და არა გერმანული ევროპის შექმნას. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა გამოთქვა რწმენა, რომ ევროპელი ხალხები მოგებულნი დარჩებოდნენ სუვერენული, დემოკრატიული, გაერთიანებული გერმანიის შექმნით.

მეც, ბუნებრივია, ეს მინდოდა და ძწამდა, რომ გარანტიებს უზრუნველყოფდა თვით „ოტავის ექვსეულის“ მუშაობის ხასიათი, მიმართულება, ატმოსფერო და, რასაკვირველია, — ამ მუშაობის შედეგები, ექვსეულის დასახასიათებლად ნაშდვილად არ იკმარებოდა ცივი სიტყვა „მექანიზმი“.

შეხვედრები ბონში, ბერლინში, პარიზში, მოსკოვში; ბატონი გენშერისა და ჩემი მოლაპარაკებები ჟენევაში, ვინდჰუკში, ბრესტში, მიუნსტერში... რამდენი მღელვარება, განცდა, ნებისყოფის, ინტელექტის, სულის დაძაბულობა, ძოძავლის შიშის დრამატული დაძლევა და იმედია დაკავშირებული ამ შეხვედრებსა და საუბრებთან, რომლებშიც, მათი საქმიანი ხასიათის მიუხედავად, ასობით ადამიანი იყო ჩაბმული. „ჩქაროსნულ დიპლომატიას“, ტემპთან და რიტმთან ერთად, ჰქონდა უდიდესი ძალა და უდიდეს ტვირთსაც ეზიდებოდა. და ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა შეიძლება მაღალფარდოვნებად არ ჩამომერთვას, თუ ვიტყვი: ეს იყო ძძიმე ტვირთი პასუხისმგებლობისა, რომელიც დაგვაკისრეს ჩვენმა ხალხებმა, ევროპის ხალხებმა. მე მგონია, რომ მრგვალ და თან წახნაგოვან მაგიდასთან მჯდომი ექვსივე მინისტრი ფიზიკურად გრძნობდა ამას.

ახლა იმის თაობაზე, თუ როგორ ჩამოითალა, როგორ შემოსწორდა ეს მახვილი კუთხეები, კერძოდ, — ჩვენს მუშაობაზე მოგახსენებთ. ბუნებრივია, პირველ რიგში ვილაპარაკებ საბჭოთა კავშირის წვლილზე, მის პოზიციაზე.

აქედანვე შევეცდები მკაფიოდ დავაფიქსირო ორი მომენტი.

პირველი: ჩვენი სასტარტო პოზიცია არსებითად განსხვავდებოდა ფინალური პოზიციისგან. თუ რატომ, — ზემოთ აღვნიშნე. ევროპაში ზოგნი მიიჩნევდნენ, რომ ჩვენ განზრახ

ვჯიუტობდით, რათა გადაწყვეტილების მიღება გაგვეჭიანურებინა. ზოგი ჩვენი თანამემამულე, პირიქით, გვისაყვედურებდა, რომ მეტისმეტად დამყოლნი ვჩანდით, ვერ ვახერხებდით ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების ტორპედირებას თუ არა, დამუხრუჭებას მაინც. მათი აზრით, გერმანიის გაერთიანება საბჭოთა კავშირის „ძირეულ ინტერესებს“ არ შეესაბამებოდა.

მეორე მომენტი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული პირველთან: ჩვენთვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ გერმანიის გაერთიანებას წინააღმდეგობას არ გავუწევდით. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ეს დაუპირისპირდებოდა ჩვენს პოლიტიკურ პრინციპებსა და განცხადებებს, არამედ ელემენტარულ ზნეობასაც, რომლისთვისაც მიუღებელია პოლიტიკური ინტერესების გამო ხალხებისა და ქვეყნების დაყოფა. როგორც მოგახსენეთ, ჩვენს წინაშე ყოველთვის იდგა არანაკლებ სერიოზული არჩევანი, რომელიც ისტორიის ტრაგიკულ გამოცდილებასა და ჩვენი საკუთარი ხალხისადმი პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული.

ჩვენ წინაშე თავიდანვე წამოიჭრა კითხვა, როგორი გერმანია უფრო შეესაბამება ჩვენს ინტერესებს: დანაწევრებული გერმანია, რომელიც გულში იხვევს პოტენციური აფეთქებების მომასწავებელ მწარე წყენას, რომელსაც თავისი დამცირებული მდგომარეობის გამო უჩნდება სახიფათო კომპლექსი, სრულიად შეუსაბამო მის სულიერ — ინტელექტუალურ, ეკონომიკურ და კულტურულ-შემოქმედებით პოტენციალთან; თუ გაერთიანებული, დემოკრატიული გერმანია, რომელსაც თავისი სამშვიდობო მისიის რეალიზაციით მოპოვებული ექნება უფლება, რომ თავისი ადგილი მიეკუთვნოს საკუთარი ხვედრის მქონე სხვა სუვერენულ სახელმწიფოთა რიგში.

ახლა ცნობილია, თუ როგორი პასუხიც გაეცა ამ კითხვას.

დათმობას რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ ჩვენ რეალური ვარიანტი ბევრი არ გვქონია. მკაცრად რომ ვთქვათ, ორი ვარიანტი გვქონდა.

პირველი: მექანიზმ „ორი პლუს ოთხისა“ და საერთოევროპული პროცესის ფარგლებში მიგვეღწია ისეთი შეთანხ-

მებისათვის გერმანიის გაერთიანების საგარეო ასპექტების საბოლოო საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების საქმეში, რომელიც ხელს შეუწყობდა ჩვენს უშიშროებას და მეორე ვარიანტი: გდრ-ში მდგარი ჩვენი ნახევარმილიონიანი ჯარი გამოგვეყენებინა გაერთიანების ბლოკირებისთვის. ადვილი წარმოსადგენია, რა მოჰყვებოდა ამას.

მაგრამ, როგორც შემდგომ დავრწმუნდი, ეს ყველას არ წარმოედგინა. რას გვთავაზობდნენ ჩვენი ოპონენტები? რადიკალურად უნდა შეგვეშალა ხელი გერმანიის გაერთიანებისათვის, რაღაც უნდა გვეღონა. მაგრამ რა? როგორც ზოგი ამბობდა, ორი გერმანიის საზღვრებზე ჩვენი დივიზიები ჩაგვეყენებინა საომრად და საფარად? ტანკების მოტორები აგვემუშავებინა? მაგრამ ეს ხომ ომის დასაწყისია. დიახ, დიახ, ნუ გაოცდებით, — დასაწყისი მესამე მსოფლიო ომისა. ჯარებისა და შეიარაღების ისეთი კონცენტრაციისას, როგორიც ცენტრალურ ევროპაში იყო, ყოველი ძალისმიერი დაპირისპირება დიდ საფრთხეს ქმნიდა. მერწმუნეთ, ეს დასკვნა მეტად სოლიდური მონაცემების უაღრესად სერიოზული ანალიზის ნაყოფია.

ჩვენ მეორე გზა ავირჩიეთ; დარწმუნებული ვიყავით, რომ მხარს დაგვიჭერდა ყველა, ვისაც არ სურდა კატასტროფა დასტყდომოდა თავს ევროპასაც და ჩვენს ქვეყანასაც. აი, პასუხი იმათ, ვინც მიიჩნევდა და მიიჩნევს, რომ გერმანიის გაერთიანებას არ უნდა დავთანხმებულიყავით.

* * *

ჭეშმარიტების წინაშე შევცოდავდი, თუ ვიტყოდი, რომ „ექვსეულს“ პირველივე ნაბიჯებიდან იოლი გზა ჰქონდა. სტარტი სწრაფი იყო, მაგრამ არა მარტივი. მგონი, ოტავაში დაჩივლა პირველად ჯ.-დ. გენშერმა ჩემი „გასალკლდეკების“ გამო. ჩვენ დაუნდობლად ვკამათობდით.

მეტისმეტად ბევრი მიზეზი გვქონდა შფოთისა და შიშისთვის, გვიჭირდა ჩვენი პარტნიორების ყველა წინადადებისა და ფორმულირების ერთბაშად მიღება.

ისევ 1989 წლის შემოდგომა გავიხსენოთ. ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ ორივე გერმანულ სახელმწიფოში ძალის მოკრება დაიწყო „ბლიცგაერთიანების“ ტენდენციამ. მხო-

ლოდ მოსახლეობა რომ შეეპყრო ეიფორიას, არა უშავდა — მან გფრ-ის საკმაოდ გავლენიანი წრეებიც ჩაითრია. მკაცრ პოლიტიკურ რეალობათა მიუხედავად, ისინი გდრ-ის „თვითგამორკვევის“ მოწოდებებიდან საკმაოდ სწრაფად გადავიდნენ რჩევებზე, — რომლებიც უფრო წააგავდა მითითებებს, — თუ როგორ და რა ვადებში უნდა შეეცვალა ქვეყანას თავისი სახელმწიფოებრივი წყობა. ამასთან, აშკარად უგულვებელყოფილი იყო საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების კანონიერი ინტერესები. ჩანდა, რომ გერმანიის საკითხის გადაწყვეტა ცალმხრივად და თვითნებურად ივარაუდებოდა.

ყოველივე ამას, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა საბჭოთა კავშირის მხრიდან შესატყვისი რეაქცია არ მოჰყოლოდა. მოსკოვის სიგნალების პასუხად გაისმა რიტორიკა გერმანელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების შესახებ. მაგრამ ამაზე თვითონ ჩვენც ხომ არასოდეს ვეუბნებოდით უარს გერმანელებს. თვითგამორკვევის უფლებაზე საუბრების მიმართ ალერგია არ გვქონია. მაგრამ იმ დღეებში ამ რიტორიკაში აშკარად გამოიკვეთა მისწრაფება, რომ სათუო გაეხადათ საკითხის განხილვასა და გერმანიის ერთიანობის საგარეო ასპექტების გადაწყვეტაში სსრკ-ის მონაწილეობა, არადა, მომხდარ ფაქტს შევრიგებოდით.

ბრიუსელში ევროპის პარლამენტის პოლიტიკური კომისიის თათბირზე მე მ. ს. გორბაჩოვის დავალებით დეტალურად ჩამოვაყალიბე ჩვენი დამოკიდებულება იმასთან, რაც ხდებოდა. ჯერჯერობით ეს იყო გდრ-ში მიმდინარე მოვლენების შედეგად წამოჭრილი კითხვების წყება. ეს კითხვები მარტო ევროპას როდი დაესვა, — ჩვენ საკუთარ თავსაც ვუსვამდით ამავე კითხვებს.

საერთოდ კი უკვე თავიდანვე ცხადი გახდა, რომ გერმანიის გაერთიანება არც ისე შორეული პერსპექტივა იყო. ჩვენ შეგნებული გვქონდა პასუხისმგებლობა და, ბუნებრივია, არ ვაპირებდით განზე გადგომას. მიზანიც, არსებითად, ნათელი იყო: უშიშროების გარანტიები სსრკ-სა და ევროპისთვის.

დასავლეთში ჩვენმა პარტნიორებმაც, შესაძლოა, ერთბაშად ვერა, მაგრამ, როგორც მე მესახება, საკმაოდ მალე გაიგეს ეს.

რა გარანტიებზე იყო საუბარი? პირველი: შეიარაღებათა რეალურ შემცირებაზე ევროპაში, მათ შორის გერმანულ მიწაზეც; მეორე: ერთიანი გერმანიის შენების პროცესის შეხამებაზე უშიშროების საერთოევროპული სტრუქტურების ფორმირებასთან; მესამე: ნატოს რეფორმაციასა და კავშირებს შორის ახალ ურთიერთობებზე.

ისევ დაბეჯითებით უნდა ვთქვა: ერთმანეთისგან გაუთიშავი ამ სამი ამოცანის გადაჭრა, ჩვენი აზრით, შეესაბამებოდა არა მარტო სსრკ-ის, არამედ ევროპის ყველა სხვა სახელმწიფოს ინტერესებსაც. დასავლეთში ესეც საკმაოდ ჩქარა გაიგეს.

ბრიუსელში ჩემი გამოსვლისას, შექმნილი სიტუაციისა და, რა თქმა უნდა, სსრკ-ის უშიშროების ინტერესების გათვალისწინების შედეგად, მტკიცედ განვაცხადე, რომ რეალურ სიბრტყეზე გერმანიის გაერთიანების საკითხის დასმა უბრალოდ შეუძლებელია, თუ სხვა სახელმწიფოების კანონიერი ინტერესები არ იქნება გათვალისწინებული, თუ სიცხადე არ მოეფინება ბევრ მნიშვნელოვან საკითხს.

განა მუქარა იყო ეს? და ჩვენ განა არ გვქონდა უფლება, ევროპელებისა და საკუთარი თავისთვის დაგვესვა კითხვები, რომელთა პასუხებზეც ეკიდა ჩვენი მომავლის ბედი?

ჩვენ მხედველობაში გვქონდა, ჯერ ერთი, — პოლიტიკური, იურიდიული და მატერიალური გარანტიები იმისა, რომ გერმანიის ერთიანობა მომავალში საფრთხეს არ შეუქმნიდა სხვა სახელმწიფოთა უშიშროებას; მეორეც, — გაერთიანებული გერმანიის მზადყოფნა, რომ აღიაროს ევროპაში არსებული საზღვრები; მესამეც, — ახალი ევროპული გერმანული წარმონაქმნის სამხედრო-პოლიტიკური სტატუსი; მეოთხეც,— ერთიანი გერმანიის შენების პროცესის სინქრონიზაცია ჰელსინკის პროცესთან და ევროპის გათიშვის დაძლევისთვის ხელის შეწყობა.

გათვალისწინებული იყო სხვა კითხვებიც, რომლებიც შეეხებოდა გერმანიის დემილიტარიზაციას, მის ნეიტრალურ სტატუსს, მის დამოკიდებულებას გერმანულ მიწაზე მოკავშირე ჯარების ყოფნასთან, ბერლინის საკითხში ოთხმრივ შეთანხმებასთან და ა. შ. ამ კითხვებზე პასუხი მაშინ, არსებითად, არ ჩანდა და ამას არ შეიძლებოდა არ შევეშფოთებინეთ.

მეორე მხრივ, ჩვენს ეჭვს არ იწვევდა ამ კითხვების მიზანშეწონილობა, რასაც ვაუწყებდით კიდეც ჩვენს პარტნიორებს.

შემდგომში ეს კითხვები ყველა დაინტერესებულ მხარესთან ჩვენი მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების დღის წესრიგში დადგა.

და, ჩემი აზრით, მთავარი, რაც ბრიუსელში ჩემი გამოსვლიდან უნდა გამოიყოს, ის არის, რომ ამით მოსკოვი აქტიურად ჩაერთო გერმანიის გაერთიანების პროცესში.

ვერასოდეს ვერ დავივიწყებ 1990 წლის თებერვლის ცამეტს. ოტავა, რომელიც, ხატოვანად რომ ვთქვა, „ორი პლუს ოთხის“ მექანიზმის ბებიაქალად იქცა, ხუთი საუბარი ბეიკერთან, სამი — გეიშერთან, — თანაც, მისთვის და ჩემთვისაც ურთულესი საუბრები,—მოლაპარაკებები დიუმასთან, ჰერდთან, სკუბიშევსკისთან, სხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან. და ეს ყველაფერი ერთი დღის განმავლობაში, დღისა, რომელიც „ექვსეულის“ დაბადებით დაგვირგვინდა.

მახსოვს, იქვე, ოტავაში, კანადის პარლამენტში გამოსვლისას, ვთქვი: „შეიძლება სხვადასხვაგვარად ვეკიდებოდეთ მსოფლიოში არსებულ მდგომარეობას, მაგრამ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ, მსოფლიომ, ალბათ, პირველად მიაღწია ყველასთვის მისაღებ პოლიტიკურ სტაბილურობასა და მდგრადობას. ასეთ სიტუაციაში აუცილებელია ყოველი ნაბიჯის აწონ-დაწონა, ფრთხილად და წინდახედულად მოქმედება.

ზოგიერთ პოლიტიკოსს კი სურს, რომ დროის ხუთწუთიანი ლიმიტით პოლიტიკური პარტია გაითამაშოს. გონივრულია თუ არა ეს, როცა სასწორზეა შეგდებული, გადაუჭარბებლად რომ ითქვას, ყველა ხალხის მშვიდობა და უშიშროება?“

ჩემივე ციტატების მოყვანის უფლება ორი მიზეზის გამო მივეცი თავს. ჯერ ერთი, იმისთვის, რომ წარმომეჩინა გერმანიის საკითხისადმი ჩვენში მაშინდელი მიდგომის პოლიტიკური კონტექსტი. მეორეც, ოტავაში გამოთქმული მოსაზრება ჩემთვის მრავალმხრივ უნივერსალურია.

იქ, ოტავაში, პირველად გაისმა მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ გერმანიის საკითხი 1990 წლის ბოლოს ევროპის ქვეყნების, აშშ-ისა და კანადის უმაღლეს დონეზე შეხვედრის

დღის წესრიგში ერთ-ერთი მთავარი საკითხი უნდა ყოფილიყო.

მალე ოტავიდან მოსკოვში დაბრუნებულმა გაზეთ „იზვესტიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღვნიშნე, რომ გერმანელი ხალხის გაერთიანების პროცესს, ალბათ, რამდენიმე წელიწადი დასჭირდებოდა.

ჩინებული საბაბია იმისთვის, რომ შორსმჭვრეტელობა დამიწუნონ. რა გაეწყობა, მზადა ვარ, ეს საყვედური მივიღო, მაგრამ ერთი არსებითი შენიშვნით: საგარეოპოლიტიკური პრაქტიკა უნდა განვიხილოთ განვითარებაში, როგორც პროცესი, რომელსაც ყოველ გარკვეულ მომენტში გარკვეული ამოცანები აქვს, და რომელსაც მისი ყოველი მონაწილე თავისთვის საჭირო შედეგისკენ წარმართავს. მაგრამ მთავარია გერმანიის ერთიანობის აღდგენის შინაგანი დინამიკა, რომელსაც წამდაუწუმ შეჰქონდა კორექტივები მოლაპარაკების გრაფიკებში, ცვლიდა მათ და გვაიძულებდა უფრო ჩქარა გვევლო მიზნისკენ. ვფიქრობ, ჩემი თავისთვის არაფერი მაქვს სასაყვედურო.

1990 წლის 5 მაისს ბონში შედგა „ექვსეულის“ პირველი დაგეგმილი შეხვედრა. ჩვენ-ჩვენი ქვეყნების პოზიციები უნდა ჩამოგვეყალიბებინა და მუშაობის დღის წესრიგი შეგვემუშავებინა. ერთიც და მეორეც ძნელი იყო, გაძნელდა კიდეც! — მაგრამ საბოლოოდ მაინც შეთანხმებულ გადაწყვეტილებამდე მივედით.

ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო გერმანიის საკითხის გადაწყვეტის სინქრონიზაცია საერთოევროპული უშიშროების ახალ სტრუქტურათა ფორმირებასთან. ყველამ de facto-e აღიარა, რომ ამოცანის ჩვენს მიერ შემოთავაზებული გადაჭრა მართებული იყო. ამის თაობაზე კონსენსუსი მზადდებოდა ამ დღემდე დიდი ხნით ადრე, და მე, რასაკვირველია, არ შემეძლო ეს ფაქტი არ აღმენიშნა ბონში.

„ექვსეულის“ ყველა წევრმა გამოთქვა აზრი, რომ ევროპას ესაჭიროება უშიშროების ახალი სტრუქტურები, რომ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თათბირის მომზადების პროცესი საშუალებას გვაძლევს ევროპის გაერთიანება გერმანიის გაერთიანებას დავუკავშიროთ.

სხდომის თავმჯდომარემ ჰ.-დ. გენშერმა აღნიშნა, რომ ყველა გამოსვლაში დადასტურებულია გერმანელთა ნება გაერთიანებისა და რომ საზღვრების საკითხი გადაწყდება პოლონეთის მონაწილეობით. მაგრამ, მაინც, სიტუაცია საკმაოდ გაურკვეველი, უბრალოდ, — რთული იყო. შებრკოლების ლოდად იქცა გერმანიის მომავალ სამხედრო-პოლიტიკურ სტატუსთან დამოკიდებულების საკითხი. შეხვედრის წინადღეს გახეთები წერდნენ, რომ ამ საკითხში შეიქმნებოდა არა „ორი პლუს ოთხის", არამედ „ერთი პლუს ხუთის" მექანიზმი, ერთის ხუთთან შეფარდება მართლაც ფაქტი გახდა და, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მარტო აღმოვჩნდი მე, საბჭოთა წარმომადგენელი.

აქ ჩემს თავს უფლებას მივცემ ბონში ჩემი გამოსვლიდან რამდენიმე ნაწყვეტი მოვიყვანო.

„რასაკვირველია, — ვამბობდი, — ჩვენ გვესმის, რომ გადაწყვეტილება შეიძლება მხოლოდ ექვსივე სახელმწიფოს საერთო შეთანხმების შედეგი იყოს. მაგრამ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ გერმანიის გაერთიანების საგარეო ასპექტების მოგვარებისას არ შეგვიძლია ჩვენი ქვეყნის საშინაო ვითარებისგან განზე გადგომა. ეს არის საბჭოთა ადამიანებისთვის, მთელი ჩვენი საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი. თუ ეცდებიან, რომ შეგვიწროვონ იმ საქმეებში, რომლებიც ჩვენს უშიშროებას ეხება, ეს მიგვიყვანს სიტუაციამდე, — ამას დაუფარავად ვამბობ,— როცა ჩვენი პოლიტიკური მოქნილობა მეტისმეტად შეიზღუდება, ვინაიდან გაიზრდება ვნებათღელვა ქვეყნის შიგნით, წინ წამოიწევენ წარსულის აჩრდილები, აღზევდება ნაციონალური კომპლექსები, რომლებსაც ფესვები ჩვენი ისტორიის ტრაგიკულ ფურცლებში აქვს... მე ვთხოვ კოლეგებს, გაიგონ, რომ ჩვენ აქ არც ვთამაშობდით და არც ვფლიდობდით.

ვაღიარებ, რომ ახლა მე ამ სტრიქონებს რთული გრძნობით შეპყრობილი ვკითხულობ. თითქოს არც გასულიყოს სამი თვე იმ დღიდან, რაც ჩვენ ამ პრობლემასთან ჩვენი დამოკიდებულება მკვეთრად შევცვალეთ. ჰოდა, საჭირო კი იყო ასეთი თავგამოდება? — შეიძლება მკითხონ. ხომ არ აჯობებდა, მაშინვე დათანხმებულიყავით, რომ გერმანია ნ ა ტ ო ს წევრი გამხდარიყო?

ვუპასუხებ: დარწმუნებული ვარ, რომ არა, არ აჯობებდა.

შეგახსენებთ, რომ მაისის დასაწყისში სამხედრო ბლოკების ტრანსფორმაციის საკითხი, მართალია, აქტიურად განიხილებოდა, მაგრამ რჩებოდა, ასე ვთქვათ, განზრახვათა დონეზე. ეს იყო და ეს. ნატო ჩვენთვის რჩებოდა იმად, რაც იყო ყოველთვის — დაპირისპირებულ სამხედრო ბლოკად, რომელსაც ჰქონდა გარკვეული მიმართულების დოქტრინა და ბითვული დარტყმის დაწყების შესაძლო მიზანდასახულობაც. და ბუნებრივია, რომ ამ პირობებში გაერთიანებული გერმანიის ყოფნა ნატოს შემადგენლობაში ძალზე შელახავდა ჩვენი უშიშროების ინტერესებს, გამოიწვევდა ევროპაში ძალთა შეფარდების მკვეთრ დარღვევას და საშიშ სამხედრო-სტრატეგიულ სიტუაციას შეგვიქმნიდა. და ამიტომ ჩვენ არ შეგვეძლო, ბონში არ გამოგვეხატა ნეგატიური დამოკიდებულება ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში გაერთიანებული გერმანიის შესვლასთან დაკავშირებით.

მეტსაც ვიტყვი: ამ საკითხზე ჩვენმა მტკიცე პოზიციამ ერთგვარად აიძულა დასავლეთის ქვეყნები, დინამიკური გაეხადათ ნატოს ტრანსფორმაციის პროცესი. და ამ აზრით, დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ მაშინ დასახულმა და შემდეგ მიღწეულმა მიზანმა განსაზღვრა „ორი პლუს ოთხის“ მექანიზმის ფარგლებში ჩვენი მოქმედების ტაქტიკა.

იქვე, ბონში, კოლეგების ყურადღება მივაპყარი იმას, რომ ვენაში ჩვეულებრივ შეიარაღებათა შესახებ მოლაპარაკებებს აკლდა ტემპი. შეიძლებოდა თუ არა ერთიანი გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ საკითხთა გადაწყვეტა, ვიდრე ევროპაში ჯარებისა და შეიარაღებათა შემცირების შესახებ შეთანხმებები არ გვექნებოდა? ჩვენი პასუხი უარყოფითი იყო: ვენის მოლაპარაკებები ობიექტურად ერთმანეთს უახლოებდნენ ერთიანი გერმანიის შენების პროცესსა და საერთოევროპულ ინტერესებს. მე მოხარული ვიყავი, რომ ამ პოზიციამ პოზიტიური გამოძახილი ჰპოვა ჩვენს დასავლელ პარტნიორთა შორის.

არ შევუდგები ბონში ჩემი გამოსვლის სკრუპულოზურ ანალიზს, მაგრამ ვიტყვი, რომ მასში, ბუნებრივია, წამოჭრილი იყო სხვა საკითხებიც, კერძოდ: გერმანიის საზღვრების სა-

კითხი; საზღვრების საკითხის განხილვაში პოლონეთის მონაწილეობის აუცილებლობა; აგრეთვე პოლონელი ხალხის ინტერესებთან დაკავშირებული უშიშროების საკითხები; გაერთიანებულ გერმანიას უნდა ეკისრა იმპერატიული ვალდებულებანი, რომ მას არ ექნებოდა ატომური, ქიმიური და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღები; გერმანიასთან და ბერლინთან მიმართებით ოთხმხრივი უფლებების და პასუხისმგებლობის შეჩერების საკითხი, რადგან ეს პრობლემის საბოლოო რეგულირების ძირითადი ელემენტიც არის და შედეგიც.

ამ და ყველა სხვა საკითხში ნელა, მაგრამ სწორად აეწყო ურთიერთგაგება, თუმცა უკომპრომისო გადაწყვეტილებათა ძიება ყოველთვის უპრობლემო და იოლი არ ყოფილა.

და მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ბონში ჩვენი პირველი შეხვედრისას ჩემმა პარტნიორებმა გამოავლინეს უდიდესი ტოლერანტობა, ტაქტი, კომპრომისისათვის მზადყოფნა, რამაც ხელი შეუშალა „ოტავის ფორმულის“ შეცვლას საკმაოდ უსიამოვნო განტოლებით — „ერთი ხუთთან“. — და წინასწარ განსაზღვრა აუცილებელი შედეგი. შემდეგ ჩემი პარტნიორები ყოველთვის გვაგრძნობინებდნენ, რომ ძალიან კარგად ესმოდათ საბჭოთა კავშირის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და პოლიტიკური მგრძნობიარობა იმის მიმართ, რაც ხდებოდა. მახსოვს, როცა ეს სპეციფიკური ფაქტორი აღნიშნა, ბეიკერმა თქვა: „ჩვენ უნდა მოვნახოთ ისეთი გადაწყვეტილება, რის შედეგადაც არ იქნებიან არც მოგებულნი, — არც წაგებულნი. ყველანი მოგებულნი უნდა დავრჩეთ“.

ვფიქრობ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ჩვენ გულახდილად და ნათლად ვთქვით, თუ რა პრობლემები დგას ჩვენს წინაშე და რა საფუძველზე შეიძლება ჩვენთვის მისაღები გადაწყვეტილების მონახვა.

ვაშინგტონში გორბაჩოვისა და ბუშის შეხვედრაზე გერმანიის საკითხი ბუნებრივად დადგა ყურადღების ცენტრში. ამის შემდეგ, ბერლინში, 1990 წლის ივნისში სრულიად სხვა სიტუაცია შეიქმნა. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მოსკოვის თათბირის შემდეგ, — რომლის დეკლარაციამაც სათავე დაუდო ჩვენი კავშირის მოღვაწეობის ტრანსფორმაციას ყველა

სფეროში, — სამხედრო სფეროს ჩათვლით, — გაჩნდა რეალური იმედები, რომ ნატოს დაიძვრებოდა ამ მიმართულებით. მალე ჩვენ ამის თაობაზე მივიღეთ პოზიტიური გამოძახილი ლონდონის მახლობლად მდებარე ტერნბერიდან, სადაც მიმდინარეობდა ნატოს საბჭოს სესია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. ერთი სიტყვით, გამოიკვეთა ძველი სამყაროს სამხედრო-პოლიტიკური გათიშვის დაძლევის შესაძლებლობანი. ჩვენ მოუთმენლად ველოდით ნატოს ლონდონის სესიის გადაწყვეტილებებს, იმედის სრული საფუძველი გვქონდა და ვიმედოვნებდით კიდეც, რომ პოზიტიური პროცესი გაღრმავდებოდა. ასეთ სიტუაციაში ჩრდილოატლანტიკურ კავშირში ერთიანი გერმანიის წევრობის საკითხი უკვე სულ სხვა ელფერს იძენდა. ამიტომ ბერლინში ჩემს გამოსვლაში ამ საკითხს საერთოდ არც შევხებივარ.

ბერლინში საბჭოთა დელეგაციამ „ექვსეულში“ შემავალ პარტნიორებს განსახილველად წარუდგინა პროექტი დოკუმენტისა „გერმანიის საკითხის საბოლოო საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების ძირითადი პრინციპები“.

ვფიქრობ, რომ არ ღირს მისი შინაარსის გადმოცემა. თეზისურად გადმოვცემ მხოლოდ მის ძირითად დებულებებს და საკითხებს, რომლებსაც ის ეხებოდა.

პ ი რ ვ ე ლ ი: მომავალი გერმანიის საზღვრების საკითხი (შევნიშნავ, რომ ამ საკითხში უკვე მაშინ იყო მიღწეული კონსენსუსი).

მ ე ო რ ე: შეთანხმება იმის შესახებ, რომ მომავალმა გერმანიამ თავისი პოლიტიკა ისე ააგოს, რომ მისი ტერიტორიიდან მხოლოდ მშვიდობას ველოდეთ, გვწამდეს, რომ არ დაიწყებს სამხედრო მოქმედებას, გარდა თავდაცვის კანონიერი უფლებების განხორციელებისა. თავის მხრივ, ოთხი დიდი სახელმწიფო გაერთიანებულ გერმანიასთან მიმართებით ამ მოთხოვნებითვე იხელმძღვანელებდა.

მ ე ს ა მ ე: „ცივი ომის“ წლებში ყველაზე თანამედროვე შეიარაღებათა ანომალიურ ცენტრად ქცეულ გერმანულ მიწაზე სამხედრო დაპირისპირების შენელებისკენ მიმართულ ნაბიჯთა და ღონისძიებათა პაკეტის შემუშავება. მისი უმნიშვნელოვანესი ელემენტია გაერთიანებული გერმანიის ვალდებულება, რომ ის არ აწარმოებს, არ ექნება, არ მიიღებს და,

მსოფლიოს სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობის მსგავსად, თავის ტერიტორიაზე არ განალაგებს ბირთვულ, ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს.

მ ე ო თ ხ ე: ერთიანი გერმანიის მიერ ხუთწლიან გარდამავალ პერიოდში დამტკიცება ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმებისა, რომლებიც აქამდე გდრ-ისა და გფრ-ის მიერ იყო მიღებული. ეს იმის საწინდარი იქნებოდა, რომ გაერთიანების მომენტში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია ვარშავის ხელშეკრულების მიმართ გდრ-ის პასუხისმგებლობასთან, ხოლო ნატოსთან მიმართებაში გფრ-ს ვალდებულებებთან, შენარჩუნებული იქნება, ხოლო ვარშავის ხელშეკრულებისა და ნატოს მოქმედების კომპეტენციები და მოქმედების სფეროები უწინდებურად არ გავრცელდება ტერიტორიებზე, რომლებიც მათ ზონაში არ შედიან.

დასასრულ, კვლავ წამოვაყენეთ სინქრონიზაციის პრინციპი.

აქედან ბევრ რამეს მხარი დაუჭირეს „ექვსეულის" პარტნიორებმა. ამავე დროს საკითხის შემდგომი განხილვის პროცესში მხარებისთვის მისაღები რეზულტატის მისაღწევად ჩვენ გარკვეული კორექტივები შევიტანეთ ზოგიერთ საკითხთან ჩვენს მიდგომაში. გავიმეორებ, — სწორედ მხარეებისთვის მისაღები რეზულტატის მისაღწევად, — თანაც იგი არამც და არამც არ შელახავდა საბჭოთა კავშირის ინტერესებს.

პოლიტიკა ხელოვნებაა შესაძლებელისა. ეს შეიძლება ვინმეს მოსწონდეს ან არ მოსწონდეს, მაგრამ ის, როგორც აქსიომა, მტკიცებას არ საჭიროებს.

იმ რეალურ პოლიტიკაში, რომელსაც ჩვენ ვატარებდით, ვერაფერს გავაწყობდით ევროპულ სივრცესა და მთელ მსოფლიოში ცვალებადი პოლიტიკური კონტექსტის სკრუპულოზური ანალიზის გარეშე. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ სიტუაციას ქვეყნის შიგნით. ჩვენი ნება ჩვენი ხალხის ნებას უნდა დამთხვეოდა.

ჩვენ ამისკენ მივდიოდით მთელი ცხრა თვის მანძილზე და მივედით, — ახლა უკვე შემიძლია ამის თქმა, — მხოლოდ 1990 წლის ივლისში, სკკპ XXVIII ყრილობის მუშაობის დღეებში. ეს იყო უღელტეხილი, წყალგამყოფი, სიმაღლე,

რომელზეც აღწევას კოლოსალური ძალისხმევა დასჭირდა. დიდ სიმაღლეებზე ძლიერი ქარები ქრიან. ქარი აქაც ქროდა, ისე უბერავდა, ლამის ფეხზე დგომა ჭირდა. იყო გააფთრებული წიააღმდეგობა, იყო ძლიერი მხარდაჭერაც. ვნებათა ჭიდილი. გერმანიის საკითხთან დამოკიდებულების ურთულესი გზის ამსახველი შეხედულებების ბრძოლა. მასში გაიმარჯვა აზრმა: დაუშვებელია და შეუძლებელიც არის საკუთარი უშიშროების აგება სხვა ხალხის გათიშვის ხარჯზე.

ჩვენ მივიღეთ ნდობისა და მხარდაჭერის მანდატი.

არ დავმალავ: ყრილობის უკიდურესად დაძაბულ ატმოსფეროში სუნთქვა ჭირდა. ჩემი პირადი ბედიც წყდებოდა. რვაასამდე დელეგატმა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოში ჩემი არჩევის წინააღმდეგ მისცა ხმა. კენჭის საყრელად სიაში მე ჩემი თანხმობისა და ნების გარეშე ვიყავი შეყვანილი. შედეგები აშკარად ადასტურებდნენ ჩვენი პოლიტიკის ოპოზიციის ზრდას. ამ პირობებში ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საპასუხო მოძრაობას „იმ მხრიდან". სხვაგვარად ჩვენ ჩვენს პოზიციას ვერ გავიტანდით.

როცა მოვიდა ცნობები ნატოს ლონდონის სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ, დავინახე, რომ საპასუხო მოძრაობა დაიწყო.

ლონდონში მიღებული დეკლარაცია მოწმობდა, რომ ნატოც ტრანსფორმაციის გზას ადგებოდა, აქცენტს ანელებდა წმინდა სამხედრო მხარეზე, თავისი სტრატეგიის შეცვლას აპირებდა.

ყველაზე მთავარი: გამოიხატა მზადყოფნა იმის განსაცხადებლად, რომ ეს ორი კავშირი უკვე ერთმანეთის მტერი აღარ არის და ისინი თავს შეიკავებენ მუქარისგან, ან ძალის გამოყენებისგან. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო განცხადება იმის თაობაზე, რომ საჭიროა მალე დასრულდეს მოლაპარაკებები ჩვეულებრივ შეიარაღებათა შესახებ და მოლაპარაკებები ევროპაში ჯარების შემცირების საკითხზე.

ნატომაც გამოთქვა აზრი ევროპაში შეიარაღებული ჯარების შეტევითი პოტენციალის შეზღუდვის შესახებ და მხარი დაუჭირა ტაქტიკური ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას.

ითქვა „წინა ხაზზე თავდაცვის" სტრატეგიისა და „მოქ-

ნილი რეაგირების“ დოქტრინის შესახებ მოლაპარაკებებზეც, გამოცხადდა, რომ იცვლება ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენების დოქტრინაც.

1990 წლის შუა ივლისში მოსკოვსა და არხიზში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ერთმანეთს შეხვდნენ სსრკ პრეზიდენტი გორბაჩოვი და გფრ-ის პრეზიდენტი კოლი. ამ მომენტისთვის მომხდარმა ცვლილებებმა ორი ქვეყნის მეთაურებს გერმანიის გაერთიანების მძიმე საკითხისთვის სხვაგვარად შეხედვისა და ძისდამი სხვაგვარი მიდგომის შესაძლებლობა მისცა. არხიზში ერთმანეთს შეუპირისპირდა შეხედულებები, ეძიებდნენ „ორი პლუს ოთხის“ ფარგლებში განსახილველ საკითხთა გადაჭრის გზებს. ერთი სიტყვით, ორმხრივი დიპლომატია ხელს უწყობდა მრავალმხრივი დიპლომატიის წარმატებას.

მხარეები მივიდნენ ურთიერთგაგებამდე, რამაც შესაძლებელი გახადა, რომ უკვე „ექვსეულის“ ფარგლებში დაჩქარებულიყო გერმანიის ერთიანობის საგარეო ასპექტების საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირება.

ამას გარდა, განვიხილეთ მნიშვნელოვან ორმხრივ შეთანხმებებთან დაკავშირებული საკითხები.

მათ საფუძვლად უნდა დასდებოდა ეგრეთწოდებული „დიდი ხელშეკრულება“, რომლის იდეაც წარმოიქმნა ჯერ კიდევ 1987 წელს, მაგრამ იმ პირობებში შეუძლებელი იყო მისი განხორციელება.

* * *

1990 წლის 16 ივლისს მინერალური წყლებიდან პირდაპირ გავფრინდი პარიზს, სადაც მეორე დღეს უნდა შემდგარიყო „ექვსეულის“ მორიგი შეხვედრა.

თვითმფრინავში შესვლა ძლივს მოვასწარი, რომ ჩემმა თანაშემწეებმა და ჟურნალისტებმა მომიწყეს „ჩაციებით დაკითხვა“: ასე სწრაფად რატომ გადაწყდა ყველა საკითხიო?

— განა ეს არის სწრაფი გადაწყვეტა? — ვამბობდი. — ბევრი რამ განაპირობა უკანასკნელმა მოვლენებმა, მათ მკვეთრად შეცვალეს სიტუაცია და შექმნეს ატმოსფერო ჩვენს პოზიციებში ასეთი ძვრებისთვის. ლონდონში ნატოს ქვეყნების მეთაურთა განცხადებამ მისი ტრანსფორმაციის რწმენა

განგვიმტკიცა. ხდება ის, რაც გვეწადა. ჩვენ სწორედ ამიტომ ვდგამთ შესაბამის პრაქტიკულ ნაბიჯებს.

შემდეგ, — ვამბობდი მე, — შეიძლებოდა ჩიხში აღმოვ-ჩენილიყავით. გერმანიის გაერთიანების შეჩერებას ძალის გარდა ვერანაირი გზით ვერ შევძლებდით. მაგრამ ძალის გამოყენება კატასტროფას ნიშნავდა. ამ პროცესში მონაწილეობისგან თავის არიდებით კი ბევრს დავკარგავდით. საფუძველს ვერ შევუქმნიდით გერმანიასთან ახალ ურთიერთობებს, საერთოევროპულ სიტუაციაზე ნეგატიურ ზემოქმედებას მოვახდენდით.

და მაინც კითხვებს სეტყვასავით მაყრიდნენ. შეკითხვებს მაძლევდნენ პარიზში და სხვა ქალაქებშიც. ამასწინათ მოსკოვში გერმანელ ისტორიკოსთა და პოლიტოლოგთა ჯგუფმა კვლავ დამისვა კითხვები. ძლიერ შინაგან მოთხოვნილებას ვგრძნობ, რომ სხვადასხვა დროს დასმულ ამ კითხვათა პასუხები აქ გადმოგცეთ. ჩემი აზრით, ეს კითხვა-პასუხები ბევრ რამეს ჰფენენ ნათელს.

კ ი თ ხ ვ ა: საბჭოთა კავშირში კრიტიკოსები გვსაყვედურობენ, რომ, გერმანიის გაერთიანებაზე დათანხმებით თქვენ „წააგეთ“ 1945 წლის გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა. როგორ მიგაჩნიათ, 1945 წლის გამარჯვების ტოლფასი რა გარანტიები არსებობს, რომ გერმანია ისევ არ დაიწყებს ომს?

პ ა ს უ ხ ი: 1945 წლის გამარჯვების „წაგება“ შეუძლებელია. — ეს არც მე შემეძლო და არც სხვა ვინმეს საბჭოთა კავშირში თუ მის საზღვრებს გარეთ. ეს გამარჯვება იყო, არის და მარად იქნება წარუშლელი ჩვენს ხსოვნაში, ქვეყნის, ევროპის, კაცობრიობის, და, — თუ გნებავთ, — ჩვენი ამჟამინდელი ცხოვრების ისტორიაში.

სიტყვა „წაგება“ ბრჭყალებშია ჩასმული, მაგრამ ვერცერთი ჩემი, ყველაზე მძვინვარე კრიტიკოსიც კი ამგვარი საყვედურების გამოხატვას ასე ქარაგმულადაც კი ვერ ბედავდა. მეტისმეტად დიდი ზნეობრივ-პოლიტიკური რისკი იყო იმის დაშვება, რომ ვინმე წამოიწყებდა რაიმე „თამაშს“ ასეთი დიდი ფსონით.

ამგვარად, გამარჯვების ტოლფასი „გარანტიები“, — ხედავთ, ახლა ბრჭყალებს ვიყენებ, — არ არსებობს. 1945 წლის

გამარჯვება და გერმანიის გაერთიანება სხვადასხვანაირი, ერთმანეთს შეუპირისპირებელი სიდიდეებია.

ვამჯობინებ, უბრალოდ იმ გარანტიებზე ვილაპარაკო, რომ გერმანია ახალ ომს არ დაიწყებს. ამ ბოლო თვეებში, გასული წლის ბოლოდან მოკიდებული, ჩვენი მიზანი იყო ასეთი გარანტიების ფორმულირება და მიღება. ვფიქრობ, მივიღებთ. როგორია ეს გარანტიები? მოკლედ თუ ვიტყვით, ეს არის: გერმანიის რეგულირების საგარეო ასპექტების სწორი გადაწყვეტა, საერთოევროპულ პროცესთან მისი კავშირი, ევროპის უშიშროების სტრუქტურათა შექმნა, სამხედრო-პოლიტიკურ კავშირთა ტრანსფორმაცია, ქმედით ხელშეკრულებით-სამართლებრივ მექანიზმთა შექმნა. ამის გარანტია არის, ბოლოს და ბოლოს, თვით გერმანელთა ნება!

ევროპა ახლა ის აღარ არის, რაც იყო მეორე მსოფლიო ომის წინ, როცა არ მოხერხდა კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა. ასეა, ისტორიის გაკვეთილებიც რაღაცას ნიშნავს.

კ ი თ ხ ვ ა: 1989 წლის ბოლოს თქვენ განაცხადეთ, რომ 27 მილიონი დაღუპული საბჭოთა ადამიანის სიცოცხლის ფასად დაჯდა ევროპული სტაბილურობა, გერმანიის დაყოფა. ძლიერი არგუმენტი იყო, მაგრამ ეს ადამიანები ხომ სტალინის იმპერიისთვის კი არა, თავისი სამშობლოს თავისუფლებისთვის, მეზობელ სახელმწიფოთა დათრგუნვისთვის კი არა, თავიანთი თავისუფლებისთვის დაიღუპნენ?

პ ა ს უ ხ ი: თქვენ კითხვას თქვენვე უპასუხეთ. ეს რიტორიკული კითხვა უფროა. დიახ, ფაშიზმისგან ქვეყნის, ევროპისა და მსოფლიოს გადარჩენისთვის ბრძოლაში ისინი დაიღუპნენ თავიანთი სამშობლოსა და მეზობელი სახელმწიფოების თავისუფლებისთვის. მაგრამ რაკი თქვენ სტალინი ახსენეთ, ნება მომეცით, შეგახსენოთ, რომ მაშინდელი საბჭოთა ხელმძღვანელობა თავდაპირველად გერმანიის დაყოფის წინააღმდეგი იყო. ანტიჰიტლერულ კოალიციას რამდენიმე სახელმწიფო შეადგენდა და საკითხი მოკავშირეთა ნებისა და იმ დროის ტრადიციული პრაქტიკის შესაბამისად წყდებოდა.

საერთოდ, ისტორიისთვის რეტროპექტულად მსჯავრის გამოტანის, მის „სწორად“ და „მცდარად“ დაყოფის ცდების წინააღმდეგი ვარ. რაც იყო, იყო: მარტო ამ საუკუნეში

გერმანიის მმართველებმა ორჯერ გააჩაღეს მსოფლიო ომი, შესაძლო რეციდივის აღსაკვეთად მაშინ, 1945-ში, ასეთი ხერხი ნახეს. ამჟამინდელ პირობებში, დღეს გაბატონებული წარმოდგენების შუქზე, ამ ხერხს ყავლი გაუვიდა, მაგრამ აბსურდი იქნებოდა დღევანდელი წარმოდგენები წარსულისთვის მიგვესადაგებინა და გვეკითხა: რატომ მოიქცნენ ასე და არა სხვაგვარად?

და კიდევ: ატომური ბომბი პირველებს ჩვენ არ აგვიფეთქებია. ჩვენ არ მოგვიწოდებია ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ „ცივი ომისკენ". ჩვენ არ დაგვიწყია ეს ომი, რომელმაც ევროპა და გერმანია „რკინის ფარდით". დიდი ხნით გათიშა ერთმანეთისგან.

დარწმუნებული არა ვარ, სწორად მოგყავთ თუ არა ჩემი ციტატა, მაგრამ „ძლიერი არგუმენტი" დღემდე არ კარგავს თავის ძალას: ჩვენ ომში დაცემულთა ხსოვნასაც ვუღალატებდით და ცოცხალთა ინტერესებსაც, რომ უგულვებელგვეყო გერმანული მილიტარიზმის აღორძინების საფრთხე. არც ერთ პოლიტიკოსს, მით უმეტეს, საბჭოთა პოლიტიკოსს, თანაც ისეთს, ვის ცხოვრებაშიც ომმა დატოვა გაუყუჩებელი ტკივილი უახლოეს ადამიანთა დაღუპვის გამო, — არა აქვს უფლება, გულმოწყალების ამარა იყოს და არ იმოქმედოს.

პირადად მე ვამჯობინებ, გავაანალიზო ყველა შესაძლო ვარიანტი, მათ შორის ნეგატიურიც.

იმ მომენტისთვის მე მქონდა ასე ლაპარაკისა და ფიქრის უფლება.

კ ი თ ხ ვ ა: თქვენ მაშინ ასევე აცხადებდით, არ შეიძლება ველოდეთ, რომ გდრ-ის სტატუსი რადიკალურად შეიცვლება, გფრ-ისა კი უცვლელად დარჩებაო.

მომავალი გერმანიის სტატუსი რით იქნება განსხვავებული გფრ-ის სტატუსისაგან? ხელს გაძლევთ თუ არა თქვენ ბუნდესვერის 370 ათას კაცამდე შემცირება?

პ ა ს უ ხ ი ა ი, ხომ ხედავთ, თქვენ ამბობთ: „მაშინ" და მართლაც, მაშინ სხვა სიტუაცია იყო და ასეთ მოლოდინს თავისი გამართლება ჰქონდა.

რეალობა ასეთია: წარმოიშვა ახალი სახელმწიფო — გერმანია. ის იარსებებს ცვალებადი სამხედრო-პოლიტიკური კავშირების, დაპირისპირების კლების, უშიშროების საერთოევრო-

პულ სტრუქტურათა შექმნის პირობებში. ამ გარემოებათა გათვალისწინებით გერმანიისა და გფრ-ის სტატუსთა შედარებას აზრი აღარა აქვს.

გაერთიანებულ გერმანიას ეყოლება იმაზე ნაკლები ჯარები, ვიდრე გფრ-ს ჰყავს. 370 ათას კაცზე მეტი ბუნდესვერს არ დასჭირდება. ევროპის განიარაღებასთან ერთად ესეც შემცირდება. ეს სავსებით ხელს მაძლევს მეც და დანარჩენ პარტნიორებსაც.

კ ი თ ხ ვ ა: ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ თქვენ, გფრ-ის ძირითადი კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, გერმანიის გაერთიანებას ძალიან საშიში გზა უწოდეთ; თქვით, რომ გაერთიანებული გერმანიის ნატოს შემადგენლობაში ყოფნა არ შეესაბამება სსრკ-ის ინტერესებს; აგრეთვე აღნიშნეთ, რომ ქვეყნის გაერთიანება უშუალო საშიშროებას უქმნის ორივე გერმანული სახელმწიფოს მეზობელ ქვეყნებს. თქვენთვის ამჟამად რატომ არის საკმარისი ნატოს განცხადება იმის თაობაზე, რომ ის სსრკ-ს უკვე აღარ მიიჩნევს თავის მოწინააღმდეგედ? დაინტერესებულია თუ არა სსრკ დასავლეთ გერმანიაში ამერიკის ჯარების ყოფნით?

პ ა ს უ ხ ი: ნება მიბოძეთ, კვლავ შევნიშნო, რომ „მაშინ“ და „ახლა“-ს ტიპის შეპირისპირებები, კონკრეტული ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის გაუთვალისწინებლად, მეთოდურად მცდარად თუ არა, ნაკლოვანად მაინც მიმაჩნია.

ძირითადი კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე გაერთიანება ხდება იმის შემდეგ, რაც მიღწეულია გერმანიის საზღვრების საკითხის საბოლოო რეგულირება, ეს უსაფუძვლოს ხდის ამ მიმართებით ჩვენს შიშს. ლონდონში, ნატოს საბჭოში მიღებული გადაწყვეტილებების გარეშე, ნატოში გერმანიის წევრობა ჩვენთვის მიუღებელი იქნებოდა. ამჟამად კი ჩვენ გვაკმაყოფილებს ის პროცესი, რომელიც ჩრდილო ატლანტიკურ კავშირში ვითარდება.

ნატოს განცხადება, რომ ის ჩვენ აღარ მიგვიჩნევს თავის მოწინააღმდეგედ, ნდობის სერიოზული საზომია და გარანტიის მნიშვნელობას იძენს.

დღეს ჩვენ გვაქვს უფრო არსებითი გარანტიები, რომლებიც უფლებას გვაძლევენ, მშვიდად ვუმზიროთ გერმანიის გაერთიანებას. რაც შეეხება გერმანიაში ამერიკის ჯარების ყოფ-

ნას, ამაში ჩვენთვის საფრთხეს არ ვხედავთ. ეს გერმანულ-ამერიკულ ურთიერთობათა პრობლემაა.

კ ი თ ხ ვ ა: გაგაკვირვათ თუ არა თქვენ გდრ-ში მოვლენათა ჭანვითარებამ, თუ მიგაჩნიათ, რომ სწორედ საბჭოთა კავშირი უწყობდა ხელს მოვლენათა ასეთ განვითარებას? სსრკ-მა არ გაგზავნა თავისი ჯარები იმ ხალხის დასათრგუნავად, რომელიც აღდგა დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ. სსრკ-მა ასევე წინააღმდეგობა არ გაუწია 1989 წლის ნოემბერში ბერლინის კედლის აღებას. იყო თუ არა მოსკოვი წინასწარ ინფორმირებული ამის შესახებ? როგორ ფიქრობთ: გდრ თავის განთავისუფლებას გარდაქმნას უნდა უმადლოდეს თუ არა?

პ ა ს უ ხ ი: მე უკვე ვისაუბრე ამის შესახებ. ცვლილებები ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. 1990 წლის აპრილის ბოლოს ელჩმა იული კვიცინსკიმ, ამჟამად მინისტრის მოადგილემ, მაუწყა: „გდრ-ის დაშლა დღეების საკითხიაო“. ეს დეპეშა ბევრმა კაპიტულანტურად მიიჩნია.

ყველა ცვლილების წინასწარ განჭვრეტა შეიძლებოდა. შეუძლებელი იყო განგვეჭვრიტა მათი ტემპი. აქ ეგებ იყო კიდეც შეცდომა, მაგრამ სხვა შეცდომა დაშვებული არ ყოფილა: მიმდინარე ცვლილებების ძალით შეჩერების სურვილი არ გვქონია.

გდრ-ში ან კიდევ სხვაგან სადმე ჩვენი ჩარევის საკითხი არ მდგარა და არც შეიძლებოდა მდგარიყო. ამას ბოლო მოეღო.

საბჭოთა კავშირი მოვლენათა ამგვარ განვითარებას უშუალოდ ხელს არ უწყობდა. არაპირდაპირ, თავისი გარდაქმნის წყალობით კი მისთვის ხელშემწყობი იყო. თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ გდრ-ის ხალხმა თავად გააკეთა არჩევანი. ეს არის მისი უფლება, და ამ მხრივ ის არავისთან ვალში არ არის.

* * *

1990 წლის 17 ივლისს პარიზში კოლეგებს ინფორმაცია მივაწოდე გორბაჩოვის კოლთან შეხვედრის დროს მიღწეული შეთანხმებების შესახებ. ეს შეთანხმებები ქმნიდნენ გერმანიის ერთობის საგარეო ასპექტთა რეგულირების პირდაპირ წანამძღვრებს.

მხარეებმა დათქვეს, რომ გერმანიის გაერთიანებას მოჰყვება ოთხი სახელმწიფოს უფლებებისა და პასუხისმგებლობის გაუქმება, რაც ქვეყნის სრული სუვერენიტეტის აღდგენას ნიშნავს. ამით გერმანიას ეძლეოდა ამა თუ იმ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში შესვლის საკითხთა დამოუკიდებლად გადაჭრის საშუალება. მხარეებმა აგრეთვე განსაზღვრეს დამოუკიდებელი გდრ-ის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების ყოფნის ვადა და სტატუსი, გდრ-ზე არ გავრცელდებოდა ნატოს სტრუქტურები. გაერთიანებული გერმანია უარს იტყოდა ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოებაზე, განლაგებასა და შენახვაზე და დაიცავდა ამ იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების პირობებს. ვენის მოლაპარაკებათა მსვლელობაში გფრ-ის მთავრობა აიღებდა ბუნდესვერის რიცხობრივი შემადგენლობის 370 ათას ჯარისკაცამდე და ოფიცრამდე შემცირების ვალდებულებას.

იმავე დღეს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მ. სკუბიშევსკის მონაწილეობით გადაწყდა საზღვრების საკითხი. ამასთანავე დავთქვით, რომ მუშაობას დავიწყებდით საბოლოო, გადამწყვეტ დოკუმენტზე, რათა ის მოსკოვში შეხვედრის დროს მიგვეღო 1990 წლის ოქტომბერში.

ფინიშის ხაზზე წარმოიქმნა დაბრკოლება, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ხელშეკრულებას, გერმანიის გაერთიანების საგარეო საქმეთა საბოლოო მოგვარებას. ამას არც გავიხსენებდი, ინფორმაციას რომ არ გაეჟონა გერმანულ პრესაში.

1990 წლის 11—12 სექტემბრის ღამეს, დასკვნითი სხდომის წინადღეს, შემატყობინეს, რომ რომელიღაც პარტნიორმა მოითხოვა საბოლოო დოკუმენტის ტექსტში შეგვეტანა დებულება ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე ნატოს შესაძლო მანევრების ზონის გავრცელების შესახებ. მე ვითხოვე კოლეგებისთვის გადაეცათ, რომ, თუ ისინი ამ დებულებას მიიღებდნენ, მაშინ ხვალინდელი სხდომა არ შედგებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არავითარი ხელშეკრულება არ იქნებოდა და პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებოდათ.

დილით მაცნობეს, რომ ის წინადადება მოიხსნა. 12 სექტემბერს დანიშნულ დროზე შევხვდით ერთმანეთს და დოკუმენტს ხელი მოვაწერეთ. ორი თვის შემდეგ ბონში ხელი მოვაწერეთ გერმანიასთან შეთანხმებების პაკეტს.

ჩვენ ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ფორმულით — „ორი პლუს ოთხი“ — მოლაპარაკებების შედეგად საბჭოთა კავშირის უშიშროება კი არ შესუსტებულა, არამედ, პირიქით, — განმტკიცდა.

ერთი დასკვნაც: ჩვენ ვერცერთ ხალხს ვერ წავართმევთ უფლებას, ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება და უფლება მისი განხორციელებისა, თუ ამას ზიანი არ მოაქვს სხვა ხალხებისათვის.

გერმანიის ერთიანობისთვის მოძრაობამ ჩაუყარა საფუძველი საბჭოთა კავშირსა და გაერთიანებულ გერმანიას შორის ახალ ურთიერთობებს, ეს ურთიერთობები განმტკიცდა კეთილმეზობლობის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით და სხვა შეთანხმებებით, რომლებიც მოიცავენ არა მხოლოდ პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების სფეროებს, არამედ ორმხრივი უშიშროების საკითხსაც.

მე ბედნიერი ვიყავი, როცა 1991 წლის 5 მაისს გაზეთში წავიკითხე სსრკ უზენაესი საბჭოს განცხადება, რომ ის „დოკუმენტთა ამ კომპლექსს აფასებს, როგორც ისტორიული მნიშვნელობის მქონეს. დოკუმენტი შეფასებას აძლევს მეორე მსოფლიო ომს, ითვალისწინებს ევროპასა და მსოფლიოში შექმნილ ახალ რეალობებს და საბჭოთა და გერმანელ ხალხებს შორის მტკიცე მშვიდობისა და ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის ახალ ეპოქას იწყებს“.

ეს იყო ის შედეგი, რომელსაც ვესწრაფოდი.

ევროპის ისტორიამ ბევრნაირი „დარეგულირება“ იცის. მათგან ზოგი ეფუძნებოდა დინასტიური ინტერესების ბალანსს, სხვა — ძალის ბალანსს. ამჯერად შესაძლებელი გახდა შემუშავება წმიდა სამართლებრივი რეგულირებისა, რომელიც ემყარება სახელმწიფო ურთიერთობათა პრინციპების შესახებ ახალ წარმოდგენებს, ერების, ადამიანების უფლებათა, თავისუფლებათა დაცვის, კოლექტიურ, კოოპერატიულ მექანიზმებსა და მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაზე დაყრდნობით უშიშროების განუყოფლობის პრინციპს.

* * *

1990 წლის მძიმე დღეებზე ჩემი ანგარიში შეიძლებოდა მაჟორულ ნოტაზეც კი დამთავრებულიყო. ყველაფერი, რაც თავიდან იყო განზრახული, — წარმოუდგენლად რთული და „მრავალშრიანი“ ჩანაფიქრი, — განხორციელდა. შეთანხმებულია ჩვეულებრივ შეიარაღებათა შემცირების დონეები და პარამეტრი; პარიზში მოწვეულია და ჩატარებულია შეხვედრა ევროპის ქვეყნების უშიშროების საბჭოს უმაღლეს დონეზე; ხელი მოეწერა ქარტიას ახალი ევროპისთვის; თითქოს უკვე არ არსებობს იმის საშიშროება, რომ ომისშემდგომ სტრუქტურათა ნგრევით შექმნილი ვაკუუმი შეივსება ბროუნის ქაოსური მოძრაობით. პროცესი ვითარდება ორ განზომილებაში: საერთაშორისო-ეკონტინენტური და ორმხრივი ურთიერთობის საფუძველზე. საბჭოთა კავშირმა დადო ისტორიაში პირველი ხელშეკრულება საფრანგეთთან თანამშრომლობასა და თანხმობაზე, დაიდო ხელშეკრულება იტალიასთან, ხელმოწერილია საბჭოთა კავშირ-ესპანეთისა და საბჭოთა კავშირ-ფინეთის დეკლარაციები, მზადდება შესაბამისი შეთანხმებები ინგლისთანაც.

ცალკე გამოვყოფდი ისეთ საკითხს, როგორიც არის საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. მათდა სასახელოდ, ისინი ღირსეულად უმკლავდებიან ამ მძიმე პერიოდს, ისე უმკლავდებიან, რომ მტრულ, დაძაბულ ურთიერთობამდე არ მიჰყავთ საქმე. საშიში უღელტეხილი მშვიდობიანად გადმოვიარეთ, მაგრამ ჩვენ არ უნდა შევჩერდეთ, ვალდებულნი ვართ, მოვაწესრიგოთ კავშირები ახალ საწყისებსა და პრინციპებზე დაყრდნობით.

იმ ვითარებაში, როცა დემონტირებულია ჩვენი ურთიერთობების ყავლგასული სტრუქტურები, როცა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციამ პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა, ეკონომიკური ურთიერთობები კი საფუძვლიან გარდაქმნას საჭიროებენ, — დაძაბულად ვეძიებდით ჩვენს უახლოეს მეზობლებთან ახალი ურთიერთობების გზებს, ვეძიებდით უმთავრესად ორმხრივ საფუძვლებზე დაყრდნობით. ეს მუშაობა ჩემ დროს დაიწყო. უკვე ხელმოწერილია საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ახალი შეთანხმება; ხელმოსაწერად მზადდება შეთანხმებები პოლონეთთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან, ჩეხოსლო-

ვაკიასთან; უნდა დასრულდეს ეს ციკლი; მერე კი უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ ვიმოქმედოთ ამის შემდეგ: საერთოევროპული პროცესის ფარგლებში, თუ რეგიონალურ საფუძველზე.

ერთი სიტყვით, იკვეთება ახალი კონსტრუქციის მონახაზები საკმაოდ მკაფიოდ.

ამის მიუხედავად, მაჟორი არ გამოგვდის და საამისოდ მიზეზი ბევრია.

ამ მიზეზთაგან პირველი და მთავარია მდგომარეობა ჩვენს ქვეყანასა და ევროპის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში. გამოსავლის წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ სერიოზულ დამანგრეველ, მადესტაბილირებელ მოვლენებს წავაწყდეთ.

უფრო ფართო, უკვე გლობალური მასშტაბის საფრთხედ წარმოგვიდგება ევროპის ურთიერთობათა გამწვავება სამხრეთთან. ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეებს შორის სხვაობა აუცილებლად წარმოშობს კონფლიქტურ სიტუაციებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მზარდი მიგრაციული ნაკადების ფონზე. და აქ გამოსავლად მესახება ეკონომიკური თანამშრომლობის გაშლა უფრო ფართო გეოგრაფიული მასშტაბებით.

ეს პრობლემები თვალნათლივ ჩანს, მათი ჩამოთვლა ძნელი არ არის. გაცილებით უფრო რთულია რაიმე ეფექტურ და რეალურ პროგრამათა შეთავაზება, აუცილებელი კაპიტალისა და სხვა რესურსების გამონახვა.

ჩვენ ადამიანის უფლებათა სფეროშიც უკან დახევა გვემუქრება, რადგან აქ პრობლემები სულ უფრო და უფრო გადაინაცვლებს პოლიტიკურ თავისუფლებათა სიბრტყიდან სოციალურ და ეკონომიკურ უზრუნველყოფათა სიბრტყეზე.

შესაძლოა, ყველაფერმა ამან სერიოზული გავლენა მოახდინოს ჰელსინკის პროცესის ბედზე სწორედ იმ მომენტში, როცა მხოლოდ ეს პროცესი შეიძლება იქცეს ევროპულ სახელმწიფოთა მოქმედების შემათანხმებელ ფაქტორად, მათ შემაკავშირებელ საშუალებად.

კიდევ უფრო სერიოზული საფრთხე გამოიწვია საბჭოთა

კავშირში დაწყებულმა პროცესმა, გარდაქმნის დამუხრუჭების საგრძნობმა ტენდენციამ.

* * *

პარიზში ჩვეულებრივ შეიარაღებათა შემცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ უკვე იჩინა თავი გარემოებებმა, რომლებმაც საეჭვო გახადა მისი რატიფიკაცია. ეს პრობლემა ახლა მოლაპარაკებათა საგანს წარმოადგენს. ვიმედოვნებ, რომ ამ წიგნის გამოსვლის დროისთვის ის გადაჭრილი იქნება. ახალ კი მხოლოდ შემიძლია ვთქვა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი შეთანხმება პირველად ისტორიაში ადგენს მთლიანად ევროპაში და მის ცალკეულ ზონებში შეიარაღებათა ზღვრულ დონეებს, აგრეთვე განსაზღვრავს გარკვეულ კვოტებს ხელშეკრულების ხელისმომწერი 22 ქვეყნიდან თითოეულისთვის. მის ჩაშლას მოჰყვებოდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თვალსაზრისით კატასტროფული შედეგები. ღრმა კრიზისის დროს, როცა ჩვენ ასე გვჭირდება ხელსაყრელი საერთაშორისო გარემო და გარედან დახმარება, ხელშეკრულების ტორპედირება ჩვენი ინტერესების ღალატი იქნებოდა. ეს გამოსავალი ბოლოს მოუღებდა ყველაფერს, რაც გაკეთდა საერთოევროპული სახლის შენებისა და საერთოევროპულ სივრცეთა ფორმირებისათვის.

და, რასაკვირველია, ღირსეული გამოსავალი ამ, მე ვიტყოდი, განზრახ შექმნილი გამოუვალი მდგომარეობიდან მოინახება და ხელშეკრულება იცოცხლებს, რადგან ის შეესატყვისება ხელისმომწერი ქვეყნების ინტერესებს.

თუმცა ამტკიცებენ, რომ ჩვენს ინტერესებს ის არ აკმაყოფილებს, რომ საბჭოთა დიპლომატიამ უღალატა თავისი სახელმწიფოს მიზნებს, და ამიტომ თავზეხელაღებული ჩვენი ოპონენტები შეეცადნენ ქვეყნის ჯავშნიანი ავლა-დიდების გადარჩენას. განა ფოლადის ტონები უფრო ძვირფასი არ არის, ვიდრე ნდობა და კეთილი სახელი?!

გაუგონარ უპასუხისმგებლობად მიმაჩნია ზოგ სამხედრო და არასამხედრო ექსპერტთა დემაგოგიური გამოხდომები ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების იმ პირობებისა და პარამეტრების წინააღმდეგ, რომლებიც დაფიქსირებული იყო პარიზში უმაღლეს დონეზე შეხვედ-

რისას. ამ სრულიად დაუსაბუთებელი კრიტიკის იქით ვხედავ დაუფარავ წადილს, რომ ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც იყო დაპირისპირებულობისა და იდეოლოგიური კონფრონტაციის ომისშემდგომ წლებში.

ხელშეკრულება სრულიად აუცილებელია ევროპაში სტაბილურობის შენარჩუნებისათვის. რამდენადაც ვიცი, ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ 22 ქვეყანას ხელშეკრულება დაედოს თავის შეიარაღებათა საერთაშორისო რეგულირებისთვის და ამისთვის შემოეღოს შემოწმებისა და კონტროლის მტკიცე სისტემა. თავისი არსით ეს ხელშეკრულება იყო ერთ-ერთი მზიდი კონსტრუქცია ახალი ერთიანი ევროპისა, რომელიც იქმნებოდა „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ. ეს ხელშეკრულება სახელმწიფოთა შორის დეკლარირებულ ახალ ურთიერთობათა მატერიალური საფუძველია. მასში ხორცშესხმულია კონტინენტზე სამხედრო დაპირისპირებათა დაძლევის იდეა.

აი, რატომ არის, რომ ჩვენ, ევროპას, მსოფლიოს არ შეგვიძლია დავუშვათ ამ ხელშეკრულების გაუქმება იმ „შემუთანხმებლობათა“ გამო, რომლებიც მისი ხელმოწერის შემდეგ წარმოიშვა.

მათ, ვინც ცდილობს, სადავოდ გახადოს ეს ხელშეკრულება, ისევე, როგორც განიარაღებისთვის მიღებული სხვა ზომები, აი, რას ვეტყოდი: კეთილი, გეთანხმებით. არ უნდა შეგვემცირებინა შეიარაღებები და ჯარები. პირიქით, ჯარების რაოდენობა უნდა გაგვეზარდა, გამალებული შეიარაღება უნდა გაგვეგრძელებინა. მაგრამ მიპასუხეთ ერთ ელემენტარულ კითხვაზე: შეუძლია კი ქვეყანას, თუ მის გუშინდელსა და დღევანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ისე გაუძლოს ამხელა ტვირთს, რომ მისმა სიმძიმემ ქვეშ არ დაიტანოს, არ გასრისოს? შევძლებთ კი ამას ჩვენი ამჟამინდელი ბიუჯეტისა და ფინანსების პატრონები, ამ ინფლაციის ვითარებაში, რომელიც იმით გვემუქრება, რომ გენერლებისა და ოფიცრებისთვის არც არაფრის გამო გვექნება ხელფასი მისაცემი და არც არაფერი გვექნება გასაცემი?

ამ კითხვაზე მხოლოდ პატიოსანი პასუხი გამოდგება პატრიოტიზმის საზომად, ოღონდ, ჭეშმარიტი და არა უწყებრივი პატრიოტიზმისა.

მხოლოდ ასეთი პატრიოტიზმი დაგვაფიქრებს სერიოზულად, თუ როგორი არმია გვჭირდება.

სპარსეთის ყურეში მოვლენების დროს XXI საუკუნის საომარმა ტექნოტრონიკამ შეიარაღებათა „დახვავებული ჯართის“ სრული უსუსურობა გამოავლინა. ამას ჩვენთვის უნდა დაენახებინა, ამჟამად რა ქმნის და რა უზრუნველყოფს ნამდვილ უშიშროებას. უსაფრთხოებას უზრუნველყოფს არა იარაღის რაოდენობა და ჯარების რიცხვი, არამედ ხარისხი და ინტელექტუალური საუნჯე და კიდევ — მოწინავე ტექნიკასა და წარმოებაში მისი სწრაფი გამოყენებისა და მოხმარების უნარი.

ჩვენ გვჭირდება პროფესიული არმია, მისთვის კი აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოება, რომელშიც სამხედროფორმიანი მოქალაქე იგრძნობს და შეიცნობს თავის თავს პიროვნებად და იცხოვრებს ყოველმხრივ, — სოციალური, მატერიალური თუ სულიერი თვალსაზრისით, — ღირსეული ცხოვრებით.

აუცილებელია განათლების სხვა სისტემა, რათა ჩამოყალიბდეს ინტელექტის განსაკუთრებული წყობა, რომელიც შებორკილი არ იქნება ტოტალიტარიზმისგან უნიფიცირებული დადგენილებებით.

ძნელი გასაგები არ არის, ასე გააფთრებით რატომ ეწინააღმდეგებიან ადამიანები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას. ცენტრალიზებული მბრძანებლური სისტემის დემონტირებას მოჰყვება სამხედრო ხარჯების შემცირება და თავდაცვითი მრეწველობის ყოველმხრივ გააზრებული, ნამდვილი კონვერსია და არა მისი უსახური მიმსგავსება, რომელიც თვით იდეას გაუტეხს სახელს.

ეკონომიკის გარდაქმნას უსათუოდ მოჰყვება შეიარაღებული ძალების შემცირება, პროფესიული არმიის შექმნა და მისი გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ საგარეო ამოცანების გადასაჭრელად.

არმიის დაკომპლექტების პროფესიულ პრინციპზე გადასვლა პირადი შემადგენლობის შენახვისთვის მეტი სახსრების გაღებას არ გულისხმობს მხოლოდ. იგი მოითხოვს არმიაში „ბუნებრივ შერჩევას“. ზოგი მეთაური დაკარგავს მდგომარეობას, წოდებას, თანამდებობას. საჭირო შეიქნება კომპე-

ტენტურობისა და პროფესიონალიზმის დღევანდელზე მაღალი დონე. ამიტომ კრიტიკოსები შეიარაღებათა შემცირებას ზომავენ არითმეტიკული ანგარიშით („როგორ? ჩვენ მათზე მეტს ვამცირებთ?!"). დადებულ შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა კრიტიკა განზრახ ჩქმალავს იმ ფაქტს, რომ ჩვენთან ერთად მეორე მხარეც ამცირებს შეიარაღებებს, რომ გაცილებით მეტი დავაგროვეთ, ვიდრე ეს პარიტეტისთვის იყო საჭირო.

„არითმეტიკული აზროვნება" სტატიკურია და სწორედ თავისი უძრაობის გამო მას არ ძალუძს ირგვლივ მიმოიხედოს და წინ იყუროს. იგი უფრო ხშირად შეთანხმებათა შედეგებით არის შეფიქრიანებული და იმას სულაც არ დაგიდევთ, თუ რა შეიძლება მოხდეს ქვეყანაში და რა შეიძლება მოუვიდეს თვით ქვეყანას, შეთანხმებები რომ არ დაიდოს. როგორ წაგებად შეუტრიალდება ეს მილიტარიზებული ქვეყნის ეკონომიკას.

ვფიქრობ, უარი უნდა ვთქვათ „რაოდენობრივი უპირატესობის" ფანტომებზე და უმაღლესი ხარისხის ნაწარმის დაგეგმვა და შექმნა დავისახოთ მიზნად. ოდესღაც, როცა ჩვენი მრეწველობის სიმძლავრეთა დატვირთვას ვახერხებდით ასი პროცენტით, და მეტითაც და ამით ვამაყობდით, ხომ გამოგვრჩა მხედველობიდან, რომ ეს აბრკოლებდა მანქანების, მექანიზმების, სამომხმარებლო საქონელთა ახალი მოდელების შემუშავებასა და ათვისებას.

ჩვენი არმიისთვისაც აუცილებელია ხარისხობრივ მაჩვენებელთა პრიორიტეტი ყველაფერში, პირველ რიგში — სამხედრო მოსამსახურეთა ცხოვრების დონეში. ბოლოს და ბოლოს, ეს მიზანდასახულობა წამოყენებულია მაღალი პარტიული ფორუმების გადაწყვეტილებებში და მე მხარი დავუჭირე მათ, რადგან ისინი პირდაპირ ემთხვევა ჩემს წარმოდგენებს ქვეყნის მომავალზე.

შეიძლება მკითხონ: რა კავშირი აქვს ყოველივე ამას გერმანიის გაერთიანების პრობლემასთან? ვუპასუხებ: უშუალო კავშირი აქვს. ცვლილებათა წინააღმდეგ აჯანყებულ ძველი სისტემის მომხრეთათვის განიარაღებათა შესახებ შეთანხმებები და გერმანიის საკითხის რეგულირება ერთი რიგის მოვლენებია.



8

ფრენის საათები საუკეთესო დროა ფიქრისთვის.

ყოველი მორიგი ვიზის წინ, ჩემი თანაშემწეები, რუკას რომ დახედავდნენ, თავში იტაცებდნენ ხელებს: „ისევ ათი საათი უნდა ვიფრინოთ!“ „ისევ“ იმას ნიშნავდა, რომ გამონაკლისები წესად იქცა. ჩვენ ვითვისებდით ოდესღაც ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიერ უპატრონოდ მიტოვებულ სივრცეებს.

როცა ხანგრძლივ და რთულ გზას დაასრულებ, ფიქრებში თავიდან გაირბენ მას, იმეორებ მარშრუტის ყველაზე რთულ მონაკვეთებს და ჩაფიქრდები: სწორად გაიარე, თუ მისი სხვაგვარად გავლა ჯობდა?

ახლაც რაღაც ამდაგვარი მემართება. აზრი გამექცა აზიის ტრასებზე. ეს ხდება სავსებით კონკრეტულ დროში და კონკრეტული საბაბით: ეს არის იაპონიაში, ჩინეთში ვიზიტები, ვლადივოსტოკში ყოფნა. გუმანი მეუბნება, რომ ფიქრის ეს მარშრუტი სსრკ-ის პრეზიდენტის იაპონიაში ამასწინანდელმა ვიზიტმა გამოიწვია.

* * *

გზაში დრო გაილევა ხოლმე დაძაბულ მუშაობაში, კითხვაში და დოკუმენტების გაზრებაში, მასალების მომზადებაში, მოლაპარაკებათა პოზიციების დახვეწაში, ოფიციალურ განცხადებათა და გამოსვლათა ტექსტების რედაქტირებაში. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ დატვირთვას ემატება კიდევ ერთი მომავალი მოვლენა — საერთაშორისო შეხვედრა ვლადივოსტოკში — „დიალოგი, მშვიდობა, თანამშრომლობა“.

იქ მომიწევს მოხსენების წაკითხვა აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ. ქვეყანაში არსებული მდგომარეობა მომავლის შესახებ მარტო ფიქრს როდი აღძრავს. ამავე მიმართულებით მუშაობს აზრი, რომელიც, დიდი ხანია, არ მასვენებს, — აზრი უშიშროებისა და სტაბილურობის ევრაზიული სივრცის შექმნისა და დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ევროპისა და აზიის დაახლოების

საქმეში საბჭოთა კავშირის უნიკალური შესაძლებლობების შესახებ.

ვფიქრობ იაპონიის ფენომენზე, ჩინეთისა და რეგიონის სხვა ქვეყნების სწრაფ პროგრესზე, ვცდილობ რაღაც მოვიფიქრო იმ კითხვის პასუხად, თუ რა მოჰყვება მომავალში ახალი ეკონომიკური ცენტრებისა და პოლიტიკური ძალის აღმოცენებას: მეტოქეობა თუ თანამშრომლობა. არ მინდა სხვა რამეზე გადავერთო, მაგრამ უნებურად ვერ ვიცილებ ფიქრებს 1990 წლის შუა სექტემბერში მოსკოვში დაგეგმილ „ექვსეულის“ შეხვედრაზე და ყველაფერზე, რაც დაკავშირებულია გერმანიის გაერთიანებასთან, უმაღლეს დონეზე საერთოევროპულ შეხვედრასთან, — ვფიქრობ მსოფლიოსთვის ყოველივე ამის მნიშვნელობაზე.

ფიქრის ასეთ ყოვლისმომცველ გაფანტულობას მაინც ერთი ღერძი აქვს, ერთი რამ წარმართავს — ჩვენი საერთო მომავალი. მსოფლიო XXI საუკუნის ზღურბლზეა. ახლა, როცა ახალი ათასწლეული, რომ იტყვიან, ყურის ძირშია, ჩვენი ყველა ფიქრი, ყველა კითხვა, რომლებსაც საკუთარ თავსა და ერთმანეთს ვუსვამთ, სავსებით პრაქტიკულ ხასიათს იძენს.

პროგნოზები უმადური, სარისკო, მეტიც, საშიში საქმეა. რამდენი „წინასწარმეტყველი“ გააწბილა ამ ჩვენმა XX საუკუნემ, რომლის გეზიც ასე დრამატულად ასცდა მათი ხილვების საამურ დინებას. თანამედროვე ფუტუროლოგია უსაფუძვლოდ როდი აცხადებს პრეტენზიას ზუსტი მეცნიერების სტატუსზე, მაგრამ მისი უზუსტესი, — ლამის კომპიუტერული — გაანგარიშებები და მათემატიკური მოდელებიც კი ირღვევა მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრების დაწოლით. შუა საუკუნეთა ნოსტრადამუსების ნათელმხილველობა იწვევს მისტიკური შიშისა და განცვიფრების ნაზავ გრძნობას, მაგრამ თანამედროვე „მაგიას“, — ხან თეთრს, ხან, საუბედუროდ, შავს, — არსებითი კორექტივები შეაქვს კაცობრიობისთვის ნაწინასწარმეტყველებ გზაში.

წინასწარმეტყველობას არ ვაპირებ, პროგნოზებისგან თავს ვიკავებ. ჩემი საგზაო ფიქრები მხოლოდ იმ კითხვებს ირეკლავენ, რომელსაც დღეს მარტო მე არ ვუსვამ ჩემ თავს. თითქმის ყველა ეს კითხვა ჩვენს დღევანდელ საზრუნავთა და საქმეთა ნიადაგზეა აღმოცენებული და გამსჭვალულია

-უკეთესი ხვალინდელი დღის იმედით. ჩვენ ავირჩიეთ მასშტაბი, რომელსაც „მთელი სამყაროს მომცველობასთან“ ერთად აქვს ის მთავარი, ეგებ მცირე, მაგრამ მაინც ყველა დროისთვის დიადი დანაყოფი, ის მთავარი „ერთეული განზომილებისა“, რომლითაც უნდა განისაზღვრებოდეს ყველაფერი. ეს არის ადამიანი და მე აქ ყველა ქვემოთ მოხმობილ კითხვას ამ მასშტაბით ვუდგები.

როგორი სახით შეაბიჯებს კაცობრიობა მესამე ათასწლეულში? რას დავუტოვებთ ჩვენ, ამჟამინდელი თაობა, მემკვიდრეობად ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს? სუპერდამანგრეველი იარაღის მთებს, რომლებსაც შეეძლებათ ყველას და ყველაფერის აფეთქება, მტრობასა და კონფრონტაციას, ეკოლოგიურ კოლაფსსა და ეკონომიკურ წყობას, რომელიც თავისით ინგრევა? თუ კეთილმეზობლობისა და გლობალური თანამშრომლობის სამყაროს, რომელშიც აღარ იქნება არანაირი — არც სამხედრო და არც სხვაგვარი — მუქარა, სამყაროს, — რომელშიც ყველა ხალხს შეეძლება თავისუფლად შრომა და ცხოვრება და, რაც მთავარია, ცხოვრებით გახარება?

პასუხები დღესვეა საჭირო, უკვე საჭიროა მათი არა ძარტო უბრალოდ ფორმულირება, არამედ — ფორმირება სწორ მიზანთა მისაღწევი მატერიალური წანამძღვარებისა. დიდი გამბედაობა არ სჭირდება იმის თქმას, რომ XXI საუკუნის ბედი მეტწილად დღეს წყდება. მომავალ თაობათა ხვედრი დამოკიდებულია ჩვენზეც, იმაზეც თუ როგორ გვესმის ჩვენ მდგომარეობა სამყაროსი, რომელშიც ვცხოვრობთ; იმისგან, — თუ რამდენად სწორად ვხედავთ ამ სამყაროს განვითარების წარმმართველ ტენდენციებს და საფუძვლიანად ვირჩევთ თუ არა ჩვენი ქცევის ორიენტირებს.

ბოლო დროის ყველა პოლიტიკურ ანალიზში საერთოა იმის კონსტატაცია, რომ სამყარო არნახული ტემპებით იცვლება, სხვაფერდება.

მაგრამ განა ის ათი, ოცდაათი წლის წინათ არ იცვლებოდა? ეგებ განსხვავება ცვლილებათა სისწრაფეშია?

არა მგონია.

მაგრამ, ასე თუა, მაშინ რა პრინციპული სიახლე გვაქვს? ასე მგონია, რომ სამყარო ახლა ცივილიზაციის პროცესის იმ

მონაკვეთზე აღმოჩნდა, როცა, ერთი დიდი მოაზროვნის თქმისა არ იყოს, „სრულდება კაცობრიობის ტანის აყრა". სამყარო, როგორც ჩანს, მიადგა თავის ბუნებრივ ზღვართა უკანასკნელ მიჯნას. ჩვენ გავაცნობიერეთ, რომ იწურება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მრავალი რესურსი, რომ აუცილებელია ადამიანის მოღვაწეობის მრავალი სფეროს გლობალურ დონეზე რეგულირება.

სახელმწიფო-პოლიტიკური თვალსაზრისით მსოფლიოში თითქმის ყველაფერი დადგინდა და ყველაფერმა მყარი ფორმა მიიღო. მსოფლიოს გადანაწილების ცდებს კოლექტიური წინააღმდეგობა ხვდება. ცოტაღა დარჩა ისეთი სახელმწიფოები, რომლებსაც ერთმანეთთან ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობები არა აქვთ. სრულიად აღარ არიან მსოფლიო გაერთიანების ცხოვრებისა და მისი პრობლემებისგან ფიზიკურად იზოლირებული ქვეყნები.

უკვე აღარ არსებობს „ველური დასავლეთი" და „ციმბირის მიყრუებული ადგილები". „მესამე სამყარო" კარგავს ამ თავის „რიგით ნომერს". სამაგიეროდ არსებობს საერთო პრობლემები, საერთო საფრთხე და საერთო სწრაფვა საყრდენის მონახვისკენ, ინტერესთა ბალანსის მიღწევისაკენ.

მსოფლიოს თუ საერთო სხეული აქვს, მაშინ მისი ნებისმიერი მტკივნეული წერტილი საერთო ტკივილად და საერთო საზრუნავად განიცდება.

მსოფლიოს სატკივარი, მისი საფრთხე დაუნაწევრებელია, უწინარეს ყოვლისა, უშიშროების თვალსაზრისით. თვით მრავალფეროვანი და ერთიანი მსოფლიოს განვითარების ლოგიკასა და დრამატურგიას მივყავართ მსოფლიოს ევოლუციის ახალი, ერთიანი ფილოსოფიის ძიებამდე, ისეთი ახალი საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებამდე, რომლებიც ამჟამინდელი და მომავალი მსოფლწესრიგის შექმნას შეძლებენ.

მაგრამ რა ვქნათ, რა ვუყოთ იმ მტკივნეულ წერტილებს, რომლებიც თიშავენ ერებსა და ქვეყნებს?

* * *

ამ სტრიქონებს ვწერ იაპონიაში საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ვიზიტის დამთავრების შემდეგ. მე და ჩემს კოლეგებს, 1985 წლიდან მოკიდებული, თანმიმდევრულად და დაჟინებით მიგვყავდა საქმე იქითკენ, რომ ეს ვიზიტი შესაძლებელი გამხდარიყო. ამიტომ მაქვს უფლება, ვიმსჯელო მასზე, შევაფასო ის საქმის ცოდნით და მიუკერძოებლად.

ამ ვიზიტის წინადღით ბევრნი მეკითხებოდნენ, თუ რას ველოდი მისგან. ვუპასუხებდი, რომ ამას კარდინალური ცვლილებები არ მოჰყვებოდა, საამისო პირობები ჯერ არ იყო მომწიფებული. და, ჩემი აზრით, ძალიან ცდებოდნენ საბჭოთა კავშირშიც, იაპონიაშიც და სხვაგანაც ისინი, ვინც ხმაურიან აჟიოტაჟს ქმნიდნენ ამ ვიზიტის გამო და სენსაციურ შედეგებს წინასწარმეტყველებდნენ.

ჩვენს დღეებში პოლიტიკა სწრაფად „ფრინავს", მაგრამ იმ შესაძლებლობებზე სწრაფად ვერა, რომლებსაც რეალური ვითარებები იძლევა. ცვლილებების ტემპს ეს ვითარებები განსაზღვრავენ. პოლიტიკა დრამატულია თავისი არსითაც და თავისი კონკრეტული გამოვლინებებითაც, მაგრამ ეს იმის საფუძველს არ იძლევა, რომ პოლიტიკა სენსაციის მსახურად გადავაქციოთ.

მოხდა ის, რაც კარგა ხანია არ ხდებოდა, მაგრამ აუცილებლად კი უნდა მომხდარიყო: საბჭოთა კავშირის მეთაური ეწვია მეზობელ ქვეყანას, რომელთანაც ურთიერთობები უაღრესად მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირისთვისაც და იაპონიისთვისაც. ეწვია პირველად, რაც თავისთავად ნიშნავს ნაბიჯის წინ წადგმას. შედგა დიალოგი უმაღლეს დონეზე, ხელმოწერილია შეთანხმებათა მთელი წყება. მაგრამ მე კატეგორიულად არ ვეთანხმები მათ, ვინც ამტკიცებს, თითქოს ამ ვიზიტით დაიწყო საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობათა ახალი ეტაპი.

ახალი ეტაპის ხსენება დავიწყეთ 1985 წლიდან, როცა იაპონელებთან ერთად შევუდექით განხილვას ყველაფრისა, რაც გვაპირისპირებდა ერთმანეთთან. უკვე 1986 წლის იანვარში, ტოკიოში ჩემი პირველი ვიზიტის დროს, მე და სინტარო აბემ მოვილაპარაკეთ, რომ განვიხილავდით ყველა არ-

სებულ პრობლემას: ტერიტორიულ პრობლემას, ორმხრივ ურთიერთობებს... თუნდაც მხოლოდ ის, რომ კურილიის კუნძულები ბოლოს და ბოლოს გაიხსნა თავიანთ წინაპართა და ახლობელთა საფლავების მონახულების მსურველ იაპონელთათვის, უზარმაზარი ზნეობრივ-პოლიტიკური მიღწევა იყო. ადამიანურობის განზომილება ერთბაშად მიესადაგა ურთიერთობებს, რომლებიც წარსულში უმეტესად სწორედ არაადამიანურობით იყო შეფერხებული.

ეს ყველაზე ზუსტი ორიენტირი იყო.

ამის შემდეგ კიდევ ორჯერ ვეწვიე იაპონიას, მრავალჯერ შევხვდი იაპონელ კოლეგებსა და მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეებს. ყოველი შეხვედრა წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ტოკიოში მეორე ვიზიტის დროს ჩემი წინადადებით შეიქმნა მუშა მექანიზმი მშვიდობიანი ხელშეკრულების დადებისთვის მოლაპარაკებათა ჩასატარებლად, რითაც გადაწყდებოდა ტერიტორიული პრობლემაც. მექანიზმი ამოქმედდა.

მესამე ვიზიტი (1990 წ.) იმით იყო გამორჩეული, რომ იაპონელმა ხელმძღვანელებმა პირველად განაცხადეს თანხმობა აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში უშიშროებისა და სტაბილურობის პრობლემის განხილვაზე. ჩემი კოლეგის ტარო ნაკაიამას ძალისხმევის წყალობით ამ დიალოგმა მრავალმხრივი ხასიათი მიიღო: იმავე წელს ნიუ-იორკში ამ პრობლემაზე აზრთა გაზიარებისთვის ერთმანეთს შეხვდნენ რეგიონის რამდენიმე ქვეყნის მინისტრები.

იაპონიაში სამივე ვიზიტი ჩატარდა „ტერიტორიული პრობლემის“ ნიშნით და მე, ვგონებ, არცერთ „დათმობაზე“ არ წავსულვარ, მაგრამ მაინც შევძელით გადნობა ყინულისა, მანამდე რომ ბორკავდა საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობებს.

იაპონელთა ტრადიციული თავაზიანობა მათ ხელს არ უშლის, რომ საკითხები მწვავედ და მკაცრად დასვან. 1986 წელს ტოკიოს შორეულ ქუჩებში მობობოქრე დემონსტრაციების ხმაური საბჭოთა საელჩოს დაჯავშნულ კარებს ეხეთქებოდა. შემდეგ და შემდეგ მეტი შვება ვიგრძენით, მაგრამ თავიდანვე არ მქონია პრეტენზია პროტესტის აქციათა მიმართ. ყველაზე იოლი იყო მაგიდაზე მუშტები მებრახუნებინა. ამბობენ, ეს

ძლიერებას ადასტურებს და პატივისცემას იწვევსო. მე ასეთი „პატივისცემა“ არც მინდა და არც მსურს.

მეც მიწევდა მტკიცედ დგომა. ჩვენს უკან, — მოლაპარაკებების მაგიდასთან მსხდომთა უკან, — იდგნენ ჩვენი ხალხები და ქვეყნები, და ჩვენი პოზიციები მათი ინტერესებით იყო ნაკარნახევი. არც მე, არც ჩემს vis-a-vis-ს არა გვქონდა უფლება იოტისოდენად გადაგვეხვია პოზიციებიდან. რა ვქნათ? როგორ მოვნახოთ ინტერესთა ბალანსი უწონასწორობის ატმოსფეროში? შესაძლოა, არც ისე ცდებიან ჩვენი კრიტიკოსები, როცა ამტკიცებენ, რომ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა რიტორიკა ყოველთვის არ შეესაბამება ეროვნულ ინტერესთა რეალურ დაცვას.

მაგრამ ჩემთვის ხომ ეს რიტორიკა კი არა, პრაქტიკული სახელმძღვანელოა. სწორედ ამ პრინციპის აღიარება გვიბიძგებს, რომ პრობლემას ადამიანურობის პრიზმით შევხედოთ. ჩვენ მოგვიწოდებენ, რომ გავიგოთ იაპონელის გრძნობები, მაშინ არც ჩვენ უნდა გვითხრან უარი, უნდა გაგვიგონ ჩვენც. და ჩვენ თუ ერთი ადგილი ვტკეპნეთ, ვერასოდეს გავუგებთ ერთმანეთს.

ერთმა ჩემმა იაპონელმა თანამოსაუბრემ არაორაზროვნად მითხრა, რომ „მკვდარ“ პოზიციებზე ფეხის მონაცვლება დამთავრდება, თუკი პრობლემას გავხედავთ „არა ჩრდილოეთიდან, ან სამხრეთიდან, არამედ — „ზევიდან“. ამ პრობლემის ჭეშმარიტი მნიშვნელობა და მასშტაბი უნდა დავინახოთ რეგიონისა და მსოფლიოს მოზაიკაში და, ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტოთ, რა ვქნათ? მაგრამ, ამასთანავე, ამ პრობლემასთან შორს გამიზნული მიდგომაც არის საჭირო, — დასძინა მან.

დავეთანხმე. ჩემი იაპონელი კოლეგებისთვის სხვა არაფერი შემითავაზებია. ერთ ადგილზე დგომა არ შეიძლება, მოსკოვი და ტოკიო ერთმანეთის კონკურენტები არ არიან, ჩვენ მშვენივრად შეგვიძლია მსოფლიო ლანდშაფტში ერთმანეთის შევსება. ეს მომავალში შექმნის წანამძღვრებს იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებსაც ჩვენ დღეს, თითოეული თავისებურად, რეალიზმის პოზიციებიდან ვუდგებით.

ტოკიოში ჩემი ბოლო ჩასვლის დროს საუბრების ცენტრში კვლავ ტერიტორიული პრობლემა იდგა. მაგრამ მე უწინ-

დებურად ვთქვი: კომპრომისული ვარიანტები რომც არ გამოინახოს, მაინც აუცილებელია ურთიერთობათა განვითარება. სწორედ ურთიერთობების ის ბაზა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილებები, ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა და ინტერესთა წონასწორობის მიღწევა. ეგებ, ამისთვის ღირდა კიდეც საბჭოთა კავშირისა და იაპონიის დაახლოების ათწლეულის 2000 წლამდე დაწესება.

დრო შეიცვალა. მსოფლიოსა და რეგიონში სხვა სიტუაციაა. მაგალითად, 1986 წელს, სინტარო აბესთან საუბრისას მე სულ ვგრძნობდი ამერიკა-იაპონიის ხელშეკრულებათა შედეგად გავლებულ, ერთმანეთისგან ჩვენს გამთიშველ ხაზს. საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ურთიერთობათა შეცვლამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საბჭოთა კავშირისა და იაპონიის დიალოგისთვის კლიმატი. ახლა ჩვენც გაცილებით გვეადვილება ერთმანეთთან მუსაიფი, უფრო ადგილად ვნახულობთ საერთო ენას, ეს კი უკეთესი მომავლის საწინდარია.

და მართლაც, ტოკიოში მესამე ვიზიტის დროს ტარო ნაკაიამამ და მე პირველად შევძელით მოლაპარაკებების პროცესში ჩაგვერთო ისეთი საკითხები, რომელთა განხილვაზეც იაპონიის მხარე ადრე კატეგორიულად უარს აცხადებდა.

ამას გარდა, ერთმანეთს შევუთანხმეთ დოკუმენტების დასტა საბჭოთა კავშირთან იაპონიის ჰუმანიტარული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. შემდეგ მათ ხელი მოაწერეს იაპონიაში სსრკ-ის პრეზიდენტის პირველი ვიზიტის დროს.

მაშასადამე, მოძრაობა დაიწყო. ის განაპირობა საერთო სიტუაციის შეცვლამ. ეს კი სწორედ ახლებური აზროვნების პოლიტიკამ გახადა შესაძლებელი.

დარწმუნებული ვართ, რომ ეს ცვლილებები, რომლებიც თანდათან ღრმავდება და ხელს უწყობს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობათა განვითარებას, ორივე ქვეყანას მიიყვანს ინტერესთა ბალანსთან.

ჩემი არგუმენტი ასეთია.

ჩემი არგუმენტია კოსტია სკოროპიშნი, იუჟნოსახალინსკელი ბიჭუნა, რომელიც იაპონელმა ექიმებმა იხსნეს დამწვრობით სიკვდილისგან. ის, შეიძლება ითქვას, გადაარჩინა ია-

პონიამ, რომელიც კოსტიასა და მის მშობლებს სასწრაფოდ დაეხმარა მაშინ, როცა დახმარება არსაიდან ჩანდა. ამქვეყნად თუ ნამდვილად არსებობს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, მაშინ მე არ მეგულება ამაზე უფრო სარწმუნო მათი გამოვლინება. ბიჭუნა გაიზრდება და მასთან ერთად მომწიფდება ისიც, რაც მას და მის თანამემამულეებს გადაალახვინებს იაპონელთაგან გამმიჯნავ ზღვარს.

ამისთვის საჭიროა ხელი გამოიღოს ერთმა მხარემაც და მეორემაც. ამჟამინდელმა მეტისმეტად პოლიტიზებულმა ტერიტორიულმა პრობლემამ ბობოქარი ეროვნული ვნებები გააღვივა. და მანევრებისთვის ისედაც პატარა სივრცე კიდევ უფრო დავიწროვდა. ჩვენ მოვალენი ვართ გავაფართოოთ იგი მოთმინებით, ერთმანეთის გაგების წყურვილით.

უეჭველია, რომ იაპონიაში მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი ამას ხელს შეუწყობს. ასეთია ამ ვიზიტის შეფასებაში ჩემი ერთადერთი კორექტივი.

ჩვენ „ცარიელი ფურცლით“ არ ვიწყებთ. ეს ფურცელი უკვე იმედისმომცემი ჩანაწერებით არის შევსებული. ის უნდა განვაგრძოთ.

1990 წელს იაპონიის საზოგადოებრიობის წინაშე გამოსვლის დროს წამოვაყენე წინადადება, გაგვეფართოებინა ტერიტორიული პრობლემის შესახებ დიალოგი, გამოგვეყვანა ის პროფესიულ პოლიტიკოსთა და დიპლომატიურ უწყებათა მოხელეების ვიწრო რკალიდან; შეგვექმნა ჩვენი ორი ქვეყნის ისტორიკოსთა, იურისტთა, სამხედროთა ერთობლივი კომისია, მასში მონაწილეობისთვის მოგვეწვია უცხოელი დიდი მეცნიერები და სპეციალისტები, დაგვეწყო მეცნიერული დისკუსია, რომელიც სტიმულს მისცემდა პოლიტიკურ პროცესს და საზოგადოებრივ აზრსაც მოამწიფებდა.

მაშინ ამ განზრახვის ხორცშესხმა ვერ მოხერხდა. მე ვისურვებდი, ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ ასოციაციაში ამ განზრახვისთვის პრაქტიკული საფუძველი შეგვემზადებინა და პრობლემა მშვიდ ატმოსფეროში განგვეხილა. ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, ეს წამოგვეწყო მოსკოვში ტოსიკა კაიფუს ვიზიტამდე.

* * *

შანხაი, 1989 წლის 4 თებერვალი. თერთმეტი დღის შემდეგ უკანასკნელი საბჭოთა ჯარისკაცი დატოვებს ავღანეთს. რამდენიმე წუთის შემდეგ სიაოპინი მიიღებს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს. ეს საუბარი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის უმაღლეს დონეზე შეხვედრის ზღურბლია.

ვიცი, რა დაგვიჯდა ჩვენ და რა დაუჯდა ჩინეთსაც ათწლეულების წინათ ჩვენს შორის წარმოშობილი კონფრონტაცია.

მილიარდობით მანეთი და იუანი შთანთქა სამხედრო დაპირისპირებამ. საზღვარზე დაიღვარა სისხლი. ორ დიდ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მკვეთრად გაუარესებამ ამა ქვეყნის ძლიერნი აცთუნა, რომ „ჩინური კარტი" გაეთამაშებინათ თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობებმა, მსოფლიოში შექმნილი ვითარების პოზიტიური ზეგავლენის მომხდენმა მძლავრმა ფაქტორმა, უკიდურესად ნეგატიური ხასიათი მიიღო. „ცივი ომის" კანონებით წარმართული მსოფლიო პოლიტიკის დიდ თამაშში დასავლეთი ქულებს აგროვებდა იქ, სადაც მანამდე მას არაფერი ერგებოდა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ძალთა განლაგებაში თანაფარდობა დაირღვა. პოლიტიკური აზრით, დასავლეთი „ჭარბობდა" აღმოსავლეთს.

ყოველივე ამასთან ერთად, მე პირადი მოტივებიც მიბიძგებს, რომ ჩვენი ურთიერთობების ნორმალიზაცია მწადდეს. ჩემი თაობისთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ჩვენი ახალგაზრდობაა. ბევრი ჩვენგანი უშუალოდ მონაწილეობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაფუძნებაში, მის გრანდიოზულ მშენებლობებში; მის საწარმოებს ვეხმარებოდით საბჭოთა დანადგარებით აღჭურვაში, ვმუშაობდით მის სახელმწიფო მეურნეობებში, ვუზიარებდით გამოცდილებას. ბევრნი სწავლობდნენ ჩინელებთან ერთად და სამუდამოდ ჩარჩათ მეხსიერებაში თავიანთი მეგობრები. და, ალბათ, ყველასთვის პირად ტკივილად იქცა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობებში შემდგომ წარმოქმნილი გულგრილობა და გაუცხოება.

ამ ურთიერთობების ნორმალიზაცია ჩემი პიროვნული

საქმეა, ჩემი პერსონალური, პოლიტიკური და ზნეობრივი ვალია.

მაშ ასე, შეხვედრის კარიბჭესთან ვართ. მაგრამ ამ შეხვედრის წინ კარის ფართოდ გაღებას რამდენიმე დაბრკოლება ეღობება. ზოგი მათგანი მოგვარდა, მაგრამ, რაც დარჩა, იმათი შემოვლა უაღრესად ძნელი საქმეა. ჩემს კოლეგა ციან ციჩენს ვარწმუნებ, რომ ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული. წინააღმდეგობათა კვანძები განასკვულია სხვადასხვა ქვეყნების ერთმანეთთან შეუთავსებელი ინტერესებით. მიჩნეულია, რომ ისინი ჩვენ გავკვანძეთ და ჩვენვე უნდა გამოვხსნათ. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის, ისინი წარმოიშვა როგორც შედეგი იმ დაპირისპირებებისა და კონფლიქტებისა, რომლებშიც ყველა მხარე თავისი „მოდელის", თავისი კანონის დამკვიდრებას ესწრაფოდა. რეგიონის ამ ნაწილში „ცივი" და „ცხელი" ომები ასეთი „ლოგიკის" შედეგია.

საკვანძო პრობლემაა კამბოჯა, ამ ქვეყანაში ვიეტნამის სამხედრო ძალების ყოფნა. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის გზების შესახებ ჩემი და ციან ციჩენის მოლაპარაკებათა დასაწყისიდანვე ჩვენ განუწყვეტლივ ვაწყდებოდით ამ პრობლემას. ის გადაულახავი აღმოჩნდა. კარი მაგრად იყო ჩარაზული სწორედ კამბოჯის საკითხის და არა ჩვენს საზღვრებზე სამხედრო დაპირისპირების ან საზღვრის საკითხთა რეგულირების გამო, რაც ასევე საკმაოდ რთული და დახლართული საკითხები იყო.

დიდი დრო დამჭირდება, რომ გიამბოთ, თუ როგორ შევაღეთ კარი. ვიტყვი, მხოლოდ რომ ეს ფართო მნიშვნელობის დამოუკიდებელი ამოცანა იყო და საბჭოთა კავშირი მასი გადაჭრისთვის აქტიურად თანამშრომლობდა და განაგრძობს თანამშრომლობას, თანაც არა მხოლოდ ჩინეთთან. მას, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტორს, აქვს თავისი შესატყვისი მასშტაბი. ეს მას მიანიჭა სისტემათა გლობალურმა მეტოქეობამ და ამ უდიდესი განხეთქილების გადამლახავმა ახალი აზროვნების პოლიტიკამ.

დენ სიაოპინთან შეხვედრის წინადღეს რაზა თითქოს დაგვემორჩილა.

შანხაის გარეუბანში პატარა, სადად მოწყობილ შენობაში

დენ სიაოპინმა შემოგვთავაზა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის ფორმულა.

— ისტორიაში იყო პერიოდები, როცა ჩვენი ურთიერთობები ზიგზაგისებურად მიიმართებოდა. იყო დრო, როცა ჩვენ უკეთ ვიცნობდით და ვუგებდით ერთმანეთს. ამას მოჰყვა ოცწლიანი დაშორიშორება. ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. წარსულს ბოლო უნდა მოვუღოთ... ეს უაღრესად ძნელი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაც ძალზე რთულ საკითხებს უკავშირდება.

ძნელი მისახვედრი არ იყო, თუ რომელ საკითხებს გულისხმობდა დენ სიაოპინი.

— ამ ამოცანის უკეთ გადასაწყვეტად, — განაგრძობდა ის, — უნდა ვიცოდეთ წარსული. მაგრამ წარსული კი არ უნდა ვქექოთ. წარსულის ცოდნასაც ზღვარი უნდა ჰქონდეს...

— დიახ, — ჩავეჭიდე ფრაზის დასასრულს და ჟორესისეული მაქსიმით დავამთავრე: — წარსულიდან ფერფლი კი არა, ცეცხლი გვჭირდება.

დენ სიაოპინმა კვერი დამიკრა. ამის შემდეგ რაც ილაპარაკა, იქიდან იხატებოდა მსოფლიოს ერთიანი სურათი, მისი ისტორიული და ამჟამინდელი განზომილებით. იგი პირდაპირ შეესატყვისებოდა ჩინეთის ინტერესებს, მის შესაძლებლობებს, მის ადგილსა და როლს მსოფლიოში. ჩემი პატივცემული თანამოსაუბრის აზრით, მან გააკეთა თითქმის ყველაფერი, რაც მიზნად ჰქონდა დასახული, რათა თავისი ქვეყნისთვის განვითარების საუკეთესო პირობები შეექმნა. თითქმის ყველაფერი, გარდა ერთისა, და ეს „ერთი“ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაა.

— ჩვენს ქვეყნებს შორის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ვიზიტთა გაცვლა იმას ნიშნავს, რომ ნორმალიზაციის პროცესი დაიწყო. ამ პროცესში კი მთავარი მოვლენა უმაღლეს დონეზე შეხვედრაა. ჩვენი ურთიერთობები უნდა მოწესრიგდეს. ამისთვის კი მე გორბაჩოვს უნდა შევხვდე.

ყველაფერი სწორედ ამ ფორმულის მიხედვით მოხდა სამთვენახევრის შემდეგ. ისე მოხდა, როგორც გვქონდა განზრახული და როგორც გვინდოდა. მაგრამ მხოლოდ იმიტომ და იმის შემდეგ მოხდა, რაც მე და ციან ციჩენმა შევძელით ყველაზე დიდ უთანხმოებათა აღმოფხვრა.

საუბრის რაღაც მომენტში მე გამოვთქვი იმის რწმენა, რომ ვიეტნამი კამბოჯიდან თავის ჯარებს გამოიყვანდა. ბატონმა დენმა დაეჭვებით შემომხედა, მაგრამ კომენტარისგან თავი შეიკავა.

მალე დავრწმუნდი, რომ არ შევმცდარვარ და, ბუნებრივია, ამით ნასიამოვნები დავრჩი.

დენ სიაოპინი ლაპარაკობდა სიძნელეებზე, მაგრამ საუბრობდა მეტისმეტად ზოგადად. დეტალებს არ ჩაღრმავებია. სტრატეგიული ამოცანის წამოჭრის შემდეგ იძლეოდა განტოლების ამოუხსნელ ნაწილებზე თავისმტვრევის საშუალებას. ფილოსოფიურ-პოლიტიკური შინაარსის ბაასში ორი საათი სწრაფად გაილია. ნელი და ძნელი მოძრაობა დაიწყო შანხაის გარეუბანში მდგარი ამ სახლის კადლების იქით. უმაღლეს დონეზე შეხვედრის თარიღი არ დათქმულა, მხოლოდ სავარაუდო ვადა აღნიშნა: 1989 წლის შუა მაისი. ზუსტი თარიღის დათქმისათვის რაღაცის დათმობა იყო საჭირო. არც ჩვენ, არც ჩინელებს არაფერი დაგვითმია, მაგრამ ორივე მხარისთვის მისაღებ შედეგს მივაღწიეთ. როგორ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას დიპლომატიის მომავალ სახელმძღვანელოებს ვაკისრებ.

შემდეგ რა იყო? უმაღლეს დონეზე შეხვედრა შედგა და ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ახალი ურთიერთობებისთვის ნამდვილად გამოანათა მომავალმა. პეკინში ტანიანმენის მოედანზე მომხდარმა მოვლენებმა დაწყებული დიალოგის სათუთ და სუსტ ყლორტს ცუდი გარემო შეუქმნა. ჩემი აზრით, ჩვენ ღირსეულად გავართვით თავი ამ გამოცდას, მე დიდად მატკინა გული იმ ტრაგედიამ, იგი პირდაპირ ზედ დაემატა საშინაო საქმეების გამო ჩემს საფიქრალს.

მოკლე ხანაში ჩვენ შევძელით დაგვეძლია ეჭვი და უნდობლობა, დავიწყეთ მოლაპარაკებები სამხედრო დაპირისპირების სტრუქტურის დემონტაჟზე. სპარსეთის ყურეში კრიზისის დროს ჩვენ, არსებითად, ბარიკადების ერთ მხარეს ვიდექით. აქტიური მრავალჯერადი პოლიტიკური დიალოგი, შეხვედრები ციან ციჩენთან პეკინში, ჰარბინში, ურუმჩიში (ფრიად საგულისხმო გეოგრაფიაა) ურთიერთობას ავითარებდნენ ორი დიდი ქვეყნის ხალხისთვის, რეგიონის სახელმ-

წიფოთათვის და მთელი მსოფლიოსთვის საჭირო მიმართულებით...

* * *

ვლადივოსტოკი მაშინ დახურული ქალაქი იყო. დახურული იყო კონფრონტაციისა და განხეთქილების, სამხედრო მეტოქეობისა და უნდობლობის წლებში; დახურული იყო თანამშრომლობისთვის, ურთიერთობისთვის, ნორმალური, მშვიდი და ბედნიერი ცხოვრებისთვის. განსაცვიფრებლად ლამაზი ქალაქი დამახინჯებული იყო იმით, რომ „სახელმწიფოს ინტერესებმა დაიმორჩილა და კვალი დაამჩნია ადამიანური ყოფის ცოცხალ ქსოვილს, ხალხის მოთხოვნილებები და საჭიროებები სახელმწიფოს სიმძლავრის განმტკიცებას დაუქვემდებარა. გასაოცრად კეთილ ქალაქს მსოფლიოსთან ღია ურთიერთობა ენატრებოდა.

უმნიშვნელოვანესად მიმაჩნდა სწორედ აქ გამოსვლა, მინდოდა სწორედ აქ გამომეთქვა შეხედულებები ერთიანი პოლიტიკური იდეების ღია სივრცეებისკენ ამ მრავალფეროვანი რეგიონის გასვლის გზების შესახებ.

ჩემს გამოსვლაში ვთქვი, რომ კონტინენტების ისტორია იცნობს ასეთ იდეებს. ფილოსოფიურ-პოლიტიკურ კონცეფციათა დონეზეც კი ისინი ემსახურებოდნენ ქვეყნებისა და ხალხების დაახლოებას და იცავდნენ მათ თვითგანადგურებისგან, დღეს კი, უდიდეს გამოცდათა ჟამს, ისინი ჩვენი ხალხების საერთო სახლის საძირკვლად იქცნენ.

ევროპის იდეას ვგულისხმობდი. და სრული საფუძველი მქონდა აზიური იდეის არსებობის მტკიცებისთვისაც. აზიის იდეის მტკიცებისთვის.

აღმოსავლეთმცოდნენი, მეცნიერი-ორიენტალისტები საკამათოდ გახდიან ამ აზრს. მე კი ვიტყვი, რომ აზიის იდეა ცოცხლობს ძველი დროის დიად მოძღვრებებში, რომელთა საერთო მემკვიდრეობა ჩვენ მივიღეთ ძღვნად, როგორც ერთიანი კონცეფცია ჰუმანიზმისა.

აზიის იდეა ასევე ცოცხლობს ჩვენი დროის აზროვნების გამონათებებში, პოლიტიკოსთა მონაპოვრებში, რომლებიც მიმართულია უზარმაზარი აზიური და ზოგადსაკაცობრიო

ერთიანობისადმი, ეს იდეა ცოცხლობს უძალადობის ფილოსოფიაში, „პანჩა შილას“ პრინციპებში, ბანდუნგის დეკლარაციაში. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირ-ინდოეთის შეხვედრებს. ეს შეხვედრები დაგვირგვინდა ბირთვული იარაღისგან თავისუფალი და უძალადო მსოფლიოს შესახებ დელის დეკლარაციით.

დროა აზიის იდეა მთელი ძალით ამუშავდეს, ისე, როგორც მთელი ძალით მუშაობს ამჟამად ევროპის იდეა.

მე კი არა, თავად ისტორიამ და თანამედროვეობამ, პოლიტიკამ და გეოგრაფიამ, ეკონომიკამ და კულტურამ დააყენა ისინი გვერდიგვერდ. ევროპა და აზია, დასავლეთი და აღმოსავლეთი უძველესი დროიდან ხელს უმართავენ ერთმანეთს. ისინი ძლევდნენ ცალკეულ ქვეყანათა თვითიზოლაციის ზღუდეებს, კოლონიურ დაპყრობათა და დამონების კოშმარებს, რეგიონალურ კონფლიქტებს და ქონებრივ უთანასწორობას. „აბრეშუმის დიდი გზა“ გადიოდა ომებისა და ძალმომრეობის გზებზე, ისტორიის წმინდა აბრეშუმის ძაფი გარდიგარდმო კერავდა დროისა და მანძილის სივრცეებს. მით უფრო შესაძლებელია ეს დღეს, როცა აბრეშუმით დატვირთული ზოზინა ქარავნები შეცვალეს ელვისებურმა შუქსადენებმა და ელექტრონიკამ, რომლებიც დაცალკევებულ სამყაროებს ერთ მთლიანობად კრავენ.

წყნარი ოკეანის ნაპირებზე იღებს სათავეს გზა, რომელიც შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის გამოვლით ატლანტიკის ნაპირებისკენ მიემართება.

თუ სწორია ჩვენი პოლიტოლოგებისა და პუბლიცისტების აზრი იმის შესახებ, რომ დიდი ევრაზიული სივრცე, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰქვია, არის სამყაროთა სამყარო, მაშინ ამდენადვე სწორი უნდა იყოს ვარაუდი, რომ იგი კი არ ყოფს, არამედ აერთიანებს ერთმანეთისგან დაშორიშორებულ სამყაროებს. როგორც შესანიშნავი რუსი ფილოსოფოსი გიორგი ფედოტოვი ამბობდა, რუსეთმა ერთდროულად უნდა პოლიტიკურად იცხოვროს ევროპელ და აზიელ ხალხთა რთულ სამყაროში.

თავს უფლებას მივცემ და დავამატებ, რომ რუსეთს და საბჭოთა ევრაზიის „სამყაროთა სამყაროს“ სხვა შემადგენელ

ნაწილებსაც სურთ პოლიტიკურად ემსახურონ ამ ხალხების მშვიდობისა და კეთილმეზობლობის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის უნიკალურმა ადგილმდებარეობამ შეიძლება ფასდაუდებელი სამსახური გასწიოს აზიასა და ევროპას შორის ყველაზე მრავალმხრივი ინტეგრაციული კავშირების მოსაგვარებლად.

რაკი ოდესღაც შესაძლებელი გახდა ტრანსატლანტიკური კომუნიკაციების გაყვანა, მაშინ დღეს თანამედროვე ტექნოლოგიათა წყალობით შესაძლებელია ტრანსევრაზიულ კავშირთა პროექტის ხორცშესხმაც.

განუზომელია საბჭოთა კავშირის პოტენციალი აზიასა და ევროპას შორის ინტეგრაციის მოგვარებაში.

კონტინენტების გათიშულობა მეტწილად „ცივი ომითაც" იყო განპირობებული. „ცივი ომის" საზღვრები მხოლოდ ევროპას არ ანაწილებდა. ახლა სრული საფუძველი გვაქვს ვისაუბროთ უშიშროებისა და სტაბილურობის ერთიანი ევრაზიული სივრცის ფორმირების შესახებ.

ვფიქრობ, რომ ჩვენ გვაქვს ამის უფლება. ეს არის უფლება ინტეგრაციული პროცესებისთვის ხელსაყრელ წანამძღვართა განვითარებისა, კონტინენტების მომცველ ერთიან ეკონომიკურ, მეცნიერულ, ჰუმანიტარულ, კულტურულ სივრცეთა შექმნისა.

საბჭოთა კავშირი ამ ერთიანი ევრო-ამერიკულ-აზიური სარტყლის ორგანული ნაწილია. ქვეყანა რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მრავალმხრივ იზოლირებული იყო დანარჩენი მსოფლიოსგან. მოიშალა ტრადიციული სავაჭრო გზები, ბოლო მოეღო სულიერ, კულტურულ, უბრალოდ ადამიანურ კავშირებს, ახლა, როგორც იქნა, იწყება მათი აღდგენა.

საქმე იქითკენ მიდის, რომ ახლო მომავალში ჩვენი საზღვრების გარეთ აზიაში საერთოდ არ იქნებიან საბჭოთა სამხედრო შენაერთები. სიტყვამ მოიტანა და, ისინი არც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში იქნებიან.

ცხადად ჩანს პოზიტიური ცვლილებები აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში. ქვეყნები, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ უნდობლად ეკიდებოდნენ ერთმანეთს, უკვე ამყარებენ ნორმალურ, კეთილმეზობლურ ურთიერთობებს: ჩინეთი კავშირს ამყარებს ინდოეთთან, ლაოსთან, მონღოლეთ-

თან; ინდოჩინეთის სახელმწიფოები — ტაილანდთან და სამხ-
რეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციასთან; დიდ
მოვლენად იქცა ურთიერთობათა აღდგენა ჩინეთსა და ინდო-
ნეზიას, ჩინეთსა და საუდის არაბეთს შორის, კავშირის დამ-
ყარება აშშ-სა და მონღოლეთს შორის.

რეგიონის ქვეყნები აქტიურად უწყობენ ხელს კონფლიქ-
ტების, უმთავრესად კამბოჯის კონფლიქტის რეგულირებას.
ისინი დგამენ ერთობლივ ნაბიჯებს დაძაბულობის შესანელებ-
ლად სამხრეთ აზიაში, სადაც მილიარდზე მეტი ადამიანი
ცხოვრობს. ვიეტნამის ჯარები გაყვანილია კამბოჯიდან. აშშ-მა
გააკეთა განცხადება აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში
განლაგებული თავისი სამხედრო ძალების რამდენადმე შემ-
ცირების შესახებ.

შემუშავებულია პაკეტი შეთანხმებებისა, რომლებიც
ქმნიან კამბოჯის კონფლიქტის ყოველმხრივი რეგულირების
საფუძველს. შეუძლებელია კმაყოფილებას არ იწვევდეს ისიც,
რომ ამჟამად ამ საკითხშიც გაერთიანებული ერების ორგა-
ნიზაციის უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი ერთ-
ნაირ პოზიციაზე დგას.

რეგიონში არ იგრძნობა ნაყოფიერი პოლიტიკური იდე-
ების ნაკლებობა. მე აქ გამოვყოფდი ინდოეთის მასშტაბურ
წინადადებას ბირთვული იარაღისაგან და ძალმომრეობისაგან
თავისუფალი სამყაროს შექმნის თაობაზე; ჩინეთის სახალხო
რესპუბლიკის მიერ წამოყენებულ ახალი საერთაშორისო
პოლიტიკური წესრიგის კონცეფციას; მონღოლეთის ინიცია-
ტივას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა შორის
დიალოგის მექანიზმის ფორმირების შესახებ; ხელშეკრულე-
ბის დადებას წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში ისეთი ზონის
შექმნაზე, სადაც ბირთვული იარაღი არ იარსებებს; სამხრეთ-
აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა და ინდოჩინეთის წინა-
დადებებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ასეთივე ზონების
შექმნის შესახებ. ამავე რიგის მოვლენებს უნდა მივაკუთვ-
ნოთ: ახალი ზელანდიის ანტიბირთვული კანონმდებლობა;
ავსტრალიის ინიციატივები წყნარი ოკეანის ჩრდილო-აღმო-
სავლეთ ნაწილში ნდობის ღონისძიებათა სფეროში, ტაილან-
დის კონცეფცია „პოზიტიური თანაარსებობის“ პრინციპით
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ურთიერთობათა მოწესრიგების

შესახებ; ინდონეზიის წინადადებები სამხრეთ ჩინეთის ზღვის აუზში უშიშროების უზრუნველყოფის თაობაზე.

საბჭოთა კავშირში მხარს უჭერენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის იმ ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია კორეის ნახევარკუნძულზე ვითარების მშვიდობიანად რეგულირებისკენ; ჩრდილოეთისა და სამხრეთის დეკლარაციას თავდაუსხმელობის შესახებ, შემთხვევითი კონფლიქტის ამარიდებელ ღონისძიებებს, კორეის ორივე ნაწილში ჯარების ეტაპურ შემცირებას, ნახევარკუნძულის გადაქცევას ბირთვული იარაღის უქონელ ზონად. ყველაფერ ამას ნამდვილად შეუძლია ასაფეთქებლად გამზადებული რეგიონის ამ ნაწილში სავსებით სხვა ატმოსფეროს შექმნა. ამის თაობაზე არსებობს სამხრეთ კორეის წინადადებებიც. საჭიროა საქმე იქითკენ წავიყვანოთ, რომ ორი ქვეყნის წინადადებებში თანმხვედრი მომენტები ერთმანეთს „შეეწყოს“ და პრაქტიკაში განხორციელდეს.

ავადსახსენებელი, გამთიშველი კედლები მხოლოდ ევროპაში არ აღუმართავთ. ბერლინის კედლის გარდა არსებობს კორეის გამკვეთი კედელიც. გვინდა გვწამდეს, რომ ახლო მომავალში ბერლინის კედლის ხვედრს გაიზიარებს კორეელი ხალხის გაერთიანების გზაზე დაბრკოლებად აღმართული რკინაბეტონის ზღუდეც.

...რამდენიმე დღის შემდეგ ფხენიანში შევეცადე დამერწმუნებინა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელები, რომ საბჭოთა კავშირსა და სამხრეთ კორეას შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება ხელს შეუწყობდა გათიშულობის დაძლევას და ქვეყნის გაერთიანებას. სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა, რაც სულაც არ იყო ჩვენი ბრალი.

რეგიონში ჯერ კიდევ დიდია უნდობლობა და მტრობაც კი, რასაც ასაზრდოებს ტერიტორიული დავა, იდეოლოგიური, ეთნიკური და რელიგიური ფაქტორები.

კვლავ საფრთხედ რჩება, — განსაკუთრებით კორეის ნახევარკუნძულზე, — მაღალი დონე სამხედრო დაპირისპირებისა. ძლიერდება სამხედრო-საზღვაო აქტიურობა. მას შემდეგ, რაც გავიარეთ ევროპის აკადემიის, ჰელსინკის პროცესის სკოლა, ჩვენ უფლება გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ეს

უნიკალური გამოცდილება მსოფლიოს სხვა მხარეებშიც გავრცელდება. კი, ბატონო, ეს გამოცდილება უნივერსალური არ არის. ევროპულ „არშინს“ აზიას ვერ მიუყენებ. მაგრამ არსებობს მაგალითი, ნიმუში, დასტური იმისა, რომ პოლიფონიური შეხმატკბილება შესაძლებელია იქ, სადაც ჯერ კიდევ გუშინ ხმაშეუწყობელი სიმღერა გაისმოდა.

თუ გავითვალისწინებთ რეგიონის სურათის ფერთა სიუხვეს, მსოფლიოს სხვა რაიონებისგან მისი კომპოზიციისა და სიუჟეტის განსხვავებას, შესაძლებელია მოიძებნოს უშიშროებისა და თანამშრომლობის პრობლემათა მოგვარების სპეციფიკური „აზიური ფორმები“.

ვერ დავეთანხმები მათ, ვინც წინ წამოსწევს და აზვიადებს სიტუაციის სიმძაფრეს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში, რითაც არსებითად ამუხრუჭებს ამ რეგიონში მსოფლიო პოლიტიკის პოზიტიურ ტენდენციათა განმტკიცების პროცესს.

ჩემი აზრით, აზიურ რეალობებსაც შეგვიძლია მივუსადაგოთ უშიშროების საიმედოდ უზრუნველყოფის პრინციპი, თუ სერიოზულად შემცირდება, საკმარისობის დონემდე დავა შეიარაღება. ამისთვის ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ პოლიტიკური საშუალებები.

ნუთუ საჭიროა, აქაც განმეორდეს სხვების მიერ გამოვლილი გზა — შეიარაღებათა დაგროვება, სამხედრო კავშირებისა და კოალიციების შექმნა, ახალი სამხედრო ბაზების შენება მხოლოდ იმისთვის, რომ შემდგომ დავრწმუნდეთ: შეიძლებოდა უამისობა და ჯობდა სახსრების გამოყოფა მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად.

ვფიქრობ, თუ როგორ უნდა მოხერხდეს რეგიონში მოლაპარაკებათა ინსტიტუტების ფორმირება, და სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ აუცილებელია რეგიონალურ პრობლემებზე ფართო დიალოგის გამართვა.

თითქმის ყველგან, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის გარდა, არსებობენ და მოქმედებენ უნივერსალური ფორუმები ყველაზე აქტუალური პრობლემების განსახილველად. ევროპაში ეს არის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის პრობლემებზე და მთელი რიგი სხვა სტრუქტურები, ამერიკაში — ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, აფრი-

კაში — აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია. რასაკვირველია, მათ მოღვაწეობაში ყველაფერი სულაც არ მიმდინარეობს მწყობრად, გამართულად, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამ ორგანიზაციათა არსებობა საეგებიოდ არ გამხდარა.

ამა თუ იმ შემადგენლობითა და ფორმით საერთოაზიური ფორუმის მოწვევისადმი ინტერესი მატულობს. მაგალითად, ამ მიზნით მყარად იკიდებს ფეხს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის იდეა.

აზიისა და წყნარი ოკეანის ფორუმის მოწვევის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამეცნიერო და საზოგადოებრივი წრეები. ვილიამბერგის კონფერენციები, კუალა-ლუმპურის „მრგვალი მაგიდები", ახალზელახდიური სიმპოზიუმები, ვლადივოსტოკის შეხვედრები მოწმობენ, რომ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების წარმომადგენელთა, მათ შორის ოფიციალურ პირთა, ყრილობის მოწვევა რეგიონის პრობლემათა ერთობლივად განხილვისათვის არა მარტო შესაძლებელია, არამედ სულ უფრო აქტუალური ხდება.

უეშველია, მოძწიფდა პარლამენტური ჯგუფების უფრო ფართო და რეგულარულ გაცვლათა საჭიროებაც.

ცნობილ სირთულეთა გათვალისწინებით აზიისა და წყნარი ოკეანის თათბირისკენ სვლა შეიძლებოდა ეტაპობრივად, სხვადასხვა პოლიტიკური და დიპლომატიური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით.

უნაყოფოდ მიმაჩნია ასეთი თათბირის მოსაწვევად რაიმე წინასწარი პირობების წამოყენება. არა მგონია საჭირო იყოს, დაველოდოთ იმ მომენტს, როცა ყველა დავა და უთანხმოება გაქრება.

უფრო ეფექტური იქნება, თუ ვეცდებით, რომ მოვაგვაროთ კონფლიქტები, შევანელოთ დაპირისპირება, ავიცილოთ უთანხმოება, გავააქტიუროთ კონტაქტები და, ამასთანავე, გადავიდეთ მრავალმხრივი მოლაპარაკების მექანიზმის მოწესრიგებაზე. ასეთი მიდგომა უფრო ეფექტური იქნება.

რით უნდა დავიწყოთ, როგორ შეიძლება ამ მექანიზმის ამუშავება?

გვმართებდა დაფიქრება დიდი სამხედრო პოტენციალის მქონე სახელმწიფოთა თათბირის ჩატარებაზე. ეს შეიძლებო-

და ყოფილიყო საგარეო საქმეთა მინისტრების სამუშაო შეხვედრა, რომელიც ღია იქნებოდა ნებისმიერი სხვა ქვეყნის მეთვალყურეთათვის. ვფიქრობ, საბჭოთა კავშირი მზად არის ჩაატაროს აუცილებელი კონსულტაციები ასეთი შეხვედრის შესამზადებლად, მისი მონაწილეების, მისი დღის წესრიგის შესათანხმებლად.

უნდა გავითვალისწინოთ თავისუფალი და უსაფრთხო ნაოსნობით საერთო დაინტერესება. აუცილებლად უნდა ვიფიქროთ საზღვაო კომუნიკაციათა უშიშროების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო რეგიონალური ცენტრის შექმნაზე.

არც ერთ ქვეყანას, როგორ მძლავრ ფლოტსაც არ უნდა ფლობდეს ის, მარტოს არ ძალუძს საზღვაო მიმოსვლის სტაბილურობის გარანტირება, მისი თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა. მეტიც, რომელიმე სახელმწიფოს ასეთ აქტიურობას შეიძლებოდა სხვა სახელმწიფოების ეჭვი და უნდობლობა გამოეწვია.

ზღვასა და ჰაერში კომუნიკაციათა უსაფრთხოების, მათ შორის ტერორიზმთან და მეკობრეობასთან ბრძოლის ღონისძიებების საუკეთესო საშუალებად მივიჩნევ საერთაშორისო გარანტიათა სისტემის შემუშავებას.

მე შევთავაზე აზიის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებს, ჩვენი მოწვევა მიეღოთ და ვლადივოსტოკში შეეხვედროდით ერთმანეთს 1993 წლის შემოდგომაზე.

ეს შეიძლებოდა, ყოფილიყო ღია შეხვედრა, ღია როგორც მისი მონაწილეების, ასევე მასზე გამოტანილი პრობლემების თვალსაზრისით.

შესაძლებლად მესახებოდა შემუშავება ერთობლივი დოკუმენტისა, რომელშიც დეკლარირებული იქნებოდა შეხვედრის მონაწილეთა პოლიტიკის შეთანხმებული პრინციპები. ასეთი დოკუმენტი დაადასტურებდა კონფრონტაციის უარყოფას და პარტნიორულ ურთიერთობებზე გადასვლას.

ვლადივოსტოკში გარკვევით ვთქვი, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის, დაიწყოს დიალოგი სამხედრო პრობლემებზე და აზიისა და წყნარი ოკეანის ყველა სახელმწიფოსთან ნდობის განსამტკიცებელ ღონისძიებებზე.

ჩვენ არავის არ მოვუწოდებთ ჩამოყალიბებული სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურების მსხვრევისკენ. ყველა ქვე-

ყანა თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად თავად განსაზღვრავს, თუ როგორ ააგოს სხვა სახელმწიფოებთან თავისი ურთიერთობები, მათ შორის, უმიშროების საკითხებშიც.

რეგიონში მწვავე სამხედრო-პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად მატულობს საფიქრალი ეკონომიკურ პროცესთა განვითარებაზეც.

უკანასკნელ ხანებში გამოითქმის პროგნოზები მოსალოდნელი „ეკონომიკური ცივი ომის“ შესახებ არა მარტო აზიას, ევროპასა და ამერიკას შორის, არამედ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის შიგნითაც. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ წარმოიქმნას კონფრონტაციის ახალი ფრონტი: ჩრდილოეთი-სამხრეთი. ახლა ხომ ისტორიაში პირველად იქმნება მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა თანასწორობის, ურთიერთსარგებლიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზე დამყარებული ერთიანი განვითარების წანამძღვრები. შესამჩნევია აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურება. ყველგან ღრმავდება ინტეგრაციული პროცესები, იზრდება სახელმწიფოთა დაინტერესება მრავალმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური და სავალუტო-ფინანსური მექანიზმების ეფექტურობის განმტკიცებითა და ამაღლებით.

ასეთი ტენდენციები სავსებით ახასიათებს რეგიონსაც, რომელიც უკვე დღეს მრავალმხრივ განსაზღვრავს პლანეტის „ეკონომიკურ ამინდს“. აქ ძალას იკრებს ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები. მთავარია ამ პროცესებს გაერთიანებული ძალისხმევით მიეცეს ჰარმონიული და დემოკრატიული ხასიათი, რათა მათ არ მოგვაქციონ ისეთი კარჩაკეტილი სავაჭრო ეკონომიკური დაჯგუფებების ჩიხში, რომლებიც გამუდმებით წარმოქმნიან ეკონომიკურ უთანხმოებებს, კონფლიქტებს, ლამის აშკარა „სავაჭრო ომებსაც“ კი.

მესმის, ჯერ კიდევ რა ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა საბჭოთა კავშირის ეკონომიკურმა როლმა აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში მიაღწიოს თავისი შესაძლებლობების შესაბამის დონეს. აქ ჩვენი მხრივ საჭიროა აქტიური „ეკონომიკური დიპლომატია“, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის სამეურნეო ცხოვრებაში ახალი ფორმების ჩართვა.

ამისთვის აუცილებელია, რომ შინაგან წყობაში ისეთი

ზომები მივიღოთ, რომლებიც ბიძგს მისცემენ საბჭოთა კავშირის აზიურ ნაწილსა და შორეულ აღმოსავლეთში ეკონომიკისა და ბაზრის განვითარებას, შექმნიან ინვესტიციებისთვის ხელსაყრელ პოლიტიკურ და სამართლებრივ გარემოს.

მოკავშირე რესპუბლიკები აქტიურად ავითარებენ პირდაპირ კავშირს რეგიონის ქვეყნებთან. აქ რსფსრ ლიდერობს. რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება შორეულ აღმოსავლეთში თავისუფალი მეწარმეობის ზონათა შექმნის შესახებ. უზბეკეთი აქტიურად აგვარებს ურთიერთობებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან, ყაზახეთი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პროვინციებთან.

საბჭოთა წარმომადგენლები საქმიანად მონაწილეობენ წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის კონფერენციის სამუშაო პროგრამათა რეალიზაციაში. ისინი მზად არიან ჩაერთონ ანალოგიურ პროგრამებში, რომლებიც ხორციელდება აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი ფორუმის ჩარჩოებში.

ვითარება ასეთია: ჩვენი ეკონომიკის გადასვლა საბაზრო მეურნეობაზე, მისი მეტი გახსნილობა, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ურთიერთმომგებიანი ფორმების დანერგვა საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირი ჩაერთოს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ეკონომიკურ არქიტექტურაში, რომლის ფორმირებაც ახლა ხდება. ამის შეუმჩნევლობა ნიშნავს არა მარტო ეკონომიკური ინტეგრაციის პოტენციალის საგრძნობლად დავიწროებას, არამედ სსრკ-ის შორეულ აღმოსავლეთ ნაწილის უზარმაზარ პერსპექტივათა დაუნახაობას და კაპიტალის მომგებიანი, XXI საუკუნეზე გათვლილი, დაბანდების უსაზღვრო შესაძლებლობათა შეუფასებლობასაც.

საბჭოთა კავშირს თავისი შემდგომი განვითარება ვერ წარმოუდგენია მსოფლიო ეკონომიკაში, რაც შეიძლება სრულად მონაწილეობის გარეშე. ამის შესაბამისად, ის მოიწადინებს პარტნიორობას, თავისი შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის ეკონომიკა ორგანულად დაუკავშიროს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში ჩამოყალიბების ფაზაში მყოფ ეკონომიკურ კომპლექსს.

...მწვერვალისკენ ბევრ გზას მივყავართო, ამბობენ აღმო-

სავლეთში. უდავოა, ყველას აქვს ნება, თავისი გემოვნებისა და შეძლებისამებრ აირჩიოს გზა, მაგრამ, თუ ძალებსა და რესურსებს გავაერთიანებთ, ყელაზე უფრო ოპტიმალურ გზას მივაკვლევთ და ერთმანეთს დავეხმარებით, მაშინ მწვერვალს მალეც მივაღწევთ და უფრო ნაკლები დანაკარგებითაც. მწვერვალისკენ სავალი გზა გაგვიადვილდება, თუ ვიქნებით ერთად და ვიხელმძღვანელებთ ერთმანეთს გადაჯაჭვული ისეთი კატეგორიებით, როგორიც არის: პატივისცემა, ნდობა, თანამშრომლობა.

პარტნიორთა დაფასებით, მათი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების წესის, მათი არჩევანის, მათი კანონიერი ინტერესების პატივისცემით არის შესაძლებელი ნდობის ატმოსფეროს შექმნა, ნდობა კი ასე აუცილებელია პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ სფეროებში იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც საფუძველს გამოაცლიან იჭვნეულობას, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში უხრუნველყოფენ მოვლენათა წინასწარ განჭვრეტას, დაამკვიდრებენ ურთიერთგაგებასა და იმედიანობას.

ჩემი აზრით, ამ წინადადებათაგან ბევრი დღემდე აქტუალურია.

* * *

გადადგომის შემდეგ მომეცა იშვიათი შესაძლებლობა, რომ გამეგო, თუ რას ფიქრობენ და ამბობენ ჩემზე ადამიანები, ვისთანაც მომიწია შეხვედრამ და მოლაპარაკებათა მაგიდასთან საუბარმა. ჩემს უცხოელ კოლეგებსა და პარტნიორებზე მოგახსენებთ.

გვერდს ავუვლი ჩემს შესახებ კეთილ გამონათქვამებს, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლი ჩემს მადლიერებას მათი თანაგრძნობის, მათი დახმარებისა და კეთილი ხსოვნის გამო. ახლა, მე მგონია, უფრო სასარგებლო იქნება კრიტიკული შენიშვნების განხილვა.

როცა ჩემი გადადგომის შესახებ ერთ ელჩს, დიდი აზიური სახელმწიფოს წარმომადგენელს, აზრი ჰკითხეს, მან თქვა, — ვწუხვარო. მაგრამ, — დასძინა, — სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ყოფილი საბჭოთა მინისტრი

„ამერიკანისტი“ და „ევროპეისტია“ და აზიურ საქმეებს ნაკლებ ყურადღებას უთმობდაო.

მე ამას შევეკამათები. პრობლემა ის კი არ არის, — თითქოს ჩვენ აზიურ ან აფრიკულ საქმეებს ყურადღებას არ ვაქცევდით, არამედ ის, რომ დღეს ეს შეუძლებელია, — იმდენად ურთიერთკავშირშია ყველა „საქმე“. და კიდევ: შეუძლებელია ისეთი არგუმენტების უგულვებელყოფა, როგორიც არის გამოცდილება და პრაქტიკა.

პრაქტიკა კი ასეთია: ავღანეთის გამოცდილება. ვიეთნამების მშვიდობიანი მოგვარება ნამიბიაში და მისი დამოუკიდებლობის გამოცხადება. ინდონეზიასთან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის სხვა ქვეყნებთან კავშირების გაფართოება. აქტიური მონაწილეობა ირან-ერაყის ომის შეწყვეტისა და სპარსეთის ყურეში აგრესიის შეწყვეტისთვის ძალისხმევაში...

ირანში ვიზიტი ძალზე რთულ დროს შედგა. აიათოლა ჰომეინთან ჩემი შეხვედრის შემდეგ დაიწყო საბჭოთა კავშირ-ირანის დიალოგი, რომელიც წინა წლებში ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო.

მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები მოხდა თურქეთთან ჩვენს ურთიერთობებში. ახლა კეთილმეზობლობა მიზანი კი აღარ არის, — რეალობაა.

ინდოჩინეთის ქვეყნებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის ქვეყნებში, ავსტრალიაში ჩვენ დაყინებით ვეძიებდით და ვკვალავდით გზებს იმ კონფლიქტების მოსაგვარებლად, რომლებიც მსოფლიოს მემკვიდრეობით დაუტოვა „სისტემათა დიდი დაპირისპირებულობისა“ და „ცივი ომის“ ეპოქამ, რომელმაც აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონიც მოიცვა.

აქ მშვიდობის საკეთილდღეოდ მუშაობდა სწორედ სსრკ-სა და აშშ-ს შორის ურთიერთობების გარდაქმნა. ახლო და საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების დადებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აზიისთვისაც, რადგან ევროპაში მათი ლიკვიდირებით ჩვენ ამ ტიპის რაკეტები ამოვიღეთ სსრკ-ის აზიური ნაწილიდანაც.

მე ჩემს „აზიური“ ნამსახურობის ნუსხას როდი გადმოვცემ. თუ საერთოდ შეიძლება ლაპარაკი რაიმე ნამსახურობის

ნუსხაზე, ის ახალი აზროვნების პოლიტიკას ეკუთვნის. როცა გარდაქმნა გლობალური დაპირისპირებისა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში კლასობრივი პრიმატის უარყოფით დავიწყეთ, ჩვენი პოლიტიკური ჰორიზონტი ამერიკით, აფრიკითა და ახლო აღმოსავლეთით არ შემოგვიფარგლავს. ჩვენთვის ამოსავალი იყო ის პოლიტიკური, ისტორიული და გეოგრაფიული რეალობა, რომ საბჭოთა კავშირი დედამიწაზე ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც საზღვრები აქვს ევროპასთან, ამერიკასა და აზიასთან. ეს რეალობა ჩვენ განსაკუთრებულ მოვალეობებს გვაკისრებს, ჩვენგან მოითხოვს უდიდეს პასუხისმგებლობას აზიისა და წყნარი ოკეანის საქმეებში. ამ რეგიონში თანამშრომლობის მოგვარების ობიექტურმა აუცილებლობამ, რეგიონში სტაბილურობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მწვავე პრობლემებმა, განუწყვეტელმა გაძალებულმა შეიარაღებამ, ბირთვულ-რაკეტულ ტექნოლოგიათა გავრცელების საშიშროებამ წარმოშვეს ვლადივოსტოკსა და კრასნოიარსკში მ. ს. გორბაჩოვის მიერ ჩამოყალიბებული ცნობილი საბჭოთა ინიციატივები.

ჩვენ გვქონდა სწორი კურსი, როცა ამ გზას დავადექით. ეს იყო ახალი აზროვნების პოლიტიკის კურსი. ამ გზის გეოგრაფიული განფენილობა და სიგრძე იყო უდიდესი, ამოცანათა და მოვალეობათა ტვირთი — უმძიმესი, მაგრამ ვიცოდით, სად ით და როგორ უნდა გაგვევლო.

მე მქონდა ჩემი პირადი ტვირთიც — ევროპისა და აზიის საზღვარზე მცხოვრები ჩემი ხალხის მიერ საუკუნეებში გაძლოტარებული ისტორიული მეხსიერება. როგორც უკვე მოგახსენეთ, ამან ჩემს ხალხს ბევრი განსაცდელი მოუტანა წარსულში და არც ახლა აღუთქვამს სიმშვიდეს. მაგრამ ცივილიზაციათა, კულტურათა, რწმენათა, ენათა ურთიერთმოქმედებამ ერის სულსა და ხასიათში ძვირფასი შენადნობივით ჩალექა მთელ მსოფლიოსთან საოცარი ერთიანობის განცდა.

ჩემი პრიორიტეტების ნუსხაში „მესამე სამყარო" ჩემთვის მესამე არ ყოფილა. დედამიწის ირგვლივ მოგზაურობის მარშრუტი ახალი აზროვნებისა ისე იყო გაკვალული, რომ ჩვენს ახალ საგარეო პოლიტიკას ეს პრობლემები უნდა დაეკავშირებინა ჩვენს გარდაქმნასთანაც და გლობალურ საქმეებთანაც. კაცმა რომ თქვას, ჩვენ ყურადღება მივაპყარით იმას, რომ კა-

ცობრიობის გადარჩენა შეუძლებელია „მესამე სამყაროს“ პრობლემათა გვერდის ავლით.

ხომ სწორედ „მესამე სამყარო“ არის პირველ რიგში იძულებული, უდიდესი საზღაური გადაიხადოს თავისი ბუნების სავალალო მდგომარეობის, გამალებული შეიარაღებისა და დავალიანების ზრდის გამო. ყველაზე უფრო ხომ მისი აფეთქებაა საშიში რეგიონალური კონფლიქტების თვალსაზრისითაც.

გლობალურ გამოწვევებს თავს როგორ გავართმევთ, — ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მსოფლიო ეკონომიკა, შევძლებთ თუ არა საჭირო სახსრების გამონახვას გარემოს დაცვისთვის, განვითარებისთვის, სიღარიბის დაძლევისთვის, ეპიდემიებთან და ეკონომიკური კატასტროფების შედეგებთან ბრძოლისთვის.

ვიზიტები აფრიკაში, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში კვლავ და კვლავ მარწმუნებდნენ, რომ თავდაცვის საჭიროებათათვის გონივრული საკმარისობის პრობლემა მათთვისაც აქტუალური პრობლემა ხდებოდა. განიარაღების, სამხედრო ხარჯების შემცირების, სამხედრო წარმოებათა კონვერსიისა და ამ გზით საზოგადოების განვითარებისთვის საჭირო სახსრებისა და რესურსების განთავისუფლების გარეშე უკიდურესად ძნელი იქნება თავის გართმევა გლობალური პრობლემებისთვის, რომლებიც სულ უფრო და უფრო მწვავდება.

გარდაქმნის წლებში ჩვენ განვაახლეთ დიალოგი იმ ქვეყნებთან, რომელთა როლი, ხვედრითი წონა და გავლენა საერთაშორისო საქმეებზე კიდევ უფრო გაიზრდება ასწლეულთა მიჯნაზე.

კოლეგების — ამ ქვეყნების მინისტრებისა და ხელმძღვანელების — სახით მე შევიძინე შესანიშნავი პარტნიორები, ზოგ შემთხვევაში კი — მეგობრებიც. ბევრი რამ იქიდან, რაზეც ჩვენ ვთანხმდებოდით, სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ მე ჩემს ვალს მუდამ ვიხდიდი. ვეცდები ეს შევძლო ჩემს ახალ სარბიელზეც, საგარეოპოლიტიკურ ასოციაციაში.

ნებისმიერი, ყველაზე ზუსტი და მშვენიერი ფორმულაც კი, მხოლოდ საერთო ძალისხმევით შეიძლება გამოვიყენოთ

მსოფლიოს გაჯანსაღებისთვის. ამ ფორმულას ეგებ ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოც გასწვდეს, მაგრამ, როცა ამას ამოქმედებენ, მაშინვე ნათელი გახდება, რომ მიღწეულს, შესაძლოა, არავითარი შედეგი არ მოჰყვეს გლობალური არასასიკეთო მდგომარეობის გამო.

ჩვენთვის აუცილებელია თანამშრომლობის არა კუნძულები, არამედ მატერიკები, კონტინენტები. ჩვენ, ალბათ, მხოლოდ ასეთ პირობებში შევძლებთ კუნძულთა პრობლემების გადაჭრას. მხოლოდ ასე გავხსნით ჩვენთვისაც და სხვებისთვისაც მომავლის გზას.

ვიცი, რომ ეს ძნელია. წარსული არ გვავიწყებინებს თავს. ამაში ყოველ ნაბიჯზე ვრწმუნდებით. და მაინც, მისი დაძლევის გარდა, სხვა არაფერი დაგვრჩენია.

ჩერნობილის დღეები და „მონანიება“. არჩევნები

9

ეს დილა დაიწყო ტელეფონის ზარით. ამ დროს ტელეფონები, ჩვეულებრივ, დუმან. ორშაბათობით მიმდინარე ტრადიციული თათბირის გადადება მომიხდა. პასუხს ითხოვდნენ შემაშფოთებელ კითხვებზე, რომლებიც ზოგადად ერთ კითხვად იკვრებოდა: რა მოხდა ქვეყანაში? კაცმა რომ თქვას, საპასუხოც არაფერი მქონდა. ამ დილაადრიან არ ვიცოდი, რომ ჩვენს ერთ-ერთ ელექტროსადგურში ავარია მოხდა. ჩემთვის ხელმისაწვდომი წყაროებიდან რაიმე ცნობების მიღებას შევეცადე, მაგრამ ამან ბევრი არაფერი მომცა. „დიახ, — მეუბნებოდნენ ისინი, ვისაც მივმართავდი, — რაღაც მოხდა უკრაინაში, მაგრამ ჯერჯერობით ბოლომდე გარკვევა ვერ შევძელით".

ეუნყა ინფორმაცია არარეგულარულად შემოდიოდა და მომხდარი მოვლენის სრულ სურათს არ იძლეოდა.

დამირეკა გორბაჩოვმა და მისვლა მთხოვა: იმ დროისთვის უკვე თხუთმეტიოდე ელჩმა სასწრაფოდ ითხოვა ჩემთან ან ჩემს მოადგილეებთან შეხვედრა, გადაუდებელი საუბრის სურვილს ისინი ასაბუთებდნენ თავიანთ მთავრობათა საგანგებო დავალებით, რომ მიეღოთ ჩვენგან ახსნა-განმარტება მათი ტერიტორიების ატმოსფეროში, ნიადაგსა და წყალში გაჩენილი რადიაქტიური ელემენტების გამო. ისინი, ყველანი, ამას უკავშირებდნენ საბჭოთა კავშირს, რამდენადაც მათი ქვეყნების ატომურ-ენერგეტიკული დანადგარების მუშაობაში უწესრიგობა არ აღმოჩნდა.

საქმე სკანდალამდე მიდიოდა.

კაბინეტიდან უკვე გამოვდიოდი, რომ თანაშემწემ მაუწყა: კიდევ რეკავდნენ. ამჯერად საუბარი იყო ფილმ „მონანიებაზე". კინორეჟისორმა თენგიზ აბულაძემ ფილმზე მუშაობა დასრულა 1984 წელს, მაგრამ ვერ შეძლო მისი ეკრანზე გაშვება. ფილმს ბევრი კარგი სურათის ხვედრი ერგო: მისი ჩვენება აიკრძალა და ფილმი თაროზე შემოიდო. ახლა თენგიზ აბულაძე მეკითხებოდა რჩევას, შემიძლია თუ არა დახმარება ვთხოვო გორბაჩოვს და აპელაციით მივმართოთ კინემატოგრაფისტთა ყრილობას, რომელიც 12 მაისს უნდა გახსნილიყო.

ეს ამბავი საკმაოდ კარგად არის ცნობილი, თვითონ თენგიზ აბულაძემ არაერთხელ ილაპარაკა ამ ფილმის შექმნაში

ჩემი როლის შესახებ, მეც მისაუბრია ამის თაობაზე, მათ შორის ამ წიგნშიც, ამიტომ ამჯერად რამდენიმე დეტალითღა შემოვიფარგლები.

ფილმის დაფინანსება მოგვიხდა მწირი რესპუბლიკური სახსრებით. ჯერ ისევ სცენარის დამუშავების სტადიაზე ჩვენ დიდხანს და დაწვრილებით ვიხილავდით მომავალ ფილმს. რაკი ვიცნობდი რეჟისორის შესაძლებლობებს, დარწმუნებული ვიყავი, რომ ფილმი მაღალმხატვრული ნაწარმოები იქნებოდა. მაგრამ არანაკლებ მაინტერესებდა ამ ფილმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟღერადობა. მას უნდა აემაღლებინა ხმა ტირანიისა და უკანონობის, ჩვენს ქვეყანაში მილიონობით ადამიანის რეპრესირებისა და დევნის, ამ თემათა აკრძალვისა და, შეთქმულთა მსგავსად, ამ თემაზე დუმილის წინააღმდეგ. ინტუიცია მეუბნებოდა, რომ დგება დრო, როცა საჭიროა ბევრად უფრო შორს და ღრმად შებიჯება. ამ ოცდაათი წლის წინათ ხრუშჩოვის პირველი ნაბიჯების შემდეგ სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ ეპიზოდად დარჩა. თანაც, მე საერთოდ არ მიმაჩნდა (და არც დღეს მიმაჩნია) შესაძლებლად მკვდარი იდეოლოგიური აღვირის ამოდება მხატვრის შემოქმედებისთვის. ასეთი ფილმის გადაღება ჩემთვის ყველა თვალსაზრისით პრინციპული საკითხი იყო. თენგიზ აბულაძე რომ თავის ჩანაფიქრს მიზიარებდა, მაშინ დარწმუნებული არ ვიყავი, საერთოდ თუ იქნებოდა შესაძლებელი ამ ფილმის დიდ ეკრანზე გაშვება. მე ეს ვუთხარი კიდეც რეჟისორს და დავძინე, რომ ასეთი ფილმი მაინც უნდა შეიქმნას-მეთქი. ეს იყო რისკი, მაგრამ რისკი ყოველი შესაძლო დეტალის გათვალისწინებით — დაწყებული ფილმის დაფინანსებით და გათავებული სტუდიით, სადაც შეიძლებოდა ისე გადაეღოთ, რომ მოსკოვიდან ბრძანებით „დახურვის“ შიში არ გვქონოდა.

მოსკოვში ჩემს გადაყვანამდე ცოტა ხნით ადრე რეჟისორმა მე და ჩემს ამხანაგებს გვაჩვენა ფილმის შავი ვარიანტი. ჩვენ მივხვდით, თუ რაოდენი ძალა იყო მასში ჩაბუდებული, კიდევ უფრო გაიზარდა ჩემი ეჭვი ამ ფილმის ეკრანზე გაშვების გამო.

და აი, ახლა, როცა ფილმი მზად იყო და მასში უმნიშვნელო დეტალებიღა დარჩა მოსამთავრებელი, თბილისიდან წამოვედი თუ არა, მაშინვე შევიდა შესაბამის უწყებებში ფილ-

მის ერთადერთი პირის მოსპობისა და ავტორის დასჯის მოთხოვნები. თავისი ქმნილების ხვედრით შეშფოთებულმა აბულაძემ მის ვიდეოასლზე იზრუნა. ადამიანებს, რომლებიც მას ამაში დაეხმარნენ, წაუყენეს ანტისაბჭოური ნაწარმოების გამრავლების ბრალდება. ისინი სამუშაოდან დაითხოვეს. ფილმი „დააპატიმრეს“.

სმოლენსკის მოედანზე გადასვლის პირველივე თვეებში დროდადრო ვგრძნობდი სინდისის ქენჯნას: ადამიანს არაორდინალური ნაბიჯის გადადგმისკენ ვუბიძგე, მხარი დავუჭირე მის ჩანაფიქრს, დავეხმარე ფილმის გადაღებაში და მისთვის ყველაზე ძნელ მომენტში თანადგომა ვერ გავუწიე. ერთხელ ვერ მოვითმინე და ვუთხარი ამის თაობაზე გორბაჩოვს: „მე ბევრი ვინმეს ვალი გამომყვა შინიდან, მაგრამ ახლა ყველა ვალის დაბრუნება არ ძალმიძს. მაგრამ არის ერთი ვალი, რომელიც უსათუოდ უნდა დავაბრუნო, რადაც არ უნდა დამიჯდეს, და თქვენ შეგიძლიათ ამაში დამეხმაროთ“.

გორბაჩოვმა „მონანიება“ ნახა და თქვა, რომ მას ეკრანისკენ გზა უნდა გაეხსნას. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ფილმის ბედში ბევრმა, და თანაც, ძალიან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანმა, მიიღო მონაწილეობა. აბულაძის კოლეგებზე, კინემატოგრაფისტებზე რომ არაფერი ვთქვათ,— თავისი სიტყვა თქვეს ალექსანდრე იაკოვლევმა და, როგორც მითხრეს, ეგორ ლიგაჩოვმაც. „მონანიებამ“ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა. მაგრამ მას ასეთივე ძლიერი წინააღმდეგობაც შეხვდა. პოლიტბიუროში ჭარბობდა ასეთი შეხედულება: წარსულის ქექვისას შეიძლება მასში ისე ჩაეფლო, რომ დღევანდელობ ლაფიდანაც ვერ ამოაღწიო. წარსულის მთელი რიგი თვალსაჩინო მოღვაწეების პარტიული რეაბილიტაციის ურიცხვი მოთხოვნა ისტორიის გადასინჯვის ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევსო. „მონანიებაც“ ასეთ კონტექსტში განიხილებოდა. თვით სახელწოდება ფილმისა, მასში ჩადებული აზრი საკმაოდ ბევრ ვინმეს აშფოთებდა. ყველაფერთან ერთად, მონანიებაში ხომ პირადი პასუხისმგებლობის აღიარებაც ივარაუდება. წარსულის საჯაროდ დაგმობა აშინებდათ, რადგან ამას მოჰყვებოდა დასკვნაც: საჭიროა წარსულში გაბატონებული „წესრიგის“ გადაჭრით უარყოფა.

მე შევუთვალე თენგიზ აბულაძეს, რომ გორბაჩოვი იც-

ნობდა ფილმს და მას „მწვანე შუქი“ ექნებოდა, ოღონდ, ცოტახანს მოცდა იყო საჭირო.

ჩერნობილის შესახებ სიმართლეს მოცდა არ შეეძლო, მაგრამ მისი გამომზეურება მეტისმეტად ძნელი საქმე აღმოჩნდა. მიზეზი იგივე იყო, რა მიზეზითაც მუხრუჭდებოდა „მონანიების“ ეკრანზე გასვლა.

ორი თვით ადრე შემდგარ პარტიის XXVII ყრილობას „სიმართლის გაკვეთილები“ ეწოდა. ჩვენ ნამდვილად ვთქვით სიმართლე ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ და საჯაროობის ერთგულების საზეიმო ფიცი დავდეთ.

ჩერნობილის კატასტროფამდე ზუსტად სამი დღით ადრე ერთ-ერთ სხდომაზე მოვიყვანე გორბაჩოვის გამონათქვამი: „ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით იმათ, ვინც სოციალური ინფორმაციის დოზირებისთვის იბრძვის. სიმართლე არ შეიძლება იყოს „მეტისმეტად ბევრი“.

და აი, ახლა, ოთხი დღის შემდეგ, თავად გავხდი იძულებული გამოვსულიყავი იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა სიმართლის დამალვას სისტემისგან დაპატენტებულ საიდუმლო სეიფებში.

გონიერებას თუ მოვუხმობთ, ეს ნამდვილი აბსურდი იყო: როგორ შეიძლება დამალო ის, რისი დამალვაც შეუძლებელია? როგორ შეიძლება წინ აღუდგე შინიდან ნაგვის გატანის, — რადიაქტიური ნაგვის გატანის, — სურვილს, როცა ზოგიერთთა განზრახვისა და განწყობილების მიუხედავად, ის უკვე გამოტანილია?!

ზნეობას თუ მოვუხმობთ, ეს იყო აღმაშფოთებელი ამორალურობა: როგორ შეიძლება მილიონობით ადამიანს დაუმალო სიმართლე მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შექმნილი საფრთხის შესახებ, როცა საშიშროების დანაშაულებრივი მიჩუმათებით ხალხს ერთმევა თავდაცვის საშუალება?!

პოლიტიკური თვალსაზრისით კი ეს იყო მაღალ დონეზე გაცხადებული ახალი აზროვნების პრინციპთა დასამარება. ეს იყო საბჭოთა ხელმძღვანელობის ახალი კურსისადმი ჩვენი და მსოფლიო საზოგადოებრიობის ნდობისთვის პირდაპირ ძირის გამოთხრა. ეს ნდობა კი დიდი ძალისხმევით იყო მოპოვებული.

მე, გრიფის — „სრულიად საიდუმლოა“ — მისტიკური თაყვანისცემის სულისკვეთებით აღზრდილი პიროვნება, მაინც ვაკეთებდი ყველაფერს, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, რათა ჩერნობილის შესახებ სიმართლე ავარიის პირველსავე დღეებში გამხდარიყო ცნობილი ქვეყნისა და მსოფლიოსთვის. ბევრი ვერაფერი მოხერხდა, მაგრამ იმასაც, რაც მოხერხდა, პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრი მტრულად შეხვდა. პოლიტიკური პატრიარქატის ლექსიკას თუ გამოვიყენებ, შემიძლია ვთქვა, რომ მე და ჩემს კოლეგებს მაგრად მოგვხვდა იმის გამო, რაც ვაუწყეთ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს. ჩვენს მიერ აღიარებული გულახდილობისა და სიწრფელის პრინციპის საპირისპიროდ, საქმე, სამწუხაროდ, უწინდებურად გარდასული წლების გადაღეჭილი სცენარის მიხედვით მიჰყავდათ. სრული და მართალი ინფორმაციის უქონლობის კომპენსირება ხდებოდა იმის „იდეოლოგიური უზრუნველყოფით“, რისი დასაბუთებაც შეუძლებელი იყო, აგრეთვე იმ პროვოკაციული პროპაგანდისტული აურზაურის მოგერიებით, რომელიც ატყდა დასავლეთში ჩვენს ატომურ სადგურში მომხდარი ავარიის გამო.

15 მაისს ცენტრალური ტელევიზიით გამოვიდა გორბაჩოვი და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა.

დღეს, ჩერნობილის ავარიიდან ხუთი წლის შემდეგ, როცა მის მსხვერპლთა რიცხვმა ათიათასებს გადააჭარბა, როცა: ცეზიუმითა და სტრონციუმით მოწამლული აღმოჩნდა ორა ოცდაათკილომეტრიანი „ჯოჯოხეთის წრე“, არამედ მთელი ოლქები და რესპუბლიკები, — ბევრად უფრო გამოკვეთილად, ვიდრე 1986 წლის აპრილში, — ვხედავ სიმართლისთვის მიშინდელი ბრძოლის მნიშვნელობას. იმ დღეებში ბრძოლის წაგებით დღეს დავკარგეთ საკუთარი თავის ნდობა, რადგან, უკვე მერამდენედ, უგულვებელვყავით ყველაზე დიდი ფსონი, რაც კი არსებობს ამქვეყნად — ადამიანის სიცოცხლე.

ჩერნობილის დღე, — ასე ვუწოდე 1986 წლის 26 აპრილს, — იქცა ათვლის ახალ წერტილად მსოფლიოს ისტორიაში, საგარეო პოლიტიკის ახალ კრიტერიუმად. ვერც კი მოვასწარით წარმოგვეთქვა ეს სიტყვათშეხამება, გაგვეაზრებინა ამ სიტყვებით გამოხატული კატასტროფის ნამდვილი მასშტაბები, რომ მან თვალის დახამხამებაში გვაუწყა: ამიერიდან და

სამარადჟამოდ ტექნოსფეროს ამბოხით წარმოშობილი არცერთი ეკოლოგიური უბედურება არ იფარგლება იმ ეროვნული ტერიტორიის საზღვრებით, სადაც ის მოხდა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ამა თუ იმ ბუნებისეულ კატასტროფათა მიჯნები და არეალი მეტისმეტად პირობითია. მაგრამ არავითარ პირობითობას არ ეგუება ის, რომ ყოველგვარ ეროვნულ საზღვრებს გაცილებული ინტერნაციონალური წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს თერმობირთვულ ომზე არანაკლებ საშინელ საფრთხეს, პლანეტის ეკოლოგიურ რღვევას. რაკიღა „ომი“ ვახსენე, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ მსოფლიო ეკოლოგიური ომი უკვე გაჩაღებულია. თავდაპირველად ის დაიწყო ბიოსფეროზე ტექნოსფეროს შეუზღუდავი და უკონტროლო შეტევით. ახლა კი, გრძელდება იმ ბუნებრივი წყაროების წინააღმდეგ სამხედრო საშუალებათა შეგნებული გამოყენებით, რომლებიც დედამიწაზე სიცოცხლეს უზრუნველყოფს. ელკუვეიტის თავზე მოგიზგიზე ნავთობის ჭაბურღილთა კვამლის ბოლქვებს მთელი კაცობრიობისთვის შეეძლო ჰორიზონტის დახშობა. ერთი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ეს ომი გეგმაზომიერად გადაიქცა ზოგადსაკაცობრიო საუნჯის — ბუნების — წინააღმდეგ აგრესიად.

გადარჩენის ეკოლოგიურმა იმპერატივმა წარმოაჩინა მრავალი მანამდე უჩინარი და გაუცნობიერებელი ფასეულობა, პირველ რიგში — სამყაროს მთლიანობის ფაქტორი. ჩერნობილის შემდეგ როგორ არ გამახსენდეს აქ რონალდ რეიგანის ნათქვამი: „მრეწველობის მხრივ განვითარებულ თანამედროვე სახელმწიფოთა ურთიერთზე დამოკიდებულება იშვიათად თუ წარმოჩენილა ისე თვალსაჩინოდ, როგორც ეს ამ დღეებში მოხდა“. აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა იმ დროს მხარი დაუჭირა სკკპ ცკ გენერალურ მდივანს, ვისი თეზისიც მთლიანი და ერთიანი მსოფლიოს შესახებ იქცა ახალი პოლიტიკური აზროვნების საკვანძო დებულებად. ჩერნობილის დღემ ზოგადსაკაცობრიო ღირებულება — სიცოცხლე — ელვის უსწრაფესად დააყენა „კლასობრივ შეგნებაზე“ მაღლა. შავი მაგიის შამანთა იდეოლოგიური ნიღბებისგან გამოათავისუფლა და ნათლად გამოკვეთა მთავარი მიზანი ყოველგვარი პოლიტიკისა, — მათ შორის ბუნებისდამცავი პოლიტიკისაც — დაცვა ადამიანისა, ანუ დაცვა ერთადერთი საზომისა, რომლითაც

უნდა გაიზომოს ქვეყნებისა და ხალხების ჭეშმარიტი უსაფრთხოება. მაგრამ, ამასთან ერთად, აქ უნდა მოქმედებდეს უფრო „ფართო“ მასშტაბი: ადამიანი და კაცობრიობა, ვინაიდან მხოლოდ მაშინ შეიძლება კაცობრიობას მიეცეს გადარჩენის შანსი, თუ დავიცავთ ყოველ ადამიანს თავისი სამკვიდროს ბუნებრივ გარემოსთან ერთად, და პირიქით: ადამიანის გადარჩენა მაშინ შეიძლება, თუ მთელი მსოფლიო იღვაწებს ლოზუნგით: „ყველა ქვეყნის ხალხებო, შეერთდით!“.

არ გაუჭირდებოდათ ყოველივე ამის მიჩნევა გაუწაფავი გონების ვარჯიშად, თვალწინ რომ არ გვედგეს მომაკვდავი შავი ზღვა, ან უდაბნო არალის ზღვის ყოფილი აკვატორიის რაიონში, მე რომ არ ვიცოდე, ამ ეკოლოგიურმა კატასტროფამ მთელი ხალხის სიცოცხლე როგორ მიიყვანა გადაგვარებისა და დაღუპვის ზღვრამდე; რომ არ ვიცოდე, დეგრადაციის რეალური საფრთხე როგორ ემუქრება ვოლგისპირეთის ვრცელ რეგიონს; თვითონვე რომ არ დამჭირვებოდა თავის მტვრევა დილემაზე: ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა, რომელიც შხამიანი გამონაწოლქვებით წამლავს დასავლეთ საქართველოს, და რომლის გაჩერებაც არ შეიძლება, რადგან „მისი პროდუქცია სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“, — თუ ჯანმრთელობა, სიცოცხლე, მომავალი ბავშვებისა, რომლებიც შემაძრწუნებელი თანდაყოლილი მანკებით იბადებიან.

ჩერნობილის დღემ საბოლოოდ ამიხილა თვალი და საბოლოოდ დამარწმუნა, რომ შეუძლებელია მორალისა და პოლიტიკის გათიშვა, რომ აუცილებელია ზნეობის კრიტერიუმით პოლიტიკის გამუდმებული შემოწმება. რომ გავაქარწყლო ეჭვები და ბრალდებები, თითქოს „მარადიულ ჭეშმარიტებათა“ მქადაგებელ წმინდანად მინდა წარმოვჩნდე, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ზნეობრივი პოლიტიკის კრედო — ეს არის პრაგმატიკოსის კრედო, ეს არის პრაქტიკული ორიენტირი ადამიანისა, რომელიც თვით ცხოვრებამ დაარწმუნა, რომ უზნეო პოლიტიკა უპერსპექტივო პოლიტიკაა. ჩერნობილის ისტორია, რომელიც არის მომხდარი ფაქტის, ავარიის მიზეზთა და შედეგთა გაშუქებაში საჯაროობისთვის ბრძოლის ისტორია, — ამ დებულების სასარგებლოდ მოღაღადე ყველაზე უტყუარი არგუმენტია. ჭეშმარიტება, მართალი ინფორმაცია, რომელიც

დანაწილებული და გამოზომილი არ იქნება კლასობრივი, კასტური, კლანური, ეროვნული ნიშნებით, საკვანძო საკითხია პოლიტიკის ზნეობრიობისა თუ უზნეობის გასარკვევად.

ეს საკითხი საკვანძო გახდა პირადად ჩემი ბედისთვისაც. ჩემი, როგორც საგარეო მინისტრის, მუშაობისთვისაც და ამ მუშაობის დასრულებისთვისაც. სიმართლისა და სიცრუის პრობლემამ გადამწყვეტი როლი ითამაშა გადადგომის ამბავშიც. არაერთხელ ვთქვი და დავწერე კიდეც, რომ ამაზე ფიქრს 1990 წლის 20 დეკემბრამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე შევუდექი... ჩემი მოღვაწეობის დასაწყისში, პოლიტბიუროს წევრად და საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობისას, არაერთგზის წავაწყდი ორმაგი მორალის რეციდივებს, უკვე აღიარებულ პრინციპთაგან გადახვევას, ძველებურ ხრიკებს. არ შემეძლო, არ დავფიქრებულიყავი ჩემს როლზე და მისთვის დადებულ ზღვარზე. უკვე მაშინ, 1986 წელს, ვეკითხებოდი ჩემს თავს, თუ რამდენ ხანს შევძლებდი ახალი აზროვნების პოლიტიკის ექსპორტიორად ყოფნას, როცა თვალნათლივ ვხედავდი ქვეყნის შიგნით ადამიანთა და გარკვეულ წრეთა ორიენტაციას ძველი აზროვნების ნორმატივებზე.

იცოდეთ, მე არავის ვადანაშაულებ ამ ნორმატივების ერთგულებაში და არა იმიტომ, რომ სხვათათვის ცოდვების მიმტევებელ „წმინდანად“ მინდა თავი მოგაჩვენოთ. ჩვენ ყველამ, მათ შორის მეც, „ერთი ფარაჯა გავიძრეთ,“ ყოველ შემთხვევაში, სიტყვით მაინც მოვინდომეთ, რომ გაგვეძრო. ოღონდ, ერთნი სიტყვით კი არა, საქმითაც, ნამდვილად იყვნენ მოწადინებულნი ტოტალიტარულ ქარგაზე აჭრილი ფარაჯა მოეცილებინათ; მეორეთ ეს არ შეეძლოთ; მესამეთ კი ისე ჰქონდათ მორგებული, თითქოს საგანგებოდ მათთვის ყოფილიყო გამოჭრილი. კარგად მახსოვს, ეს „მესამენი“ როგორი დაჟინებით მოითხოვდნენ პარტიის პროგრამაში ჩაგვეწერა სიტყვები კლასობრივი ბრძოლის შესახებ და მახსოვს, როგორ ეუბნებოდა მათ გორბაჩოვი: „ჩვენ კლასობრივ ბრძოლას მაშინ ვიხსენებთ, როცა გვინდა ადამიანები ვაშიმშილოთო“. გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ყაზარმული სოციალიზმის პირობებში ათწლეულის მანძილზე ჩამოყალიბებული თაობები შეძლებდნენ ასე იოლად და სწრაფად გარდაექმნათ თავიანთი ცნობიერება, მაგრამ მინდოდა მერწმუნა, რომ ეს

შესაძლებელი იყო, რადგან სასიცოცხლოდ აუცილებლად მიმაჩნდა და საკუთარ თავსა და ახლობლებს ვუმტკიცებდი, რომ მოვა დრო, როცა სიმართლის თქმას (და თანაც დროულად თქმას) ვისწავლით-მეთქი.

ჩერნობილი იქცა საჯაროობის პირველ გამოცდად და მან ეს გამოცდა ვერ ჩააბარა. ვფიქრობდი: ყველაფერი წინ არის, ჩვენ ხომ მხოლოდ ახლა ვიწყებთ-მეთქი. მაგრამ წინ გველოდა მოვლენები ალმა-ატაში, სუმგაითში, სტეფანაკერტში, ბაქოში, თბილისში, ვილნიუსში, რიგაში. და მაინც მოქმედებდნენ ძველი მექანიზმები, რომლებიც აუბრალოებდნენ, ამახინჯებდნენ ან საერთოდ აქარწყლებდნენ სიმართლეს. მე ხომ თვითონ უშუალოდ წავაწყდი აშკარა სწრაფვას, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობისგან დაემალათ თბილისის აპრილის ეგზეკუციის მნიშვნელოვანი დეტალები, და ამიტომ შემიძლია ვირწმუნო გორბაჩოვის ნათქვამი, რომ ვილნიუსის მოვლენები მან მხოლოდ ტრაგედიის შემდეგ შეიტყო. მაგრამ მაშინ გარდუვლად წარმოიშობა ვარაუდი რაღაც „ჩრდილოვანი ძალის" არსებობის შესახებ, — ძალისა, რომელიც მოქმედებს კანონიერი ხელისუფლების შემოვლით (და მის საწინააღმდეგოდაც) და რომელიც დეზინფორმაციას ისევე იყენებს სამხედრო მოქმედებებში, როგორც ტანკებს. ან ეგებ ჩნდება ამ ძალის „დაფარვის", საჯაროობის ზონიდან მისი გაყვანის სურვილი? ამის დაჯერება მიჭირს.

* * *

ძალაუფლების მონოპოლია არის ინფორმაციის, მისი შექმნისა და გავრცელების საშუალებათა და წესთა მონოპოლია. ძალაუფლების მონოპოლიაზე უარის თქმა, თავის მხრივ, იწვევს პლურალიზმის, — მათ შორის, აზრთა, შეფასებათა, იდეათა ინფორმაციული პლურალიზმის დამკვიდრებას. უბედურება ის არის, რომ პოლიტიკური მონოპოლიზმის ძალმომრეობის წლები ხელს არ უწყობდნენ მაღალ პოლიტიკურ კულტურას, რომელიც შეძლებდა ხასიათით ცენტრიდანულ და არსით კონფრონტაციულ აზრთა სხვაობის გადაყვანას ნორმალური, ცივილიზებული, კონსტრუქციული საზოგადოებრივი დიალოგის კალაპოტში.

და ამ აზრით ჩვენ ჯერ ისევ საკუთარი წარსულის ტყვეებად ვრჩებით, უწინდებურად ვამყარებთ იმედებს ტყვეობიდან თავის დაღწევის ისეთ საშუალებებზე, როგორიც არის შეიარაღებული გაქცევა ან ციხის კედლის გამოთხრა. მე მესმის მათი, ვინც სხვა საშუალებებს ვერ ხედავს: ძალმომრეობის ათწლეულები გამორიცხავდნენ ტყვეობიდან თავის დახსნის რაიმე სხვა შესაძლებლობას. შეგახსენებთ, რომ წარსული წააგავს შენობას, რომლის ნგრევისას, შეიძლება ნანგრევების ქვეშ მოჰყვე. არსებობს მძიმე მემკვიდრეობის უკუგდების სხვა საშუალებებიც: მისი გააზრება, ფხიზელი გონებით ანალიზი, — რომელიც იფქლსა და ღვარძლს ერთმანეთისგან განარჩევს, — ცეცხლის შეწყვეტა, დროებითი ზავის დადება და, დასასრულ, მშვიდობა. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ჩვენ კვლავ ვაწყდებით პოლიტიკური კულტურის დეფიციტს, რომელსაც მარჯვედ იყენებენ ძველ წესრიგს დანატრებული „ბელადობის“ პრეტენდენტები და ახალი დიქტატორობის კანდიდატები. „ჩვენ ვხდებით მოწმენი იმისა, რომ თავისუფლების სიოს ქროლვა აღვიძებს ძველ ურჩხულებს და ისინი თავიანთი იატაკქვეშეთიდან ძვრებიან.“ (Михкин А. Национализм: чудовище пробуждается. — Век XX и мир, № 10, 1990, გვ. 14). ზემოთმოტანილი სიტყვები თქვა ადამ მიხნიკმა, პოლონელმა სამართალდამცავმა და ისტორიკოსმა, „სოლიდარობის“ ერთ-ერთმა თეორეტიკოსმა. ზოგიერთი ჩემი პარტიელი ამხანაგი მიხნიკით ოდესღაც ბავშვებს აშინებდა. 1989 წელს ვარშავაში მან ჩემგან ინტერვიუ აიღო თავისი „გაზეტა ვიბორჩასთვის“. ჩვენ სამახსოვროდ ერთად გადავიღეთ სურათი, რომელიც ჟურნალის ყდაზე მოხვდა. მითხრეს, პოლონელები მხრებს იჩეჩავდნენ: თვალი ხომ არ გვატყუებს, დისიდენტი სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრის გვერდით დგას ლამის ჩახუტებულიო?!

არა, თვალი არ გატყუებთ, მაგრამ საკუთარ თავს კი იტყუებთ, როცა ადამიანს „იდეური“ შეუთავსებლობის კედლით გაემიჯნებით მხოლოდ ი მ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე, რომ ის თქვენგან განსხვავებულად აზროვნებს. სინამდვილეში ხშირად ირკვევა, რომ ის თქვენზე ნაკლებად არ აზროვნებს, თუმე თქვენი თანამოაზრეც კია. ყოველ შემთხვევაში, მახნიკის ზოგი იდეა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ბუნებაზე ჩემს წარ-

მოდგენებს ეხმიანება. მაგალითად, ადამს მოჰყავს მოაზროვნის სიტყვები იმის თაობაზე, რომ ნაციონალ-შოვინიზმის გამარჯვება ჰუმანიზმზე ტირანებს გზას უხსნის ძალაუფლებისკენ. მე ვეთანხმები მას. ჩემთვის ახლობელია ის აზრიც, რომ ნაციონალიზმთან ან შოვინიზმთან ოპოზიციაში მდგარი რეჟიმი, რომელიც თავის თავს კომუნისტურს უწოდებს, ფართოდ იყენებს ნაციონალისტურ განწყობილებებს, როგორც მოძველებული იდეოლოგიის უკანასკნელ ცდას, რომ დიქტატურისთვის იპოვოს საყრდენი საზოგადოებაში. პარადოქსია, არა? მაგრამ იმაზე დიდი პარადოქსი ხომ არ არის, ვიდრე ხელისუფლებაში მოსული „ნაციონალ-პატრიოტები" რომ მოიმარჯვებენ ხოლმე უბინძურეს საშუალებებს მომაკვდავი კომუნისტური რეჟიმის არსენალიდან, როგორიცაა: სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნა, ეროვნულ უმცირესობათა დათრგუნვა, საკუთარი შეცდომების სხვისთვის გადაბრალება, პასუხისმგებლობის დაკისრება მითიური მტრებისთვის, „ერის მტრების" ფანტომის ჩამოყალიბება და ა. შ.

გადადგომის შემდეგ მე კვლავ მომიხდა შეხვედრა მიხნიკთან, ამჯერად მოსკოვში. ვმსჯელობდით საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შექმნილ სიტუაციაზე. მომხდარი მოვლენები, — რომლებიც, სამწუხაროდ, ყოველთვის პოზიტიური არ იყო, — რა გავლენას იქონიებდა ევროპულ სტაბილურობაზე, ახალი ევროპისა და მისთვის უშიშროების სტრუქტურათა ფორმირებაზე. და ჩვენ კვლავ შევთანხმდით, რომ ნაციონალ-შოვინიზმის გამოღვიძების ტენდენცია საფრთხეს უქმნის ახალი დემოკრატიული საზოგადოებების ჩამოყალიბებას, ემუქრება ევროპულ მშვიდობიან რევოლუციათა მონაპოვარს. მიხნიკი ამბობდა, საკითხი არსებითად იმას ეხება, რევოლუცია ამა თუ იმ ქვეყანაში რა გზით წარიმართებაო. და მსჯელობას კვლავ მივყავდით დასკვნამდე: წარსულზე ხელის აღების ბუნებრივი სურვილი ისეთ ფორმებში ვლინდება, რომ ხალხებს ისტორიული პერსპექტივის შეფერხებას უქადის. შოვინიზმი და ნაციონალიზმი ხალხების უბედურების გამო ადანაშაულებენ „გადამთიელებსა" და კოლაბორაციონისტებს და პასუხისმგებლობას იხსნიან.

ყველაფერი ეს ადრეც იყო. როგორც ყოველთვის, შფოთის, არეულობის დროს პოლიტიკურ არენაზე შეიძლება გა-

მოვიდნენ შარიკოვები,* ყვარყვარე თუთაბერები, ვიგინდარები, ლიუმპენები, და „წმინდა დროშების“ ფრიალი მათი ნამდვილი სახის დანახვაში ხელს შეუშლის საზოგადოებას. ამასობაში ინტელიგენცია, ინტელექტუალური ელიტა, რომელიც ასე ბევრს აკეთებდა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისთვის, შეიძლება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან გარიყული აღმოჩნდეს.

რატომ? აქ საკმაოდ ბევრი რამ არის დამაფიქრებელი. თუნდაც ის, რომ ისტორიულად ქვეყნებში, სადაც იმპერიული ფსიქოლოგია ოფიციალური სახელმწიფო დოქტრინის ფორმებით ისხამდა ხორცს, სადაც სახელმწიფოებრიობის პოსტულატები მოითხოვდა იმას, რომ ინტელექტი და სული უსიტყვოდ დამორჩილებოდა რაღაც უნივერსალურ იდეას, ინტელიგენცია ხელისუფლების ოპოზიცია ხდებოდა. ამტკიცებენ, ეს მისთვის ბუნებრივი მდგომარეობაა, რადგან ინტელექტისა და სულის ნება მუდამ ჯანყდება შემზღუდველთა წინააღმდეგ. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში ეს ნორმაა: კულტურითა და პასუხისმგებლობით მოწესრიგებული თავისუფლება იქ ყოველთვის ეძებს და პოულობს კალაპოტს უთანხმოების გამოსახატავად.

ვფიქრობ, რომ ჭკვიანი მმართველები ასეთ დამოკიდებულებას არამარტო გულისყურით უნდა მოეკიდონ, არამედ უნდა წააქეზონ კიდეც. მაგრამ თუ ასეთი მმართველები არ არიან, დემოკრატიული იდეა კი ტრადიციად არ გაფორმებულა, მაშინ ინტელექტუალი ხელისუფლებას არა მარტო ოპოზიციაში, არამედ კონფრონტაციაშიც უდგება. ხშირად ეს იღებდა პერმანენტული ომის ხასიათს. მხარეები ერთმანეთს აყენებდნენ მძიმე დარტყმებს, ცდილობდნენ ერთმანეთის შემუსვრას. ამის შედეგად რევოლუციურ ბრძოლაში ჩაბმული ინტელიგენცია კისრულობდა მისთვის უჩვეულო ნგრევის ფუნქციას, რითაც თავის თავსვე ძირს უთხრიდა, იგი აღარ იყო, ის, რაც უნდა ყოფილიყო. მასების განმანათლებელნი და ამამბოხებელნი თანდათან, ნელ-ნელა კარგავდნენ პრაქტიკული შემოქმედებითი შრომის უნარს. და როცა ბრძოლის არენაზე

---

* შარიკოვი — მიხაილ ბულგაკოვის მოთხრობის „ძაღლის გულის“ პერსონაჟი, ავანტიურისტის ტიპს განასახიერებს.

გადმოედინებოდა მათი ნებით გამოღვიძებული სტიქია, მათ ისღა რჩებოდათ, რომ თავიანთ ძალისხმევათა დემონური ნაყოფით შეძრწუნებულიყვნენ, ან, — როგორც ეს ჩვენს ისტორიაში იყო, — რეპრესიებისა და ტერორის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ.

* * *

ცოტა ხნის წინ რომში გაზეთების „სტამპასა“ და „რეპუბლიკას“ ჟურნალისტებმა მკითხეს გარდაქმნის სოციალური ბაზის შესახებ: ვის ვეყრდნობოდით ჩვენ, როცა გარდაქმნა დავიწყეთ? ვუპასუხე, რომ გვქონდა ფართო, როგორც ჩვენში მიღებულია თქმა, საერთო — სახალხო მხარდაჭერა.

ქვეყნის განვითარების დამამუხრუჭებელი და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებისგან ბევრად უკან ჩამომტოვებელი უძრაობის დროის ეკონომიკის შესახებ სიმართლე, შესაძლოა, ცოტამ იცოდა, მაგრამ არსებული მდგომარეობით უკმაყოფილება ფართო და საყოველთაო მოვლენა იყო. ეს იგრძნობოდა პარტიაში, მის ხელმძღვანელ სტრუქტურებსა და პირველად ორგანიზაციებში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წრეებში. პარტიულ-სახელმწიფოებრივმა გერონტოკრატიამ შეაყოვნა ზრდა მოსახლეობის ყველაზე უფრო აქტიური ნაწილისა, სულ ცოტა, ორი თაობის მაინც. გონიერი და ნიჭიერი ადამიანები გვიან ერთვებოდნენ საქმიანობაში; ხოლო როცა მოეკიდებოდნენ საქმეს, ვერ ახერხებდნენ თავიანთ შესაძლებლობათა გამოვლენას, იმდენად ვიწრო და შეზღუდული იყო ასპარეზი. „კრემლის მათუსალათა“ საუკუნეს დასრულება არ ეწერა და უსასრულო ჩანდა მათი უძლურებაც, რომელიც უზარმაზარი ქვეყნის უძრაობას ეხმიანებოდა.

გორბაჩოვის კონტრასტი მის წინამორბედებთან იმდენად განსაცვიფრებელი იყო, რომ ბევრმა მის შესახებ საუბარი დაიწყო როგორც ხსნის განსახიერებულ შანსზე. და, რასაკვირველია, ამ შანსს პირველები მიესალმნენ ისინი, პირველებმა მათ დაუჭირეს მხარი, ვის ინტელექტსაც არ შეეძლო შეერიგებოდა ქვეყნის სტაგნაციას, რომელიც დღითი დღე ღრმავდებოდა.

ინტელექტი რომ ვახსენე, მე მას არ შემოვფარგლავ რაღაც სოციალური ჩარჩოებით, რაღაც მკვეთრად დაფიქსირებული სოციალური ჯგუფებით: მუშები, გლეხები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები. საზღვრები აქ ისევე მოძრავი და ცვალებადია, როგორი მერყეეიც არის მიჯნები ადამიანთა გონებრივ სწრაფვასა და მათ განწყობას შორის. სოციალური ნიშნების მიხედვით კლასიფიკაციას მე საერთოდ არ მივიჩნევდი აბსოლუტურად სანდოდ. წარმოების წესების შემცველმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ამ მიმართებით არსებითი კორექტივები შეიტანა არსებულ უწინდელ წარმოდგენებში ან მეტწილად მოშალა ისინი. ახალმა ტექნოლოგიამ ახალი, ამაღლებული მოთხოვნები წაუყენა პიროვნებას. პიროვნებისგან მათ მეტი თავისუფლება და პასუხისმგებლობა მოითხოვეს. ერთნი მხარს უჭერენ ამ მოთხოვნას და მზად არიან მიიღონ ის, მეორენი ამისთვის მზად არ არიან, ან მისი აყოლის უნარი არა აქვთ.

ასეთი „წყალგამყოფი" ერთადერთ შესაძლებელ და სწორ თვალსაზრისად შეიძლებოდა მიგვეჩნია, საქმე ბევრად უფრო რთულად რომ არ იყოს. მაგალითად, იმავე აგრარულ სექტორში ჩვენ გვაქვს კოლექტიური მეურნეობები, რომლებმაც საზოგადოებრივი შრომის მაღალ ეფექტურობას მიაღწიეს და რომლებმაც, შესაბამისად, თავიანთ მუშაკებს შეუქმნეს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობათა საკმაოდ ფართო სპექტრი. მაგრამ არიან მეურნეობები, მაგალითად, საქართველოს მთიან რაიონებში, რომლებსაც ძალიან უჭირთ, და თუ პირველნი შიშით არიან შეპყრობილი მიწების საკუთრებაში გადაცემით, რადგან ამ აქტმა შეიძლება აწყობილი საქმე მოშალოს, მეორენი სიხარულით იღებენ იჯარით სათიბებსა და საძოვრებს, რადგან მიწათსარგებლობის ასეთი ფორმა, როგორც ყველაზე გონივრული, მათ მეტ მოგებას ჰპირდება.

სხვა მაგალითს, ჩემთვის ყველაზე დამაჯერებელ მაგალითს, მოვიყვან ერთა შორის ურთიერთობების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სფეროდან. კონსტიტუციური ნორმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ, რომელიც რესპუბლიკებს აძლევს სუვერენულ სახელმწიფოთა სტატუსის იურიდიულ გარანტიას, პრაქტიკულად ნივე-

ლირებული იყო ფაქტობრივი უნიტარიზმით, ცენტრისადმი დამორჩილების მკაცრი კანონებით, რომელთა უკან მუდამ ძალის ფაქტორი იდგა. გარდაქმნამ აღმოფხვრა უნიტარიზმი, ყოველ შემთხვევაში, არჩევანის თავისუფლების პრინციპის გამოცხადების დონეზე მაინც, რითაც რეალური სახელმწიფოებრიობის აღდგენის იმედი გააღვივა. ამიტომ ბევრ რესპუბლიკაში ეროვნულ უმრავლესობას გარდაქმნა წარმოუდგა ჭეშმარიტი სუვერენიტეტის მოპოვების რეალურ შანსად. მაგრამ იმავე რესპუბლიკათა სხვა ეროვნული ნაწილები კარდინალურად გაემიჯნენ ეროვნული სახელმწიფოს მომხრეთა მისწრაფებებს.

უდავოა, რომ გარდაქმნა აღიქვეს და მას მხარი დაუჭირეს, როგორც განახლებისა და დემოკრატიზმის უნივერსალურ იდეას. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მასთან დაკავშირებული ბევრი მოლოდინი მეტისმეტად სხვადასხვაგვარი იყო ცხოვრების ამა თუ იმ სფეროებსა და „ნაკვეთებში“, ეს მიზანდასახულობანი ხშირად არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ასე თანდათან ძლიერდებოდა „ბროუნის მოძრაობა“, რომელიც ბიძგს აძლევდა პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის რეფორმებს მისი საკვანძო და ძირითადი კომპონენტის, — ხელისუფლების, — გარდაქმნითურთ. და როცა ეს მოხდა, დაგროვილი კრიტიკული ძალა აფეთქების ზღვარს მიუახლოვდა.

ჩერნობილის ავარიას ხსნიდნენ მრავალი გაუთვალისწინებელი ფაქტორის საბედისწერო „თავმოყრით“. ცალკე არცერთ მათგანს არ მიჰყავდა საქმე კატასტროფამდე, ერთად კი მათ აფეთქება გამოიწვიეს. ანალოგიით შემეძლო მეთქვა, რომ ის „ავარიაც“, რომელიც ქვეყანას ემუქრებოდა, ასევე განპირობებული იყო მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციის თავმოყრით. ვალდებული იყავით გეთქვათ, გეწინასწარმეტყველათო, — მეტყვიან და, კაცმა რომ თქვას, ამას დავეთანხმები. გარდაქმნის საინჟინრო გეგმა ეფუძნებოდა უეჭველად სწორ და პროგრესულ მიზანდასახულობებს, რომელთაც შეეძლოთ მოეპოვებინათ ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის მხარდაჭერა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ საერთო ჩანაფიქრი, რომელიც არ ითვალისწინებდა ჩვენგან მიღებული მემკვიდრეობის ჭეშმარიტ სიმძიმეს, არსებულ პრობლემათა მთელ მრავალგანზომილებიან სირთულეს. რა უნდა ვთქვათ საზოგა-

ლოების ამა თუ იმ „მწყობრში“ სხვადასხვა მხრივ მიმართულ ინტერესებზე, როცა თვით ხელმძღვანელი ბირთვიც კი ასე არაერთგვაროვანი აღმოჩნდა თავისი შემადგენლობით, ასე ჭრელი იყო მასში შემავალ ადამიანთა შეხედულებებისა და წარმოდგენების მიხედვით. და მაინც მიჭირს ამაში ვინმეს დადანაშაულება. რამდენიმე ადამიანი შეიყარა, გადაწყვიტეს, რომ ასე უკვე აღარ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, მაგრამ როგორ შეიძლებოდა და როგორ უნდა გაგრძელებულიყო, ამაზე ვერ შეთანხმდნენ. და ასევე გაიყარა დიდი, — სოციოლოგთა ენით რომ ვთქვათ, — ჯგუფების ორიენტირები, წარმოდგენები, გზები.

* * *

მინდოდა, ამ განყოფილებაში გამომეთქვა ჩემი შეხედულებები პოლიტიკისა და ეკოლოგიის თანაფარდობის შესახებ, ეკოლოგიური კოლაფსისგან თავის დაღწევის შესახებ. მინდოდა მეთქვა, რისი გაკეთება შევძელი და რისი — ვერა.

ზოგი რამ, რასაკვირველია, შევძელი. მაგალითად, შესაძლებელი გახდა საგარეო პოლიტიკის შეტრიალება ბიოსფეროს დაცვის გლობალური პრობლემისკენ, ეკოლოგიური დიპლომატიის, პოლიტეკოლოგიის პრინციპების ფორმულირება და მათი განხორციელების უნარის მქონე ადამიანების მონახვა. მოხერხდა მსოფლიო გაერთიანების ყურადღების მიქცევა ჩერნობილის ავარიის შედეგებზე. ახლა ასევე შესაძლებელი გახდა ბუნებაში ამა თუ იმ კატასტროფაზე სწრაფი რეაგირებისთვის მსოფლიო ეკოლოგიური ფონდის შექმნაზე ზრუნვა.

ეს, რომ იტყვიან, ჩემი თემაა, მაგრამ ფიქრებს მსოფლიო საზოგადოების სოლიდარული და შეთანხმებული ძალით ბუნების დაცვაზე ჩემდაუნებლიედ გადავყავარ დასახული გზიდან, და ახლა ჩემი ფიქრები უტრიალებს სულის ეკოლოგიას. ზნეობრივი რესურსების დაზოგვას და გამოვლენას. სულიერი ენერგიის მტაცებლურმა ექსპლუატაციამაც ასევე კატასტროფის ზღვრამდე მიიყვანა ადამიანის ბუნება და ადამიანობა.

ამ პრობლემის „ფოკუსში“ იყრის თავს ამჟამინდელ ჩვენთა მღელვარებათა „ნერვული დაბოლოებანი“. ჩვენ შეიძლება

ერთმანეთისგან განვსხვავდებოდეთ ღირებულებათა სისტემებზე ჩვენი შეხედულებებით, შეიძლება წამოვაყენოთ და დავიცვათ ჩვენთვის ძვირფასი იდეები, ერთმანეთს არ დავეთანხმოთ, სადავოდ გავხადოთ სხვათა აზრები, შევეცადოთ ჩვენი შეხედულებების დამტკიცებას, მაგრამ უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ, რომ იყო ადამიანი — ეს იმას ნიშნავს, რომ სხვისი ადამიანობაც სცნო. არ ააგო შენი ბედნიერება სხვის უბედურებაზე. სხვას ისე მოექცე, როგორც ისურვებდი, რომ შენ მოგექცნენ.

გნებავთ იყოთ ერთიანი სახელმწიფოს საზღვრებში მცხოვრები ერთიანი ერი? მაშინ სცანით და უზრუნველყავით სხვა ხალხის უფლებაც, რომ მანაც ასეთსავე პირობებში იარსებოს.

მე მზარავს, როცა მესმის ვიშვიში ბერლინის კედლის დანგრევისა და გერმანიის გაერთიანების გამო. გასაოცარ ზნეობრივ სიბრმავეს დაუბნელებია იმათი გონება და სული, ვისაც არ უნდა გაიგოს გერმანიის გახლეჩისა და გაერთიანების ჭეშმარიტი მიზეზები. ბერლინის კედელი ხომ აღმართეს მტრის გზაზე ზღუდედ კი არა, არამედ დაბრკოლებად საკუთარი მოქალაქისთვის, რომელსაც არ სურს თავს მოხვეული კანონით ცხოვრება. ამ ზღუდის გადალახვის მსურველებს ხოცავდნენ. ნეტა რას გვეტყვიან ამის პასუხად გარდაქმნის ბრალმდებელნი, რომლებმაც ამაში „კლასობრივ ღირებულებათა ღალატი“ დაინახეს? ვფიქრობ, ჩაეჭიდებიან უძლიერეს არგუმენტს: გერმანიის გაერთიანებამ სოციალური დისკომფორტი შეუქმნა ყოფილი გდრ-ის მშრომელებს. ამ მიზნით გამართული საპროტესტო დემონსტრაციებისა და მიტინგების რეპორტაჟებში ცხადად შეიმჩნევა ერთგვარი სიამოვნება: „დახეთ, სადამდე მიგვიყვანა თქვენმა პოლიტიკამ! თითქოს მრავალი ათასი ადამიანი არ გადასულიყო კედლის იქით და ასობით გვამი არ შერჩენოდა ეკლიან მავთულებს, — ორ გერმანიას შორის საზღვრის გადალახვას რომ შეეცადნენ, მაშინ ჩახოცილ ადამიანთა გვამები! ვითომ ერჩიათ ამ ადამიანებს ჩაკეტილში ყოფნა, ვიდრე ბედნიერების ძიება მათთვის თითქოსდა უცხო სამშობლოში?

გასაოცარი აბერაციაა, ვერ ხედავდე, რომ ყოფილი გდრ-ის მკვიდრნი მძიმე დღეში არიან არა იმიტომ, რომ თანამემამულეებს შეუერთდნენ, არამედ იმიტომ, რომ მანამდე არსე-

ბულმა რეჟიმმა გაუძნელა მათ მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში ცხოვრების პირობებთან ადაპტირება.

მე სულს მიხუთავს ბაღდადის ამასწინანდელი ნგრევისა და დაბომბვის მსხვერპლთა შესახებ ტელეგადაცემები. დიქტორის ტექსტი თითქოს აშკარად გვეუბნებოდეს: „აი, 678-ე რეზოლუციის შედეგი!“ ტკივილს მგვრის დახოცილთა და დაჭრილთა ყურება, მაგრამ ისინი ხომ დახოცეს ერაყის მმართველებმა, რომლებსაც საერთაშორისო საზოგადოება მრავალი თვის მანძილზე სთავაზობდა მშვიდობიან არჩევანს. არჩევანი მათზე იყო, მათ კი ომი არჩიეს. ეს არჩევანი გააკეთეს 1991 წლის 17 იანვრამდე კარგა ხნით ადრე, როცა კუვეიტის თორმეტი ათასი მოქალაქე დახოცეს. ამ რიცხვს „პაციფისტები“ ომის ანგარიშში არ თვლიან. ისინი ომის შედეგებს ანგარიშობენ დიდმპყრობელობისა და ფსევდოკლასობრივი ინტერესების სასარგებლოდ, რითაც ემიჯნებიან მორალის ყოველგვარ ნორმებს. დღესაც, როცა ჩვენს თვალწინ ქურთების ტრაგედია მძვინვარებს, ეს „ქორო“ იმიტომ ხომ არ დუმს, რომ მის პოლიტიკურ ლიბრეტოს ვერც ეს ტრაგედია მოერგო?

მზარავს ბრალდებები „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საბჭოთა ჯარების ნაჩქარევი გამოყვანის გამო“, მაგრამ მხოლოდ იმ მიზეზთა გამო კი არა, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკე. არის კიდევ სხვა რამ, საკმარისია, ობიექტურად გავაანალიზოთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის ხარჯთა სტრუქტურა, ერთმანეთს შევუდაროთ აშშ-სა და ჩვენში ოფიცერთა კორპუსის სოციალური დაცვისა და მატერიალური ანაზღაურებისთვის გაღებულ ინვესტიციათა ციფრები, რომ დავასკვნათ: ჩვენს არმიაში „ადამიანურ ფაქტორს“ გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობა, ვიდრე ამერიკის არმიაში. ვერსად გაექცევი ფაქტს: აშშ შეიარაღებული ძალების შენახვისთვის ორჯერ უფრო მეტ სახსრებს ხარჯავს, ვიდრე ჩვენ. აქცენტების გადაადგილებითა და ნამდვილი სურათის დამახინჯებით ცდილობენ არა მარტო დანაშაულის სხვისთვის გადაბრალებას, არამედ იმასაც, რომ სამხედროფორმიანი ადამიანის რეალურ საჭიროებათა, მოთხოვნილებათა და ინტერესთა დაკანონებული უგულვებელყოფის მრავალწლიანი პრაქტიკა მიიჩქმალოს, არ მოექცეს ყურადღების ცენტრში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჯარების

გამოყვანამ, რაც სუვერენულ სახელმწიფოთა მოთხოვნით მოხდა, გამოააშკარავა ეს შეუწყნარებელი შეუსაბამობა. ამის შესანიღბად გააჩაღეს „სიტყვიერი ომი“ ახალი აზროვნების პოლიტიკის წინააღმდეგ.

* * *

მორალის სფეროში „ჩერნობილი“ მოხდა 1986 წლის აპრილის აფეთქებამდე დიდი ხნით ადრე. ის დაგეგმილი და განხორციელებული იყო სისტემის მიერ, რითაც მან სათუო გახადა თავისი მომავალი. ახლა, როცა ის მომავალი აწმყოდ იქცა, სისტემას უხდება ამის გამო პასუხის გება. რაკი ხელთ მხოლოდ ის საშუალებები აქვს, რომლებითაც წარსულში თავის არსებობას ინარჩუნებდა, — ახლაც ისევ მათ მიმართავს.

უკანასკნელი თვეების მოვლენები მეტად დამაჯერებლად ადასტურებენ ამას. და ჩემთვის ამ მოვლენათაგან ყველაზე უფრო ნიშანდობლივია პარალელური განვითარება ორი პროცესისა: ძალის გამოყენებისა და საჯაროობის დათრგუნვისა. კაცმა რომ თქვას, ეს პროცესები აშკარად თავსდებიან გარდაქმნის საპირისპირო ტენდენციების კალაპოტში. იანვრის მოვლენები ბალტიისპირეთში დაემთხვა სახელმწიფო ტელევიზიის „გარდაქმნას“, რასაც თან ახლდა პროგრესული პროგრამების დახურვა და სტუდიებიდან პოპულარული ჟურნალისტების განდევნა.

გადადგომის შემდეგ ცენტრალური ტელევიზიისთვის მიცემულ ჩემს პირველ ინტერვიუში საჭიროდ მივიჩნიე ამის თქმა. მაგრამ მოსკოველმა ტელემაყურებლებმა ვერ მოისმინეს განდევნილთა მხარდასაჭერად ჩემი სიტყვები: ინტერვიუს ეს ნაწილი ამოკვეთილი აღმოჩნდა. ისღა დამრჩენია, კიდევ ერთხელ ვაღიარო, რომ გარდაქმნასა და საჯაროობასთან დაპირისპირებული ძალები სათანადოდ არ იქნა შეფასებული.

ამგვარი აღიარებიდან მონანიებამდე ერთი ნაბიჯია და მე მზადა ვარ ეს ნაბიჯი გადავდგა. გარდაქმნის ორგანიზატორებს გულუბრყვილობას სწამებენ. ამ ბრალდებას პირველ რიგში ჩემს თავზე ვიღებ. მე მეგონა, რომ სიმართლე ყოვლისშემძლეა, რომ საკმარისია ის გაამჟღავნო და ის თავისით დაიწყებს ქმედით, გარდამქმნელ მუშაობას. ახლა ვხედავ, რომ

სასტიკად ვცდებოდი: სიმართლის ქმედითი ძალა დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებაზე, საზოგადოება უნდა იყოს მზად, რომ მოითხოვოს სიმართლე, და კიდევ დამოკიდებულია იმ ადამიანთა გონებრივ და სულიერ მდგომარეობაზე, რომელთაც გაბედულად იკისრეს მართალი სიტყვის მოფენა და გავრცელება; დამოკიდებულია პუბლიცისტებზე, რომლებიც, ა. ვ. ლუნაჩარსკის თქმისა არ იყოს, საზოგადოებას წერილებს სწერენ.

„როგორ წერილებს?" — ვეკითხები დღეს ჩემს თავს. სიძულვილის, მტრობის, შეურიგებლობის წერილებს, თუ კოლოლიდაციისკენ, სამოქალაქო მშვიდობისკენ, კონსტრუქციული თანამშრომლობისკენ მომწოდებელ ეპისტოლეებს? ამ კითხვის პასუხი თვალწინ გვაქვს და ის წინასწარვეა შემზადებული იმავე გონებრივი და სულიერი მდგომარეობით, რომელსაც წლების მანძილზე აყალიბებდა შინა ომი „ყველასი ყველას წინააღმდეგ". სწორედ აქედანვე იღებს სათავეს „პროფესიის აკრძალვაც", დემოკრატებისადმი სიძულვილით განმსჭვალული გაზეთის სვეტებიც და ახალშობილი ცენზურისგარეშე პრესის მიერ გახსნილი საპასუხო გამანადგურებელი ცეცხლიც. მე მაშფოთებს ეს თავდასხმები, მაგრამ ასევე სულს მიფორიაქებს აშკარა ტენდენცია ლიბერალურ-დემოკრატიული პრესისა, — სიძულვილის პროპაგანდით მისი შეიარაღება. ასეთი „სიმართლე" ისევე არაფრისმაქნისია, როგორც სიცრუე. და სავსებით მართალია რიჩარდ ნიქსონი, როცა ამბობს, რომ „გარდაქმნის პოტენციალი იფლანგება ერთმანეთის დადანაშაულების, შეუწყნარებლობისა და დაუფარავი პირადი მტრობის ატმოსფეროში". (Никсон Р. Момент истины.— Новое время, № 13, 1991, გვ. 12).

ჩვენ შებორკილნი ვართ საკუთარი წარსულით. ძალაუფლების მონოპოლიამ საზარელი ოინი გვიყო, მიგვაჩვია, რომ ჭეშმარიტება ვამტკიცოთ მხოლოდ იერიშითა და იძულებით. ერთსაც და მეორესაც მოსდევს იმ შენობის ნგრევა, რომლის ახალი სიცოცხლისთვისაც წამოვიწყეთ გარდაქმნა. საცენზურო შეზღუდვა კი მოვხსენით, მაგრამ ვერ შევძელით (ანდა. შეგვეძლო კი?) აგვემოქმედებინა სხვა შეზღუდვანი, რომელნიც თავისუფლების, კულტურისა და პასუხისმგებლობის დუღაბით იქნებოდა შემტკიცებული; ჩვენ, ტოტალურ მონობაში

აღზრდილთ, არ გვქონია (და არც შეიძლებოდა გვქონოდა) ასეთი შემაკავებელი შინაგანი მუხრუჭები. და აი, ახლა, როცა ვფიქრობთ, რომ ამ მონობისგან განვთავისუფლდით, ჩვენს არსებაში ისევ მონობას ველოლიავებით. საჯაროობამ გამოცდა ვერ ჩააბარა კი არა, — თვითონ ვერ ჩავაბარეთ საჯაროობის გამოცდა. მორალის სფეროში „ჩერნობილი“ შეეწყო და შეუთავსდა იდეების სფეროში „ჩერნობილს“. იმავე მენტალური წყობის გამო გაფრთხილებები შეძახებათა და იარლიყთა ფორმით გაისმის და მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ იყო „უუფლებობიდან თავის გამოთავისუფლების“ ფენომენის მეცნიერულად გააზრების ცდა.

„ამჟამინდელ პუბლიცისტიკას ხშირად ურევენ პოლიტიკურ ოპოზიციაში“, — წერს მეცნიერი-სოციოლოგი. და მე მას ვეთანხმები. ეს სხვადასხვა რამ არის. ოპოზიცია არის დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების ელემენტი, რომელიც საზოგადოების განვითარებას დინამიურს ხდის პოლიტიკურ ალტერნატივათა წამოყენების გზით. ის სახელმწიფოს ფარგლებში არსებობს და ლოიალურია სახელმწიფოსა და მის ინსტიტუტებთან დამოკიდებულებაში.

პუბლიცისტიკისთვის, მისი საგაზეთო-საჟურნალო და პოლიტიკური სახეობისთვის ლოიალობა უცხოა. ის არსებული სახელმწიფოს ფარგლებში ალტერნატივებს ვერ ხედავს და აუცილებლად მიიჩნევს მის დანგრევას, რათა ყველაფერი თავიდან დაიწყოს: საჭიროა კავშირის, — ამ „ყველა ხალხის საპყრობილის“, — დანგრევა და, როგორც კი ის აღარ იარსებებს, ხალხები თავად შეიყრებიან ერთად და მეგობრულ ოჯახად იცხოვრებენო...

როგორია პუბლიცისტიკის მოტივაცია? ამის ცალსახად თქმა ძნელია. ეს არის პოპულარობის წყურვილიც, პირადი პატივმოყვარეობაც და კეთილსინდისიერი ცდომილებაც: ახალი საზოგადოების ერთი ხელის მოსმით — სწრაფად და ერთბაშად — აშენების ილუზია. ყველაფერი ეს ერთად წარმოქმნის რევოლუციურ სინდრომს — საზოგადოებისთვის დღეს უკიდურესად საშიშ ავადმყოფობას (Ионин Л. Чем мил Фамусов? — Новое время, № 12 1991, გვ. 10).

* * *

ერთი მსჯელობა მეორეს მოიყოლებს. ჩვენს გარდაქმნას „მშვიდობიანი რევოლუცია“ უწოდეს და მე თვითონაც ხალისით ვხმარობდი ამ განსაზღვრებას. მაგრამ ახლა, როცა „მშვიდობიანი რევოლუციის“ წიაღში ასე აშკარად მომწიფდა ძალმომრეობის ჩანასახები, ამგვარი დეფინიციებისგან თავს შევიკავებ. რუს ფილოსოფოს ნიკოლოზ ბერდიაევს რევოლუცია მიაჩნია საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სნეულებათაგან ამოზრდილ კრიზისად, რომელიც ქვეყანას ან ააღორძინებს, ან დაღუპავს. მე, ბუნებრივია, მხარს ვუჭერ სახელმწიფოთა კავშირის აღორძინებასა და სხვაგვარად მოწყობას, მაგრამ მხოლოდ ისეთ საფუძველზე მოწყობას, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს მის სიმტკიცესაც და ხალხთა ჭეშმარიტ სუვერენიტეტსაც.

რაკი საკმაოდ კარგად მაქვს წარმოსახული საბჭოთა კავშირის როლი და მნიშვნელობა ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის, არ შემიძლია არ ვიფიქრო იმაზე, რომ ჩვენნაირ ქვეყანაში ძვრები როცა მწვერვალს მიაღწევს, ამას მოჰყვება დამანგრეველი ბიძგები სამყაროს ყველა ნაწილში, უმთავრესად, — ევროპაში, და საერთოევროპული სიტუაციის დესტაბილიზაციას გამოიწვევს.

ჩვენ ვლაპარაკობთ საერთოევროპულ სივრცეებზე, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილსაც წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ამჟამინდელი ერთიანი ეკონომიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური სივრცე. ამ სივრცის დაშლა მილიონობით ადამიანს მოუტანს დიდ გასაჭირსა და ტანჯვას. რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებზე, — რომელთა რიცხვი შეიძლება ბევრად გაიზარდოს, — ბირთვული და ქიმიური იარაღის უზარმაზარ, ჯერ კიდევ ხელუხლებელ მარაგზე, ქაოსისგან დაუცველ ატომურ ელექტროსადგურებში მთვლემარე ათობით „ჩერნობილზე“, რომლებიც დაღუპვას უქადიან მთელ მსოფლიო ცივილიზაციას.

ვფიქრობ, რომ ასეთი გეოსტრატეგიული ხედვით უნდა აღიჭურვონ კავშირიდან გამოსვლის მომხრეებიც. ისინი მოვალენი არიან შეაფასონ საფრთხე, რომელიც ხალხების არსებობას ემუქრება, თუ ჩამოყალიბებული კავშირები უხეშად გაი-

ხლიჩება. აუცილებელია სამართლებრივი პროცედურით რეგულირებული ძალაობრი გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში და ასევე აუცილებელია ყველა მხარის ინტერესთა მკაცრი გათვალისწინება.

დიახ, დამოუკიდებლობა არის ყველა ხალხის თავისუფალი არჩევანისა და თვითგამორკვევის კონსტიტუციური უფლება. როცა ხალხის უმრავლესობა ასეთ გადაწყვეტილებას უჭერს მხარს, პატივი უნდა ვცეთ ხალხის ხებას. სხვა საკითხია, როგორ უნდა მოხდეს ამის განხორციელება, რესპუბლიკების ურთიერთობა ხომ ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა. როგორ სახეს მიიღებს ახლა ეს ყველაფერი რეალურ ცხოვრებაში? რა გამოვა? სწორედ ამიტომ ვუჭერ მე მხარს ცენტრსა და რესპუბლიკებს შორის დიდი სერიოზულობითა და მოთმინებით ჩატარებულ დიალოგს.

ამ ცოტა ხნის წინათ კავშირის ცხრა რესპუბლიკამ დიდი ხნის ნანატრი შეთანხმება დადო. დანარჩენებთან, მათთან, ვისაც საკავშირო ხელშეკრულებასთან შეერთება არ სურთ, აუცილებელია მოლაპარაკებების გამართვა განსაკუთრებული სტატუსის საფუძველზე.

ხომ სავსებით მხარს ვუჭერ თვითგამორკვევისა და არჩევანის თავისუფლების პრინციპებს, მაგრამ მიჭირს, გვერდი ავუარო კითხვას: რა ფასად განხორციელდება ეს?

აქ ჩვენს წინაშე ისევ ახალი აზროვნების პრობლემა წამოიჭრება. ჩვენ უწინდებურად ვიმყოფებით ტრადიციულ წარმოდგენათა ტყვეობაში. ერთი მათგანი ის არის, რომ ბედნიერება უბედურების გადატანით მოიპოვება. „ეკლიანი გზით — ვარსკვლავებისკენ!“ — ეს ხომ კრედოა გენიოსისა, რომელიც თავისი ტიტანური „მეს“ ძალით წინ აღუდგა განსაცდელს. მთავარი კი ის არის, რომ არჩევანი, რომელიც მან თვითონ, თავისუფალი ნებით გააკეთა, გამოუსადეგარია ერთან მიმართებაში. ეკლებიც ხომ შეიძლება ისეთი აღმოჩნდეს რომ, ხალხი სისხლისაგან დაიწრიტოს და სამუდამოდ ან დიდი ხნით ჩაუქრეს ვარსკვლავები. დროა იმაზეც შევთანხმდეთ, რომ ხალხი „შესაკრებთა ჯამი“ არ არის, იგი რთული თანაფარდობაა პიროვნებებისა, რომელთა უფლებებისა და კეთილდღეობის მიტანა თუნდაც ყველაზე ამაღლებული იდეის სამსხვერპლოზე დაუშვებელია. მას აქვს უფლება სიცოცხლისა, ხელშეუხებლობისა,

მისი სიმშვიდის შეუვალობისა, კეთილდღეობისა. ერს უფლება აქვს თავისი თავის განმგებელი თავადვე იყოს, სათამამოდ არ იეცეს ბრმა სტიქიის ხელში.

რევოლუციების ისტორიაში მე დიდი ხანია მაფიქრებდა ერთი რამ: ყველა რევოლუცია ხალხის საკეთილდღეოდ ხდებოდა, მაგრამ ყოველი მათგანი ემუქრებოდა პიროვნების სუვერენიტეტს. იდეა იქცეოდა გილიოტინის ნაჯახად, რომელიც თავებს აყრევინებდა იმათ, ვისაც საპირისპირო იდეა ულვივოდა. სხვაგვარად აზროვნების საწინააღმდეგო მასობრივი მორალური და ფიზიკური ტეროორი სპობდა საზოგადოების ელიტურ ბირთვს, რითაც ხალხთა ისტორიულ პერსპექტივას აკნინებდა, მათ აღორძინებას აფერხებდა.

ყველაფერ ამას აღვიქვამდით გონებისმიერი ჭვრეტითი გზით, განყენებულ მაგალითთა მეოხებით. და უცებ უშუალოდ შეგვეხო ჩვენ, დღევანდელ ადამიანებს; ამან კი ჩვენს წინაშე დააყენა მკაცრი კითხვა: განა საერთოდ აქვს ვინმეს იმის უფლება, რომ საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით და საკუთარი წარმოდგენების შესაბამისად პიროვნება, ამით კი მთელი ხალხი სასიკვდილოდ გაწიროს? ჩემი სიცოცხლე — ეს ჩემი სიცოცხლეა, თქვენი სიცოცხლე — თქვენი სიცოცხლეა, და ნება გვიბოძეთ, ყველამ საკუთარი ნებისამებრ მოვიხმაროთ ჩვენ-ჩვენი სიცოცხლე. სხვაგვარი რამ იგივე ტოტალიტარიზმია, ოღონდ უკვე სახეშეცვლილი. მაგრამ ის ხომ მაინც ტოტალიტარიზმად რჩება.

ყველაფერი ეს უკვე იყო, და სადამდეც მიგვიყვანა, ცნობილია. მაგრამ მაშინ სად და რაში ვეძიოთ გამოსავალი? სად და, ადამიანის ინტელექტში, რომელმაც წამოაყენა ზეეროვნულ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზით ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცებისა და განვითარების იდეა. სად ვეძიოთ გამოსავალი? სად და, იმავე დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითში. მათ აქვთ დიდად განვითარებული ეკონომიკა, მდიდარი დემოკრატიული ინსტიტუტები და ტრადიციები, მაგრამ ისიც გაცნობიერებული აქვთ, რომ დროის მოთხოვნათა გამო ერთმანეთთან კავშირი სასიცოცხლოდ აუცილებელია. მით უფრო აუცილებელია კავშირი ათწლეულების მანძილზე დათრგუნული და დაუძლურებული ხალხებისთვის.

ახალი აზროვნების მარცვლები კაცობრიობის ნიადაგში დი-

დი ხნის წინათ ჩაითესა, მაგრამ ღვი მხოლოდ ახლა გამოიტანა. რატომ? იმიტომ, რომ მხოლოდ ჩვენმა დრომ მიიყვანა კაცობრიობა იმის გაცნობიერებამდე, თუ რა საშიშროება ემუქრება მას. მინდა მწამდეს — და კიდევ მწამს! — რომ არანაკლებ სერიოზულ საფრთხეთა გაცნობიერება მოკავშირე რესპუბლიკებს მიიყვანს ერთიანობის, — ოღონდ უკვე თვისობრივად სხვა საფუძვლებზე დამყარებული ერთიანობის — საჭიროებამდე. აქამდე მათ მიიყვანს თავად ძალა და ხასიათი რეალობებისა, რომელთა უგულვებელყოფა შეუძლებელი იქნება. ოღონდ კი ახლა არ დაყოვნდეს ახალი აზრი, ოღონდ კი უფრო ჩქარა დაეუფლოს ადამიანთა გონებას!

პოლიტიკოსებს ევალებათ ყველა სვლისა და ყველა შედეგის გათვალისწინება და ასევე ვალდებულნი არიან, არასოდეს არ დასჯერდნენ მხოლოდ ოპტიმალურად ხელსაყრელ და სასურველ შედეგს. დაახლოებით ასევე ვფიქრობდი გერმანიის გაერთიანების პრობლემაზეც. ამასთან, არსებობს ისტორია, მისი გაკვეთილები და გამოცდილება. როგორც ისტორიკოსმა, კარგად ვიცი, სადამდეც მიჰყავდა ხალხები კატაკლიზმებს. საშველს არ მაძლევს ფიქრი პატარა დაუცველ ადამიანზე და მის მიერ „იდეისათვის“ იძულებით გაღებულ მსხვერპლზე. რამდენი უდანაშაულო მსხვერპლი დაიტანა ქვეშ იმავე ბერლინის კედელმა! იმიტომ ინგრევა კედლები ევროპაში, რომ უზარმაზარ ევრაზიულ სივრცეზე ახალი კედლები აღიმართოს?

არა! გავიმეორებ: ეს იყო. ამიერიდან აღარ უნდა იყოს. ამიერიდან ვეღარ უნდა იყოს!

* * *

გარდაქმნამ, მთელი მისი დრამატული განვითარების მიუხედავად, შექმნა პირობები სუვერენულ სახელმწიფოთა ახალი თანამეგობრობის ფორმირებისთვის. მან აღმოფხვრა ის ძალა, რომელიც ფრიად ნაირგვარ შენაერთებს კრავდა, ახლა, როცა ეს „ცემენტი“ დაფშვნილია, უნდა დადგეს სხვა ძალის — ცხოვრებისეული აუცილებლობის საკითხი. სხვა ენაზე ამ ძალას ჰქვია სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის ბაზისი ანუ ეკონომიკა, რომელსაც ძალუძს მათი შეკვრა, დარაზმვა ცხოვრებისეულ ინტერესთა ერთიანობით. ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება ნორმალური საბაზრო ეკონომიკა.

მაგრამ აქ ჩვენ კვლავ ვაწყდებით გონების პრობლემას.

გონების ძილი ურჩხულებს ბადებს, მაგრამ გამოღვიძების სტადიაზეც შეიძლება გონებამ ურჩხული შვას, როცა ლეთარგია ისეთივე ხანგრძლივია, როგორც ჩვენში.

გაითვალისწინეს თუ არა ეს გარდაქმნის არქიტექტორებმა? ყველაფერი იღონეს თუ არა იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინათ სარეკონსტრუქციო შენობის სახიფათო წაფერდება? და შეეძლოთ კი გათვალისწინება, თუ დარჩებოდნენ თავიანთი დროის გაბატონებულ ორიენტირთა და შეხედულებათა ტყვეობაში?

ამ კითხვებზე მე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს: არა! თუ ყველაფერს თავ-თავის სახელს დავარქმევთ, შეუძლებელია არ ვაღიაროთ: კონფრონტაციაზე გათვლილი და კონფრონტაციითვე დამონტაჟებული სისტემის უსასტიკესი მექანიზმი ვეღარ უძლებდა მის მიერვე გაჩაღებულ „ყველას წინააღმდეგ ყველას ომის“ ტვირთს, გადაძაბვას და თვალსა და ხელს შუა ინგრეოდა.

ეს გარდაქმნამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო.

როცა საკუთარ თავს ვეკითხები, თუ რაში შევცდით ჩვენ, ისევ და ისევ ვასკვნი: მთავარში არ შევმცდარვართ. გარდაქმნა აუცილებელი იყო, მაგრამ საშუალებების, ინსტრუმენტების, ტემპის არჩევანი განსაზღვრა საჭირო წარმოდგენათა დეფიციტმა, მონობას შეგუებულ ადამიანთა გონებრივმა დონემ. თანამედროვე პრაქტიკული ეღერადობა შეიძინა ბიბლიურმა თქმულებამ, რომლის მიხედვითაც, მოსე წინასწარმეტყველმა ებრაელები ორმოც წელს ატარა უდაბნოში, რათა მონობაში შობილთ შენაცვლებოდა და აღთქმულ მიწაზე დამკვიდრებულიყო თავისუფალ ადამიანთა თაობა.

მაშ, რა გამოდის, გარდაქმნა ათწლეულების მანძილზე უნდა გაწელილიყო? არავითარ შემთხვევაში, თუმცა ცხადია, რომ ტოტალიტარიზმის უდაბნოებიდან სწრაფად ვერ გამოვაღწევდით. ჩვენ დავიწყეთ ეს მოძრაობა, მაგრამ მეტისმეტად ხშირად ვუხვევდით ამ კურსიდან, და ყველაზე ხშირად ეს საშინაო სფეროში ხდებოდა.

* * *

გარდაქმნის ტრაგიკულ წარუმატებლობათა ჩემი ვერსია მოკლებულია ჩემგან თავის მართლების რაიმე მოტივებს. მე შუდან გარკვევით ვამბობ: „ჩემი ბრალია.“ მიღწევებზე საუბრისას მათ ჩემს დამსახურებად არ მივიჩნევ: ეს მიღწევები შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ მრავალმა ადამიანმა შეიგნო გარდაქმნის აუცილებლობა: როცა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემას ვაკრიტიკებ, არ ვესწრაფი, ამ სისტემის მსგავსად, მტრის კიდევ ერთი ფანტომის დაფიქსირებას. ჩემი ანალიზი უნდა იყოს ფხიზელი და მიუდგომელი.

სისტემის სამ ვეშაპს, სამ ბურჯს, — ცენტრალიზებულ ეკონომიკას, პოლიტიკურ სისტემას მისი მთავარი რგოლით — პარტიულ-სახელმწიფო აპარატითურთ და უნიტარულ სახელმწიფოს, — ობიექტურად არ შეეძლო საკუთარი თავის რეფორმირება, თავისი „მონაპოვრების“ ნებაყოფლობით დათმობა. ასევე ობიექტურად ისტებლიშმენტის ინტერესების გაუთვალისწინებლობას, მათ იგნორირებას არ შეეძლო რეაქცია არ გამოეწვია: ჯერ იყო გარდაქმნის მიუღებლობა, შემდეგ — მისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

გარდაქმნაზე თავდასხმები, ან ახალი აზროვნების პოლიტიკის მიმართულების შეცვლის ცდები იმით აიხსნება, რომ გარდაქმნის თეორიაც და პრაქტიკაც ამ მონოლითს შიგნიდან ანგრევდნენ. გლობალურ კონფრონტაციას და კლასობრივი ბრძოლის პრიმატზე უარს, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების პრიორიტეტს, შეხედულებათა და პოლიტიკურ თავისუფლებათა პლურალიზმს — ყოველივე ამას სისტემა სამართლიანად მიიჩნევდა ამაფეთქებელ მექანიზმებად. მათი განადგურება სისტემის მთავარი ამოცანა იყო.

მართალია, ძალიან მეწადა, ქვეყანა სხვანაირი მენახა, მაგრამ ჩემს თავს დამანგრევლის როლში მააინც ვერ ვხედავდი. ნგრევას ყოველთვის ახლავს ნანგრევებქვეშ მოყოლის რისკი. ეს ერთი. მეორეც, ყოფითი თვალსაზრისითაც და პოლიტიკური თვალსაზრისითაც უგუნურებაა ამა თუ იმ ჯგუფების ინტერესთა დაუნახაობა, თავის ისე დაჭერა, თითქოს ისინი არც არსებობენ.

ჩემი აზრით, მთავარი შეცდომა ეს არის. ზემოთ მე ვილაპა-

რაკე რეფორმატორთა ერთგვარ გულუბრყვილობაზე. შემიძლია უფრო მკაცრადაც ვთქვა: ჩვენ პოლიტიკური უმეცრების ფსხვერპლნი გავხდით. ახალი რეალობის შექმნას ძველი საშუალებებით — ზემოდან დირექტივების დაშვებით ვცდილობდით.

მაგრამ, დირექტივები ხომ, — დადგენილებები იქნება თუ ბრძანებულებები, — შესასრულებლად ეძლევა იმ ერთობას, რომელიც მბრძანებლურ ცენტრთან დაკავშირებულია ინტერესთა ერთობით ან მორჩილებისა და შიშის ბორკილებით. როცა არც ერთია და არც მეორე, დირექტივა არ მუშაობს.

ან კი პოლიტიკურად განსწავლულნი საიდან უნდა ვყოფილიყავით, თუკი ძალაუფლების მონოპოლიის პირობებში ის საერთოდ არ იყო საჭირო? თუკი მართვის ხელოვნება იოლად იცვლებოდა მბრძანებლური იძულების ჩვევებით?

აბა, მაინც როგორ უნდა გვემოქმედა, ის ტოტი რომ არ მოგვეჭრა, რომელზედაც სისტემამ შემოგვსვა?

თვალწინ მიდგას თავდაცვითი მრეწველობის კონვერსიის მაგალითი, მისმა იმ მეთოდმა, რომლის დანერგვაც დაიწყეს ჩვენთან, ძალიან დიდი ზიანი მიაყენა ასობით ათასი ადამიანის მდგომარეობასა და ინტერესებს. ჩვენი ინდუსტრიის საფუძველმა — სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა, რომელშიც თავმოყრილი იყო არაჩვეულებრივი ინტელექტი, ცოდნა, გამოცდილება, ყველაზე მოწინავე ტექნოლოგია, — ნგრევა იწყო. მე ვიცნობ ბევრ საწარმოსა და მათ ხელმძღვანელებს. ესენი შესანიშნავი საწარმოები და ჩინებული ხელმძღვანელები არიან. მე ვიზიარებ მათ უკმაყოფილებას იმ მდგომარეობით, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ. ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა, რომ შემუშავებულიყო „ობორონკის“ მუშაკთათვის საგრძნობი კონვერსია და სოციალური გარანტიების საერთო-სახელმწიფოებრივი, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. ამის მაგიერ იყო ზემოდან დაშვებული ბრძანება და „მოვალეობის მოსახდელად“ ნაჩქარევი, მოუფიქრებელი მოქმედება.

არმიაზე უკვე ვილაპარაკე. უნდა გვეზრუნა პოლიტიკურ განცხადებათა პრაქტიკული ღონისძიებებით გამაგრებაზე.

აპარატი? მასაც ხომ არაადამიანურად მოექცნენ პროპაგანდისტული მხილების გამოც და ცხოვრების პრაქტიკულად მოწყობის მხრივაც. აპარატი — ეს ხომ ათასობით აზრიანი, უნარიანი ადამიანი და მათი ოჯახებია. ეს ის ადამიანები არიან, რომ-

ლებიც ერთი ხელის მოსმით, ტოტალური შურისძიების კანონებით პარიებად აქციეს. ძველ ავადსახსენებელ დროში რომ იყო, ისე, იმავე ნომენკლატურის ხერხები მოიმარჯვეს და განურჩევლად ყველანი ერთნაირად გაკრიჭეს. ყოველივე ამასთან ერთად, დაავიწყდათ, რომ აპარატს გარდა, არსებობს პარტია, ცხრამეტი მილიონი ადამიანი; რომ პირველ რიგში სწორედ მის უმეტესობას სწადია ცვლილებები, და ამიტომ ისინი უნდა იქცნენ გარდაქმნის დასაყრდენად. მაგრამ ამისთვის ეს ადამიანებიც და აპარატიც უნდა გადასხვაფერებულიყვნენ.

დაგვიანდა ეს ყველაფერი, ხელიდან გავუშვით შესაძლებლობა შეგვექმნა ნამდვილი დემოკრატიული დასაყრდენი, რომელიც დაგვეხმარებოდა შედარებით უმტკივნეულოდ გაგვევლო ძალაუფლების მონოპოლიის შეცვლის ეტაპი. კონსტიტუციის მეექვსე მუხლი შეიცვალა მხოლოდ საზოგადოებრიობის მოთხოვნით.

უნიტარული სახელმწიფო? მართვის დემოკრატიულ ფორმებზე გადასვლა უნდა განხორციელებულიყო ნელ-ნელა, ღრჭიალის გარეშე, ჩამოყალიბებულ სტრუქტურათა ნგრევით კი არა, მათი სახის თანდათანობითი შეცვლით. საერთოდ, ევოლუციის თანდათანობა ჩემი პრიორიტეტია და მე მას ვიცავდი. წამოვჭერი მოქმედებათა ეტაპობრივი სტრატეგიის საკითხი. არ გამივიდა. და ისე მოხდა, რომ სამართლებრივი სახელმწიფოსკენ გადადგმულმა სწორმა ნაბიჯმა ზიანი მიაყენა აღმასრულებელ ხელისუფლებას. ახლა კი მის პარალიზებაზე ვლაპარაკობთ.

არჩევანის თავისუფლება რომ გამოვაცხადეთ, დროზე არ ვიზრუნეთ იმ ფორმებზე, რომლებითაც შეიძლებოდა მისი რეალიზება ქვეყნის შიგნით. უკვე 1988 წელს გაისმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სისტემის გარდაქმნის შესახებ მასობრივი მოთხოვნები, მაგრამ ეს მოთხოვნები უგულვებელყოფილ იქნა და მხოლოდ კავშირის რეალურმა დაშლამ გაიტანა ეს პრობლემა პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა სიბრტყეზე.

სულ თავიდანვე ცხადი იყო, რომ ცენტრალიზებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკა შეუთავსებელია თავისუფალ თვითრეგულირებად ეკონომიკასთან, ჩვენ კი ბაზარზე გადასვლის პროგრამების შემუშავება მხოლოდ სამეურნეო ურთიერთკავშირთა მზარდი რღვევის შემდეგ დავიწყეთ.

აშკარა იყო ფულად-ფინანსური სისტემის გაჯანსაღების, ფასთწარმოების მექანიზმთა გარდაქმნის აუცილებლობა, მაგრამ გვეშინოდა ხალხის უკმაყოფილებისა და გარდაქმნის ფართო მხარდაჭერის დაკარგვისა. და, ამავე დროს, ვიღებდით აბსოლუტურად არაპოპულარულ და, რაც მთავარია, არასწორ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ნაკარნახევი იყო ისევ იმ ადმინისტრაციულ-მშობლიური მენტალიტეტით: „ბრძანებთ, შეწყდეს ალკოჰოლის წარმოება და მოხმარება და ქვეყანა შეწყვეტს...“

ყალიბდებოდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტები, მაგრამ ყალიბდებოდა სრულიად აშკარა გაზრახვით: მათში სახელმწიფო მექანიზმთა „კვანძები“ უნდა ჩაშენებულიყო. არც ერთი დიპლომატი არ გამხდარა პარლამენტის წევრი, რაც მე სწორად მიმაჩნდა, სამაგიეროდ განუზომლად დიდი წარმომადგენლობა მიიღეს არმიამ და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა. პარლამენტის დეპუტატთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა მანდატები მიიღო არჩევნების გვერდის ავლით. ცნობილია, სადამდეც მიგვიყვანა სიმბიოზმა, რომელსაც არცერთი განვითარებული დემოკრატია არ იცნობს.

ასე შევქმენით ჩვენ თვითონ ის სიტუაცია, რომელშიც აღმოვჩნდით. ამ სიტუაციამ გვაიძულა გვემოქმედა ძალზე ფრთხილად, ზოზინით, მიგვეღო სანახევრო გადაწყვეტილებები, გვიხდებოდა ლავირება; ხელიდან გავუშვით მომენტი, როცა ჯერ კიდევ შეიძლებოდა ჭეშმარიტად დემოკრატიულ ძალებზე დაყრდნობა. ამავე დროს, ამ ძალებთან კავშირის დამყარება გვეშინოდა.

მზადა ვარ, გავიმეორო: ყველაფერს, რაზეც ვსაუბრობ, რაშიც ვხედავ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, — ჩემი მისამართით ვამბობ. და გადადგომაც კი,—მოდით, საგნებს თავ-თავისი სახელი დავარქვათ, — უთანხმოების, პროტესტისა და, ამასთანავე, გაფრთხილების აქტი, — მე არ მამართლებს. ბევრი რამ იწვევდა შეშფოთებას, გარდუვალი ნგრევის წინათგრძნობას და მე ამას ვეუბნებოდი გენერალურ მდივანს, შემდეგ კი — პრეზიდენტს. მაგრამ, ამავე დროს, წუთითაც არ ვივიწყებდი, თუ რაოდენ მძიმე დღეში იყო ის, რაოდენ წინააღმდეგობრივ და მრავალმხრივ ზემოქმედებას განიცდიდა. ის გამუდმებით იდგა არჩევანის წინაშე, ყველა მისი არჩევანი როდი მომწონდა.

ამას ვეუბნებოდი კიდეც გულითადი საუბრების დროს. მაგრამ პირდაპირ და აშკარა ოპოზიციაში ჩადგომას აო ვთვლიდი შესაძლებლად, რადგან საამისოდ ბევრ მიზეზს ვხედავდი. ჯერ ერთი, გორბაჩოვი განასახიერებდა გარდაქმნას, და მისი ამა თუ იმ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ გამოსვლა გარდაქმნის წინააღმდეგ გამოსვლა იქნებოდა. მესმოდა, რა მძიმე დღეში იყო ლიდერი და არ მინდოდა, არ შემეძლო მისთვის ჩემი მხარდაჭერა მომეკლო. მეორეც, საგარეოპოლიტიკურ საქმეებზე უკიდურესად დაძაბული მუშაობა საშუალებას არ მაძლევდა, რომ მთელი ჩემი ძალითა და გულისყურით საშინაოპოლიტიკურ საქმეებზე დიდი ხნით გადავრთულიყავი და, რაც მთავარია, ამით ჩემი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის, შესაძლებლობები შემეკვეცა. სამუშაო დროის დიდი ნაწილი ეთმობოდა მოლაპარაკებებს ჩვენში და საზღვარგარეთ, ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ კომპლექსზე პარტნიორებთან პოზიციების შეთანხმებას, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ გარდაქმნას. ჩვენ ვმუშაობდით ისეთი რეჟიმით, რომელსაც კაცი, თუ არა ჯოჯოხეთურს, — სხვას ვერაფერს უწოდებს. მუშაობის ტემპი უკიდურესად ინტენსიური იყო, მისი მოცულობა — უზარმაზარი. რა თქმა უნდა, რაოდენობრივი მაჩვენებლები არ არის მთავარი, მაგრამ ამ წლებში დაახლოებით სამოც ქვეყანაში ვიყავით და ვისწრაფოდით. ჩვენი საგარეო პოლიტიკისთვის ახალი ხასიათი, ახალი თვისებები მიგვენიჭებინა...

ყოველი ასეთი მისია დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, მაგრამ ყველაზე ძნელი აღმოჩნდა ის, რომელიც შინაურ საქმეებთან იყო დაკავშირებული. ეტყობა, ამის თქმაც საჭიროა: გადადგომის შესახებ ჩემმა გადაწყვეტილებამ სწორედ იმ დროიდან დაიწყო მომწიფება.

* * *

1989 წლის 7 აპრილის საღამოს გორბაჩოვი და მე ერთად დავბრუნდით ინგლისიდან. აეროპორტ ვნუკოვო-2-ში შეგვატყობინეს, რომ, საქართველოს ხელმძღვანელთა დაჟინებული თხოვნით, თბილისში გაგზავნილია შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფი, რომელიც აქამდე თბილისიდანვე იყო გადაყვანილი სომხეთში. გვითხრეს, რომ თხოვნა მოტივირებული იყო წესრიგის

დაცვის აუცილებლობით, წესრიგს კი საფრთხე შეექმნა 4 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სახლთან დაწყებული არასანქცირებული მიტინგით. ცნობამ შემაშფოთა: მეხსიერება და გამოცდილება ნებისმიერ სიტყვებზე, ნებისმიერ რწმუნებებზე ძლიერია. 1956 და 1978 წლების მოვლენებმა ჩამომიყალიბეს მტკიცე სინდრომი: პოლიტიკური კონფლიქტის გადასაწყვეტ საშუალებად ძალის კატეგორულად მიუღებლობა, მით უფრო, ადამიანთა მასობრივი თავმოყრის პირობებში. ამიტომ გამახარა გორბაჩოვის სიტყვებმა: „რადაც არ უნდა დაჯდეს, სიტუაცია პოლიტიკური საშუალებებით უნდა განიმუხტოს. ამისთვის, თუ საჭირო შეიქნა, შევარდნაძე და რაზუმოვსკი გაფრინდნენ თბილისში". მან შემომთავაზა, დამერეკა საქართველოს დედაქალაქში და დამედგინა, აუცილებელი იყო თუ არა ჩვენი იქ ჩასვლა...

დავრეკე. პასუხად გავიგონე: „მდგომარეობა კონტროლდება. თქვენი ჩამოსვლა აუცილებელი არ არის", რაც ვაუწყე გორბაჩოვს. შემდეგ, როგორც გავიგე, იმ მომენტში სამხედრო ქვეგანაყოფები, — და არა მხოლოდ შინაგანი ჯარები, — თურმე უკვე გადაჰყავდათ თბილისში. 8 აპრილს, დილას უკვე იქ იყვნენ, დღისით კი რუსთაველის პროსპექტზე ძალის დემონსტრირება მოახდინეს. ეფექტი განზრახულის საწინააღმდეგო იყო: დაშინების ნაცვლად ამან გამოიწვია გულისწყრომა და აღშფოთება, უფრო განამტკიცა სურვილი შემჭიდროებულიყვნენ და ამაში ეპოვათ ხსნა. აბსოლუტურად დამახინჯებული, შერყვნილი წარმოდგენა უნდა გქონდეს ეროვნულ ცნობიერებაზე, რომ მიმართო ისეთ ზომას, როგორიც არის ტანკებითა და ქვეითი ჯარის საომარი მანქანებით „გასეირნება" დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე. ადამიანები გზაზე უწვებოდნენ მათ, იმიტომ, რომ მათ გენებში უკვე აღარ იყო წარსული წლების რეპრესიებით დათესილი შიში. არ იყო შიში. მძვინვარება უფრო ძლიერი აღმოჩნდა, რადგან ადამიანები, რომლებიც გარდაქმნას ენდნენ, დარწმუნდნენ: 1989 წელს მათ წინააღმდეგ იმავე მეთოდებით მოქმედებენ, რომლებიც მათი მამების წინააღმდეგ გამოიყენეს 1956-ში...

შეგვიძლია მათ ძველებურად ვუძახოთ „ექსტრემისტები", მაგრამ მე მოვერიდებოდი გარდასული წლების სიტყვათა არსენალით ოპერირებას, როცა ვხედავთ თვრამეტი წლის გოგო-

ნას, რომელიც უშიშრად წვება ასფალტზე მომავალი ტანკების მუხლუხების წინ, ამ შემთხვევაში ჯერ უნდა გაარკვიოთ, რა ხდება: პიროვნების ანომალიაა ეს თუ თავისუფლებას მოწყურებული სულის სტიქიური პროტესტი პათოლოგიური ძალაუფლების წინააღმდეგ.

10 აპრილს ბერლინში, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომაზე უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ 9 აპრილს, დილით, მაცნობეს, რომ განთიადზე თბილისში მიტინგის ძალის გამოყენებით დაშლის დროს დაიღუპნენ ადამიანები. ცხადი გახდა, რომ იქ უნდა გავფრენილიყავი. იმავე დღის მეორე ნახევარში უკვე ტრაგედიის ადგილას ვიყავი.

თავს უფლებას მივცემ, აქ არ გადმოვცე, რაც იმ პირველ და მომდევნო საათებში განვიცადე ჩემთვის ასე ძვირფას ქალაქში სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, განზრახული მაქვს, მომავალში ძალზე დაწვრილებით აღვწერო ჩემს ცხოვრებაში ეს უმძიმესი მისია და მისი წვრილმანები, ვთქვა, რაც ვიცი და რასაც ვფიქრობ 9 აპრილის მოვლენათა მიზეზებზე. ახლა კი მათზე საუბარს მხოლოდ ამ თავის თემატური წრე განაპირობებს.

რა დასკვნებამდე მიმიყვანა მომხდარი ტრაგედიის გარემოებათა ადგილზე გაცნობამ?

ჯერ ერთი, მომიტინგეთა რიცხვი და შემადგენლობა, რომელთა შორის ბევრი ქალი და მოზარდი იყო, სრულებით გამორიცხავდა მიტინგის დაშლისთვის ძალის გამოყენების რამენაირ აუცილებლობას.

მეორე, „გამოდევნის ძალებმა“ გამოიყენეს საშუალებები, რომლებიც აბსოლუტურად დაუშვებელია ასეთ შემთხვევებში.

მესამე, ამაზე პასუხისმგებელი პირები თბილისში ჩემი ყოფნისას მალავდნენ ქიმიური საშუალებების გამოყენების ფაქტს და სარწმუნო მხილებათა გამო მხოლოდ მერვე დღეს გახდნენ იძულებული ეღიარებინათ ეს, თან განაცხადეს, რომ საბრძოლო წყობაში „ასეთი საშუალებების არსებობა არ იცოდნენ“.

მეოთხე, ოპერაციის წარმმართველმა გენერალმა დაარღვია მიღებული ბრძანება, რომელიც მას ავალებდა ზოგი ობიექტის დაცვას და არა ძალით მიტინგის გარეკვას.

მეხუთე, ადგილობრივ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღოთ სამხედრო ზომების შესახებ, ის თავდაცვის სამინისტროს სანქციის გარეშე ვერ განხორციელდებოდა, ამიტომ, რაც მოხდა, ამაში მხოლოდ ადგილობრივი ხელმძღვანელობის დადანაშაულება უმართებულოა.

დასასრულ, — და ეს, კაცმა რომ თქვას, ყველაზე არსებითი მომენტია, — ტრაგედიის წინ ყველა ეტაპზე და მის შემდეგაც ინფორმაცია ან მახინჯდებოდა, ან ცენზურის მექანიზმებით იხშობოდა. ცენტრისთვის მიწოდებულ ინფორმაციას თხზავდა აპარატის სამსახური, რომელიც საიმისოდ იყო მომართული, რომ ინფორმაცია სისტემაში მიღებული შაბლონების შესატყვისად გაეცა. სიმართლისა და საჯაროობის ლოზუნგი მოხსნა და გვერდზე მოისროლა მანქანამ, რომელიც აბსოლუტურად არ იყო შეგუებული ამ ლოზუნგის რეალიზაციასთან. სხვაგვარად რომ ითქვას, სისტემა ამუშავდა ჩვეული რეჟიმით, გამართა ბრძოლა სასიცოცხლო სივრცისთვის, რომელსაც გარდაქმნა ართმევდა. მან დარტყმა მიაყენა გარდაქმნას, მაგრამ, როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვაჩვენეს, ეს პიროსის გამარჯვება იყო.

ჩემი დასკვნები მოვახსენე პოლიტბიუროს და ტრაგედიის მიზეზთა და გარემოებათა გულდასმითი და მიუდგომელი გამოძიება მოვითხოვე. ჯერ კიდევ თბილისში ჩემი წინადადებით შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელშიც, — ისევ ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, — შევიდნენ ყველაზე უფრო ავტორიტეტული, კვალიფიციური იურისტები და საზოგადო მოღვაწეები. შემდეგ მოსკოვში შეიქმნა ანალოგიური საპარლამენტო კომისია ანატოლ სობჩაკის ხელმძღვანელობით. მას ევალებოდა 9 აპრილის მოვლენების პოლიტიკური შეფასება. პარალელურად ძიებას ახორციელებდა მთავარი სამხედრო პროკურატურა.

სობჩაკის კომისიის მოხსენება ჩაერთო სსრკ სახალხო დეპუტატების ყრილობის დღის წესრიგში. კომისიის ამოცანა იყო არა მხოლოდ ტრაგედიის მიზეზების დადგენა, არამედ დასკვნების ჩამოყალიბებაც, რათა ზღვარი დასდებოდა ძალის მეთოდებს, — კერძოდ, ხალხის წინააღმდეგ არმიის გამოყენე-

ბას, — და ამგვარი კრიტიკული სიტუაციები გადაჭრილიყო საძართლებრივ საფუძვლებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომისიას უნდა ჩამოეყალიბებინა დასკვნები, თუ როგორ გვემოქმედა ამიერიდან შეცვლილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებში, რომლებიც მოითხოვდნენ წესრიგის დამყარების უწინდელი მეთოდების უარყოფას და ახალი, დემოკრატიული საზოგადოებისთვის მისაღები ზომების შემუშავებას. ასეთი უნდა ყოფილიყო, — ყოველ შემთხვევაში, მე ასე მესახებოდა, — საპარლამენტო განხილვის მიზანი. სისხლის სამართლის კვალიფიკაციას რაც შეეხება, ის უნდა მოეცა ძიებას, რომელიც იმ მომენტში დამთავრებული არ იყო.

კომისიის ძირითად დასკვნებს ყველა მხარე გაეცნო, ყველამ მიიღო ისინი. რამდენადაც ვიცი, ამ დასკვნებს ქართული დეპუტაციაც დაეთანხმა. იყო შეთანხმება, რომ კომისიის მოხსენება და შეფასება მიღებული იქნებოდა უდებატებოდ და ისინი საფუძვლად დაედებოდა ყრილობის დადგენილებას. მაგრამ მეორე დღეს, 1989 წლის 24 დეკემბერს, საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა მთავარ სამხედრო პროკურორს. მისი თანამოხსენება მთელი დებულებებითა და შეფასებებით დაუპირისპირდა საპარლამენტო მოხსენებას. ტრაგედიის მსხვერპლნი ბრალდებულთა როლში აღმოჩნდნენ, მიტინგის საწინააღმდეგო საიერიშო მოქმედებებს მართლზომიერი მოქმედებები ეწოდა. მაგრამ ჩემი აღშფოთება მხოლოდ „მტკიცებათა წყებას“ კი არ გამოუწვევია, — აღმაშფოთა იქაურმა ატმოსფერომაც. ისე მხურვალედ უკრავდნენ ტაშს, ისეთი შურისძიებითა და აშკარა სიხარულით, როგორც მაშინ, ამ ცოტა ხნის წინ, ამავე დარბაზში ოვაციებით რომ შეეგებნენ აკადემიკოს სახაროვის სამარცხვინო ბოძზე გაკვრას. ტაშს მხოლოდ დეპუტატები კი არა, სამთავრობო ლოჟაში ჩემს მეზობლად მსხდომნიც უკრავდნენ. შემაშფოთა იმან, რასაც ეს ტაშისცემა გვიმხელდა. ჩემი კოლეგები ჭეშმარიტებას კი არ მიაგებდნენ პატივს, არამედ ტაშს უკრავდნენ ძალას და სიცრუეს, უსამართლობასა და კლანურ ინტერესთა ზეიმს. „ჩვენ გავიმარჯვეთ!“ — მოისმოდა სამხედრო პროკურორისთვის გამართულ ოვაციებში.

შესვენების დროს სიტყვა მოვითხოვე, მინდოდა გამომეხატა მომხდარისადმი ჩემი დამოკიდებულება და მეჩვენებინა,

რომ ეს ფაქტი დამღუპველია ჩვენი დემოკრატიისთვის; მინდოდა ქარაგმების გარეშე მელაპარაკა იმათი მისამართით, ვინც გარდაქმნას მუშტებს უღერებდა; გამეფრთხილებინა ყრილობა, თუ რა შედეგები შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა; გამეცნო ვითარება, რომელშიც მიხდებოდა თბილისში სიტუაციის ნორმალიზება: მხოლოდ იმის დაპირებით, რომ ტრაგედიის მიზეზები ობიექტურად იქნებოდა გამოძიებული, ხოლო დამნაშავეები, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, დაისჯებოდნენ, — გახდა შესაძლებელი, რომ მოსწავლეები მიბრუნებოდნენ სკოლებს, სტუდენტები — აუდიტორიებს, მუშები — საამქროებს, ქალები — ოჯახის კერას. ეს დაპირება არ შესრულდა და იმ ადამიანების თვალში, ვისაც მე ამას შევპირდი, ორპირი და სიტყვის გამტეხი გამოვედი. ეს კი უკვე შელახული თავმოყვარეობის კი არა, ხელისუფლების ავტორიტეტის, მისი ნდობის პრობლემა იყო.

გორბაჩოვმა გამოსვლაზე უარი მითხრა. შესაძლოა, მას აბრიალებული ხანძრის ჩაქრობა უნდოდა. ჩემი აზრით კი, ხანძარი ადრე დაიწყო, მაგრამ ყველას დასანახავად მხოლოდ ახლა გამოიჭრა გარეთ. შეუძლებელი იყო მიკიბულ-მოკიბული და შემოვლითი გზით მისი ჩაქრობა. პირდაპირ უნდა დადგენილიყო მოსალოდნელი საფრთხის მასშტაბები და ქვეყანა უნდა გაგვეფრთხილებინა. ამის შესაძლებლობა არ მომეცა. ყრილობის სხდომათა დარბაზი დავტოვე და იმავე დღეს ჩავაწერინე განცხადება გადადგომის შესახებ. განცხადებაში არაფერი იყო ნათქვამი დიქტატურაზე, მაგრამ იყო საუბარი მოახლოებულ რეაქციასა და მის წინააღმდეგ პროტესტზე. ნე მიმაჩნდა, რომ მართებდათ, ამ სიტყვებს სერიოზულად მოჰკიდებოდნენ. და მე მაშინ მომეჩვენა, რომ ჩემმა მეგობარმა ისინი შეისმინა. მხოლოდ ამიტომ ყურად ვიღე მისი თხოვნა და დავრჩი. მაგრამ მოვლენების შემდგომმა განვითარებამ, დიდი და პატარა „ჩერნობილების“ მთელმა წყებამ დამანახა, რომ ეს შემთხვევითი ექსცესები კი არ იყო, არამედ მყარი ტენდენცია, რომელიც დღითი დღე ღრმავდებოდა. სულ უფრო იზრდებოდა მარჯვნიდან დაწოლა და სუსტდებოდა მხარდაჭერა მარცხნიდან. ან ყინულის ნაპრალში უნდა ჩავიყინო და მასთან ერთად ვიტივტივო, ან ყინულის ხორგებს შორის ვეძიო გზა გასასრესად განწირულმა; ან კიდევ, გავაღწიო

წმინდა წყლებში და დასახული კურსით გავემართო, — სწორედ ეს იყო ჩემთვის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება.

პირველი და მეორე ვარიანტი ხელს არ მაძლევდა. მესამეს ყოველნაირად ვესწრაფოდი და, როცა ყველა შანსი ამოვწურე, მოვიქეცი ისე, როგორც საჭიროდ მივიჩნიე. ეს ნაბიჯი რომ არ გადამედგა, იძულებული ვიქნებოდი მონაწილეობა მიმეღო იმაში, რასაც არანაირად არ ეთანხმებოდა ჩემი მრწამსი და კიდევ, მინდოდა, ყველა გამეფრთხილებინა, იძულებული გამეხადა, დაფიქრებულიყვნენ: საით მივდივართ და რას ვშვრებით? გარდაქმნის ერთგულნი ვრჩებით, თუ გვინდა წარსულს დავუბრუნდეთ?

ფაქტებს ვერავითარი ტევადი მეტაფორა ვერ შეცვლის. მაგრამ საჭიროდ არ მიმაჩნია საშინაო პოლიტიკის იმ ფაქტების მოტანა და გაანალიზება, რომლებმაც განსაზღვრეს ჩემი გადაწყვეტილება. ეს ფაქტები ძალიან აშკარად ჩანან და მათი კიდევ ხსენება ზედმეტია. დიქტატურას ბადებს უხელისუფლობა, ანარქია, ქაოსი, ქაოსურ ძალთა სწრაფვა, რომ შიგნიდან შეარყიონ კანონიერი ხელისუფლება, თავიანთ ნებაზე ათამაშონ ან საერთოდ დაამხონ ის. ეკონომიკის კრიზისის გაძლიერებისა და ცხოვრების დონის გაუარესების პირობებში იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ტოტალიტარიზმის რესტავრაციას ფართო წინააღმდეგობა გაეწევა.

რაც შეეხება ფაქტებს ჩვენი საგარეო პოლიტიკის სფეროდან, ამ პოლიტიკისადმი საშინაო წინააღმდეგობას და მისი შეცვლის საკმაოდ შედეგიან ცდებს, — მათი გადმოცემა და გაანალიზება ჯერჯერობით შესაძლებლად არ მიმაჩნია. ვიდრე გრძელდება მოლაპარაკებები და არსებობს იმ შეთანხმებათა გადარჩენის შანსი, რომლებიც თვითნებურ საშინაო კორექციას განიცდის, — ამაზე ლაპარაკის უფლებას ვერ მივცემ თავს. ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. ახლა კი მეტაფორათა ენაზე მიხდება საუბარი. რაკი არ მსურს ყინულებში ჩავიხერგო, ან მის წინაშე უკან დავიხიო, ვარჩიე, მას გზაზე გადავლობებოდი. რა ვუყო, რომ ყინულის ხორგი ვერ შევაჩერე და მხოლოდ ცოტათი შევაფერხე, ერთი ადამიანის კვალობაზე ეს ცოტა არ არის. ყველაზე მთავარი კი ჩემთვის ეს არის: აშკარად გამოვხატე, რომ არ მსურდა იმ ყინულებში

მორენად* ვქცეულიყავი. ბევრ კარგ ადამიანს ავაცილე ასეთი ხვედრი, მოვუწოდე მათ, შეკრულიყვნენ და ზღუდედ ქცეულიყვნენ.

სამწუხაროდ, ინტუიციამ არ მიმტყუნა. გაიხსენეთ 1991 წლის იანვარი ბალტიისპირეთში, 28 მარტის მოვლენები მოსკოვში, ჯარებისა და დემონსტრანტების დაპირისპირება. სხვადასხვა ფორუმებზე საგანგებო მდგომარეობის შემოღების მოთხოვნები...

საბედნიეროდ, დემოკრატიული მოძრაობა გამოფხიზლდა გაოგნებისაგან. ის გადავიდა აქტიურ მოქმედებაზე. ეს მოძრაობა მიმართულია კონსოლიდაციისკენ, ისეთი სტრუქტურების ჩამოყალიბებისკენ, რომლებსაც ძალუძთ წინ აღუდგნენ რეაქციის დარაზმულ ძალებს.

* * *

გადადგომის შესახებ ჩემი განცხადების თეზისები 1990 წლის 20 დეკემბერს, გათენებისას დავწერე. ამას უძილო ღამე უძღოდა. დილას ადრე ქალიშვილს დავურეკე თბილისში და ჩემი გადაწყვეტილება ვაუწყე. ჩემმა მეუღლემ ეს კიდევ უფრო ადრე შეიტყო. ახლობლებმა მხარი დამიჭირეს. შემდეგ, კრემლში შესვლის წინ, ეს ჩემს ორ უახლოეს თანამშრომელსაც ვუთხარი და მათ სიტყვებშიც მხარდაჭერა გაისმა.

ამბობენ, რომ ჩემი გამოსვლა „დაუვარცხნელი", არეული, უკიდურესად ემოციური იყო. შესაძლოა, ასეც იყოს. თუმცა, გულახდილად გეტყვით, მე ვთქვი ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა, და ისე ვთქვი, რომ სხვანაირად თქმას, ალბათ, ვერც შევძლებდი. ბევრს მოეჩვენა, რომ ყველაფერი ბოლომდე არ ვთქვი და სტრიქონებს შორის იმ უთქმელის ძიებას შეუდგნენ. ერთმა კარგმა პუბლიცისტმა კი ჩემს მაგიერ „ბოლომდე დაწერა" კიდეც ჩემი „დაუვარცხნელი" ტექსტი: „პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა. და ჩემი პროფესიული მოღვაწეობით მე საკმარისად დავამტკიცე, რომ კომპრომისის მეთოდს ვემხრობი. მაგრამ არ შეიძლება კომპრომისი თვით პოლიტიკის, მისი არსის, მისი წმინდა მიზნის ხარჯზე.

ჩვენ არ უნდა დავკარგოთ ტემპი, — ეს, უბრალოდ, საშიშია. პირადი ახირება კი არა, შექმნილ ვითარებაში საზოგადოების სატკივარი მოითხოვს საგარეო პოლიტიკაში ჩვენი გე-

---

* მორენა (ფრანგ.) — ქანების ნამტვრევების გროვა, რომელიც იქმნება მყინვარების გადაადგილების შედეგად.

ზისთვის აშკარა, აბსოლუტურად უკომპრომისო მხარდაჭერას. ეს კი არ ხდება.

ასე ვხედავ სიტუაციას. და რამდენადაც მე მას ასე ვხედავ, გადადგომის გარდა არაფერი დამრჩენია“ (Пумпянский А. Несказанное,— Новое время, № 2, 1991, გვ. 23).

ყველაფერი სწორია. ეს სწორედ ის არის, რაც მე ვთქვი, ოღონდ ვთქვი სხვა სიტყვებით. და არც ისე „ბნელი“ აღმოჩნდა ჩემი ტექსტი, რაკი ჟურნალისტმა მასში ეს ამოიკითხა.

„პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება ჩემთვის უფრო ძვირფასია“. ჭეშმარიტება კი ის არის, რომ მე მეგობარი არ მიმიტოვებია, უფრო ზუსტად — მე კი არ მიმიტოვებია მეგობარი... მეტსაც ვიტყვი: ჩემი გადადგომით მინდოდა, მას საქმის გადარჩენაში დავხმარებოდი. სხვა საქმეა, ვინ როგორ მოიხმარს წილადხვდომილ შესაძლებლობას, ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ადამიანს თავის თავზე უფრო საშიში მტერი არა ჰყავს. და ვიდრე შენს სიახლოვეს მეგობრებს მოძებნიდე, მეგობარი ჯერ შენს საკუთარ თავში უნდა მოიპოვო. ამას კი ვინ როგორ ახერხებს...

1991 წლის 16 იანვარს, როცა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში მივედი, რათა პირადად მიმეყვანა თანამდებობაზე ახალი მინისტრი, მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა ჩემზე ბევრი კეთილი სიტყვა თქვა, კერძოდ: „ის მუდამ ჩვენს გვერდით იყო, ყველაზე ახლობელი ამხანაგი იყო ყველა ურთულეს სიტუაციაში და, რაც ყველაზე მთავარია, — არჩევანში“.

ეს ნამდვილად ყველაფერზე მთავარია, — არჩევანი, არჩევანი გზისა, ქცევის გეზისა, მოკავშირისა, მეგობრისა. ეს სულაც არ არის მხოლოდ პირადი არჩევანი. მას გვთავაზობენ დრო, იდეა, პრინციპები, საქმე. და ისინივე ზღვარს უდებენ არჩევანს. არჩევანი ხომ ცალმხრივი აქტი არ არის. თქვენ ირჩევთ, მაგრამ თქვენც ხომ გირჩევენ და, თუ ორივე არჩევანი ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ ყველაფერი რიგზეა. მაგრამ თუ ეს თანხვდომა არ არის, მაშინ სხვა არჩევანის გაკეთება გიწევთ.

მე არჩევანი გავაკეთე და ამას არ ვნანობ.

გორბაჩოვმა გამოთხოვებისას ბევრ სხვა რამესთან ერთად, ასეთი ფრაზაც თქვა: „მე უცნაურად მეჩვენა, რატომ არ მკითხა მან რჩევა. მე მას ვუთხარი: ამას არასოდეს გაპატიებმეთქი“, რაზედაც მე მას ხუმრობით მივუგე: რომ ვღებულობ ყველაფერს, რაც ჩემი მისამართით ითქვა, გარდა სიტყვებისა „არასოდეს გაპატიებ“.

შემდეგ გორბაჩოვმა პირად საუბარში მითხრა, როგორც ადამიანს, შენი მესმისო.

რა გაეწყობა, როგორც ადამიანს, მეც კარგად მესმის მისი.

ამ ბოლო დროს არ მასვენებს ვაცლავ ჰაველთან ამოკითხული ერთი აზრი: „სისტემა ადამიანს ემსახურება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საჭიროა, რომ ადამიანი ემსახუროს სისტემას. ყველაფერს, რაც ამას „აღემატება“, ანუ როცა ადამიანი გასცდება თავის წინასწარ მოზომილ ადგილს, — სისტემა პიროვნებას განიხილავს, როგორც მის წინააღმდეგ შეტევას და ის მართალია: ყველა ამგვარი გამოხდომა ნამდვილად უარყოფს სისტემას, როგორც პრინციპს. მისი ლიდერები, მიუხედავად იმ ცენტრალისტური სისტემისგან ბოძებული უდიდესი ძალაუფლებისა, ხშირად ბრმა ფუნქციონერები არიან და მეტი არაფერი. გამოცდილება გვასწავლის: სისტემის „თვითმოძრაობა“ ცალკეული პიროვნების ნებაზე ძლიერად ვლინდება. ინდივიდუალური ნების მქონე პიროვნება თუ გამოჩნდა, ის იძულებულია, რომ დიდხანს იმალებოდეს რიტუალურ-ანონიმური ნიღბით, რათა მოიპოვოს ხელისუფლების იერარქიაში ყოფნის უფლება. და თუ ის ამ იერარქიაში მაინც მიაღწევს თავისას და შეეცდება თავის განზრახვათა ხორცშესხმას, მაშინ, ადრე თუ გვიან, „თვითმოძრაობა“ თავისი უზარმაზარი ინერციული ძალით გაიმარჯვებს მასზე, და ის ან განიდევნება ხელისუფლების სტრუქტურიდან, ან იძულებული იქნება თანდათან უარი თქვას თავის ინდივიდუალობაზე, შეერწყას „თვითმოძრაობას“ და გახდეს მისი მსახური, თითქმის განურჩეველი მათგან, ვინც მასზე ადრე იყო, ან ვინც მის შემდგომ მოვა“ (Гавел В. Сила бессильных.— Новое время, № 16. 1991. გვ. 42-43).*

ამ აზრს საკუთარ თავს ვუკავშირებ. ჩემს თავს. ის რთულ ფიქრებს აღმიძრავს. ერთდროულად სიმწრისა და სიხარულის ფიქრებს. ყველაფერი ასე იყო, მაგრამ მე განვახორციელე ჩემი ზრახვები, არ ვთქვი უარი ჩემს პიროვნებაზე და სისტემას ჩემზე არ გავამარჯვებინე.

გთხოვთ, მერწმუნოთ: ეს სიამაყე კი არა, კონსტატაცია არის ფაქტისა, ჩემი მომავალი სიცოცხლისთვის იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტისა, რომ არ შემეძლო ამაზე დუმილი.

---

* ვ. ჰაველი, უძლურთა ძალა — ნოვოე ვრემია, № 16. 1991. გვ. 42-43.

* * *

„მონანიება“ მთავრდება ბრწყინვალე მეტაფორით. დედაბერი ეკითხება ფილმის გმირ ქალს, ეს გზა ტაძრისკენ თუ მიდისო. არაო, — უპასუხებს ქალი, — ამ ქუჩას ტირანის სახელი ჰქვია და ამიტომ ტაძრისკენ არ მიდისო. უცნაური ამბავია, — ამბობს დედაბერი, — რა საჭიროა ქუჩა, თუ ის ტაძრისკენ არ მიდისო?

ერთ-ერთ ინტერვიუში თენგიზ აბულაძემ მისი თანაავტორი მიწოდა. რასაკვირველია, ეს კეთილშობილური და სულგრძელი გადაჭარბებაა, მაგრამ ახლა ლამის დავთანხმდე ამაზე, რათა ეს ჩემთვის ძალზე ახლობელი და ძვირფასი ხატი ისე გამოვიყენო, რომ პლაგიატობის დაბრალებისა არ შემეშინდეს.

შეიძლება კი მაღალი მიზნის მიღწევა უზნეო, უღირსი საშუალებებით? შეიძლება კი ჭეშმარიტების ძიებისთვის ვიცრუოთ? სამართლიანობის მიღწევას ბიწიერი ხერხებით ვესწრაფოთ? სამყაროსავით ძველი კითხვებია. ამაზე ქვეყნის გაჩენის დღიდან კამათობენ. და თითქოს, ამ კითხვებს სჯაბნის ასევე შეუცვლელი პასუხი: „თუ საჭიროა, მაშინ კიდეც შეიძლება“. მაგრამ, მაშინ რატომ არ იღუპება მარტოხელა გმირი, რომელიც ტაძრისკენ მიმავალი წმიდა გზის იდეის ერთგულია დასაბამიდან დღემდე? ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე გვარწმუნებს, რომ ასეთი გზით სიარული შეუძლებელია, ის კი მაინც ხომ განაგრძობს ამ გზით სვლას?

მე არც წმინდანი ვარ და არც გმირი, მარტო არა ვარ. უკვე აღარა ვარ მარტო. ისეთი დრო დადგა, როცა ჩვენს ქვეყანაში სულ მეტი და მეტი ადამიანი რწმუნდება, რომ ტაძართან მიგვიყვანს მხოლოდ ღირსეული გზა. რწმუნდებიან და შესაბამისად ცხოვრობენ და იღვწიან. აზროვნების განსაკუთრებული წესი, რომელიც თავდავიწყებასა და მსხვერპლს მოითხოვს, ასე იქცევა ადამიანთა ყოფის საყოველთაოდ მიღებულ ნორმად. ადრე თუ გვიან პოლიტიკას მოუწევს ამისთვის ანგარიშის გაწევა.

ყველაზე ძვირფასი სასვენი ნიშანი წერტილიაო, — ამბობენ ჟურნალისტები. მეც დავსვამდი წერტილს, მაგრამ ვგრძნობ, რომ ნაადრევია. დაწყებული უნდა გაგრძელდეს.

უნდა გაგრძელდეს ამისთვის სიცოცხლე, ამაზე საუბარი, ამაზე წერა, ამისთვის მოქმედება.

ამ წიგნში მომავლის განაცხადია. მის ფურცლებს გარეთ დარჩა მრავალი დღე და მრავალი წელი, დარჩნენ წარსულის ადამიანები და მოვლენები, რომლებზეც უნდა დაიწეროს. მაგრამ რამდენადაც წიგნები მომავლისთვის იწერება, მხოლოდ მას, მომავალს, ძალუძს ნათქვამ-ნამოქმედარის ჭეშმარიტი ღირებულების დადგენა. ვიმედოვნებ, იმ დროს მოვესწრები და შევძლებ მისი ნებისმიერი განაჩენის გაზიარებას.

91-ის აგვისტო. „ჩრდილები“ სამზეოზე გამოდიან

ასეთი ბოლოსიტყვაობა არ მინდოდა. ოთხი თვის წინათ, ამ წიგნს რომ ვამთავრებდი, დავწერე, მხოლოდ მომავალს ძალუძს-მეთქი ნათქვამ-ნამოქმედარის ჭეშმარიტი ფასის დადგენა.

აგერ მომავალი აწმყოდ გვექცა და ფასიც დადგენილია.

ჩემთვის უცხოა პატივმოყვარეობა პოლიტიკოსებისა, თავი რომ მოაქვთ ხოლმე მოვლენათა განვითარების სწორი განჭვრეტით. კმაყოფილებით ვერ წამოვიძახებ: „აკი ვამბობდი-მეთქი!“ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ მეგობრებსა და ახლობლებს არაერთხელ სმენიათ ჩემგან: „ბედნიერი ვიქნები, ჩემი პროგნოზი რომ არ გამართლდებოდეს-მეთქი“. გამართლდა და ბედნიერად არ ვთვლი თავს.

სხვებთან ერთად მეც გაოგნებული ვფიქრობ ახლა იმაზე, რაც ამ დღეებში გადავიტანეთ.

1991 წლის 19-21 აგვისტოს მოვლენები მკაფიოდ ირეკლება ხსოვნის ეკრანზე და ბევრ რამეს ახლებურად აშუქებს. ეს შუქი თვალისმომჭრელია, მაგრამ დამაბრმავებელი — არა; პირიქით, მზერას ამახვილებს გაბნეული ფაქტები, დაკვირვებები, აზრები, მიხვედრები, უეცარი გამონათებანი, აღძრული და გაქარწყლებული ეჭვები, — ეს გულისმომკვლელი და გონების შემაჭირვებელი ნამსხვრევები სიცოცხლისა, რომელთაც მაიძულეს ასე მოვქცეულიყავი და არა სხვაგვარად,— ახლა ეს ყველაფერი ერთ მთლიან მოზაიკად დალაგდა.

ყოველივე, რაც მიფიქრია დიქტატურაზე, გარდაქმნას რომ ჩასაფრებოდა, მის მონაპოვარს რომ ემუქრებოდა და ნელ-ნელა მოცოცავდა,—მოთხრობილია ამ წიგნში. ცოტაღა დამრჩა დასამატებელი, მაგრამ რაც დამრჩა სათქმელი, ძალიან მნიშვნელოვანია.

ბოლო ორი წელია, 1989 წლის აპრილიდან მოკიდებული, საშველს არ მაძლევდა დამთრგუნველი გრძნობა. შემძრა ყველაფერმა, რაც ხდებოდა ქვეყანაში, ჩემს ირგვლივ, თვით ჩემში. სულ უფრო ნათლად ვხედავდი, რომ რეალურად მოსალოდნელი იყო აფეთქება, რომელსაც სახელს ვერ ვუძებნიდი, თუმცა გონებაში ყველაზე ხშირად სიტყვა „დიქტატურა“ წამოტივტივდებოდა ხოლმე. ამ დაძაბულობამ მწვერ-

ვალს ჩიაღწია 19 აგვისტოს, გამთენიისას, როცა დიქტორის ხმამ გამაღვიძა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღება მამცნო.

აღსრულდა ყველაფერი, რაც მაშინებდა, რაზედაც ხალხს ვაფრთხილებდი. უცნაური ის იყო, რომ ერთგვარი შვება ვიგრძენი, მომეხსნა ტვირთი, თვეების მანძილზე რომ გულზე მაწვა.

ყოველივე, რაც სულს მიხუთავდა, მოსვენებას არ მაძლევდა და ჩემს ფიქრებს კითხვათა უსასრულო ლაბირინთში მიაქანებდა (ვინ? როგორ? რატომ?), უეცრად ისე გაიფანტა და გაქრა, როგორც იფანტება ხოლმე ნისლი ძლიერი ქარის დაბერვაზე. საოცარი სიცხადე ჩამოდგა. ყველაფერი აშკარაა: სახელები, ზრახვები, ქმედებანი. დაფარული გაცხადდა. ბუნდოვანი ლანდები გამკვეთრდნენ, კონკრეტულ სახეებად იქცნენ.

დისპოზიცია, ძალთა განლაგება გამოიკვეთა.

ვგრძნობდი, ლამის ფიზიკურად შევიგრძნობდი, როგორ ამუშავდა ტვინის ყოველი უჯრედი, როგორ გამოთავისუფლდა ჩემი არხების ყოველი ნაწილი და დაიმუხტა ახალი ენერგით, რომელსაც ადრინდელ კავშირებთან არაფერი ჰქონდა საერთო.

ისიც გასაოცარი იყო, რომ შეშფოთებამ უკან დაიხია და წინ წამოიწია ცხადმა აზრმა: ეს განწირულთა შეთქმულებაა. მისი სულისჩამდგმელნი, ორგანიზატორები და მონაწილენი წარმატებას ვერ მიაღწევენ. დიქტორები კითხულობდნენ მათ მოქმედებებსა და ბრძანებულებებს. მე კი ვფიქრობდი, რომ ეს სიტყვები მიმართულია ხალხისადმი, რომელიც უკვე სხვაა, შეცვლილია. შეთქმულნი ძველ დროში, ბნელ მღვიმეში, დარჩნენ; ხალხმა კი კარგახანია თავი დააღწია ამ მღვიმეს და ეს ამაზრზენი მოწოდებები ვერ გაიკაფავენ გზას ხალხის გულისა და გონებისაკენ.

...მეუღლემ ლიფტამდე მიმაცილა, დავემშვიდობეთ ერთმანეთს. „ვიცი, შენ ყველაფრისთვის მზადა ხარ. მეც მზად ვარ. მაგრამ... წადი, ღმერთი იყოს შენი მფარველი!“

ასეც იყო, მე ყველაფრისთვის მზად ვიყავი. დიდი ხანია მზად ვიყავი. ჯერ კიდევ იმ დროიდან, საქართველოში რომ ვცხოვრობდი და ვმუშაობდი, და მით უფრო გადადგომის

შემდეგ. გადადგომის მეორე დღესვე, 1990 წლის 21 დეკემბერს, ჩემს ბინაში, პლოტნიკოვის შესახვევში, ტელეფონის ზარი გაისმა. მეუღლემ ყურმილი აიღო და გაიგონა: „გირეკავთ მეგობარი, კეთილმოსურნე თქვენი ქმრისა. გუშინდელი დემარშის შემდეგ ყველაფერია მოსალოდნელი. გააფრთხილეთ, რომ მეტი აღარაფერი თქვას". და ყურმილი დაუკიდეს.

ეს ამბავი იმ დღესვე ჩემს თანაშემწეს, თეიმურაზ სტეპანოვს, ვუამბე. შემდეგ კიდევ რამდენიმე კაცმა, რომელთაც საკუთარი ვენდობოდი, მომაწოდა სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ანალოგიური ცნობები. სისტემის ზნე-წესის ჩემეული ცოდნა, ბოლო წლების მოვლენები და დაკვირვებები, გაზეთებში — „გლასნოსტ" და „სოვეტსკაია როსია" — და იმპერიულ-შოვინისტური ხასიათის სხვა გამოცემებში გაჩაღებული ჩემი დევნის კამპანია, რომელიც სულ უფრო და უფრო მატულობდა, ამასთანავე, ჩვენს არყოფნაში ჩემს ბინაში შეღწევის აშკარა კვალიც — ყოველივე ამის ფონზე და ასეთ კონტექსტში ეს ინფორმაცია აღარ გაისმოდა ლიტონ სიტყვებად.

ჩემი დაშინების ამ ცდებმა, სულ ცოტა, ოცი წლით მაინც დაიგვიანა. ყველაფერი, რაც კი მე მმართებდა და შემეძლო, გამეკეთებინა, — გავაკეთე. ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა, — ვთქვი. რჩებოდა კიდევ რაღაც დეტალები, რომლებიც არაარსებითად მიმაჩნდა გადადგომის მომენტში, მაგრამ უკვე 1991 წლის გაზაფხულისთვის ყველაფერმა, თვით ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანმაც კი, სხვა განზომილება და წონა შეიძინა. ახლა უკვე ერთადერთი, რაც მაფიქრებდა, ცხადია, გარდა ჩემი ოჯახის ხვედრისა, — ის იყო რომ, ვინიცობაა, ყველაზე უარესი მომსვლოდა, ბოლომდე ვერავინ შეიტყობდა ამის მიზეზს.

ჩემმა მეუღლემ ეს იცოდა, მაგრამ საჭირო იყო დამატებითი ზომების მიღება იმ შემთხვევისათვის, თუ მასაც ჩემი ხვედრი ერგებოდა. 1991 წლის ივნისში, როცა კერძო ავიაკომპანიის „პოლსტერერ ჯეტსის" თვითმფრინავით ვბრუნდებოდი ვენიდან მოსკოვში, უკვე ვიცოდი, რომ ჩემი ერთ-ერთი ბოლო გამონათქვამის გამო გაიცა ბრძანება გამოძიების ჩატარების თაობაზე. ამიტომ ზეპირი ანდერძი დავუტოვე ჩემს მეგობრებს და თანაშემწეებს: სერგეი ტარასენკოსა და

იმავე თემო სტეპანოვს. თან გავაფრთხილე, რომ მისი გამოქვეყნება შეეძლოთ მხოლოდ გარკვეულ ვითარებაში.

ახლა კი, როდესაც პუტჩის მარცხის შემდეგ იმ ვითარებათა წარმოშობის შესაძლებლობამ საგრძნობლად იკლო, მე მათ აღარ ვუშლი ამ ანდერძის გამხელას.

ეს ბოლო თავი სახალხო რევოლუციის ცხელ, სისხლიან კვალზე წარმოებული რეპორტაჟია. მისი ტონალობა განსხვავებულია მთელი წიგნისაგან. და მე ვთხოვ მკითხველს, გულისხმიერება გამოიჩინოს. წიგნი სხვა დროს იწერებოდა და მომხდარის გააზრების სხვა დონეა მასში, ამჟამად კი ვწერ ბოლო დღეებში განცდილის უძლიერესი შთაბეჭდილების ზეგავლენით, ვწერ რუსეთის „თეთრი სახლის“ დაცვისას დაცემული ჭაბუკების სულის საოხი ლოცვებისა და სამგლოვიარო მარშების ფონზე.

ასე რომ, ერთმანეთს თუ შევუდარებთ წიგნში მოთხრობილ ამბებსა და ბოლოსიტყვაობას, საერთო იქნება მხოლოდ ზოგადი ტენდენცია და მიზანდასახულობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — განწყობა და ტონალობა, შეფასებანი და დახასიათებანი. პროცესის ევოლუცია რევოლუციით დასრულდა და ეს მთლიანად თვითონ მეც მეხება.

ერთიც უნდა ითქვას: გადატანილი ელდა და ინფორმაციის ზვავი, სწრაფი ცვლილებები და არამდგრადი საერთო სიტუაცია უთუოდ გამოდევნის ამ ჩანაწერებიდან მკაცრ ანალიტიკურ საწყისს. ვებრძვი და ძლივსღა ვერევი მოზღვავებულ გრძნობებს. არც ის მინდა, რომ ემოციებს ავუვე, მაგრამ მათი დაფარვაც არა მსურს. დაე, ყველაფერს, რითაც ვიყავით ჩვენ მოცულნი იმ დღეებში, შენც ეზიარო, მკითხველო. ეს იმაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ცივი, ნათელი გონებით მოპოვებული ანალიზი. ამის დროც მოვა. ყველაფერი წინა გვაქვს.

ახლა კი მივუბრუნდეთ დასაწყისს დიქტატურის დასასრულისას. „გეკაჩეპეს“ მიმართვაზე ხელისმომწერთა სიას ახალი სახელები არ გაუმხელია ჩემთვის. ბაკლანოვიდან იაზოვამდე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა ისინი მე ჩვენი პოლიტიკის მტრებად მიმაჩნდნენ. მაგრამ ერთია მიჩნევა, ეჭვი, ვარაუდი, მიხვედრა და ამის საფუძველზე დიქტატურის შესაძლო საფრთხის განჭვრეტა; და მეორეა ზუსტი,

უტყუარი საბუთების მოპოვება. მაშინ მე არ გამაჩნდა ეს საბუთები. მაგრამ პოლიტიკოსი მოვალეა, ფხიზელ, გონივრულ ანალიზთან ერთად საკუთარი ინტუიციითაც იხელმძღვანელოს. მან ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, რათა ჩაუნერგოს და გადასდოს კოლეგებს, საზოგადოებასა და მთელ მსოფლიოს თავისი შეშფოთება. ასეც მოვიქეცი.

რა დავაკელი? 19 აგვისტოს დილას ამაზე ფიქრის დრო არ იყო. ზუსტად 9 საათზე ჩემი კაბინეტიდან (ელიზაროვის ქუჩაზე) ჩამოვურეკე „დემოკრატიულ რეფორმათა მოძრაობაში“ გაერთიანებულ ჩემს კოლეგებს. საჰაერო ხაზი, სპეციალური სატელეფონო კავშირი მე არ მქონდა, ჩვეულებრივი ტელეფონი კი უხეიროდ მუშაობდა. თანაშემწეებს ვუკარნახე „დემოკრატიულ რეფორმათა მოძრაობის“ მიმართვის პროექტი.

თორმეტის თხუთმეტ წუთზე ძლივს მოვახერხე ბორის ელცინთან დაკავშირება.

— ჩემთან თითქმის ყველაფერი გამორთულია, — მითხრა მან, — ვერ ვუკავშირდები რუსეთის რეგიონებს.

ჩვენ ორივემ ერთად ვთქვით: „ეს ფაშიზმია“, — და შევთანხმდით, როგორც კი მოვახერხებდით, ერთმანეთს შევხვედროდით.

— თუკი ამის საშუალება მოგვეცა, — ვიხუმრე, — თუ მოგვცეს საშუალება...

ჩვენ თვითონ მივცემთ ჩვენს თავს ამის საშუალებას, — თქვა ელცინმა. — დღეს ალბათ ვერ მოვახერხებთ, ძალზე ბევრი საქმეა, ხვალ კი უსათუოდ შევხვდეთ ერთმანეთს.

შუადღისათვის ჩვენი ასოციაციის შენობაში როგორღაც შემოაღწია ჟურნალისტმა „ნოვოე ვრემიადან“ — გალია სიდოროვამ და მოგვიტანა ელცინის მიმართვა რუსეთის მოქალაქეებისადმი.

ფაქსი ჯერ კიდევ მუშაობდა და გაისმა ჩვენთან რეკვა. დარეკეს საფრანგეთის საელჩოდან: „რა დაემართა შევარდნაძეს?“ მდივანმა უპასუხა, რომ მე აქა ვარ. დარეკეს ჟურნალისტებმა „კომსომოლსკაია პრავდიდან“, „იზვესტიიდან“, ქართული გაზეთებიდან, ამერიკული ტელეკომპანიებიდან. დარეკა ალექსანდრე იაკოვლევმაც. „შინა ვარ. ვერ გამოვდივარ. გასასვლელი გადაკეტილია სამხედრო განწესებით“.

შაბათს, 17 აგვისტოს, ჩვენი მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე ჩვენ ჩამოვაყალიბეთ დასკვნა მემარჯვენე გადატრიალების შესახებ და ახლა იმას ვნანობდით, რომ ვერარ მოვასწარით ამ დოკუმენტის გავრცელება.

მალე გავიგეთ, რომ მოსკოვის ქუჩებში დაიძრნენ ტანკები და ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანები. ტვერსკაიაზე ხალხი ასფალტზე წვება. ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხანაში მიტინგი შედგა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ მანქანათმშენებლები ყოველდღიურად რამდენიმე ათას კაცს გზავნიდნენ „თეთრი სახლის“ დასაცავად. მაშინ კი ეს არ ვიცოდი. იმ დროს ბევრი რამ არ ვიცოდი. რა დაემართა გორბაჩოვს? მოვიდნენ ალექსანდრე ვლადისლავლევი და მიხეილ მინასბეკიანი, ჩვენი მოძრაობის ხელმძღვანელები და გვაცნობეს: პრეზიდენტს ვერაგინ უკავშირდება. ან მოკლულია, ან დაპატიმრებული...“

შევუდექით ჩვენი მიმართვის ტექსტის რედაქტირებას და ფაქსით მის შეთანხმებას მეგობრებთან. ფაქსითვე გადავეცით ტექსტი „ინტერფაქსის“ სააგენტოში, იტალიაში, „ნოვოსტის“ სააგენტოსა და გამომცემლობის ჟურნალისტებს; რამდენიც შევძელით, გავამრავლეთ და დავგზავნეთ ყველა მისამართით, რაც ხელთ გვქონდა. ქაღალდი არ კმაროდა და ასოციაციიდ „ასტეპიდან“ მოგვიტანეს, შემოგვთავაზეს ფულადი დახმარებაც.

დღის ორ საათზე გავეშურე ჩვენი მოძრაობის შტაბ-ბინისაკენ. აუცილებელი იყო იქ მისვლა, საჭირო იყო ორგკომიტეტის მუშაკების გამხნევება და საქმის მოგვარება. საკვირველია, რომ მისვლა მოვახერხეთ. ნათელი იყო, ვის ემხრობოდა მოსკოვი. როგორც ჩანს, იმ დროისათვის ადამიანთა მასამ, უკვე ხალხად გარდაქმნილმა, ჩახერგა ტანკის მუხლუხები.

ოთხის ნახევარზე ასოციაციაში პრესკონფერენცია ჩავატარეთ. გარდა ვლადისლავლევისა და მინასბეკიანისა, მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა რიჟოვმა, მინისტრთა კაბინეტის წევრმა ვორონცოვმა, სხვებმაც. მათ გვაუწყეს, რომ ამაღამ ორგანიზებული იქნება „თეთრი სახლის“ დაცვა, უნდა შენაცვლებოდნენ მცველებს. მივედით დასკვნამდე: შეთქმულები ყველაფერს იკისრებენ, ვინაიდან საკუთარი სიცოცხ-

ლეც სასწორზე აქვთ შეგდებული. როცა დაპატიმრება დაიწყება, არცერთ სახელს არ დაივიწყებენ.

ორმოცამდე ჟურნალისტმა მოიყარა თავი. მიხაროდა, სახეზე რომ ვცნობდი საბჭოთა თუ უცხოელ რეპორტიორებს. ახლა მათზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. და მათაც ყველაფერი იღონეს, რათა მთელი ქვეყნისა და მსოფლიოსთვის ემცნოთ მომხდარის ჩვენეული შეფასება. მაგრამ მეორე დღეს გავიგე, რომ საბჭოურ გამოცემებში ჩვენი მიმართვა ვერ მოხვდა, ვინაიდან თვით ეს გამოცემები დაიხურა, მაშინ ვუკარნახე ჩემი „ძახილი სიცარიელეში", რათა უკანასკნელად გამომეთქვა აზრი და რაღაც კვალი მაინც დამეტოვებინა.

17 საათსა და 50 წუთზე დარეკა კაზიმირა პრუნსკენემ:

— საზღვარგარეთ მივფრინავ. თუ გავფრინდი, რით დაგეხმაროთ?

— მსოფლიოს მხარდაჭერა გვჭირდება — მორალურიც, პოლიტიკურიც. ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევას საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს. ამის ორგანიზება არის საჭირო.

რაც შეეხება გორბაჩოვს:

— ბოლომდე არა ვარ გარკვეული, როგორია მისი როლი, ან რა ბედი ეწია. თუ ცოცხალია, დაუყოვნებლივ უნდა გამოვიდეს ტელევიზიით და ერთხელ და სამუდამოდ აუხსნას ხალხს, რატომ მოხდა ეს ყოველივე. თუ ამის საშუალება არა აქვს. — საჭიროა მოთხოვნა, რომ ეს საშუალება მიეცეს. ატეხეთ განგაში.

ახლა რაც შეეხება პუტჩისტებს:

— აქცია იმდენად უგუნურია, რომ წარმატებას ვერ მიაღწევს.

შემდეგ დამირეკა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა:

— ბორის ელცინის დავალებით თქვენს სახლს დაცვა უნდა დავუყენო.

მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, დაცვა არ მჭირდება, მაგრამ ეს დაამშვიდებს-მეთქი ჩემიანებს.

და არა მარტო ჩემიანებს. ეს ცნობა მოასწავებდა თუ პუტჩის ჩაშლას არა, მისი დასასრულის მოახლოებას მაინც.

კანონიერი ხელისუფლება, ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება მოქმედებდა ხალხთან ერთობისა და მისი მხარდაჭერის წყალობით.

მოქმედებდა, აკრძალვის მიუხედავად, დემოკრატიული პრესაც. ინფორმაციას ვიღებდით რადიოსადგურ „ეხო მოსკოვიდან“. ხუნტის მიერ აკრძალულმა გამოცემებმა გააერთიანეს ძალები „ობშჩაია გაზეტას“ იატაკქვეშა გამოშვებებში. „იზვესტიას“ სტამბის მუშები ხელის საბეჭდ დაზგებზე აწყობდნენ რუსეთის მთავრობის დოკუმენტებს. პუტჩისტებისადმი სიძულვილით გამსჭვალულმა დამოუკიდებელმა ჟურნალისტიკამ ხალისით და გაბედულად, ახალ-ახალი მიგნებებით გაამარჯვებინა სისტემის მიერ მიჩუმათებულ თეზისს, რომ ინფორმაციის თავისუფლება განუყოფელი შემადგენელი ნაწილია თავისუფლებისა და დემოკრატიისა.

ქება და დიდება ინფორმატიკის ტექნოლოგიას! ქებათაქება „სი-ენ-ენ“-ის რეპორტიორებსა და დიქტორებს! ვისაც პარაბოლური ანტენა ჰქონდა და შეეძლო ამ ტელეკომპანიის გადაცემებისათვის ეყურებინა, ექნებოდა სრული სურათი მომხდარი ამბებისა. ლეონიდ კრავჩენკოს თვინიერი ტელევიზია კი დეზინფორმაციისა და სიცრუის მღვრიე ტალღებს მიაქანებდა. პროგრამა „ვზგლიადის“ ბიჭების წინაშე მე ერთგვარ სინდისის ქენჯნას ვგრძნობდი. ერთხელ მათ შექმნეს ფილმი ჩვენი „გუნდის“ მუშაობის შესახებ, რის გამოც ისინი ეკრანს ჩამოაშორეს. ტელევიზიის მუშაკების თქმით, საკავშირო ტელეხედვის შეფმა აკრძალა ჩემი სახელის ხსენება, ტელევიზიისკენ გზა დაუხშო ჩემს თანაშემწეებს.

ახლა ამ პროგრამის ახალგაზრდა ავტორები „ვზგლიადის“ რუბრიკით გადაცემას ამზადებდნენ იატაკქვეშეთში. მათმა კოლეგებმა პროგრამა „ვესტიდან“ იპოვეს კავშირგაბმულობის სამინისტროში პატიოსანი კაცი, რომელმაც მათ თანამგზავრის სატელეკომუნიკაციო არხები გაუხსნა. ამის წყალობით რუსეთმა — მოსკოვიდან კამჩატკამდე — მიიღო სწორი ინფორმაცია. ასეთი ხალხი მოიძებნა საკავშირო ტელევიზიაშიც. და აი, შეთქმულთა სამარისებური ხმების პირისპირ გაიელვა იმდღევანდელმა რეალურმა ეპიზოდებმა: ელცინი ტანკზე, ბარიკადები კალინინის ხიდთან, გრანდიოზული მი-

ტინგი მარიას სასახლესთან ლენინგრადში, სობჩაკი ტრიბუნაზე და ლოზუნგი: „ფაშიზმი არ გაგივათ!“

სისტემის მიერ თითქოს საბოლოოდ გათელილი უბრალო ადამიანები გმირები ხდებოდნენ. სიმამაცე ნორმად იქცა. სიმართლის სამსახური ქცევის საყოველთაო წესი გახდა.

სიმართლეს ემსახურებოდნენ კავშირგაბმულობის საშუალებებიც. შეთქმულები აშკარად ჩქარობდნენ და უთუოდ ამიტომ იყო, რომ ვერ დაწყვიტეს ყველა ძაფი, რომლებიც მსოფლიოსთან გვაკავშირებდა.

იმ დღეს ტელეფონით მესაუბრა ბრიტანეთის პრემიერი ჯონ მეიჯორი. კიდევ ყურმილში გავიგონე ჰანს-დიტრიხ გენშერის ხმაც. ვუპასუხე მის კითხვებს და ვუთხარი, რაც გვჭირდებოდა. ბუნდესტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მეთაურმა ჰანს-იოხიმ ფოგელმა მაცნობა, სოცინტერნის დელეგაცია აპირებსო ჩამოსვლას. ერთი დღეს შემდეგ კლდოვანი მთებიდან, თავიანთი რანჩოდან, დარეკეს ჯიმ და სიუზი ბეიკერებმა. მეგობრები ჭირში იცნობა. ამგვარი ანბანური ჭეშმარიტებანი ცხოვრებისეული კანონის ძალას იძენენ, როცა მათ შფოთისა და განსაცდელის ჟამს გაითავისებ.

ღამე თეთრად გავათენე. დილით ძლივს გავაღწიე „მოსსოვეტამდე“. იქ უკვე ხუნტის მიერ აკრძალული მიტინგი მიმდინარეობდა. გამოდიოდნენ გავრილ პოპოვი, ალექსანდრე იაკოვლევი, სხვებიც. მეც გამოვედი. „ჩვენ მომსწრე ვართ ვულკანის ამოფრქვევისა. იგი კარგა ხანია იძლეოდა გამოღვიძების ნიშნებს. ჩვენ შევესწარით სახიფათო გადმონთხევას ჭუჭყისას, რომლითაც უნდა დაასამარონ ჩვენი დემოკრატია და თავისუფლება. დიქტატურა, ჩრდილოვანი ხელისუფლება, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, საბრძოლველად გამოიჭრა. ეს დემოკრატიის დასასრული და სამოქალაქო ომის დასაწყისია; ეს გამალებული შეიარაღების განახლება და „ცივი ომია“. გვინდა თუ არა ეს ყოველივე? არა! ამიტომ, მოდი, გავერთიანდეთ, წინ აღვუდგეთ დიქტატურას და დავამხოთ იგი...“

ერთობა ფაქტად იქცა. მოძრაობა „დემოკრატიული რუსეთი“, ჩვენი მოძრაობა, დემოკრატიული პარტიები ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ. მე არ მიყვარს სიტყვა „მტერი“,

მაგრამ ახლა თვალნათლივ ვხედავდი მტერს და ვიცოდი, ვინ იყო ჩვენი მეგობარი მასთან ბრძოლაში. შემდეგ ჩვენ „თეთრი სახლისკენ“ დავიძარით და იქ შევუერთდით წინააღმდეგობის ხელმძღვანელებსა და არმიას. იქაც გამოვდიოდით და ვგრძნობდით, თუ როგორ იძენდა სიტყვა ფიზიკურ ძალას.

მიტინგის შემდეგ ა. ვლადისლავლევთან და მ. მინასბეკიანთან ერთად ვესაუბრე რუსეთის პრეზიდენტს. ბ. ელცინმა მაცნობა, ეს წუთია აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს ტელეფონით ვესაუბრეო. ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, მხარდაჭერის დროული სიგნალი.

ჩვენ ვიმსჯელეთ საგარეო პოლიტიკის საკითხებსა და საშინაო ცხოვრების საკვანძო პრობლემებზე. ახლა ყველაფერი თავს იყრიდა მდინარე მოსკოვის კრასნაია პრესნიას სანაპიროზე მდებარე თეთრი მარმარილოს შენობასთან, რომელიც იქცა დემოკრატიის, კონსტიტუციური ხელისუფლების, ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტის დაცვის ცენტრად. „თეთრი სახლი“ ჩვენს თვალწინ გარდაიქმნა ციხესიმაგრედ. მის სარდაფში მოძრაობა დაიწყო რუსეთის რადიოგადამცემმა. ვიცე-პრეზიდენტმა ა. რუცკოიმ, პროფესიულმა სამხედრო პირმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, ავღანეთის ვეტერანმა, პრემიერმა ი. სილაევმა, სახელმწიფო მრჩეველმა გ. ბურბულისმა გვიამბეს, თუ როგორ ხდებოდა „თეთრი სახლის“ სიცოცხლის უზრუნველყოფა. თუმცა ყოველივე ეს მე საკუთარი თვალით ვიხილე. დაცვის ორგანიზაციასთან ერთად განიხილავდნენ და იღებდნენ რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და კანონებს.

საღამოს რვის ნახევარზე შინ უნდა მწვეოდა გერმანიის ელჩი ბლეხი. მე გავემგზავრე ელჩის დასახვედრად და მასთან სასაუბროდ. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ იმ დღეებში ჩვენ პატივი დაგვდეს და მხარი დაგვიჭირეს საფრანგეთისა და იტალიის ელჩებმა; ვიზიტი გაგვიკეთა აშშ-ის ახალმა ელჩმა, ბატონმა სტრაუსმა.

ბატონ ბლეხთან საუბრის შემდეგ ზარი დარეკეს. კარებში იდგნენ ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე ედუარდ საგალაევი და მისი მოადგილე ნუგზარ ფოფხაძე. ნახევარი სათის შემდეგ მოვიდა ჩემი ძველი მეგობარი გურამ მგელაძე.

მივხვდი, რასაც მოეყვანა ისინი. გურამმა თქვა, რომ გავრცელდა ჭორი ჩემი დაპატიმრების შესახებ და, თუ ეს მართლა მოხდება, მათ ჩემთან სურთ ყოფნა.

აივანზე გავედით. ღამეული ცა ტრასირებული ტყვეობის ჯალმა გადასერა. უცებ ახალი არბატის უბანში აფეთქების მა გაისმა და კვამლის თეთრი ბოლქვები ავარდა.

— ჩვენ იქ უნდა ვიყოთ, — ვუთხარი მეგობრებს. მაგრამ კარებში ჩადგა ჩემი მეუღლე: „არ გაგიშვებ!“ მაშინ ნუგზარმა „სამხედრო ხრიკს“ მიმართა, ვიღაცას დაარეკინა ჩვენს ბინაში: „რამდენიმე საათით გადაიმალეთ!“

— წადით, — თქვა ნანულიმ.

არასდროს განმიცდია ის, რაც იმ საათებში ვიგრძენი. „თეთრი სახლის“ მისადგომებთან ჯარისკაცები დაუბრკოლებლად გვატარებდნენ. ვიღაც ფორმიან ყმაწვილს ყელში ბურთი მოაწვა, გადამეხვია და მითხრა: „ჩვენ დაგიცავთ!“ ვიღაც პოლკოვნიკმა მოგვაძახა: „გადაეცით ელცინს, რომ შტურმს არ დავუშვებთ!“ ვიღაც ბიჭები ხელიხელჩაკიდებულნი გასასვლელებს კვალავდნენ შეჯგუფულ ხალხში; ვიღაც ქალები ცხვირსახოცებით მიმშრალებდნენ წვიმით დასველებულ შუბლს; რომელიღაც ჩემი თანამემამულე ამედევნა და მომძახოდა: „ედუარდ, ქართველებს ძალიან გვიყვარხარ!“

ჩემო ძვირფასო, საყვარელო ადამიანებო, ქართველებო, რუსებო, სომხებო, ლიტველებო, ლატვიელებო, ებრაელებო, უზბეკებო, უკრაინელებო, ვინც არ უნდა იყოთ, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ! რა მადლობელი ვარ თქვენი იმის გამო, რომ თავი ხალხის ნაწილად მაგრძნობინეთ!

„თეთრ სახლში“ მშვიდი და ურყევი ატმოსფერო სუფევდა. ახალგაზრდები კალაშნიკოვის ავტომატებით ხელში თავთავიანთ, ზუსტად გათვლილ ადგილებზე იდგნენ. „თეთრი სახლის“ დაცვის ოპერატიულ შტაბში განკარგულებებს იძლეოდა გენერალ-პოლკოვნიკი კობეცი. მე სამხედრო პირი არა ვარ, მაგრამ შეფასების უნარი მაქვს: ყველაფერი კეთდებოდა უაღრესად პროფესიულად.

ვნახე მსტისლავ როსტროპოვიჩი. მის კალთაში თავი ჩაედო დაღლილ ჯარისკაცს და ეძინა. ვნახე ეკონომისტი გრიგორი იავლინსკი. ერთმანეთს აზრები გავუზიარეთ.

— მორჩა! იმათ წააგეს...

„თეთრი სახლიდან“ გამთენიისას, ხუთის წუთებზე, წამოვედი, როცა დავრწმუნდი, რომ იერიში ჩაიშალა.

ნისლიანმა და წვიმიანმა გარიჟრაჟმა მოატანა. ნისლი მალე გაიფანტა და წვიმამაც გადაიღო. „თეთრ სახლში“ რუსეთის უმაღლესი საბჭო იკრიბებოდა. მისმა პრეზიდენტმა გვაუწყა, მიხეილ გორბაჩოვი და მისი ოჯახის წევრები ცოცხლები არიან, მე მას ველაპარაკეო. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ახალი ამბავი შევიტყვეთ: შეთქმულები გაიქცნენ. საით? ერთი საათის შემდეგ ესეც გაირკვა: ყირიმში, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ყირიმში?

შემდეგ კი ჩემი ტელევიზორის ეკრანზე ვიხილე მიხეილ სერგეევიჩი, ცოცხალი და საღსალამათი. დამხვდურთა შორის იყო გენშტაბის უფროსი მიხეილ მოისეევი. მე კვლავ დავიწყე ფიქრი პრეზიდენტის გარემოცვაზე.

* * *

ჩემი ახლანდელი ფიქრები უნებურად კვლავ დასტრიალებს მიხეილ გორბაჩოვს, პრეზიდენტის ბედსა და მის პერიპეტიებს. უკანასკნელი თვეებისა და დღეების ცვლილებებსა და ზიგზაგებს. ეს ხომ ჩემი ბედიც იყო. ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ ჩვენი ბედი ასე გაიყარა, გაორდა? მეც ხომ არ მიმიძღვის ბრალი ამაში?

არა, რა მკაცრადაც არ უნდა განვსაჯო საკუთარი თავი, ჩემს დანაშაულს ვერ ვპოულობ, ბრალს ვერაფერში ვერ ვხედავ. მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. მაგრამ იქნებ მეტი უნდა გამეკეთებინა, თუნდაც იმის ფასად, რომ სამუდამოდ დაკარგვოდა ჩემდამი ნდობა? ახლა, ამ დღეებში კი არა, — გაცილებით ადრე?

არ ვიცი, უნდა ვიფიქრო ხმამაღლა, საქვეყნოდ დაუფარავად.

რა შედეგი გამოიღო იმან, რომ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც მას გავუზიარე ჩემი აზრები უკიდურესად რეაქციულ ძალთა კონსოლიდაციაზე, რომელიც აშკარად ესწრაფოდა გარდაქმნის რევანშისტულ აღკვეთას? რა შედეგი გამოიღო იმან, რომ მთელი 1990 წლის განმავლობაში ვაფრთხილებდი,

თანაც ისე ვაფრთხილებდი, რომ ხელთ მქონდა ფაქტები, იმ თანამდებობის პირთა გამონათქვამების, მოქმედების, მათი ნაბიჯების, მათი აშკარა თუ ფარული მანევრების ანალიზი, რომელთაგან ზოგი შევიდა თვითმარქვია საგანგებო მდგომარეობის კომიტეტში? ყველა პირადი შესაძლებლობა და რესურსები რომ ამოვწურე, განა არ გამოვედი სახალხო დეპუტატთა ყრილობის ტრიბუნაზე, რათა მეთქვა, დიქტატურა გვიახლოვდება-მეთქი? გამოვედი, ვთქვი. მერე რა შედეგი გამოიღო ამან? უნდა განმეცხადებინა: პრეზიდენტი ყრუ არის და ბრმა, ვერც ვერაფერს ხედავს და არც არაფერი ესმის. დაე, მე დამტყდომოდა თავს ყველანაირი რისხვა: ამქვეყნიურიცა და ზეციურიც.

ალბათ მიამიტობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ პრეზიდენტი ისარგებლებდა ჩემგან გაღებული მსხვერპლით, ჩემგან საკუთარი თავის „დაწვით“, რათა მოეწოდებინა ქვეყნისა და ხალხისათვის, საკადრისი პასუხი გაეცათ რეაქციისათვის. 1990 წლის 20 დეკემბრისთვის მე ხომ უკვე კარგად ვიცოდი, რომ მიხეილ სერგეევიჩი ძალზე სხვადასხვაგვარად ეკიდებოდა ისეთ ქმედებებს, რომლებიც მის უკითხავად, მისი ნების გარეშე, მასთან შეუთანხმებლად ხორციელდებოდა. ზოგის მიმართ იგი მეტისმეტად შემწყნარებელი, გულგრილიც კი იყო, სხვების მიმართ — მკაცრი და მოუთმენელი. ერთნი ლამის მის თვალწინ სპობდნენ მისი ცხოვრების უმთავრეს საქმეს, ის კი თითქოს ვერც ამჩნევდა ამას; სხვანი ცდილობდნენ ეხსნათ ეს მთავარი, მაგრამ მათ ცდას წაყრუებით უპასუხებდა.

ჩემთან დაკავშირებით მან რკინისებური თავშეკავება გამოავლინა. ადგა პრეზიდენტი და თქვა, რომ ვერავითარ ხუნტას ვერ ხედავდა.

აი, ისიც — მის ფრთებს ამოფარებული ხუნტა!

სურდა ეს მიხეილ სერგეევიჩს თუ არა, მისი ეს ნათქვამი ძალზე ორგანულად ერწყმის იმ განცხადებათა და კომენტართა ქოროს, რომლებიც მიმართული იყო ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრისა და მის მიერ გადადგმული ნაბიჯის წინააღმდეგ: „პოლიტიკური სპექტაკლი“, „პასუხისმგებლობის შიში“, „დიქტატურით დაშინება“, „გადაიღალა“, „მოიშალა“ და სხვა და სხვა... ამგვარი ვერსიების ავტორთა შო-

რის იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ანატოლი ლუკიანოვი, იყვნენ სხვა პუტჩისტები, მათ შორის, თვითმარქვია „პრეზიდენტი“ გენადი იანაევიც.

ამჟამად ბევრს ესმის, რომ ეს იყო კვამლის საფარი მომავალი ღამეული „ბონაპარტეებისთვის“, რომლებიც გულში ატარებდნენ და ელოლიავებოდნენ თავიანთ „18 ბრიუმერის“ ჩანაფიქრს.

მაგრამ ამის შეგნება მე არც კმაყოფილებას და არც შვებას არ მგვრის.

სხვათა შორის, ლუკიანოვთან (და არა მარტო მასთან) დაკავშირებით სხვაც უნდა ითქვას: 1990 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში მე გავუგზავნე უმაღლეს საბჭოს გდრ-თან ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ დადგენილების პროექტი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს იყო 15-16 სექტემბერს.

გერმანიის გაერთიანება მოახლოებული იყო და ეს პროექტი დაუყოვნებლივ უნდა გაეტანათ განსახილველად. მაგრამ ლუკიანოვმა იგი მხოლოდ 30 სექტემბერს გამოაჩინა, ე. ი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, გაუქმების წინა დღეს.

მე ეჭვი არ მეპარება, რომ პროექტი განგებ შეაჩერეს, ეს იყო საგარეო საქმეთა მინისტრსა და მის კოლეგებზე იერიშის სიგნალი, რომელიც შეთანხმებული იყო ჯგუფ „სოიუზთან“.

ასეც მოხდა. საკმარისი იყო ლუკიანოვს სხდომის დახურვის წინ ვითომ სასხვათაშორისოდ ეხსენებინა დღის წესრიგიდან განსახილველად დარჩენილი პუნქტი, რომ ამას მყისვე მოჰყვა:

— ეს რა ხდება? შევარდნაძე უკანასკნელ წუთს გვაჩეჩებს სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს! როდემდე უნდა გაგრძელდეს პარლამენტისა და ქვეყნის ინტერესების აბუჩად აგდება?!

და ყველაფერი იმ სცენარით წარიმართა, რომელიც, კაცმა არ იცის, ვისი დაწერილია. მაგრამ ნათლად იგრძნობა ძლიერი, ფოლადისებური, პოლიტარმიული რეჟისურა. პოლ-

კოვნიკის სამხრეებიანი ყმაწვილების ზურგს უკან სხვა ძალები ამოიცნობოდა.

ამბობენ, რომ დადგენილების პროექტმა ორი კვირის განმავლობაში პრეზიდენტის აპარატის კაბინეტები მოიარა. რა უნდა ექნა პრეზიდენტს? უნდა გაეკიცხა აპარატის შეფი ბოლდინი და საჯაროდ დაეგმო ეს დაუდევრობა. როგორ მოიქცა პრეზიდენტი? როგორ და... ამ ფაქტის მიჩუმათებისთვის შეაქო ჩემი სახელგატეხილი მოადგილე.

დამნაშავე ვარ, რომ დავინდე ასაკოვანი კაცის გრძნობები, პრეზიდენტის ღირსება და ეს საქვეყნოდ არ განვაცხადე.

ეს ამბავი 1990 წლის 15 ოქტომბრამდე გაგრძელდა. ამ დღეს შევიტყვეთ, რომ მ. გორბაჩოვს მშვიდობის ნობელის პრემია მიანიჭეს, სწორედ იმ დროს იმ საათებში, როდესაც მ. გორბაჩოვი მილოცვებს იღებდა, მისი საგარეო საქმეთა მინისტრი იდგა უმაღლესი საბჭოს ტრიბუნაზე და იგერიებდა ჯგუფ „სოიუზის“ იერიშებს. მას ხომ ბრალდებებს უყენებდნენ სწორედ იმ პუნქტების გამო, რომლებითაც ნობელის პრემიის კომიტეტმა დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება მ. გორბაჩოვისთვის პრემიის მინიჭების შესახებ. ეს იცოდა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ა. ლუკიანოვმა, მაგრამ დუმილი ამჯობინა.

მეორე დღეს მე დავურეკე მ. გორბაჩოვს და ჯილდო მივულოცე. მადლობა გადამიხადა და მითხრა, რომ მეც მქონდა წილი ამ ჯილდოში. მე არც ეს პრივატული აღიარება მესაჭიროებოდა და არც საჯარო ატესტაცია ჩემი ნამდვილი თუ მოჩვენებითი დამსახურებისა. ერთადერთი, რაც მჭირდებოდა, რაც მსურდა და რასაც ველოდი პრეზიდენტისაგან, — ეს იყო მისი პოზიციის ზუსტი გამოკვეთა, პირდაპირი და საკადრისი პასუხის გაცემა მემარჯვენეებისათვის, ჩვენი საერთო პოლიტიკის აშკარად დაცვა.

ამაოდ ველოდი.

გავიხსენოთ არმიის ქვეგანაყოფები და საომარი ტექნიკა, რომელიც გარშემოარტყეს კრემლს იმ სასაცილო საბაბით, რომ უნდა დაეცვათ შვიდი დეპუტატი „ეგრეთწოდებული დემოკრატების“ მხრივ ვითომდა მოსალოდნელი ანგარიშსწორებისაგან. ვინ დაარწმუნა, ან ვინ აიძულა პრეზი-

დენტი, ისეთი გადაწყვეტილება მიეღო, რომელმაც დედაქალაქში სიტუაციის ძლიერი დესტაბილიზაცია გამოიწვია? და რატომ მოხდა რომ, თავად იგი, ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი, ასე მოექცა თავისი ზოგი მრჩევლის დამღუპველი გავლენის ქვეშ, მაშინ როცა აბსოლუტურად შეუსმენელი აღმოჩნდა სხვათა გონივრული რჩევის მიმართ?

დღეს ბევრი რამ სულ სხვაგვარად მაგონდება და მესახება, ვიდრე წინათ. ბევრი რამ აიხსნა დღევანდელ ტრაგიკულ ვითარებაში.

მკვდარზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო, — უთქვამთ ძველადვე. ამ ქვეყნიდან წასული კაცი ცოცხალთაგან არ განისჯება. მაგრამ არის სხვა იურისდიქცია, სულ სხვაგვარი, ქვეყნისა და ხალხის ბედთან დაკავშირებული ნორმები და ჩვენ უფლება არა გვაქვს უგულვებელვყოთ ისინი, — მით უფრო, თუ ამქვეყნიდან წასული კაცი თავის თავს ამგვარი განზომილებებით ზომავდა.

მე შემძრა მარშალ ს. ახრომეევის თვითმკვლელობამ. ის მოვალეობის კაცი იყო და მე მას დიდად ვუფასებდი ამ თვისებას. ჩვენ მეგობრები არ ვყოფილვართ, მან თვითონვე თქვა ეს. კოლეგები — კი, ბატონო, მაგრამ მეგობრები ვერ ვიქნებოდით. და მაინც, მე გულგრილი არ ვყოფილვარ მის მიმართ, კეთილგანწყობას ვგულისხმობ. ეს იყო ნამდვილი მეომარი.

ჩვენ არაერთი საათი ერთად გაგვიტარებია მოლაპარაკებათა მაგიდასთან ჩვენი პოზიციების განხილვისას. იგი თანაავტორია განიარაღების საკითხში მრავალი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებისა. არ მალავდა, უფრო ზუსტად, თითქმის არ მალავდა თავის დამოკიდებულებას ჩვენს მიმართ და ჩვენი პოლიტიკის მიმართ. გამოხედვით, სახის გამომეტყველებით, ჟესტით მაგრძნობინებდა მტრობას, სიძულვილს, ზიზღს.

იგი მოვალეობის კაცი იყო, ჯარისკაცი იყო. ეს ერთბაშად ჩანდა. მართალია, გამაოგნებელი იყო, რომ მოვალეობის გულისათვის მას შეეძლო გაეწირა ღირსების გრძნობა, ვთქვათ, უმჯობესად მიეჩნია დუმილი, როცა ჩვენ გააფთრებით გაგვაკრიტიკებდნენ იმ გადაწყვეტილებებისთვის, რომ-

ლებიც მივიღეთ მისი მონაწილეობით. ანდა შეეძლო განეცხადებინა, რომ წინააღმდეგი იყო ავღანეთში ჯარების შეყვანისა, როცა სინამდვილეში მხოლოდ გადავადებას ითხოვდა.

შემაფიქრიანა მისმა ნათქვამმა მამის შესახებ, რომელიც კოლექტივიზაციის პერიოდში დაეღუპა: „მაგრამ მე მაინც არა ვარ ამის გამო ნაწყენი საბჭოთა ხელისუფლებაზე, რადგან კოლექტივიზაცია ისტორიული აუცილებლობა იყო“.

მოვალეობის გრძნობა თუ ზნეობრიობაზე მაღლა დგას, შემზარავია. მოვალეობა თუ ადამიანს იმას დაუწესებს, რომ „ისტორიული აუცილებლობის“ გამო გაანადგუროს საკუთარი მამა და მასთან ერთად ათასი სხვა, იგი გაანადგურებს კიდეც.

რაღაც ამის მსგავსი შეეძლოთ დაეგეგმათ აგვისტოს შეთქმულების მონაწილეთ. აი, მაგიდაზე მიდევს სტამბურად დაბეჭდილი განკარგულება მოსკოვის სამხედრო კომენდანტისა კერძო პირთა დაპატიმრების შესახებ. ვისი დაპატიმრებისა? ყველასი, ვისაც კი საჭიროდ მიიჩნევს ხუნტა. სახელის, მამის სახელისა და გვარის ადგილი დატოვებულია: ჩაწერეთ, ვინც გინდათ, ტოტალიტარიზმს ხომ „ვინც გინდასათვის“ ზღვარი არა აქვს, არავითარი შეზღუდვები არ არსებობს დასჯისათვის, გადასახლებისათვის, რეპრესიებისათვის. ტანკის თითო ტონა ჯავშანი უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე კაცის სიცოცხლე. ისტორიის სასწორზე ადამიანის სიცოცხლეს წონა არა აქვს.

სხვათა შორის, ტანკებზეც უნდა ითქვას, როცა თავდაცვის სამინისტრომ და გენშტაბმა პარიზის ქარტიის გვერდის ავლით ურალის იქით „გადამალეს“ ათასობით ტანკი, — მე პროტესტი განვუცხადე პრეზიდენტს, მან თავის მრჩეველს, მარშალ ახრომეევს, დაავალა საკითხის გარკვევა. სერგეი ფიოდოროვიჩმა წარუდგინა მემორანდუმი, რომელიც მთლიანად ამართლებდა ამ ღონისძიებას. ჩემი პროტესტი ისევე გააფერმკრთალა მისი საბუთების ფოლადისებურმა ელვარებამ, ისევე გაახუნა, როგორც ჩემი სხვა უთანხმოება, როცა შესამცირებელი ტანკები თაღლითურად გადაღებეს საზღვაო ქვეითი ჯარისთვის შესაფერად.

ყოველივე ეს ძვირად დაუჯდა ქვეყანას, სათუო გახდა

ხელშეკრულება სტრატეგიულ-შეტევითი შეიარაღების შესახებ, შეირყა ჩვენდამი ნდობა, შეირყა ნდობა ახალი პოლიტიკური აზროვნებისადმი, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მომავლისადმი, მსოფლიოს ახლებური მოწესრიგებისადმი. ამას აკისრებდა მარშალის მოვალეობა, მაგრამ მოვალეობა ხომ ვერ გიბრძანებთ, უარი არ თქვათ ქვეყნის პრეზიდენტისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სამსახურზე, თუ მათ არ ეთანხმებით?

მაგრამ წამოიჭრება სხვა, ამჟამად უფრო აქტუალური კითხვაც: როგორ შეეძლო პრეზიდენტს, თავის გუნდში შეეყვანა ისეთი ხალხი, რომელიც აშკარა წინააღმდეგობას უწევდა მის პოლიტიკას? რა არის ეს: დიდსულოვნება, ფართო თვალსაწიერი თუ სხვაგვარად აზროვნებისადმი შემწყნარებლობა? შესანიშნავი თვისებებია, ოღონდ შეთქმულებად და გადატრიალებებად არ უნდა დაგვიჯდეს ეს თვისებები.

ჩრდილოვანმა ხელისუფლებამ მოხერხებულად მოიკალათა კანონიერის გვერდით და დაუფარავად ძირს უთხრიდა მას.

დროდადრო გაისმოდა მიწოდებები „ხსნის აქციების“ ჩატარებისკენ. ტელევიზია და პრესა გვაუწყებდნენ, რომ კრებებზე სულ უფრო დაჟინებით მოითხოვდნენ ცენტრისაგან „გადამწყვეტი ზომების მიღებას“. მთავარ არგუმენტად მოჰყავდათ სეპარატისტების მუქარა პარტიის წევრთა მიმართ, სამხედრო პირთა და რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროება. პარლამენტში რესპუბლიკათა წარმომადგენლები უარყოფდნენ ამგვარ ბრალდებებს, მაგრამ საპასუხოდ მათ ახალ ბრალდებებს უყენებდნენ. საკმარისია, ეს რეპორტაჟები სამზეოზე გამოვიტანოთ, რომ დავრწმუნდებით: ლექი ფსკერიდან ამოტივტივდა და სურათი აამღვრია. ამგვარ ვითარებაში ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. დამაფიქრებელი იყო ზოგ დეპუტატთა განცხადებები, 1991 წლის იანვარი სერიოზული გამოცდის წინაშე დაგვაყენებსო.

განგაში მატულობდა. 1990 წლის ნოემბრისთვის, ცნობილი „53-ის განცხადებათა“ შემდეგ, იგი გაუსაძლისი გახდა.

ერთხელაც იყო, მღელვარებას ვერ მოვერიე და ბორბა-

ჩოვს შინ დავურეკე. მითხრეს, რომ სამსახურისკენ გზაში იყო. ავკრიფე მანქანის ნომერი.

— ძალისმიერი აქციებით ხომ ბოლო მოეღება გარდაქმნას, თქვენს კეთილ სახელს, ყველაფერს...

— როგორ გეკადრება! — აღშფოთდა მიხეილ სერგეევიჩი, — როგორ შეგიძლია ამის გაფიქრებაც კი?

ვენდე. არ შემეძლო, არ ვნდობოდი. ადრეც ბევრჯერ იყო ასე. მერეც ასე იყო, როცა მ. გორბაჩოვი ამბობდა, არაფერი ვიცი ბალტიისპირეთში მომხდარი ამბების ორგანიზატორებზეო. მაგრამ სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი ეჭვები გარკვეული იატაკქვეშა ძალების არსებობის შესახებ, რომლებიც პრეზიდენტის ზურგს უკან ახორციელებდნენ დანაშაულებრივ აქციებს, მართლდებოდა.

თვალწინ მედგა თბილისური აპრილის დღეები — ტოტალიტარული ანტიუტოპიის რეპეტიცია. საშველს არ მაძლევდა 1989 წლის დეკემბერში გადატანილი ამბების გახსენება, ამ სასაკლაოს ორგანიზატორთათვის კვერის დაკვრა, მათ მხარდამჭერთა და გამმართლებელთა მძლავრი ქორო, ვგონებ, რეჟისორები თვალნათლივ ჩანდნენ. მერე რა: არც არაფერი.

გაკვეთილები არაფერში წასდგომია პრეზიდენტს. იგი დარტყმებს ვერ იგერიებდა და მის გარემოცვას სულ უფრო უადვილდებოდა მასზე ზემოქმედება. ახლა ის პირდაპირ თავზე ახვევდა პრეზიდენტს თავის პირობებს, უყენებდა ულტიმატუმებს. პოლკოვნიკ დეპუტატებზე აღარაფერს ვამბობ. გაცილებით მაღალი რანგის ხალხიც იყო ჩათრეული. ასე იყო ქვეყნის პარლამენტის ამასწინანდელი „ამბოხის“ დროსაც, როცა პრემიერ-მინისტრმა პავლოვმა საგანგებო უფლებამოსილებანი მოითხოვა. ეს დახურულ სხდომაზე ხდებოდა. ვინ დახურა და რატომ? რატომ არ გვიჩვენეს, რომ თავდაცვის მინისტრმა იაზოვმა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ კრიუჩკოვმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა პუგომ მხარი დაუჭირეს ამ მოთხოვნებს? რატომ მოჰყავდათ ციტატები გამოსვლათა ტექსტებიდან ლენინგრადის ტელეპროგრამა “600 წამში“? ეს ფირი ახლა, დღეს, უნდა უჩვენონ. მაშინ, როცა სრულიად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა პრეზიდენტი, მხოლოდ მაშინ გამოვიდა მტკიცე გან-

ცხადებით, რომელშიც შეეცადა დაეცვა ჩვენი საერთო პოლიტიკა, და თქვა, რომ ამ პოლიტიკას იგი მხოლოდ შევარდნაძესთან ერთად კი არ ახორციელებდა, არამედ ამჟამად მდუმარე მაღალი თანამდებობის ექსპერტების უმრავლესობასაც აკისრიათ პასუხისმგებლობა ამ პოლიტიკისათვის.

და იქვე განაცხადა, რომ პრემიერთან მას უთანხმოება არა აქვს.

აი, ასე, გარემოცული იყო ხელისუფლებაში თვითონ მის მიერ მოყვანილი ორპირი პარტნიორებით. და პრეზიდენტი მარტოდმარტო აღმოჩნდა ვერაგობისა და ბოროტების პირისპირ. მათი კერები ფეთქდებოდა საკავშირო და რუსეთის უმაღლეს საბჭოებში, საკავშირო და რუსეთის ფედერაციის კომპარტიის ხელმძღვანელ სტრუქტურებში, არმიის ზედა ეშელონებში.

მე უკვე ვილაპარაკე იმაზე, თუ უამრავმა ტანკმა როგორ აუარა გვერდი პარიზის ქარტიას და რა დაგვიჯდა ეს.

პარტიულ ფუნქციონერთა, კერძოდ, დიქტატორობის კანდიდატის ო. ბაკლანოვის, ჯგუფ „სოიუზისა" და მემარჯვენე პრესის მხარდაჭერით გენშტაბმა ჩვენს გზაზე კიდევ ერთი ზვავი ჩამოაშვავა: ცალკეულ საკითხებად დააქუცმაცა სტრატეგიულ-შეტევით შეიარაღებათა სფეროში შეთანხმებათა პაკეტი, რომლის შესახებაც მე და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი შევთანხმდით ჰიუსტონში. მაგრამ შვიდი თვის შემდეგ, როცა მხარეებმა მოილაპარაკეს იმაზე, რაც ჩვენ უკვე მიღწეული გვქონდა, გვაუწყეს, რომ ეს იყო სამხედრო უწყების გრანდიოზული წარმატება. გამარჯვებულებში ამოყვეს თავი იმათ, ვინც ამ შეთანხმების გამო ნახევარი წლის წინ ეოღალატედ მიმიჩნევდა.

მოსკოვში სტრატეგიულ-შეტევით შეიარაღებათა შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღეს ტელევიზიის ერთ-ერთი არხით უჩვენეს ფილმი, რომელიც გადაიღეს „საიდუმლო ქალაქში" არზამას-16-ში. მისი გასაიდუმლოება მოჩვენებითი აღმოჩნდა: კედელში, რომელსაც ჩიტიც ვერ გადაუფრენდა, შეაღწიეს ადამიანებმა და ატეხეს სატელევიზიო მითქმა-მოთქმა და განგაში ქვეყნის ვითომდა ჩაშლილი ბირთვული პროგრამის გამო. დროდადრო კადრში გა-

მოჩნდებოდა ავადსახსენებელი პოლკოვნიკი-პოლიტმუშაკი და წამოიძახებდა ხოლმე: „ღალატია!“

ვინ შეუშვა ისინი იქ? ვინ დაამთხვია ეს გადაცემა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას? იმ მომენტში მე არ ვიცოდი ამ პროვოკაციის ავტორთა ვინაობა, თუმცა ვინ უნდა ყოფილიყო წამქეზებელი თუ ხელშემწყობი, უკვე ვხვდებოდი.

არცერთი პირდაპირი საბუთი მე არ მქონია. მქონდა მხოლოდ ეჭვები, რომელთაც საფუძვლად ედო ჩემი პირადი მწარე გამოცდილება.

1990 წლის 8 აგვისტოა. მე უკვე მოველაპარაკე ბეიკერს, რომ გაგვეკეთებინა ერთობლივი განცხადება კუვეიტში ერაყის აგრესიის წინააღმდეგ. პორტფელში უკვე მედო შეთანხმებული ტექსტი, და ის იყო, ვაპირებდი წასვლას ვნუკოვოს აეროპორტში, სადაც უნდა ჩამოფრენილიყო სახელმწიფო მდივანი, რომ დამირეკეს „კომპეტენტური ორგანოებიდან“: „აშშ დღეს განახორციელებს შეტევას ბაღდადზე“. მე არ დავიჯერე, მაგრამ ვკითხე ბეიკერს: „ეს სწორია? მართალი მითხარით, საქმე ხომ ჩემს ღირსებასაც ეხება“. მან წყენითა და დანანებით შემომხედა.

შემდეგ კი პრეზიდენტმა დამირეკა: „აბა, შენ იცი!“ ე. ი. შენ აგებ პასუხსო. მეც, რუსი სადამ ჰუსეინებისაგან განწირული, პასუხისმგებლობას არ გავქცევივარ.

პრესასა და უმაღლეს საბჭოში ჩემს წინააღმდეგ, გაჩაღებული კამპანია ახლა წარმომიდგება შეთქმულთა იდეოლოგიის, გადატრიალების ფსიქოლოგიური შემზადების ნაწილად.

1991 წლის 23 ივლისს გაზეთ „სოვეტსკაია როსიაში“ გამოჩნდა „სიტყვა ხალხისადმი“, რომელიც, ჩემი აზრით, წარმოადგენს პირდაპირ მოწოდებას ამბოხებისაკენ. ამ წამქეზებლურ მანიფესტზე ხელისმომწერთა შორის ამოვიკითხე ყველა იმათი სახელები, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში აშკარად თუ ფარულად მოქმედებდნენ კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. სწორედ ისინი იყვნენ ჩვენი დევნის კამპანიის ორგანიზატორები, ამეხრუჭებდნენ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, გორბაჩოვს, იაკოვლევსა და მე „მალტელ რაინდებს“ გვეძახდნენ.

საბჭოთა კავშირის გმირები, სოციალისტური შრომის გმირები, ინფანტერიის გენერლები და ლიტერატურიდან გადმოსული გენერლები აშკარად აყენებდნენ მოქმედების გეგმას. მასში მინიშნებით კიდეც მოიხსენიებოდნენ ის პირები, რომლებიც ივარგებდნენ და რომელნიც მზად იყვნენ დამდგარიყვნენ ხელისუფლების საჭესთან. ხელისმომწერთაგან ორი დიქტატორთა სიაში აღმოჩნდა, მესამე კი ყირიმში ეწვია გორბაჩოვს ულტიმატუმით.

მემარჯვენე რეაქციული ფრონტი, რომელიც აერთიანებდა პარტოკრატიის, სამხედროთა, შოვინისტური პრესის ყველა ულტრას, სულ უფრო აშკარად ამზადებდა პირდაპირ გამოსვლებს.

რა მოიმოქმედა პრეზიდენტმა? ადგა და შვებულებაში გავიდა.

რა ვქენით ჩვენ, მისმა ყოფილმა მეგობრებმა და თანამშრომლებმა, რომლებმაც არ მოვისურვეთ ჩვენი ხელით დაგვეფარა და მიგვეჩუმათებინა მისი გარემომცველი „ბიჭების" სამოქმედარი?

ყველაფერი, მისი გუნდიდან ჩემი წამოსვლაც კი ამაო აღმოჩნდა. პრეზიდენტი არ უსმენდა ნამდვილად მისი ერთგული ადამიანების რჩევას. ამიტომაც 1991 წლის ივნისში მე აუცილებლად მივიჩნიე, მომეწოდებინა ქვეყნის დემოკრატიული ძალებისათვის, რომ გაერთიანებულიყვნენ და შეექმნათ ლეგალური კონსტრუქციული ოპოზიცია. ამასთან, მე ვეყრდნობოდი სრულიად მარტივ მოსაზრებას: ორგანიზებული დემოკრატიული ოპოზიცია უნდა გახდეს იმ მცირერიცხოვან რეფორმატორთა საყრდენი, რომელნიც ჯერ კიდევ იმყოფებიან ქვეყნის სათავეში. სხვა საშველი არ ჩანდა, რადგან პრეზიდენტს მარჯვენა იდაყვქვეშ აშკარად ეცლებოდა საყრდენი. არადა, იგი ცდილობდა, სწორედ მარჯვენა იდაყვს დაყრდნობოდა.

რით გვიპასუხა მან მე და ჩემს მეგობრებს? ანდა რით გვიპასუხა სკკპ-ის რეაქციულმა ზედაფენამ? პარტიული ინკვიზიციისა და სასჯელის მუქარით, ახალი შეურაცხყოფითა და ინსინუაციებით, დემოკრატიის ერთგულ პარტიის წევრთა — ალექსანდრე იაკოვლევის, ალექსანდრე რუცკოის, ვა-

სილი ლიპიცკის, ნიკოლოზ სტოლიაროვისა და სხვა მრავალთა დევნით.

მაგრამ „დემოკრატიული რეფორმების მოძრაობა“, რომელიც პრეზიდენტის სურვილის საპირისპიროდ (ეს დანამდვილებით ვიცი) და მისი მხრივ გარკვეული წინააღმდეგობის მუხედავად, ჩვენ მაინც შევქმენით, — კი არ სუსტდებოდა, პირიქით, ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა. მემარჯვენეები მასში უშუალო საფრთხეს ხედავდნენ და ცეცხლი დაუმიზნეს მის ინიციატორებს, ლიდერებს.

ჩვენ მარჯვნიდან გვიტევდნენ. პრეზიდენტი დუმდა, ჩვენ მხარი დაგვჭირეს იმათ, ვისაც მან „ეგრეთწოდებული დემოკრატები“ უწოდა: „დემოკრატიულმა რუსეთმა“ და სხვა პარტიებმა რსფსრ-სა და სხვა რესპუბლიკებში.

კი, ბატონო, მას მოცლა არ ჰქონდა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მომზადების გამო. კი, ბატონო, თვითონ მას უშუალოდ თავდასხმისა და დამცირების ატანა. მაგრამ, ამასთან, გასაოცარი სიჯიუტით ვერ ხედავდა, თუ როგორ მჭიდროვდებოდა მის გარშემო პუტჩის რკალი.

ვერ ხედავდა? თუ არ სურდა, შეემჩნია? თუ კიდევ არის სხვა რამ? არ ვიცი. მიჩნდება მრავალი კითხვა, რომლებზედაც პასუხი არა მაქვს.

20 აგვისტოს, საღამოს, მოვძებნე ფრანგი ტელერეპორტიორი ულის გოსე საფრანგეთის პირველი ტელეკომპანიიდან და მას გადავეცი ჩემი „ძახილი სიცარიელეში“.

ყირიმის ტყეეობიდან პრეზიდენტის მშვიდობიანად დაბრუნების შემდეგ მოსკოვში, პრესკონფერენციაზე, ერთმა ჟურნალისტმა სთხოვა გორბაჩოვს კომენტარი გაეკეთებინა იმ განცხადებაში ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრებისათვის.

ჭეშმარიტების ერთგულების გამო ღირს ამ მიმართვის ციტირება. აი, ისიც: „1991 წლის 19 აგვისტოს მოვლენები მოულოდნელი არ ყოფილა. მე და ჩემი მეგობრები ამას წინასწარ ვვარაუდობდით და პროგნოზსაც ვიძლეოდით. მეც და ისინიც ამის შესახებ პრეზიდენტს ვაფრთხილებდით პირად საუბრებში, ქვეყანასა და მსოფლიოს კი — ღიად, ყრილობათა ტრიბუნებიდან, გაზეთების ფურცლებიდან და ტელეეკრანებიდან.

ახლა, როცა ჩვენთვის უცნობია პრეზიდენტ გორბაჩო-

ვისა და მისი ოჯახის წევრთა ბედი, ჩვენ თავს ვიკავებთ და ვარაუდს არ გამოვთქვამთ იმის შესახებ, თუ რამდენად იყო პრეზიდენტი გარკვეული შეთქმულთა გეგმებში. ჯერჯერობით კი ცხადია მხოლოდ ერთი რამ: ჩრდილოვანი ხელისუფლება, რომელიც მოქმედებდა კანონიერი ხელისუფლების შემოვლით და მის საპირისპიროდ, — ეს ანტიკონსტიტუციური იატაკქვეშეთი, რომლის არსებობის შესახებ ჩვენ არაერთგზის აგვიტეხია განგაში, — ამჟამად აშკარად მოქმედებს, ამასთანავე, იგი, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა ჩვენს ისტორიაში, პრეტენზიებს აცხადებს თავის მოქმედებათა კანონიერებაზე.

არაფერია ქვეყნად უფრო დაცილებული კანონს, ვიდრე ეს ქმედებანი. კანონის მიხედვით, საგანგებო მდგომარეობის შემოღება შესაძლებელია უმაღლესი საბჭოს აქტით და აუცილებელია იმ კუთხის სრულუფლებიან ადგილობრივ ხელისუფალთა თანხმობა, სადაც იგი უნდა გავრცელდეს. იმის მცდელობა, რომ უკანონო აქცია დაკანონდეს წინა რიცხვით, სხვა არა არის რა, თუ არა ქვეყნისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის მოტყუება. პარლამენტს არ შეუძლია მიიღოს საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებანი სატანკო ქვემეხებისა და ავტომატების ლულებქვეშ.

თუ პრეზიდენტს არ ძალუძს შეასრულოს თავისი მოვალეობანი, იგი ვალდებულია უშუალოდ, პირდაპირ და თავისუფლად, დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ სამ თავ პირობებში, ამცნოს ამის შესახებ ხალხს და თვითონვე დანიშნოს ძალაუფლების გადაცემის პროცედურა. მე კარგა ხანია აღარ მაქვს პირადი კონტაქტი მ. გორბაჩოვთან, მაგრამ მაინც ვამტკიცებ, რომ მისი ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობა არ არის ისეთი, რომ წართმეოდა თავის ფუნქციათა და უფლებამოსილებათა შესრულების საშუალება. გადაღლილობა ბუნებრივი რამ არის იმ ტვირთის გამო, რომელიც მხრებზე აწვა პრეზიდენტს, მაგრამ გადაძაბვა სულაც არ არის დაბრკოლება ტელევიზიასა და პრესაში მისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული განცხადებისათვის. ამ მხრივ მას არასოდეს შეუზღუდავს საკუთარი თავი, სხვათაშორის, თვით მისთვის საბედისწერო შვებულების წინაც კი.

ამიტომ საუბარი შეიძლება მხოლოდ იმაზე, რომ ის თვი-

თონ კი არ ამბობს უარს, არამედ მას ეუბნებიან უარს, აიძულებენ, უარი თქვას; უარს ათქმევინებენ სწორედ ის ღამეული შეთქმულნი, რომელთა უმრავლესობა მანვე აიყვანა ხელისუფლების მწვერვალზე.

საუბარი შეიძლება მხოლოდ კანონიერი პრეზიდენტის აღმაშფოთებლად უკანონო, ანტიკონსტიტუციურ გადაყენებაზე, იმ აქციაზე, რომელიც ვერასგზით ვერ თავსდება სამართლისა და მორალის ჩარჩოებში. ძალაუფლების ხელში ჩამგდები ჯგუფი პრეზიდენტის სახელით ცდილობს ამ აქციის „კურთხევას" და ილუზიის შექმნას, თითქოს პრეზიდენტის ინტერესების დაცვასა და ხელისუფლების მემკვიდრეობითობას ემსახურებოდეს ეს ყოველივე...

მე ვამტკიცებ: იმის მიუხედავად, თუ მომავალში რა განცხადებას გააკეთებს მ. გორბაჩოვი და მისი გადამყენებელი ხუნტა, ავადმყოფია არა პრეზიდენტი, არამედ ხუნტის მოქმედებებში აშკარად იჩენს თავს იმ ძველი სენის სიმპტომები, რომლის განკურნებაც გარდაქმნამ იკისრა. ეს არის კულისებში ხალხისაგან დაფარულად ორგანიზებული შეთქმულება, არასასურველი ლიდერების თავიდან მოშორება კანონსაწინააღმდეგო მეთოდებითა და ცრუ საბაბებით, მლიქვნელობა და ორმაგი სტანდარტი, ორგულობა ხალხთან ურთიერთობისას, მტრის ხატის ჩამოყალიბება და ხალხის მასების წაქეზება ხუნტისთვის არასასურველი თუ მათთან შეგუებული პირების მიმართ..."

აი, რას ვამბობდი და ვწერდი იმ საათებში, რუსეთის პარლამენტის შტურმის წინ, როცა მის ყველა დამცველსა და კანონიერი ხელისუფლების ყველა მომხრეს ბევრად უარესი რომ ემუქრებოდა, ვიდრე, „სოვეტსკაია როსიაში" ანდა სკკპ-ის გაზეთ „გლასნოსტში" გამოლანძღვა. ყოველივე ეს ემუქრებოდა ჩვენს პრეზიდენტსაც. რა პასუხი გასცა მან ჟურნალისტის კითხვას? რა პასუხი და, არა მაქვსო წაკითხული შევარდნაძის მიმართვა, მაგრამ, თუ მან მართლაც ისა თქვა, რასაც რეპორტიორი ამბობს, მაშინ დაე, ეს მის სინდისზე იყოსო.

კი, ბატონო, ასე იყოს, დაე, გააანალიზონ უახლოესი წარსული. პრეზიდენტმა ისე ხშირად არ იცოდა, თუ რა ხდებო-

და მის სიახლოვეს და მთელ ქვეყანაში, რომ მე არ შემიძლია საკუთარი გამოვრიცხო ამგვარი ვარაუდები.

მე გული მეტკინა მის გამო.

როგორც ადამიანმა, მამამ და მეუღლემ, როგორც ოჯახის კაცმა და, ბოლოს, როგორც მისმა ამხანაგმა, განვიცადე ფოროსის სასახლეში მისი 72 საათიანი ტყვეობის მთელი კოშმარი. იგი ხუნტის ტყვე იყო. მაგრამ, როცა ის დაბრუნდა და პრესკონფერენციაზე გამოვიდა, მე დავინახე: ის კვლავინდებურად ტყვეა, ტყვეა თავისი ხასიათისა, წარმოდგენებისა, აზროვნებისა და ქმედებათა მისეული წესისა. და ახლა მე სრულიად გარკვევით შემიძლია ვთქვა: ეს სწორედ მან, და სხვამ არავინ, — გამოზარდა ხუნტა; გამოზარდა ნებაზე მიშვებით, მერყეობით და ლავირებისადმი მიდრეკილებით, იმით, რომ ვერ ერკვეოდა ადამიანებში, გულგრილობას იჩენდა ჭეშმარიტი თანამებრძოლების მიმართ, უნდობლობას — დემოკრატიული ძალების მიმართ; არ ენდობოდა სიმტკიცეს ციხესიმაგრისას, რომელსაც ხალხი ჰქვია, — სწორედ ის ხალხი, რომელიც შეიცვალა მის მიერ წამოწყებული გარდაქმნის წყალობით.

ეს მიხეილ გორბაჩოვის უდიდესი პირადი ტრაგედიაა და, როგორც არ უნდა თანავუგრძნოთ, არ შემიძლია არ ვთქვა: ამან, ამ ტრაგედიამ კინაღამ მიგვიყვანა საერთო-სახალხო ტრაგედიამდე.

სწორედ ასეთი კვალიფიკაცია მისცა „დემოკრატიული რეფორმების მოძრაობის“ პოლიტიკურმა საბჭომ 19 აგვისტოს მემარჯვენე გადატრიალებას. სწორედ ასე, რუსეთის მოქალაქეებისადმი მიმართვის სინქრონულად, — რომელსაც ხელს აწერდნენ ბ. ელცინი, ი. სილაევი და რ. ხასბულატოვი, — ჩვენ არ დავლოდებივართ პუტჩის დამარცხებას, როგორც, მაგალითად, კომპარტიის „ბელადები“ მოიქცნენ, და დაუყოვნებლივ დავსვით კითხვა: „რა მოუვიდა პრეზიდენტს?“ — და დაჟინებით მოვითხოვდით პასუხს

სწორედ ასე მსჯელობდნენ და მოქმედებდნენ მოსკოვში გავრილ პოპოვი, ლენინგრადში — ანატოლი სობჩაკი, ათასობით მათი თანამოქალაქე და თანამოაზრე მთელ რუსეთში.

საბოლოოდ პრეზიდენტი დაიცვეს იმათ, ვისაც იგი არ ენდობოდა: ბორის ელცინმა, „ეგრეთწოდებულმა დემოკრა-

ტებმა“, რუსეთისა და მოსკოვის მოსახლეობამ, მისმა ყოფილმა თანამებრძოლებმა. მიუხედავად ტრაგიზმისა, მე მაინც უდიდეს პირად კმაყოფილებას ვგრძნობ, ვინაიდან აგვისტოს ტრაგედიის დასასრულმა დაადასტურა ჩემი მთავარი პრინციპის სისწორე: დაუმარცხებელია მხოლოდ ის პოლიტიკა, რომელიც ზნეობრივია. დაუმარცხებელია მხოლოდ ის იდეა, რომელსაც საფუძვლად უდევს უმაღლეს ფასეულობათა განზომილება — ადამიანის სიცოცხლე.

ზოგისთვის, — მინდა ვიწამო, რომ ასეთები ცოტანი არიან, — ეს იყო შერცხვენის, თავისმოჭრის დღეები; სხვათათვის, — უმრავლესობისათვის, — დიდებისა და უსაზღვრო ბედნიერებისა, რაც ადამიანთა ერთიანობით მიიღწევა. გაიმარჯვა უიარაღო, მაგრამ თავისი სიმართლის რწმენით შეიარაღებულმა ხალხმა.

შეთქმულებმა ბევრი რამ გაითვალისწინეს, მაგრამ ყველაზე არსებითი გამორჩათ: გარდაქმნის წლებმა შიში დაგვაძლევინა. და ახლა ჩვენ უკვე სხვანი ვართ. და რაკი ჩვენ სხვანი გავხდით, ისინი კი არ შეცვლილან, ჩვენ ისინი ველარ დაგვჯაბნიან. სამხედრო გადატრიალების დასასრული, მჯერა, გახდება ახალი ქვეყნის, ამაყი, ძლიერი და თავისუფალი ადამიანების ახალი ერთობის დასაწყისი.

მინდა მჯეროდეს, რომ შეიცვალა თვით მიხეილ სერგეევიჩიც. სხვაგვარად არც შეიძლება. მას ხომ წილად ხვდა დიდი განსაცდელი: ღალუპვის პირად იყო მისული, ნახა ახლობელი ადამიანების ღალატი და ბოლოს უვნებლად გადარჩა. ასეთი რამ უკვალოდ არ ჩაივლის ხოლმე, არ უნდა ჩაიაროს.

რა მოხდება შემდეგ? ჯერ კიდევ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ეიფორიას არ უნდა მივეცეთ. სისტემის აგონიის დღეებში ჯერ კიდევ ყველაფერია მოსალოდნელი. სულაც არა მსურს კიდევ ერთხელ გამართლდეს ჩემი წინასწარმეტყველება. მაგრამ ვალდებული ვარ ვთქვა: საფრთხე კვლავაც დიდია. შეთქმულებმა გამოიწვიეს პროცესის ქაოსური, ირაციონალური განვითარება, რომელიც თითქოს უკვე ჩადგა რეგულირებად კალაპოტში. მათ შეანძრიეს ქანქარიანი „ბომბი“, რომელიც ეხეთქება ისედაც დაბზარულ კედლებს. იგი უნდა შევაჩეროთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, რათა ვიხს-

ნათ ქვეყანა და მთელი მსოფლიო, რათა ბოლო მოეღოს ადამიანის ტანჯვას. კანონმა უნდა იმუშაოს და არა — განუკითხაობამ. არ უნდა დავემსგავსოთ დემოკრატიის მტრებს.

რვა შეთქმული ჯერ კიდევ არ არის მთელი შეთქმულება, ანდა მთელი დიქტატურა. ისინი თავის განზრახვას ვერ განახორციელებდნენ, მრავლრიცხოვანი მომხრეები რომ არ ჰყოლოდათ. მე არავის არ მოვუწოდებ „კუდიანებზე სანადიროდ“, არ ვითხოვ პოლიტიკურ ანგარიშსწორებასა და შურისძიებას. ჩემი მოწოდება — ეს არის მოწოდება მხოლოდ და მხოლოდ მართლმსაჯულებისაკენ. „დაცემულთა შეწყალებაც“ შედის ზნეობრივი პოლიტიკის კომპლექსში. გამოვიჩინოთ დიდსულოვნება. ღირსნი ვიყოთ ჩვენი გამარჯვებისა. მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ, ჯერ კიდევ რამდენია ჩვენს შორის „დაცემული“. მხოლოდ ამის გათვალისწინებით შეიძლება შეთქმულებათა პოლიტიკის, მის გამტარებელთა და მომხრეთა სრული დამარცხება, ნათელმხილველი არ გახლავართ, მაგრამ ჩემი ამ წინასწარმეტყველების სისწორეში ეჭვი არ მეპარება.

ეს წიგნი დაიწერა დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად. არ ვიცი, შეასრულებს თუ არა ის თავის დანიშნულებას. მაგრამ, როგორც არ უნდა შეაფასოს იგი მკითხველმა დღესა თუ ხვალ, როგორი განაჩენიც არ უნდა გამოუტანონ ამ წიგნსა და მის ავტორს დრომ და ადამიანებმა, ერთი რამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა: გამიჭირდებოდა ცხოვრება, ყოველივე ეს რომ არ მეთქვა.

შინაარსი

1. ჩანაფიქრის ახსნა 7
2. სახლი და სამყარო 29
3. ახალი აზროვნების კურსის შესავალი 85
4. ადამიანური მასშტაბი. „იდეალისტის“ აღსარებები 113
5. ჩვენ ბურთს მთელ მოედანზე მივაგორებდით 141
6. ევროპის დაბრუნება. ჟამი შფოთისა და იმედისა 191
7. ოტავიდან არხიზამდე. მძიმე დღეები გზის ბოლოს 221
8. ევრაზია. „დავივიწყოთ წარსული, მივეგებოთ მომავალს“ . . 253
9. ჩერნობილის დღეები და „მონანიება“. არჩევანი 283
10. 91-ის აგვისტო. „ჩრდილები“ სამზეოზე გამოდიან 327

რედაქტორი ო. დოხნაძე
სამხატვრო რედაქტორი თ. კარბელაშვილი
ტექრედაქტორი ს. ამირანაშვილი
კორექტორები ლ. გაგნიძე, ნ. ქაფიანიძე
გამომშვები ა. მაისურაძე

სბ № 5088

გადაეცა ასაწყობად 8. 09. 92. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.09.92. ქაღალდის ზომა 84×108 1/32. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ვენა. ხაბეჭდი თაბახი 22,5. პირ. ნაბეჭდი თაბახი 18,9. პირ. საღებავგატარება 19,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,65.

ტირაჟი 25 000 შეკვეთის № 460.

ფასი 50 მან.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Чубинашвили № 50.

ЭДУАРД АМВРОСИЕВИЧ
ШЕВАРДНАДЗЕ

МОЙ ВЫБОР

(на грузинском языке)

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა, გრ. რობაქიძის გამზ. № 7.